МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

პროლეტარეტნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

54924

410

ᲛᲝᲜᲐᲠᲘ

№ 1

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ.

ᲣᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ, ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ
ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ: ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲛᲘ: 1927

Библиотека

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ე. ფ. ს.
პოლიგრაფ.
ტრიბუნის

= 3 =

სტამბა.

რეგ. № 454
რიგ. № 164
ტირ. № 2000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველთაგრული ლიტერატურა

საქართველო
რ უ ს ე თ ი
დასავლეთი

კუნ. ლოკოთქიფანიძე

ლენინ

დღეს სულ-განაბული ვიქცევით ფიქრებად;
ხსოვნა დაამძიმებს გონებას ლოდივით...
და წუთით ისეთი დუმილი იქნება,
როგორც უდაბნოში ქარიშხლის ლოდინით.
დღეს ისე შევხედავთ ჩვენ ერთი-მეორეს,
ისე ერთნაირი გრძნობები მოცვივა,
რომ ვიგრძნობთ უსიტყვოდ—ლენინის მეომრებს,
გულშიაც ლენინის სისხლი და ხორცი გვაქვს.
ჩვენ ძველი ცხოვრების გარდაქმნას ვუნდებით,
სუნთქვაც ხომ რა არის! მასაც შევედავეთ.
და მჯერა იქნება, ისეთი წუთები,
როდესაც სიზმარშიც ლენინს შეხედავენ.
როცა დაიბადე—ცივ ვოლგის ნაპირზე,
არ ვიცი, მოვიდენ თუ არა მოგვები;
მე ვიცი მხოლოდ, რომ შენს განვლილ მანძილზე
უბრალო ქვაც არის სიცოცხლის მომგვრელი.
ჩვენია ცხოვრება და ნაცვლად მახვილის,
ქუჩებზე ელავენ ქარხნების ალები;
მეც ვმღერ; თუ მომესმა ბრძოლების ძახილი
დავაგდებ კალამს და ხმლით დავტრიალდები.
ვინა სთქვა გაშლილი ბრძოლები გათავდა!
პარტიის ფოლადის მკლავი ვინ მოლუნა!
დავიცვათ, ვაშენოთ, მზათა ვართ—მზათა ვართ,
სისხლში გაბანილი დროშა და კომუნა.

ვასილ გოლგაძე

ბრძოლა წიფის

გვირაბთან 1905 წელს

მოგონებები წარსულ დღეებზე
ჰყვავიან სულში ატმის რგულებად
და მენატრება თოვლი ხეებზე—
გადაპენტილი ბამბის ქულებად.

ხეობა. მკაცრი დუმილით სერის,
გარინდებული ლიხის მწვერვალი.
თითქოს სიჩუმე ტყიდან გიმზერის
გაფითრებული ნადირის თვალით.

ეს იყო ღამე სისხლით ნაფერი!
მე მაშინ ვიყავ ბავში პატარა,—
როდესაც გვირაბს მოადგა მტერი
და ცეცხლი სოფლებს გადმოატარა.

ვის ახსოვს წიფის ფიცხელი ომი!
ბრძოლის სიუხვე და ანდამატი..
მებრძოლთა მკერდი, როგორც მთა ლომის
და ჩხერიმელა მორთული ფატით.

წითელი რაზმი—რკინის მკვნეტელი
იბრძოდა მტერთან გულდაგულ მისვლით,
მაგრამ მოირწყო ცივი კედელი
კეთილშობილი რაინდთა სისხლით.

მას შემდეგ—როცა მთაში გოდებენ
და შრიალებენ მწვანე შქერები—
დალუპულ გმირებს მოიგონებენ
სოფლის შაირი და სიმღერები.

ლიხი.
1926 წ.

ი. მოსაფვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელში

გახარებული დედაჩემი მომეგება და მითხრა:
— შვილო! დაცალე თოფი, დაიყვირე, დაიძახე, ხალხმა გაიგოს, რომ მამაშენის ოჯახში ვაჟის თესლი არ დალეულა...

* * *

ისევ სოფელი, ჩალა, ყავარი,
შეყვარებული გულით ნახული,
აქ არის ჩემი ნაბინავარი—
ეხლა მდუმარე, მობალახული.
აი, ეს ქოხი. აგერ ბებია.
დედი, ჩემი ხმა კიდევ გახარებს...
შევცქერი ვაზებს ოქროს-თმებიანს,
ჩემსკენ რომ მორცხვად თავი დახარეს.
ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი მაშინ,
სულს მოგონება დღესაც ანაზებს...
სად იყო სევდა სიმღერის ხმაში,
ყველა მიყვარდა ამ ქვეყანაზე.
ძლივს გადავურჩი ილბალს დაცერილს.
ეხლა ლექსებში სულ სხვა გულია.
დედი, ხომ ატყობ სახეს დასერილს—
ტყეზე ქარიშხალს გადაუვლია.

* * *

აბა, ვინა მყავს, რომ მომეგებოს,—
ისე დავტოვე ჩემი მამული.
მარტო ბებერი დედა მეგება
ფეხქვეშ, ცრემლებით თვალმონამული.
— შვილო, მობველი! შვილო, სამიწე
თავი მოუკვდეს ბარემ დედაშენს!
ბიჭო, შენობას მე ვინ გამიწევს,
ან ვინ აუხდის მოყვრებს ზედაშეს.
მეხვევა დედა—ფური ფშაური,
მუდამ იმედის ცეცხლის მთესავი,
და გული ისევ იწვევს ხმაურით,
ფიქრი იშლება შუადღესავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვინ მოვიკითხო? ყველა წავიდა.
ჩემი ტოლები სადღა არიან!
ზოგი დათარსა ბედმა თავიდან,
ზოგი ცხოვრების ქარმა არია.
რა კარგი იყო პატარაობა,
როცა ვანთებდით ჭია-კოკონებს!
წამოიზარდა მერე თაობა,
და ვაშლს ვესროდით ლამაზ გოგონებს.
არ ვიცი, ალბად მე მეჩვენება
სოფელი ეხლა სულ სხვანაირი:
ალარც მაყრები, დოლი, ჭენება
და ალარც სუფრის სიტყვა-შაირი.
მარტო საღამო ძველებურია,
ცაში ელავენ საცეცხლურები.
ეზოში გაბმით ღმუის მურია
და მიჭრიალებს სადღაც ურემი...

* * *

ჟამმა წაიღო შენი დროება,
შენი მკითხავი, მნათე, საყდარი.
ძველი სიმშვიდე და მყუდროება,
დედი, ამ ქვეყნად ალარსად არი.
ხმა რომ გუგუნებს,—ცეცხლის ქარია
და მოვლენ კიდეე სულ სხვა ქარები...
მთებში დაცემულ ღამეს მთვარიანს
გააღვიძებენ რკინის ხარები.
შენ შეუბნები: ალარ წავიდე,
მივხედო ვენახს, კალოს, ნალიას...
დედი, მე გულში ნაღველს ჩავიდებ,
მაგრამ აქ ყოფნა ალარ მცალიან...
ეხლა გრიგალის გადაქროლაა.
ყველგან დოლია, ყველგან მარულა.
ვხედავ სოფელშიც გულის თრთოლაა
და ცეცხლი აქაც შემოპარულა.
მეც იქით ასე მიტომ ვიშური,
არც ხიფათია და არც შიშია...
რაზიკაულო! ქროლა გიქური
ჩემში რომ ღელავს—შენი ჯიშია...
და ვტოვებ სოფელს გაშლილს დარებად,
ღამე რომ ავლებს ვერცხლის ყაითანს.
მივალ, თუმც ვიცი ჩემს გადარევას,
გრიგალი სადმე თან გადაიტანს.

კ. ლოლთქიფანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინაპრებს

ასწიეთ თასი, გამოსცალეთ: ყოველი მხრიდან
ჩვენ შორის ჩატყდა სამშვიდობო გზა იარალი;
ვიგონებ იმ დროს როს ქართლოსის მზეს მკლავით თხრიდა,
პატარა კაბი ირემივით მთიდან მყვირალი.
დარიალიდან დერბენტამდე ყოველი თხრილი,
გულებ-დალეწილ რაინდების არის სამარე;
გამხმარ თავებით აშენებულ ქედების ირგვლივ,
დავდივარ როგორც უცხოელი, ცნობის მოყვარე.
მომაგონდება როს არაბთა მძვინვარე ხროვამ,
დევის მუხლივით შეგინგრიათ გულის ფიცარი...
დროთა ტრიალმა ჩვენ ერთმანეთს გამოგვათხოვა,
ჩვენ წინაპრებო ერთმანეთი გადავიცანით.
თუ თქვენ კისერზე დაიმტვრიეთ ოსმალოს ხმალი,
ჩემთვის ერთია დღეს ერეკლეც და მამადხანი...
დღეს შემოგვხედავს მეგობრულათ აზიის თვალი,
ერთ დროს შრისხანე სააკაძით გადანათხარი.
რა უყოთ მერე რომ სიცოცხლე ჩემიც აქ ენთოს,
ეს რას მავალებს! მე სიცოცხლეს სხვა თვალით უმზერ!
არ არის სივრცე რომელმაც დღეს ჩვენ შეგვაერთოს,
არ არის სიტყვა ერთნაირათ რომ მოგვხვდეს გულზე.
არ მეშინია უცხოეთში ბედის მოლუნვის,
ტკივილს ვერ მომგერის მე სამშობლო მიწის სიშორე;
სანამდი ელავს გაბასრული ხმალი კომუნის,
მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიშოვი.

სიმონ ჩიქოვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველ პოეტს

შენ ფოტოდან ხარ, მე ფოლადით გამოვითალე,
შენ ეტრფი ძველს –უცხოელის მტვრიან ჭიანურს.
მე მინდა ხალხს დაუტოვო სიტყვა მართალი,
დავეძებ აზრს გამჭრიახს და ადამიანურს.
დრომ არ დამტოვა, რადგან მქონდა ტვინი მხედველი
და დახსნილ საგნებს მოვრეკავდი მკვრივი ფეხებით.
მე არ ვყოფილვარ შენებრ სიზმრის გამომყიდველი
და დღე გამოველ ღამისაგან ჩამოხერხილი;
და ფრთა მაგარი, მომხაზავი დიდი მინდვრების,
მღვრიე ძახილით მოუხმობდი კაცურ ნახტომებს.
ავიცერ მკლავი და მივიღე სისხლი დროების,
და სიხარული ბედს ვესროლე ცხენის ლახტივით.
შენ წვრილმანი ხარ და ძარღვი გაქვს ნაწყალმაკევი,
დაშლილ ფეხებით არ მოყვები ნივთთა ბროწეულს;
და უცხოეთში ნასესხებ ხმას, ოფლით დაკერილს,
დასტოვებ ხალხში უსიცოცხლოდ ჩამორწეულებს;
მე ახალი ვარ, ჩემი ხმაა სხვაგვარ ხარისხის,
გადმომტყორცნელი სივრცეების ძველებს ვაცოფებ.
მე დავლევ სისხლს, რომ ჭიქაში სისხლი დამისხათ,
მე ვუმღერ ხალხს და ამ ხალხში მთლიან კაცობას.
ვინც ეტრფის ფშანს, და ქარებში წახრილ ღერწამებს.
ვისაც სიყვითლე სულში ფოთლად უტარებია,—
ის ჩემზე ქარგათ ვერც ერთ მიზანს ველარ იწამებს,
და მიწის სისქეც ჩემზე ძლიერ არ ყვარებია.
ჩემთვის უცხოა ხაზობრივი დგომა ბერძნების,
მე არ ვიკეთებ ნილაბებს და ნისლის პარიკებს.
მე წინაპრებმა კაცობრივი ხმა მიანდერძეს,
და ჩლუნგი სმენით ამ მოძახილს შენ ვერ გაიგებ.
შენ მიგდებული და ნათრევი ჯაგლაგ ცხენივით,
სცადე ქალალდზე ძველი ხმების ლექსად შეკრება;
მე და შენ შორის, შენ გამოხვალ დამარცხებული,
მაგრამ სირცხვილი შენ გარეცხილს არ დაგეკვრება.
ჩვენ ვიელით წინ, მე გამიგებს წუთისოფელი,
სანამ ფეხები უფსკრულებით არ დაბორკდება;
და მე მოვიტან წრფელ სიმღერებს, სივრცე მოფენილს,
რომელიც ხალხში არასოდეს ალარ მოკვდება.
შენ ფოტოდან ხარ, მე ფოლადით გამოვითალე,
შენ ეტრფი ჭორს და უცხოელ მტვრიან ჭიანურს.
მე მინდა ხალხს დაუტოვო სიტყვა მართალი,
დავეძებ აზრს გამჭრიახს და ადამიანურს.

ლეო ქიაჩელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისხლი

რომანი

I

კოხტად ჩაცმული შავგვრემანი ბიჭი მინდვრის კუთხეში სდგას, იელის ბუჩქნართან, და შეშფოთებულად გასცქერის სოფლის გზას, რომელიც ბუჩქნარით მინდორზე გამოდის.

სახეზე ეტყობა, რომ უძინარია და დიდი სულიერი ვაება გადახდილი.

მინდორი პატარაა, ტრიალი. მხოლოდ გზის მხრით თავყვითელა იელის რამდენიმე ბუჩქი შეჭეოჩრებია და იქვე ობლად მიჩქმალულა თეძოებ-შემხმარი, პანტა-ვაშლის ერთად ერთი ხე.

შავგვრემანი ბიჭი ისე სდგას, თითქოს ამ ვაშლის ხეს ამოფარებია.

მოკლე ჩოხა აცვია. წელი წერწეტა აქვს და ბეჭები განიერი. რქის ტარიანი უბრალო ხანჯალი არტყია და თავი თეთრი ყაბალახით აქვს წაკრული.

დილის მზეზე ნაფერ ფოლადად უციალობს უწვერ-ულვაშო სახე, რომელსაც სულის ფორიაქი სჭელ ღრუბლად შესწოლია. იგი ისე მოუთმენლად გასცქერის გზას, თითქოს ამოწვდილი მოელვარე სატევარი იყოს.

თრთოლავს.

მოლოდინად არის გადაქცეული.

. . .

მოაწია თუ არა განთიადმა, ეს ბიჭიც აქ გაჩნდა, თითქოს ხის ტოტზე მჯდარიყო და ღამე ასე გაეთენებიოს. მოვიდა, დადგა და ამდენი ხანია ფეხი არ მოუცვლია, თვალი გზის ხაზისაგან არ მოუცილებია.

ნისლიანი იყო რიჟრაჟი, და ბიჭი აჩრდილსა ჰგავდა. პანტა-ვაშლზე შეხიზნული ჩიტები დააფრთხო. როცა გითენდა, შეუბრალებელი თვალებით გაჰხედა მიდამოს, თითქოს შეუტია ბავშობიდან შეზრდილ არე-მარეს:

— მოლალატევ! — და ხანჯალზე ხელი წაიღლო.

მერე მზეც ამოვიდა. სრულით გასჭრა ლაჟვარდის სილრმე და მხიარულის დაჭკვრით გაჭყვა თავის გზას.

ჰო, დღეა, უკვე დიდი დღე, და შავგვრემან ბიჭს კი ლოდინი არ უმართლდება.

ჰო, რა საშინელია, როცა იცი, რომ ამაოა სულისკვეთება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, დეე, ნუ მოვა....

ვიდრემდის თვითონ დედამიწა ფეხებიდან არ გაეცლება, ეს თავიდ დანიშნულ ადგილს არ მოშორდება.

ასე ფიქრობს და ხმას არ იღებს, რადგანაც გრძნობს, რომ ხმა დაფერფლილი აქვს, და სიტყვა ყელიდან არ ამოუვა. მის ნაცვლად ქარქაშიდან ხანჯალს ამოსწევს და ისევ ჩარტყმით ჩააგებს.

სახეზე ბრაზის ელვა გაუნავარდებს, თვალებში ცეცხლის ალი ჩაუდგება.

იგი არც შეფიქრდება, ისე დაჰკლავს ყველას, ვინც არამზადაა ამ ქვეყნად და სიცოცხლეს სწამლავს.

ჰოო, როგორ შესცდა, რომ ეს არ შეასრულა, როცა საშუალება ჰქონდა...

ახლა რაღა დროს!

აი ვარდომაც როგორ ულალატა!

. . .

ეს მოხდა ათ დღეში. ათი დღე რა დიდი დროა მაინცა-და-მაინც, რომ ადამიანის ბედის ასე სასტიკად შეცვლა შეეძლოს?

სახლში არ იყო ათი დღე. მხოლოდ გუშინ საღამოს დაბრუნდა ანაკლიიდან, სადაც სწორედ ათი დღის წინად ურემი გარეკა თხილით დატვირთული. ივაჭრა. დააგვიანდა. მაგრამ დაბრუდა მოგებული, გახარებული. ვარდოს უცხო საჩუქარი ჩამოუტანა, სოფელში რომ არავის უნახავს ისეთი. — თურქმა მიჰყიდა საიდუმლოდ.

სახლამდის რომ მოაწია, შემოალამდა. ღიღინით შემოჰყვი სოფლის შუკას. ვარდოს სახლთან უნდა გამოევლო. აქ ხმა ასწია და შეუკრიმანჭულა.—ნათქვამი ჰქონდა სატრფოსთვის, რომ მშვიდობით დაბრუნებას კრიმანჭულით აცნობებდა... ეს კიდევ იმის ნიშანი იყო, რომ ვარდო დილით ადრე მინდორზე, ბუჩქნართან, უნდა გამოსულიყო.

კარგად დაინახა, რომ ვარდოს ოდა არაჩვეულებრივად განათებულიყო. ყველა ფანჯრიდან სინათლე გამოსჭვიოდა და უცხო ფუსფუსი ისმოდა.

გაიკვირვა ანდრომ. შესწყვიტა კრიმანჭული. წამოდგა ურემზე და ხელჩამოფარებული თვალები მიაპყრო ნაცნობ კარმიდამოს.

— ვინ სტუმრებია, ნეტავი?

ასე გაიარა მცირედ შეფიქრიანებულმა.

თავის ეზოს რომ მიადგა, ჭიშკართან მამიდა დახვდა. ამ საღამოს მოელოდა. სიმღერასაც მოჰკრა ყური. კარი გაუღო, დაბრუნება მიულოცა.

— რა ამბავია, მამიდა?

— მშვიდობა, გენაცვალოს მამიდა... დაგაგვიანდა, ანდრო!

— ჰოო, ალარ დაილია ეს ტიალი გზა.

ურემი მის ადგილას დააყენა. ნიშა და ლომა ბალახზე მიუშვა. სახლში შევიდა. ტახტზე ჩამოჯდა. ხურჯინიც გვერდით მოიდვა. მამიდას საიდუმლო ღიმილით გადახედა.

— რაები ეივაჭრე... რაები ჩამოვიტანე, მამიდავ! გაგახარებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამიდამ კი თვალები აარიდა.

—შენ კი რას შეტყვი აქაურობის? —ისე ჰკითხა, მიახვედრა, ვისზე ეკითხებოდა.

მამიდა კი უცნაურად გაუყუჩდა. მერე პირიც მოიქუშა.

— ჰო?

— ვარდოს ათხოვებენ, შვილო... დანიშვნა მოხდა.

ჯერ ხუმრობა ეგონა. იქნება, მამიდა მაჯავრებდესო. მაგრამ მალე გამოირკვა საშინელი სინამდვილე.

მამიდაც კი გრძნობდა თავს შეურაცყოფილად. დაწვრილებით უამბო, რაც იცოდა. ჩამოსთვალა ყველა, ვინც საქმე მოაგვარეს.

— ქუთაისში რომ ვარდოს ბიძა მსახურობს, მდიდარი, იმან მოაწყო ყველაფერიო.

— ბოლოს სიძეც დაუსახელა.

— იმ ჩინოვნიკ სოლომონს რომ შარშან, ბუნტის დროს აქ სტუმრად ჰყავდა, ის არის... ჩინებიანი... თუ გახსოვს!

ანდრო ველარ იგონებს, როგორ გაატარა ამის შემდე ღამე.

. . .

განთიადს კი დაასწრო და აქ, ამ მინდორს, ბუჩქნარს, ამ პანტა-ვაშლს მოაშურა თანახმად ურმიდან მიცემული ნიშანისა.

მაგრამ სადაც არის შუადღეც მოაწევს, და ვარდო კი რა სჩანს.

ახლა კი ცხადია, რომ ყველაფვრი მართალია, რაც მამიდამ უთხრა...

დიახ, ათმა დღემ დააკარგვინა ანდროს ვარდო... ორმოცმა ფუთმა თხილმა დაჰლუპა ანდრო!

იგი დღესვე ასჩეხავს თხილნარს!.. ამიერიდან არ უნდა იგი!

და დარბევის ქარი შემოუქროლებს. აჯანყების ცეცხლი მოედება.

დღესვე დაამსხვრევს ურემსაც, და საკუთარი ხელით დაჰკლავს ლომას და ნიშას!

თუ არა ეს თხილი, ეს ურემი და ხარ-კამეჩები, ის ფეხს არ მოიცელიდა სოფლიდან... და მაშინ ვარდოსაც ვერავინ წაართმევდა...

მამა არა ჰყავს და დედა. ძმა არასოდეს არა ჰყოლია არც და. ახლა იმასაც ნაღვლობს, რომ მამიდა ჰყავს. — პირველად ხომ მისი პირიდან გაიგონა: „ვარდოს ათხოვებენო“...

ჰოო, შემოაკვდება ხალხი ანდროს, ღმერთმანი!

და სიანჩხლით ამოსწევს ხანჯალს. მოეჩვენება, რომ დახოცილთა სისხლმა ითქრიალა.

გულს ესალმუნება.

ხანჯალს ისევ ჩააგებს.

ამავე დროს ანაზდად შეამჩნევს, რომ იელის ერთი ბუჩქი შეირხა და ვილაცის ლანდი მინდვრის პირს აეკრა.

ნუ თუ ვარდოა?

სახეზე სისხლი აუვარდება. გულისცემა შეუჩერდება. თავს ძალს დაჰხრის. — არ შეუძლია ვარდოს შეხედოს.

— გამარჯობა, ანდრო. გავიგე შენი ჩამოსვლა.— მოეხვია ანდროს ბოხი ხმა და თავს მაღლა შეისვრის. მის წინ პირმცინარი არსენა სხეგს ... გახარებული ესალმება. კარგა მოზრდილი ქალაღდის შეკვრა იღლიაში ამოუჩრია.

— დაგაგვიანდა, ბიჭო!—და ხელს ჩამოსართმევად გაუწოდებს.

— გაგიმარჯოს, არსენა...— ძალდატანებული გაღიმებით უპასუხებს მეგობარს ანდრო და ხელს უგულოდ ჩამოართმევს.

— აი, რა მოგიტანე. სამი დღეა, რაც არჩილმა გამოაგზავნა...— და არსენა ფრთხილად მიიხედ-მოიხედავს... — შენ რომ იცი, ის უნდა იყოს, მაგრამ უშენოდ მაინც არ გავხსენით... გადმოგცე? — შეკვრას გაუწოდებს.

— არჩილმა?—გაკვირვებით ხმას აუწევს ანდრო. შეკვრას ფიცხლად გამოართმევს. გასინჯავს. — ჰო, ვიცი... კარგი, დასტოვე. — ეტყვის მერე დაბნევით.

— ის არის ხომ? ა? — დაბალი ჩურჩულით ჰკითხავს არსენა და თვალებში ჩახედავს. ვერ შეამჩნევს, რომ ანდროს მაინცა-და-მაინც გახარებოდეს ამანათის მიღება.

— ახლა კი არსენა... თუ ძმა ხარ...—დაიწყებს ბორძიკით, მაგრამ სიტყვას ვერ დაამთავრებს. ისევ მზერათ გადაიქცევა, ისევ მოლოდინი შეიპყრობს.

არსენა მიმხვდარია, თუ რა სჭირს მეგობარს.

— ვიცი ანდრო... განა არ ვიცით, რაც მოხდა. ამიტომაც გკითხე, ახლა გადმოგცე, თუ არა მეთქი! — ამბობს იგი და თანაგრძნობიან თვალებს აადევნებს. — მაგრამ შენს თავს ესე ადვილად არ დავაჩაგვრინებთ... ყველანი შენთან ვართ!

— არა, არსენა... თუ ძმა ხარ, ნუ... — გააწყვეტინებს ანდრო შებზარული ხმით.

— ესაო და დიდი კაცი არისო და გაუვაო, ეს არ იქნება! ისედაც გამწარებულები ვართ. — განაგრძობს მაინც არსენა. — გულახდით მითხარი, ანდრო... აი, იონამაც დამაბარა და სანდრომაც მითხრა: თუ შენ თანახმა იქნები, იმ კაცს მოგაშორებთ...

— არასოდეს!

— რათა?.. ხომ ვიცით, ვინც ბრძანდება? დიდი ციხის უფროსია ქუთაისში... შარშან კი ჯაშუშობისათვის სდევნიდენ ჩვენები და სოლომონ ვარაძე აქ შალამდა, ძმის სახლში... ვითამ სტუმარიაო... გვატყუებდა თურმე... ახლა ჩვენი საქმეც, ხომ ხედავ, არც ისე წაგებული ყოფილა, როგორც აქ ჰგონიათ... აი, არჩილიც კარგ ამბავს იტყობინება... ეს პროკლამაციები, სჩანს, რასმე ნიშნავს ალბად... ა? შენ როგორ ფაქრობ: იფიქრებს კიდევ?

— ა? ალბად... შეიძლება...

ანდროს თვითონაც არ ესმის, რასაც ამბობს... იგი თვალს მოჰკრავს, რომ გზის პირად ბუჩქი შეირხა, და აენთება.

— დამაცა, არსენა... — ეტყვის და ხელს მოუთმენლად მკლავზე წააცლებს, განზე გასწევს. ანიშნებს, წადიო. — უკაცრავად... მაგრამ... თავი დამანებე ახლა, თუ ხათრი გაქვს...

არსენაც შენიშნავს, რომ ბუჩქნარში ვიღაცა შემოვიდა. მიბვდება ანდროს ალელვების მიზეზს.

— კარგი, შენი ჭირიმე... — გახარებით ეტყვის და ბეჭეს ... თუნებს ალერსით და მერე აჩქარებით მოშორდება იქაურობას.

ანდრო კი თვალებს არ უჯერის:

გზიდან მინდორზე ვარდოს მეგობარი ლიზიკო გადმოუხვევს და ანდროსკენ გაუპირდაპირებს.

ფარული იმედის უკანასკნელი ნატამალი მოსწყვეტია გულზე ანდროს.

— ის არ მოვა... — იტყვის თავისთვის და მწარე ღიმილის მსგავსი ნაოჭი სახის ერთ ნახევარს მოუქცევს.

— ანდრო, ვარდომ შენთან გამომგზავნა საიდუმლოდ, — სხაპასხუპით დაიწყებს მოახლოვებისთანავე ლიზიკო. მან იცის, რომ შენ აქ მოელი და მითხრა, ნახეო... თვითონ ვერ გნახავს... და ეს ბარათი გამოგიგზავნა.

ანდრო ფსიტყვოდ გამოართმევს ბარათს. ხელში შეეშუენის. არც კი დახედავს. სიჩუმეს ჩამოაგდებს.

— კარგი... სხვა არაფერი?—ვითამ დამშვიდებულად ჰკითხავს გვიან.

— არაფერი ანდრო...—და ლიზიკო მოულოდნელად ანდროს საიდუმლო ტანჯვის ყველა ხვეულებში შეიჭვრიტავს. ეს მისდა უნებურად მოხდება. ანდრო მიუხვდება და უცებ გამოიცვლება.

— არაფერი? — გუგუნით გაიმეორებს ანდრო და გოგოს თვალებს შეანათებს.

წითელი ალი უბრიალებს გამობედვაში და თვალებიდან ისრები სცვივა. უცებ მაღლა ამართავს ბარათიან ხელს და ლიზიკოს ზედ სახესთან მიუტანს. შეუბრალებელი მუქარით ეტყვის:

— ალბად, ქორწილზე მპატიჟებს ქალბატონი! არა? უთხარი, ანდრო მადღობელია და გეწვევათქო!

ამ სიტყვებით შეშეშეშნილ ქალალდს ლიზიკოს სახეში ესვრის.

— წერილები აწი მის ლეკურიან კავალერს სწეროს!

— ანდრო, არ იცი განა, რომ ვარდის ბრალი არ არის?

— აჰა... მაშ, მართლა გათავებულა საქმე... თუ ასეა, იცოდეთ, მოლალატეებო, რომ ანდრო ქარიგაძე ამას თავის დროზე გაგიხსენებსთ! გაგიხსენებსთ ისე, რომ...—უკანასკნელ სიტყვებს კბილებში გამოსცრის და არსენასაგან მიღებულ შეკრვრას მაღლა ასწევს შესვრით.

— იცოდეს ყველამ, რომ ჩვენი დრო კიდევ დადგება... აი, ამას ხომ ხედავ?..—დასჭექს, შეკვრას ჰაერში შეათამაშებს და შემინებულ გოგონას ზურგს შეაქცევს. არც კი გამოემშვიდობება, ისე ტანის მუქარიანი რხევითა და სასტიკი ნაბიჯით თავის სახლისკენ გასწევს.

II

ვარდოს გათხოვება ყველასათვის მოულოდნელი იყო: მშობლებისათვისაც და თვითონ ვარდისათვისაც.

საკოდავ გოგოს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ასეთ საკვირველ ბედს ეწეოდა.—იგი მას მოვარდნილივით დააატყდა თავს.

ანდროს ანაკლიას წასვლის მეორე დღესვე სოლომან ვარხეულ-ქალაქი, საგუბერნიო სამმართველოს მოხელე და ორი სახლის პატრონი ეუთაისში— მოულოდნელად ეწვია ვარდოს მამას, თავის უმცროს ძმას, და თან მელიტონ აბლანდია ჩამოიყვანა.

— სიძე!—უთხრა მან ვარდოს მშობლებს და აბლანდია წინ დაუყენა.

— ამ ვაჟბატონს თურმე ზარშანდელს აქეთ უყვარს ჩვენი ვარდო. ეს ამბავი როგორც თქვენ, ისე მეც აქამდის არ შემიტყვია. გავიგე თუ არა, არ დაშიყოვნებია: დასაქორწინებლად ჩამოვიყვანე. სამი დიდი ღირსება აქვს: აზნაურია, დაწინაურებული ჩინოვნიკი და კარგი ჯამაგირიც აქვს. არას ვამბობ იმაზე, რომ ჩემი გაზრდილიც არის და წარჩინება წარჩინებაზე მოელის. მომილოცავს.

ვარდოს მამას თვალი მოეჭრა:

მბრწყინავი ეპოლეტები. სირმის ქუჩუჩიანი ხმალი. ორი „მენდალი“ გულზე და არწივიანი ოქროს ფერი ღილები ორ რიგად მკერდზე.

იშვიათი სასიძო კაცი სოფლის გოგოსთვის.

ვარდოს დედის ყველა ოცნებას ხორცფერი შეესხა.

ვარაძეებს ჭკუით იცნობდენ: სად გიჟი უსახლოკარო ანდრო ქარიგაძე და სად ეს „ღუბერნატორისთანა“ კაცი!

სოლომანის ეს წყალობა ყველა წყალობაზე უფრო დიდად მიიჩინეს.

სთქვეს:

— ბიძაც სწორედ ასეთი უნდაო!

. . .

— ნუ მეხუმრებით... სტუმარზე გათხოვება სად გაგონილა!—ამბობდა შეშინებული ვარდო. არ უნდოდა დაეჯერებინა.

მაგრამ მამა სასტიკად შეუწყრა. სიდინჯე და თავდაჭერილობა მოსთხოვა გადაჭრით.

მერე ნიშნის ნივთებიც მიართვეს.

მაშინ ვარდომ ხმა გაჰკმინდა და ცხარე ცრემლით ტირილი დაიწყო.

არავინ აღმოაჩნდა მშველელი. არც თანამგრძნობი უბედურებაში, ლიზიკოს გარდა.

ანდრო კი შორს იყო.

როცა ანდრო ჩამოვიდა, უკვე შველაც გვიან იყო. მაგრამ ვარდომ მაინც მისწერა წერილი. ამცნო გასაჭირი. ეგონა, დიდი უბედურება დატრიალდებოდა: ანდრო მოვიდოდა, მოწინააღმდეგეს მოჰკლავდა, ხოლო თვითონ მას შორს გაიტაცებდა.

მაგრამ მინაწერი ქალალდი რომ უკან დაუბრუნდა ლიზიკოს ხელითვე და ანდროს განწყობილებაც შეიტყო, ულებ ჩაფუკვით მოეშვა, თითქოს სიცოცხლე გასცლოდეს და მკვდარივით გახევებული დარჩა.

ახლა ალარ სტიროდა, ხოლო ცრემლი კი მაინც სდიოდა თავისთავად, შეუწყვეტლივ.

წაუმწარდა სიძეს გამარჯვება. იგი მით ანუგეშეს, რომ უთხრეს:

აქაურ ქალებს ასე სჩვევიათ გათხოვების დროს... ყურადღებას ნუ მიაქცევ... მალე გაუვლის და შეგეჩვევაო.

ასე მოხდა:

ანდროს დაბრუნების მეორე დღესვე, საღამოს, დანიშნულებს ჯვარი დასწერეს გაუხმაურებლად.

ქორწილის ნაცვლად უბრალო ვახშამი მოაწყვეს უახლოვეს ნათესავებისათვის.

— ნამდვილი ქორწილი ქუთაისში გვექნებაო!—გამოაცხადა სოლომონმა და ორი ეტლი დააბარებინა მახლობელ დაბიდან გვიან ნაშუადამევისათვის, რომ ადრიანი დილის მატარებელზე არ დაგვიანებოდათ.—რკინის გზის სადგურამდე თხუთმეტიოდე ვერსი იქნებოდა ვარაძეების სახლიდან.

ყველაფერი სოლომონის გეგმაზე ხდებოდა. მას სოფლური ჩვეულებები არ უყვარდა და დავიდარების თავი არ ჰქონდა. სიძეთურთ სამსახურში მიეჩქარებოდა. ისედაც შეაგვიანდათ და ჩქარობდენ.

ვარდოს დედას მაინც ძალიან სწყდებოდა გული. მისი ქალი ისე უბედურად გამოიცქირებოდა, რომ თავი ვერ დაენებებია. ამიტომ გადაეწყვიტა, გაჰყოლოდა ქუთაისში და სრულ დამშვიდებამდე მასთან დარჩენილიყო.

. . .

ანდრო იმ ღამეს ძლივს მონახეს მისმა მეგობრებმა. ამათ იცოდენ ვარდოს თავს რაც ხდებოდა, და უნდოდათ გამოერკვიათ, რას ფიქრობდა ანდრო: გაჩუმებას თუ თავის გამოდებას.

მაგრამ ანდრომ უცნაურად დაიჭირა მათთან თავი.

როცა უთხრეს,—ვარდო ამღამეს ქუთაისში მიჰყავსთო,—ისე ჩაიცინა, თითქოს ეს მისი მოხერხებული საქმე ყოფილიყო. მერე სულ სხვა საგანზე ჩამოუგდო ლაპარაკი.

— დამიჯერეთ, ძმებო,—დაიწყო მან თვალის არიდებით,—რომ ვარაძის ქალის ამბავი სულაც არ მაინტერესებს... თქვენ ამბობთ, მიჰყავთო... წაიყვანონ... მე რა? აბა, თქვენ თვითონ გასინჯეთ, რა თავგამოსადებია ვარაძეების ბუდის ბარტყი?.. მე დიდი ხანია, რაც თავი მინებებული მქონდა... თუმცა ამაზე არც ღირს ლაპარაკი... ჰო, მე კი, აი, რა უნდა გითხრათ: არჩილი ფოთში მიბარებს, და რას იტყვით ამაზე?

ამ ცნობამ უცებ დააინტერესა და ძალიანაც გააკვირვა მეგობრები.

არსენა ჩახმახზე შესდგა,

— რა ამბავიაო, კარგად გვითხარი, თუ ძმა ხარ... გამოგზავნილი ხომ მართლა პროკლამაცია აღმოჩნდა?—ერთმანეთზე გადამბით ჰკითხა მან ანდროს. მერე იონამ ჩამოართვა სიტყვა:

— დიდი საქმეა რალაც, იცოდე, რაკი [illegible], თუ წერილი მოგწერა? არჩილი ახლაც ფოთში იმყოფება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოეხვივნენ შეგობრები ანდროს. სულ დააეიწყდათ ვარდოს ამბავი.

ეზოს კუთხეში იდგენ, კაკლის ჩრდილში. მთვარიანი ღამე იყო, ფბილი და წყნარი.

ანდროს სახე არ უჩანდა. გარდა კაკლის ჩრდილისა, ყანანახლეკ—ეჭონდა ჩამოფარებული.

— პროკლამაცია სულ ახალი უნდა იყოს... უკანასკნელი... ვიბორგის მოწოდებაა...—არსენასკენ მიმართვით დაიწყო ანდრომ, დინჯად, გულჩათხრობით. მერე იონას მიუბრუნდა:

— არჩილი ამ ქამად ფოთშია, ამხანაგო... უთუოდ საქმეზე მიბარებს... წერილი არ მოუწერია, ერთი ამხანაგის პირით შემომითვალა...

— მერე აპირობ წასვლას?

— ყოველ მიზეზგარეშე...

— რა თქმა უნდა, უთუოდ უნდა წახვიდე... ჩვენც დაგვიბარე, თუ საჭირონი ვიქენით! ხომ ხედავ, აქ ალარ გვეცხოვრება.

და მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა ფიქრიანი.

— ხო, მართლა... პროკლამაციებიც უნდა გადმომეცა თქვენთვის... დამავიწყდა... დავითვალე და დავაწყვე. სულ სამასი ცალია. თითოს ას-ასი გვერგება. ზედ აწერია, როგორც წესი და რიგია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. ქვეშ ბათომის კომიტეტი აწერს ხელს. ჩვენი პარტიისა.

— წაიკითხე?

— კი. „არც ერთი შაური და არც ერთი სალდათი“ მთავრობას არ მისცეთო, განაცხადეს თურმე დუმის დეპუტატებმა. ეს ამბავი სწერია. ჩვენც უნდა ვემზადოთ...

ორი ცალი პროკლამაცია ჯიბიდან ამოიღო და ამხანაგებს გადასცა. ამათაც მთვარის სინათლეზე გაიწიეს და თვალების ზედმიტანით მოგრძო ოთხკუთხიან ფურცლებს თვალიერება დაუწყეს.

— ჰოჰო... ახლა ერთხელ კიდევ გაიგებენ, რაც ბიჭები ვართ.!. გათავდაო კი ფიქრობდენ...

— დაიცათ, ბარემ მოგიტანთ და გადმოგცემთ თქვენ—თქვენს წილს... განაწილებული მაქვს.—და ანდრო სახლისკენ გაიქცევა. ორ კოხტა შეკვრას გამოიტანს და მეგობრებს გადასცემს.

— ფრთხილად, იცოდეთ. ზოგი ხელზე დააჩიგვეთ. ზოგიც აქა-იქ გააკარით და ზოგიც დააბნიეთ... მთელ უბანს უნდა მოედვას, აი...

— ფიქრი ნუ გაქვს, ანდრო... პირველად ხომ არ ვართ ამ საქმეზე. არც ერთი არ დაიკარგება.

სთქვეს გახარებით და ქალალდები უბეებში ჩაიჩარეს.

ამას შემდეგ ეზოში გაიარ-გამოიარეს.

ანდრო თავის მომავალ მუშაობაზე ლაპარაკობდა. აგზნებული და ოცნებიანი იყო მისი სიტყვა. ხშირად და დაჟინებით იმეორებდა ტერორს და სულ კვლასა და ყლეტას უტრიალებდა.

მისი აზრით, იგი მუშად ჩაირიცხებოდა ფოთში და არჩილის ხელმძღვანე-

ლობით პარტიულ მუშაობას დაიწყებდა. შეადგენდა ტეროროისტების ჯგუფს და ბომბების კეთებას შეისწავლიდა:

— ყველა ტეროროს ჩემს თავზე მივიღებ.—ამბობდა გალესილი მურისძიებით და წამდა-უწუმ ხანჯლის ტარს ჰკიდებდა ხელს.—მუსრი უნდა გავავლოს მოდალატეებს. სისხლით უნდა გაირეცხოს ეს ქვეყანა. სხვა გზა არ არის. გახსოვდეთ, ჩემგან დაზოგვა არ იქნება ამიერიდან!—

ხმას აუწია. თითქოს მტერს შეუტია. მაგრამ უცებ შუა გასწყვიტა ხმა. დადუმდა. ყაბალახი მთელ სახეზე ჩამოიფარა.

მოკრძალებით უსმენდენ მას მეგობრები. ესენიც ჩუმად ოცნებობდენ „მუშად გახდომას“ და დიდ ქალაქში თავგადასავლიან ცხოვრებას.

— მე რა! ერთი კაცი ვარ, თავს ყველგან გავიტან. —განაგრძო ისევ ანდრომ, ახლა კი გრძნობის დამორჩილებით, მაგრამ უაღრესად სევდიანი ხმით.— რომც დავიღუპო, არაფერია... არ მენაღვლება...

ღამესაც სევდა რამ შესწოლოდა უნაზესი, და მთვარეც თალხად მოგვირისტებულ ციდან სევდას რასმე ათოვდა ყმაწვილების გულს.

— ჩვენც რომ დავიღუპოთ, არ გვენაღვლება. შენთან ვართ ანდრო.

* *

შუაღამე იქნებოდა, როცა ანდრომ მეგობრები სათითაოდ მათ სახლამდის მიაცილა. გამოემშვიდობა და შინისკენ წამოვიდა.

მოდიოდა იგი ნელა, ორლობეებით. კმაყოფილი იყო, რომ მეგობრები ასე შეიქცია და ვარდოს ამბავი კი მიჩქმალა. არჩილთან წასვლაზე ყოველთვის ფიქრობდა, მაგრამ აქამდის ვარდო აკავებდა. ახლა კი, თუმცა არჩილს არ დაუბარებია, მაინც ბრსებითად მართალი უთბრა ამხანაგებს: გულში წასვლა ამოეჭრა.

რომ დაუფიქრდა მეგობრებთან ნათქვამს, ძალიან დაუჯდა ჭკუაში. ტეროროისტობის იდეა განსაკუთრებით მოეწონა.

— რა თქმა უნდა!.. ამდენი ხანი კი გავაცდინე!—ჩაილაპარაკა ხმამაღლა. მერე თითქოს წამოსცდაო, გულაყუჩებით:—აქ აწი რა დამრჩენია?

ამ შეკითხვაზე თავისივე თავი დაიჭირა. არ ესიამოვნა საკუთარი კილო. ნაბიჯს მოუმატა. მაგრამ მაინც ეკაიდა აჩრდილივით ვარდოზე ფიქრი და სახეზე წამოაწითლა.

სხვისაგან რომ დაფაროს, თავის თავს ხომ ვერ დაუმალავს, რაც დაემართა.

დაემართა კი ის, რომ...

ფიქრი არ დაასრულა. საღლაც სილრმეში შერცხვა. თავმოყვარეობის შელახვა იგრძნო.

ასე განვლო სოფლის მჭიდროდ დასახლებული ნაწილი. მალე გაშლილ განაპირას გამოვიდა.

მარჯვნით გზა მის სახლში მიდიოდა, მარცხნით კი ვარაძეების უბნისკენ უხვევდა ხეივნით.

ხეივანმა მოგონება აუშალა. გაუცხოველდა მის ხავერდოვან ჩრდილში გან-

ცდილი სიყვარული. მერე ვარდოს სახეც მოელანდა და ფოთოლთა [illegible] შრიალში სატრფოს ჩურჩული მოესმა.

გაჰყვა ხეივანს.

გრძნობდა, თუ რა ძალა ეზიდებოდა აქეთკენ, მაგრამ ახლა მას ურჩობას ვერ უწევდა, ისე სტკივოდა გული.

ნაცნობი ხეები მდუმარედ ესალმებოდენ. თითქოს რაღაცას უსაყვედურებდენ.

აი, ის ცაცხვი, რომლის ძირში უკანასკნელად ერთად ისხდენ ის და ვარდო.

ღამეც ასეთივე იყო მაშინ...

გული აუჩვილდა, მისი ფარული გრძნობის დახშული ჟარიც ერთბაშად გაიღო.

ცრემლმა თვალებზე მიუღიტინა და ალერსის წყურვილმა—გულზე. გადაუარა სიანჩხლემ. ბალღს დაემსგავსა.

მივიდა ცაცხვთან და მის ძირში პირქვე დაემხო ქვითინით.

ღიღხანს იყო ასე.

მერე გაყუჩდა. სული განაბა.

. . .

როცა სულის მოსათქმელად ბოლოს თავი ასწია და მიმოიხედა, ნახა, რომ თავს ტყის დედოფალი დასდგომოდა თვალებჩაფერფლილი და სახეგატანჯული.

ანდრომ იცნო იგი. არა ერთხელ ენახა თავის საყვარელ საოცნებო ადგილებში განმარტოვებისა და გულზე დარდის მოწოლის დროს. ეს იყო ტყისა და ღამის კეთილი დედოფალი. მაგრამ ასე მოწყენილი კი არასოდეს არ უნახავს და ასე ახლოს არ შეუხედავს.

მთვარის შუქისა და ხეების ჩრდილის ფარდაგზე იდგა. თეთრი უხეი თმა გაეშალა. ზოგი შიშველ მოლივლივე ტანზე შემოეფარა, ზოგიც ჰაერში შეეფინა.

— რა დაგმართნია, ჩემო ბიჭუნი? რა ნაღველი ჩაგდგომია გულში? ადექი... ხომ მიცანი: მე საიდუმლო სიყვარულის დედოფალი ვარ! გამინაწილე შენი გულის დარდი. ვიცი, სიყვარულისგან იტანჯები... ეს მე არ დამემალება. გამიმჟღავნე საიდუმლო, გულზე მოგეშვება...

წამოდგა ადრო.

ასეთნაირად არავის მიუალერსებია მისთვის, ასე ტკბილად არავის მიუმართავს მისთვის.

— ჰო, მე ვიცი: შენ ფიქრობ, რომ ვარდომ გიღალატა და ამისგან ხარ უბედური. ეს კი ტყუილია, ჩემო ბიჭუნი. ვარდოს შენთვის არ უღალატნია. პირიქით... შენ გადააგდე მისი წერილი, ლიზიკოს ხელით რომ გამოგიგზავნა. რატომ არ წაიკითხე მაინც? რა იცოდი, რა ეწერა წერილში? იქნება, შველას გთხოვდა სატრფო, და შენი იმედი ჰქონდა... შენ კი... კარგი ბიჭი ხარ, ანდრო, ძაგრამ ავი ხარ!.. შენ გგონია, რომ ვარდო არ იტანჯება? აი, გუშინ და გუშინ წინ ღამეს აქ იყო, ამ ხეივანში, ამ თქვენი ცაცხვის ძირში და ცხარე ცრემლით სტიროდა. გიხმობდა, გიჩივოდა, რატომ მიმატოვეო...

— მე? მე მივატოვე? იმ დაწყევლილ ანაკლიაში შემაგვიანდა... რომ ჩამოველ, მითხრეს, თხოვდებაო. რა მექნა? მერე დანიშნულ ადგილზე ვერ გამოცხადდა. არ მნახა. პირობა დაარღვია.

— საწყალი ბიჭი! ვერ მიხვდი, რომ ვარდოს ბრალი არ იყო? ვერ მოიაზრე, რომ შენს სატრფოს ძალა დაატანეს? პატარა ხომ არა ხარ, რომ არ იცოდე ამ ქვეყნის ბოროტების ამბავი! ჰო, რა მებრალება საცოდავი გოგო! შენ კი ახლაც ეჭვობ, რომ იგი იტანჯება. აი, ამ წუთშიაც მესმის მე მისი ქვითინი... რაც გამოუცხადეს გათხოვება, მის მერე ტირილი არ შეუწყვეტია. ეს იცოდე, ანდრო: ის ყველა უბედურზე უფრო უბედურია, იგი ამ ღამ მიჰყავთ აქედან და უკანასკნელად ეთხოვება ქალწულის იმედებს, ეთხოვება თავის უმანკო სიყვარულსაც შენდამი... ნეტავი, გუშინ მოსულიყავი აქ, რომ გენახა... აი, ამ ხის ძირში იჯდა და ცრემლისაგან იცლებოდა. ბევრი ვანუგეშე, ვეალერსე, მაგრამ ვერ დავაწყნარე. შენი ბრალია, ანდრო, რომ ახლა ყველაფერი გვიანაა.

— რატომ გგონია, რომ ყველაფერი გვიანაა. მე მეგობრები მყავს... ჩვენ არ გვეშინია, არსენა ისეთია, რომ ტყვიას ხელით იჭერს.

— მაგრამ შენ ხომ უარი სთქვი ვარდოზე. იმის მაგიერ, რომ შველა გეთხოვნა მეგობრებისათვის, არჩილთან წასვლაზე ელაპარაკე... რა უცნაური ხარ! იქნება მართლა ფიქრობ აქედან წასვლას?

— კი, შორს... ძალიან შორს მინდა წავიდე, აქაურობას მოვშორდე.

— მერე არ გეშინია, რომ დაიღუპო? ქვეყანა დიდია და შენ კი პატარა ხარ... ობოლიც ხარ, ღარიბი... არავინ მოსარჩლე არ გეყოლება... სჯობდა, ვარდო რომ არ დაგეკარგა და აქ დარჩენილიყავ.

— თუ მართალია, რასაც მეუბნები, მე ამ ღამეს მოვიტაცებ ვარდოს...

— გვიან არის... აი, ყური დაუგდე: გესმის რა ამბავია? ცისკრის წინამორბედი ჰრეკავს, და ვარდოსაც უკვე მიამგზავრებენ სადგურზე... მშვიდობით, ჩემო უბედურო და მშვენიერო გოგონავ! უკანასკნელი ნატვრაც კი აუსრულებელი დაგრჩა...

— რა ნატვრა, მითხარი...

— ნატვრობდა, შორიდან მაინც დაენახე... უკანასკნელად...

. . .

მაგრამ ტყის დედოფლის უკანასკნელი სიტყვები სულ სხვა ხმაზე ჩაესმენ ანდროს. მოჩვენების ნაცვლად ახლა წკრიალა ეკვნები ელარუნობდენ შორით და მიწურული ღამის წყნარ ჟრიამულს აქრთობდენ.

ანდრო შეფთხრიალებით გამოერკვევა. ყურებს დასცქვეტს. მიმოიხედავს. გარემო გამოცვლილი ეჩვენება. ცისკიდური შენაცრებული.

ეკვნების ჟღარუნს ცხენების ფეხის ყრუ თქარათქორის ხმაც შერეოდა.

— ვარდო მიჰყავთ მტარვალებს!

მიაყურებს:

მახლობელ გზატკეცილზე ეტლები მიჩხარუნებდენ და ეკვნების წკარუნი შორი-შორს მიმოიფანტებოდა ჩუმსა და წყნარ სივრცეში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ჰა, ბიჭო, ანდრო!—კივილით აღმოხდება კვლავ ანდროს და ქარივით მოსწყდება თავის ადგილს.

ხეივანს გაირბენს.

ახლა უფრო გარკვევით მოესმება ეტლების ხმაურობა.

ანდროც მოუფიქრებლად მისკენ გიჟივით გაექანება.

თავში ის აზრი და უტრიალებს, რომ დაეწიოს ეტლს. მაგრამ ცოტას რომ გაირბენს, აზრი შეეცვლება: წარმოიდგენს გასარბენ მანძილს და ეტლების სიშორეს და უცებ შესდგება. ფეთებით შეათვალიერებს მიდამოს და ერთი ფიქრის სისწრაფით იქვე გზის პირად მდებარე ყანაში გადახტება. წინ წამოწეულ ცალ მხარს სახეზე წამოიხურავს და ზრდა დასრულებულ სიმინდში შრიალ-ფრიალით შეიჭრება.—ახლა ის განზრახვა აქვს, რომ გზა მოსჭრას და ვარდოს რკინის გზის სადგურზე მიუსწროს.—

გარკვეული არა აქვს, თუ რას მოიმოქმედებს, როცა ვარდოს დაინახავს, მაგრამ რომ უთუოდ უნდა ნახოს, ეს კი გულში ამოჭრილი აქვს.

კარგად იცის, თუ როდის გამოივლის მატარებელი და რა მანძილიც უდევს წინ გასალეები.—მუხლების სიმარდის იმედი და აქვს და შურდულით გასროლილ ქვასავით სჭრის სივრცეს.

გარბის პირდაპირი ხაზით,—ყანებით, ეზოებით, ჩიგვნარებით. გარბის სულის მოუთქმელად, ბურთივით შეკუმშული, როგორც უკანასკნელი სულისკვეთება განწირული იმედისა...

შორიდან კი ხან ყრუდ, ხან კიდევ მკაფიოდ, მოესმის თავისებურ რითმზე აწყობილი, დრო გამოშვებით ტორების ჩათქარათქორებით შემკრთალი, ეკვნების საბედისწერო ჟღარუნ-ჩხარუნი.

იგი ისე ადევნებია ანდროს, თითქოს ვარდოს უიმედო ვედრება იყოს... ქვითინში ჩამხვრჩალი სატრფოს ხმობა, ძახილი.

თითქოს ტყის მოჩვენებული დედოფალიც ამ ჟღარუნში განაგრძობდა თავის საყვედურს და ანდროს უკანასკნელ იმედს უქარწყლებდა.

და გარბის ანდრო ამ საბედისწერო მოძახილით აფორიაქებული, მისი რითმით აგზნებული და მასვე აყოლილი თავისი დაუზოგველი მუხლთა ქნევით, ათრთოლებული გულისძგერით და ყრმის აჯანყებული ფიქრების ქარული დენით.

III

მატარებელი დაინძრა პატარა სადგურიდან ახალ გათენებულზე, და რკინისგზის ლიანდაგის გასწვრივ მდებარე მინდორზე, მკშინავი ორთქლმავალის პირდაპირ, გახელებულის ლანდს დამსგავსებული ანდროც გამოჩნდა.

კაცის ფერი არ ედვა და ბარბაკით მოქანაობდა.

ქამარ-ხანჯალი შეეხსნა გზა-და-გზა და მხარზე გადაეგდო. ჩოხასა და ახალოხზე ღილები შეეგლიჯა. თმა აბურძგვნოდა და სასიკვდილოდ განწირულივით ხრიალებდა.

მოჰკრა თვალი მიმავალ მატარებელს თუ არა, მოწყვეტით შესდგა და

ათრთქლებული თვალები ადრიან დილის ბინდში შეტყორცნილი რონოდების ფანჯრებს შეაჭრო.

აერია ყველაფერი. თავსბრუ დაესხა და თვალებში სინათლე ჩაუქრა.

სწრაფად და რახრახით ჩაიარეს რონოდებმა. გაიციალეს ფანჯრებმა.

თავი ღა მიატრიალა მათკენ ანდრომ და თვალები უიმედოდ გააყოლა. ტანი ვერ დასძრა ადგილიდან. ფეხები გახევებოდა და მუხლებში კანკალი ჩასდგომოდა.—გრძობდა, რომ კვლავ სარბენად ძალა არ შესწევდა.

როცა მატარებელი მიიმალა, თვალები დაეწკურა. მერე შეირხა. ჩაიღმუილა დაჭრილი ნადირივით. წაბარბაცდა და ჩაფუშვით მიწაზე გაერთხა.

გრძნობა დაჰკარგა.

. . .

გათენდა.

ქვეყანა დღის ნაჩვევ კვალში ჩასდგა, ჩვეულებრივი სახე მიიღო:—

მზე ამოვიდა. დღე გაიშალა.

კვირა იყო.

მალე სოფლის საყდარზე ზარიც ჩამოჰკრეს.

დაიწყო ხალხის მიმოსვლა.

როცა ანდრო გონს მოვიდა, მზე სახეში უნათებდა და ყურში ზარის რეკა უწივოდა.

წამოდგა. მიიხედ-მოიხედა. სიზმარივით მოაგონდა ყველაფერი, რაც თავს გადახდა. მაგრამ მის განხილვაში არ შესულა.—აზრდაკარგულივით გამოიცქირებოდა.

უხმოდ ადგა, იმ ადგილს მიაპყრო თვალები, სადაც დილის მატარებელი მიიმალა. კვლავად დაინახა მსრბოლავი რონოდები და ყურში რახრახი ჩაესმა.

სული ეტკინა.

მაგრამ განცდილის ხელმეორედ ატანა აღარ შეეძლო.

— გათავდა!—უნდოდა ეთქვა, მაგრამ მხოლოდ ტუჩები შეენძრენ, ხმა კი მკერდშივე ჩაუწყდა.

და მერე თავდახრილი, თითქოს პარვით, გაჰყვა იმავე უგზო მიმართულებას თავის სახლისაკენ, რომლითაც წუხელ თავგანწირვით მორბოდა.

მალე მიეფარა ტყეს აჩრდილივით.

ღოლნით მიდიოდა. ხეებს ეფარებოდა. თავი ისე მიჰქონდა, თითქოს შიგ ტვინში ისარი ჰქონიყო შერჭობილი.

გამშრალ პირში მწკატე გემო ჩასდგომოდა, შხამიანი.

გულში კი—ოხრების ბოლი.

. . .

ტყის ბოლოს წყარო იყო. მერე სოფელი იწყებოდა. წყაროსთან შესდგა. ძელზე ჩამოჯდა. აქ სიჩუმე იყო და ნესტიანი სიგრილე. ხელი დაიბანა. სახეზე წყალი შეისხა. დაისვენა გარინდებულად. არაფერზე არ ფიქრობდა. აზრის ძაფი გაწყვეტოდა. ასე იყო კარგა ხანს.

მერე შოსეზე გავიდა. შინისაკენ გაუპირდაპირა.

პირდაპირ მომავალი ორი ქალი შენიშნა შორითვე: ერთი მაღალი, მეორე დაბალი, რომელიც პირველს ცოტა დაშორებით მოსდევდა.

ეტყობოდათ წირვაზე მიდიოდენ.

ანდრომ იცნო ისინი. გადასახვევი ახლოს არ იყო. ~~ძალუნებურად~~ უნდა შეხვედროდა. არ უნდოდა კი.

პირველი ქალი არჩილ დადიშიანის დედა იყო, სალომე. მეორე კი მისი განუყრელი მოახლე—მაიკო.

ანდრომ ნაბიჯი შეანელა. მკერდზე გახსნილი ახალუხი შეისწორა. ქამარხანჯლის მორტყმას ვერ მოასწრებდა. ამჯობინა ხელში დაეჭირა.

არჩილის დედა კი წარბებშეკრული უახლოვდებოდა. გაკვირვებით უმზერდა, თითქოს თვალებს არ უჯეროდა, რომ ანდროს ხედავდა.

— აბა, მაიკო,—მიმართა მან მოახლეს ანდროს გასაგონად, შეხედე ერთი, ვინ მოდის?.. ნუ თუ ანდროა?

— ის არის... შეჩვენებული! — გაიკვირვა მოახლემაც შიშდაკრულად.

— აი, სად ყოფილა, და მას კი სად ეძებენ!—სალომე შუაგზაზე შეჩერდა. ცოტა კიდევ დაიახლოვა ანდრო და მერე შეტევით:

— ალბად, საიდუმლო კრებიდან მობრძანდები, ვაჟბატონო! სწორეა: სახეზე გეტყობა, რომ არ გიძინია.·. ბუნტს ამზადებ კიდევ? ალბად არჩილმა დაგავალა!.. თურმე, ნუ იტყვით, ამისათვის ეძებდა ამ დილით პოლიცია! გაგიგეს? ასე გინდა... პატივსაც გცემენ! მადლობა ღმერთს, ახლა მაინც გამარჯვებულია რუსის ხელმწიფე.

ანდროც შესდგა და ქალბატონ სალომეს მორიდებული სალამი მისცა.

— საწყალი მამიდაშენი მეცოდება, თორემ შენ რა შესაბრალებელი ხარ: ეშმაკი, დაუცხრომელი!. მე რომ არჩილი დამეკარგა, ამაში წილი შენც გიდევს... ნეტავი, ამდენხანს გაეცინბირებიეთ, ჭირისუფალიც მოისვენებდა და სოფელიც...

სთქვა და ნაოჭებიანი თეთრი ხელის ხმელ თითებში მომსხო გიშრის კრიალოსანი გაათამაშა.

ამპარტავნული სანახაობა ჰქონდა და მითქმაში ბატონური კილო დაჰკრავდა. გარდასული სილამაზის ლანდი უკრთოდა პირისახეზე. სწორი ცხვირი და მარცხენა ლოყაზე მიმჯდარი მოდიდო ხალი სიმტკიცის იერს ჰფენდნენ. ხოლო წელთა დენით შეფერფლილ თვალებში დროებისაგან მიყენებული მწუხარება დარდის მუქ მრშიათ შეჰქსოვოდა.

— რას გვერჩი, შვილო... რა დაგვიშავებია?. აი, ახლაც, ამ თემშარაზე რომ გამოსულხარ და თავს აჭერინებ, გამზრდელ მამიდას რას ეუბნები? სახლკარს ვის უტოვებ?.. ღმერთს რა პასუხს აძლევ ამდენ საცოდავებისათვის? მოხუცებულობას რატომ გვიმწარებ რომ თავი გაგიწირავს!

დაასრულა ჩათუთქვით და ისევ გზა განაგრძო.

— ნუ ხარ აქ, შე ულვთო... წადი, დაიმალე სადმე! დაგიჭერენ!.. არ გესმის?—შეუცაცხანა ანდროს მაიკომაც და თავის ქალბატონს აედევნა.

ანდროს არ გაჰკვირებია ასეთი შეხვედრა: არჩილის დედას ყოველ მის დანახვაზე უთუოდ მოაგონდებოდა შვილი, პოლიცია, ჩხრეკა, დაპატიმრება და

ათასი ასეთი უბედურება, რაშიც წილი ანდროსაც ედვა, როგორც არჩილის უახლოეს თანამშრომელს.

მაიკოს შეცაცხანებაზე სხვა დროს ანდროს უთუოდ გაეცინებოდა.

მაიკო ხორცით და სულით სალომეს ისე შებერებოდა, რომ [illegible]ბელი აზროვნების ნიჭი დაჰკარგოდა. იგი თავის ქალბატონის ფიქრებისა და წარმოდგენის უშუალო გამოძახილი გამხდარიყო.

ანდროც ყოველთვის საკიმბირო კაცად ჰყავდა წარმოდგენილი, რომელზედაც პოლიციას მუდამ უნდა ენადირნა. თუმცა მაინც ეცოდებოდა და სალომესებურად არიგებდა ჰკუაზე, როცა შემთხვევა მიეცემოდა: ჯერ გაჰკიცხავდა, მერე გააფრთხილებდა და მამიდას შეაცოდებდა, ბოლოს არჩილის დაკარგვასაც დააბრალებდა.

ამიტომ ანდრო ერთსაც და მეორესაც გაუჩუმდა.

მაგრამ მიმავალი სალომე კიდევ განაგრძობდა ჩიკილს:

უბედურება არ არის, მაი, რომ ჩემი სტუდენტი შვილი, დიდი ზურაბ დადიშიანის შთამამავლობა ანდროსთანა ბიჭებს მეგობრობს? მე კი მას ჩემი ქალობა შევალიე და ქმრის სიკვდილის შემდეგ ერთი ნათელი დღეც არ მინახავს... განა იმისათვის გაუწიე მამობა, იმისთვის გავგზავნე რუსეთში, რომ სწავლის დამთავრებისშაგიერ ყველა ოხერს გადაკიდებოდა და ჩემი ამაგი დაევიწყნა?

ამის გაგონებამ გული დასწყვიტა ანდროს. უკადრისობას არ მოელოდა არჩილის დედისაგან. სანახევროდ მისას იყო გაზრდილი, არჩილთან ერთად.

ცალი ყბა მოექცა.

— ჰეე...—წარსთქვა გულდაწყვეტით, მაგრამ არ დაასრულა. ხელი ჩააქნია და აჩქარებული გაჰყვა გზას.

წინ კიდევ დაინახა მომავალი მლოცველები. რომ არ შეხვედროდა ვისმე, შოროდან გადაუხვია.—ადამიანთან დალაპარაკება ახლა აუტანელი იყო მისთვის, ისე ეზარებოდა.

. . .

სახლს უახლოვდებოდა, როცა მახლობელ ტყიდან გამაფრთხილებელი სტვენა მოესმა. მიიხედა.—არსენა ხეს ამოფარებოდა და ხელის საიდუმლო ნიშნებით ეძახდა: აქეთ წამოდიო. არსენას გვერდით ოთნაც შენიშნა. ესეც გაფაციცებით უქნევდა ხელს: ნუ მიხვალ-ჩემთან მოდიო!

გაკვირვებულმა ანდრომ მეგობრებთან მიირბინა.

— რა ამბავია, ყმაწვილებო?

— ის ამბავია, ანდრო, რომ დასაჭერად დაგეძებენ! ამ დილას ყოფილან შენთან და გაგჩხრიკეს. პროკლამაცია სახლში გქონია. იპოვეს და წაიღეს. ახლა უნდა დაიმალო, თორემ უთუოდ დაგიჭერენ.

ანდრო შეფითრდა.

— პროკლამაციები წაიღეს?

— მამიდამ გვითხრა, წაიღესო. იმას კიდევ ჰგონია, რომ შენ დაჭერილიცა ხარ და ძალიან შეშინებულა... წუხელ სახლში არ ყოფილხარ!

ანდროს სიტყვის ამოღებაც არ დააცალეს ამხანაგებმა. ჩაიყენეს შუაში და ტყის გულისაკენ გააქანეს.

— ნეტავი, საიდან გაიგეს, რომ სახლში პროკლამაცია მქონდა! რომ არავინ იცოდა!? — შეეკითხა ანდრო გზა-და-გზა მეგობრებს.

— ამაში დამნაშავე მე უნდა ვიყო, ანდრო. — დაიწყო შეწუხებულად და თავის გამართლებით არსენამ. — მაგრამ ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ასეთი ამბავი დატრიალდებოდა... წუხელ შინ რომ დავბრუნდი, ძილი გამიტყდა რაღაც... ვიფიქრე, რაღა დრო გავაცდინო მეთქი... ღამეც მთვარიანი იყო... ავდექი და კანცელიარიისკენ წავედი და ხუთი ცალი პროკლამაცია წინაკედლებზე ავაკარი. ათიოდეც წინ მოედანზე გავაპნიე. კვირაა, ხალხი გაივლის, ნახავს მეთქი... ჰო და, ეს ალბად შენთვის დაუბრალებიათ...

ანდროსთვის ახლა სალომეს და მაიკოს გაანჩხლება გასაგები შეიქმნა.

— მერე მთელმა სოფელმა გაიგო, რომ გამჩხრიკეს?

— დილით იყვნენ... ყველამ გაიგო. შენც დაჭერილი გგონიხართ.

გულჩათხრობით მიჰყვებოდა ანდრო მეგობრებს. უნებისყოფოდ ეჭირა თავი, თითქოს არსენასა და იონას ხათრისთვის მიდიოდა ტყეში დასამალად.

ასე შევიდენ ტყის შუაგულში.

— შენ, მგონი, წუხელ არც გიძინია, ანდრო. ფერზე არ ხარ... დასვენება თუ გჭირია, მიწექი ხის ძირში, ცოტა წაიძინე... ჩვენ გიყარაულებთ. — ეუბნება არსენა ანდროს, დიდად შეკვირვებული მისი არაჩვეულებრივი მოქანცულობით.

— უგუნებოდ კი ვარ... მაგრამ არ გეგონოსთ შიშისაგან მჭირდეს... დამიჭერენ, თქვენი ჭირი წამილია... ნუ შეწუხდებით...

— არც ისეა საქმე! შენს თავს არავის დავანებებთ... საღამომდის აქ დავრჩეთ, მერე...

— მერე მე ფოთისკენ გაუდგები გზას! — ჩამოართვა უცებ სიტყვა ანდრომ არსენას. — მაინც უნდა წავსულიყავ... — მერე სახის შეუცვლელად ჩაიცინა, რაღაც არაბუნებრივად. — ხე, ხე... ურია წყალს მიჰქონდა, გზაც იქითკენ ჰქონდაო... ასეთი საქმე მჭირს!.. —

სთქვა და მოწყვეტით ერთი წიფელის ძირში მიწვა. ყაბალახი დაამრგვალა. თავქვეშ ამოიდვა.

— პასპორტი რომ მქონდეს, მართლა წავიდოდი ამღამესვე... ფული კი მეყოფოდა... იმ ოხერ თხილზე მონაგები... მამიდასაც კი ვუწილადებდი...

თვალი ეხუჭებოდა.

არსენა თავთან მიუჯდა. იონა ცოტა მოშორებით დადგა მზირად.

— პასპორტი სანდროს ვარდა, აქ სხვას არავის აქვს... იმას უნდა გამოვართვათ... სანდროს პასპორტი ძალიან გამოგადგება. ვითომ სანდრო ხარ და ბიძია — ერასტოსთან მიდიხარ... ხომ კარგია!.. ერასტოს მაინც ვერ აუვლი გვერდს ფოთში... იცოდე, ზედგამოჭრილია სანდროს პასპორტი...

ჭკვიანური გამომეტყველებით ამბობს არსენა.

— მართალია. უერასტოდ არჩილსაც ვერ მივაგნებ...

— მისი ბინა ხომ იცი? ყოფილხარ...

— ხომ არ გამოუცვლია, თუ იცი?..

იონა უპასუხებს:

— არა... ამასწინად სანდრომ წერილი გაუგზავნა... ისევ ძველ-ძველ ნამდვილად ვიცი.

მაგრამ ანდრო უკვე ველარ უსმენს მეგობრებს. სადღაც არსენას იქით იცქირება ძილქვეშ და ისეთი სახე აქვს თითქოს აღარაფერი აინტერესებს.

— ხო... ძალიან კარგი.—უაზროდ ამბობს და თვალებს ხუჭავს.—უკაცრავად... არ შემიძლია.

— დაიძინე—დაიძინე!—მზრუნავი წაქეზებით ეტყვის არსენაც და ხმას გაკმინდავს. ხოლო მცდელ თვალებს კი მიაპყრობს სახეზე. უნდა იქვი დაიდასტუროს მეგობრის ასეთი მოქანცულობისა და უძინარობის შესახებ.

რა დიდი მიხვედრაა საჭირო: ანდროს რაღაცა აწუხებს და მალავს. ეს უთუოდ ვარდოს გათხოვებასთან არის დაკავშირებული. მაგრამ არსენას უნდა მაინც რამე ნიშანი ჰპოვოს მეგობრის სახეზე, საბუთი. ძილში ხომ ვერ დაჰფარავს, თუ გულში ცეცხლი უნთია.

ცოტახანში მართლაც ენიშნება:

კანს შიგნით რომელილაც ძარღვი უცნაურად აუცახცახდება ანდროს და უფერულ, ელვასავით ღრაკნილ ზოლებს ცალ ლოყაზე გაავლებს ვიდრე კისრამდის.

— აი, გულის ჭრილობისაგან არის!—დაიმტკიცებს არსენა იქვს და ერთხანს კიდევ არ მოაცილებს თვალებს მეგობრის სახეს. მერე უცებ წამოდგება, ფეხაკრეფით მიირბენს იონასთან და დიდმნიშვნელოვანი საიდუმლოებით ჰკითხავს:

— შენ რას ფიქრობ, იონა, იმაზე, რომ ანდრო წუხელ სახლში არ ყოფილა? სად იქნებოდა შენი აზრით?

— რატომ მკითხავ ასე? რა არის?—გაუკვირდება იონას.

— პროკლამაციები რაკი შინ აღმოაჩნდა, სჩანს, სხვა საქმეზე ყოფილა... ა?

— რა საქმეზე?

— მე მგონია, იმ გოგოს წაყვანას არც ისე უმნიშვნელოდ ჩაუვლია მისთვის, როგორც გვარწმუნებდა.

— შესაძლებელია... მაგრამ რატომ დაგვიმალავდა?

— ხომ იცი, ძალიან გულჩათხრობილი კაცია... ვინ იცის, რა წვალება გადაწყდა, მაგრამ არ ამბობს!.. ისე კი კაცის ფერი არ ადევს და... უცნაურადაც იქცევა.

— ჰუმ, როგორ მებრალება, რომ იცოდე? შევცდით, არსენა, თორემ არც უნდა გვეკითხა, ისე მოგვეშორებია თავიდან ის ვილაც ოხერი...

— განა არ მინდოდა? მაგრამ არ ქნა, თავი მოიკლა...

მეგობრებში სიბრალულიანი სიჩუმე ჩამოვარდება.

— ეტყობა, უჭმელიცაა.—იწყებს ისევ არსენა. მოდი, გაიქეცი და რამე საჭმელი მოარბენინე... მე ვიყარაულებ. ცოდვაა.—

იონა თანხმობის სახეს უჩვენებს. თითქოს შეფაცურდება წასასვლელად.

— მოიცა... შენი აზრით, არ სჯობია, რომ არ წავიდოდეს? თავს ხომ აქაც შეინახავს? ცუდი დროა: ქალაქებში თურმე ხვრეტაა [illegible]...

— არჩილთან მივდივარო, თორემ არც მე ვურჩევდი [illegible] გიომაც აიჩემა შარშან წასვლა... წავიდა და მისი ქვალი არა სჩანს... დაიკარგაო, ამბობენ. ძალიან საშიშია შორს წასვლა.

არსენას ოცნებიანი აზრი დააფრინდება სახეზე.

— კარგი ტეროროისტი კი იქნება, ბიჭო, ანდრო... ძალიან მაგარია და გაბედული! ჰე, ნეტავი მეც მივდიოდე, ის კი არა... დიდი ბრძოლაა თურმე გაჩაღებული. გაზეთებში არ სწერენო, თორემ რამდენს იქიდან მთავრობა აბრჩობსო ჩვენიანებს, იმდენს აქედან ჩვენებიც ჰკლავენო სამაგიეროდ... აქ კი რა ცხოვრებაა? ლაჩრები გამოვდექით, ყველამ ავგიგდო.

— ჩვენი რა ბრალია? დრო დაუდგათ, ძმაო.

გულდაწყვეტილები იყვნენ 1905 წლის ყმაწვილი გმირები. ნაღვლობდენ, რომ ცუდი დრო დაუდგათ.

მცირე ხანს კიდევ ილაპარაკეს. მერე ორნა საჭმლის მოსატანად გაიქცა. არსენა საყარაულოდ დადგა.

. . .

ანდროს კი ტყის სიგრილეში ისე ჩასძინებოდა, როგორც ბუმბულში.

ხშირ ხეებს შორის მზე მხოლოდ აქა-იქ ატანდა. მისგან მდელო ისე იყო მოხარატებული, თითქოს ფირუზისა და მარგალიტის თვალები ყოფილიყო ზედ მიმობნეული.

გარეშამო მყუდრო სიჩუმე იდგა. მსუბუქი, ფრთხილი, რომელიც ყოველ ჩქამზე შველის ნუკრივით შეკრთებოდა ხოლმე, ყურების დაცქვეტით მიმოიხედავდა და ისევ გაყუჩდებოდა სულის განაბვით. თითქოს ანდროს ყარაულობდა, თითქოს ანდროს ძილს უალერსებდა.

ანდროს მართლა შვება რამ მისცემოდა ძილში. ფერი შესცვლოდა: ლოყები ოდნავ შეწითლებოდა და გარემოს მშვიდი იერი სახის გამომეტყველებაში შექსოვოდა. აკვანში ჩაკრულ ჩვილ ბავშს დამსგავსებოდა. თითქოს უკანასკნელი დღეების მისი ტანჯვა ზღაპარი ყოფილიყო და ბედისწერის შეუბრალებელი დაყვავება გამანადგურებელი ფორიაქით არ შეჭრილიყო მის შეგნებაში.

არსენამ ერთხელ კიდევ შეათვალიერა მიდამო. მერე ისევ ანდროსთან დაბრუნდა და თავთან დაუჯდა.

სახეზე რომ დახედა, გაკვირვებას მიეცა, თითქოს ვერ იცნო მეგობარი. გაუხარდა, რომ უჩინარი ძარღვი კანქვეშ ალარ უცახცახებდა ანდროს და ამასწინად საშიშად ამღვრეული გამომეტყველება სრულად დამშვიდებოდა.

— გაუვლია!—გაიფიქრა კმაყოფილებით. მერე თავი მაღლა ასწია და მახვილივით მჭრელი თვალები ოთხივ კუთხით ტყის ტატანს შეავლო.

— ჰეე, არავინ იფიქრო, დრო დამიდგაო და... აქა ვართ!!

. . .

ღამეა.

ტყის პირად ოთხი ლანდი სდგას:

ანდრო გულამოსკვნით მტირალ მამიდას ეთხოვება და მის თავს არსენასა და იონას აბარებს.

— ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, მამიდა. მალე დავბრუნდები. ჩემს [illegible] არსენა და იონა ამუშავებენ. ლომას და ნიშასაც მოუვლიან. ყანებს მიხედავენ... შენც საზრდო არ მიგაკლდება.

პატარა ხურჯინი მხარზე აქვს გადაგდებული. უხანჯლოა. ვაშლის ხის ჯოხი-ღა უჭირავს ხელში. გვერდში არსენა და იონა ამოდგომიან.

— თუ ვინმემ გკითხოს, უთხარი, მის ჭკუაზე დადისთქვა, მე არა ვიცი-რა თქვა...

და დაჩუმდება.

მამიდას სლოკინი ახრჩობს.

მერე უცებ მედგრად გაისმება:

— მშვიდობით!

და სამი მეგობრის ლანდი ერთდროულად მოსწყდება ტყის კალთას.

ანდროს უკანასკნელ სიტყვას კი სივრცის უჩინარი მავთულები გაიტა-ცებენ, ტყის სიღრმისკენ გაათამაშებენ და შორს უფსკრულში გადასტყორცნიან.

კვნესა შეარხევს ჰაერს.

გარემოს გული ჩაეთუთქება.

• • •

კარგა დიდი მანძილი ჰქონდათ გასავლელი მეგობრებს. გადაეწყვიტათ, ყოველი ხიფათის თავიდან ასაცილებლად მახლობელ სადგურისათვის გვერდი აევლოთ, და ანდრო მეორე სადგურზე ჩაესვათ ფოთის მატარებელში.

ხმის ამოუღებლად, ფრთხილად მიდიოდენ:

წინ არსენა, ცოტა დაშორებით—ანდრო, და შემდეგ კი იონა.

IV

დიდი რეაქციის თარეში იდგა საქართველოში...—

სამხედრო წესები. საველე სასამართლოები. სახრჩობელები. ეკზეკუციები. მასიური გადასახლება. ხვრეტა. დარბევა.

აქრობდენ 1905 წლის რევოლიუციის ცეცხლს.

მაგრამ ხალხი მაინც არ ნებდებოდა, ბორგავდა. შფოთს განაგრძობდა.

ბევრი შეხიზნებოდა ტყესა და მთებს. უმთავრესად წითელრაზმელები. პროფესიონალ რევოლიუციონერებს და პარტიულ მუშებს კიდევ ქალაქებში გაეჩინათ საიდუმლო ბინები. არ სცხრებოდენ.

მასების მაგიერ ბრძოლას ახლა ესენი აწარმოებდენ.

იყო ტეროორი და ექსპროპრიაცია.

თავდაპირველად ამ ბრძოლას დისციპლინის უღელი ედგა. მიზანშეწონ-ლების აზრი ჰქონდა. „გამოსვლების“ სადავე პარტიებს ეჭირათ ხელთ.

მაგრამ გამარჯვებული რეაქცია ფართო შემოტევას აწარმოებდა. გაშლილი ფრონტით მოდიოდა.

თანდათან შეიზღუდა რევოლიუციონური პარტიების გავლენის ფარგალი

და ორგანიზაციული კავშირის თოკიც პარტიათა, ჯგუფთა და ცალკე პირთა შორის დამოკლდა.

მალე დემორალიზაციამაც იჩინა თავი.

დაიწყო „დამოუკიდებელი" ექსპროპიაციები.

მერე გაჩნდნენ ვილაც-ვილაცეები, რომელთაც შემოიღეს ~~[illegible]~~ წერილების წერა და ფულის მუქარით მოთხოვნა.

გახშირდა ვაჭრების გატაცება ტყეში და მათი დაბეგვრა, და სხვა ათასი უწესობა.

მთავრობა პოლიტიკურ პარტიებს აბრალებდა ამ ამბებს. პარტიები კიდევ —მთავრობას.

ანარქია იყო გამეფებული.

. . .

ანდრო ქარიგაძე მშვიდობით ჩავიდა ფოთს.

მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული მოსალოდნელი ხიფათი როგორც გზაზე ისე ქალაქშიც, სანამ არჩილამდე მიაღწევდა.

ორს რასმე ამყარებდა იმედს: ბედს—ფარულად, და აშკარად კი—პასპორტს და მოგზაურობის ლეგალურ მიზანს.

ეშინოდა არჩილთან მისვლამდე არ ჩავარდნოდა ყანდარმებს, მერე კი, მისი აზრით, არაფერი გაუჭირდებოდა.

ზედმიწევნით გაეზეპირებია თავისი ვინაობა სანდროს პასპორტის მიხედვით. პასუხიც დაელაგებინა გუნებაში იმ შემთხვევისათვის, თუ ვინმე შეეკითხებოდა სოფლიდან წამოსვლის მიზეზს.

იგი ალექსანდრე, იგივე სანდრო, როსტომის ძე გერგაძე იყო, ფოთელი მუშის, ერასტო გერგაძის, ბიძაშვილი და ოჯახური საქმეების გამო ბიძასთან მიემგზავრებოდა სასწრაფო დავალებით.—ამ მხრით ანდროს თამამად ეჭირა თავი: თუ ვინმე იჭვს შეიტანდა მის ჩვენებაში, სულ ადვილად გამოირკვეოდა, რომ ფოთში მართლა ცხოვრობდა ერასტო გერგაძე, რომელიც, რა თქმა უნდა, ყოველთვის დაადასტურებდა, რომ სანდრო მისი მკვიდრი ბიძაშვილი იყო.

მზე ჩასულიყო და საღამოს ბინდი ნისლად დასწოლოდა ქალაქს, როცა ანდრო თავისი პატარა ხურჯინით მხარზე და ჯოხით ხელში ფოთის სადგურიდან გამოვიდა და ჩამოსულ ხალხში გარეული ქალაქისკენ გაემართა.

პირველი ხიდის ყურესთან შესდგა. დაიწინაურა ჩამოსულები. მერე გაიხედ-გამოიხედა გარეშამო და რიონის მარჯვენა ნაპირს გაჰყვა აუჩქარებლად.—ნავთსადგურის მიმართულებით გზას გაუდგა.

ანდრო ორჯერ ყოფილა ფოთში და ორჯერვე ამ ქუჩით უვლია ერასტოს ბინისკენ. კარგად იცნობდა ფოთის ამ კუთხეს.

ერასტო გერგაძეს მუშების უბანში ჰქონდა დაქირავებული ორთვალიანი პატარა ხის სახლი.

ეს უბანი ზედ ნავთსადგურს ეკვროდა იმ მხრით, სადაც საზღვარგარეთელი დიდი გემები სდგებიან და შავიქვით იტვირთებიან. იგი პატარა და ღარიბ სოფელს მოჰგავდა.—საქათმეებივით წვრილ ბოძებზე შემდგარი სახლები, ვიწ-

რო სარკმლიანები, შეძარცული ყავრის სახურავებითა და ხავსაკიდებული კედლებით. ღობეშენგრეული უსწორმასწორო ეზოები ჰაერში შეყირავებული ქის საქაჩავებით. ვიწრო ბრუნდი შუკები და მათ გასწრივ გვერდებშელეწილი ქიშკრის სახის კარები.

უბანი განსაკუთრებულ ცხოვრებას ატარებდა. მისი მცხოვრებნი მზეს-დღის განმავლობაში სამუშაოზე იმყოფებოდენ, და ჩაკეტილ-ჩარაზულ სახლებში კაცის სული იშვიათად თუ მოიპოვებოდა. მიდამოც ნათხრალი სოფლის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მხოლოდ ფერდებჩაცვივნული მშიერი ძაღლები ეზოდან ეზოში დაძრწოდენ და გემების საყვირის ყოველ გაგონებაზე შუკებით ზღვისკენ გარბოდენ წვავ-წკავითა და უიმედო ღრენით.

მაგრამ შელამებისას სურათი იცვლება. მუშები შინ ბრუნდებოდენ და უბანიც გამოცოცხლდებოდა. სარკმელში სინათლე გაიბრჭყვიალებდა ⁄ მდუმარე სახლებიც ახმაურდებოდენ: დაიწყებოდა აივნების მოაჯირებზე გადმოდგომა ⁄ შავი ქვის მტვერით შემურული ხელპირის საყოველთაო ბანვა, წენგოიანი ტანსაცმელის გამოცვლა. გაძახ-გადმოძახება. მერე მისვლა-მოსვლა, ჰურის ჭამა. ზოგგან კიდევ მოგვიანოდ გაისმოდა მეგრულ-გურული კრიმანჭულიანი სიმღერები ⁄ სადღეგრძელოები.

. . .

მოაწია თუ არა ამ უბნამდის, ანდრომ მყისვე ნაცნობ შუკას მიაშურა. სამშვიდობოს ეგონა თავი და გამარჯვებულის სითამამე ეტყობოდა. ერასტოსათვის სალამიც კი პირზე ეკერა გამზადებული.

მაგრამ შუკის პირად მომაღლოდ მდგომ ერთი ჩაბნელებული სახლის აივნიდან ვიღაცა ლანდივით გადმოიზნიქა და წელზეითა ტანი შუკისკენ უცნაურად გადმოისროლა. ასე დაუწყო მზერა უშიშრად მიმავალ ანდროს.

ეოცა ანდროს, მაგრამ გზა მაინც განაგრძო.

— ჰეი, რომელი ხარ? შესდეგ!—შეუტია უცებ უცნობმა გურულ კილოზე.

ანდრომ ვერ გაარჩია, ნამდვილად შემოუტია ლანდმა თუ ეხუმრა. მის ხმას ხუმრობის კილოც დაჰკრავდა.

შესდგა ანდრო. შეათვალიერა უცნობი, რომელიც ოჩოკოჩად მოეჩვენა ამ ღამეში.

— არავინ... მე ვარ...—მიუგო დაბნევით, ფრთხილად.

— შენ რომ ხარ, გხედავ... რას მალავ ვინაობას, ძმავ? სთქვი! ისე მიიპარები, ავი სული უნდა იყო... სად მიდიხარ?—დამხთური აღარ ხუმრობდა.

— ერასტო გერგაძესთან... რა გნებავს?—

— ასე სთქვი, შე კაი კაცო! სამეგრელოდან მოდიხარ?—შეალბილა ხმა უცნობმა, ხელის გული თვალებზე ჩამოიფარა და კიდევ დაკვირვებით შეათვალიერა ანდრო.

— დიაღ...

— რა ამბავია სოფელში? ხომ არაფერი სჭირს?

— მშვიდობა...

— მშვიდობა მოგცეს მამაზეციერმა...—ახლა ხუცური წართქმით გაიბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობმა. მერე უცებ ორი თითი პირში ჩაიდვა და ზედი-ზედ მოკრეფდ, მაგრამ მაღლა დასტვინა. შემდეგ ისევ ანდროს მოუბრუნდა.

— კაცო, შენ, იქნება, ერასტოს ბიძაშვილი ხარ?

— დიაღ...—გაუბედავად დაუდასტურა ანდრომ.

— ბიჭოს! სანდრო ხომ არ ხარ, ჩქიმი ჯიმაია? ვერ გიცანი!—

ახლა კი დაიბნა ანდრო. აღარ იცოდა, რა ეპასუხნა. მის ბედზე მახლობელმა ჭიშკარმა შეიჭრიალა და ერასტოს ხმაც გაისმა:

— სამსონა ხარ? რამ დაგაყენა სტვენის გუნებაზე? შუა შუკაზე გამოვიდა და ანდროსკენ წამოვიდა.

— სტუმარი ჩამოგვიდა... აბა, თუ იცნობ? მე კი ვერ ვიცანი... უცხო მეგონა და არ გამოუშვი.—უთხრა აივნიდან ერასტოს სამსონამ.

— ანდრო?! საიდან, ბიჭო!—მიახლოვებისთანავე იცნო ერასტომ ანდრო. გაუხარდა. მვიდა. ხელი ჩამოართვა. გადაკოცნა.—რა ამბავია? ხომ არა სჭირს რა?

— არა... სანახავად ჩამოველი.

— მე კი სანდრო მეგონა! რამდენი ბიძაშვილი გყოლია, შენ ჩემო ბიძია! —ჩაურთო სამსონამ გაკვირვებით ერასტოს სატყვაში.

— მაშ შენ რა გეგონა? გერგაძეებს ნუ ეხუმრები! ხუმრული კვნესით ესროლა მას ერასტომ, ხელი ხელში გაუყარა ანდროს და ბინისკენ წაიყოლია.

. . .

დაბალჭერიანი ოთახი. ბუხრის თავზე პატარა ლამპა. ბუხარში ბეუტავი ცეცხლი და ზედ ბიდგმული მაღალ ყელიანი ძველებური თუნგი. შუა ოთახში გრძელი მაგიდა, გარეშამო სამიოდე ტაბურეტი. კუთხეში, კედლის გასწვრივ, უზეწრო და უბალიშო ლეიბ-საბანი გადაფენილი მოგრძო ტახტი.

ანდრო თვალის ერთი მოსმით შეათვალიერებს ერასტოს ნაცნობ ოთახს, ხურჯინს ჩამოიხსნის და კუთხეში მიაყუდებს.

— დაჯექი, ანდრო... მიაბმე ჩვენი სოფლის ამბავი... როგორ არიან?—ანდრო ჩუმად ჩამოჯდება სკამზე. რაღაც გარინდულია და ხმას ვერ იღებს. ხოლო ზედმეტი ბარგივით ღიმილი კი შერჩენია სახეზე.

— რამ გაგაჩუმა ასე, ანდრო? იმ გურულს ხომ არ შეუშინებიხარ?—

ანდრო შეაგვიანებს პასუხს.

—არა... შემაჩერა და...

— ამხანაგია... სანდრო ჰგონებიხარ, ალბად.

ანდრო უცებ წამოდგება. უხერხულად მიიხედ-მოიხედავს. ბორძიკით დაიწყებს:

— ერასტო... სანდროს სახელს მე ვატარებ... მისი პასპორტი მაქვს... და ვითომ შენთან ჩამოველი... სანდრო დამიძახე.

— ჰოო... ასე გაქვს საქმე? კარგი და პატიოსანი... მერე რა ვუყოთ, შე კაცო... დღეს ყველა ასე სცხოვრობს. ამან ჩაგიფიქრა?... მაშ, ჩემო სანდრო, ახლა მაინც მიამბე რამე...

ამ დროს შეუმჩნევლად ანდროს პირდაპირ კედლის კარი გაიღება და გა-

ბოლებული ჰაპიროსით პირში, თავზე გიდელივით ჩამოცმული [illegible], ბომალლო თხელტანიანი კაცი კართან აეტუზება.

თვალის შეევლებისთანავე იცნობს მას ანდრო. აენთება. [illegible] ეკარდება. გაოცდება.

მის წინ მისი საყვარელი არჩილი სდგას და სახეში მოლიმარი შესცქერის.

უმწეო თვალებით შეხედავს ანდრო ერასტოს.

„ნუ თუ მართლა არჩილია?“

— ვერ მიცანი, ანდრო?—ეტყვის ბოლოს არჩილი და ჩამოსართმევად ხელს გაუწოდებს. ანდრო კი ბავშვივით გადაეხვევა.

— ყოჩაღ, ჩემო ანდრო... ძალიან მიხარია შენი ნახვა... არ მოგელოდი...

მერე ერასტოს მიუბრუნდება.

— მე ჯერ ნიკო მეგონა... ხმა რომ გავიგონე, გამიკვირდა. სად ნახე?

— მეც მეგონა, ნიკო იყო... სამსონამაც ისეთი ნიშანი მოგვცა. გავიხედე: ანდრო... უკაცრავად... ეს სანდრო კი შემრჩა ხელში.

— ეს რა ამბავია, ანდრო?.. ხომ არ იმალები, სახელი რომ გამოგიცვლია...

ანდრო მხოლოდ თავს დაუქნევს დასტურის ნიშნად.

— ჰოჰო... ემატოს ჩვენს ოჯახს... აბა მითხარი, რაშია საქმე?—არჩილი სკამს მოსწევს. ანდროს გვერდით დასდგამს.

— მოჰყევი შენი თავგადასავალი...

დაჯდება. ანდროს გვერდით მოსვამს.

არ ელოდა ანდრო, რომ არჩილს ერასტოსთან ნახავდა. მოულოდნელი გახარებისაგან ენა პირში ვერ მოებრუნებია.

მაგრამ როგორც იყო უამბო მეგობრებს თავგადასავალი. ხოლო, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ: პროკლამაციების ამბავი და მასთან დაკავშირებული მისი გაჩხრეკა და დაპატიმრების განზრახვა.

— მე ვყოფილვარ დამნაშავე!—დააბოლავა მისი სიტყვა არჩილმა.—თუმცა არ ვნაღვლობ სრულიად. შენც ნუ ინაღვლებ, ჩემო ანდრო: ვინც ვარგა, დღეს ყველა ამ ყოფაშია... შენ რას იტყვი, ერასტ: საჭირო იყო ხომ აქ ანდრო?

— რა საკითხავია!.. რომ არ ჩამოსულიყო, უნდა დაგვებარებინა...

შეაქებენ ანდროს. მიუალერსებენ.

განსაკუთრებით არჩილი ეფერება. ესიყვარულება.

— ჯავრი ნუ გაქვს: ერთად ვიქნებით. ერთად ვიმუშავებთ... ადრე თუ გვიან გამარჯვება ჩვენია, ეს იცოდე.—ეტყვის და წასაქეზებლად ლოყაზე ხელს მიუთათუნებს.

ზღვისფერი თვალები აქვს არჩილს, მეოცნებე. ბორბ სახეზე სინათლე უკრთის და მოსიყვარულე იერი უთამაშებს. ჯადოიანი მზერა აქვს. ხმა-გულითადი, დაუსრულებლად თავაზიანი.—სულ არა ჰგავს მებრძოლს.

„ამას კი ყველაფერს გაუმხელ“, ფიქრობს თავისთვის ანდრო.—„არაფერს დავუფარავ“.—

ამისგან გულის ტვირთი უმსუბუქდება. შვებას რასმე იგრძნობს. თამამად იწყებს საუბარს.

არჩილს ახლა სოფლის ამბავი აინტერესებს. ნათესავებს ეკითხება. მეზობლებს. მახლობლებს. შორეულებსაც.

ამასობაში ერასტო ჩაის დაამზადებს.

მაგიდას მოუსხდებიან.

აე'მლებათ მოგონებანი: 1905 წლის ისტორია, თავგადასავალი, გამარჯვება. დამარცხება.

ბოლოს არჩილი შეპარვით ვარდოს ამბავსაც ჰკითხავს ანდროს.

უცებ შეწითლდება ანდრო. თვალებს დაჰხრის.

— არ ვიცი... დიდი ხანია არ მინახავს!

არჩილს არ გამოეპარება ანდროს ქურდული ცხერხულობა.

— აფხაზურ ჩვეულებას ხომ არ მისდევ, ანდრო? ჯერ არ შეგირთავს ის ქალი, და რას ემართლები?—

მაგრამ მეორე წინადადებაზეც შეიცვლის ხუმრულ კილოს.—შეამჩნევს, რომ ანდრო ამ საგანზე საუბრისთვის არ არის განწყობილი.

„ალბად ერთმანეთს ეპუტეებიან, ჩემი და ცაცას არ იყოს“, გაიფიქრებს. „საკვირველია, რომ ეს სიყვარული ყველგან ერთნაირია“.—და საკუთარი თავისადმი მიმართული ირონიული ღიმილი სახეზე აეკვრება.

. . .

იმ საღამოს ერასტოს ბინაზე არჩილს საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა დანიშნული. მასთან ძველი პარტიული მუშა უნდა მოსულიყო, ცნობილი კონსპირატორი—ნიკო. მაგრამ აგვიანებდა.

ანდრომ ერთხანს სულაც დაავიწყა არჩილს ეს პაემანი. ძალიან მოგვიანოდ გაახსენდა, როცა ბავშობის მეგობართან საუბრით გული მოიჯერა.

— მართლა, სად არის ეს ნიკო ამდენხანს?—გახსენებისთანავე ჰკითხა მან ერასტოს.—ახალი ხომ არაფერი შეგიტყვია მათი საქმისა?

— ახალი არაფერი... მზადებაში არიან.

— ნეტავი, გადაიფიქრებდენ!.. ა? შენ რას ფიქრობ: ძალიან საეჭვოთია მათი განზრახვა!—მერე ანდროს გადახედა, შეუცინა.—ანდროსთან ყველაფერი ითქმის... ესეც დიდი მესაიდუმლეა... ხო და, შენი არ ვიცი, ერასტო, მე კი წინააღმდეგი ვარ მაგ საქმისა... კაცო, ბოლშევიკებს აქ ორგანიზაცია არ აქვთ და ჩვენს ხარჯზე უნდათ ფონს გასვლა... რა ხალხია, არ ვიცი, სწორე ვითხრა. ველარ ვეგუები ამ ბოლო დროს რაღაც... დაეჩემებიათ, გინდათ თუ არა, უნდა მოხდეს ექსპროპრიაციაო... იმას კი არ უწევენ ანგარიშს, რომ ამის დრო არ არის... ესეც არ იყოს, დიდი უაზრობა გამოდის...

— მგონი, სამსონასაც უპირობენ გადაბირებას. ვაჟკაცი არისო... ისიც არ არის წინააღმდეგი, როგორც ვატყობ...

— წარმოიდგინე' ჩვენს ხალხს ნამდვილი ყაჩაღური ბუნება აქვს!

— ფული იქნება, და მუშაობასაც უფრო გავაჩაღებთო...

— ჰე... ეს დაბლუპველი გზაა... პარტიის ღალატია!

— რაც კი ბრძოლის დროს მტერს ასუსტებს, ყველაფერი მეხალებია.

— ეს კი ჩვენ გვასუსტებს და არა მტერს! რამდენი მსხვერპლი სჭირია, სარგებლობა კი არაფერი მოაქვს. პირიქით რყვნის ხალხს... ჩვენი ბოლშევიკური ბოლ-ლიუციებიც ამას აღნიშნავენ. არა, მე არ მივცემ ნებას, ჩვენს რაიონში ექსპროპრიაცია მოახდინონ!.. შეუძლებელია! — ცხარობდა არჩილი და კუთხიდან კუთხეში დადიოდა პაპიროსის განუწყვეტელი ბოლებით.

ანდრო კი სმენად იყო გადაქცეული. არჩილის გაცხარების მიზეზი მაინცა ღ მაინც კარგად ვერ გაერკვია, ხოლო კი მიმხდარიყო, რომ საკითხი დიდად საიდუმლო საქმეს შეეხებოდა. მალულ სიხარულს განიცდიდა, რომ ასე ახლოს იმყოფებოდა არჩილთან, და პარტიულ საიდუმლოებას მის წინაშე არ ფარავდენ.

მაგრამ მალე შუკიდან ზედიზედ ორჯელ თავისებური სტვენა გაისმება, და მეგობრები ყურების ცქვეტით ზეზე წამოვარდებიან. ერასტო კარისკენ გაეშურება.

— სამსონას ნიშანია! ეს კი ნიკოა, ალბად!

— სხვა არავინ იყოს, იცოდე! — მიაძახებს მას არჩილი და კარამდის მიჰყვება. მიაყურებს ერთხანს და მერე ზედ კართან მოკლედ გაივლის — გამოივლის. აღელვებას ვერ მალავს. სახეზე ოდნავ შეფითრდება.

ბოლოს, თითქოს პირველად შემჩნიოს ანდრო, უცებ შესდგება მის წინ და ნაძალადევი მოფერებით გაულიმებს:

— შენ ნუ გეშინია, ანდრო... ამხანაგია...

— ხელს თუ შეგიშლი, წავალ და მერე...—საიდუმლო შიშის გამოხატვით დაიწყებს ანდრო.

— არა... შენ აქ მოისვენებ... ნუ მოგერიდება... აი ლოგინი... დაწექი. დაიძინე. ნამგზავრი ხარ... თუ რასმე ყური მოჰკრა, გულს ჩაიმარხე შენებურად...— ეტყვის მას არჩილი. ერთხელ კიდევ მიუალერსებს შეხედვით და იმავე კარით გადის, რომელითაც ამის წინად შემოვიდა.

V

ნიკოს ორი ამხანაგი მოჰყვა თან. ერთი მათგანი პარტიული იყო, მიხელა-იმერელი, რომელსაც არჩილიც კარგად იცნობდა. მეორეს კი პირველად ხედავდა. არ ესიამოვნა ამათი მოსვლა. ეუცხოვა ეს მეორე, უცნობი. „სხვა“ წრის კაცად მოეჩვენა, — შუშის იერი არ ჰქონდა, არც პარტიული ამხანაგის დალი აჩნდა: ბედნიერი შემთხვევის მაძიებელს მიამსგავსა. არა ერთი და ორი ენახა ასეთი ამყოლი. ეწყინა. გუნება შეეცვალა.

ნიკოს მოსვლამდე ფიქრობდა, შეკამათებოდა მას ამხანაგურად და ამნაირად დაერწმუნებინა, რომ მისი განზრახვა დაუშვებელი იყო პარტიული ინტერესის თვალსაზრისით. ახლა კი მის საიდუმლო ოთახში ამ უცხოს შემოსვლამ ისე იმოქმედა მასზე, რომ წინასწარ გადასწყვიტა, უკამათოდ უარეყო ნიკოს წინადადება და სიტყვა არ გაეგრძელებინა პაემანის საგნის შესახებ.

მაგრამ ნიკომ ჩვეულებრივი საუბრით დაიწყო. მოუშინაურა ახალი გაცნობილი და შემდეგ მოსვლის მიზანი განუმარტა.

არჩილი ძალაუნებურად მიჰყვა.

მალე დიდი კამათი შეექმნათ.

კამათის საგანი იყო, ჭალადიდის რაიონში, პატარა [illegible] ჭალადიდის შუა, საფოსტო მატარებელზე თავდასხმა და სახაზინო [illegible] ტაცება.

ნიკო ამტკიცებდა, რომ ეს ექსპროპრიაცია აუცილებელი იყო და პარტიისათვის მრავალი მხრით მნიშვნელოვანი. მისი აზრით ეს აქტი თავისთავად აგიტაცია იქნებოდა, რომელიც ხალხს ერთხელ კიდევ მოაგონებდა რევოლიუციონერების სიძლიერეს. გარდა ამისა ის დეზორგანიზაციასაც შეიტანდა მტრის ბანაკში და პარტიასაც ქონებრივად გააძლიერებდა, რაც ასე საჭირო იყო არალეგალური მუშაობის საწარმოებლად.

ნიკო დაბალი, მაგრამ მკვრივად შეკრული ტანის კაცი იყო. მკერდბურთიანი. შეუპოვარი სანახაობა ჰქონდა: სქელი, გაერთიანებული წარბები. ლურსმანდ მომზირალი თვალები, სახნისისებური ცხვირის ჩრდილში მიმალულები ყურსალებივით. მოურიდებელი ლაპარაკი სჩვეოდა. ხმას ბრძანების კილოს ატანდა და თავისებურს, ხაიგრძლივ პარტიულ მუშაობაში შეძენილ რიხს.

პარტიული სკოლა ბათომში ჰქონდა გავლილი. თავიდანვე ტეროროისტობდა. ფრაქციული განხეთქილების ჩამოვარდნის შემდეგ ქუთაისის კომიტეტში მუშაობდა. ახლა ექსპროპრიაციების გაბედულ მომწყობათ ითვლებოდა და რ. ს. დ. მ. პ. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ერთერთი ბურჯთაგანი იყო.

ამ საღამოსაც ისეთი იყო, როგორც ყოველთვის: შეუპოვარი და მოურიდებელი. მოითხოვდა, რათა ფოთის ორგანიზაციას აქტიური მონაწილეობა მიეღო განზრახულ ექსპროპრიაციაში.

— ამ შემთხვევაში მე შენი წისიალმდეგი ვარ პრინციპიალურად, ამხანაგო ნიკო.—ჩამოართვა მას არჩილმა სიტყვა, როცა მოუსმინა.—ესეც რომ არ იყოს, უგნურება იქნებოდა ახლა ფოთში ზედმეტი რეპრესიების გამოწვევა... ძლივძლივობით აღვადგინეთ აქ ორგანიზაცია და განვაახლეთ პარტიული მუშაობა. ახლა კი შენი გეგმით ყველაფერი უნდა დაიშალოს და ისევ დაინგრეს.

— ეს რატომ, კაცო?

— ადვილი გასაგებია: რეაქციაა. საველე სასამართლოები. თვითნებობა. მოხდება თუ არა ახლოს ასეთი დიდი ექსპროპრიაცია, ნაცარტუტას აგვადენენ.

ნიკოს დამცინავი ღიმილი მოწყდა სახეზე. ამხანაგებს გადახედა. მერე ისე შეარეკა არჩილს თვალები, თითქოს საშინელი ეჭვი შეჰქონდა მის გულწრფელობაში.

— ამხანაგო, მე არ ვიცი, რას აკეთებს აქ თქვენი ორგანიზაცია და რისი რევოლიუციონერები ხართ, თუ ბრძოლის დროს აქტიურ მოქმედებას გაურბიხართ. ნაცარტუტას აგვადენენო... ორგამიზაცია ორგანიზაციისათვის კი არ უნდა არსებობდეს, არამედ ბრძოლისათვის, ამხანაგო არჩილ.

— კი, მაგრამ ბრძოლაცაა და ბრძოლაც.

— ჰე, სხვანაირად მსჯელობ რალაც... ასე ლიკვიდატორები ლაპარაკობენ, კაცო.

— უკაცრავად. ასე ლაპარაკობს „ერესდეერპე".

— ჩვენც ვიცით, რას ლაპარაკობს ჩენი პარტია... ამას მე ახლა ფოთელი ამხანაგები ვერ მასწავლიან. თუმცა ის კი არ მაქვს შენთან სადარჯებლად, თუ არ მოხდეს ეს აქტი... ეს უკვე გადაწყვეტილია და მე სრული მონდობილობა ქუთაისიდან მაქვს. აქ მხოლოდ ის არის გამოსარკვევი, მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში ფოთის ორგანიზაცია თუ არა?

— თუ საკითხი ასე სდგას, მე შემიძლია მოკლედ გიპასუხო: არა.

— ეს პირადად შენი პასუხია, თუ...

— ჩემიც და იმ ორგანიზაციისაც, რომელსაც მე ამ ჟამად ვხელმძღვანელობ—იგი სავსებით გამოხატავს პარტიის შეხედულებას ამ საგანზე.

— მეეჭვება...

— გარწმუნებ, რომ ასეა.

— თქვენ ამახინჯებთ პარტიის აზრს. მე ამას აშკარად ვამბობ. აქაო და ბრძოლაზე ხელს ვიღებთ და ამას პარტია გვიკარნახებსო... სირცხვილია, სხვა არა იყოს... პარტიის თქვენ არაფერი გცხიათ!!

— თქვენ კი, ამხანაგო, ამ საკითხის არაფერი გესმისთ!

აქ ნიკო უცებ გაუჩუმდა არჩილს. ზიზღით შეათვალიერა თავიდან ბოლომდის და სახის შეუცვლელად გიჟივით გადიხარხარა.

— გესმისთ, ხალხო, ეს კაცი რას ამბობს?—გაოცებით მიმართა მან მასთან მოსულებს.—და ასეთი კაცი ათასზე მეტი მუშის ხელმძღვანელად გვევლინება! ჩვენ გარეშე მტერს ვებრძვით და შიგნით კი უარესი გვყოლია!..—მერე ისევ არჩილს მიუბრუნდა.—ამხანაგო, ჩვენ კი, მუშებს, გვგონია, რომ მტერს ტერორზე ტერორითვე უნდა გაეცეს პასუხი და ინტელიგენტურ ქანაობასა და წაჯექ-უკუჯექობას პარტიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს! მე გეუბნებით თქვენ იმ მუშების აზრს, რომელთა ხელმძღვანელად თავი მოგაქვსთ... თქვენ, ინტელიგენტები, ჯერ კიდევ შორს ხართ მუშებისაგან! მაშ! ჩვენი სისხლი იღვრება, და თქვენ კი წამომჯდარხართ აქ კაბინეტებში და რაღაცას მიედებ-მოედებით... პროგრამაო. პრინციპიო. გვაშინებთ! კმარა. გადმოგვეცით სადავეები, ბატონებო, და იცოდეთ, რომ რევოლიუცია ჯერ კიდევ არ დამარცხებულა.

ნიკომ კარგად იცოდა ნიშნის აღება. „ინტელიგენტი“ და „ინტელიგენტური ქანაობა“ უდიდეს ბრალდებათ ითვლებოდა პარტიულ წრეებში.

შეწუხდა არჩილი. ერთხანს თითქოს საპასუხო არაფერი ჰქონდა. მერე უცებ წამოწითლდა სახეზე. წამოდგა და ჩვეულებრივად მოკლედ გაიარ-გამოიარა პატარა ოთახში.

— რა საჭიროა ჩემთან ასე ლაპარაკი, ნიკო?—მოულოდნელი სილბილით დაიწყო მან.—პირველად ხომ არ მხედავ, შე კაი კაცო. დემაგოგიას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ვინც მიცნობს, მან ჩემი „ქანაობის“ ამბავიც უნდა იცოდეს. არ მგონია, რომ შენც არ იცნობდე ჩემს მუშაობას. და, განა იმის უფლება არ მაქვს მე, რომ პარტიის სახელით გითხრა: ასეთი ტაქტიკა არ არის ჩვენი პარტიის ტაქტიკა. ჩვენ მასიური, პროლეტარული, მუშათა პარტია ვართ და არა შეთქმულები. ამიტომ შეუწყნარებელია ის, რასაც შენ მეუბნები. ამბობ, ქუთაისმა მომცა მონდობილებაო...

ᲠᲔᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— დიალაც. ქუთაისის კომიტეტმა...

— რა ვუყოთ მერე. ქუთაისის კომიტეტი შემცდარა.

— იქნება, იმიტომ რომ ის ბალშევიკურია.

— მე ეს არ მითქვამს. ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში იგი პარტიულ გეზს ღალატობს...

— უკაცრავად, ამხანაგო, უნდა გაგაწყვეტინო. მე აქ ფრაქციულ კამათისათვის არ მოვსულვარ... სჩანს, რომ თქვენ ფრაქციით ხართ დაბრმავებული და ფოთშიც ცალმხრივ პოლიტიკას აწარმოვებთ.

— სრულიადაც არა.

— ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს. აკი ახლა სთქვი, რომ ქუთაისელი ამხანაგები პარტიას ღალატობენო... უნდა გითხრა, რომ პირადად შენგან ამას არ მოველოდი, ამხანაგო არჩილ. ცხადია, იმდენად ხარ ამ საქმის წინააღმდეგი, რამდენადაც მისი ინიციატივა ჩვენ, ბალშევიკებს, გვეკუთვნის. მაშ, რა არის ეს, თუ არა ფრაქციული ბრძოლა? ამ ხაზით თქვენ იქამდისაც მიხვალთ, რომ რევოლიუციასაც კი ეტყვით უარს, რაკი ის ჩვენ გვწამს.

— ჰეე, შენ დემაგოგიას არ ეშვები, ნიკო. ეს ხერხი ჩემთან ვერ გასჭრის! —გაცხარდა ახლა არჩილიც,—მე გეუბნები, პრინციპიალურად წინააღმდეგი ვარ მეთქი. ფრაქცია კი აქ არაფერ შუაშია. თუ მართალი გინდა, მე არც ბოლშევიკი ვარ და არც მენშევიკი...

— ვიცით, ვიცით...—დიდმნიშვნელოვანი ორაზროვნებით გააწყვეტინა ნიკომ.

— რა იცით, კაცო? თქვენ პარტიის დეზორგანიზაციას ახდენთ და კიდევ პირიქით მედავები... რა უფლებით, ნეტავ ვიცოდე!

ახლა ნიკოც წამოდგა. ოფიციალური პოზა მიიღო და რიხით განაცხადა:

— თქვენ შეგიძლიათ ეს საკითხი საოლქო კომიტეტში გადაიტანოთ, ამხანაგო, ხოლო რაც შეეხება საქმეს, იგი უთუოდ უნდა შესრულდეს. რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ მასში მონაწილეობა არ მიიღოთ. მორჩა და გათავდა. მეტი სალაპარაკო თქვენთან არ მაქვს. მაგრამ ერთიც გულახდილათ კი უნდა გითხრა... რაც უნდა იყოს, ერთად გვიმუშავნია: თქვენისთანებს პარტიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს... ნუ გეწყინება!

სთქვა და გასავალ კარებს მიაშურა.

— აბა, ამხანაგებო, ნულარ ვაყოვნებთ, წავიდეთ.—მოუბრუნდა იგი მასთან მისულებს და კართან შესდგა. ისინიც უმალვე წამოიშალნენ.

— არ შემიძლია დაგაკავოთ.—მიმართა ნიკოს თავშეკავებით არჩილმა.— ამ ამბავს ხვალვე ჩავიტან ქუთაისში. საინტერესოა, მართლა ასე მსჯელობენ ქუთაისელი ამხანაგები თუ არა...

— მარტო ამისათვის თუ აპირებ წასვლას, ნუ ირჯები: შემიძლია დაგარწმუნო, რომ ასეა საქმე.

— არა, მაინც უნდა წავსულვიყავი... სხვა საქმეც ბევრია. გარწმუნებს...

— ხო, უთუოდ საჭიროა ფოთის ჭაობის იქითაც გაიხედოს კაცმა, რომ არ ჩამორჩეს!—გესლით ესროლა ნიკომ და გავიდა. მისი ამხანაგებიც მიჰყვნენ.

ხოლო ამათ ნიშნად გამოსალმებისა გასვლისას სახე ირიბად მიიქცევს და თავი ასე დაუქნიეს არჩილს. ამანაც ასევე უპასუხა.

— ერასტო, გააცილე!—მიმართა ნაძალადევად დამშვიდებული ხმით არჩილმა ერასტოს, რომელიც მთელი დავის განმავლობაში კუთხეში იდგა გაქვავებულივით და თავდახრილი ისმენდა კამათს.

ნიკოს წასვლის შემდეგ არჩილი ერთხანს კიდევ დარჩა თავის პატარა ოთახში: ბრაზს იმორჩილებდა. მერე ჩვეულებრივი პოზა მიიღო: ცალი ხელი ზურგს უკან ქამარზე ჩამოიკიდა, ცალით კი გაბოლებული პაპაროსი ტუჩებთან გაათამაშა და ამ სახით რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში.

— მოდი და იმუშავე ამისთანა ხალხში!—სთქვა ბოლოს და ერასტოს ოთახში გავიდა.

სმენად გადაქცეული ანდრო კი ზედ კართან მიმდგარიყო და ისე აბრიალებდა თვალებს თითქოს, მთელ ოთახს ანათებდა.

— შენ კიდევ არ დაგიძინია, ანდრო?—ჰკითხა მას არჩილმა შესვლისთანავე.

— არა...

— რატომ მერე? ხომ არაფერი გინდა?

— მე რა უნდა მინდოდეს?—და ანდრომ თვალებში ჩახედა არჩილს. არჩილმა შეამჩნია, რომ მისი მეგობარი მასზე ნაკლებ არ იყო აღელვებული. მოეწონა. უცებ მოულბა გული.

— გაგაჯავრა იმ კაცმა, ანდრო?... არა უშავს, ამხანაგია...—გალიმებით უთხრა არჩილმა.

— თუ ამხანაგია, რატომ არ გიჯერის?

— შე კაცო, განა არ იცი, რომ კამათის დროს ეს ხშირად ხდება?

— მაგრამ ის ხომ ფედერალისტი არ იყო ან ნაციონალისტი...

— ჰოო... ძველ ამბებს იგონებ, არა? მოიცა ცოტა და ახალსაც ბევრს გაიგებ. შენ ჰგონია, რომ სხვა პარტიის კაცთან შეიძლება მარტო კამათი? მაგრამ ის მითხრი, ყველაფერი გესმოდა?

ანდრომ თავი დაუქნია.

— სიტყვა არსად, იცოდე!... ახლა დამშვიდდი და დაისვენე...

— ბოლშევიკები და ჩვენ ხომ ერთი პარტია ვართ?

— კი... მაგრამ ცოტა უთანხმოება გვაქვს... ამასაც მალე შეიტყობ. აქ წრე გვაქვს მოწინავეების და შენც იქ ჩაგრიცხავ. უთუოდ ბევრი უნდა იმეცადინო, იკითხო. ეს ახლა ძალიან საჭიროა... მე გიხელმძღვანელებ...

— ქუთაისში მივდივარო რომ სთქვი?

— ორი ან სამი დღით მხოლოდ. მინამ აქაური ამხანაგები გაიცანი... შენს თავს ერასტოს ჩავაბარებ...

— მარტო მიდიხარ?

— მაშ...

— რატომ? არ გეშინია, რომ დაგიჭირონ? მე წამოგყვები!

— მერე შენ რას მიშველი? არა, ჩემო კარგო ბიჭი, მე არა მიშავს. ხშირად დავდივარ: საქმე ისე გვაქვს მოწყობილი. რკინისგზელები ერთმანეთს ყველანი ჩვენს ორგანიზაციაში არიან... არხეინად იყავ, მე არა გამიჭირდება.

თვალები გაუყარეს ერთმანეთს. უალრესად სათუთმა სიყვარულმა გაირბინა მათ შორის. ორსავე, შეთანხმებულებსავათ, ბავშობის დროის მეგობრობა მოაგონდათ, ერთად გატარებული სიყრმე.

დადუმდენ ერთხანს.

ანდროს თვალები დაენამა.

— შენისთანა მეგობარი მე არ მყავს, ანდრო. — დაარღვია არჩილმა სიჩუმე.

— შენ დიდი კაცი ხარ და ნასწავლი... მე რა?

— ჰე, ნეტავი, შენად მაქცია, ანდრო! არ იცი, თუ რამდენი უბედურება მჭირს...—მაგრამ უმალვე ხმა გამოიცვალა და მოულოდნელად:—ჰო, მაოთლა, წელან ერასტოსთან გკითხე ვარდოს ამბავი... უკაცრავად... შენ ცოტა სხვანაირი კაცი ხარ, არ უნდა მეკითხა სხვასთან... ახლა კი მითხარი, როგორ არის შენი ვარდო? გიყვართ ხომ ერთმანეთი?

ანდრო დაიბნა. ვერ უპასუხა. თვალები ძირს დაჰხარა.

— ა? რაღაცას მიმალავ, იცოდე...

როცა ანდრომ თავი ასწია და არჩილს თვალები გაუსწორა, ველარ დაჰფარა საიდუმლო.

— ვარდო გაათხოვეს...—ძლივს ამოზიდა გულის სიღრმიდან და სახეზე ნერვიულმა კანკალმა გადაურბინა.

— როგორ თუ გაათხოვეს?—შეიცხადა არჩილმა.—როდის? ვისზე? რას შეუბნები, ანდრო?

— არაფერია... მერე გეტყვი... ახლა ნუ...—ხმაზე დაეტყო, რომ მეტის თქმისათვის ძალა არ შესწევდა ანდროს. მის სიტყვებში არჩილს ბედთან შერიგებულის სისუსტეც მოესმა და დამარცხებულის ფარული შურისძიების კიბილიც...

თანაგრძნობის გამოსახატად არჩილმა სიტყვა ვერ მონახა. ისღა შესძლო, რომ მძლავრად მოხვია ხელები მეგობარს და გულში ჩაიკრა.

— რა მშვენიერი სიყვარული დაულუპავსთ... რა დიდი გრძნობა დაუხრჩეიათ!..—ამბობდა ივი სადღაც მკერდის შიგნით და ასე დიდხანს ეხვეოდა ანდროს.

(გაგრძელება იქნება).

დემნა შენგელაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტფილისი

რომანი

პროლოგი

ტფილისის აპოლოგია

საქართველოს დედაქალაქი—ტფილისი.

იყო: მცხეთა.

მცხეთაში ბატონობდენ მესხები, ტფილისში—ტაბალები.

„ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისსა და საფუძველი ოდენ დაედვა“.

მეხუთე საუკუნეში ქრ. შ. მეფემან დაჩი „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი და, ვითარ ებრძანა ვახტანგის, იგი შეიქმნა სახლად სამეუფოდ“, და ასე: „ტფილისს კაცნი დასხდებოდეს“.

„მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდებოდა“.

ეს იყო...

არავის ახსოვს...

მატიანეები იბნევიან...

რით არის შესანიშნავი ტფილისი?—

უპირველეს ყოვლისა, ტფილისი დედაქალაქია საქართველოსი.

და თუ თქვენ საქართველოს რუკას დააკვირდებით, იგი ჰგავს (ალბათ, წმიდა შუშანიკის) ძუძუს თავს: ცხელ მონღოლეთიდან და ლირწ სპარსეთიდან უბერავდა ქარი ხორშაკი.

ტფილისში აწამეს აბო ტფილელი და ამ სტრიქონების დამწერს, ისევე როგორც იოანნე საბანის-ძეს, უნახავს ავლაბრის ხიდთან, ძველ საგოდებელს ქვემოდ, სადილეგოს მახლობლად, როგორ ანთია წმინდა კელაპტრები, როგორ ლოკულობენ მისი ხატის წინ დამხობილი ფეხშიშველი მოხუცი დედაკაცები და როგორ გაჭკივის მოლა შაჰ-აბასის მეჩეთიდან.

დაბახანაში ისმის ქობინების ცემა და მოდის იქიდან ნედლი ტყავის სუნი. ლილახანაში ფრიალობენ გასაშრობად გაკიდებული ლურჯი, წითელი და შავი ხამის თოფები.

სირაჯხანაში რუმბები წვანან ბაყბაყ მდევებივით და შეითანბაზარში იცოხნებიან სპარსეთიდან, ერევანზე და ბორჩალოზე გამოვლილ, [illegible] აქლემების ქარავნები: სცოხნიან გვალვას და გადმოკიდებულ [illegible] ჩამოსდით ყვითელი დუჟი.

გუგუნებს სიონის ზარი, ანჩისხატი ეხმაურება და ძველი ტფილისის უბნებში დგას: ებრაელების, ნედლი ტყავების, ოსური ყველის, დამარილებული თევზის, თუთუნის, ჩონჩორიკის, აბანოებისა და დუთმა ნესვების სუნი.

სამიკიტნოში ჰკიდია საწყალ ნიკალა ფიროსმანის ერთ თლაშოის ფასად დახატული მუშანბები: „ორთაჭალის ტურფები“ და „აღდგომის ბატკანი“.

ფეხმორთხმული თათრები ჰინით შეღებილ წვერებით სხედან ყაფაზასავით პატარა დუქნებში, წითელ ვარდიან მუცელგამობერილ ღვინის ჭიქებით დარიჩინიან ჩაის შაქრის მიკვნეტით სვამენ, სწევენ ნარგილეს და ჰყიდიან: ჰინას, ბასმას, კევს, ყვითელ კოპს, კაიმაკს, კაკილებს, ძველ პაგონებს და თვალს აყოლებენ აბანოში მიმავალ გავაგანიერ ქალებს.

იქა-აქ ახორხოტებულ ხალხში ცეცხლივით ანთია მუსულმან ქალის მოხურული ჩარსავი და აბრაზებს მზეს.

ლეკები ჰყიდიან: კავკავის ნაბდებს, ქეჩებს, თოქალთოებს, ტყაპუჩებსა და ვერცხლის ზარნიშიან ლეკურ ქამარ-ხანჯალს.

ქარვასლებში ფეხქვეშ სათელავად აფენია თუთუნ მოყრილი ფარაგანის, სინეს და თექური თვალისმომჭრელი ნოხები და საუკუნეთა გვალვით გადახვეტილ რუხ მეტეხს იცავს წითელარმიელი.

სადღაც ჩაიხანეში ისმის თარის ხმა და ვიღაც აშოღლანი მთელი დღე შლერის ისტერიულად ერთსა და იმავეს ტვინის ამომღებად და არ იცი საღ გაექცე ამ აბეზარსა და მრუშ სიტყვებს:

ჩემო გულის აზიზო,
. . . . . ბუზი გაზისო!..

იბნ-ხაუკალი „გზათა და სამეფოთა წიგნში“ 977—978 წ. წ. ამბობს:

„ტფილისი ბაბ-ულ-აბვაბზე (ე. ი. დარუბანდი) მცირეა: ირგვლივ ალიზის ორი გალავანი არტყია და გალავანს სამი ალაყაფი აქვს; ქალაქი კარგად არის ჯამაგრებული, სავსე ყოვლითა სიკეთითა და განთქმული დიდის იაფობით. სიმდიდრითა და დოვლათით იგი ფრიად აღემატება სხვა მდიდარ ქალაქებს; აბანოს წყალი უცეცხლოდ სდუღს, ქალაქი მდინარე მტკვარზეა გაშენებული. წისქვილები ტფილისში (ისე როგორც მოსულში და რაკაში ტიგრსა და ეფრატზე), ნავებზე არის გამართული“!..

ტფილისში ბევრი უცნაური ამბები ხდება და, როცა შენ სიცოცხლეში პირველად ტფილისს დაინახავ, კენჭი უნდა გადაყლაპო, იმიტომ რომ ტფილისი ავია, ტფილისმა დაცდა იცის.

ტფილისმა ჩაყლაპა ბევრი ქალაქები (ოდესლაც: მცხეთა... ახლა: ჭუთაისი). ვინ გადაეხდის სამაგიეროს!...

ის ორპირია სატევარივით, მრუში და მტრისა და მოყვრის დაუნდობელი. მას ბევრი საყვარლები ჰყოლია.

არსად არ არის ისეთი ხალხი, როგორც ტფილისში: ტფილისის მოქალაქენი, ყარაჩოხელნი,—ტფილისის ჟუჟი.

ტფილისის სიყვარულით ახურდა ოქროს ქურქიანი სპარსული ხანჯალი ვეფხი, გადმოეცლო თრიალეთის მთებს და სიკვდილი და სიყვარული იხილა ერთბაშად. ვინტოვკის ტყვიით განგმირული ჩამოატარეს ის ქართველმა გლეხებმა სათივე ურმით და ურემი მოდიოდა ისე, თითქოს ციდან ჩამოლებული ოქროს ჯავარიანი მზე მოჰქონდა.

თბილისი, თფილისი, ტფილისი, ტაბალისი...

ქალაქი ხმაურობს წისქვილებით, ბაზრებით, ძველი დანგრეული უბნებით, ბალებით, სირაჯხანით, ბანიან სახლებით, კვილეჭია გოგოები რომ გადმოეფინებიან ხოლმე შაბათ საღამოობით.

ტფილისი ჰყვავის: თეატრებით, კინოებით, ცირკებით, პროსპექტებით, სადაც ახველებენ ჭლექიანი პროსტიტუტები, ნორჩი პიონერები დადიან ღოროტოტოების ხროტინით და სახელგამთან ხეების ძირას დგანან პოეტები და პედაგოგები ჰონორარის მოლოდინში ეჯიბრებიან ერთი-მეორეს ცინიზმში და ამბობენ ძველ ანეკდოტებს.

პროსპექტზე დადის საქმის ხალხი პორტფელებით, ქალი და კაცი, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა,—და ეს ხალხი სულ სხვანაირი, სულ უცხო ჯიშის,—ვინც უწინდელ ტფილისს იცნობდა, მას ოცებს ეს: —ჯურღმულებიდან, კატორღებიდან, ციხეებიდან, ზორეულ ციმბირიდან, ქარხნებიდან, სოფლებიდან და ტყეებიდან მოვარდნილი წვიმმაგარი ხალხი.

დადიან, დაჰქრიან, დაფრინავენ.

ყველა ჩქარობს, ყველა საქმეს აკეთებს. ცხოვრება ბრუნავს წისქვილის ქვასავით და ეს ცხოვრება სდუღს აქ, ტფილისში,—პოეტები რომ დედა-ტფილისს ეძახიან.

არ არის ხსენება ძველი კალასკების, დროშკების, ეგზარხის კარეტის, ძველი მწვანე კონკები რომ დაფორთხავდენ ტფილისის ქუჩებში მაშინ, როცა ტფილისს ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა ურმულში.

საღამოობით ტფილისი ილეკება ზაჰესით, კინოებში ჰკიდიან პლაკატები. ნატა ეაჩნაძის ეშხით მიბნედილი როიალი დასტირის ესმა ფულავას ბედს, სამიკიტნოში ოხუნჯობს სერგია ერისთავი, იეთიმ გურჯი მღერის ბაიათებს და ჩარლი ჩეპლინი, სასაცილო კაცი კატელოკით, ფეხმოქცეული, გონძღორა და წამებული ვერ პოულობს თავის ადგილს ტფილისის უჩვეულო ცხოვრებაში. ის ზედმეტია და დაფორთხავს ეკრანზე ულაზათოდ, დაათრევს ფეხებს და ხალხი იხოცება სიცილით ამ უადგილო კაცის უადგილო მოქმედებით და ასე: ჩარლი ჩეპლენის მადლით გამართლებულია პლაკატის კივილი:

Сплошной смех!..
Гомерический хохот!..

შუალამით, როცა კინოები დაიხურება და ტფილისს ძილქუში დააწვება, ჩეპლინი გამოვა გარეთ, დაღლილი და წამებული გაივლის პროსპექტზე. რუსთველის

ოეატრთან შემოხვდება ნიამორიანით ყელმოღერებული მეთორმეტე საუკუნის თეთრი პოეტი და მდაბალ ქართულ სალამით გაუშლის ჩარლი ჩეპლინს მაღალ შაირით დაწერილ უკვდავ პოემის ადგილს. ჩარლი წვება [illegible] ეხვევა ვეფხის ტყავში (სცივა, საცოდავს, უბინაოსა და გარეთ დარჩენილს!), ბამბუკის ჯოხით უშვებს ცაში საპნის ბუშტებს და ფეხებზე ჰკიდია მას, ახალ ტარიელს, ეს მთვარიანი, საშუალო საუკუნეების რაპსოდიიდან ამოღებული მაღალი ღამე.

ბუკინისტების შაურიან გაცრეცილ ბროშურებიდან გამოძვრება განთქმული ავაზაკი ტატო წულუკიძე და სუფთად გაპარსული მისტერ ნატ პინკერტონი და ინგლისური ყალიონით კარტონის კაცივით დაეკიდება ცას გალურჯებულს.

და, როცა, ჯერ კიდევ ბინდებში, გამთენიის ხანს, მეეზოვეები ჰგვიან ,,ეუჩებს და ყველგან დგას მტვერი და საალიონო სიგრილე, პატარა ბიჭს „Кирпичики"-ს სტვენით მოაქვს სახამებელით სავსე ვედრო, ციდან ყურით ჩამოხსნილ ჩარლი ჩეპლინს მოათრევს, ჯერ კიდევ ლიტოგრაფიულ მურის ნედლი სუნი რომ ასდის, და აკრავს მას პლაკატის ბოძზე სახამებელით.

და მერე ასე არის ის გაკრული სამი დღე საკუთარ ჯვარზე და ეს ცემენტის სვეტი არის მისი გოლგოთა.

საქმეს რომ მორჩება, პატარა ბიჭი პონტიელ პილატესავით ხელებს იშმუშნის და ქალაქი გუგუნებს:

— ჯვარს აცვი ეგე, ჯვარს აცვი და ტატო წულუკიძე მოგვიტევე ჩვენ!..

და კაცი იგი უცხო (იმის მაგიერ რომ სასოების ცრემლი წამოვარდეს და სთქვას:

— მიუტევე, უფალო, რამეთუ არა იციან რასა იქმონენ!..—) იკრიჭება უშნოდ და ქალაქი ხარხარებს.

ნაძალადევში გუგუნებს რკინიგზის მთავარი სახელოსნოების საყვირი და მუშები მიდიან ხველებით, ნამძინარევ თვალების შმუშვნით სამუშაოდ და არღვევენ ,,ეუჩების საალიონო მყუდროებას.

საცაა მახათაზე მზეც შემოჯდება და გათენდება.

და მე ავტორი ამ სტრიქონებისა, სიხარულით ვკითხულობ ახალ პლაკატებს, უცქერ ახალ ,,ქრისტეს (თუ ახალ ტარიელს?) და მიხარია რომ მე, ასე რომ მეზარება შებინდების ხანს ჩემი უსიხარულო ოთახი, ვიშოვი სადმე სამ აბაზს და ვნახავ ამ ტაკიმასხარას და ყოველად უადგილო კაცს, ახლა რომ პლაკატზე არის გაკრული და კატელოკ მოხდილი ჰყვირის მურებით:

— ილი, ილი, ლამა საბაქთანი!.. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რისთვის დამიტევე მე!..

მე ვბრაზობ, მოთმინებიდან გამოვდივარ: რა უნდა ამ ევროპიელ ტაკიმასხარას ტფილისს რომ შესჩივის, როცა ჩვენ, მაწანწალა შარვალგამოხეული და უბედო პოეტები ვყრიეართ აქ გადაყრილ ლეკვებივით და შევჩივით ბედს, იარალის, სულს ბოროტს, ითას ვინმეებს და საშველი მაინც არ არის.

ტფილისის ირგვლივ წვანან ზურგგადატყავებული აცოხნილი აქლემები: მთაწმიდა, შავნაბადა, თელეთი, თაბორი, კოჯორი, მახათა, ლოტკის გორა და

მოხვეულ მკლავში მომწყვდეული ფუნიკულორი დგას ბავშის სათამაშოსავით და დაჰყურებს ტფილისს ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

როცა მე ავდივარ ფუნიკულორზე, მიწა მიდის სადღაც, თმაში ჩაფრენილი ცა მეწევა ზევით, დგება აქლემი და იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენიდან" ამოღებულ პატარა ალექსივით ქუდს უქნევ ტფილისს და გადავძახი:

— შვიდობით, საყვარელო დედ-მამაო!..

ყოველ ღამე დიდუბეში ნიკო ბარათაშვილი დგება საფლავიდან, გამოვლის მუშტაიდს და მიდის პლეხანოვის პროსპექტზე.

შიშით აკანკალებული პროსტიტუტები გზას უთმობენ ამ უცნაურ კოჭლ სტოლონაჩალნიკს, ერთ დროს რომ გაეორა მთელი ტფილისი და მტკვარი ჩაგდო თავის ფიქრებში.

ტფილისის ბალები ბორგავენ სათარას, ჩამჩი მელქოს, ლოპიანას, საგათნოვას და ბესიკის მუხამბაზებში.

დაყუდებული დგას დავით გურამიშვილი, ფეხმოქცეული, საპყარი და მოსთქვამს უცნაურად:

ეეო, მეეო,
ღმერთო, მიშველეო!..

ანნა ბატონიშვილის ეშხი გათრობდა შენ, ტფილისო! ჩაწექ მის ნაწნავებში და ქვრივის ლიმონების სურნელებაში ახუოდი ალერსს მოწყურებული.

იმ დროს, როცა ეს მოხდა, პოეტები იყვნენ გუბერნატორები, გენერლები, ბანკის დირექტორები, ახლა შარია გუბერნატორობა, ახლა ჩვენ შარვალ გამოხეული დავდივართ პროსპექტებზე, რომ ათი შაური ვიშოვოთ სადილისათვის, ვფიქრობთ პოეზიის ფორმალ მეთოდებზე და სრულიად არ გვაინტერესებს ეს ბანკობია და ათასი „რამე-რუმეები".

ეს იყო უწინ: მთავარმართებელ გრიგოლ ორბელიანის ბინას მიადგა აუტანელ ურმის ბევარით ამბოხებული ხალხი და შესჩივლა თავის პოეტს: ის გაიკითხავდა, ის გაიგებდა მის გულის ტკივილს (ის პოეტი იყო!), მაგრამ ხალხის გულის მესაიდუმლე პოეტმა შეძდეგი სიტყვებით მიმართა ხალხს:

— რა უყოთ მერე, განა მარტო თქვენა ხართ ამ დღეში, აი, ხომ ხედავთ, ჩემი ცხენიც გაჭყავთ ბეგარაზე!..

მაშინ წარსდგა ერთი ყარაჩოხელი და უთხრა:

— შე დალოცვილო, შენა და ჩვენ ვინ გაგვასწორა, შენ ცხენს არჩენ და ჩვენ ცხენი გვარჩენსო!..

ორბელიანმა იგრძნო რომ ის არ იყო ხალხის გულის მესაიდუმლე, რომ ამ ხალხსა და მის შორის ხიდი ჩატეხილი იყო და ხიდი არ გაიდებოდა.

რა არ გახსოვს შენ, ტფილისო!..

რის მომსწრე არ ხარ!

სარკინოზები, ხაზარები, ჰუნნები, ბიზანტიელები, მონღოლები, არაბები, სელჯუკები, ოსმალები (და ვინ იცის კიდევ ვინ!), ყველას უნდოდი შენ, მაგრამ შენ იყავ უკარებელი, თავაგდებული, შენ განარისხე ბასილი დიდი კეისარი,

შენ იყავ ქართლის ბედი და, ვისაც საქართველოს ბედის იავარ ყოფა უნდოდა, —შენ უნდა აეოხრებინე.

ამიტომ მოვიდა დიდი საჭურისი ქოსა ალა-მაჰმად-ხანი [illegible] სიონზე ქუსლი და აკივლებულ კალოუპანს გაახსენდა დაშუშებული [illegible].

შენ დედალ ხოხობივით კრიახობდი საუკუნეებში.

თეთრი მეფე ვახტანგ გორგასალი მოაგდო აქ მიწის ყინის სათავესთან დედალმა ხოხობმა, აქ იყო შენი კერია და კერიადან გადმოდიოდა ცხელი გოგირდის წყალი.

დაემხო ვახტანგ და საფუძველი ოდენ დასდო.

შენ ყაბახივით იყავ აწეული ამქრის დროშებით, ყეინობებით, ბერიკაობით, ჯოჯოობით, ბარბარობით, ქაშუეთობით სალაყბოს თავზე და ასე ლაყბობაში გაგატარეს.

ოო, ტფილისში ღამეები არის უჯებირო, ღრმა და ღურღუნციანი და მე, ავტორს ამ სტრიქონებისას, ხშირად შიში მიპყრობს, არ გავიგუდო ამ ბალიშებივით ცხელ და ენებიან ღამეებში.

ყოველ ღამე, როცა ფუნიკულორზე ხუთბოლოიანი წითელი ვარსკვლავი აკიანთდება, მეფის მოადგილე მ. ს. ვორონცოვი იბერტყავს თუჯის გრძელ მოსასხამს, შლის სრულიად რუსეთის თვითმპყრობელ იმპერატორის რესკრიპტს და ასე მთვარის სინათლეზე კითხვით ჩამოდის იგი გრანიტის კვარცხლბეკიდან და ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინთან ერთად მკლავ გაყრილი მიდის აბანოში და ამ ორ ფრიად პატივცემულ გვამთ აქვთ მთვარიან ღამეში სენტიმენტალური დიალოგი:

— ალექსანდრ სერგეევიჩ, ალექსანდრ სერგეევიჩ!—ამბობს მ. ს. ვორონცოვი მწუხარე ხმით და ბრინჯაოს ხელს ნერვიულად უჭერს პუშკინის მკლავს. —სად გაჭრა, ნეტავ, ეს იტალიანური ოპერა, ქართველი წარმტაცი კნეინები, ეს რაუტები, ჯვარიმამობა და თავადი პოეტები!.. ეს გლუხარიჩიც რომ დაიკარგა!..

ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინი მხრებს იწევს, არ იცის რა უპასუხოს. მან მხოლოდ ტფილისის აბანოების ამბავი იცის და ამაზე ლაპარაკი მოვეტონია.

ვორონცოვი მაინც სჩივის ფრანციცულად, წუწუნებს და უზარმაზარ ბრინჯაოს ფეხებს ადგამს ცხენივით.

ასე მიდიან ისინი სეიდაბადის ჭუჩით ურიების უბანზე და მერე მთელი ღამე დგაფენოებენ, ეს უზარმაზარი ბრინჯაოს ძეგლები აბანოში აპოკალიპსიურ ეაყებივით და გულგახეთქილ მექისეებს არა აქვთ მელი დამე ძილი და მოსვენება.

ახლა ტფილისი სულ სხვანაირია, პუშკინის გვერდით დგას ქამოს ძეგლი, აკაკი შეჰხარის მთაწმინდას და ოპერის ბაღში მთელი ღამე მღერის ტკბილი ვანო სარაჯიშვილი.

ახლა ბევრია ტფილისში მაღაზიები, სანუგბაროები, კოოპერატივები, რესტორანები უცნაური, ჯერ გაუგონარ წარწერებით.

ერთი სანუგბარო ბატონ ჰენეს ეკუთვნის.

ერთ ალდგომა ღამეს ამ სანუგბაროდან გაიპარა პასკის შაქრის ვერძი, ჭელლეს ვერძივით აცურდა ცაში და მზარეულის თეთრ ხალათში შემოსილი საწყალი ჭენე დიდხან ჭყვიროდა, მაგრამ ვერძი გაფრინდა, ხელსა და ხელს შუა გაჭრა იგი.

და ასე ღამით გამოფორთხდებიან: სიბნელე, ლამპები, მეეზოვეები, ხილი ციონერები და იცავენ ტფილისს ყოვლისაგან ავისა.

და, როცა კახეთის მხრით მზე ცას კახური ღვინოსავით შეღებავს, ტფილისის გრენადერთა მე-15-ე პოლკის ღრუბლის წვერებიანი გრენადერი დაუკრავს 1826—1829 წ. წ. დასავლეთ კავკასიის დაპყრობისათვის უმაღლეს განკარგულებით ბოძებულ ვერცხლის სასიგნალო საყვირზე დილის საარს და ფორსიან მარშით გადაჰყვება ხელწასულ მთვარეს მთების გადაღმა.

ასე იწყება დღე საქმიანი...

თავი პირველი

ტფილისის დღეები

ყოველ ცისმარე დღე გაზაფხულის მზე ამოდიოდა კალოსავით, ბრუნავდა სპილენძის კეერი, ხვატი ბულრაობდა და აყრიდა ტფილისს თაკარა სიცხეს ქოქოლასავით.

სდუღდა ასფალტის ტროტუარები, ჰხურდა თუნუქის სახურავები და ეკლესიის თეთრი გუმბათები თეთრად ფიცხდებოდენ ციდან გადმოღვრილ მზეზე.

— ნა-ა-ვთი-ი!... Ке-е-роси-ин!..

— მაწონი!.. მაწონი!..

— აი, წიწმატი, ბოლოკი, ოხრახუში, სტაფილო მოვიდა-ა!..—ისმოდა სიცხით დათენთილი ხმა გვალვის ზუზუნში და კვდებოდა სადღაც მივარდნილ უბნების შესახვევებში და ქუჩაბანდებში.

თვალებ მიკუეული ბელურები ჩამოხუთულ ხეებზე მოფუყულიყვნენ და სულს ძლივს იბრუნებდენ.

სადღაც მთავარ ქუჩაზე ცარიელი ჯაგვა ხრიგინებდა და ვატმანი რეკდა ტრამვაის ზარას.

ფუნიკულორი გამხდარ ვირის ზურგივით ამართულიყო და ორი თეთრი ფაიფურის ეკლესია ეკიდა ძვირფას ხურჯინივით.

რატუშის საათი რეკდა მაღალ შუადღეს:

— ნაუ!.. ნაუ!.. ნაუ!.. (თორმეტჯერ).

სიცხე ირეოდა ჩახუთულ ეზოებში და იგი: საწვიმარ მილში მომწყვდეული, ვერ ეტეოდა და გაეიეინებული და ბრაზიანი ზუზუნებდა სკასავით, მერე გახეულებული დააცხრებოდა ძაღლებს, კატებს და არწყვდა ტვინში ლოშქრსა და ცოფიან ლორწოს.

ასე ბორგავდა მთელი დღე გვალვა ქალაქში და, როცა მზე გადიხრებოდა დასავლეთიდან შემოჰკრავდა ბუდეზე ავარდნილი ქარი, ჰაერი აირეოდა, წა-

შოვიდოდა ცაში მძიმე მწვირიანი ღრუბლები ელვით, ქუხილით, უეცრად მოსკდებოდა ცა და კოკისპირულ წვიმას დაუშვებდა.

ბავშები მხიარულ ყივილით გარბოდენ სახლებში და ფეიერ შაბაქიან აივნებიდან დასცქეროდენ დიდრონი თვალებითა და დალვრემილი სახეებით როგორ რეცხდა ეზოს ნიალვარი, როგორ ივსებოდა ხრიალით საწვიმარებ ქვეშ სარეცხისათვის შედგმული გეჯები და როგორ მიჰქონდა ტომარა მოხურულ იეზიდის ქალს წვიმის წყლით სავსე ვედრო.

იდგენ ისინი (ბაკშები, ბავშები!..) მოაჯირზე ჩამოდებულ ნიკაპებით და ოცნებობდენ იმ ოქროს თევზზე, წვიმას რომ უნდა ჩამოჰყოლოდა ციდან, მაგრამ ოქროს თევზი არ ვარდებოდა.

წვიმა სპილენძის შაურიანებივით მძიმედ ეცემოდა გახურებულ ტროტუარებზე და მოღუნული სახლები ღიღინებდენ საწვიმარებით წვიმის უცნაურ სიმღერას.

მოქალაქენი თავს აფარებდენ ალაყაფებს და ქუჩაზე გადმოკიდებულ აივნებს.

მამადავითიდან თქეში მოაგდებდა ჩამოხვეტილ ღორღს, ხრეშს, ეზოებიდან გამოტაცებულ ნაგავს, ქუჩები ილეკებოდა მოვარდნილ ნიალვარით და მოძრაობა წყდებოდა.

საცოდავად იდგენ წვიმის ქვეშ მოფუყული ტრამვაის რონოდები, ავტოები, ეტლები. გახურებულ ტროტუარებზე ორთქლი ადიოდა ისე, როგორც წვიმის ქვეშ დარჩენილ ცხენის ზურგებზე, ჰაერი მძიმდებოდა მიწის სუნით და ალაყაფებში ყაყანობდენ შეხიზნული პოეტები, საბჭოთა მოსამსახურეები, მეკურტნეები, მეხილეები და პაპიროსით მოვაჭრე ჩამოკონკილი თამბაქოს ტრესტის ბიჭები.

ზოგი იდგა ისე, ხმის ამოუღებლად და დაღვრემილ სახით მოუთმენლად გასცქეროდა ჯერ ნიალვრისაგან წალეკილ ქუჩებს ⁄ მერე ტყვიისფერ მძიმე ღრუბლებით გადაგრაგნილ ცას.

იწვიმებდა ასე მხიარულად ეს გაზაფხულის დღე საწვიმარებში ელურტულით, ქუჩებში ტლაშუნით ერთს ან ორ საათს და მერე უეცრად სადმე ერთ ადგილას გაიხეოდა შუაზე შავი ღრუბელი და ამ ნახევში გამოიხედავდა გახარებული და გარეცხილი ლურჯი ცა.

ქალაქში აგრილდებოდა და ქუჩებში იყო ხალისი და სიხარული.

საზაფხულო ბაღებში მთელი ღამე გრიალებდა ლითონის სამხედრო ორკესტრი და საზაფხულო კინოებიდან ისმოდა ფოქსტროტის ნაწყვეტი და მერე... ტანგეიზერის უვერტიურა.

რუსთველის პროსპექტზე სეირნობდენ საბჭოთა ქალიშვილები და ელაპარაკებოდენ რეგისტრატორებს, საქმის მწარმოებლებს, სტატისტიკოსებს, ადგილკომებსა და კურსანტების სკოლიდან ახალ გამოშვებულ უფროსთა შემადგენლობას რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობაზე, ტროცკიზმზე, დემოგრაფიაზე, პიერ ბენუას „ატლანტიდაზე“, ბალისტიკაზე, დუგლას ფერბენკსზე და ჩარლი ჩეპლინზე.

ერთი მათგანი პარიზიდან ჩამოსულ ემიგრანტ მუშას მერი შერვაშიძის ამბავს ეკითხებოდა და ძლიერ სწუხდა, რომ ასეთი დიდებული და ულამაზესი ქალი მთელ ქვეყანაზე პაკენთან მოდელად მსახურებდა და რემინგტონზე მუშაობისაგან ინდიგოსფრად შეღებილ თითებით თმის სარჭს ისინჯავდა (ეშინოდა ნუ ექნა, რომ დაკარგულიყო! სარჭის დაკარგვა თაყვანისმცემლის დაკარგვას უდრიდა და, იქნებ, ამასაც, ახლა რომ ელაპარაკებოდა).

ოდეკოლონისა და ლორიგანის პუდრის სუნი უერთდებოდა აკაციისა და ცაცხვის სურნელებას და ჰაერი ბრუვდებოდა.

მიყრუებულ ქუჩებში ჩაღვრილ კამფეტივით მოტკბილულ სანტიმენტალურ ბინდებში სეირნობდენ შეყვარებულნი გალურსულნი ხმის ამოუღებლად და თეთრი ფეშტამალ აფარებული მეეზოვე უცქეროდა მათ მნიშვნელოვანად და კიდევ უფრო მნიშვნელოვანად ახველებდა.

სადღაც ისმოდა გარმონის ხმა დ ვიღაც ხოშზე მოსულ მალაკნის ყრუ ჭყივილი.

ისე, იყო: მყუდროება, სიყვარული, მოწყენილობა და მოწყენილობაში ამართული მილიციონერის წითელი ტარი.

მთელი დღის განმავლობაში ჩამონაღვარი სიცხე ოთახებში შეიმწყვდეოდა და იდგა გახურებულ შპალერისა და ბალლინჯოების ბუღი.

გულშეღონებული მოქალაქენი აღებდენ კარებს, იდგენ ორჭოლ ნიავში, სულს იბრუნებდენ და ოცნებობდენ ბაკურიანისა და აბასთუმნის სიგრილეზე და სურნელოვან ზინთიან ნაძვებზე.

ეს შპალერი, ეს სიცხე და ეს კოშმარივით მოფუყული კომოდი გულს აღონებდა და მიიჩქაროდენ ისინი ფუნიკულორზე: იქ სიგრილე იყო, ლალიძის ხილეული წყლები, ნაყინი და სიამოვნება.

თავი მეოთხე

ნარგისის თვალები

მე ვცხოვრობ მტკვრის პირას ბნელ, ნოტიო სარდაფში.

ცალი კედელი მტკვარს გადასცქერის და ჩემი ოთახიდან პატარა რიკულებიანი აივანი არის მტკვარზე გადაკიდებული. ასე რომ, როცა მე აივანზე გავდივარ, ვხედავ მტკვრის ბინძურ ნაპირებს და წყალში ჩადგმულ თევზის საჭერ ბადეებს.

სინათლე მხოლოდ ამ მხარიდან შემოდის, მზე იშვიათად ადგება და მე სული მეხუთება ამ ზანდუკივით ბნელ და ნოტიო ოთახში.

ფეხები მუდამ ცივი მაქვს და ჩემი დიასახლისი გახურებულ აგურს რომ არ მაძლევდეს, არ ვიცი რა დამემართებოდა. გულს ვერაფერს უდებ და ოთახში ვერ ვიცდი.

ამიტომ ვარ მე ხშირად ქუჩაში და ჩემი ნაცნობები მეძახიან მე მაწანწალას და დედის იმედების გამაცრუებელს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხანდახან მაინც დგება დრო, როცა მე რამდენიმე ხნით ვიკეტები ოთახში, გარეთ არ გამოვდივარ, გულს ცეცხლი მედება და სულაწრიალებული დავრბივარ ოთახში, მერე გახურებული [illegible] წელში ოთხად მოღუნული ვჯდები ჩემ საწერ მაგიდასთან და ვწერ [illegible]. ხან ვტირი, ხან ვიცინი, ზოგიერთ საყვარელ სიტყვებს ვიძახი ხმამაღლა, ყურს უგდებ მათ ხმაურს, მიხარია და ერთ თვეში ვაკეთებ იმდენს, რაც ერთი წლის განმავლობაში უნდა გამეკეთებინა, მერე დგება ისევ აუტანელი სიცარიელე, ყველა აზრები მიმატოვებენ და ჩემი გონება მაშინ ემსგავსება დარბეულ ციხე-ქალაქს, ყველა სასწაულთმოქმედი სიტყვები გამწირავენ და მე არ ვიცი სად წავიდე, რით უშველო თავს და ხშირად არის ღამეები, როცა თვითმკვლელები ამოფორთხდებიან მტკვრის ნაპირებიდან, დალორწილნი, ლაინისფერი მოადგებიან ოთახის სარკმელს და თვალ დაკაკლულნი გალურჯებულ ფრჩხილებით ჭეხოჭნიან მინებს.

ახლა მე უცნაურ გუნებაზე ვარ.

მე რომანი მინდა დავწერო ჩემ სიყვარულზე. ეს არ იქნება ის, რასაც ასე მიაჩვიეს ხალხი იაფფასიანმა და დიდტირაჟიანმა მწერლებმა.

ახლა გაზაფხულია და ადრე ჩამოცხა.

გარეთ ჰაერი სდულს და ტანში უცნაურ მოღლილობას ვგრძნობ. ალბათ, სამეგრელოს ციება კიდევ მიდგას სისხლში და ყურები მიშხუის. ლოგინზე მიწოლილს წელში გაწყვეტილ გველივით მეზარება ადგომა.

სიცხით მოთენთილი ვკითხულობ „ქილილა და დამანას“.

და ახლა მე, ამ უშველებელ მოსაწყენ წიგნს რომ ვკითხულობ, მანანას, ალბათ, აწუხებს სიცხე და ვარდისფერ შილიფ კოფტით გამოდის აივანზე სულის მოსაბრუნებლად.

ის მოხდენილია, შავგვრემანი, ეშხიანი და თვალები... მანანას აქვს ორი სულ უბრალო ნამიანი თვალი. ის არც გიშერივით არის, არც ფირუზივით, სულ მთლად უბრალო და სრულიად ჩვეულებრივი არის ეს თვალები... და... რა ვიცი მე რა!.. მე მინდა ავწერო ეს თვალები, ახლა რომ ამ ქაღალდიდან შემომცქერიან, მაგრამ ვხედავ რომ არაფერი უჩვეულო ამ თვალებში არ არის ისეთი, რისი აწერაც შეიძლებოდეს და ვბრაზობ: მაშ რატომ მომწონს ასე, რათ მინდა რომ მის ფინჯნებში ჩამდგარი ცრემლი დავაშრო კოცნით!

პაპიროსს სულმოუთქმელად ვეწევი და ბოლში ვარ გახვეული.

ნისლი ფიქრია მთებისა,—ამბობს ვაჟა, ალბათ, ეს ბოლიც ჩემი ფიქრებია, ასე რომ ირევა ჩემს ირგვლივ და მაბრუებს.

ბოლი იზმორება და ლიბრ ბოლში დამცქერის მე მისი ატმისფერი სახე და თვალები.

და ეს ორი თვალი იცქირება ისე უბრალოდ, როგორც ყველა თვალები ამ ქვეყანაზე.

ის ცხრამეტი წლისაა, მკლავები წყაროსავით გრილი აქვს ტ, როცა მკლავში ხელს ვკიდებ, რომ ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადავიყვანო, ტანში ჟრუან-

ტელი მივლის, ენა მებმება, სუნთქვა მიჭირს და მე ვიცი, მე კარგად ვიცი, რომ ის ჰგრძნობს ჩემ ერეოლას, წითლდება და შემკრთალი ხმით მეკითხება:

— რად სუნთქავთ ასე მძიმედ, დაიღალეთ?..

მე რაღაც ღმერთი მიწყრება ამ სიტყვებზე, ვბრაზობ ჩემ თავზე (მეტქვა კლასელი გიმნაზიელი ხომ არა ვარ!) და მთლად ალეწილი ვბუტბუტობ უაზროდ რაღაც ამგვარს:

— არაფერია, არაფერი... ისე... გული მაქვს სუსტი...

მან კარგად იცის რომ გული არაფერ შუაშია, მაგრამ კმაყოფილია ამ პასუხით და მერე ჩუმად არის.

ასეთ სიტყვების შემდეგ საჭიროა სიტყვის ბანზე აგდება და მის გართობა, მაგრამ რომ არაფერი შემიძლია! თავში აზრის ნატამალი არ გამაჩნია და ისევ სიჩუმეს ვარჩევ.

მივდივართ ნელა.

მე უცქერ მის დახრილ კისერს. კისერი: შავგვრემანი და ატმის ბუსუსიანი. მინდა დავეკონო, მაგრამ თავს ვიკავებ.

როცა ის მიდის, მე მიყვარს მისი გვერდიდან ცქერა.

ის მიდის ქევქევით, მენჯი განიერი, ფეხები მომსხო ფ ეს ფეხები უცნაურად მოხდენილი... წვივი კოჭიდან ისე არის მოხვეული ქალურ სილბილით რომ, როცა ვხედავ, სუნთქვა მიმძიმს. კაბა ეტმასნება მის ტანს და მე არ ვიცი რა ვქნა, თვალთ მიბნელდება.

ასე ვფიქრობ მე მანანაზე და ეს უბედური დიდტანიანი წიგნი უცნაურად ყბედ პერსონაჟებით, ქვეყნის არაკები რომ იციან, ასვენია მძიმედ ჩემ მუცელზე.

უეცრად მაგონდება რომ მე რომანის საწერად ვემზადები, გული მომდის, რომ ასეთი ზარმაცი ვარ და ეს წიგნი ამდენი ხანია ვერ წამიკითხავს. გაბრაზებულმა პაპიროსი მოვიქნიე და იატაკზე დავარტყი.—პაპიროსს ანთებული თამბაქო წასძვრა და ბოლვა დაიწყო.

წამოვდექი, ფეხი დავაჭირე,—ჩავაქრე.

დავდივარ ოთახში წინ და უკან.

ჩემი ოთახის სიგრძე ათი ნაბიჯია, განით რვანახევარი.

დავდივარ ჯიბეში ხელებ ჩაწყობილი ამ ოთხმოცდახუთ კვადრატიან ოთახში (ქირას ამ ანგარიშით მახდევინებენ) და ვფიქრობ მანანას თვალებზე.

დავცქერი იატაკს და მის კვადრატებში ირწევა თვალები, მანანას ნამიანი თვალები და მე მაგონდება ლექსი, ბაყალი გეო რომ მღერის ხოლმე:

— ბეგუ, დუხტერ, ქი ბაბე ტუი გედაი,
დუ ჩეშმე ნარგისი ქარი ქუჯაი?..
— ჩი ქარ დარი, ქი ბაბე მენე გედაი,
დუ ჩეშმე ნარგისი დადი ხუდაი.

(—მითხარ, გოგონავ, მამაშენი რომ ეგრე ღარიბია,
— ეს შენი ორი ნარგისის ძვირფასი თვალები სადაური საქმეა?..
— რა შენი საქმეა, მამაჩემი რომ ეგრე ღარიბია,

ეს ორი ნარგისის თვალი ალლაჰის ნაჩუქარია!..)

როცა მისი თვალები იცქირებიან... არაფერი არ ხდება ქვეყანაზე. ან რა უნდა მოხდეს? თვალი თვალია! ყველაფერი ისევ ისე არის, ~~რაგორც იყო~~, მაგრამ მაინც რომ ხდება რაღაც?.. ალბათ, მე ვიცვლები.

მისი თვალების დანახვაზე მე მაგონდება: ყაფია, ჰაფიზის კაზალები, ჯელალედდინ რუმიჲ ჰყეფს მის თვალებში და სადღაც დნება შექერივით შირაზის ზარხოშიანი ბაიათი.

ეს თვალები სარკმელია მანანას სულის და მე კარგად ვიცი: შიგ რომ ჩამახედა დავინახავდი დიდ ცოდვას და ნახევარ ქვეყნიერებას.

— რა დროს თვალებია?..—ვბრაზობ ისევ და დავდივარ ოთახში.

თავი მიხურს, ყურებში უცნაური რეკაა.

შუბლზე ხელი გადავისვი, ისევ წამოვწექი და განვაგრძობ კითხვას ამ გაუთავებელ გრძელ არაკებისას, მაგრამ თავში მაინც არაფერი შედის, მოთმინება მეკარგება და მებნევა გულისყური.

მანანას თვალები მიწყვია უბეში და არ მასვენებენ.

ბრძენი ტურები ქილილა და დამანა სხედან მის წამწამთა ჩეროში და აქვთ დაუცხრომელი პაექრობა: რომელი სჯობია ამ ორ თვალში.

ოჰ, როგორ ცხელა!

მანანა ახლა იხუთება, ალბათ, თავის ოთახში და დგას აივანზე სულის მოსათქმელად

მოაჯირზე დაყრდნობილი დასცქერის იგი ბაყალ გეოს ხილის დუქანს და ფიქრობს... არ ვიცი ვისზე, იქნებ, დაპატიმრებულ მამაზე!..

გეოს არ ასვენებს მისი სიყვარული, იცვამს შავ ჩოხას და ყარაჩოხულ ნაოჭიან მაღალ ჩექმას. აბაზიან გაცვეთილ სარკეში ხალს იგრეხს, მუცელზე ცხრაგირვანქიან ვერცხლის სამარხ ქამრის ზღმარტლივით ბალთას ისწორებს და გამოდის გარეთ.

დადის დუქნის წინ თავმომწონედ, ჰინით შუბლშეღებილ ყოჩს ეალერსება და მერე თვითონაც ყოჩივით გაჩერდება. ულვაშებზე ხელს ისვამს და ქურდულად შესცქერის აივანზე გადმომდგარ მანანას, რომ კაბის ქვეშ ფეხები წვიეებამდე დაინახოს.

— აბა, ბიჭო, ყოჩაღად იყავი, აი!.. საცაა სამსახური გათავდება და მუშტარი მოაძალებს!..—გადასძახებს ბიჭს რატომღაც ხმამაღლა, რომ მანანამ გაიგონოს.

— მითხარ, გოგონავ, მამაშენი რომ ეგრე ღარიბია,
ეს შენი ორი ძვირფასი ნარგისის თვალი სადაური საქმეა?..

— რა ვიცი მე, სადაური საქმეა!..—ვბრაზობ და დავრბივარ ოთახში ტუსაღივით.

თავი მესამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა

ახლა ღამეა.

ქალაქს სძინავს.

მაუდის ცაზე ჰკიდია მთვარე-მინანქარი.

მე ვწევარ, არ მეძინება.

გადაწეულ რიდეებში გატეხილი მთვარე მათოვს შაქარს.

ნაცნობ პროსტიტუტის გრძელი, მწუხარე მონოლოგი არ შორდება ჩემ გონებას.

ის ავადმყოფი იყო, ასდიოდა ტრიმიტალამინის, იოდოფორმისა და იოფფასიან ოდეკოლონის სუნი. მას თოთხმეტი წლის შვილი ჰყავს, ასწავლის გერმანელების ლიცეიში და იშვიათად ნახულობს. ეშინია ბავში არ მიხვდეს მის პროფესიას და არ დაიჩაგროს. ყოველ შაბათობით უგზავნის პანსიონში საჩუქრებს და ჰხაროობს, რომ მის ბინძურ ცხოვრებაში არის სინათლე, მის გულს ასე რომ ათბობს.

შემოვა იგი ჩემთან, ოთახში, ლოგინზე ჩამოჯდება ათასჯერ მომიყვება ამბავს, როგორ დაჰკარგა უმანკოება, როგორ დაადგა ამ გზას, როგორ ჰშურს პატიოსან ქალების მყუდრო ცხოვრება და მე არ ვიცი რა ურჩიო.

ქუჩაში ახლა დადის საეჭვო ხალხი: იმიტომ რომ ღამეა.

მე უცქერ ფანჯარას: ელექტროს მავთულზე ზის მთვარის სხივი და ბავშივით იცინის.

ოთახი ჩემი ექვსკუთხედია და ფანჯარაში ჰამაკივით ჰკიდია მტკვარი.

დუდუნებს მტკვარი.

კოჭლი პოეტის ფიქრები ნისლივით ადგას მტკვარს და ამძიმებს ღამის სისოვლეს. სივრცეებში მესმის გაფრენილ მერანის ფლოქვების თქარუნი და თმაგაშლილ პოეტის ექსტატიური ყიჟინა.

მკერდზე ხელი მივიჭირე და ყური მიუგდე: ჩემი გული სცემს უცნაურად, თავი მტკივა და ხანდახან მგონია, რომ თავი მიხმება.

ვიკიდებ ხელს: არაფერს ვგრძნობ, თითქოს აგური მებას კისერზე. მინდა ვიკივლო, რომ თავი გამიხმა, მაგრამ ტვინში უეცრად შემოვა ციცინათელასავით აცახცახებული წმიდა ცეცილია და უცნაურად გამეცინება.

ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემს ირგვლივ ცხოვრობენ: პროსტიტუტები, ქურდები, სპეკულიანტები, ებრაელები, სტუდენტები, დალალები და ვინ იცის კიდევ რა ხალხი არ ცხოვრობს აქ და ოთახში შემოდის იოდოფორმის სუნი, ტვინი მძიმდება ასეთ ჰაერში და ფიქრები მახინჯ ბავშებივით იბადებიან.

დერეფანში ბნელა და დერეფანში დგას აბანოს ჭიის, თაგვებისა და საპნიან დამპალ წყლის სუნი.

დერეფანში დევს აგური: ბინძური, გახეხილი და ეს აგური არ სცილდება ჩემ ფიქრებს (იქნებ სწორედ ეს აგური მიხმობს თავს!) აგურ ქვეშ მე ოთახის კასალებს ვინახავ, მეზარება მისი ტარება, ფეხები ზამთარ-ზაფხულ ცივი მაქვს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და, როცა ფეხები მთლად გამიშეშდება, **დიასახლისი** გახურებულ აგურით მითბობს ფეხებს.

უცნაური ქალია ჩემი დიასახლისი.

აგურს სომხის გოგოს სირანუშას გაახურებინებს და ეს ჩოფურა ყრუ-მუნჯი და თვალებ დაკუსული მოსამსახურე გოგო განსაკუთრებულ მზრუნველობით მისრესს ფეხებს და მე არ ვიცი რა ვქნა, როგორ დავაღწიო თავი მის ქურდულ ალერსს.

შენ,— ჩემი სიყვარული, შენ,— სიზმარი!..—

შენ გძინავს შენ ძველებური სურაიან ქართულ აივანზე ამ სიცხეში და მთვარე პერანგის აშიებიან უბეში გაყრის შაქარს ტკბილს და მილულულ თვალებში გაშხეფებს ახალგაზდა დედის რძესავით ჩჩვილ სხივებს.

— მთვარეე, ნუ აყრი შაქარსა,
შენ ვერ იშოვი მაგ ქალსა!..—

მინდა შევძახო მთვარეს, მაგრამ მე თვითონვე მაკვირვებს ჩემი თავი, რათ დაიბადა ასე უცნაური და ეჩუმდები.

მე გამოვხვიე ჩემი გული ჰიგროსკოპიულ ბამბაში და მოგაბარე ავადმყოფი შესანახავად.

ასე დავრჩი მე გლახაკი და საცოდავი გულგაღადრული.

ალზევანს წავიდენ მარილზე, მარილი მოიტანეს ბროლის და დამაყარეს გახსნილ ჭრილობაზე. მეტკინა ხორცი და შემოგხედე შენ დაჭრილ ირმა ხარის საწყალ თვალებით.

შენ იყავ მწუხარე:

— შენი თვალები: ნარგისი!.. შენი წარბები: ყორნის ფრთა!..—

რა გაახარებს შენ გულს!..

აი ინებე ჩემი თავი და შავკანიანი ბნელი ფიქრები (რა ვქნა, სხვა რომ არაფერი გამაჩნია), აქამდის მაიმუნები ისხდენ თხილის ნაჭუჭებში და ჰლექდენ შპალერს, ახლა ისინი ავზნიან ფოქსტროტით შემოესივნენ ქალაქს და ისმის ტამ-ტამის დაფი.

შავკანიანი კანკანი ბნედასავით დააწვა მთვარით ალოკილ პროსპექტებს და რესტორანებიდან ისმის ჭიქების მსხვრევა და კახპების კივილი.

მე მეჩვენება ქვეყნის გარდაქმნა: ჩემს ქალდურ მოდგმას მოსდევს ბნელი უტილური მონლოლური ირიბ თვალებით.

მამაშენი დაპატიმრებულია კონტრრევოლიუციისათვის, მეტეხში ზის და შენ ყოველდღე სადილი დაგაქვს საპატიმროში.

შენ გეშინია და ყოველ ორშაბათს დადიხარ დიდუბის ეკლესიაში.

ლოცულობ სასოებით და კენჭს კედელზე აკრავ.

შენ ხარ ახალგაზდა და შენი პატარა მკერდი ჯერ კარგად არც დამწიფებულა.

შენ გაცვია დეზერტირების ბაზარში ნაყიდი ამერიკული ტანსაცმელი, დეკოლტე სიგრძეზეა ჩაჭრილი და მკერდზე პერანგის მაღალი რიდე გაქვს აფარებული, იმიტომ რომ ხარ შავგვრემანი, მორცხვი და ამას გარდა ბაბალეს ალბომივით გაქვს ბუსუსიანი და შენ გრცხვენია ამისი.

ალბათ, როცა ხანში შეხვალ, მკერდი ბალნით შეგემოსება, მაგ ნარგისის თვალებს შეაშრება მადლი და ნამი, და ახლა რომ ასე ნაზი და მიმხიდველი ხარ, მაშინ იქნები: ცოლი, დედა, დიასახლისი, მზარეული, კაპასი და ძროხა.

არ იკითხავ მერე ფრანგულ და ინგლისურ მსუბუქ რომანებს.

ყველაფერი დაგავიწყდება და მუდამ ქმრის თვალებში შემყურე იქნები.

არც როიალს გაეკარები და ასე, შენი დიდი გვარის დიდი მოდგმა გადაშენდება შენში.

შენ წმინდა ხარ და ჩამორჩენილი.

არაფერი ახალი არ მოგწონს, გეშინია.

მე მიყვარს შენი ნარგისის ნამიანი თვალები, შენი ყორნისფრთა წარბები.

შენ ხარ დაბალი და ძვალმსხვილი.

მე ვნახე ერთხელ ახალგაზდა ძროხა, ის იყო გათქვირული, რძიანი და წმინდა.

მას ადამიანებმა წაართვეს ხბო და გაჰყიდეს დასაკლავად.

ზმუოდა ძროხა გამგმირავად:

— ბეე!..
ხბოო!..
ბეეე!..
ბაა!..
ხბოო!..

მე შემეცოდა დედა.

აკანკალებული მიველ მასთან და უთხარ შემდეგი:

— ჩემო ძროხავ, შენ, თარაქამას, წაგართვეს ხბო და გწველიან. შენ არ შეგიძლია არც ლაპარაკი და არც ჩივილი, იმიტომ რომ არა გაქვს ენა. შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?..—ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება... რა ვქნა, მეც შენსავით ვარ, მე გამომწველეს და ახლა რძეგამშრალი ვზმუი:

— ოხვრა, მოხრა!..
არა ხორბი
უხარია!..

ტანჯვამ დამლალა მე და სიტყვებმა დაჰკარგეს აზრი და მნიშვნელობა. მე მინდა ახლა ვიზმუვლო ხარივით. აქ მენდე, ლაბავ!.. მოდი, ძროხავ, ვიცხოვროთ ერთად!.. ერთგულად ვწიოთ ჭაპანი ჩვენი და უსიხარულო ზმუილით დავლიოთ დღენი. შენ არ იცი: სარდანაპალი პირუტყვად გადიქცა, წმიდა ქრისტეფორე ძაღლივით ჰყეფს და მე ხარი ვიქნები. ასე ვივლით მე და შენ ერთად: მე შენი ქმარი და შენ ჩემი ცოლი.

მაგრამ ძროხა დგას თავისთვის, ალბათ, არ ესმის ჩემი სიტყვები, კუდით ბუზს იგერიებს და დაღვრემილს თვალთაგან ცრემლი ჩამოსდის.

პირუტყვის ცრემლი მდუღარესავით გადაესხა ჩემ გულს და მე ვეგრძენ უცნაური სიტყვების ხმაური:

— ძროხა,
სახრე,
ძახრი,—
უხმო ენას ყელში გაყრილს,
ძროხას დარდით წელში გახრილს,
არხი—ხორხი ჰვალებს დაყრის!..

ათრთოლებულმა შუბლზე ხელი გადავისვი, მარცხენა ხელი გულზე მივიჭირე, ძროხის წინაშე მუხლთ მოვიყარე და მივმართე მუდარით:

— მოოხრი,
მოოხი, მოოხიი,—
მოშეხმარე!..
ხარი,
ხობა,
ყობა,
ყვაბი.
რა ვქნა, მითხარ, ძროხავ, როცა
ტკივილს ბოლმა გამოყობა?..

აკანკალებულ ძროხას მუხლთ მოეკეცა, დაწვა ქალივით და ცალი რქით მიწას დაერჭო. მიწამ იგრძნო ძროხის სითბო და იმანაც ძროხასავით ამოიფშვინა.

ეს ძროხა შენ ხარ, ახლა იქ, სარეცელში რომ გძინავს და ლირწი მთვარე შაქარს რომ გათოვს. შენ ხარ, იმიტომ რომ, შენ აჭყევ ვილაც ყბედსა და სულელ პოეტს, რომელსაც თავი ჰომიროსი ჰგონია, მაგრამ, რა ვქნა, მე მაინც მიყვარხარ და ვიქნები ასე.

მე მინდა რომ შენი სახელი იყოს ლაბა ან და ბეხია.

ვინ დაგარქვა შენ მანანა?..

ქალო, შენ რომ სატრფო გყავს, მე ხისას გავთლი მისთანას, მაგრამ რა ვქნა, რა შემიძლია მე, როცა შენ მაინც ის გირჩევნია ჩემ თავს!

შენ, ჩემო ლაბავ, შენ მიყვარხარ მე.

მე მინდა გითხრა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურიდან ამოღებული ქათინაური, მაგრამ არ მაგონდება.

მობრძანდი ჩემ სიყვარულში ისე, როგორც საკუთარ ოჯახში, და დაბრძანდი დედოფალივით: დაგხვდება ბუხარი ნაკვერცხლებით, ამოღებული ბოშურ რომანსების ბუტაფორიიდან.

ჩემ თავში ფიქრები ჰგავს ახორხლილ სკამებს და ეს სკამები ჰგვანან ნა-

ზამთრ კალოშებივით გაცვეთილ უფერულ დღეებს, რომელნიც შევჭამე ბე და, რომელთაც მე უნდა შემჭამონ.

მე შეველ სკამებში და დავაწყე რიგში.

უცნაურად იდგენ ორკესტრში პიუპიტრები, ინსტრუმენტები, გულგასნილი ნოტები და გაროფილი შავი კოშმარული როიალი.

ღამურასავით უხმოდ აფართქალდა პიუპიტრზე დირიჟორი და წავიდა ცაში გულგათეთრებული.

როიალმა პირი დააბჩინა და დაჭრილი გორილლასავით იწყო ბღავილი. მე შემეშინდა და დაღრჭენილ გოტენტოტივით გადავეპოტე პიუპიტრებზე, ჩავიდე როიალი ჯიბეში და დავალრჩე მისი ბღავილი.

ასე გამოველ მე როიალიდან და ავადმყოფ მამაკაცივით შემომტირა ვიოლონჩელმა. როიალზე ძვირფას ქვებივით ეწყო შენი ნარგისის თვალები და უბეში ჩავიწყვე.

მეტკინა გული და რატომღაც ორივემ შევხედეთ ცას გადმოსროლილს.

გვადგია ცა ძახთაპირი და ძახთაპირი აყეფდება ცაში ყმუილით.

ვარსკვლავები მოსწყდენ ზეცას და დაცვივდენ ძირს ჟინჟღილებივით.

შენ ფეხშიშველი გაიარე ვარსკვლავებში და ეკლიანმა ვარსკვლავებმა დაგწვეს ფეხები.

სკამზე დაჯექ და ფეხები აიკეცე.

ციდან დაეშვა კურო ტკბილი, დაატკბო ყველაფერი, დავტკბით ჩვენც.

მე ვიყოფ უბეში ხელს და გაჭმევ შაქრიყინულს.

ცაში ძაღლმა მოიგო შავი გოშია, ღამემ გაიტაცა ლეკვი წკმუტუნით და მთის ნაპრალებში შემყუდრულმა შესჭამა იგი.

ვარსკვლავები კიაფობენ და ვარსკვლავებით განათდა ჩვენი სიყვარული.

ასე დავრჩი ამ სინათლეში მთლად ტიტველი: გავიქეცი და დავიმალე კარტონის უკან. უბიდან შენი თვალები ამოვიღე და ვკოცნი მათ გრილსა და ნამიანს.

ციდან სთოვს მანანა და მე ვტირი კარტონის უკან დამალული.

იქნებ, ყოველივე ეს ფარსია ბებერ უცოლოებისათვის გამოცემულ ძველ ჟურნალიდან ამოღებული!?

მე შემრცხვა: ვიკბინე თითზე და წამოვიდა ალუბლის წვენი.

ქუჩებში მაშინ ეგდო ოცი გრადუსი ყინვა. შენ ქათიბში გახვეული ახველ შენს ოთახში და ფეხებმორთხმული, სიცივით აკანკალებული, შენს კატასთან ერთად, თვითონ კატასავით, ჩაჯექ სავარძელში.

ცეცხლი არა გაქვს, ღარიბი ხარ და გინთია ტიპ-ტოპ.

დაბალ ჭერიან ოთახში ჰკიდია შენ წინაპართა ძველი პორტრეტები კრინოლინებში, მილიციის ოფიცრები ოქროს პაგონებითა და გალუნებით. კუთხეში დგას კბილჩაჭმული ბნელი როიალი.

შენი ძმა პარიზშია, იგი გაიქცა აგვისტოს დღეებში და ახლა სან-სირში სწავლობს.

შენ ნათესავი ხარ ჩემი დიასახლისის და მასთან გაგიცანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გცივა და იფუთნები.

ნეტამც არ დაგძინებოდა შენ სავარძელში!

ახლა ყინვაა გარეთ და შეიძლება გაცივდე.

უზარმაზარი მზე ამოვა მალე და გაათბობს ქუჩებს (ეს იყო ზამთარში). ახლა უზარმაზარი მზე უზარმაზარი ცხელ უკანალით ჩაჯდა პროსპექტებში და დადგა თაკარა სიცხეები.

ბაყალი გეო ოფლად ილვრება და უხარია:—ხილი შემოდის.

ცაში ზმუის ხატი ძახთაპირი და მეეზოვეები იმალებიან ალაყაფებში.

მე მოგაბარე გული ავადმყოფი გამოხვეული ჰიგროსკოპიულ ბამბაში შესანახავად.

შენ არ გაუფრთხილდი მას და გზაში დაჰკარგე.

ქუჩაში ეპოვნათ კამოს სახელობის საბავშო ბაღის ბავშებს და მსუქან ლაბუა მტრედებივით ეთამაშებოდენ.

რატომღაც არ მოეწონა ეს მონტესორის მეთოდის მიმდევარ ხნიერ მასწავლებელ ქალს, ჩამოართვა ბავშებს გული და გადააგდო.

მე შემებრალა ჩემი გული, ზაჰესის მაღალ ბოძს მივეყუდე და ავტირდი.

მე მიყვარს ბავშები ყვავილებივით. მათი ფუნჩულა ლოყები და მსუქანი ხელები. ისინი ისე სუფთა არიან და მათ თვალებში არის განუსაზღვრელი ნდობა, გულუბრყვილობა და უბრალო ჭკუა.

ვარდისფერ კაბის ქვეშ შესაქცევად მოსჩანს ნიფხავის აშია და ისინი ჰგვანან მსუქან ბატის ჭუჭულებს.

ერთი ბავში მოვიდა ჩემთან და ცრემლით სავსე თვალებით გული მომაწოდა.

ცალი თითი პირში მორცხვად ედო და ისე მიცქეროდა.

ვაკოცე ბავშს და პირი შევიბრუნე.

შეველ თორნეში. ფეხშიშველი მეთორნე „ყარამანიანის“ მეცხრე კარს თითის დადებით კითხულობდა. მოვთხოვე წყალი და გული გადავყლაპე.

გავმწარდი.

მინდა ყელში ეულკანი ჩავიდგა და ვიბღავლო:

— გულო, შავგულო, ბედკრულო მეთქი, მაგრამ ეს ახლა არ შეიძლება, როცა ყოველი საცოდავი ჭარხანაც თავის საკუთარ ვეზუვის იხდის.

მინდა ავდგე და აივანზე გავიდე.

იქიდან მოსჩანს მტკვარი დაღვრილი ბარაქიანად, თითქოს წყაროდან მომავალ ღმერთს ხელიდან კოკა გაუვარდა, კოკა გატყდა წყაროზე და დაღვარა იგი.

მტკვრის გაღმა: ელექტროს ტრამვაის ცენტრალური სადგური, საგიჟე და მიხეილის საავადმყოფო.

იქ უკან (არ სჩანს): ფუნიკულორი დგას უზარმაზარ ზურგგადაცვეთილ აქლემივით და ხუთბოლოიანი ვარსკვლავი ანათებს ტფილისს.

ელექტროს სადგური ქოშინობს და აღდგომის პასკასავით არის განათებუ-

ლი. საცაა ზაჰესიც შემოვა მაღალ ფეხებით და ყელზე დაკიდებული ლამბრებით გაანთებს სახლებს.

ცაში ჰკიდია ალდგომის ვერძი, ჰენეს საკონდიტროში გაკეთებული ბოსტნეულ ვერძი წევს და იცინის, თავის ამინდი ჰგონია.

(შაქარი ტკბილია. ნაწონი მეავეა. ციხე შიგნიდან გატყდება. თხა ვიყიდე, თხა გავყიდე,—სარგებელი ველარ ვნახე. მოდი ვნახოთ თხაო...)

კისერზე ვარდისფერი შაქრის ზონარი აქვს შემოჭერილი და ოქროს ეფვანი წკრიალობს ლაბუა ყელზე.

სადგურთან საგიჟე და საავადმყოფო.

საავადმყოფოში მე ოთხი თვე ვიწექი.

იქ ახველებენ ავადმყოფები და სიცოცხლის იმედებით იხოცებიან. იქ სახადია, ჭლექი, პლევრიტი. უზარმაზარი ბალღამიანი კუჭის კიბო მიფორთხავს თეთრ კედელზე და ბაცილებისაგან შეჭმულ სიცოცხლეს თეთრ ხალათიანი ექიმები საათობით ინახავენ ქაფურითა და ფიზიოლოგიური ხსნადით.

ცაში გადმოშვებულა წყვილი აკარწახებული შიშველი მკლავი და ხელში ვარდისფერი ზონარით მუცელ ამოკრული შაქრის ვერძი უჭირავს.

ჰკიდია იგი მოწყვეტით ცოდვასავით ტკბილი დედაქალაქზე.

ხატი ძახთაპირი, წმ. ქრისტეფორე, შეჰყეფს ვერძს და ლოკავს შაქრის ჯვარს, დარჭობილს პასკის თავზე.

ჯვარზე ჩეპლინია გაკრული და იკრიჭება შაქრად დამდნარი.— — —

თავი მეოთხე

შეხედულება და კიდევ რალაცა

ფანჯარასთან მიველ, მტკვარი მოდიოდა ტალახისფერად.

შორს მოსჩანს ნაძალადევი, იქვე მთაზე უზარმაზარი კუზივით დგას წყლით სავსე რეზერვუარი. რამდენჯერ ავმძვრალვარ ბავშობისას მის სახურავზე და ჩამიხედია წყლის სილრმეში!

ძილი გამიფრთხა.

მე ნაძალადევში ალვიზარდე.

ჩვენ სახლში მოდიოდენ რკინიგზის მუშები, სელის სკამებზე მოუხერხებლად ტლანქად ისხდენ, იცქირებოდენ ღია თვალებით და მაზუთში დასვრილ ნამუშევარ ხელებს პაკლით იწმენდდენ.

თვალებალგზნებული ლაპარაკობდენ საქმიანად, დინჯად კომუნაზე, თანასწორობაზე, ერთობაზე და მათ ლაპარაკში იყო რალაც პირდაპირი, გადულახავი და ძლიერი.

მე აქ გავიგონე პირველად მარქსის სახელი და ამ სიტყვამ მაგრძნობინა სიტკბო და სითბო სიტყვებისა.

მანამდე მე ვიცოდი კიდევ ორი უცნაური სიტყვა: დედა და თაფლი. სიტყვა თაფლს მე ვჭამდი, ტკბილი იყო, დედა სხვა იყო, უფრო ტკბილი და განუყრელი. მერე მე გავიგონე სიტყვა ლმერთი. ის ამოუკიბეტა—აბეზარად, ვერაფერი მოუხერხე და არ ვიცოდი რა მექნა. ის არ ეტევოდა ჩემს გონებაში. მე ხელს ვკიდებდი ყველა სიტყვებს და ეს არ მემორჩილებოდა, გული მომივიდა და გადავაგდე.

მერე ხელახლა შევხვდი ამ სიტყვას გაჭირვებისას.

ახლა ყველა სიტყვები ჩემი კეთილი ნაცნობ-მეგობრები არიან. ზოგი ჩემი საყვარელია, ზოგი უცხო დედოფალი, ზოგი სიტყვა ჩემთან ერთად წვება ლოგინში, ნებიერი ბავშვივით თავს მკლავზე დამადებს და ბიეძინება.

მე მიყვარს სიტყვები ისე, როგორც კრიჟანგს ოქრო და ფული.

როცა მე საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი დავკარგე,—ისე ვიყავ, თითქოს დედა მომიკვდა.

ხშირად მემართება ასე: როცა ქუჩაში მივდივარ, უეცრად რომელიმე სიტყვა დამინახავს, ამედევნება, საყვარელ ქალივით მომყვება გვერდით და იმეორებს თავის თავს უამრავ სახეებში, უამრავ ფერებში, თავს მაწონებს, მეალერსება, რომ ხელი გამოვდო და სახლში ცოლად წავიყვანო.

ზოგი სიტყვა მაიმუნივით მანჭიაა, ზოგი ნიბლიასავით ყუჩი და ზოგი პროსტიტუტივით უსირცხვილო, კაპასი და მყვირალა.

ოო, მე ძლიერ მიყვარს სიტყვებთან ცხოვრება!

ახლა, როცა ყველამ მიმატოვა, მე მხოლოდ ისინი შემრჩენ...

ახალი უცნაური სიტყვები, მე რომ გავიცანი, იყო ტფილისი და მარქსი. პირველი შემოვიდა ჩემში და მე შეველი მასში. მეორე უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. როცა მამაჩემის წიგნებში მარქსის სურათი ვნახე, მე ამხანაგებთან გიჟივით გავიქეცი, მოვნახე ლადო ბუნტური, მანასე გოდაბერიძე და კიდევ ერთი ამხანაგი, რომელიც დურგლის შეგირდი იყო და სულ ახალგაზდა მოჰკლეს გალიციაში იმპერიალისტურ ომის დროს, სურათი მოწიწებით ავიღეთ, სახლის თავანზე ავიტანეთ და მუცელზე დაწოლილნი დიდხანს დავცქეროდით.

მერე მე გავიცან ბევრი სიტყვები, ბევრი სახელები.

მაგალითად, მე მიყვარს სიტყვა ოფლი, ქორაფი და ვინ იცის კიდევ რამდენი სიტყვა მიყვარს მე!

როცა მე ვხედავ ნივთს, რომელიც ანათებს, ის დგას ცალკე, მაგრამ, როცა მე ვიტყვი:

— ლამპა!..—ეს ნივთი იღებს უცნაურ სახეს, ის რეალობა ხდება, მოდის ჩემთან, შემოდის ჩემ ინტიმობაში და მე მეშინია არ გატყდეს და ცეცხლი არ გამიჩნდეს.

მზის სისტემის გარდა არის მრავალი სისტემები, მაგრამ მე ისინი სრულიადაც არ მაფიქრებენ, მე ჭიანჭველაზე უფრო მეტს ვფიქრობ, ვიდრე მათზე, იმიტომ რომ მე არ ვიცი მათი სახელები, მიუხედავათ იმისა რომ ისინი არსებობენ და გადაულახავი ფაქტები არიან.

ფაქტი მოჩვენებაა, მე მხოლოდ ხილვა მწამს და ჩემთვის ცხოვრება მხოლოდ შეხედვაა, მიდგომაა და სხვა არაფერი. ამისათვის საჭიროა ხედვის წერტილის მონახვა, მე ეს წერტილი ვერ მოვნახე და, ალბათ, იმიტომ [illegible] ჩემი გზები.

ვინ იცის, იქნებ, გიჟი უკეთ უცქერის ფაქტებს!

ეს არ ესმოდათ არც ბუნტურს და არც მანასე გოდაბერიძეს. არც მე მესმოდა ეს, მაგრამ ვგრძნობდი. ამიტომ ავცდი მე მათ მეგობრობას.

ისინი ყველაფერს უბრალოდ უცქეროდენ.

ლადო ბუნტური ახლა ემიგრანტია პარიზში, მანასე გოდაბერიძე პროფმოძრაობის მოღვაწეა აქ, ტფილისში.— — — — — — — — —

თავი მეხუთე

ფიცი

— — — — — — — — — — — — — — — — —

ეს იყო ცხრაას ხუთში.

მე მაშინ მოკლე შარვლით დავდიოდი. ვიყავ პატარა და ჩემი ოცნება იყო გრძელი ტოტებიანი შარვალი ჩამეცვა, ვყოფილიყავ მაღალი და წვერ-ულვაშით შემოსილი.

ყოველ დილა ლოგინს ვეტოლებოდი და ვნატრობდი იმ დროს, როცა მის სიგრძეს თავიდან ბოლომდე გავწვდებოდი, ვიქნებოდი დიდი და მეც მამაჩემივით ჭკვიანად, ნელა და ბოხი ხმით ვილაპარაკებდი.

მე ყაჩაღების მეთაური ვიყავი. ჩემი ამხანაგები იყვნენ ლადო ბუნტური და მანასე გოდაბერიძე (მე მაშინ მათი გვარი არ ვიცოდი, არ მჭიროდა და იმიტომ).

ჩვენ ტყეში უნდა გავვარდნილიყავით, მაგრამ თოფი არ გვქონდა, ვიცდიდით და, ცოტა არ იყოს, ღამე გარეთ გასვლისაც გვეშინოდა.

ჩვენ მდევებსა და ყაზახებს უნდა შევებმოდით.

ეს იყო ცხრაას ხუთში, შუა ზამთარში, ზამთარში იდგა დიდი სამოვარი და იორთქლებოდა ოთახში.

და ცხრაასხუთმა ცხრა ძმა შეიწირა ზვარაკად.

მე და ჩემი ამხანაგები უცნაურად გაფითრებულნი შეველით ნაძალადევის საეკლესიო-სამრევლო სკოლის ოთახში და ვნახეთ: ცხრა ახლად განბანილი ვაჟკაცი თეთრ წინდებისა და პერანგის ამარა იწვა სკოლის პარტებზე ჩამწკრივებული ისე, თითქოს ეძინათ.

არ გვიტირია.

კრიჭა შევკარით და გარეთ გამოველით.

ვიცოდით: სისხლის აღება იყო საჭირო.

შევხედე ამხანაგებს და მივხვდი: შურს იძიებდენ.

მერე ჩვენ გამოველით გარეთ და უცქეროდით როგორ თხრიდენ ნაძალადევის პატარა გორაზე მუშები საერთო აკლდამას,—მამაჩემიც იქ იყო.

დახოცილთა შორის სიზმარივით მახსოვს ერთი სახელი, ის სინათლესავით შემოვიდა ჩემს გონებაში და კუბოში ჩამყვება, არ ვიცი რომელ მათგანს ერქვა, მკვდრები უცნაურად ემსგავსებიან ერმანეთს და მით უფრო [illegible]ა: მინა კალაძე...—

ეს იყო ზამთარში. მაშინ თოვლი იყო და, როცა დედამ გარეთ გაიხედა,— მოედანი, სადაც ეკლესია შენდებოდა, სავსე იყო ხმალამოღებული ყაზახებით.

ვიღაც სამუშაოზე მიმავალი ტრამვაის ლიანდაგის მწმენდავი მუშა შეიპყრეს, ლიანდაგის საწმენდი წვეტიანი ბარი წაართვეს და ჩვენ ბაღში ჩამოაგდეს. ბარი ისარივით შაერჭო თოვლში რბილად და მე მომეჩვენა, თითქოს ტვინში ჩამესო იგი.

მას მერე დავდივარ მე ამ ისარივით წვეტიან ბარით ტვინში და ვერ ვიცილებ შავებში ჩაცმულ მოხუც დედაკაცის კივილს დათოვლილ მყუდროებაში და ცხენების ფრუტუნში რომ გაისმა მაშინ.

ცხენები იდგენ ქუჩებში, ფრუტუნობდენ და პერანგივით სუფთა თოვლზე ჰყრიდენ აორთქლილ ცხელ ჩონჩორიკს.

მე შემეშინდა, აკანკალებული მაგიდის ქვეშ შევძვერი და ტირილი დავიწყე. ვიცოდი, „იმათაც“ იგივე ბედი მოელოდა, როგორც რაჟდენ სტურუას, თოფის წმენდაში რომ ვეხმარებოდი.

დედა მაყვავებდა.

მამაჩემი დაიჭირეს და მალე მე და დედაჩემი ვიდექით სირაჯხანის ქუჩაზე და ხელს უქნევდით მეტეხის ციხის სარკმელზე მომდგარ მამას.

მამაჩემი იყო რკინიგზის მუშა.

ქვა დაიკიდა გულზე და ისე მზრდიდა, მაგრამ მე ვერ გაუმართლე იმედი. მე მუდამ უცნაური ვიყავ და მუდამ თავი მტკიოდა.

ის არსენ ჯორჯიაშვილის ამხანაგი იყო და, როცა მე გავიგონე:

დედავ, ნუ სტირი,
მამავ, ნუ სჩივი,—
მე მოვაშორე
ქვეყანას ჭირი!..

მე მივდექ კუთხეში და გულამოსკვნილი ვტიროდი ძია არსენას.

ახლა მამა არა მყავს.

ის მოჰკლეს ბაიკალზე, როცა მან გაქცევა დააპირა.

მას მერე მაფიქრებს მე ტბები: ბაზალეთის ტბა, პალიასტომი, თაფარავანი.

ახლა დედა სოფელშია და მწერს ტკბილ წერილებს, რომ კარგად ვიყო, რომ მისმა ძროხამ მაშოლიამ მოიგო ხბო და ჩემ სახელზე ზრდის.

მე ვცხოვრობ უცნაურ ოთახში: აქედან მოსჩანს მყინვარი, მახათა.

მე ვხედავ შაქრის ვერძს, ჰკიდია იგი ცაში ტკბილი, როგორც მეშჩანთა პალატის ღერბი და სიცხე იხუთება გვალვაში.

ხანდახან მგონია, რომ ტფილისი არის ძველი ალექსანდრია და მე ვიღრჩვები კურტიზანების გინგლივით ცხელ სხეულებში. ქალის შიშველ სხეუ-

ლებში ამართულია უზარმაზარი პაპირუსების სამკითხველო თავგამხმარი ბიბლიოფილებით, ხელში რომ უზარმაზარი ფოლიანტები უჭირავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეექვსე

შავი ყორანი

ჩემ გვერდით ცხოვრობს უცნაური ხალხი: ზოგი ვაჭრობს, ზოგი ჩარჩობს და ზოგიც თავისუფლების მოედანზე ვალიუტას ახურდავებს.

არის აქ კაცის მკვლელიც: მე მაშინებს მისი ციებიანივით უაზრო თვალები.

ჩემს მეზობლად ცხოვრობს ჩემი დიასახლისი, მანანას დეიდა კნეინა რიფსიმე, ისე რომ ჰგავს სათამაშო ქალალდის ყვავის ქალს. შემოვა ჩემთან და მელაპარაკება თვითეულ სათამაშო ქალალდის მისტიურ მნიშვნელობაზე.

ყოველ ტუზს, ყოველ დამას და ვალეტს აქვს თავისი ისტორია და თავისი რომანტიკა. ეს არის ქალალდის რომანტიკა, თბილი და უსიცოცხლო.

ეს ძველი სახლი, სადაც მე ვცხოვრობ ეკუთვნის ამ ქალს.

ქირას არავინ იხდის და ცხოვრობს ღარიბად.

არსად დადის.

არც მასთან დადის არავინ, თუ ღამის სტუმრებს არ ჩავთვლით.

მხოლოდ მანანა მოდის ხანდახან და კნეინა რიფსიმე ეალერსება, ჰკოცნის მას, აჭმევს ნაირნაირ მურაბებს, ასე რომ უყვარს მანანას, და მე არ ვიცი რა ვქნა მაშინ. აზრები მებნევა, წერას თავს ვანებებ, ვეწევი თუთუნს და დავრბივარ ოთახში.

ხანდახან დიასახლისი მეც დამპატიჟებს და მე ველაპარაკები მანანას ათას უბრალო რამეზე, თუნდაც დოლზე, სადაც მისი დეიდაშვილი, კახეთიდან გადმოხვეწილი კნიაჟნა ტოტალიზატორში მსახურებს, ან და უკანასკნელ ფრანგულ რომანზე.

უცნაური ქალი არის ჩემი დიასახლისი,

ტანთ დედის დანატოვარი ჩრჩილით დაჩინჩული კაბა აცვია, სახე ნაოჭებით აქვს დალარული, უმარილით შეჭმული, ცხვირი წვეტიანი და მოღუნული, ნიკაპი გრძელი, ფერუმარილს უხვად იცხებს და მუდამ, ზამთარ-ზაფხულ, ასდის ნაფტალინის სუნი (ალბათ, მასაც ჩრჩილი გაუჩნდა).

ოთხმოცი წლის ბებიაო,
როდის გათხოვდებიაო?..

ერთადერთი ადამიანი, მასთან რომ ცხოვრობს, ეს—ყრუ-მუნჯი სირანუშაა. და ასე მის ოთახში გამეფებულია: სიჩუმე და სათამაშო ქალალდის მყუდროება.

მთელი დღეები უზის როკოკოს სტილის გაცრეცილ ოქროში მოელვილ პატარა მრგვალ მაგიდას და შლის პასიანსს.

— დღეს მე პრინცი ვნახე!..—შემოვა ოთახში და [illegible]ი ღამის გზით მოვა... ის ჩემი ვალეტია... თქვენ, ალბათ, იცით, [illegible] მიყვარს... პეტერბურგში გვიცანი მის უდიდებულესობის საიმპერატორო კარის რაუტზე!..

მე სრულიადაც არ ვარწმუნებ, რომ თუ ასეთი პრინცი მართლა იყო ოდესმე, ის ახლა დაბერდებოდა, ან-და ბოლშევიკები დახვრეტდენ.

მის ოთახში ჰკიდია პრინცის სურათი, მას კავალერჰარდის ქუდი ჰხურავს და აკაჟუს წითელ ჩარჩოდან იცქირება ჯიშიანად.

ღამით მასთან დამები და ვალეტები დადიან.

მთელი ღამე თამაშობენ ქალალდს, ხმის ამოუღებლად, არც გაიცინებენ, არც დაახველებენ, არც წაიკიდებიან, ისმის მხოლოდ დარიგებულ ქალალდის შრიალი.

უცნაური არიან ისინი.

მე არ ვიცი სად იმყოფებიან ისინი დღისით, ან სად ცხოვრობენ.

მე განგებ დავკვირვებივარ ქალაქს: დღისით ასეთი ხალხი ქუჩაში არ შემხვედრია.

არიან: გამოთაყვანებული, გამხდარი, მაღალი.

გამოხედვა: ქალალდივით მშრალი, გაწყალებული თვალები და მკლავები:— არ აბიათ,—ჰკიდიათ.

ერთხელ მე მათ დაუდარაჯდი და ვნახე დილის სინათლეზე: ისინი ისე საცოდავი იყვნენ, უფერულნი, გაცრეცილი და დარიგებისაგან ნაფურთხი თითებით კუთხეებში დასვრილი.

თუ ქალალდს არ თამაშობენ, მაშინ ისინი აბნელებენ ოთახს და აწყობენ სპირიტიულ სეანსებს. მრგვალ მაგიდაზე ხელებ დაწყობილნი, ისინი ეძახიან ფილოსოფოს პლატონს, ცეზარს, ან ნაპოლეონს და ეკითხებიან, როდის წავლენ საქართველოდან კომუნისტები, მერე ფუსფუსობენ, სიხარულით ხელებს ისრესენ და ამბობენ ფრანგულ აქცენტით, ასო რაეს მაგიერ ლანს ხმარობენ და უხარიათ რომ ამ წელიწადს ვერ გააწევენ ეს წყეული ბოლშევიკები, მთელი ქვეყანა რომ დააქციეს.

— აკი გეუბნებოდით, კნეინა, და თქვენ კი არ გჯეროდათ.

— ღმერთო ჩემო, მომიტევეთ სულმოკლეობა, მე სულ დამეკარგა იმედები!..—უპასუხებდა კნეინა რიფსიმე აცრემლებულ თვალებით თავაზიან ვალეტს და წუთით ჩვეულებრივი მყუდროება დაირღვეოდა. მერე ისევ სიჩუმე, ისევ ჩრჩილი, ძველი გამოხუნებული პორტრეტები და ეს გაცვეთილი ქალალდის უსიცოცხლო ვალეტები და დამები უცნაური ტანისამოსით.

ახლა, მე რომ ვწერ:— ისინი ქალალდს თამაშობენ.

ჩემი დიასახლისი ყვავის დამასავით ზის სტუმრებში და ქალალდს თამაშობს. ცოტა ხანს ყურს უგდებ მათ და მერე ისევ შენზე ფიქრს უბრუნდები.

შენ ვერ გიცილებს ჩემი გონება. რა ვქნა მე ახლა, როცა ასე მიყვარხარ და არ არის ჩემი საშველი!

ეარეენული ბიბლიოთეკა

მომაგონდები სიზმარში,
წამოვდგები და ვტირი!..

ვის შევჩივლო არ ვიცი. ცას, მიწას, მთებს თუ მეგობრებს, რა არის ამის წამალი?..

მამლებმა გათენების იყივლეს, მეეზოვეები ქუჩებს ჰგვიან და ისმის ცოცხების შრიალი.

მილიციონერი დადის ქუჩაში: თუ ცოლიანია,—ფიქრობს ცოლშვილზე, თუ უცოლო—პროსტიტუტებზე, ან-და უსაქმურობისაგან და მოწყენილობისაგან მეეზოვეს ეჩხუბება, რომ წუხელ მან რომელიღაც სახლის ალაყაფი დროზე არ დაკეტა.

მე ვწევარ და ვფიქრობ შენზე.

ოთახში მყუდროებაა.

მთვარე იღვენთება და სახლის სახურავები დაყურსულია აკაციის თოვლივით მტევნებით.

ფიქრები მტკვარს ტალღებად მიაქვს, მიათამაშებს და უერთებს დუდუნს. მე მეჩვენება, თითქოს მტკვარი ადგა, გაწვა მთვარის სხივებზე, სხივებმა ხელებიანი ასწიეს იგი და უზარმაზარი გრილი გველივით მოაგდეს ჩემ სარკმელთან.

მტკვარი იცქირება ცისფერ თვალებით ჩემ სარკმელში და მიზეზიან ქალივით მეხვეწება რომ ოთახში შემოუშვა. მას მოსწყინდა მარტო დუდუნი ამ შუალამეში და უნდა წაიძინოს, თვალი წაატყუოს, წუთით შეჩერდეს და მაშინ, მე ვიცი, სოფელში გამიგონია, რომ გამოვა ალი და თამაშს დაიწყებს გაჩერებულ წყალში.

მას უნდა დაწვეს ჩემ ლოგინში და მოისვენოს. მას უნდა ლორლად ჩაყრილი ქვები ძვლებივით გაითბოს ჩემი სხეულის სითბოში, ის მეეფერება, ლოკავს სარკმელის მინას მთვარის ჭავლით და მე ვერ უძლებ მის მუდარას, ნებას ვაძლევ და სარკმელი იღება ფართოდ, ოთახი ივსება წყლითა და მოდენილ მთვარის სხივებით, და ასე ჩემი ოთახი დაემსგავსა ძველი ბოთლებითა და ეენური სკამებით მოვაჭრე თათრის დუქანში დადგმულ მტვერიან აკვარიუმს.

მე ვწევარ აკვარიუმში და წყლის სიგრილე ნერვებს მიმშვიდებს. პირგაპარსული კნეიპი მტკვარს დირიჟორობს და მტკვარი ჰკვნესის ჩანგურივით.

და, როცა მე ასე ვარ,—ვხედავ: მოკურავენ სალამანდრას ზურგზე შეფორთხებული მორიელი, ლიპი ტრიტონი და აგური, ჩემ დერეფანში რომ დევს, ზურგზე შეგდებულ ჩემი ოთახის გასაღებით შემოვიდა ოთახში მსუქან ბიურგერივით.

სალამანდრა იწვის თეთრად, წყალი შიშინობს მისი ცხელ მუცლის ქვეშ და აგური იგი, გადამთვრალი მდევი გარგანტუა, მღერის რატომღაც გერმანულ

მალბრუკს. კარგა ხანს იმღერა ასე ამ გარყვნილმა აგურმა ოთახში, მერე დაიღალა, ახვნეშებული დაწვა იატაკზე და დაიძინა.

აგურის სითბოდან გამოველი მე და ვხედავ რომ სალამანდრას ფოსფორიული სინათლე წმინდანის ნიმბივით ადგას მორიელს და მთლად გაბათებული ლრიანკალი ჰკბენს სალამანდრას და არწყევს ნაკვერცხალივით გაქათქაოებულ ხორცში შხამსა და ლოშქრს.

— რას შვრები, ძმობილოვო?..—ეკითხება ტკივილით გამწარებული სალამანდრა.

— მე ასეთი გვარისა ვარ, თუ ვინმეს არ უკბინე, ისე არ შემიძლიაო!..— მიუგო მორიელმა და კიდევ უფრო ლრმად ჩაასო შხამიანი ნეშტარი.

სალამანდრამ ვერ აიტანა.

— მე კი ისეთი გვარისა ვარ, თუ დაშხამული ადგილი წყალში არ გავიბანე, ისე არც მე შემიძლიაო!..—მიუგო სალამანდრამ, დაყვინთა და წყალი აშიშინდა შიგ ჩაშვებულ ნაკვერჩხალივით, მორიელი წყალში ტივტივით წავიდა, აგურს მოეკიდა და მის ქვეშ შეფორთხდა.

აგურ ქვეშ მე ოთახის გასაღებს ვინახავ, ახლა იქ კბენას მოწყურებული მორიელი იკრუნჩხება და თავს იშხამავს.

აგურით მე დიასახლისი ფეხებს მითბობს და ახლა მის ქვეშ მორიელი ზის და ამბობს შხამიან არაკებს.

შეშეშინდა.

ელექტროს სადგური ისევ ქოშინობს.

სადღაც ძაღლი ყმუის და ხატი ძახთაპირი ჰყეფს ცაში, სახლები ბანს ეუბნებიან.

წმინდა ქრისტეფორე იყო ბერი და უმშვენიერესი ვაჟკაცი. ამ მშვენებას იგი ხშირად შეცოდებაში შეჰყავდა. ალერსს მოწყურებული ქალები სამოსს იგლეჯდენ ტანზე და ახურებული ფურირმებივით დასდევდენ. მაშინ წმინდანი შეევედრა ღმერთს, რომ მისთვის ძაღლის სახე მიეცა. ღმერთმა აუსრულა წადილი. უეცრად აყეფდა იგი ეკლესიაში და დაბინავდა წმინდა ძაღლი წმინდანთა შორის. იგი ავი ყუბაჭივით სდარაჯობდა სარწმუნოებას, იცავდა მას მწვალებელთაგან და ჰყეფდა დაუღალავად.

აქ არის რაღაც ეგვიპტური და ეს ეგვიპტური ძაღლი (თუ ტურა ანუბისი?) არ ჰშორდება ჩემ ტვინს. ტვინში დეკს გახეხილი აგური და აგურ ქვეშ მორიელია დამალული.

მორიელმა ჩამოსო ტვინში გესლი და მარწყევს შხამსა და სამსალას.

ტრიტონი დაფრთხა, ტვინს მიეფარა და მე ტკივილისაგან შეიწრებული ვეკითხები მორიელს:

— რას შვრები, ძმობილოვო?

— მე ასეთი გვარისა ვარ, თუ ვინმეს არ უკბინე, ისე არ შემიძლიაო!..— მიპასუხებს მორიელი და ტვინს მიწამლავს.

რა ვქნა მე ახლა,— ცურვა მე არ ვიცი და რა უყო!

ასე ვწევარ მე მტკვარში და მტკვარი სულივით ჩამიდგა პირში.

სათავე მისი იმყოფება კოლის სანახებში და სათავე მისი არის წამება შვიდთა ყრმათა კოლაელთა.

მე ხომ წმინდანი არა ვარ, მე ვარ პოეტი, და რატომ უნდა იყოს [illegible] და მაინც ჩემი სათავე წამება, და, თუ ეს ასე აუცილებელია, რა [illegible], როცა არც შეძლება მაქს ამისი და არც სურვილი!..

ასე ვარ მე, ვწუხვარ, ერთ ადგილას ვარ ვისვენებ და ვტრიალებ ლოგინში.

არ ვიცი, ვერ გამირკვევია: ცხადში ვარ, მძინავს და სიზმარია, თუ მოლილი ტვინის ბოდვაა ყოველივე ეს.

უეცრად კაკუნი მომესმა.

მოვიხედე ჩემ კარებში აკაკუნებენ.

ვინ უნდა იყოს ასე გვიან?..

— ვინ ბრძანდებით?..—ვეკითხები მე ვაკვირვებული ხმით.

— ბატონო დუდე, გძინავთ?—მეკითხება ქალის ხმა კარებს უკან. ვიცან:— ყვავის ქალია, კნეინა რიფსიმე.

— არა, ბატონო, მობრძანდით!..—ვეხმაურები მე და ჩემს ირგვლივ ლოგინს ვასწორებ.

კარი იღება და ოთახში შემოდის შავ აბრეშუმის კრინოლინში გაფარფაშებული ავადმყოფ დედალ ყვავივით მოფუყული ოთხმოცი წლის ბებია.

ის სათამაშო ქალალდიდან გადმოფრენილ ყვავსა ჰგავს.

მტკვარი აღარ არის ჩემს ოთახში და უკვე დამცხა. თავი უხერხულად ვიგრძენ საბანი კისრამდე დავიხურე, ხელები საბნის ქვეშ მაქვს დამალული და ისე ვეუბნები:

— მობრძანდით, ჩემო ბატონო, აი სკამი და, თუ ძლიერ არ შეგაწუხებთ, აგერ ელექტროს ღილი და აანთეთ!.. მე ბოდიშს ვიხდი რომ ასე დაგიბკდით!..

— არაფერია, რატომ ირჯებით!..—მომიგო ყვავმა, ნუ სწუხდებით, მთვარეც საკმაოდ ანათებს ოთახს და, სხვა რომ არა იყოს რა, ამაში არის ერთგვარი რომანტიკაც!..—დააბოლავა მან თავისი სიტყვა ფრანგულად, უცნაურ კილოთი, აბრეშუმის შრიალით მომიახლოვდა და ჩემ ლოგინზე ჩამოჯდა ყორანივით შავი.

ბოდიშიც არ მოუხდია, ისე ჩამოჯდა იგი და მე არ ვიცი როგორ უნდა მოვიქცე: გავგულისდე თუ ყველაფერი ისე ჩავაგდო, თითქოს ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

მე ვწევარ და უცქერ.

მთვარის სინათლეზე ის კიდევ უფრო გამხდარი მოსჩანს და ცხვირი ნისკარტს მიუგავს.

რატუშის საათი ყრუდ რეკს სამჯერ, მას სხვა საათებიც ეხმაურებიან და ზერე არის ოთახში ისევ დუმილი.

— უკაცრავად!..—მინდა კიდევ მოვიხადო ბოდიში, მაგრამ გადავწყვიტე რომ არ ჭლირს და ხელი ჩავიქნიე.

უცქერ: ყაჩივით თეთრი თმა და ფერუმარილით შეცხებული სახე უცნაურად უხდება მისი შავი აბრეშუმის ტანისამოსს.

ყვავის ქალი უხერხულად ზის ჩემ ლოგინზე და არც მე ვგრძნობ ჩემ თავს მაინცა და მაინც მოხერხებულად.

— ბატონო დუდე!..—დაიწყო მან, მაგრამ რატომღაც შეკობა და გაჩუმდა. მე შევამჩნიე რომ ის ჰლელავს და არ იცის როგორ დაიწყოს.

უეცრად მე გული მომივიდა მისი ამგვარ საქციელზე: რა დროს სტუმრობაა ღამის სამ საათზე და მიხარია რომ ის ასე უხერხულად ჰგრძნობს თავის თავს. ახია მასზე, ყოველმა კაცმა უნდა იცოდეს თავისი დრო და ადგილი. და მე რაღაც უცნაური კმაყოფილებას ვგრძნობ რომ **მანანას** დეიდა ასე მორიდებულად მეპყრობა. მიხარია რაღაც ბლებეურ სიხარულით, რომ ეს კნეინა ასე მოიღუნა და მოლოდინით, თითქოს ნიშნის მოგებითაც უცქერ დამას.

— ბატონო დუდე!..—დაიწყო, როგორც იქნა, მან და ჩემი სახელი უცნაურად მომეჩვენა მისი პირიდან, თითქოს მე რომლიღაც რომანის გმირი ვიყო,— თქვენ იცით, ალბათ, მე რომ ქალალდს ვთამაშობ. მე ვთამაშობ ადამიანის დღეებზე. შეხედეთ ჩემს სახეს, იგი დაღალეს ამ დღეებმა. ათასი ადამიანის სიცოცხლე უერთდება ჩემ სიცოცხლეს და ამან დამაჭკნო მე. მე მიყვარდა პრინცი, მაგრამ მან უარი მითხრა სიყვარულზე. მას მერე გადავწყვიტე, რომ ჩემი სიცოცხლე არ ჭლირდა. ასე დავკარგე მე მთელი ჩემი მომავალი, მაგრამ დღეები უფერული, მე რომ უნდა გამეარა, რადგან მე ვიყავ ცოცხალი, მაინც დამრჩა ბეგარასავით და მე გადავწყვიტე მათი წაგებაც. ოო, თქვენ რომ იცოდეთ, როგორ მიყვარდა მე პრინცი'.. ახლაც მიყვარს. როცა მძინავს, ის მოდის ჩემთან და თმებზე ხელს მისვამს და მე კატასავით ვინაბები მის ალერსიან ხელებ ქვეშ და ვრუტუნობ. ასე დავიწყე მე ჩემი დღე და ღამეების წაგება. ამაღამ მე წავაგე მთელი ჩემი სასიცოცხლო დღეები და ხვალ შუაღამით, როცა კურანტები დაჰკრავენ თორმეტს, მე აღარ ვიქნები. და ახალა, როცა სიკვდილი ასე ახლოა ჩემთან, მე არ მინდა სიკვდილი. მე სიცოცხლე მწყურია, დუდე, სიცოცხლე მინდა!.. თუნდაც იმად მაინც ჭლირს ეს დღეები, რომ ის სიზმარში ვნახო. მიშველე, დუდე, დამიხსენი!.. თქვენთვის ჯერ ხომ არაფერს წარმოადგენს ეს შვიდი დღე. თქვენ ახალგაზდა ხართ, სიცოცხლით სავსე და, როცა სიბერე მოგეპარებათ, მე გაძლევთ პირობას რომ დაგიბრუნებთ. მასესხეთ მე ეს შვიდი დღე, მომეცით საშუალება რომ ვითამაშო!.. მე ვიცი: უეჭველად ამოვიგებ და, როცა დაგჭირდებათ,—დაგიბრუნებთ. ხელწერილს მოგცემთ. მე ბევრისაგან მაქვს ასე ნასესხები და ყველას დანიშნულ დროზე უბრუნებ თავის ვალს. ხვალ ღამის თორმეტ საათზე მე მოვკვდები, მე კი სიცოცხლე მინდა, გესმით, ბატონო დუდე, მე მინდა ვიცოცხლო!.. მასესხეთ, ბატონო დუდე, ეს შვიდეული!.. მე ვიცი რომ უეჭველად მოვიგებ და ყველა წაგებულ დღეებს ერთიანად გამოვანაღდებ. თქვენ ხომ პოეტი ბრძანდებით, თქვენ უცნაური კაცი ხართ, ფანტაზიორი და მიმიხვდებით. მე მესმის, ძლიერ კარგად მესმის, როგორც მუსაიფობთ თქვენ ათას უცნაურ თემებზე თქვენ საკუთარ თავთან. მომეცით ეს შვიდი დღე, მასესხეთ!..—მემუდარება ყვავის დამა, სტირის, ძლიერ სტირის და უმარილით შეცხებულ სახე ცრემლებით გრძელ ზოლებათ ერეცხება.

მე უცქერ ამ ბებერ კნეინას, შემჯავრდა იგი და გადავწყვიტე ერთი წუთიც არ მივცე და ვიწექ ასე გაკერპებული. მის ასეთ მუდარაზე ვიგრძენ, მე, რა ძვირფასია ეს სიცოცხლე და გადავწყვიტე არ ვასესხო. რა [illegible] ისიც წააგოს, და რა ვქნა მე მაშინ. თუ ამ სისხლგამშრალ დედაბერს ასე სწყურია სიცოცხლე, მე რა დამიშავებია ამ ქვეყნად?

და მე ვიგრძენ რომ, იმიტომ კი არ ვაძლევ ამ დღეებს, რომ ისინი ძვირად მიღირს, პირიქით, მე ისინი ჩალის ფასადაც არ მიმაჩნია და რომ შეიძლებოდეს, ყველა ამ დღეებს დავახვევდი ქაღალდებივით და ცეცხლს წაუკიდებდი. მე მინდა ვაწვალო ეს დედაბერი, იაროს მთელ ქალაქში უძილობისაგან შეწუხებულ ხალხთან, ავადმყოფებთან და ეძებოს ეს დღეები, მოკვდეს და მოვისვენებ მის უცნაურ ქაღალდის სტუმრებისაგან. ასე სასტიკი ვარ მე ახლა. მიხარია, რომ მეც შემიძლია ვიყო მკაცრი და დაუნდობლად ვამობობ დინჯად და ყოველ სიტყვას კი არ ვამბობ,—ვტკეპნი:

— მე ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, მაგრამ არ შემიძლია... თქვენც კარგად მოგეხსენებათ რა ძვირფასია ეს დღეები... მე ძლიერ მიყვარს სიცოცხლე და ამიტომ მომიტევეთ, რომ უნდა გაგაწბილოთ... თქვენც კარგად ხედავთ, რა ძნელია...

ქალი შეკრთა, თითქოს კიდეც შეხტა, და მე მოვკარ თვალი როგორ აენთო წუთით მისი თვალები ბოროტი ცეცხლით და როგორ ჩაქრა იგი. მერე შემხედა მორჩილი თვალებით და ხმა არ ამოუღია, თითქოს არც გაუგონია ჩემი სიტყვები, ისე შემეკითხა ნელა, დაფიქრებულმა.

— მაშ, არ მენდობით?..—და მე ვიგრძენ ამ ყინვასავით ცივად წარმოთქმული სიტყვებში რაღაც მუქარის მსგავსი.

— მაშ, არ მენდობით?..—შემეკითხა ის ხელმეორედ ისე, თითქოს ეს სიტყვები მე არ შემეხებოდენ და მე არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავ: მეპასუხნა თუ არა, მაგრამ მაინც დავიწყე:

— ქალბატონო, რა ვქნა, მე ძლიერ მიჭირს თქვენი გაწბილება, მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემიძლია...—ბ მე სიტყვის დათავებაც ვერ მოვასწარ რომ ეს დედაბერი რაღაც უცნაურად აიგრუზა, თავი მხრებში ჩაუვარდა, ცხვირი და ნიკაპი კიდევ უფრო წაუგრძელდა და ის იყო: ნამდვილი როკაპი, ნამდვილი თვალბედითი შავი ყორანი.

— მაშ არ მენდობი?..—დაიკივლა მან ცივი ხმით და უეცრად ყელში მეცა, მე მოვასწარ, მაჯებში ხელი უტაცე და იქით მივაგდე. ქალი იტაკზე დაეცა და ეგდო ისე, არ განძრეულა. მე, ნახევრად წარმომდგარი, გაბოროტებულ თვალებით უცქეროდი მას და ახირებულ სიუჯიტით ვიზეპირებდი:

— არ მივცემ, მე ვარ და არ მივცემ, ახლა!..

მთვარე კიდევ უფრო ანათებდა ჩემს ოთახს. ქალმა თავი ხელებში ჩარგო და იყო ასე გარინდებული, მერე მცრებმა უცნაური ტოკვა დაუწყო და მე გავიგონე ქალის თავშეკავებული უმწეო ქვითინი და ქვას გაჰხეთქდა ეს ტირილი, ისე საცოდავად და მორჩილად ჰლვრიდა იგი ცრემლებს.

მე შემებრალა ქალი და მზად ვიყავ მთელი ჩემი სიცოცხლე დამეთმო მი-

სთვის, ოღონდ ეს ტირილი არ გამეგონა. გულზე რაღაც თბილი გადამესხა, წამოვიწიე, ქალს მაჯაში წავეტანე და ლოგინზე ჩამოვსვი.

— ქალბატონო,—წამოვიძახე და ყელში რაღაც მომაწვა—ქალბატონო,—ნერწყვი გადავყლაპე და განვაგრძე:—ნუ სტირით, ქალბატონო, მომიტევეთ!.. ინებეთ, ქალბატონო, ინებეთ, რამდენიც გნებავთ!..—ვეხვეწებოდი მე და ეხლა მეშინოდა რომ უარი არ ეთქვა ამ დედაკაცს და არ მომკვდარიყო.—მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს!.. მე ისედაც მომწყინდა ეს სიცოცხლე. ჩემთვის არავითარი ფასი არა აქვს ამ დღეებს, როცა ისინი ორჩხუბის გამბმარ ბლის ტყავებივით აწყვია უსიცოცხლო და უაზრო. მე ყოველდღე ძველ ლანჩასავით ვღეჭ ამ უფერულ დღეებს და, მართალი მოგახსენოთ, მომწყინდა კიდეც. არც გემო, არც ხალისი!.. რა ფასი აქვთ ახლა მათ ჩემთვის, როცა ეს დღეები მიდიან ისე უფერულად და უაზროდ, როგორც კარუსელის ხის გაცრეცილი ფერადი ცხენები. ინებეთ, რამდენიც გსურთ, თუ გნებავთ, მთელი ჩემი სიცოცხლეც. მე დავიწყობ გულზე ხელებს და მოვისვენებ ისე რომ არაფერი დამენანება.

ყვავის ქალი სახეზე ხელაფარებული იჯდა ჩემ ოთახში და ყურს მიგდებდა. როცა გავათავე, სახეზე ხელები ჩამოიშორა და შემხედა, ერთ ადგილას უცნაურად აფუსფუსდა, თითქოს ლოგინზე რაღაცას ეძებსო, მერე ადგა, მიიხედ-მოიხედა და ისევ დაჯდა.

მიცქერის და მე ვხედავ, რომ მის თვალებში ბოროტი ცეცხლი ენთო და ახლა უკვე დამენანა რომ ასე გულალალად ველაპარაკებოდი ამ ავ და როკაპ დედაბერს.

კარგა ხანს მიცქეროდა ის ასე ცბიერი თვალებით, მერე უეცრად, თითქოს ახლა მოაგონდაო, რომ ჯერ ნაადრევია ზეიმი, თავში ხელი და იტაცა თვალები მილულა, თვალთმაქცურად მიინაბა და იგი იყო ნამდვილი ყვავი, სიბერისაგან გამოჩერჩეტებული ყორანი, რომელიც აი ახლა გაისწორებდა ფრთებს და დათარსულად დაიჩხავლებდა.

მე გამელიმა ამ კომედიაზე და მივხვდი რომ ეს ყვავი არ გამახარებდა, მაგრამ რას ვიზამდი, სიტყვა მიცემული მქონდა და უკვე მრცხვენოდა, როცა მოვიგონე ის ჩემი გრძელი სენტიმენტალური ტირადა ამ ორი წუთის წინ რომ დავხარჯე ამ დათარსულ ყვავის წინაშე.

ყვავი იჯდა და არ დაუჩხავლია, ისე დაიწყო:

— თქვენ ტყუილად მეიწუხეთ თავი, ბატონო დუდე, მე ერთი შეიდეულიც მეყოფა. დღეს რა დღე არის?

— ოთხშაბათი!..—მუგე მე დაბეპირებულივით და გამეცინა: მე მხოლოდ ახლა მივაქციე ყურადღება, რომ ამ ქალს რიფსიმე ერქვა და ეს ყვავი რიფსიმე იყო სასაცილო თავის სახელით.

ყვავი განაგრძობდა:

— კეთილი. მაისის ოცდაერთი, თქვენი დაბადების დღე, ათას ცხრაას ოცდა ექვსი წელი!..—სთქვა მან და მე განცვიფრებული მივაშტერდი მას თვა-

ლებში: საიდან იცოდა მან ჩემი დაბადების დღე, როცა მე თვითონ არ ეახსოვდა იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავს გაელიმა. ის მიხვდა ჩემ გაკვირვებას და მიპასუხა:

— მე მაქვს სახლის დავთარი და იქ ვნახე. მე ხომ ვალდებული ვარ ყველა ჩემი მდგმურები ვიცოდე. მე ყველა მდგმურები მყავს აღრიცხული!..—სთქვა მან და მერე უეცრად შესცვალა მუსაიფის გეზი:—მე სულ ერთი კვირა მინდა: პარასკევი, შაბათი, კვირა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და ხუთშაბათი. ოო, რა მადლობელი ვარ, რომ იცოდეთ, რა მადლობელი!.. მე მაქვს ყველა ეს დღეები და ასე მე გადავრჩი, გადავრჩი!..—წამოიძახა მან აღტაცებით და სიხარულით ხელების სრესა დაიწყო.

— პარასკევი, შაბათი, კვირა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი!..—სთვლიდა იგი თითებზე სიხარულით და მე მომაგონდა იქ, ჩემ სოფელში, ხოფში, როგორ გამოდიოდა ღამით ანთებული ჭრაქით ხელში ბებიაჩემი ეზოში, როცა ბუ ეზოში ჩამოფრინდებოდა, და დაიძახებდა:

— ბუს მუცელი ეტკინა: ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირა დილას სული გავარდა!..

— ქალალდი მომეცით, ბატონო დუდე, ქალალდი!.. ხელწერილს მოგცემთ!.. დაიძახა მან უცებ სულწასწრებულივით, მაგრამ მე გავაწყვეტინე:

— ეგ არაფერია, კნეინა რიფსიმე, ხვალაც მოვასწრებთ!..

ქალმა შემომხედა, გაჩერდა, მერე ისევ აფუსფუსდა. მხრებზე შავი დარაია გაისწორა და სთქვა:

— მაშ წავალ!.. იქ დამები და ვალეტები მელოდებიან!.. ნახვამდის!.. ძილი ნებისა!.. ოო, რომ იცოდეთ რა მადლობელი ვარ!.. ახლა დაიძინეთ, ბატონო დუდე, დაიძინეთ, თორემ ხვალ ცუდათ იქნებით!.. თქვენ ისედაც ჩამოგტირით სახე და მოისვენეთ!.. გეყოფათ ამდენი ოცნება!.. სამაგიეროდ მე დაგიბრუნებთ ყოვლად უცნაურ დღეებს და თქვენი სიცოცხლის ეს შვიდი დღე ჩაიარს შვიდვეზირიანივით ფანტასტიურად. თქვენ, ალბათ, წაგიკითხავთ შვიდვეზირიანი, ათასერთ ღამიდან ამოღებული შვიდი ღამე!.. ნახვამდის! ძილი ნებისა! მე მიმაქვს თქვენი დღეები!.. მე მიმაქვს თქვენი კარგი დღეები!..—დაიძახა ყვავის ქალმა სიხარულით, მხარმოტეხილი ფრინველივით აფართაქალდა და უეცრად, თითქოს მისდა უნებურად წასცდაო, ყვავივით დათარსულად დაიჩხავლა.

მე თავზარი დამეცა ამ ჩხავილზე და მივხვდი რომ ეს ის ყვავი იყო, ედგარ პოეს რომ მოსვენებას არ აძლევდა.

ლოგინს ავესნატე და შევცქეროდი ზარდაცემულ თვალებით.

ქალს შერცხვა, თითქოს შეეშინდა კიდეც, პირზე ხელი აიფარა და წელში გალუნული და უკმაყოფილო, რომ ასე გასცა თავისი თავი, კარებისაკენ მოხუცური ლასლასით, თავის ხანხალით გაემართა.

მე გავცქეროდი მას, მხრები უკანკალებდა და მივხვდი, რომ ეს შავ დარაია მოხვეული ოთხმოცი წლის ბებია სიცილს ძლივს იკავებდა.

მოთმინებიდან გამოსული დავწედი ფოსტალს და ვესროლე, მაგრამ დედაბერი უკვე არ იყო,—ის გასულიყო.

ასე დავრჩი მე მარტო და სამწარისაგან თითებს ვიტანჯავ, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ მან ისევ შემოაღო კარი, თავი შემოჰყო და უცნაურად, თითქოს ნიშნის მოგებით, ავტომატიურად თავი რამდენიმეჯერ დაიქნია, დაიჩხავლა ისევ ნავსიანად და მოხუცურად უკბილოდ გაიცინა.

მე მეორე ფოსტალი ვესროლე, მაგრამ ქალი ახლაც გასული იყო.

კარგა ხანს ისმოდა დერეფანში მისი სიცილი.

დერეფანში ბნელა და დერეფანში დგას აბანოს ჭიის, თაგვებისა და დამპალი წყლის სუნი.

დერეფანში დევს აგური: ბინძური, გახეხილი და ეს აგური ლოდივით დააწვა ჩემ ფიქრებს. აგურ ქვეშ მე ოთახის გასაღებს ვინახავ.

შემეშინდა.

ავდექ და საცვლების ამარა გაველ გარეთ მტკვარზე გადაკიდებულ აივანზე და მთვარემ დამაყარა თოვლი და ფიფქი.

ცაში ჰყეფდა ხატი ძახთაპირი, სდარაჯობდა ღამეს და ეს თეთრი მთვარე, შაქარს რომ სთოვდა, ტკბილი ვერძივით ეკიდა ცაში, იცოხნებოდა და ღაბუა ქელზე ვერცხლის ეჟვანი წკარუნობდა.

შეციებული სხივები შემომეხვია ზეწარივით.

მოაჯირს მივეყუდე და შუბლი რკინის გრილ სვეტს მივადე.

უცქეროდი ლირწ მთვარეს და ეცრად ვიგრძენ რომ სხივებმა ხელში ბაკშივით ამიყვანეს და გამაქანეს...

იოანა ვაკელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეწისქვილე

პოემა

I

კავკასიონის მაღალი ქედი
ამაყად უცქერს ხევის ყრუ ხრამებს
და მისი რბილი თეთრი საყელო
მუდამ ელვარებს: დღეცა და ღამეც.
თერგი ღრიალებს, ღმუის, ვით მხეცი,
სალ კლდეებს შორის ძლივს ღა ეტევა,
ქვებს ემუქრება დაშლა-დაცრეცით
დაულიერი მძლავრი შეტევა.
გრგვინვა ზღვაური, შფოთი და ექო,
მთები, კლდენი და წყალვარდნილები,
ვიწრო ბილიკი—გზა საცალფეხო
მიდის და მიდის აღარ ილევა.
აგერ, მწვერვალი შუქ მოქეიფე
უზარ-მაზარი ვაება, დიდი,
ამწვანებულ ხევს ჭილოფად იფენს,
კლდე ზედ აბია, ვით ყურსაკიდი.
თერგი კი მირბის და მიჰღრიალებს,
თითქო ვეფხვია და მისდევს ნადირს.
შორს, შორს ყრუ ხევში გადავარდნილი
ისმის მკვეთრი ხმა მისი ჩხრიალის.
აი, ამ ხევში წისქვილი ობლად
შეჰკედლებია გულქვა გარემოს.
ფქვავს და ფქვავს სიმინდს, ხან კიდევ ბორბალს,
თითქო იგიც გრძნობს ამ ფქვაში გემოს!
წისქვილში ფქვილის ბუქი და მტვერი
და დოლაბების მძაფრი ტრიალი:
ისმის მთელ ხევში შეუჩერებლივ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც დაჭრილი მხეცის ღრიალი.
თუ საღამოა და მთვარის შუქი
გარეულს ხატავს ოქროს სირმებით,
აიშლებიან მთაში ირმებიც
და ხევის ვიწრო: ბილიკი, შუკა,
შემოკედილი კარჩხალი ქვებით
ცოცხლდება ისევ, როგორც არასდროს
ნაზი დაისის უხვაფერთქებით.
აქ, დღეც კარგია, მზე მოკრძალებით
ტრტველ სხივს მთას რომ უხვად ჰფენს თავზე,—
მთები სხედან ვით ამორძალები,
თვალებს აშტერებს მათ-სილამაზე...
დიდი ხანია რაც აქ წისქვილი
არის და ამ ხევს ხალისით ართობს,
მის ლამაზ ბანზე მთა-გორათ ჩრდილი
მოჩუქურთმებულ სურათებს ათოვს.
აგერ წისქვილის გაიღო კარი
გარედ გამოდის ჭალარა ჯიბუ,*
ეტყობა, გულს სწვავს ნაღველი მწარე
და ვნებიანად აბოლებს ჩიბუხს.
აგერ, წისქვილის ზემო ბანიდან
ქალმაც კისერი გადმოაღერა
და ნორჩ აისის სუნთქვა და ძგერა
მისმა თვალებმა ისე დასწურა,
რომ ძნელი იყო გასარკვეველად:
ამ ხევის არეს—ცად შემაერთი
მზე აძლევს სითბოს თუ ეს ქალ-ღმერთი!

II

ეგ ცოლ-ქმარია ამ ობოლ ხევში,
მათ არ იციან ჯერ ავი კვნესა.
ჯიბუ წისქვილის ზრუნავს საქმეში,
მზია კი მთაში ცხვრის ფარას მწყემსავს.
ჯიბუ მოხუცდა. ახალგაზრდული
ცეცხლიც მკლავებში თითქოს მინელდა.
ქვლავინდებურად არ ერჩის გული
და ეს ტკივილით ულვიძებს ელდას.
მზია კი ცეცხლით სავსეა ისევ,
სახე მზიური, ნაზი და ქორფა,
ორ გიშრის ტბაში ზის სიხალისე
და უზრუნველი ლამაზი ყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მზია ქალაუ, დროა რომ ცხვარი
დილა ადრიან შერეკო მთაში!
ჰო, კარგი ჯიბუ!—და, როგორც ქარი,
მზია გავარდა ცხვრების ფარაში.
მიდის მზია და ცხვრებს სქელ-დუმიანს
ველურ ხალისით მიერეკება.
მთები, ეს მიწის ცივი მუმია
ქალის ბროლის ტერფს ფარჩად ეგება...
თან მომხიბვლელი თბილი ალერსით
ყურს ჩასჩურჩულებს რალაც ტკბილ ამბავს,
მზია მწყერივით სულ გაინაბა,
უსმენს ამ ჩურჩულს ვნება-ალერსით.

ქალო, ისე ლამაზი ხარ,
ვით ვერხვის ფოთოლი.
არ მიჯერი? ამ ჩვენ ხევში
არავინ გყავს ტოლი!

ჰყევხარ ამ ხევს ერთად ერთა,
აფრქვევ სიხალისეს.
ქალო, ქმარი დაგიბერდა,
შენ, ცეცხლი ხარ ისევ!

ტანი, როგორც თეროის ქაფი
თვალის შავი გუგა:
ადნობს მთის თეთრ წამოსასხამს,
ხევიც გადაჰბუგა.

მკერდზე ორი ზვირთის ჭავლი,
ორი ქორფა ლელვი—
არ სჩანს კარგად. დაიწვე
ეგ ფარჩის ელელი!..

შუბლი ალდეა, მის ქვემო ქიმს
აზის ორი გველი,
ორთავეა რქა ნაყარი—
გულის მიმზიდველი.

ან და კიდევ ეგ გიშრის ტყე
დალალებად შლილი,
ხშირია და გაუვალი,
გრძელია და გრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კულასავით მოყვანილი
ეგ ლამაზი წვივი
გულში ცეცხლის კოცონს აჩენს,
გიზგიზებს და წივის.

ბაგეს ღარში გახეთქილა
მწიფე ბროწეული,
და შიგ თეთრი წნელის ღობე
ბროლის სალტედ უვლის.

III

შეწყდა უეცრად ტკბილი ჩურჩული,
თითქო სიზმარი იყო ეს ხმები.
ისევ უძრავად ელაგენ მთები,
ხოლო ყველაზე უმაღლესს მათში
წამოეხურა თეთრი ნაბადი
ამოქარგული ბუნების ფარჩით.
მზია გაშტერდა. დგას მდუმარებით,
სახეს უხვად რწყავს ოფლის ღვარები.
ვერ გარკვეულა—იქნებ ეს ხმები
ზეშთაგონების ნაყოფი არი,
თორემ კლდე ასე ტკბილ მოუბარი
ჯერ არ უნახავს და არც სმენია;
იქნებ ეს იყოს გველის გენია,
ან ხევის ჯოჯო, მავნე, ეული
თავის ხოჭოდან გამოთრეული!
მაგრამ გულმა ეს იქვიც გადილო,
თითქო საავდრო ღრუბელი იყო,—
და მიდის მზია. გზა მოფარჩული....
ფარა თავისით მიერეკება.
ვიშ, კიდევ ისმის იგი ჩურჩული,
გულის წარმტაცი ხოტბა და ქება:

ქალო, ასე მიმზიდველი,
სთქვი: როგორ შეგაქო?
ატრიალებ მაგ შავ თვალებს,
ვით საქსოვი მაქო!

ტანი ლეღვი გარჩეული,
სახე მწიფე ატმის,
სხეულს ჰფარავს ფარჩეული
და გულს ანდამატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყელი თლილი ბროლის სვეტი
და შუქურა ლაწვებს—
მთის ობოლი შუქის წვეტი
თვის ხავერდში აწვენს.

მძლავრ და მაგარ თეძოებზე
ორი მწიფე ვაშლი—
მიგოგმანობს—სიაროლში
მას ვერ გასჭრი დაშნით.

წელი როგორც დოქის ყია,
ფრჩხილი მკვრივი მინა.
მხოლოდ ეს ვერ შემიტყვია,
ქალო, სად გაქვს ბინა?

სად იძინებ, ან ვის მკლავზე
გიდევს თავი ლამე?
ვინ დაატკბე გაშლილ მკერდით,
ან და ვინ აწამე?

IV

შეწყდა ჩურჩული. მზია კი მიდის,
ცხვრებიც მთისაკენ მიექანება,
დგას გაზაფხულის კარგი ამინდი...
და მთა, დამსკდარი მრავალ ქანებად,
თითქო ვერ იტევს თავის სიმძიმეს,
მისი მწვერვალიც კრთის და ციმციმებს.
მზის სხივებს კოცნით ეალმასება,
როგორც საყვარელ ძვირფას არსებას.
აი მთის ძირი! აქ, ნწვანე მოლი
მისდევს ზოლებად მოფლეთილ ხრამებს.
თერგიდან შხეფი ამოხასროლი
ბრწყინავს, ვით მზეზე დილის ცვარ-ნამი.
მზია კი დახტის, როგორც ტყის ქალი,
მკერდ აბურთული, შუქ მოიეფე.
გული დარდისგან თავის უფალი,
აჩენს ავხორცულ მხურვალე ვნებებს.
უნდა დაცხრომა, ხტის ქვიდან ქვაზე,
ხან ცხვარს წაავლებს ხელს ბოძალ რქაზე,
ხან მწვანე მოლზე გაიშხვართება,
აწუხებს სისხლის წვა და ანთება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რას იზამს, რჩება მწყურვალი
ამტყდარი ვნება და სიმხურვალე.
ცხვრები ამ დროს მას სულაც არ ახსოვს,
გულს ავიწყდება კერაც და ქმარიც...
ის იყო ერთხელ, ახლა არ არი.
და ნატრობს იმ წუთს, როს უცხო ვაჟი
მას შეეყრება სადმე აქ მთაში.
ჩაიხვევს გულში ამაყი მკლავი
და ალტყინების კოცონით ნავი
შორს გაიტაცებს ორთავეს ღელვით
ავხოროცობის და ვნების ულელით.
ნატრობს ის ამ წუთს, მაგრამ სად არი?
თვალ წინ ეხატვის მოხუცი ქმარი,
და მხოლოდ ფიქრში განძრახულ ღალატს
მზია მოედნო და დაეღალა.

V

სძოვს ცხვრები. ხევი ხმაურობს ისევ,
გულდამშვიდებით იძახის გნოლი—
დი მთის მწვერვალზე უძრავი ბროლი
ბრწყინავს და ელავს მხურვალე მზისგან.
ჩუ, ეს ხმაური საიდან მოდის?
თან ლაპარაკიც გაისმის კენტად.
მზია შიშისგან სულ მოითენთა,
აქ, ადამიანს არ მოელოდა.
უკვე გარკვევით ირჩევა ხმები:
—ხედავ, მუდაყან, მარტოა ქალი,
დავიცხროთ ვნება, წაეასხათ ცხვრებიც,
რას იქუშები, ხომ არ ხარ მხდალი?!
ეს უთხრა ფიდომ მუდაყანს ისე,
რომ მისი ბოხი ხმის დაძახილი
თითქოს იყოო მთის ნადირისა
როს დაჭრილია იგი მახვილით.
—მხდალი არა ვარ, მუდაყანს შიში
გულზე ოდნავად ვერ ეკარება.
მე მთაში ვცოცხლობ და ჩემს მძლე კუნთებს
ჰკოცნის ხალისით მზის თაკარება.
ბუნდ იყოს აქვე ლაშქარი კახთა,
ეს ვერ მომიკლავს შეტევის ხალისს,
მაგრამ გაძარცვა, ნამუსის ახდა
და ისიც ასეთ უმწეო ქალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მთის ადათს ალემატება!
შენ ბარელი ხარ, მე კი მთიელი,
ორთავეს გული კლდეა ძლიერი,
მაგრამ მთამ, როგორ გაკადნიერდეს—
ისე, რომ მოჰკლას თავის იერი,
მიიღოს სახე-მშიერი დათვის
პატარა ნუკრის გაჭყლეტისათვის!..
—მუდაყან, კიდეე არ შემესიტყვო,
მე, შენ მეგონე მთიელი ბიჭი,
ამოირეცხე გულიდან იმვი,
თორემ ვფიცავარ მზის სიბრწყინვალეს,
ჩვენ ორში—ერთი—დახუჭავს თვალებს!
— ნუ ცხარობ ფიდო, შენ კარგად იცი
ჩვენი დიდი ხნის ალთქმული ფიცი.
იმას შემდეგ ხომ ორთავ გულები
სავსეა ძმობით და ერთგულებით.
დავდივართ მუდამ ამ მთა და ღრეში,
ვით დაგეშილნი მონადირენი.
უძილო ღამე: ნიაღვარ-თქეშში
და ჩვენც დამფრთხალი, როგორც ირემი,
ვნატრობთ ბავშობას, მშობლიურ კერას.
დედის ალერსს და მამის სიმღერას.
შენ, შენს კახეთს და მე ჩემს ხევსურეთს,
სად უკეთესი გვიგრძნია წუთი,
სად გრძნობა წმინდა, გრძნობა სათუთი
იყო ჯერ კიდევ შეულახავი,
როგორც მყინვარის ცქრიალა თავი.
მაგრამ სადღაა ახლა ის წამი,
ძველი ხალისი მაინც სად არი?
დაჰბერა უცებ, მოვარდა ქარი
ის თან გადაჰყვა—ნორჩი ლერწამი.
ჩვენ დღეს ორთავე რომ გაგვახაროს,
თუ არა ძმურმა ნუგეშმა ისევ,
რითაც სიამე და სიხალისე
დასთესს ჩვენ შორის სიკეთეს ულევს
და გადაჯაჭვავს ორთავე გულებს.
მიყვარხარ, ფიდო, და შენს გუდაყანს
გული ბავშვივით აქვს ლმობიერი.
ვარ მიმნდობი და მოსიყვარულე
და მძულს ბოროტი, ქუში, ცბიერი,
მანკიერება, ღალატი, ცოდო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურით ანთება, დაბნედა მტრული—
ვფიცავ, არასდროს გამომეცადოს
და ვარ შენი ძმა, შენი ერთგული!
—შენ კიდევ ურჩობ, მაგრამ გეტყობა
არ იცი ჩემი ძლიერი ნება.
შეკუმშე ძალა და ნების ყოფა,
აქ, სახიფათო არა იქნება.
გაშალე შუბლი. ბეჭი და მხრები.
რაღას უდგეხარ? წავასხათ ცხვრები!
—ო, არა ფიდო, ამას ვერ გირჩევ.
სჯობს გავანებოთ ამ საქმეს თავი!
რაც უნდა იყოს ქალია მაინც
და ქალის მიმართ აღმართვა მკლავის,
როდი შეშვენის ხევსურელ რაინდს?!
—მუდაყან, წერას აუტანიხარ!
—ნუ მემუქრები. შენი მუქარა
ჩემს გულს არ ხვდება სუსხიან ქარად.
შენც კარგად იცი ჩემი მკლავები,
თუ გულიანად მტარვალს შავები—
არ მეშინია იმის ამარა,
მტერს მყის გაუთხრის იგი სამარეს!
მზია დგას, ესმის ეგ შესიტყვება,
გულ გახეთქილი კრთის და კანკალებს.
ძარღვებში სისხლი შიშისგან ლხვება,
ცრემლი ადგება განიერ თვალებს.
უნდა გაიქცეს, მაგრამ სად, როგორ?
უკვე ფიდოც წინ გადაეღობა
და გასაქცევად შემართულ მზიას
იგი ძალუმად გადაეხვია.
ვაჟი ვერ იქერს მოვარდნილ ვნებას,
ღრიალებს, ოფლის ალმურში დნება.
თავდავიწყებით ხევს ტანისამოსს,
მხურვალე ვნება რომ დაიამოს...
როთინობს, როგორც ველური ტახი,
გული არც ქალმა არ გაიტეხა:
უკაწრავს მომხთურს ფრჩხილებით ღაწვებს,—
მაგრამ ფიდო მას მყის წამოაწვენს
თავის ბანჯგვლიან ღონიერ თათით—
ამტყდარი ჟინის დაცხრომისათვის.
მზია იბრძვის, ვით ხათანგში თაგვი,
თან იკეცება, ველარ შლის მკლავებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის კივილს ისმენს ნორჩი არაგვი,
რომელს აქ, ხევში უდევს სათავე.
მაგრამ უეცრად, მოულოდნელად,
თითქო ერთ წუთით ცამ გაიელვა,
მუდაყან ფიდოს მოუვარდება—
მოჰგლეჯს ვით ბალახს და გადაისვრის,
ფიდოც ეცემა უძრავ ლოდს კისრით...
აქ უკვე გაწყდა ძმური კავშირი.
ორთავ გულები აივსო შურით.
ფიდო ბრაზისგან სულ მთლად კანკალებს,
დაბეჭილი აქვს მთელი სხეული.
წამოდგა ჩქვით, ძლივს ახელს თვალებს
გულში მწვავედ გრძნობს—არის ძლიერი!
მაგრამ შეებას მუდაყანს მკლავით,
შემუსროს, ან და შეაკლას თავი—
ვერ ჰბედავს და ეს ძლიერ აღონებს,
რადგან ცუდ დროზე ჰღალატობს ღონე.
მაგრამ ბოლოს ეს მაინც შეჰბედა:
—კარგი, დამაცა, გიტირებ დედას!.
ჩვენ ამას გარდა შევხვდებით კიდევ!
ახლა კი ამ მარცხს გულში ჩავიდებ
და ვაი იმას, ვისაც ჩვენ ორში
აღარ დაურჩეს კეთილი ბოლო—
იგემოს მარცხი და ჩაიქოლოს!—
ეს სთქვა ფიდომ და შემოტრიალდა,
გასწია თერგის ნაპირისაკენ,
სად მყინვარს თავის დაეშვა კალთა
და მწვერვალი კი კრთოდა ვით სარკე.
მუდაყან თითქო დაიძრა კიდეც,
რომ ფიდოსათვის ხმა ჩაეკმიდა,
მან დააპირა გამოდევნება,
მაგრამ მზია სთხოვს დარჩეს და ისიც
ემორჩილება მთხოვნელის ნებას.
—ო, ჩემო მხსნელო, შენი სახელი?
— ჩემი სახელი მუდაყან გახლავსთ!
— ჩემი კი მზია, არ მოგწონთ განა?
აქ თითქო გულზე დაჰკრეს ვაჟს დანა,
დაება ენა, მაგრამ სულ ბოლოს,
გასცა პასუხი სახის ანთებით:
—მშვენიერია, მაგრამ სახელზე
ულამაზესი თვითონ ბრძანდებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, უკვე შეწყდა კითხვა-პასუხი,
ახლა ზვერავენ ერთმანეთს თვალით.
ვაჟი ტანადი და თვალებ-რუხი
იდგა ქალის წინ ეშხით დამთვრალი.
ორთავეს გული სავსეა ვნებით,
ველარ ძღებიან მაურვალე ცქერით,
ქალის გულ-მკერდზე ბროლის მტევნები
მუდაყანს მკერდ-ქვეშ გულსაც უძგერებს.
მას არ უნახავს ასეთი ქალი,
სულ ყველაფერით უხვად შემკული,
ქცევა და ცქერა თავისუფალი,
და მარმალილოს ფრიალო გული
მწველ სილამაზით შემოქარგული
იჩრდილებოდა სახის იერით,
რადგან აქ სჩქეფდა სიმშვენიერე.
მზიაც უცქერის ქვეშ-ქვეშ და ჩუმად
ვაჟის აშლილ თმას შავ აბრეშუმად,
ხან შუბლს, რის ქვეშოთ ერთის, როგორც ალი,
არწივის ორი მახვილი თვალი.
ქალს მოეწონა ნატიფი ვაჟი,
ზვერავს მკლავებს და განიერ ბეჭებს,
რომელიც ჭკვეთავს ყოველგვარ ეჭვებს
ქალის ვნებიან გულის ცემაში.
დიდხანს, სულ დიდხანს აგრე უძრავად
იდგენ ორთავე გარინდებულნი
და მათი ცეცხლით ალსავსე გულნი
სიჩუმეშიაც გრძნობდენ ტკბილ ალერსს,
ვნებას უწმინდესს და უმხურვალესს.

VI

ბოლოს გაბედვით წარმოსთქვა ქალმა:
—წავიდეთ ჩემსა, შორს კი არ არი,
შინ დაგვიხვდება მოხუცი ქმარი
და მე ვუამბობ მას, რაც გადამხვდა,
რომ ამაშორე დღეს განსაცდელი,
მაგ მადლიანი მაგარი ხელით!
—კარგი წამოვალ!— იყო პასუხი
და ვაჟის გული სიკეთით უხვი—
ისევ აენთო, როგორც აბედი,
თითქო ლოყებიც წითლად იწვისო;
გული კი გრძნობდა რომ ჰპოვა ბედი
ახალ-ცხოვრების წინამორბედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

თუმც ჯერ კიდევ არ დალამებულა,
მაგრამ მზის სხივით არ თბება ხევი—
რადგან ჩამოწვა შავ ნისლის ქულა,
როგორც ზღაპრული ბაყბაყი მდევი.
მაღალ მყინვარის ქუში მწვერვალიც
აღარ ანათებს მელოტი თავით,
მხოლოდ ხმა ისმის მყვირალი თერგის,
ხმა მრისხანე და გულისაკლავი;
არც არშის ციხე აღარ სჩანს უკვე,
არც მისი ძველი ნაჩარდახალი,
რომელიც მყინვარს თითქო ჯიბრს უწევს:
შენ ჩემზე უფრო რით ხარ მაღალი!?
ჩაბნელდა არე ჯოჯოხეთივით,
ნისლის ქულებიც სცურავს ვით ტივი,
მაგრამ ამ ხევის ავი ნადირი
თავგამოდებით, ძალუმად ჰყვირის...
ჰყვირის და გულში იგი ყვირილი
სთესავს სიცოცხლეს და ჰარმონიას,
მისი მნახველი არა მგონია,
ერთ წუთით მაინც არ დასტკბეს მითი—
ამ მთის სამკაულ ძვირ მარგალიტით!
ეგ არი თერგი, მდინარეთ მეფე,
მუდამ მრისხანე, სწრაფი და ღვრია,
მის ტალღათ მიერ ასოლილ შხეფებს
მყინვარის მკერდიც გაურღვევია.
ის მუდამ მიჰქრის თავდაქანებით,
თვით ტაიჩია, მთა კი—მხედარი.
ღრიალებს ძლევით და მრისხანებით
უდაბნოს ვეფხვი დაუდეგარი.
მიყვარხარ თერგო! ეგ სიყვარული
არის სპეტაკი, ვით დილის ნამი.
არ გძინავს, ფხიზლობ, შენი ასული
მუდამ მძლავრია დღეცა და ღამეც.
ვინ დაგაკავებს? შენი ჯებირი
რკინაც რომ იყოს, გასჩრი ძლიერო!
მთა გაწევს, როგორც ცხენს უნაგირი
და ცა ლეჩაქად დაულიერი.
თავდალმართისკენ დაქანებული
შენი ზიირთების მკვეთრი ჩანჩქერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის მუდამ ჟამს აქაფებული
და მთის გრძელ ზლაპრებს ლექსებად მღერი.
ბევრჯერ უგრძნია მგზავრს შენი ჯადო
სიმღერა იგი ტკბილია მეტად
აქვე, მთის ძირში ამირანია,
რომ ემზადება ქვის გასაკვნეტად.
იქუხე ჩემო! თან ილრიალე
იყოს თუნდ დილა, იყოს თუნდ მწუხრი,
ამ წუთი სოფლის ავი ტრიალი
შენ ვერასოდეს ვერ შეგაწუხებს...
ვერ შეგაწუხებს, მაგრამ ხომ იგრძნობ
ავსაც და კარგსაც სამშობლო მხარის,
და ამ ტკივილს შენ გარკვევით ამბობ,
როცა ზვირთს-ზვირთზე აამქუხარებ!
მე მიხარია, რომ ჩვენში ცოცხლობ,
რომ ჩვენი მთიდან იწყე სათავე...
და წურდულივით გაქანებული
გოროზ სიცოცხლეს სხვაგან ათავებ.
მზე ჰქარგავს შენში უხვ ელვარებას,
გუშინ ქედანიც შენ გიმღეროდა,
და მთის გულ-გაშლილ მაღალ წვეროდან
გერთვის ლანქერი ღვრიე ღვარებად.
აქვე არაგვი ბროლის ჩანჩქერით
შენი უმცროსი ძმა მოყვარული
გულდამშვიდებით ტკბილ ხმაზე მღერის
და უხვ სიკეთიდ სავსე აქვს გული.
მისი ალმასით ნათალი ტანი
თავდალმართს ფრთხილი კლაკნით რო უვლის,
თითქო ქალწულის ხელები არი
მთის ხალიჩაზე გადაშხლართული.
მგზავრს როცა ესმის მისი ჩხრიალი
იქვე ეცლება გულიდან ბოლმა...
სალ-კლდე ნაპირის გალმა-გამოლმა
მწვანე ხავერდიც უხვად შრიალებს.
წყლის სწრაფი დენით ნაკვეთი ქვები
მოსჩანს ლითონის მკვრივ ასოებად;
აქ, ხალისია და სიხარული
აქ არის მადლი და სესოება!

VIII

ნისლმა კალთები ამოიწია,
მზემ ოდნავ თვალი შემოაპარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევის ბურუსში დამფრთხალ ცხვრის ფარას
თითო-ოროლად აგროვებს მზია.
აქ ქალს მუდაყან წამოეშველა,
რომ უფრო ჩქარა მოეკონ ცხვარი...
მზია ხტის ქვიდან ქვაზე, ვით შველი
და მისი მკერდი სულ მთლად შიშველი
ორ ბურთულს შორის ფართედ მჯდომარე,
ანათებს, როგორც ღამეში მთვარე.
მოგროვდა ცხვარი. უკვე დაისი
თავის ოქროს შუქს ასხურებს არეს.
მყინვარი სდგას ვით ადონაისი
და უსმენს ყუჩად არაგვის ალერსს.
ალერსი იგი შორს იფანტება
ხევის მოფლეთილ არე-მარეში,
სად ჯიხვებს, არჩვებს და ირმის ჯოგებს
აქვთ გამართული დიდი თარეში.
ცხვრებიც დაჯგუფდენ. ამათში ვერძი
დაწინაურდა, როგორც ბელადი,
მისი მკვეთრი რქა დახრილი გვერდზე
ბრწყინავს და ელავს მრავალ ფერადად.
ფარა მას მისდევს ობოლ ბავშვივით,
ვიწრო ბილიკზე არ არი ტევა.
ხევში ტრიალებს იმბათი ცივი
და მცენარენიც შეიპყრო რხევამ—
სულმთლად პატარა ცა, ვით ჭილოფი
ხევს გადმოჰყურებს ცბიერი თვალით,
და ზედ ვარსკვლავი, როგორც ჭრილობა,
აზის ფერმკრთალად ამონათალი.
მზე ახლა არც მთებს აღარ აბრაზებს,
ის დაიძირა ვით მძიმე ტივი,
ზეცით მკერდ-ტიტველ მტრედისფერ ცაზე
მობობღავს მთვარე ყვითელ ლოდივით.
მაგრამ ამისი ობოლი თვალი
ვერ სწვდება გულში ხევის ნაპრალებს.
ისევ სიბნელეს უჭირავს ხმალი
და აპრიალებს განიერ თვალებს.
სვლა საშიშოა ასეთ დროს ხევში,
აქ უნდა გქონდეს ჯიხვის ფეხები,
თუ მოსწყდი უცებ გველივით ბილიკს
შორს, შავ უფსკრულში გადიჩეხები.
მაგრამ მუდაყან ტუში და მკვრივი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიდის მტკიცედ, ვით უდაბნოს ლომი.
მისი ფოლადით ნაჭედი წვივი
ნაჩვევი არის რბენას და ხტომას.
სადაც ხრამია და ნაპრალები,
სად ერთის გასვლაც საფრთხილო არი,
იქ მას ხელთა ჰყავს მზია, ვით ბავში
და ასე გადის უფსკრულის არეს.
ორთავ გულები ამ დროს სხვა გვარად
სტოკავენ და თან გრძნობენ ტკბილ ხალისს,
თითქოს ალმური იქცაო ღვარად—
ისე ენთება გულმკერდი ქალის.
ვაჟიც იწვება მგზნებარე ალით,
თითქო ამ ალში იყოს მცურავი,
და ამ დროს ქალის მარმაშა სხეულს
მისი მკლავები მედგრად სწურავენ...
სწურავენ, მაგრამ ჯერ მოკრძალება
ვაჟს ქალისადმი ეტყობა მაინც,
თუმცა გიშერის ფართე თვალები
წარმართულ ცქერით აღელვებს რაინდს.
ქალსაც აღელვებს ვაჟის იერი,
ტანის ნაკვთების სიმშვენიერე.
და მისი ნდობა ხარბი და ქუში
უფრო ენთება ვნებიან გულში.
ამ დროს ვის ახსოვს დაკარგვა ცხვრების!..
გული ორთავეს ცეცხლის ალს უნთებს,
ქალი კი უფრო თავდავიწყებით
ეხვევა ვაჟის შეკუმშულ კუნთებს.
ინთება ცეცხლი. ახლა ვაჟიც მთლად
შეიპყრო ქალის მწველ სითამამემ.
მთაში ხმაურობს მყვირალი თერგი,
ხევში ჯერ კიდევ ბრძანებლობს ღამე.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანასტასია ერისთავ ხოჯუტარია

ს ა ლ ი

(რომანი)

I

ოთარ გარემოშვილი შვიდი წლიდან პეტერბურგის პაჟთა კორპუსში სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდა. დავაჟკაცებამდე თავის ქვეყანაში ფეხი არ მოუდგამს. მისი ნორჩი არსება რუსეთის ჰაერით სულდგმულობდა. გრძნობა-გონება რუსეთის ხალხის თანაგრძნობით უთბებოდა. იცოდა, ჰქონდა სამშობლო, ჰყავდნენ დაძმა-ნათესავები, მაგრამ ყველასაგან მოწყვეტული იყო.

მაგიერად კორპუსში უყვარდათ. ყოველთვის აღფრთოვანებულ, ვერცხლის წყალივით მოციალე, ჭაბუკის დაჭექებას ტოლები ხუმრობით უხვდებოდნენ:— ნუ ცხაროობ, ამხანაგო, მეომარ კაცს არა შვენის წარამარა გულფიცხობა, ჭკუას დაუხმდი და, როდესაც ბრძოლის ველზე გახვიდე, მაშინ შეგიძლიან შენს გმირულ შემოძახილს ფრთები გაუშალოვო.

ოთარმა კორპუსი სანაქებოდ გაათავა, საგნებში განსაკუთრებით მსოფლიო ისტორია უყვარდა. ერამთა აღრიცხვა, რა დროს რომელი შესანიშნავი პირი დაბადებულიყო, გარდაცვლილიყო, სად თავი ეჩინა, როდის რა ქალაქი აშენებულიყო, ხალხი ხალხზე რა მიზნით ამხედრებულ-მისეულიყო, მამაო ჩვენოსავით იცოდა. ცხოვრებასაც უკან არა რჩებოდა. თუ სამშობლოდან არავითარი ნივთიერი დახმარება არ მოსდიოდა, მაგიერად უფროსი ძმა პეტერბურგში დივიზიას უფროსობდა. ფულს არ ულევდა. ქალალდის თამაში, ჭალები, ქეიფი, პაპიროსი, ცეკვა, ოთარისთვის აუცილებელი გასართობი იყო, მაგრამ ძმამ უბრძანა, მამულის საპატრონებლად საქართველოში წამოსულიყო...

საქართველოში ჩამოსვლის უმალ ახალგაზდა მემამულე მამაპაპურმა ზნეჩვეულებამ თავის მორევში ჩაითრია. ნაცნობ-ნათესავების წყალობით ძალიან ცოტა დრო რჩებოდა უმთავრესისთვის ეზრუნა. მამულებზე ბატონობა ისევ მოურავებს დარჩათ. მათ შორის მეტი ყურადღება მიიქცია ხნით ყველაზე უმცროსმა გიორგი ბალიძემ გონივრულის და წრფელის ქცევით. როდესაც სხვები წინ ვარდებოდნენ, დიდის რიხით ერთგულებას უმტკიცებდნენ, გიორგი განზე დგებოდა, ვიდრე ოთარი თვითონ არ დაავალებდა. დავალებულსაც კარგა ხანს ჩაუფიქრდებოდა; თუ არ მოეწონებოდა, ურჩევდა ბატონს,

აზრი შეეცვალა. ოთარის გარშემო მრავალი უმართებულო საქმენი ხდებოდნენ: ნათესავ-მეზობლები (ძალა უფლების გასაძლიერებლად) ნაყმევებს არბევდნენ, სჯიდნენ. მშრომელი ხალხი მოდუნებულიყო. პირუტყვსავით, ფეხზე დგომენ. მისი საერთო მაჯის ცემა, მძიმე ტვირთისგან ნაილაჯობით აღმომბდარი ობვრა ცხოველდებოდა. მოქროლილ ქარიშხალში ხან მკვნესარ კივილად გადადიოდა, ხან დაჭრილ ნადირივით ღმუოდა. ხმიანობა ოთარის გულამდის აწვდენდა. ჭირხლში შეხვეული, გაურკვეველი გრძნობა არსებას უბოჭავდა, თვალებს მრისხანედ გადაატრიალებდა. თუ მაგიდა ახლო უდგა მუშტს დაარტყავდა, თუ არა ხელებს ქოჩორში წაივლებდა, ოთახში აჩქარებით სიარულს იწყებდა და ჩურჩულებდა: არა!. არ შემიძლიან!. არ მინდა ვიყვე ის, რაც სხვები არიან!..

* * *

ერთხელ ოთარ სამწერლო მაგიდას უჯდა. წიგნის შინაარსს გაეტაცა. წიგნს თუ თავს ანებებდა, მაგიდაზე ნიდაყვდანდობილი სარკმლიდან ბაღს უყურებდა. ბაღში ხეები თეთრად გადაპენტილიყვნენ. დედამიწაზე საღამოს ჩრდილები ხშირდებოდნენ. ღია სარკმელ ზევით ბოძზე მიმაგრებულ გალიაში წყვილი კანანერები სტვენდნენ. მათი სტვენა ოთარს არ უშლიდა. პირიქით ოცნებას უფერადებდა. ოთარს აკლდა სულის ტოლი. ტოლი ეჩვენებოდა კდემა მოსილ მშვენიერ ბანოვანად, რომელთანაც ხელიხელ ჩაკიდებული, თავის სამფლობელოს შეაერთებდა, უმდიდრეს კუთხედ გარდააქცევდა, უხვ მოწყალების არხებით თანაბრად მორწყავდა... ამას მეტყველობდნენ ოთარის გაბრწყინვებული თვალები. გალიაში მოჭახჭახე ჩიტუნებიც თანხმობის ნიშნად უფრო აღტაცებით ტკრციალებდნენ, მაგრამ ჩიტუნებმა სტვენა უცბად შეწყვიტეს, გალიის კუთხეში მიიყუჟნენ.

— ბატონო, გლეხებს თქვენი ნახვა უნდათ!.

მოისმა გიორგის ხმა. შეფერადებული ოცნება უცბად გაფრთხა. დარჩა თავადი მოურავის პირისპირ. გლეხების გახსენებაზე ოთარის წინ ჩამოწვა ნისლი, კისერში მედგარი რაღაც მოხვდა, წარბშეკრულმა წიგნს ფურცელა დაუწყო.

— შემოვიდნენ! წარმოსთქვა კარგა სიჩუმის შემდეგ..

— ბატონი ადღეგრძელა ღმერთმა!. შესძახეს ერთხმად გლეხებმა, დაბლა თავი დაუკრეს. თუმცა კარი ღია იყო, მაინც შემოსვლა უჭირდებოდათ. ბევრიც უკან დარჩენილიყო.

ოთარმა გლეხებს შუბლქვეშ გამოხედა. შენიშნა თვითეული მათგანი ერთი მეორეს ჰგავდა; სახის ერთი და იგივე მეტყველობა, ერთნაირად აბრანძულები, მართოლვარენი და გალენჩებულნი.

— რა ამბავს იტყვით?. შეეკითხა ოთარი.

— რას ვიტყვით და ჩვენს დაბეჩავებასა, ბატონო! აი გიახელით, მოგახსენოთ და გთხოვოთ, გვაპატიოთ ის მძიმე გადასახადები, რომლებიც სულსა გვხუთავენ.

გადასახადებიო?. გაიოცა ოთარმა.

— დიახ, ბატონო, სწორედ ი გადასახადები... შენი მოურავი ზაქარა სამი დღეა რაც უთენია ტომრებით და ჩანახით თავს გვადგება; ჩაგვიკეტია ბატონმა გამომგზავნა, ეხლავე ამირწყეთ თვითეულმა კომლმა ორ-ორი [illegible]

ჯერ არ გაეთავებინა მოჩივარს სიტყვა, ოთარი ზეზე წამოვარდა.

— გიორგი, ეს რა მესმის? თითქო იმ დღეს ზაქარამ შენ თვალწინ წარმომიდგინა სია იმ გლეხებისა, რომელთაც ღალა ვაპატივე. მახსოვს, ამათი გვარებიც შიგ იყო..

— დიახ, ბატონო, ავრე გახლდათ!. დაემოწმა გიორგიც.

— ამ შენმა მოურავებმა კერა გაგვიციეს ბატონო, იმ დღეს ივანემ ერთი კერატი სალორედან გამოიტაცა, ბატონის სტუმრებისთვის მინდაო. ამაზე მეტი მოთმენა აღარ შეგვიძლიან, აი მოვედით შენთანა, ბარემ ყველას ერთბაშად ყელები დაგვჭერით, დაწიოკებულ ცოლშვილს ნულარ გვაცქერინებ!. დინჯად ლაპარაკობდა ნახევრად დაუსინათლოებული მოხუცი ბესო. ოთარიც შუბლზე ხელშემოდებული მაგიდას ნიდაყვით დაბჯენოდა.

მაშ ამისი სახელით ხალხი იყვლიფება?. ოთარს კი სრულიად მოპირისპირე აზრები ძილშიაც მოსვენებას არ აძლევენ.. ოთარი ხალხის შემჭმელია, როგორც მისი წინაპრები?. ოთარი განმეორებაა წარსულის მტარვალობისა?!.

— არა!. არ შეიძლება!. დაიჭექა ოთარმა, იატაკს ფეხი დაჰკრა, შემდეგ ისევ ჩაფიქრდა, მაგიდასთან მივიდა, ქაღალდზე საჩქაროდ რაღაც აღნიშნა და კვლავ შესძახა:

— დღეიდან გიორგი ხდება ჩემ მთავარ მოურავად. ხომ კმაყოფილები იქმნებით ამ გარდაწყვეტილებაზე ხალხო?.

— დიახაც.. გიორგი ჩვენი ცრემლის მომწმენდია!.

— დღეის იქით გიორგის გარდა ახლო აღარავინ გაიკაროთ! გარდა ამისა, რაც მიწები გიჭირავთ, თქვენთვის მიჩუქებია, მაგრამ, სანამ დავაკანონებდე, ცოტ-ცოტა გადასახადი მაძლიეთ! პირველში ასე იყვეს და მერე კიდევა ვნახოთ... ოთარი ოთახში განაგრძობდა აჩქარებით სიარულს.. მეტის მეტად კმაყოფილი და ამასთანავე გაოცებული გლეხები თვითო-თვითოდ გადიოდნენ, თან უკან იხედებოდნენ, თითქო არ ეჯერათ, ელოდნენ, საცაა დაუძახებდნენ და გამოუცხადებდნენ, რომ ეს ეხვი მოწყალება ბატონისა სიზმარი იყო და არა ცხადი. მას დღეს აქეთ რაც ოთარმა მთავარი მოურავობა გიორგის ჩააბარა, გლეხები საჩივლელად აღარ მისულან. ოთარიც კმაყოფილი იყო.

— თუმცა ისინი ზენს ლოცვაში არიან, მაგრამ მაგიერად სხვები...

— ვინ სხვები?

— სხვისი ნაყმევები ძაან ღელავენ, ამბობენ ჩვენ რაღა დავაშავეთო, განა ჩვენკი გვაწყენს ბატონის წყალობაო?..

— ეგ მე არ შემეხება, ჩემო გიორგი, ყველამ თავისი საქმე თვითონ იცის... ოთარი კვლავ ახალის საჩუქრით ტვირთავდა გიორგის, რომელიც გახარებული, გარბოდა გლეხებისკენ, რომ მათთვის სამოსახლო ადგილები მიეზომა და იმავე დროს სოფლისთვისაც განსაკუთრებით მოხერხებული კუთხე სკოლისთვის აღენიშნა. ოთარისგან საჩუქარი საჩუქარზე დაუზოგავად გადადი-

ოდა. გამჩუქებელი თვითონვე აღტაცებაში მოდიოდა. რაღაც ძალა უკარნახებდა უსათუოდ ასე მოქცეულიყო.

— მაშ რისთვის მინდა ამდენი მამული? განა ღმერთი [illegible] ქვეყნის სფერო დავიჭირო და, რაც მინდოდეს, ვბრძანო? ნუთუ [illegible] ფულიწადი იმიტომ გამიტარებია რუსეთში, რომ მერე მოვსულიყავი, საცოდავ ხალხისთვის ფეხდაფეხ მედევნა, საცა პატარაზე მიწა წაეჩიჩქნა სულთამხუთავად თავს წავდგომოდი და წამეგლიჯა?! არა!. არ შემიძლიან!..

— რა ხარ, ოთარ? რას ეჭიდები?.. ეკითხებოდა ამ დროს იდუმალი ხმა...

— მე თვითონაც არ ვიცი... დაუმატებდა ეს...

* *

ოთარი №-ის სასტუმროში ჩამომხდარიყო. ოთახის აივანი ქალაქის მრავალფერად აჭრელებულ ბაღს გასცქეროდა. განიერ ქუჩების ქვაფენილებზე სხვა და სხვა მილეთის ხალხი ირეოდა. თვალწინ ცის დასავალი ფართოვდებოდა. ოთარს მოუნდა აივნიდან ძირს ჩამოშვება, ხალხის ტალღაში შეცურება. ცის ლაჟვარდი ამ დროს ულრუბლოდ კამკამებდა, მზის სხივებს ბაღის შადრევნის წინწკლებში აბანავებდა, ბრწყინვალე შხეპები ნაზ ჩქერას გამოსცემდა, ჩქერა ოთარის ყურს უალერსებდა:

— გაშლიით!. განზეე!.. ლაღაად! წერაქვი კედელს!. ცული მესეერს!. გადალახვა სამიჯნოოს!.. ამ ქვეყნის ჭერი მარტო მე ვარ. მოთავსდით, მორიგდით, იცოცხლეთ და მეც აქედგან საერთო სხივებით გაგათბობთო.

— თქვენო ბრწყინვალებავ! სტუმარი გახლავთ; მოკრძალებით წარმოსთქვა ამ დროს სასტუმროს მსახურმა. ოთარი ოცნებიდან გამოერკვა, ოთახში შემობრუნდა. ასლან გარემოშვილი დივანზე გადაწოლილიყო, ამაყად თავაწეული დაუდევრად იყურებოდა. ოთარმა სალამი მისცა ბიძას, რომელიც მახრას უფროსობდა. ასლანმა ულვაშებზე ხელი გადაისვა, ოთახს თვალი მოავლო, როდესაც ნახა ოთარს საუკეთესო ბინა აერჩია, ჩაიღიმა და წარმოსთქვა:

— კარგად მოხდა, რომ სახლში მოგასწარი. დღეს სალამოს შინ წასვლას ვაპირებდი და შენი ნახვა-კი აუცილებელი იყო.

— შინაც რომ არ დაგხვედროდით, მაინც რა უშავდა. მიბრძანებდით და მეც გიახლებოდით, თქვენზე რა შორსა ვარ?..

— წარმოიდგინე ოთარ, შენ ჩემზე ძალიან შორსა ხარ... თავის დაქნევით უთხრა ასლანმა, თან თვალებში სიამაყე გამოუკრთა. ოთარს ეწყინა, ხელების ფშვნეტა იწყო.

— რა ნაირად? ჰკითხა ბოლოს.

— რანაირადაც გინდა.. ხნით, აზროვნობით, საქმით... საერთო გვარიღა დაგვრჩენია, მაგრამ სჯობს, პირდაპირ გითხრა: მე შენთან მოგზავნილი ვარ.. დააბოლავა ასლანმა და შუბლი შეიკრა.

— ვისგან?..

— თავადაზნაურობის დავალებით გირჩევ, ისევ რუსეთში წახვიდე... ოთარი გაფითრდა.

— რამე საქმეს მაეალებენ?..

— რის საქმეს?.. რა საქმეს?.. გგზავნიან, როგორც ქვეყნისთვის მაგნე პირს. გირჩევ, შენის ნებითევ წახვიდე, სანამ ძალით გაგისტუმრებდენ.

— დანაშაული?..

— შე მამაცხონებულო, მაგაზე მეტი რაღა უნდა დააშავო?.. მთელი გლეხობა ააღელვე, რაც თავის დღეში სიზმარშიაც არ უნახავთ, არ გაუბედნიათ ქვეყნის საზარალო აზრები, სურვილები გაულვიძე?.

— რასა ბრძანებთ ბიძა ჩემო?.. ეგ ხომ დიდი ცილის წამებაა... გლეხობა ავაღელვე მე?.. არ მესმის რაშია საქმე?..

— უბედურობაც მაგაშია, რომ შენ თვითონ არ გესმის რას ჩადიხარ?. ერთი მითხარი, ი მიწები რომ გააჩუქ-გამოაჩუქე, რატომ არ მოიფიქრე, რასა შვრებოდი?. ვითომ რა გინდოდა მაგითი დაგემტკიცებინა?. მეტი გულკეთილობა, თუ მეტი ჭკუა?.. ბოლოს გამოგვიდა დიიდი სისულელე, რომელიც შენ თვითონვე ცხვირში გცემს..

— მე რომ ჩემ გლეხებს ერთი მტკაველი მიწა ვაჩუქო, აქ ხალხის აღელვება რა შუაშია?

— ოლონდაც.. რახან ასი დღიური, ისიც რჩეული ნაფუზრები, სამოსახლო ადგილები ერთ მტკაველ მიწად მიგიჩნევია, ამის შემდეგ რაღა გელაპარაკო? ვხედავ, შენი ჭკუა და შორს მხედველობა რუსეთში გაყინულა, ჩემო კარგო.

— ბოდიშს ვიხდი ქადნიერებისთვის, მაგრამ გთხოვთ, მიბრძანოთ, ვინა ვარ საქართველოში?. შესძახა ოთარმა და ზეზე წამოდგა.

— თითქო არ იცოდე, ვინცა ბრძანდები, მაგრამ რა გამოვიდა, როდესაც შენს ღირსებას ტალახში სვრი. გირჩევ, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არი, შენს ქერქში გაჩერდე! რაც არ ექნას მამაშენსაო, ნურც შენ დახევ მარმაშებსაო...

— გარწმუნებთ ბიძა ჩემო, საქართველოდან ჩემ გაძევებას ვერავინ შესძლებს მარტო იმისთვის, რომ გაჭირვებულს დავეხმარო... ნუ მაშინებთ, თუ მოპირდაპირეებში გამომიჩნდებიან ძლიერნი, დამცველებსაც ვიშოვი, იმათზე თუ ძლიერს არა, თანასწორს მაინც... არც მცირე წლოვანი გახლავართ, წლოვანება ნებას მაძლევს, დამოუკიდებლად ვიმოქმედო.

ასლანმა ლაპარაკის კილო შესცვალა, ზვიადი სახე მოულმობიერდა. გაახსენდა ოთარის უფროსი ძმა, რომელმაც ომში გამარჯვების დროს მტრისგან გატაცებული ბაირახი რუსეთის მეფეს მიართვა. ჯილდოდ ადიუტანტობა მიიღო.

— ჰმ! შენი საქციელი სიყმაწვილის შედეგია. მაგითი ბევრი დაჰკარგე.. დაიწყო მომბალის ხმით ასლანმა.

— ეხლაც უნდოდათ, მარშლად აერჩიეთ, მაგრამ მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ შენ მარშლის თანამდებობას ვერ შეასრულებ, ასე გასინჯე, „ფშუტიც“ გიწოდეს.

— ყველას თავისი აზრი აქვს, მეც ჩემი სურვილების ბატონი გახლავარ, უპასუხა გულხვიადად ოთარმა და საგარძელში ჩაჯდა.

— არ დაივიწყო, რომ სურვილები საერთო კანონს გარეთ არ უნდა გადიოდნენ.

— კანონსაც სხვებზე ნაკლებ არ ვიცნობ...

— თუ იცნობ ისიც გეცოდინება, რომ თვით მპყრობელი, მეფე-პერს არ დაგიკოცნის, თუ შენს თვალუწვდენ მამულს ტყის ნადირებზე გაიცვლებ. ამ-ნაირი საქციელი მთელი სახელმწიფოს შერყევაა, თვითმპყრობელობის დანგრევა. შენი ადგილი რომ გლეხებმა დაიჭირონ, საით გინდა წახვიდე?.. სოციალისტები მაგაზე მეტს კი არას აშავებენ, რომ ფეხებში ხუნდებ გაყრილებს ციმბირისკენ მიერეკებიან! მაგრამ სასაცილო ის არის, რომ სოციალისტების სუნი შენცა გდენია, ჩემო ოთარ!. ხა!. ხა!. ხა!.. ასლანის ხარხარზე მისი საკარძელიც ირყეოდა. ოთარი კი ამ დროს შუბლქვეშ იბღვირებოდა, ასლანმაც ხმა ჩაკმინდა.

— მე ჩემი მითქვამს და ახლა შენ იცი, დაიწყო ხმა შეცვლით ასლანმა ყარგა სიჩუმის შემდეგ.

— რასაკვირველია, დღევანდელი შენი განაბოძარი წვიმის წვეთია ზღვაში ჩავარდნილი, მაგრამ თუ დღეის იქით კიდევ განაგრძე ამ ნაირად მოქმედება, შენი უტყუარი ჯილდოა სასტიკი ციმბირი, ან მიფარებულ ადგილიდან მოზუ-ზუნე ცხელი ტყვია. ჩემს მოციქულობას ამითი ვათავებ.. ახლა შენ იცი. მშვი-დობით!. ოთარმა ხმა არ გასცა, ისევ შუბლშეკრულმა კარებამდის მიაცილა და თვითონ ისევ საკარძელში დაეშვა, მწარე ფიქრებმა წაიღეს..

— კანონ გარეთ სურვილების შესრულება არ შეიძლებაო.. ჩემ ნებაზე ქო-ნების მოხმარებაც აკრძალულია.. მაშ, რიღასი მებატონე ვყოფილვარ, ან რი-ღასი მეპატრონე?.. რისთვის მოვსულვარ იმ ქვეყნიდან, სადაც დღემდის თავის-უფლად ვნაკარდობდი? ხალისიანი გული, ლაღი გონება ცასა სწედებოდა, ბრწყინვალე შარავანდედით იმოსებოდა, რუსეთის ცივი ჰაერი ხშირად გახურე-ბულ შუბლს მიგრილებდა, გული მწვავეს არასა გრძნობდა, ამ პაწია ქვეყანაში კი ყოველ ფეხის გადადგმაზე ახალ-ახალი საფრთხე მელის... რისთვის?.. არა!. აღარ მინდა ამისთანა სამშობლო, შორს აქედგან!.. ოთარი, გველ ნაკბენსავით ზეზე წამოვარდა და ზარი დარეკა.

— ანგარიში და ეტლი!.. უბრძანა მსახურს.

* * *

ოთარი სოფელში დაბრუნდა. გონება არეული სულ უბრალო რამეზე სცდებოდა, ყვიროდა, მოსამსახურეებს გარს იფანტავდა. გალავანი მის კარმი-დამის შემორკალოდა, გონება აფორიაქებულ პატრონს ხავს მოკიდებულ ნოტიო კედლით ცივის სიჩუმით ხვდებოდა, ზღუდე სულს უგუბებდა. სახლის დიდროვა-ნი სარკმლები ყურამდინ გაფრიალებულიყვნენ. გრძელი აივანი სუბუქ, საამო, წმინდა ჰაერით იქლინთებოდა. ხილით დახუნძლული ხეები ირხეოდნენ, ჭარვად ნაქცევი ნაყოფნი ძირსა ცვივოდნენ.

— ბატონო, კნეინამ მოგახსენათ, ამ საათში მობრძანდით, სათქმელი რა-მე მაქვსო. მოესმა ოთარს, როდესაც სარკმელში გადმოყუდებული შორს სივრ-ცეში იყურებოდა. ოთარმა შეხედა, თორმეტი წლის ბიჭი თეთრ ჩოხაში გამო-წყობილიყო. ხელი აუქნია. ბავშვიც გაქრა. ოთარმა ისევ ცას მიმართა თვალე-ბი, ლაკვარდზე პაწია თეთრი ღრუბელი აჩენილიყო, ღრუბელი სახეს იცვლიდა,

ხან იკუმშებოდა, ხან, ნისლსავით, იშლებოდა, ის იყო უნდა სრულიად გაქრა-
რიყო, მაგრამ ამ დროს მისი ნალევი წვერი ახალს უსწრობდა, გაღონიერებუ-
ლი ისევ მიცურავდა. ცის მოციმციმე ლაჟვარდი ზღვა არ დასდევდა, [illegible]
ვის ზედაპირზე აჩენილი წერტილი არსებობას სადამდის მიიტანდა, [illegible]
ქრებოდა. ოთარმა ცას თვალი მოარიდა, ისევ დედამიწაზე იწყო ცქერა, მაგ-
რამ რასაც ეძებდა, აქაც ვერა ჰპოვა. გალავნის გარეთ გავიდა. პატარა რუ
სათავიდანვე დიდ მდინარეს ჩამოცილებოდა, სოფელს ორად ჰყოფდა, ოთარის
სახლის სარკმელთან მოწანწკარებდა. რუზე გადებულ ცალფეხა ხიდს გაჰყავდა
ფართე ბეგობზე. გალმა მწვანე ბალახით შემოსილი ვაკე ჩახრამულიყო, ჩაჭმუ-
ლი მიწა ლოდებისგან შემაგრებულიყო. ოთარმა რუს წანწკარს ყური მიუგდო.
თვითეული მისი ზვირთი თითქო სიმებზე აწყობილიყო. სიმების ჟღერა აღ-
წევდა იქამდის, სადაც ქვითკირის თაღი ხევს გადადგომოდა, ნაკადი შემაღლე-
ბულ ბოგირის ქვეშ იკარგებოდა. თაღიც თავგადანგრეულ კოშკს ერთის მხრივ
ქვითკირით შედუღებოდა. ოთარს მოეჩვენა, თითქო ამ თავმონგრეულ კოშკი-
დან წინაპრებზე შემდგარი საშიშარი ზღაპარი შავის ფრთებით მდინარეში
გადმოეშვა.

— დაწყევლილო ფუძევ, შორს შენგან!.. შესძახა, თავში უცბად რაღაც
აზრმა გაჰკრა, ოთახებისკენ გაემართა. სახატესთან გაჩნდა, შუშის კარი გამოა-
ღო, დიბით მოფენილ თახჩაში ფასდაუდებელ ქვებით შეჭედილი ხატები მო-
ოქროვილ თხელის ბრჭყვიალა სამოსით დამძიმებულიყვნენ. ჯვარცმა შუაზე
იდგა, თეთრ ცხენზე შეფრენილი გიორგი ვეშაპს შუბით ლახვრავდა. ღვთის მშო-
ბელს გულზე ხელი მიედო, იესოსკენ თვალებ დახრილი, ნაზად იღიმებოდა.
სახატე სანთლებით გაჩაღდა, წმიდანები ცხოვლად წინ წამოდგნენ, თვითეეუ-
ლი მორწმუნეს ბევრს რამეს აგონებდა, სახატეში საუკუნენი ჩასახულიყვნენ.
ოთარის თვალწინ რიგრიგობით ჩამოდიოდნენ მამანი მამის მამანი, პაპანი პა-
პის პაპანი. სანთლები ბრწყინალებდნენ. ოთარს საიდუმლოებაში ახვევდნენ, სა-
ჩვენებელსა და შუა თითს მოწიწებით იატაკს აბჯენდა, ჩურჩულებდა:

— უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, მასწავე მე სიმართლენი
შენი! ოთარს მოუნდა წმიდანებიდან ერთერთის გამოყოფა, მისი ყურადღება
მიიზიდა ღობოლ მარგალიტისგან დაწნულმა მანიაკმა, რომელიც ღვთის მშო-
ბელს გულის ძეწკვად შებმოდა და გაფითრდა. ეს ფას დაუდებელი მანიაკი
ერთ დროს დაკარგულა როგორც უამბეს, ბრალდებულად აღმოჩენილა ამათ
ოჯახში გაზრდილი პატარა გოგო მენიკა, თოთხმეტი წლის ლამაზი ბავშვი,
მიუტევებელ მკრეხელობისთვის ციხეში ჩამწყვდეული, საციმბიროდ გამზადებული,
ძლივს სახლში დაუბრუნებიათ, როდესაც გაუგიათ რომ მანიაკი იქვე სოფელში
ოთარის ერთერთ ბიძაშვილის ოჯახში შემთხვევით აღმოჩენილა. მენიკა მაშინ-
ვე მიუთხოვებიათ იქვე მცხოვრებ ღარიბ გლეხისთვის, მაგრამ მენიკა ისევ ამათ
ოჯახში დაბრუნებულა. ამ გახსენებაზე ოთარმა ხატებს სანთლები საჩქაროდ
ჩაუქრო, შუშის კარები დიდის ხმაურობით მიუხურა და გასწია მეორე ოთახის-
კენ. ოთახში სარკის წინ ხანგადასული გაუთხოვარი მისი და იჯდა, თვალწარბს
ისურმავდა. მენიკა სარკმლისკენ მიმდგარიყო, გუნდა ლახოსტაკს ლესავდა,

ოთარი აქედგანაც, თოფნაკრავივით, გამოვარდა, ისევ ეზოში გაჩნდა. ჰაერმა შუბლი გაუგრილა.

— ბატონო, კნეინა გთხოვთ! დამაბარა, სანამ არ [illegible], ფეხი არ მოიცვალოთ, მოისმა წინანდელი ბავშვის ხმა.

— რა გინდათ ჩემგან?. რას ჩამციებიხართ?.. ვერ გაიგეთ, თქვენთვის უცხო ვარ?.. დაუყვირა ოთარმა, მაგრამ, როდესაც ნახა ბავშვი ადგილიდან არ იძროდა, პირზე ლიმ მოსული, გაჰყვა.

* * *

— რა ფეხზე ინა დაიდევი, ყმაწვილო, ბიჭი ორჯერ გამომგზავნე?.. ამ სიტყვებით ოთარს წინ მოეგება პატარა მანდილოსანი, რომელსაც ჩალისფერი დარაია ეცვა. გადაკეცილ პაწია ყურთმაჯებიდან გამოქვიოდნენ ნაზი თეთრი ხელები; მარჯნის კრიალოსანს ათამაშებდა, ჩამოსხნილ გულზე ბრილიანტის ქინძისთავი უელვარებდა. მელანია თითქო სტუმარის მისალებად გამზადებულიყო. ოთახებში გოგობიჭები დაფუსფუსობდნენ, ჯალათებით თუთის ფოთოლს ეზიდებოდნენ, თუმცა ლასტებზე ისეც ახალდ დაყრილ ფოთლებს აბრეშუმის ჭია საამოდ აშრიალებდა. მოსამსახურეებს ძველი გამდელი ქეთუა თავს ადგათ, სათვალეებში გამჭრიახად იყურებოდა. ძმამ დას ხელზე აკოცა. მელანიამ შენიშნა, ოთარი გაფითრებულ-გამხდარიყო, მიხვდა რალაც უსიამოვნობა თავს დასტეხოდა, არ შეიმჩნია, წინ გაუძღვა. მოისმა სტვენა, მალალი, ბრგე, მხარბეჭიანი ვაუკაცი სარკმელთან მიმდგარიყო სტვენდა; სტვენაზე ტრედები გარშემო ჯგუფდებოდნენ, ასხდებოდნენ მხარზე, გულზე, თავზე, ბელურები ხელიდან პურის ნამცეცებს სტაცებდნენ. — დაძმისთვის ეს ჩვეულებრივი სანახავი იყო, გვერდი აუარეს, ოთახის კარი შეიხურეს.

— ოთარ, ამ დილით ორი წერილი მიიღე. ერთი შენ სახელზეა, ორივე ერთი ხელით დაწერილი. ჩვენი ბიძაშვილი, რამაზ გარემოშვილი ქორწინდება, ხვალის სწორისთვის მიწვეულები ვართ. როგორც რამაზი მწერს ბეჭდის შემცველი შენ თურმე ხარ.. დიდ ქორწილს თურმე აპირებს. რამაზს რასაკვირველია, თავისი მამიდაშვილიც ეყოლება. რალა თქმა უნდა კიაზო ბარაშვილის ერთად-ერთი მემკვიდრე ქალიშვილი ქორწილის ხალხს მოხიბლავს. სხვათა შორის ბიძინა გარემოშვილი უკვე ფიქრობს მის შერთვას, ანგარიშიანი კაცია. ამბობენ, დღედღეზე გუბერნატორობას ელისო. ეს ერთი, ახლა მეორე კიდევ უფრო უკეთესი გითხრა. იმ დღეს, როდესაც თბილისში წახვედი, ჩვენი სოლომანი შემოვიდა და მახარა, რუსეთიდან ერთი მდიდარი კაცი ჩამოსულა, ვილაც კარცოვი. ჩვენი დიდი მთის იჯარით აღება თურმე სწადიან, ვისაც თავისი ნაწილის გაყიდვა უნდა, იმასაც ყიდულობს. თუ მართალია. ჩვენთვის ზიარებასაკით მისწრება იქნება. კარცოვს სახლში მოვიწვევ და ჩვენებურად ჩავიპრაფერანსოთ. ჰა! ჰა! ჰა!.. გადიკისკისა ქალმა, სავარძელში მოხდენით ჩაჯდა, ამაყად თვალი მიავლმოავლო ოთახს და სახეზე კმაყოფილება გადეფინა, რომ ევროპიულად გაწკრიალებული. სახლი ხელს უწყობდა სახარბიელო სტუმრის მიღებაში... — რაე-

დენი სასიამოვნო გითხარი, ოთარ, მაგრამ შენ მაინც შუბლი ვერ გაგიხსენი. აბა ახლა შენ მომიყევი, ქალაქიდან რა მოიტანე, იქნება უფრო საყურადღებო?

დალონებულმა ოთარმა დას შეხედა.

— რა გითხრა, ჩემო მელანია? ქალაქში საქმისთვის ჩაველ: ~~[illegible]~~ ხებთან დაწერილი პიროობეები ორიოდ დღიურის ჩუქების გამო ნოტარიუსთან დამემტკიცებინა, მაგრამ უეცარმა უსიამოვნო შემთხვევამ თავგზა ამიბნია და საჩქაროდ უკან გამომაბრუნა. ახლა შენ რასაც მეუბნები, ჩემთვის ყველაფერი ამაოა, ღმერთმა ყველას მშვიდობა მოგცეთ! რაც გინდათ, ქენით. ეგ თქვენ და ეგ თქვენი მამულები.. თუ თქვენი არ გეყოთ, ჩემიც ზედ მიადევნეთ! მე კი ამ დღეებში რუსეთში მივდივარ... უპასუხა ოთარმა, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, საკარძელში გადაწვა.

— შენმა სიცოცხლემ, ოთარ, მოსწრებით არა ხუმრობ.. წარმოსთქვა მელანიამ და უცბად სახე შეეცვალა.

— სულაც არ ვხუმრობ.. არამც თუ ახლა შემდეგშიაც საქართველოს ღრუბელს ალარ დავინახავ!.

— ეიბე! ეიბე!.. ეგრე საშინლად რად გვიწყრები, ყმაწვილო? დალოცვილო, რუსები რო აქეთ იწევენ ეს კიდევ მესმის, მაგრამ შენ იქით ვილას მისდევ?. თუ კი შენი საქმე აგრე დაბოლოვდებოდა, სულაც რომ არ ჩამოსულიყავი ქვეყანა კი არას დაჰკარგავდა!

ოთარმა ხმა ალარ გაიღო, იატაკს დააჩერდა.

წადი, ძმაო, ღმერთმა გზამშვიდობისა მოგცეს, მაგრამ დალონებული რალათა ხარ? ისე სჩანს, თითქო ვინმე გაძალებდეს აქედგან წასვლას. აქ რალაც საიდუმლოებაა, გულახდით მითხარი! იქნება, თუ დახმარება ვერ შევიძლო, ცოტათი შვება მაინც მოგცე... მელანიას თვალებში გამოკრთა ალერსი და თანაგრძნობა, ოთართან მივიდა, მოპირისფრო თითები ოქროს ფერ თმებს შეეხო, ძმას თავი მაღლა აულო და ცისფერ თვალებში ჩახედა. ოთარსაც ყელთან მოწოლილი ბოლმა გაულხვა, დის სიტყვები, გულში ღრმად ჩაწვდნენ. ეს პატარა ადამიანი ამ წუთებში ერთადერთ მხსნელად მოეჩვენა. აღელვებულმა მელანიას ხელი მიიტანა თვალებთან და დიდ ხანს დარჩა ისე, თითქო რალაც დალალვისგან ისვენებდა. რაედენიმე წუთი და ოთარი აღელვებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უამბობდა მელანიას, რაც თბილისში გადახედოდა. მელანიამ პირჯვარი გადაიწერა.

— გმადლობ, შენ ღმერთო ჩემო, რომ ამაზე უარესი არა გამაგონერა! შესძახა ქალმა, შეხედა ოთარს, რომელიც მორჩილებით თვალს არ აშორებდა.

— შენმა გაზრდამ, ოთარ, რაც ახლა შენ მითხარი, არსად არ გაამხილო, თორემ დაგცინებენ... თქვენმა მზემ, დიდი საკვირველება მომხდარა, თუ ერთი ფეხის დადგმა ადგილი გლეხებისთვის გადაგიგდია! ჩუშ, ყმაწვილო, მაგისთვის მოსაკლავად ვინ გამოგიდგება?. ეგ სულ თვითონ ასლანისგან არი მოგონილი, შურიანი კაცია, შენ თვალში რომ სიკეთის ნიშან წყალსა ხედავს, ვერ შერიგებია, მოსვენებას უკარგავს და ცდილობს როგორმე თავიდან მოგიშოროს. მოგეწყინება, ვინც რა სთქვას, ყური ათხოვო. რას დაეძებ, შენ შენი გააკეთე! პი-

რიქით გამხნევდი, ცოლი შეირთე, თუნდ კიაზოს ქალი, ნატო, შამურეს მამული შეუეროე, შვილები შენზე უკეთესები დაზარდე და ღირსეულად იცხოვრე, როგორც შენ გვარს და ოჯახს შეეფერის. თორემ, დალოცვილო, ეს კი მარტო შენ ცხოვრებას მთლად ყმებს გადასცემ, ტარტალინად დარჩენილს ქუჩის ბიჭებიც ქვებს გესვრიან!.. დაუმატა მელანიამ, სათამაშო ქალალდს დასწვდა და შლა დაუწყო. მელანიას უკანასკნელი სიტყვები ოთარს გულზე მწვავედ მოხვდნენ.

მელანია სახით ძმას გავდა. მაგრამ, როგორც ქალი მაინც თავისებური იყო, ამისი სულის და გულის წვრილმალ საიდუმლოებით სავსე სალარო ოთარის გონებისთვის გაუგებარი იყო, ეხლაც ვერ მიწვდენოდა ძმის სულისკვეთებას, ოთარის შეურაცხობილი თავმოყვარეობა ბოლოს ისევ დაუკმაყოფილებელი რჩებოდა.

— ისევ ის... ისევ ის... ისევ ერთი და იგივე დაჟანგებული სიმი გაბმული ყველას წინ!.. იმეორებდა გულში ოთარი და ბავშვსავით გაჭირვებული ნება უფრო ულიზიანდებოდა. „ტარტალინად დარჩენილს ქუჩის ბიჭებიც ქვებს გესვრიანო... შენი უტყუარი ჯილდოა სასტიკი ციმბირი, ან მიფარებულ ადგილში მოზუზუნე ცხელი ტყვია!..“ ჩასწივლა ამ დროს ყურში ოთარს. საჩქაროდ ზეზე წამოდგა, მაგიდიდან ხელში ვერცხლის თასი აიღო. ეს თასი ყაბახში გაქროლილ ცხენზე მდგომმა ალმასხანმა ხელით დაიჭირა და ჯირითში სახელ განთქმულმა საქართველო აალაპარაკა. ოთარმა ალმასხანის ოთახისკენ გაიხედა, იქიდან შალაშინის შრიალი მოისმოდა. კარღია ოთახში სადურგლო იყო, რკინის და ხის სხვადა სხვა იარაღებით დაფარული კედლები. მაგიდაზე დაწყობილ ფიცრებთან იდგა გულზე წინსაფარ აკრული ალმასხანი, ფიცარს რანდავდა, თან სხვადასხვა ბაიათებს უსტვენდა. სარკმლებზე ტ[illegible]ედები ისხდნენ. ნისკარტით ფრთებს ისწორებდნენ. კარებზე კი გადგმულიყვნენ უკვე მზა სკამები, სურათების დარეზბილი ჩარჩოები და უფრო ბლომად ფრინველებისთვის გალიები. ოთარი აქედანაც დაუკმაყოფილებელი დაბრუნდა სასადილო ოთახში, სადაც მელანია უკვე დიდიხანია ელოდა ქმარსა და ძმას, რომ გემრიელი სადილი მიერთმიათ. უზრუნველად მოლიღინე ალმასხანმა მაგიდის თითქმის ერთი მხარე მთლად დაიჭირა, მელანიაც ალერსიანად შესთავაზებდა საჭმელს ბრგე ღონიერ მეუღლეს, რომლის ჩაკვრივებული ხელები ფრთხილად ეხებოდნენ ყველაფერს, რომ ხელში უნებურად არა შემომტვრეოდარა, საჭმელსაც დაუზოგავად ანადგურებდა.

— შენ თავს გეფიცები, მელანია, სწორედ სასაცილო ამბავი მოხდა ამ დილით ჩვენ ბაღში. ათი კაცი დაეხვია ბებერ მუხას, ის ოხერი გამხმარიყო, თან ადგილსაც აცდენდა. სწორედ იმ ადგილზე მინდა, თევზებისთვის აუზი გავაკეთო. ჩემ სიძე ზარინსკის ძალიან უყვარს ფათალოში შეხვეულ კედლებიდან გაღმოშვებული ნაკადი. მშვენიერი იქნება, თორემ რა გამოსადეგი იყო ერთი მითხარი უსარგებლო ხე, თავაშვებული ადამიანს თვალში როგორ ეჩხირებოდა?. რასაც დრო მოჰმული აქვს, იმას ამ წუთისოფელში აღარ ედგომინება და უნდა ჩამოდგეს. მაგრამ იმ ლაწირაკებმა ძვრა ვერ უყვეს, თუმცა ბევრს ეჯაჯგურნენ. მაყურებელმა ველარ მოვითმინე და ვეცი, ერთხელ ორჯერ მივანძრმოვანძრიე და უცბად ძირს ზლართანი გავადენინე. იმ ოხერმა ბევრი გვაწვალა და ბოლოს კი ხელში ფუტურო შეგვრჩა. მამაჩემი არ წაწყდეს, მელანია, სანამ ი ჩემი სიძე ამ

სოფელში ფეხს მოდგამდეს, ამ კარმიდამოს სულ ვარდ-ბულბულებით ავსებ.. წავიდეს და სადაც თავის დიდკაცობაზე სთქვას რამე, ჩემსასაც ნუ დაივიწყებს. დაუმატა ალმასხანმა, ლუკმით პირი გამოიმსო.

— შენმა სიცოცხლემ, ძალიან მომწონს ეგ აზრები, სწორედ ... ლაპარაკობ... უპასუხა ცოლმა. მელანია მეტად კმაყოფილი იყო, რო გვერდით ასეთი მფარველი ძალა ეგულებოდა. შუბლქვეშ გამომყურე ალმასხანი თვით ზარ-ბაზანის ყუმბარასაც უშიშრად დაუხვდებოდა. მელანია აფასებდა მეუღლის ღირ-სებას და მის რკინის მკლავს სიამოვნებით ეყრდნობოდა. ცოლთან ლაპარაკის დროს ალმასხანში ჩანდა სინაზე, ტრედებს, ბელურებს და მეტადრე კანანერებს, რომელთ გალიებით ავსებულიყო თვალ-უწვდენი აივანი, უერთებდა ნიბლია გო-გმანა მელანიას და თავის სულის უმთავრესს დამატკბობელ კანანერად ნათლავ-და. მელანიაც, რომ ქმარს ყოველთვის ამ სახით სჩვენებოდა, ტანზე მუდამ ჩა-ლისფერი აბრეშუმის სუბუქი სამოსი ეცვა. ამათი ერთმანეთზე მომდევნო პატ-არა ბავშვები სახლში წიწილებსავით დაცოცავდნენ, უფრო მოსამსახურეებს ეტა-ნებოდნენ, დედ-მამა არ შეეწუხებინათ. ალმასხანმა გაათავა თუ არა პურის ჭა-მა, ისევ სამუშაო ოთახისკენ წავიდა, ოთარმაც სახლში წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს მეზობლები შემოვიდნენ და პროფერანსში ჩასვეს.

* * *

ოქროს საათი სამწერლო მაგიდაზე ხმაშეწყობით წიკწიკებდა. ერთგვარის დაქინებულის ნაზის ხმაურით თითქო ცდილობდა თავისკენ მიექცია იქვე მჯდარ ოთარის ყურადღება. ოთარს კი ნიდაყვები მაგიდაზე დაეწყო, მიჩერებოდა სივრცეს, რომელსაც უკვე ნავთჩამწვარი, შუქ მოკლებული ლამპარი ჩრდილებს აყენებდა.

— წიკ-წაკ! წიკ-წაკ!. განაგრძობდა თავისთვის ყლმურტულს ციცი ლითონი, თითქო ოთარს ეეედრებოდა, მოესმინა მისგან დიდიხნის არსი ჭეშმარიტება, ოთარიც დრო და დრო გადახედავდა. უძილობისგან მოღალულ თვალებში ებლანდებოდნენ საათის სხვა და სხვა დროს მაჩვენებელი ისრები. საათი ორს უჩვენებდა. მძიმე ფიქრებით დატვირთული ოთარის გონება ყურს არ ათხოვებდა მის ნიშნებას, მთელი არსება მისდგომოდა კედელსავით მდგარ მაგარ საკითხს რუსეთში წასვლის შესახებ და ამაზე რაც მეტს ფიქრობდა, გარდაწყვეტა უფრო უძნელდებოდა. თუმცა ერთი საათის წინ დასთან მხიარულობდა, ყურს უგდებდა ალმასხანის თარს, მელანიას უზრუნველ კისკისს, მაგრამ რწმუნდე-ბოდა, ყველა ეს ყალბ და ვიწრო ჩარჩოში იყო გამოწყობილი. ის ანდამატი, სულის აღმაფრენა, პარნასი, სადაც აპოლონი ჩანგით ცხრა მუზათა უკვდავ გუნდს თავმჯდომარეობდა, ამ ადგილს ისე მოშორებოდა როგორც ცა დედა-მიწას. ოთარი ვარდებოდა ულრან ტყეში, გაფარჩხული ხეების ეკლები მწვავედ გულს უსერავდნენ. „შენ იცი, ოთარ, თავს როგორ მომაწონებინებ ლამაზის სიტყვებით, ქორწილის სუფრას დამიმშვენებ. ორმოცდა თხუთმეტი წელი ჩემ-თვის არც ისე ბევრია, ჩვიდმეტი წლის ციცინო კიდევ არ დავაბერო. ციცინო ციცინათელასავით იფრიალებს ჩემ სამფლობელოში და მერწმუნე ამ ხანში უფრო

ლირსეულად შეუწყობ ხელს, არავერზე გული არ დააკლდეს. ბარემ ციცინო სილამაზით თავს მოუყრიდა ქართველ ქალებს, მაგრამ მას ჩრდილავს ერთი. ეს ერთი ჩემი მახლობელი რომ არ იყვეს, გულში ხინჯად [illegible] მაგრამ მშვენიერი ნატო ჩემი მამიდაშვილია და პირიქით ვამ[illegible] [illegible]ანამ არ მოგიხსნია, შენებურად ერთხელ კიდევ გაჭკარი დეზები გოგმანა გვრიტებს, დაუკროლე და იქნება ბედმა შესაფერი ტოლი გაშოვნინოს.. შენი რამაზ".

ოთარმა წერილი რავდენჯერმე გადაიკითხა.

— ტოლი.. ცალი, ციცინო, ნატო.. ოთარი მარტოა, ეს მტანჯველი აზრებიც იმიტომ სდევნიან ასე შეუბრალებლად. ცალი არსად არ გამოდგება, სრული, დამთავრებული, რთული, აი სად არის ძალა! ტვირთის საზიდავად ულელში ყოველთვის წყვილად არიან ხოლმე შებმული ხარები. ჯინჭვლებსავით ამუთფუთდნენ ოთარის თავში ახალი აზრები და გამოფხიზლდა.

— ვნახოთ! ქორწილიც მალე იქნება. რუსეთში წასვლას მერეც მოვახერხებ.. ქორწილში დაუსწრებლობა კი შეუძლებელია, რამაზის თხოვნას ანგარიში უნდა გაუწიო! საკითხი თავის თავად გადაწყდა. ოთარი დამშვიდდა.

მეორე დღეს დილით ადრე მათიკოსკენ წავიდა:

— აბა, ქალო, ქორწილისთვის მოეშზადე! რამაზი გვპატიჟობს! დაუძახა შორიდანვე დას, როდესაც დაინახა მათიკო ეზოში ხის ქვეშ თუთასა სჭამდა.

— მადლობა ღმერთსა, ცა მოწმენდილა!.. მოისმა პასუხად.

— ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწვაო, კიდეეაც გიკვირს, როდესაც შენი ყოველ დღე ბუზღუნი ილაჯსა სწყვეტავს?.

— ნეტაი ასე ვინ მელაპარაკება?. შესძახა მათიკომ, ხელით შუბლი დაიჩრდილა, ოთარს გამოხედა.

— უკმაყოფილებაზე შენ მისაყვედურებ?. შენ არა ხარ, კვირის კვირობამდე დღის სავალზე მიდგები, თუ ხმას გამცემ, მაშინაც ვაი ჩემი ბრალი. შენი ჭკვირილისგან ოთახის ჭერია აყრილი. ნეტაი დღეს რომელმა კეთილმა ანგელოზმა შემოგილოცა, ტრუდსავით რომ მეღუღუნები?.

— კარგია, მათიკო, ძლივს გული მოვიბრუნე, გუნებას ნულარ მირევ!. წარმოსთქვა ცოტა არა დარცხვენით ოთარმა.

— აღბად, წუხელის კეთილი ანგელოზი მელანიას სახით მოგევლინა, ტკბილად მოგიჭიკჭიკა! კარგი იქნებოდა, რომ ის ჭიკჭიკი ნამდვილი კახანერის ჭიკჭიკი ყოფილიყო, მაგრამ ვაი რომ მასში ადამიანის გესლიც იქნება ჩალესილი.

— რა ხან შენ ჩემ თხოვნას ანგარიშს არ უწევ, მეც აღარ მინდა გავიგონო, რაც ამ წუთებს არ შეეფერება. მოდი ორივემ საყვედურებს თავი დავანებოთ, ერთმანეთს მსაფი მივყუდოთ, მძიმე წუთები შეეუბნუბუქოთ. მათიკოს ოთარი შეეცოდა, იქვე ხის სკამზე ჩამოჯდა, ოთარიც გვერდით მოისვა. ქალი დიდხანს იყო გაჩუმებული. ღელავდა, თითქო ცდილობდა უსიამოვნო სიტყვები არ დასცდენოდა.

— აბა წერილი მაჩვენე, რამაზი რასა გწერს?.

ოთარმა თითით ანიშნა ის ადგილი, სადაც რამაზი მათიკოსაც ეპატიჟებოდა. წერილის წაკითხვის შემდეგ მათიკო მიხვდა, ოთარს გუნება რად შეც-

ვლოდა, ჯერ იამა მაგრამ, როდესაც გაითვალისწინა რამაზის ქორწილი, ციცინო, წარმოიდგინა ჯერ კიდევ უნახავი ნატო, სხვა ქალები, მათ გვერდით მისი და მელანია, რომელიც მათიკოს ცხოვრებაში გზაზე გადადგომ[illegible] საშველს არ აძლევდა, ქალს სახე დაემანჭა, წერილი ხელში [illegible]

— ნუ თუ მაგ ბარათშიაც საწყენი რამე ნახე?

— ეტყობა რამაზი სიბერისგან გასულელებულა და ციცინოს ირთავს. ერთი მითხარი, გუშინდელმა ბავშვმა რა ცოლობა უნდა გაუწიოს?. ტიკინსავით ათამაშოს? ციცინოს ერთად ერთი ღირსება სილამაზეა და იმ სილამაზით რასაც მოიგებს იმასაც ვნახავთ!

— ოხ, რო იცოდეთ რა შემცდარები ხართ კაცები, როდესაც თვალები სილამაზისკენ მიგირბით. მაშინ, როდესაც... აქ სიტყვა გაუწყდა მათიკოს. ოთარმა დას შეხედა.

მათიკოს შეყრილ წარბებსა და ჭრელ თვალებში იხატებოდა უსიამოვნო მეტყველობა, ქერა წაბლისფერი ნაწნავები, რამდენსამე ადგილს გამომარყუეებულები, კოპებს უსწორდებოდნენ, მოგრძო თხელი ცხვირი, სახის ნაზ თეთრ კანში მოციმციმე ძარღვების ლურჯი ხაზები, მგრძნობიარე მომსხო სისხლისფერი ტუჩები მნახველის თვალში უსიამოვნოდ იჭრებოდნენ. მათიკომ იცოდა მის ბედაურ წამოსადეგობას მოკლებოდა ის ჰაეროვანი სინაზე, რომელიც ბევრს აჯადოებდა. მათიკო ელტვოდა მათ, ვისაც არ უნდოდა, ერიდებოდა მას, თუ ვინმე მიეტანებოდა. ამასობაში დღეები ულამდებოდნენ. თუმცა ძმებისგანაც უზრუნველყოფილი იყო, როგორც მამულით, ისე ძვირფასი სამკაულებით, მაგრამ ყველა ამას ცალი ყბით ხვდებოდა. ლამაზი ქალები დასანახავად ეჯავრებოდნენ, მისი აზრით ისინი ცხოვრების წასაწამლავად გაჩენილიყვნენ. მათიკო ძმების სახლში თავს სტუმრად გრძნობდა. თვითონ ძმებიც ამავე აზრისანი იყვნენ. ქალიშვილისთვის დედ-მამის ოჯახი დროებითი თავშესაფარი იყო და ჩქარობდნენ. მალე თავიდან მოეშორებინათ. მელანია, როგორც სუბუქი, მოხდენილი ჩიტუნია უმზვინოდ მალე გადააფრინეს ალმასხანის მკლავზე, მათიკო კი უფრო ბედდამწყარი აღმოჩნდა.

— თქვენი ქონება კი არა, მთელი საქართველოც რომ დაუმტკიცოთ, მაინც ადგილიდან ვერ დასძრავთ მაგ ბენძლსა.. ჩემი ბაძი არავის არგია.. მე რო ვიყავი, ვიყავი! ხშირად ყურშიაც გააგონებდა ხოლმე მელანია მათიკოს. ოთარს ყველა ეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული.

— ცოლქმრობა საიდუმლო ძალის ნება ყოფილა, ზოგჯერ სულ ჯერ კიდევ ბავშვები ჭორწინდებიან, ზოგს უგვიანდებათ. ჩემის აზრით კი დაგვიანებული შეუღლება უფრო გონივრულია. ავიღოთ თუნდ რამაზი, განაგრძო ოთარმა, როდესაც შენიშნა რომ მათიკოს იამა ამ ჰანგზე ლაპარაკი.

— კაცმა ორმოცდახუთმეტ წლამდე მიაღწია, ეხლა კი ციცინოს ირთავს. რამდენი მაგალითი მინახავს და კიდევაც გამიგონია ოცდახუთმეტი წლის ქალისთვის ოცი წლის ყმაწვილი აღტაცებულიყვეს. მათიკომ ამაყად თავი აიღო მაღლა, ზურგი მიჰყუდა ხეს.

— მაშ ჩემი სოსანი ატლასის კაბა თეთრ სარტყელ გულის პირით შევიმზადო?. წარმოსთქვა ღიმილით.

— უსათუოდ. ჩემი მუნდირიც გადაათვალიერე! ქორწილამდე, თუ გუნება არ შემეცვალა უსათუოდ რუსეთში მივდივარ...

მათიკომ ძმას ხელი გამოართვა. ორივე დაძმანი ამ მოკლე დროში ახალს რაღასაც ელოდნენ და ამ მოლოდინით ერთმანეთს უახლოვდებოდნენ.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თუ გიორგი მთიდან ფულს არ ჩამოიტანს, შენი მტერი, ჩვენი საქმე იქნება, ჯიბეში კაპეიკი არ მიდევს, შენიშნა ოთარმა.

— ქორწილამდე ჯერ კიდევ ერთი კვირეა, მანამ გიორგიც ჩამოვა.. მაგრამ თუ მაინც და მაინც ვერ ჩამოგვისწრო, მაგაზედაც ნუ შეწუხდები.. ფულს ისეც მოვახერხებთ.

— ას თუმანზე ნაკლები რაღა იქნება.. თუ გეგულება ამდენი, ამ დღისთვის ნუ დაზოგავ, მერე მამულის შემოსაელიდან შეივსებ..

მათიკომაც არ იუარა. თან, მეტად კმაყოფილი, ითვალისწინებდა მოხღვეულ ხალხში ოთარს, დედოფლურად მორთულ თავისთავს, თუნდ განზე გამდგარ მოქიშპე მელანიას ალმასხანით. მთელი ბუდე დიდებული ოჯახისა საჯაროდ წარდგებოდა, მათ შორის ძვირფას ჩარჩოდან ზვიადად გადმოდგებოდა მათიკო მეტად სანატრელად და... იქნება... მათიკოს გაბრწყინებულ სახეს ოთარიც ღიმილით უყურებდა.

* * *

№ ქუჩაზე ორსართულიან სახლის მარმარილოს კიბის საფეხურებთან ფრაკებსა და ხელთათმანებში გამოწყობილნი მსახურნი მოსავალთან მომდგარ ეტლებს მოწიწებით ხვდებოდნენ. სტუმრები რჩეულნი იყვნენ, მიგებების შეცვლა არ უხდებოდათ.

— ხაბარდაა!

გაისმოდა მეეტლეთა ერთმანეთთან გამოხმაურება. ეტლს ეტლთან შეჯიბრებულს უნდოდა, ერთს მეორესთვის გაესწრო გაამაყებული მოწინავე უკანა ეტლის ცხენებს სახეში ტალახით შესვრილ წინწკლებს ესროდა. ცხენები ფრუტუნებდნენ, გაგულისებულნი მეეტლენი თვითვეულად ცდილობდნენ, თვალსაჩენ ადგილს მდგარიყვნენ, თავი მოეწონებინათ, ღირსეულად დაჯილდოებულიყვნენ. ეტლებიდან გადმოდიოდენ მძიმედ მორთული ქალები, მათზე არა ნაკლებ გამოკოხტავებული მამაკაცნი ბრილიანტებით, ზოგიც ჩერქეზულად ჩაცმულნი. ესენი მზრუნველობით დროზე ხელს აშველებდნენ, რათა კეკლუცი ქალები ფეხით ტალახს არ შეხებოდნენ.

სარკმლები ღია იყო, თითქო ქუჩის გასალიზიანებლად, თუმცა გარედ კოკისპირულად წვიმდა, ჭალებით გაბრდღვიალებულ დარბაზში გრიალებდა სამხედრო მუსიკა.

მომსვლელნი ჩქარობდნენ, დროზე წარდგენოდნენ რამაზს და ციცინოს. ფრაკებში გამოწყობილი ყმაწვილები მედიდურად იყურებოდნენ.



სამხედრო პირები თავს უფრო თამამად გრძნობდნენ, როდესაც მეფედ ხედავდნენ ჯინჯილებით დამშვენებულ ბრგე რამაზს, რომელიც, [illegible] ვით იყურებოდა, გვერდით ამოსდგომოდა ჯერ კიდევ ბავშვი— [illegible] ნო. თეთრ ატლასის კაბაში პატარძლის გედსავით მაღალი კისერი, ბროლსავით კრთებოდა ნაზ ბლონდებში. სამ ძაფად შემოკონილ მარგალიტის ნასკვები ნაქსოვის ნაკეცებში შეუმჩნევლად ჩამალულიყვნენ.

ციცინო გვირგვინქვეშ მეტად შვენოდა.

მათიკო ციცინოზე ნაკლებ არ იყო მორთული, მაგრამ აქა იქ კედლების სარკეებიდან გამომყურე მისი უხეში შეხედულობა თვითონვე გულს უსერავდა, თუმცა ამავე დროს იმედს არა კარგავდა, რომ საცაა რომელიმე მხრიდან ამისთვისაც ცა გაიხსნებოდა, გამოჩნდებოდა მშვენიერი ვაჟკაცი, რომელსაც სიცოცხლეს ანაცვალებდა.

მათიკო უფრო მახლობლებს ეტანებოდა, მელანიასაც აედევნებოდა, თუმცა სახლში კვირის კვირობამდე ერთმანეთს ხმას არა სცემდნენ. მელანია შეუმჩნევლად ხელიდან უსხლტებოდა, მიიწევდა მისკენ, ვინც გარემოებით უფრო მაღლა იდგა. შეუმჩნევლად შორდებოდა თავმომაბეზრებელ დას, თან კმაყოფილებით უყურებდა ალმანსხანს, რომელიც სიმარდით და ხმით მხიარულების მოთავე იყო. მელანიას არც ოთარი ეკარგებოდა თვალიდან, კიდევ ვილაცასაც ეძებდა.

ქალვაჟნი დირიჟორის ხმას წყვილწყვილად მისდევდნენ, მუსიკა კადრილს უკრავდა. რამაზს გვერდით უჯდა დივიზიის უფროსი გენერალი. მას აფიცრები თან ახლდნენ.. დარბაზში ისმოდა ფრანგულ-რუსულ-ქართული.

— ბორის პეტროვიჩ, ქალალდის თამაშს არ ინებებთ?

ხელების ფშვნეტით წამოდგა წინ ოთარი.

— დიდის სიამოვნებით!.

უპასუხა გენერალმა, ეტყობოდა მოსწყენოდა კადრილში არეული ხალხის ყურება.

— რასაკვირველია თქვენც ჩვენთან იქნებით თავადო?

შეეკითხა ბორისი და თან მედიდურად გამოხედა ოთარს.

— თუ მიბრძანებთ, მზად გახლავართ!..

უპასუხა თავაზიანად ოთარმა, რომელიც სტუმრის შესახვედრად მზად იყო ჯიბე სავსე ფულით, გული—სიუხვით. რაკი რუსეთის შვილებს სიყრმითვე შეჩვეოდა, მათთან სხვებზე მეტ სითამამეს იჩენდა, არ კმაყოფილდებოდა სადარბაზო მოკლე—მოკლე თავაზიან სიტყვებით, ხშირად ბაასი შინაარსიან ხასიათს იღებდა, რუსეთის ისტორია, მეცნიერება, თუ პოეზია ამათ შორის ხელის გულსავით იშლებოდა. იმ დროს ოთარის გრძნობა გონების გაშლა ზომიერებას ჰკარგავდა. სიდიადე, ვისიც უნდა ყოფილიყო, მშვენიერება, მუსიკა. აღფრთოვანებულ ვაჟკაცს შესაფერ ჰანგზე მართავდა.

ოთარს წინ ეშლებოდა თვალთახედვის მომჯადოებელი სამყარო, გონებას შემოხსნოდა წვრილმან მოვლენებისგან შემდგარი შემაწუხებელი რკალი, გრძნეულ წუთების იქით აღარ იყო რა, წუთიერებას მსოფლიო დაეჭირა, წუთიერება ამის თვალში ჭეშმარიტება იყო და ოთარ გარემოშეილიც სწორედ წუთიერე-

ბისთვის იყო მოვლენილი. ბორისიც მასთან ბაასით დიდი კმაყოფილი ჩრჩებოდა.

მეორე ოთახიც ბრწყინავდა მდიდრულის მოწყობილობით, მშვენიერ ავეჯებით. ოთახში ქალალდის მოთამაშენი ბლომად შეყრილიყვნენ, ვილასაც ელოდებოდნენ, კიდეეაც გამოჩნდა.

— ბორის პეტროვიჩ! აქ დაბრძანდით!

— თქვენ აქ..

— ჩვენ კი აქ..

ისმოდა ყოველ მხრივ. ადგილებს იჭერდნენ.

ყველაზე დამშვიდებით ბორისი იყურებოდა, დანარჩენები ღელავდნენ. ბორისის მონაწილე მოთამაშე ოთარი იყო.

რამაზმა ქორწილის დიასახლისობა-გამგეობა მელანიას და ალმასხანს მიანდო. მელანია ქალალდის მოთამაშეებთანაც გაჩნდა, ოთარს გადახედა, სახეზე ჩრდილები გადაუცურდნენ.

— ღმერთო ჩემო, ეს რა შეცდომა მომივიდა, უფრო ადრე არ შემოვედი! ოთარი გენერლის მონაწილე მოთამაშეა?!.. ეჰეი ალარ არი ბორისი ქალალდში ბევრ ფულს წააგებს და ეს კი ჩვენი შერცხვენა იქნება!.. რაც უნდა იყვეს მასპინძლები ვართ, სტუმარს ანგარიში უნდა გავუწიოთ.

გაუელვა თავში მელანიას.

— ალმასხან, დაიხსენ როგორმე ბორის პეტროვიჩი ოთარისგან, თორემ ჯიბე დაცალიერებული ადგება.

წასჩურჩულა მელანიამ ქმარს, როდესაც ოთახში შემოსული დაინახა.

— დალოცვილო, აქამდის სად იყავი?. რად ჩაუზიარე? ხომ იცოდი, ოთარ არასდროს მოგებული არ ამდგარა?.

— ველარ მოვუსწარი. როდესაც შემოვედი ქალალდის თამაში უკვე გაჩაღებული იყო. მეორეს მხრივ გული დავიმშვიდე, იქნება ბორის პეტროვიჩთან მაინც...

ალმასხანმა გაიღიმა.

— მოტყუებულხარ ჩემო ჩიტუნიავ, ოთარი რაშიაც სუსტია, გინდ ბორის პეტროვიჩი მოუყვანე, გინდ ივან ივანიჩი, მაინც სუსტი დარჩება.. ოთარი ქალალდის თამაშობით ყოველთვის თავს ირთობს ხოლმე, იმ დროს მისი გონება სადღაც არის წასული, ბურუსში გახვეული და თუ კიდეეაც წააგებს, არ დაგიდევს.. მაგრამ არა უშავს და, ეხლავე მოვახერხებ, ბორის პეტროვიჩი მანდედან ავაყენო.

ანუგეშა ალმასხანმა და წავიდა დარბაზისკენ, საიდანაც მოისმოდა დირიჟორის შემოძახილი, ქალვაჟთა კისკისი, მუსიკის ხან ხმა შენელებული ღულუნი, ხან მედგარი, თავგამეტებით შეტევა, ყველა ერთმანეთში ჩართულ-ჩახლართული.

მელანიამ თვალები მოჟუტა, მარაო აუქარეა ბლონდს, რომელიც კავებ ქვეშ ამოტარებოდა.

უცბად დარბაზში ევროპიული მუსიკა აღმოსავლეთის ჰანგებმა შესცვალეს. სუნთქოვანი საცემი საკრავები ახმაურდნენ, ჭიანურის მინარეთზე გაბმულ ის-

რებს შვილდი შეეხოთ. ვნებით დამთვრალმა მაზე იწყო მოხდენით სრიალი. დამსწრეთ გუნება შეეცვალათ, ბორისთან ალმასხანი გაჩნდა.

— დარბაზისკენ წამობრძანდით, მოისმინეთ ჩვენებური სიმღერა-ნაკვეთი ნახეთ.—სთხოვა გენერალს.

ბორისიც მაშინვე წამოდგა, ის იყო მოპირისპირეს წაგებულში უსწორდებოდა. დანარჩენი მოთამაშენიც აიშალნენ.

ოთარი დარჩა თავის ადგილზე, ნიდაყვით მაგიდაზე დაენდო...

„ორთავ თვალის სინათლევ!
რაზედ მოგიწყენია?
ბნელსა ვზივარ მინათლე,
სანამ დრონი შენია“.

მოისმა უცბად. ოთარს სიტყვები გულზე მოხვდნენ. მოეჩვენა ვილაც რაღაცაც სთხოვდა. მიიხედა, პირდაპირ ქარი ღია იყო, მოსამსახურეები შეეჯგუფულიყვნენ; ფაქიზად ჩაცმულნი წინ წამომდგარიყვნენ, მათ ამოფარებოდნენ თმაჭალარა ახალგაზდანი. მათი სახეების მეტყველობა ოთარისთვის უცნობი არ იყო. უფროსების მუხლებთან პატარა ბიჭი წამოჩოქილიყო, არ დასდევდა დიდ შევიწროება-უხერხულობას, სმენად და მხედველობად გარდაქცეულიყო. უცხო-უცხო სანახავების გამო გამოთაყვანებულ პატარას პირი ღია დარჩენოდა, თვალები დაეჭყიტა. ბავშვს ტანი არ უჩნდა, ალბად ადგილის შესაფერად არ იყო შემოსილი. ოთარმა ჯი ეს არის ეხლა ორმოცდაათი თუმანი წანაგები ბორისის მხლებელ აფიცერს გადასცა.

„ბნელსა ვზივარ მინათლე
სანამ დრონი შენია!“

არ ისვენებდა ჭიანურზე მოლიღინე ვილაც მამხილებელი და რომ ეს ხმა დროზე გაეყრუებინა, ოთარმა პატარა ბიჭს ხელში თუმნიანი ჩაუდო, თვითონ დარბაზისკენ წავიდა.

* * *

დარბაზის შუაგულს ხალხი შემორკალოდა, ერთი მეორეს აწვებოდა, ფეხის თითებზე დგებოდა. ოთარიც პირველ რიგში ჩამდგარიყო.

დარბაზის შუაგულს გამოჩნდა შავგვრემანი შუახნის კაცი, ხელში ჭრელი ხელსახოცი ეჭირა, მაყურებელს შავი ფარჩის სამოსის სხივილი, გაწვდილ მკლავებზე ჩამოშლილი ყურთმაჯები ფრთების ფრიალს აგონებდნენ.

ოთახში შემოფრენილი შავარდენი ნიშანში ამოღებულს თვალს არ აშორებდა.

— კიაზოა!

— მეც დამანახვეთ!

ჩურჩულებდნენ.. შავარდენმა რხევას უმატა, კეკლუცი ქალის წინ გაჩნდა.

ქალმა მოფრენილ შავარდენს გაუღიმა, შავი თვალები გაუბრწყინდნენ. ხორბლისფერ ღაწვებზე სიწითლე ეპარებოდა, წარბები აჭიმოდნენ შუბლზე, რო-

მელსაც მარგალიტით ნაკერი თავსაკრავი გაჰკროდა. ბეჭებზე [illegible]ებული ლეჩაქი შეირხა, შეფრიალდა, ქალი ფერიასავით გაცურდა.

თუმცა შავარდენი ყოველმხრივ წინ ურბენდა, მაგრამ [illegible] ტრედი კარგა ხანს ხელიდან უსხლტებოდა, თავისუფლებისკენ მიისწრაფოდა, ამავე დროს შავარდენს ეკეკლუცებოდა, ელოდა—საცაა საიდანმე სინაზე ონავრობით ისევ დაუკროლებდა.

ოთარი გაშტერებული უყურებდა მოცეკვავე ქალს, გრძნობდა ამ დროს თითქო ფეხ ქვეშ ხიადაგი ეცლებოდა.

ოთარის თვალწინ ისევ აიხადა წუთიერებისგან შექმნილი ფარდა... გამოჩნდა ია-ვარდით მოფენილი გზა. მოცეკვავე ქალი წარმოუდგა სიცოცხლის მომცემ მშვენიერების ქალწულობის ღვთაებად, რომლის ძალას დარბაზი დაეპყრო.

— ის არის... ის... ქალ-ღმერთი... ჩემი შემოქმედებითი ძალის გამპიროვნებელი... რაღას მიზამს მტერი, თუ ეს გვერდით მეყოლება?.. მშვენება, გამხადე შენი მონა!.. შენ იქნები ჩემი დაქანცული აზრების მყუდრო სავანე... შენგან გამხნევებული შემოვიგლეჯ მოჩხაკუნე დეზებს, გონებიდან გადავიგდებ უცხო ქვეყანაში გადასავარდნად მაშფოთარ აზრებს; მამაშენსავით ქართულ ტანისამოსში გამოეწყობი, შენთან ხელიხელ ჩაკიდებული გამოგყვები ცხოვრების გზაზე შენსავით ტურფა ქვეყანაში.

სასოებით მეტყველობდნენ ოთარის თვალები, ქალიც გრძნობდა ოთარის თავისადმი აღტაცებას, უფრო მოხდენით შლიდა ხელებს და მისი თვალებიც ნაპერწკლებით სწვავდნენ.

ქალი განზე გადგა. შავარდენმა ფრთები მხრებზე შეიკეცა, მიზაიაც შეწყდა. კიაზო ბარაშვილი და მისი ქალი ხალხის ტაშის გრიალს დამშვიდებით შეხვდნენ, ეტყობოდათ, ამგვარ შეხვედრას დიდი ხანია ჩვეულნი იყვნენ...

კიაზო დარბაისელთ შეუერთდა, ნატო დედას მოუჯდა, მარიამი ქალიშვილის საყვედურს ღიმილით ისმენდა.

— რატომ არ მიშვებ დედა ციცინოსთან?. შეხე თვალით მეძახის... ისეც გვიან მოვედით, ეხლა მაინც ნუ მიშლი გვერდით მოუჯდე.

— გითხარი, არ შეიძლება მეთქი!.. ჩვენში მიღებულია, პატარძალს გვერდით ხანში შესული ქმარშვილიანი ქალი უნდა ჰყავდეს.

— მე რომ ვიყვე?

— კიდევ და კიდევ!...

შეუტია მარიამმა და იქვე მდგომ მანდილოსანს მიუბრუნდა.

ნატო დედის წინ იდგა დიდხანს ჩაფიქრებული, მაგრამ მისი თვალები უცბად ნაცნობ თვალებს შეხვდნენ. პირდაპირ კედელზე დიდი სარკე ეკიდა, სარკიდან გამომყურე ქალმა ნატოს ყურადღება მიიქცია, გაუკვირდა მაღალი მიღწევა მშვენიერებისა, რომლითაც დაჯილდოვებულიყო საგანგებოდ შეხავებულ წამლებით ნახატი ქალიშვილი წითელ ატლასის კაბაში. ნატომ სარკეში მოჩინარ დარბაზს გახედა, მშვენიერს ცალი ვერ უპოვა.

მაგიერად შენიშნა ქერა ცისფერთვალება აფიცერი ზურგით კედელს

მინდობოდა, მშვენიერს თვალს არ აშორებდა. ნატომ ქალს გაულიმა, ქალიც ამავე ღიმილით დაუხვდა.

ნატო სარკესთან მივიდა, ცივ შუშას ხელი შეახო, მშვენიერებისაკენ გაიმეორა, თუმცა შუშა დაინისლა.

ნატო ხელით შეეხო ბაგეს, დანისნულ შუშაში ქალმა ნატოს ანარეკლი მიიღო.

ქალს უნდოდა გადაეკისკისა, მაგრამ გაახსენდა საცა იყო, საჩქაროდ სარკეს ზურგი უბრუნა და ისევ დედის გვერდით დაჯდა. ეხლა კი მიმხვდარიყო, მარიამი ციცინოსთან ახლო ყოფნას რად უშლიდა.

მალე დედა-შვილის ყურადღება მიიქცია დარბაზში ატეხილმა ჩოჩქოლმა. რამაზმა კიაზოს ხელი ჩაჰკიდა, განზე გააყენა, დიდხანს ელაპარაკა. რამაზს მიემატა ციცინოს მამა სარდიონი, რომელიც კიაზოს ხშირად მხარზე ხელს ადებდა, რაღაზედაც არწმუნებდა, კიაზო უარზე იყო.

ცოტა ხანი და ცისფერთვალება აფიცერიც მათთან გაჩნდა.

ნატოს მოუსვენრობა დაეტყო, თითქო ჩოჩქოლის მიზეზს მიხვდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

კიაზო ჯგუფს გამოეყო, რამაზი და სარდიონიც თან გამოჰყვნენ.

— ჩემო დეიდაშვილო, პატარა ხანს აივნისკენ წამობრძანდი! შენთან მოსალაპარაკებელი გვაქვს.

უთხრა რამაზმა მარიამს. მკლავი შესთავაზა. მარიამი დაიბნა, სახე ალანძული გაჰყვა. აივანი ბაღს გაჰყურებდა, მარიამი სკამზე დასვეს, ქალი ღელავდა, მალიმალ ლეჩაქს ისწორებდა. ნატომაც შეუმჩნევლად ადგილი იცვალა, აივნის ახლო ფარდით მოფარებული მოხერხებით დადგა სმენად გარდაქცეული.

— მარიამ, ოთარ გარემოშვილი ქალსა გვთხოვს!

ამ სიტყვებით წამოდგა წინ კიაზო. მარიამს ასეთი წინადადება ბოლო ხანებში ხშირად ესმოდა, სხვადასხვა საპატიო მიზეზებით თავიდან იცილებდა, მაგრამ ამ ჯამად პასუხის მიცემა გაუძნელდა. კარგა ფიქრის შემდეგ ქმარი განზე გააყენა, აღელვებით დიდხანს ელაპარაკა, ეტყობოდა დიდ უარზე იყო, მაგრამ, როდესაც ორივენი დაბრუნდნენ, კიაზო გამარჯვებული იყურებოდა.

— მარიამ, შენი ქალი ციცინოს ამხანაგია, შენ ქმარსა და ჩემ სიმამრს ერთმანეთის თავს არა ურჩევნიათ რა, ამას ზედ დავურთოთ კიდევ ის, რო მე და შენ დეიდაშვილები ვართ. მოდი, ჩემო დაო, ეს ჩვენი ნათესაობა უფრო განვამტკიცოთ, ქორწილს ქორწილი მოვაყოლოთ. ოთარს ჩემიანობით არ ვაქებ, შენი ქალი უსწავლელს რო მიათხოვო ისევ ტეტია დარჩება, ოთარი კი, როგორც განათლებული, შენ შვილს აამაღლებს, ნასწავლი და უსწავლელი ერთმანეთს ხელს ჩაჰკიდებენ, ნატო გარუსებულ ოთარს გააქართველებს, ოთარი ნატოს გააევროპიელებს.

მჭერმეტყველობდა რამაზ. მარიამმა ისევ ქმარს შეხედა.

— როგორცა ვხედავ თქვენ კიდევაც შეთანხმებულხართ, ჩემთვის კი ახალი გაგონებაა. ერთი შვილი მყავს და იმისი ბედიც ერთ საათში გადავწყვიტო?..

— საათი რას ნიშნავს მაშინ, როდესაც საქმე დღესავით ნათელია?.. ძა-

ლიანაც ჩაუფიქრდი, რას გინდა პირი უპოვო?. ჩვენც აგრე გაგვითხოვებია ქალები, ჩვენც აგრე შეგვირთავს ცოლები. დალოცვილო, შენ აგრე ეუბნები ცხრა წლისას ჯვარი დაგწერეს და იმის გულისთვის ლედელი გაკრიჭეს? ცხოვრებას დროს შესაფერი კანონები აქვს, საიდან გინდა მოუარო?. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სახარბიელოდ ისიცა კმარა, უფროსი ძმა რუსეთის მეფის ადიუტანტია. შენ შვილსა და სიძეს ფარად და ხმალად მარტო ეს ეყოფა ცხოვრებაში, მაგას მიუმატე დიდი შეძლება, შენი ქალის მემკვიდრეობა და სხვა რალა გინდა, დალოცვილო? ცასაც ხომ ხელით არ შესწვდები?.. ოთარი გთხოვთ დღესვე ჯვარი დასწეროთ, თუ უარს მიიღებს, ხვალ რუსეთში მდის, თქვენ ქალსაც კარგი ბედი დაეკარგება.

— ოთარ გარემოშვილს მე სასიძოდ გერ დავიწუნებ..

წარმოსთქვა ამ დროს კიაზომ და თვალები ზემოდ ამართა.

— დაწუნებით არც მე ვიწუნებ, მაგრამ.. აქ ხმა აუთრთოლდა მარიამს და ქმარს შეხედა.

— როგორლაც ჭკუაში არ მომდის. ბავშვი ნათესავის ქორწილში მომიყვანია და იმის სახლში პატარძლად წამოვსვა. რა გაჭირვებისთვის?. სხვა რომ არა იყვესრა ჯვარის საწერი კაბა მაინც არ უნდა ჰქონოდა?.

— ეჰ, მარიამ, ოთარს კაბებით ვერ გააკვირვებ.. შენი ნატო რა კაბაშიაც მოეწონა, დაე იმ კაბაშივე ჯვარიც დაიწეროს. დალოცვილო, ი შენ სასიძოს ცხრა მთას იქით კი არ მიჰყავს.. შენ სოფელსა და იმის შორის ეტლით სასიარულო მარტო სამი საათია, დანაკლისი მერეც შეუსრულე.

მარიამი გაჩუმდა.

— ეჰ, კიაზო, თურმე მართალი უთქვამს, ვისაც უთქვამს, რო სადაც იყვეს ბედი შენიო, მიგიყვანოს ფეხმა შენმაო, და რალას ვიზამ?..

წარმოსთქვა კარგა ფიქრის შემდეგ და ისევ იატაკს დააჩერდა.

— აფერუმ, მარიამ! ჭკვიანი დეიდაშვილი რომ მყევხარ, განსხვავებითაც მიტომ მიყვარხარ!..

— ქორწილი! კიდევ ახალი ქორწილი!. ტუშ!

შესძახა სვიმონმა, ცალ ფეხზე შემოტრიალდა. სვიმონმა და კიაზომ ერთმანეთი ჩაკოცნეს.. მარიამის გარდა ყველანი იცინოდნენ.

გადაწყდა ნატოს ბედი, სახეშეწითლებული შემკრთალი ქალი მსწრაფლ წინანდელ ადგილზე დაბრუნდა. აღტაცებული ოთარი მარიამს ხელზე ჰკოცნიდა. ნატოც მოიხმეს.

— მოდი, შვილო, შენ თავს ეს ყმაწვილი გვთხოვს, რასაკვირველია ვერც შენ დაიწუნებ...—ეუბნებოდა მარიამი. ნატომ თავი დაღუნა. დედ-მამის მორჩილი ეხლაც გრძნობდა მშობლების და ნათესავების ნებას უნდა მიჰყოლოდა. მშობლები რის მშობლები იყვნენ, თუ მათ სურვილებს არ აღასრულებდა, მეტადრე მაშინ, როდესაც თვითონაც მოსწონდა ოთარი.

მარიამმა ნატოს ხელი ოთარს ხელში ჩაუდო, დალოცა.

ნატომ იგრძნო, რომ მის ერთგვარ ცხოვრებას დღეს უეცრად სცვლიდნენ საიდუმლოებით აღსავსე ახალი წუთები, ვიღასგანაც ნაშენი, მშობლების სახით



მოვლენილი მოაჯირი, რომელსაც გაჭირვების დროს ხელმოსაჭიდად ეჭიდ-ბოდა, ტყდებოდა, გზას უცლიდა სიცოცხლით ალსავსე ყმაწვილ ქალს. მისი გაბრწყინვებული თვალები ჰპირდებოდნენ ახალი შუქის სხივებისგან მოფენილ გზა-ბადეს, რომელშიაც უფრო განაზებით შეეხვეოდა, ერთი-ორად დაამშვენებდებოდა.

დარბაზში გაისმა ისევ მირზაიას ხმა. ბედნიერი ოთარი ნატოს სათუთ ხელს მოწიწებით ეკონებოდა და შმაგი განგებისგან, საბედისწერო ღულუნი, მირზაიად მოვლენილი ოთარს და ნატოს ჯვარსა სწერდა.

* * *

ოთარმა ნატო სახლში მოიყვანა. გაოცებული ქალი აქეთ-იქით იყურებო-და. ფართედ გაშლილი სახლ-კარი, ქმრის ნათესავები, მეზობლები ერთი მეორეზე მედიდურნი, მათი ნადიმები, ღამის თევანი, არშიყობა, ოჯახები, სადაც სიძეებად რუსის პოლკოვნიკ-ლენერლები მოეყვანათ, რძლებად აგრეთვე რუსის და მდიდარი ზოკის ქალები, ამავე ოჯახებში მრავლად დაბერებული გასათხოვარნი და უცოლშვილონი. რადგან უეცარ ქორწინების გამო ნატოს ორი ხელი ტანისამოსის მეტი არ გამოჰყოლოდა, ოთარმა სიდედრ-სიმამრისგან გამოგზავნილ მზითევს აღარ დაუცადა, ორ დღეში ახალი პატარძალი ძვირფას სამკაულებსა და ფარჩა-ფეურჩებში ჩასვა. ნატო საქმრეულოს ეზაზში ხელახლად მოინათლა, ეს ახალი განათვლა ქალს ენის ახლად ამოდგმასაც ავალებდა და ჯერ-ჯერობით ხმა გაკმენდილი იყო.

დედის-ერთა თვრამეტი წლის მემკვიდრე ქალი ახალ ქვეყანაში მეტად ჩამორჩენილი აღმოჩნდა. სანთურზე სიმღერა, მირზაია, ქარგვა, ლეჩაქების ბასმა უფროსების მორჩილება, ზნეობის სასტიკი დაცვა, რასაც აკვნიდანვე დარაჯობდნენ მარიამის მრისხანე თვალები, ყველა ეს ნატოს ეხლა ეჩვენებოდა წვიმის წვეთად მდინარეში—მეზობელ ოჯახებში როიალების გრიალსა, სხვა და სხვა ენებზე ლაპარაკს და თავისუფალ ქცევასთან შედარებითი.

მთელი ეს ამაყი დიდ-კაცობა, ოთარიც მათში გარეული, უძლეველ მთასავით წინ დასდგომოდა. სუსტს, უვიცს ახალგაზდა ქალს და სასტიკ ჩვენებას ართმევდა. ნატომ არამც თუ ევროპიული ენები, ქართულიც არ იცოდა. წიგნს ჩათვლით ძლივს კითხულობდა. როდესაც მარიამი ვეფხის ტყაოსანსა და ვის რამიანიდან უამბობდა, ეს ყურს იყრუებდა და ტოლებისკენ წასვლაზე ფიქრობდა. თითქო მაშინვე გული უგრძნობდა რომ დროს შესაფერად არ ამზადებდნენ, ძველს თითონვე უფრთხოდა, ახლისკენ მიიწევდა. ქართულიც რომ კარგად სცოდნოდა ეხლა მაინც ბევრს არას უშველიდა. ქართულით არამც თუ მთავარ მართებელის ცოლთან ვერ წარსდგებოდა, თვით აქავე, მეზობლებშივე დაიჩაგრებოდა. ამ გახსენებით ქალი ნაღველსა გრძნობდა.

ოთარიც შეიმოსა კაბა-ახალოხით, თავ-დახურულ კოპწია ქართველ ქალს ამაყად გვერდში ამოუდგა ბრწყინვალე იმედებით გაშუქებული, რომ მასთან ერთად ცხოვრების სანაპიროზე გადმოსხავდნენ სულით და სხეულით გაჯანსაღებულ თაობას.

— აი საით უნდა წავიდეს მთელი ჩვენი აზროვნობა, ღონე და მოქმედე-

ბა!—ფიქრობდა ოთარი, და გახალისებული, მებაღეებს არგვეინებდა უბაღლეს ჯიშის ხეებს, ვარდ-ყვავილებს..

— ჩვენი სახლის ვენეციური სარკმლები ფათალოებშ[illegible] შეგვეხვია, შიგა და შიგ ფოთლებში გამოკრთებიან ყვავილები, რომელთაც ყოველ დილით ნამ-დაკრულთ შეეხებიან ჩემი ნატოს თითები.

ღიღინებდა გულში ბედნიერი ოთარი.

ნატოს გული კი შეშინებულ განაბულ ჩიტსავით ისევ ფეთქდა.

ქვითკირის გალავანი ვეშაპსავით გარსშემორტყმული, უხარმაზარი რკინის კარი, რომელიც უსიამოვნო ჭრიალით ხშირად იხურებ-იკეტებოდა, თითქო ნატოს ატუსაღებდა. ქალი რაღაც ფარულის სინანულით იხედებოდა უკან, თვალწინ უდგებოდა უზრუნველი ქალიშვილობა, ტოლ-ამხანაგნი. კიაზო თუმცა შეძლებული იყო, მაგრამ მისი ცხოვრება სრულიად არ გავდა ამ სოფლის მებატონეთა ცხოვრებას. ამ მხრივ კიაზო გლეხებისკენ უფრო იხრებოდა, არამც თუ კიზო, მთლად ეს მხარეც. იქაური გლეხები და თავადები მარტო წოდებით განსხვავდებოდნენ და, როგორც წოდება, თავადები მაინც ისევ თავადებად რჩებოდნენ, გლეხები—გლეხებად და ბატონობდნენ ხშირად გონებით და მსჯელობით არამც თუ გათანასწორებულ, არამედ ბევრჯერ მაღლა მდგარ გლეხებზე—მარტო მისთვის, რომ მესაკუთრენი იყვნენ. იქით, როგორც თავადები, ისე გლეხები ერთფერები, ერთ შეუშლელ ენაზე ლაპარაკობდნენ. აქ კი გლეხობასა და მებატონეთა შორის უფრო ღრმა ხევი ჩახრამულიყო. მაგიერად მებატონეები აჭრელებულიყვნენ როგორც სხვა და სხვა ფერ აბრეშუმის ნაჭრებისგან შეკერილი ბოხჩა, რომელიც ნატოს თვალსა სჭრიდა, სიახლით მოსწონდა.

მუშები ბაღსა და ეზოს ბარავდნენ, ბუჩქებს ასწორებდნენ, ბილიკებს სტეპნიდნენ. კალატოზები გადანგრეულ კედლებს აახლებდნენ. სხვა და სხვა ხეები ნახის ტოტებით ნიავზე ირხეოდნენ, წვრილ ფოთლებში იხედებოდნენ შემოსული ნუშები, რომელნიც ახლად მოსულ პატარძალს პირდებოდნენ ტკბილეულობის შეზავებას. ნატოს აგონდებოდა, რა ძვირი საშოვარი იყო მარიამისთვის ეს ხილი. საგანგებოდ იბარებდა ქალაქიდან, რომ ახალ წელიწადს ნუშის გოზინაყი ჰქონოდა. აქ კი ტყესავით გაშენებულიყო, ოღონდ ნატოს ხელი გაეწვდინა და კალთაში ხრიალით ჩამოეშვებოდა კანგამაგრებული, უკვე შესანახად მომზადებული ნაყოფი. მაგრამ დღეს ნატოს მის მოსაკრეფად ხალისი დაჰკარგოდა, სიუხვით თვალი გაძღომოდა მაშინ, როდესაც ეზოში ჩუმად შემოპარული სოფლის ბავშვები გაფაციცებით ნაჭარს აგროვებდნენ, თან აქეთ-იქით შიშით თვალებს აფეთებდნენ, რომ მათთვის არსაიდან არავის დაეტია.

დიდი დროც არ გავიდოდა, რო სარკმელთან მოდგებოდა მათიკო და მწყრალად შესძახებდა მოსამსახურეს:

— რას გაჩერებულხარ, ბიჭო? ვერა ხედავ ეზოს როგორ იკლებენ? ჩქარა აქედგან გაყარე ეგ უმსგავსები!

მათიკო გულნატკენი დაბრუნებულიყო ქორწილიდან, სადაც გაცრუებულიყვნენ მომავალ ახალი ცხოვრების იმედები, და ამასაც ჩაციებით თვალწინ აჰყუდებოდა უშინაარსო თავმომაბეზრებელი ძველი კედელი.

ქალს გონება ავსებოდა ქვეყნისადმი სიბრაზით და პირველსაც შემხვედ-ში ვიზედმე გულის ჯავრს იყრიდა.

— მაინცდამაინც რა შევიმატეთ, ოთარმა რო ეგ მშვენიერები [illegible] ნა?. იძახიან, მემკვიდრეაო. ჯერ მე მაგის მემკვიდრეობას ვერა [illegible] ლებიც კი ჩვენ შევუკერეთ!

ეს სიტყვები ისე თამამად და ხმამაღლა წარმოსთქვა მათიკომ ერთხელ, რომ იქვე კარებთან მდგარმა ნატომ გაიგონა. ნატომ ისიც შენიშნა, რომ მენიკა და სხვა მოსამსახურეები ბოლო ხანებში მარტო მათიკოს უტრიალდებოდნენ, წვრილმან საქმეებს უკეთებდნენ. მოუცლელობის გამო ნატოსკენ სხვა დედაკაცს გზავნიდნენ. ნატო ყველა ამას მათიკოს აწერდა. ამ საქციელით დიდრაჯი მული რძალს აგრძნობინებდა, რომ ის ამისი მბძრანებელი იყო და სახლში შემომძვრალ გუშინდელ წიწილას ონავარი ქორისთვის ანგარიში უნდა გაეწია.

— რას ფიქრობ, ნატო? შესჩურჩულებდა ამ დროს გონება.

— მათიკოს სიტყვებს ყურს ნუ ათხოვებ.. ამ ოჯახში როგორც გასათხოვარს არავითარი ხმა არა აქვს. თუმცა ყვირის, მაგრამ თვითონვე გრძნობს თავის ყვირილის სიყალბეს და ჯავრს ზედ ასკდება. თუ მეტად გაგიჭირდა, ადვილადაც მოიშორებ.. მელანია გასულია, ღმერთს თაყვანისმცემლად შენთვის ოთარი მოუცია, რალა გინდა?. თუ ვინმემ შემოგიტიოს, ნუ შეუშინდები. გახსოვდეს, შენ ფეხქვეშ ნიადაგი მტკიცეა. თვალწინ განუშორებლად გიდგეს აზრი, რომ შენა ხარ მშვენიერი და მემკვიდრე.. ამ ორ საუნჯეს გაუფთხილდი როგორც თვალის ჩინს, და ბუზსაც ვერავინ აგიფრენს.—ამ ხმაზე ნატოც მშვიდდებოდა.

ნატოს და ოთარის საწოლი საუკეთესო ოთახი იყო, ვარდისფერ ქაღალდით გაკრული. დიდ ფანჯრებთან ჩამომდინარე რუს ტოტის ნაზი ჩქერა ქალს ძილის დროს ნანას უმღერდა. ამ ტოტიდანვე ძილშიაც ამოდიოდნენ ჩანგებით ხელში ფერიები, თავთ უსხდებოდნენ, სხვა და სხვა სიმღერებით შეაქცევდნენ. გაღვიძებისას კი ფერიების მაგივრად მის თვალებს ოთარის აღგზნებული ტუჩები ხვდებოდნენ...

* * *

ნატოს მშობლები მოუვიდნენ. კიაზომ და მარიამმა მოსვლის უმალ შვილს მედიდურობის წრე შემოავლეს. მულები, რომელნიც უკვე ალმაცერად უყურებდნენ, დღეს რძალს ულიმოდნენ, უალერსებდნენ—მეტადრე მაშინ, როდესაც მარიამმა ძვირფასი ნივთები მიართვა, ალმასხანს და ოთარს—ოქროთი ნაფერი აზარფეშები უთავაზა, მოსამსახურეებიც მოიმადლიერა. ვერცხლში შეჭედილი თოფი და დამბაჩა სიძე-სიმამრმა ერთმანეთში გაცვალეს. მხიარულად დაბარგული ორი საძნე ურემი გადმოცალეს. შუშაბანდი, ოთახები სამი დღის ვადით მნახველების საჩვენებლად მოიფინა: ოქრო-ვერცხლი, ატლას-ბაბთები, სპილენძეულობა, მრავალი სხვა და სხვა საჭიროებანი, მათ შორის უმარილის მოსალესი სარდაფი და სანთური. მნახველები, როგორც მლოცველები წითელ პარასკევის გარდამოხსნასთან, დიდის მოწიწებით ყოველ საგანს თვითეულად პატარძლის ღირებულობის ბეჭედს ასვამდნენ.

ოთარმა, დიდკაცების გარდა, სოფლის ხალხიც მოიწვია და ქორწილის თანასწორი ნადიმები გადიხადა. კიაზო და მარიამი თავს ბედნიერად თვლიდნენ—მეფის ტოლი სიძე იშოვეს. საკუთარი ვაჟიშვილიც რომ ~~[illegible]~~, ისიც ამაზე უკეთესი ვერ წარმოედგინათ. მზითვის ნახვის გამო ~~[illegible]~~ გულში ალიძრა უკმაყოფილება და სინანული, რომ ნატოსავით დედის ერთანი არ იყვნენ და ძმები ჰყავდათ.

სიძით გაბედნიერებული სიმამრი უზომოდ გამხიარულდა. კიაზო შავგვრემანი, ჭალარა, გამხდარი და მაღალი იყო. შეყრილ ხშირ წარბებიდან შავი თვალები გაბედვით იყურებოდნენ. ნიკაპი წინ წამოსწეოდა, მიხვრა-მოხვრა თამამი და დინჯი ჰქონდა.

კიაზოს ორჯერაც მოხდენოდა ომში ბრძოლა, ორჯერვე მძიმედ დაჭრილიყო. მარიამი ტანდაბალი, სრული დედაკაცი იყო, უფრო ქერა. თუმცა მასაც სახეზე მედიდურობა ეტყობოდა, მაგრამ მისი მედიდურობა სათნოების ხატებით ნელდებოდა და მნახველის გულს იზიდავდა.

ნადიმების შემდეგ სიძე-სიმამრმა ოთარის სამფლობელო შემოიარეს. მელანიამ და ალმასხანმაც ახალ მოყვრებს ნადიმებით პატივი სცეს და რძალზედაც უტყუარი განაჩენი გამოიტანეს, ვითომ ნატო ჯერ კიდევ ბავშვი იყო და იმათ დახმარებით თანდათან ლირსეული დედაკაცი დადგებოდა—სწორედ ისეთი, როგორიც ოჯახს ეკადრებოდა.

ამდენ ზიზილ-პიპილოებისგან ნატოსაც თვალები აუბჟუკვიალდა.

— მაინც და მაინც ნასწავლები არც ჩემი მულები ბრძანდებიან!.. თუ აქამდის სული გლეხებში ამომდიოდა, ეხლა მაგათ ჯიბრზე უპირველეს განათლებულებს მივეტანები. ნასწავლი ქმრის და დიდი შეძლების პატრონისთვის ამისი ასრულება ძნელი არ იქნება. დღეიდან ვეცდები რუსული მალე ვისწავლო: ჩვენ სახლში ქართულად ძალიან იშვიათად ვალაპარაკებ ვისმეს. ოთარიც მპირდება—გაგანათლებო, და ჩემი განათლებაც ეს იქნება.

გულს იკეთებდა ნატო. ოთარის მაღლამფრენი ოცნებაც ეშვებოდა ქვეით დედამიწაზე, სადაც სულის ტოლი ეგულებოდა. მიიეწყა აგრეთვე წიგნებში კირკიტი, მსოფლიო მეცნიერული საკითხების საფუძვლიანი განხილვა, რომელზედაც არა ერთი ღამე თეთრის თვალით უთენებია, შედეგად ხელში შერჩენია ტვინის დაქანცვა, მსმენელის შეუგნებლობა: მაგიერად მიწყნარებულ მთვარიან ღამეში წყლის პირას, სანათურით ხელში, ვნებით აღსავსე სიტყვებს უმღერდა ფერია, რომლის გრძნეულება ხელსა და გონებას უბოჭავდა, უსხვაფერებდა, თანამედროვე ცხოვრების ფერხულში ჩასაბმელად იწვევდა.

(გაგრძელება იქნება).

მიხეილ ჯავახიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეთრი კურდღელი

პროფესორ მიხეილ ასათიანს,
რომლის ნაამბობმა დამაწერინა ეს მოთხრობა.
ავტორი.

— სიდონი, შვილო სიდონი!—დასჩურჩულებს სიბნელეში მართა საწოლზე, გაშოტილს თავის ერთას.—გესმის, შვილო?

— რა გინდა, რა გაყვირებს?!—წყრომით ჰკივის პასუხი.

— ადე, შვილო, სტუმარი მოგვივიდა.

— სტუმარი?—შეალბილა სიდონიამ.—ვინ არის?

— პროფესორია, შვილო, პროფესორი ფერიდონ დორაშვილი.

— მართლა?! ეხლავე გამოვალ.

და ელექტრონის ჭალმა უცბად გაანათა თეთრად მორთული საწოლი ოთახი: თეთრი კედლები, ორი თეთრი ლოგინი, თეთრივე მარმარილოს მაგიდა და ახალგაზრდა ქალი—ისიც თეთრ-კაბიანი და თვითონაც იმ სათამაშო კურდღელივით თეთრი, რომელიც მკერდზე აქვს მიხეტული.

თეთრმა ძალლმა—პატარა შვიცმა—თეთრი ზეწრიდან დედოფალას მსგავსი თავი ამოჰყო და, ტალანიდან უცხოს ხმა რომ გაიგო, ისკუპა და კაპასი წკავ-წკავით მეორე ოთახში გავარდა, თანაც გრძელი და აბურძგნილი ბალანი რხევით და პენტვით გაიტანა.

ბალიშზე მოხვეულმა კატამ, ისევ თეთრმა და გრძელ-ბეწვიანმა, წელი მოირკალა, თათით ცხვირი მოიწმინდა, მერე იმანაც ისკუპა და ვეფხური ნაბიჯით შვიცს გაჰყვა. მართაც გავიდა და კარი გაიხურა.

სიდონია კი სატუალეტო მაგიდას მიუჯდა და ისე დააშტერდა სარკეს, თითქოს იქ, იმ სარკის უკან, უცნობი ქალი იჯდაო. ძლივს-ღა იცნო თვისი თავი. სიდონია ისედაც ფერმკრთალი იყო, ეხლა კი...

დღეს კი მართლა იმ კურდღელს დაჰმსგავსებია, რომელიც ისევ მკერდზე აქვს მისვენებული. ლოყებიც ისე ჩაუცვივდა, როგორც ჯუანშერს ჰქონდა ჩაცვივნული—ჯუანს, ჯანს, ჯონს, ჯანშეს, თავის შვილს, ოთხი წლის ბიჭიკოს, ფუნთრუშას და ფუნჩულას, რომელიც დღეს დამარხეს... ასე ამბობენ, დამარხეს... სხვები ამბობენ, თორემ... ნამდვილად...

ჯუანშერი ხშირად ჩაუჯდებოდა დედას კალთაში, იღლიაში ან თეთრ კურდღელს ამოიდებდა, ეხლა რომ სიდონიას ჩაუხუტებია, და ხან დედას შესცქეროდა, ხან კურდღელს ჩააშტერდებოდა და აიჩემებდა:

— დედილო, შენ ჩემ ბაწიასა ჰგევხარ.

— ჰო, შვილო, ვგევარ.—უპასუხებდა.

— ბაწიაც შენა გგავს.

— ჰო, გენაცვალოს დედა, მგავს.

ეხლაც გაიღიმა და გუნებაში უპასუხა—იმას, ვინც... რომელიც (რომელიც თუ ვინც?)... იქ, შავ მიწაში წევს (წევს თუ დევს?):

— სწორი თვალი გაქვს, (გაქვს, თუ გქონდა?) ჩემო ფუნთრუშა, ჩემო ჯუ-ან... ჯანშე... ჯუანშერ: მე და შენი ბაჭია ძალიან ვგევართ ერთმანეთს.

და სარკეში უცებ თვალი მოჰკრა გაბზარულ ღიმილს.

კურდღელი სარკის წინ დასდო. ჩაცუცქულან პირისპირ თეთრი ბაჭიები და გაოცებით უმზერენ ერთმანეთს.

— ამ კურდღელმა მეორე გააჩინა, აგერ ის, სარკიდან რომ იჭყიტება,—ფიქრობს დედა,—როგორც მე გავაჩინე ის... ჩემი ბაჭია, ეხლა რომ სადღაც მიწაში (წევს თუ დევს?)... ერთი კურდღელი ჩემია, მეორე კი იმისია, ჯუანისა, რომელიც ეხლა იქ... (მაინც არ იცის. წევს თუ დევს?)...

ჩააშტერდა მეორე ქალსაც, სარკეში რომ იჯდა, და სახე რომ კირით ჰქონდა შელესილი. სიდონიასი ალარაფერი აქვს იმ დედაკაცს: დაბერებულა, შავი თვალები უფრო შავს ორმოებში ჩასცვივნია, და იქიდან უცნაური ნაპერწკლები ელავენ მოუსვენარნი, უაზრონი, არეულნი.

მარტო თმა-ღა შერჩა სარკის ქალს სიდონიასი—ხშირი, აპენტილი; მუქი ჩალის-ფერი—ალბად ისიც სიდონიასავით ოქსიჟენეს ხმარობს, წყალმბადის ჭარბ-ჟანგით იღებავს.

— ცხადია,—ფიქრობს სიდონია და თეთრი ხელებით მარდად ივარცხნის და ილაგებს იმ თმას,—ცხადია. მე სხვა ვარ, ეს ქალი კიდევ სხვა ვიღაც არის. მე ვარ სიდონია, სიდონი სტავრიშვილისა, ის კი უცხოა, უცნობია. რაკი ეს ქალი ხმას არ იღებს, რადგან მუნჯია, მე თვითონ დავარქმევ სახელს—თუნდაც სალომეს.

ორივემ ერთმანეთს სალამიც მისცეს, გაუღიმეს, თითქოს ურთიერთის გაცნობა გაუხარდათო. სიდონია მართლა გაშხიარულდა.

— მაშ ასე:—განაგრძო ფიქრი თავისთვის.—მე სიდონი მქვიან, ამას კი—სალომე. დაე ესეც სტავრიშვილის გვარისა იყოს, ედიშერის ცოლი. ხა-ხა! რა კარგია! ჩემს ქმარს ორი ცოლი ეყოლება—სიდონია და სალომე. ხი-ხი! გათა-თრდეს და ჰარამხანა გახსნას, ხი-ხი-ხი! რადგან მე არა ვყოფნი, მეორეც გაი-ჩინოს. მუდამ სჩივის—ცივი ქალი ხარო. ეხლა ცხელიც ეყოლება. ხა-ხა! ალბად მე თავს დამანებებს, მომასვენებს. ან განა ღირსი არა ვარ! ხუთი წელიწადია მტანჯავს. დღესაც ვერ გამიგია, რა აგიჟებთ ხოლმე ცოლ-ქმარს. სიყვარული ადამიანს თავსაც კი მოაკვლევინებს, მაგრამ ის... ფუჰ! მადლობა უფალს, თით-

ქმის ხელი აიღო ედიშერმა ჩემზე—გადავაჩვიე. ეხლა შენ ემსახურე, სალომე,—ეჩურჩულება სარკეში მჯდომ ორადს და ნიშნის მოგებით თავს უქნევს.

სალომეც თავს უქნევს, თითქო სარკიდან თანხმობას უთვლიდეს, სიდონია კი ისევ აგრძელებს:

— ეს კიდევ არაფერი: მე ბედნიერი ვარ, რადგან ორივე შვილი ცოცხალი მყავს, შენ კი—საწყალო, უბედურო!—შენ პირველი ჯუანშერი მოგიკვდა... აგერ ის, დღეს რომ დამარხე. უმცროსი კი, პაწაწა კატო (ღმერთო ჩემო, რა უშნო სახელი დაგირქმევია!) ისე შეიჯავრე, რომ შენმა ქმარმა ედიშერ სტავრიშვილმა (ეს გვარიც უშნოა!), შვილი, მოგაშორა და თავის ძმის ოჯახში გაჰგზავნა. საწყალო დედავ!.. უბედურო!.. საბრალოვ!

და ერთმანეთის სიბრალულით ორივე დედა სტირის—ცოცხალიც და ორადიც. ორივეს გამხდარ ლოყებზე მსხვილი ცრემლი ჩამოსდის, თან უმარილი ჩამოაქვს და ლაპა-ლუპით მარმაროს ფიცარზე იღვრება.

— მართლა, სტუმარი!—გაახსენდა სიდონიას.

ორივე დედაკაცი—სიდონიაც და სალომეც—უმალ გამოცოცხლდნენ: პირისახეები გაიშალეს, ერთმანეთს გაულიმეს და წამოდგნენ.

— მაშ ასე: გათავებულია, ქალბატონო სალომე.—მტკიცე რწმენით ეუბნება გუნეპაში სიდონია ორადს.—გადაწყვეტილია: თქვენი სახელი ამიერიდან სალომე იქნება—ეს პირველი. დღეიდან მე დავისვენებ, თქვენ კი ედიშერს ცოლობას გაუწევთ. ნუ შესწუხდებით, თქვენს მაგივრად მე ვიმუშავებ, ყველაფერს მე თვითონ გავაკეთებ, ოღონდ ჩემს ქმარს ამიერიდგან თქვენ უნდა მოუკლათ ჟინი. ამის მეტი საქმე არ გექნებათ,—ესეც მეორე. უფროსი ვაჟი—ჯუანშერი—თქვენ მოგიკვდათ, და თქვენს სინიდისსაც თქვენვე უნდა მისცეთ პასუხი, რადგან... მიზეზი თქვენც კარგად გეცოდინებათ, მე ხულარ მათქმევინებთ,—ესეც სამი. ვინაიდგან ჯუანშერის სიკვდილი თქვენ გედებათ, ამიტომ დარდიც თქვენვე უნდა აიკიდოთ. თუ გნებავთ და შეგიძლიანთ, ჰზიდეთ სიკვდილამდე, თუ არა და—ვერის ხიდი აქვეა,—ესეც ოთხი და უკანასკნელი... მე კი თავი დამანებეთ და მომასვენეთ. დღეიდან თქვენთვის აღარ მეცლება... ორი შვილი მყავს გასაზრდელი—ჯუანშერი და კატო... რად მიცქერით აგრე? გიკვირთ, განა! საკვირველი არაფერია: მეც თქვენსავით ორი შვილი მყავს, დიაღ, ორი: ერთი ოთხისაა, მეორე—სამისა. თქვენი შვილებიც სწორედ ამ ხნისანი არიან. ჩემსას და თქვენსასაც ერთნაირი სახელები აქვთ—ჯუანშერი და კატო, ანუ კიტი. ისევ გაოცდით? საოცარი აქაც არაფერია. მაგრამ ნუ დაიკიწყებთ, რომ ჩემები ცოცხლები არიან... რამ გაგაოცათ, რა ვქნა!? ორივენი ცოცხლები არიან მეთქი—ჯუანშერიც და კატოც. თქვენი ჯუანშერი კი მოკვდა... დიაღ, მოკვდა. მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა... მესმის... ვგრძნობ. მეცა მყავს შვილები... მეც დედა ვარ, მაგრამ... ბოდიშს ვიხდი, უკაცრავად, სტუმარი მელის. ნახვამდის, საწყალო სალომე! მშვიდობით, უბედურო დედავ!

სიდონიამ თეთრი კურდღელი ჩაიხუტა—სალომემაც. სიდონიამ ახალ დედას სიბრალულით შეჰხედა და დაბლა დაუკრა თეთრი თავი—სალომემაც. სიდონია კარებისკენ გამოტრიალდა—სალომემაც ზურგი შეაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

— სიდონი, გაიცანი: პროფესორი ფრიდონ დორაშვილი.

— ფრიად სასიამოვნოა.—ულიმის ექიმი.

— ბატონო პროფესორო!—და სიდონია ღიმილით შესცქერის დორაშვილს, თან ხელის გამორთმევას აგვიანებს.—ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს.

— მართლა?... მაშ ბოდიშს ვიხდი.

— ხუთი წლის წინად თქვენი მოწაფე ვიყავი, სტუდენტი გახლდით.

— მართლა, მაგონდება!—უხარიან ექიმს.—გამარჯვება, სიდონი! როგორა ხართ... როგორა ხარ, ქალო? რასა იქ, რასა შვრები?

— მადლობელი, დიდი მადლობელი ვარ ჩემი გახსენებისათვის. საკვირველი არც არის, რომ დაგავიწყდით. ხუთი წელიწადი გავიდა, რაც თავი დაგანებეთ. რა თქმა უნდა, იერიც გამომეცვალა.

თხელი და თეთრი ხელი სხარტულად აიქნია, ტალღებივით შეეარცხნილი თმა აისწორა, სარო ტანი ოდნავ აირხია, შინაგანი ზმორვით აიგრიხა, მერე თვალები მოეუტა და იდუმალი ღიმილით გადაჰხედა—ჯერ თავის ქმარს, შემდეგ დორაშვილს, თითქოს ორივეს ეკითხებოდა: რას იტყვით, მართლა გამოვიცვალე, მართლა დავბერდი, თუ მაშინდელივით ისევ ლამაზი ქალი ვარო?

ედიშერმა იცნო ცოლის შეჩვეული მანერა: სიდონია მუდამ ასეთს ფანდს ხმარობდა ვინმეს მოსახიბლავად—და გული აუტირდა:

„დღესაც, ეხლაც!—გაიფიქრა.—ექვსი საათი ძლივს გავიდა, რაც ერთადერთი ვაჟი დავმარხეთ, ეს ქალი კი“...

— მაშ ძალიან შეეიცვალე, არა?—ეკითხება სიდონია ექიმს.

— არა, საიმისო არაფერი გეტყობა.

— დაბრძანდით,—დაიპატიჟა სიდონიამ ექიმი.—გარდა ამისა, გვარიც გამოვიცვალე. მაშინ ჯარისმანიძე იყო ჩემი გვარი, ეხლა კი სტაბრიშვილისა გახლავართ. ხა-ხა! რა სულელური წესია გვარის გამოცვლა, არა, ექიმო?!

გადიკისკისა, გულში კი გაიფიქრა: „ჰა, ფრთხილად! თავი ნუ აიგლიჯე!“

სიცილი თითქო მახვილით ჩამოიჭრა და ექიმს შეჰხედა.

ფრიდონ დორაშვილი გულხელდაკრებილი იჯდა და ოდნავ ღიმებოდა, ხოლო შავი, მბურღავი თვალები სიდონიას სულში ჰქონდა ჩაბჯენილი.

ქალმა უმალ მოსწყვიტა მოუსვენარი თვალები ექიმის უძრავ თვალებს. უცებ მოდუნდა, მოირღვა. ღიმილი ჩამოირეცხა, ტუჩები ჩაიკეცა, თვალებში ცეცხლი ჩაიქრო, თითქო ერთ წუთში ორი წლით დაბერდაო, და ხმაც თითქოს უცებ დაუყანგდა:

— ედიშერ, სამსახურში გიგვიანდება.—მოაგონა ქმარს.

ედიშერ კლუბში მსახურობს. ლოტოს კონტროლიორად არის და სამსახური საღამოს ცხრა საათზე ეწყობა. წელანაც უთხრა ექიმს და ბოდიშიც მოიხადა—ადრე უნდა წავიდეო.

— არა უშავს-რა,—უპასუხა მაშინ პროფესორმა.—იქნება უშენობა სჯობ-

დეს კიდევაც. მარტო რომ იქნება, უფრო ადვილად მივაგნებ სენის მიზეზს. შენთან კი შეიძლება გული ჩაიკეტოს.

— ეხლავე წავალ.—უპასუხა ცოლს ედიშერმა და ჩაის სმას [illegible]

პროფესორმა ძველი დრო გაიხსენა:

— მაგონდები, კარგად მაგონდები, სიდონი. აუდიტორიაში მუდამ წინა სკამზე იჯექი.

— დიალ, ადრე მოვდიოდი.—უცებ გამოფხიზლდა სიდონია.

— ბეჯითად სწავლობდი.

— მიყვარდა თქვენი საგნები—ფსიხიატრია, ნევროლოგია.

— მერე, რად დაანებე თავი?

— გავთხოვდი.

— მარტო ეგ იყო მიზეზი?

და ისევ სულში ჩაუძვრა.

კინალამ უპასუხა—ქმარმა ამაღებინა ხელიო, მაგრამ ენას დროზე ამოსდო ალვირი. გაახსენდა, რომ ქმარი გვერდით ჰყავდა, და წაიბორძიკა:

— მარტო ეს იყო... შვილი, ოჯახი, სწავლა—ძნელია ათი საქმის გაძღოლა.

ედიშერმა ბოდიში მოიხადა და წავიდა.

სიდონიამ კარი გაუკეტა, დაბრუნდა, დაჯდა. ექიმმა ისევ თვალში თვალი გაუყარა.

პროფესორის თვალის სხივებს, სიდონიას გულში რომ ფათურობენ, ნებისყოფა დაუხვედრა, თან თავის თავს ამხნევებდა: „გამაგრდი, არ დაჭნებდე! მაგრად ჩაიკეტე, ვერ გაჯობებს!“

ექიმი თითქო მიუხვდა ნაამრევს. შეკეცილ ტუჩებსა და დაჭიმულ შუბლზე წაუკითხა გაკერპება.

უცბად გაჯიუტებულ ქალს პირი ნაძალადევად ულიმოდა, თვალები კი ელვარე ლითონით ჰქონდა სავსე.

ეხლა ექიმი მოლბა, გალბა. მისი თვალები ფათურის და ძებნის მაგივრად ნაზად იჟუტებიან, ლამენობენ და საამური სხივებით სთრთიან.

— რად მიბღვერი მაგრე, სიდონი?

— მე? მე გიბღვერით? ხა-ხა-ხა! არ მესმის, რად უნდა ვუბღვეროდე სტუმარს, ისიც თქვენისთანა ექიმს, დიდ მეცნიერს, სწავლულს?!

— მე დიდი მეცნიერი არა ვარ, სიდონი. ეხლა ამ ოთახში ექიმიც არა ვარ. მე მხოლოდ სტუმარი ვარ—მეტი არავინ.

— მეტი არავინ? მართლა? მაშ რატომ აქამდის არ მეწვიეთ? მართლა, მიირთვით მურაბა.

— ჩემი ბრალია, დამნაშავე ვარ. შენც იცი, რომ ედიშერი შორეულ ნათესავად მერგება. რამდენჯერმე დამპატიჟა, მაგრამ... რას იზამ, დრო არ მქონდა.

— მჯერა, თუმცა... მიირთვით მურაბა, ბატონო...

— ფრიდონ.—გაახსენა ექიმმა.

— ბატონო ფრიდონ. მომწონს ეგ სახელი. მიირთვით მეთქი. ჩაი გაგიცივდათ. აირჩიეთ: აი ალუბალი, აი შინდი. ეს კომშია, ეს ქაქალი. სცადეთ, მშვენიერია.

ექიმმა კომშის მურაბა გადაიღო და ჭიქაში ჩაილაპარაკა:

— სტუმრად მოვედი, მაგრამ უნდა მოგახსენო: გამხდარხარ, ფერი წაგსვლია, ამიტომ...

— ამიტომ,—ჩამოართვა სიდონიამ,—ამიტომ სტუმარიც ბრძანდებით და ექიმიც, ხომ? უნდა გამსინჯოთ, არა?

— ნუ შეშინდი, არაფერს გაკნებ.

— შევშინდი? მე შევშინდი?

არა, პატივცემულო პროფესორო, სიდონია და შიში ერთმანეთს არ იცნობენ. ყველამ იცის, რომ ეს ქალი—პატარა და გამხდარი ქალი—ეაჟეეთ მამაცია, გამბედავია.

— ჩემი შიში ჯერ არავის გაუგონია.—უკადრისობს სიდონია.

პროფესორმა თითქო რაღაც იპოვნა. ნაპოვარს დასწვდა, ჩაებღუჭა:

— მეც მაგრე მაქვს გაგებული: სიდონია მეტად უშიშარი ქალიაო. ამიტომ გამიკვირდა, რად ერიდება მეთქი გასინჯვას?

— ვინ გითხრათ, ერიდებაო?—გაოცდა სიდონია.—მე არ მითქვამს უარი. თუ გნებავთ, ინებეთ, თუნდ ეხლავე გამსინჯეთ.

— მოვასწრობ, ნუ გეჩქარება. ჯერ ერთი ჭიქა კიდევ დამისხი.—და ოდნავ მიაყოლა:—მამა შენი მახსოვს.

— ვექილი იყო.

— როდის გარდაიცვალა?

— რვა წლის წინათ.

— მგონი ნერვიული ადამიანი იყო.

სიდონიამ ჭიქა მიაწოდა, მოწყვეტილივით დაეშო და ექიმს ისე შეეხედა, თითქო შებრალებას სთხოვდაო. მერე ჩუმი ხმით ჰკითხა:

— თქვენ გსურთ ჩემი შთამომავლობა შეამოწმოთ, არა?

— თუნდ აგრეც იყოს. ხომ დამპირდი, ყოველივეს გაგაგებინებ, თავს გაგასინჯვინებო?

— მესმის, მეც მესმის. თქვენი მოწაფე ვიყავი, ბევრი ვისწავლე თქვენგან. თქვენ გსურთ ერთმანეთს გადააბათ ჩემი მემკვიდრეობა და ავადმყოფობა, აგრეა თუ არა, ბატონო ფრიდონ?

— შენი ავადმყოფობა? მაშ შენ ავადა ხარ, სიდონი?

სიდონია თითქო ქურდობაში დაიჭირესო: შეკრთა, აირია. მერე უცბად გამოფხიზლდა და გაბზარული სიმტკიცით მიუგო:

— არა, მე ავად არა ვარ. ედიშერსა და ზოგს სხვასაც ეგონათ, სიდონია შეირყაო. ამიტომ მოგიწვიეს თქვენ, ბატონო ფრიდონ, თორემ მე საექიმო არაფერი მჭირს, გარწმენებთ არაფერი მჭირს მეთქი.

— მჯერა. ალბად არაფერი გჭირს.—ჩაილაპარაკა ექიმმა.

მერე უცებ მიახალა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ რა ჩაგიკრავს მკერდში, სიდონი?

— ესა? კურდღელია, თეთრი კურდღელი... ჩვენი კურდღელი...

— ვისი?

— ჩემი და ჯუანშერისა, ჯუანისა... ჩემი ბიჭიკოსი.

ჩაიღიმა და სათამაშო უფრო მძლავრად ჩაიხუტა.

— სად არის ეხლა შენი ბიჭიკო, შენი შვილი?

სიდონიამ ექიმს ჯერ შეჰბღვირა, მერე ჩაუღიმა, შემდეგ ხელი უკანა ოთახისკენ გაიშვირა და—

— იქ არის... იმ ოთახშია.

— წამო, მაჩვენე. მინდა ვნახო, როგორი შვილი გყავს.

დედა ძუ ვეფხივით წამოიჭრა, კურდღელი საკარძელში ჩააგდო, მერე მკლავები გაჰშალა და ისე აღიმართა, თითქო მოსისხლესგან თავის ბოკვერს იცავდაო:

— არა, არა!.. არ შეიძლება!.. არ შეიძლება!

— რატომ არ შეიძლება, ქალო?

— სძინავს... არ გააღვიძო, არ გააღვიძო!

ექიმი და დედა ერთმანეთს თვალებით ჰბურღავენ. პატარა ძალლი თეთრ ‍ურდღელს სძიძგნის. თეთრი კატა სკამზე ჩაცუცქებულა და გაოცებით უმზერს პატრონსა და სტუმარს.

— კეთილი. იყოს ნება შენი.—ამბობს ექიმი და ისევ ჯდება.—მერე მაჩვენე.

სიდონია კი ისევ ჯვარცმულივით სდგას და სადღაც წასულ თვალებს ჰბლიტავს, თითქო ტირილს აპირებსო. მერე კურდღელს დასწვდა, ფეხაკრეფით დაბრუნდა, ფრთხილად დაჯდა, ის ბაჭია შვილივით ჩაიხუტა და ისე ნაზად დაუწყო ალერსი და ღიღინი, თითქო მკერდზე მართლა მიძინებული შვილი ჰყავდა და მისი გამოღვიძებისა ეშინოდაო:

— დაიძინე, გენაცვალე, ჩემო ბიჭიკო-ო-ო.. ნანი ნანა იავ ნანა-ა-ა, ჩემი ჯუანშეროო-ო-ო.

თან კურდღელს ხელს უსვამს, არწევს და თვითონაც ირწევა.

* * *

წრევანდელი ზაფხული სიდონიამ წალვერში გაატარა. ჯუანშერი და კატოც თანა ჰყავდა, დედა კი ქალაქში დასტოვა—ედიშერის მოსავლელად.

მხიარულად ჩაჰქროლა ორმა თვემ. მრავლად იყვნენ ჭაბუკები. გასართობიც ბევრი ჰქონდათ. ხან ბაკურიანში ავიდოდნენ, ხან ცემის ტყეს შეერეოდნენ, ზოგჯერ ტიმოთეს უბანს ესტუმრებოდნენ, ზოგჯერ კიდევ ბორჯომში ჩავიდოდნენ და რიჟრაჟზე-ღა დაბრუნდებოდნენ.

ერთხელ-ორჯერ ბავშვებიც წაიყვანა. სხვა დროს კი ყმაწვილებს გამდელი უვლიდა—ძალიან კარგადაც უვლიდა: ერთხელაც არაფერი დაუშავებია. ერთგული და თავდადებული დედაკაცია.

ამიტომ იყო სიდონია მინდობილი და უზრუნველი. ან რა უნდა ექნა!

შვილებს დილით-დილამდე ქინძისთავივით ზედ ხომ არ მიიკერებდა! თვითონაც ახალგაზრდა ქალია, ჯერ ოც-და-ექვსისაც არ არის.

წელიწადში ცხრა თვეს ქალაქში ობდებოდა. ორ-სამ დღეში ერთხელ ძლივს გაახილავდა თვალებს. მხოლოდ ზაფხული ჰქონდა დასაკუთრებული.

მართალია, ორი შვილის დედა იყო, მაგრამ გართობაში სიდონია არც სხვა დედებს გაუსწრებდა, არც ჩამორჩებოდა. დედობდა როგორც დანარჩენი დედები, და თავისთვისაც ზრუნავდა—ისევ დანარჩენ დედებივით.

მაგრამ არა: შვილების სიყვარულში სიდონიას ერთიც ვერ დაედრებოდა. როცა შვილები გვერდით ჰყავდა, სიხარულისგან თვითონაც შვილებს ჰგავდა და იმ პაწაწა მაიმუნებივით გიჟდებოდა: დარბოდა, გორაობდა, ანცობდა, ცულლუტობდა და მთელ აგარაკს თავისი კისკასით, კივილითა და ერიამულით ავსებდა.

მაგრამ—ღმერთია მოწმე—არც მაშინ იყო გულსავსე, როცა შვილებს გამდელს დაუტოვებდა და მარტო წავიდოდა სადმე. ზოგჯერ, სხვაგან სადმე—ან ბორჯომის კონცერტზე, ან ბაკურიანის ტყეში—თავის ქალ-ვაჟს რომ მოიგონებდა, მდედრული სევდით მოიბურებოდა, აიშლებოდა, თითქმის გაგიჟდებოდა: დაბმულივით გამოიწევდა, გაანჩხლდებოდა, სხვებსაც შეწყობილ მხიარულებას ჩაუშლიდა და თვითონაც გუნებას მოიწამლავდა.

და დედის ატეხილ ციებ-ცხელებას მხოლოდ მაშინ ჩაიქრობდა, როდესაც თავის საგარაკო ოთახში გახელებული შეიჭრებოდა, ყველას გააღვიძებდა, თუნდაც მძინარე ჯუანშერს გულში ჩაიკრავდა, ერთ საათს მაინც ეტიტინებოდა და შემდეგ, მასთან ერთად, დაღლილ ტანსა და გონებას ძილს გაატანდა.

ნუ, ნურავინ დასძრახავს სიდონიას, ნურავინ შეედავება შვილის სიყვარულში. დედამ—მართამ—სიდონიას გიჟი დედაც კი დაარქვა:

— ქაა, გამიგონია დედის სიყვარული, მაგრამ შენისთანა გიჟი დედა ჯერ არ მინახავს. როდესმე რამეს დაუშავებ მაგ ბიჭს: ან მოსტეხავ რამეს, ან ჩასწყვეტავ, ან დაახრჩობ.

ისე არსად გავიდოდა სიდონია წაღვერიდან, რომ ჯუანისთვის ერთი კონა ზამბახი არ მოეტანა. პატარა ჯუანშერი ამ ყვავილს ზედ აკვდებოდა. მისი ყნოსვა უმაძღარი იყო. ჩაჰყოფდა თავს თაიგულში და გაინაბებოდა. მარწყვს, ჟოლს, მაყვალს ან სხვა ხილს ისე არ ეტანებოდა, როგორც თეთრსა და მოზრდილ ყვავილს—მსუქანს, სუნიანს, მალალყელას, პირღიას, ექვს-ტუჩიანს, მკრთალ-ძარღვიანსა და შვიდ-ენიანს.

— აჰა, ჯუან, შენი ზამბახი.

ჯუანშერმა ჯერ კიდევ შარშანწინ დაიჩემა ეს ყვავილი, როდესაც ორი წლისა ძლივს შესრულდა, და მას აქეთ აღარ ივიწყებდა.

იმ დღეს—ნუ, ნუ გაახსენებთ ეხლა სიდონიას იმ პარასკევს—სიდონია ბაკურიანში მიდიოდა.

დილით ჯუანშერს უქეიფობა დაეტყო: მოდუნდა, მოტყდა—თითქო დაიღალაო. სიდონიამ მთელი დღე ტყეში გაატარა. იმ დღეს შვილები თან არ წაიყვანა, რადგან... შვილებსაც ხელსახოცივით მუდამ თან ხომ არ ატარებს!

როცა მიდიოდა, ჯუანი ბალში თამაშობდა. ზამბახები მიწაში ჩაერგო და ჰრწყავდა. დედა კარგა ხანს უმზერდა სარკმლიდან და იღიმებოდა.

ჯუანმა მორწყვა გაათავა. მერე თვისი საყვარელი კურდღელი [illegible] რომელიც ერთი კვირის წინათ „იმან“ მოუტანა ქალაქიდან, მომ[illegible] [illegible] დაკვრეინა და რიგრიგად ჩამოუტარა ზამბახებს—რომ იმათაც გაეგოთ და ეცეკვნათ—თან თვითონაც აჰყვა თავის წკრიალა ხმით და პაწაწინა ხელფეხით.

ხა-ხა-ხა, რა სასაცილო იყო მაშინ ჯუანშერი!

რომ დაბრუნდა, ჯუანშერს აზმორებდა. თითქო სიცხეც ჰქონდა. გამდელმა შესჩივლა:

— გენაცვათ, მთელი დღე ვეწვალე და ვერაფერი შევაჭამე.

ვერც დედამ შეაჭამა. გაჰხადეს და დააწვინეს. ალერსსა და კურკურს არც იმ საღამოზე დაუკლო სიდონიამ. ორივე შვილი დააძინა და თვითონ ხელმეორედ წავიდა, რადგან...

რადგან იშვიათი საღამო იყო. მაძღარი მთვარე ცის შუაგულში დასეირნობდა და სარკმლებიდან, კარიდან და ფიცრულ კედლებიდანაც კი დასდევდა ისედაც შეფიცხებულ სიდონიას.

სადგერის ხეობას ორივე მხრიდან ორი გარუჯული საარაკო ვეშაპი მოსწოლოდა, რომელთაც უღვიძებელის ძილით ეძინათ. ხევის ძირში შავი-წყალი შრიშინებდა. გალმა, სადგურთან და ტყის ნაპირას, მთვარისა და ელექტრონის შუქზე, ლანდები დაბორიალებდნენ—ალბად ქალ-ვაჟები ერთმანეთს დასდევდნენ.

სიდონია მთვრალივით მიდის ბნელი ქუჩით და ჯერაც არ იცის, გაჰყვება ბაკურიანში მეგობარს, თუ შვილის ავადმყოფობას მოიმიზეზებს და დაბრუნდება.

მატარებლის მოსვლამდე ბევრი დროა დარჩენილი, ამიტომ ამის მოფიქრებასაც მოასწრებს. ჯერ-ჯერობით კი გალმა გავა, გაივლის, ხოლო დანარჩენს იქ მოისაზრებს. რაც უნდა მოხდეს, თუ აჰყვა და წავიდა, ხვალ საათის ორზე შინ იქნება, უეჭველად იქნება!

და გადიასაც ასეთი დარიგება მისცა:

— შორს არსად გაუშვა... აჭამე... თუ სიცხემ მოუმატოს, ექიმს დაუძახე და...

ერთი სიტყვით, თვისი ვალი მოიხადა.

გავიდა ხანი. ნუ, ნუ ჰკითხავთ სიდონიას რამდენი ხანი გავიდა. აღარ ახსოვს, დააეიწყდა. რომ გაახსენდეს, მაინც არ გეტყვისთ.

ერთი სიტყვით, სიდონია დილის ექვს საათზე შემოვარდა ოთახში. შემოიჭრა და ზამბახების ვეება თაიგული შემოიტანა, თან შორიდანვე ჰკიოდა:

— ჯუანშერ!.. ჯუან!.. ბიჭიკო, ზეზე ხარ? გამოიქეცი!.. დამიხვდი!.. ნახე, რა მოგიტანე.

მაგრამ არავინ გამოიქცა, არც გამოიხედა. ჯუანი ლოგინში დაუხვდა—ალმურიანი, პირდაღებული, ხმაჩაწყვეტილი და ლონემიხდილი.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გამზრდელი გვერდით ეჯდა. ცალი ხელი ჯუანის შუბლზე ედო. ალტოს ეძინა.

შეჩვეულ ჟივილ-ხივილის ნაცვლად დედას ორი წყვილი ფეხი ფეხზე დაეწყვა შიშითა და საყვედურით სავსე.

ჯუანშერმა გაღიმება სცადა, მაგრამ ბოხმა და ხრინწიანმა ხველამ ღიმილის მაგიერ ტკივილით აუგრიხა აწითლებული პირისახე.

სიდონიას ხელიდან გაუვარდა ზამბახების კონა.

— რა ამბავია?! რა დაემართა?!

რალა რა ამბავია! ჯუანს ყელი გაუსივდა. სასა ჯერ გაუწითლდა, მერე გაუყვითლდა. სიცხემაც ძალიან უმატა.

— პირი გააღე, ჯუან!.. გააღე, გენაცვალოს დედა!.. რაო. რა სთქვი?.. ღმერთო ჩემო, ვერც კი ლაპარაკობს!

შვილის პირში ჩაიხედა და გახევდა.

— ვაი მე!—დამწვარივით დაიგმინა.

ტვინიდან ფეხებამდე ცივმა ქარმა ჩაურბინა. ჯუანშერს სასა და უანყრატო თითქო მოხარშული და დაობებული კვერცხის გულით გაევსო. პირიდანაც ლაყე კვერცხის სუნი ამოსდიოდა.

— ექიმი! ჩქარა, ექიმი!

— ორჯერ იყო.

— მერე, მერე? რაო, რა სთქვა?... ჩქარა, ამოიღე ხმა!

— ეხლავე ქალაქში წაიყვანეთო.

— სთქვი, რალა, ყველაფერი! რა აქვს, რა დაემართაო?

გადია სტირის. ძლივს-ღა ამოისლუკუნა:

— ხუ... ხუნაგი.

— ხუნაგი?! რას ამბობ, დედაკაცო!

დედას თითქო ფეხები და ენა მოსჭრესო: ხის ტახტზე ჩაიჩეხა და იმავე ხესავით გახევდა. ერთ ხანს მხოლოდ ხელებს-ღა იფათურებდა დაბინდულ თვალებზე.

მაგრამ—წესია ბუნებისა—ხიფათში ჩავარდნილი დედა დიდხანს არ ჰფიქრობს. დაჭრილ ძუ ნადირივით წამოიჭრა და აკივდა:

— სულელო! ბრიყვო! რეგვენო! რალას მიცდიდი! რატომ ვინმე არ ამოჰგზავნე?!

— ქალბატონო, მე... მე რა ვიცოდი.

— გაუთლელო მორგვო! ხეპრეო! ან მე რალად მიცდიდი! რატომ მაშინვე ქალაქში! არ ნაიყვანეს!? ან ეხლა მაინც რატომ არ გამოიყვანე ეს ბავშვი სადგურზე, რომ ამავე მატარებლით წავსულიყავი?!

— რა ვიცოდი, რო...

— რა ვიცოდი, რა ვიცოდი! ჩქარა, ექიმი და ეტლი! მიეცი რამდენიც მოგთხოვოს!

ერთი საათის შემდეგ სადგურის ხევში დათხილი შავი ეტლი მიჰქრის. უკნიდან კორიანტელი მისდევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისახვევებში ეტლი დარწეულ აკვანივით ქანაობს, ლამის შავ-წყალში გადავარდეს.

შიგ სიდონია ზის. კალთაში ჯუანშერი ჰყავს.

— გასწი! გარეკე!

დედას ხევში გადავარდნის შიში აღარ ეკარება, რადგან მეორე შიშმა,— უფრო მეტმა და საზარელმა, რომელიც შავი ლანდივით მიუძღვის—უკვე გაუვსო ცივი სისხლი და ისედაც შმაგი სულიც აუდუღა.

— გასწი! გარეკე!—ჰკივის დედა.

— ქალბატონო, გადაბრუნდება!

სიდონიამ ქალაქის მატარებელს უნდა მიუსწროს, თორემ შეიძლება ჯუანშერი... ვინ იცის...

— თუ მიუსწარი, ერთ თუმანს გაჩუქებ.—იძახის დედა.

მეეტლე თავსა და შოლტს იქნევს. დაღმართზე ეტლი დაგორებულ ბურთივით მიჰსრიალებს.

ჯუანშერი ისევ მუხლებზე უწევს. ერთ გვერდით ზამბახების ვეება თაიგული უდევს, დღეს დილით რომ ჩამოუტანა, მეორე გვერდით კი თეთრი კურდღელი ჩაცუცქებულა, რომელიც „იმან“ მოუტანა ქალაქიდან.

როგორ, ან რისთვის წამოილო თაიგული და კურდღელიც—სიდონიას აღარ ახსოვს.

აგერ, ქარხნის ბოლი გამოჩნდა. აი, პირველი შენობებიც. აჰა, სადგურიც.

— მადლობა უფალსა! მოუსწარით!—უხარიან სიდონიას.

უცებ მატარებლის კივილმა ღრმა ხეობა შეანძრია და დედის ყურებში გველის წივილივით შეიჭრა.

— დავიგვიანე! დავიგვიანე!—ჰკივის სიდონიაც და ერთი ხელით მეეტლეს საჯდომს ებლაუჭება, თითქო გაქანებულ ეტლიდან გადახტომას ჰლამობსო.

ჭრელი მატარებელი შავ ხიდზე ჭრელი გველვეშაპივით მოსრიალებს და გორაკის კალთაში იმალება.

მაგრამ—წესია ბუნებისა—ხიფათის დროს დედა აღარ ყოყმანობს.

სადგურთან ავტო სდგას. პატრონი რესტორანში სადილობს. სიდონია თავთ უდგა. ხელში ჯუანი უჭირავს.

— თუ დავიგვიანე, მომიკვდება.—სტირის დედა.—სამუდამოდ თქვენი მონა გავხდები, ოღონდ მათხოვეთ... დამეხმარეთ... მიშველეთ...

— ინებეთ, ქალბატონო, ინებეთ. მეცა მყავს შვილი... მეც მამა ვარ.

ავტოს ღრიალი ტაშის-კარს აყრუებს.

— გასწით! გარეკეთ!

მტკვრის გალმა, სადღაც ქვეით, გორაკების გადალმა მატარებელი ჰკივის.

გამოლმა კი დაგრეხილ თიხნარ გზაზე თიხის ფერი ავტო გუგუნებს, ხრიალებს, ბორძიკობს, იგრიხება და მირბის, თან ბოლისა და მტვრის კუდი მისდევს.

ავტო კუდმომწვარ მორიელივით გაცოფდა, გაშმაგდა. ბზრიალით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრინწით გაირბინა ზანარვილის ხევი, ისარივით გასჭრა კორტანეული და შურდულის ქვასავით გადაევლო ქიმერეთის ხევს.

— გასწი! გარეკე!

გარეკე, შოფერ, თორემ ისეთ ცოდოს აიკიდებ მაგ მსუქან კისერზე, რომ სოკვდილამდეც ვეღარ მოიხსნი.

— როგორა ხარ, ჯუან? ხმა გამე გენაცვალოს დედა!

ბავშვი თვალებს ჰბლიტავს, ტუჩებს აცმაცუნებს და რალაცას ჰლუღლუღებს, უფრო კი ხრიალებს, მაგრამ ავტოს გუგუნი ჯუანშერის ბურტყუნს ჰყლაპავს და დედას შვილისას არაფერს ასმენს.

სიდონიამ ზამბახების კონა მკერდზე დაადო და ორივე ჩაიხუტა.

აგერ, ქვეით, გალმა ტყეში, ბოლის გრძელი ნისლი მირბის.

— დავეწიეთ! დავეწევით!—ჰკივის დედა.

აი, ახალდაბაც. ხაშურის მატარებელი აქედან, ეს არის, ეხლა დაიძრა და მთის მწვანე კაბის ქობაში შეძვრა.

—თქვენი სახელი, შოფერ?

— დავითი, ქალბატონო!

— დავით... დათიკო! მოუმატეთ, გენაცვა, გარეკეთ!

— ვერეკები, ქალბატონო, მეტი აღარ შეუძლიან. მეშინიან, არ გამიფუჭდეს.

— თუ მივუსწარით, დაპირებულ ორ თუმანს კიდევ ორს დავუმატებ. აბა, გარეკეთ!

ავტო უარესად იჭიმება და თავისივე ქარბუქში ეხვევა.

აჰა, გაიმინდვრა. გალმა ჭრელი გვლვეშაპი იკლაკნება, გამოლმა კი თიხის ფერი მორიელი იგრიხება. მკაფიოდ მოსჩანს ორივ მოჯიბრე. ვაგონებიდან ხელსახოცებს უქნევენ, თითქოს ავტოს ამხნევებენ.

— დათიკო, გენაცვალე, რას მეტყვი?

— მივუსწროთ, ქალბატონო. ან ქვიშხეთის ბაქანთან დავეწევით, ან ხაშურში.

ავტომ გაიპირდაპირა, მატარებელი კი ისევ გალმა იკლაკნება. მერე, როცა იმანაც მოუხვია და რკინის ხიდი გადმოსერა, ავტო უკვე წინ მიუქროდა.

— აგრე, გენაცვალე აგრე!—მიერეკება დათიკოს სიდონია.

ეხლა მატარებელი უკნიდან მორბის—ხვნეშით, ქაქანით და რახრახით.

აჰა, ქვიშხეთიც. აი, ბაქანიც. მკაფიოდ მოსჩანს—აგერ, აქვე, მარჯვნივ, ბაღის ნაპირზე.

— მივედით! მივუსწარით!

უცებ ავტომ სირბილს დაუკლო, ახვნეშდა, აბორწიკდა, შესდგა.

— რა მოხდა, რა ამბავია? ღმერთო, შემიბრალე!

— გაიქეცით, ქალბატონო, გაიქეცით!—უძახის შოფერი.—შეიძლება მიუსწროთ.

მატარებელმა გვერდით გაუსრიალა. სიდონიამ შოფერს ქალალდის ფული გადაუყარა, მერე ჯუანი ჩაიხუტა და გაიქცა.

მატარებელმა სირბილს დაუკლო და შესდგა.

მირბის გაწეწილი დედა და ჰკივის:

— დაიცადეთ!.. დამიცადეთ!

ასიოდე ნაბიჯი თუ იქნება ბაქანამდე. უკანა ვაგონიდან ხელეებს, ქუდებსა და ხელსახოცებს უქნევენ, ჟრიამულიც ისმის.

თავჩალუნული სიდონია ბარბაცით მირბის. მაგრამ ოთხი წლის ფუნთუშა ჯუანი მძიმეა. ღმერთო ჩემო, რატომ შოფერი არ მოეშველება! მიიხედა, დაინახა: დათიკო მანქანასთან სდგას და გამოსცქერის.

— დაიცადეთ!.. დამიცადეთ!

მაგრამ თვისი კივილი მხოლოდ თვითონ-ღა ესმის.

მატარებელი ჰკივის, იძვრის და თან მიაქვს სასიკვდილოდ დაჭრილი დედის უიმედო ბღავილი.

დათიკო ისევ აქეთ იხედება და ჰხედავს: დედაკაცი ჯერ ბორძიკობს, მერე მწვანეზე ეარდება და უნძრეველად იშოტება.

* * *

ექიმი რომ შრატს უშხაპუნებდა ავადმყოფს, ჯუანშერის ნაცვლად ტკივილისაგან სიდონია იგრიხებოდა. ჯუანი კი უგონოდ ეგდო და ხრიალებდა.

— ექიმო, მითხარით რამე.—ჩვილი ხმით ეხვეწება დედა და უცნობ მამაკაცის მკლავს წყალწაღებულივით ებლაუჭება.—მითხარით, ნუ დამიმალავთ, გადარჩება თუ არა?

— ვერაფერს გეტყვით, ქალბატონო. თუ დაგვიანებული არ არის, გადარჩება.

და სიტყვა „დაგვიანებული“ ისევ ნაკვერჩხალივით ჰხვდება სიდონიას.

— აკი წელანაც მოგახსენეთ, მარტო ოთხი საათით დავიგვიანე მეთქი.—თავს იმართლებს დედა.—ქვიშხეთში რომ ვერ მივუსწარი, ხაშურში ისევ ავტომობილით ჩამოვედი და მეორე მატარებელით წამოვედი.

—ვიცი, ქალბატონო. არა მგონია, რომ ოთხ საათს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

სიდონიას გაუხარდა:

— მეც მაგას ვამბობ, ექიმო. და თუ... თუ მოხდა რამე... ბრალი ხომ ჩემი არ იქნება, არა, ექიმო?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! მეტსაც ვიტყვი: ოქვენ გმირულად მოქცეულხართ.

— მადლობელი, ექიმო, დიდი მადლობელი.—ჩურჩულებს დამშვიდებული სიდონია და ჰგრძნობს მეომარის ამაყ სიხარულს, რომელსაც ქება შეასხეს მძიმე ვალის შესრულებისათვის.

ექიმმა დარიგება მისცა და წავიდა. სიდონია კი უგონო შვილს კვლავ გვერდით მიუწვა, მისი გახურებული თავი ისევ მკლავზე დაიდო, მეორე მხრით ზამბახები მოუწყო და წელანდელივით აჩურჩულდა:

— ეხლა კი მალე მორჩები, გენაცვალოს დედა... ტყუილად შევშინდით... ერთ კვირაში წამოდგები და ისევ ბაღში გახვალ სათამაშოდ, ჩემო ბიჭიკო...

შენი კატუნი—ფხაჭია, და ცუგრა ძაღლიც გამოგყვებიან. ჯერ კი დაისვენე, ჩემო ფუნთრუშავ, ორივენი დაღლილები ვართ... დაიძინე, გენაცვალოს დედიკო, დავიძინოთ... დავიძინოთ.

მაგრამ ძილის მაგივრად ისევ ლაპარაკობს, რადგან მხოლოდ ლაპარაკით ღა ჰლამობს შიშისა და ლანდების დაფრთხობას, რომელნიც ბუზებივით ეხვევიან და ფუტკრებივით ჰკბენენ.

მართლა შეასრულა დედის ვალი სიდონიამ?

რა თქმა უნდა, შეასრულა! თავიდან ბოლომდე შეასრულა! ან მეტი რა შაეძლო? არაფერი, მეტი აღარაფერი! ამიტომ...

— დავიძინოთ, ბიჭუკი, დავიძინოთ. თუმცა... თუ გინდა, ზღაპარს გიამბობ. ყური მიგდე: იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა-ღა იქნებოდა, იყო ერთი დედოფალი.

— შვილო,—აწყვეტინებს გასართობს მართა,—შენს საწოლზე გადადი და დაიძინე. ეხლა მე მოვუჯდები, ან ედიშერს დავუძახებ.

— არა, დედი, არა. საჭირო არ არის. ედიშერი სამსახურს ვერ გამოეჭცევა. ან რა საჭიროა, რას მიშველის?

— მაშ მე დავჯდები.

არც შენა ხარ საჭირო, დედა მართა. თუ დაიღალე, დაიძინე, სიდონია კი ერთი წუთითაც ვერ მოჰშორდება ჯუანშერს.

და შიშისგან და ხუნაგისგან მოწამლული დედა-შვილი გათენებამდის ჰბორგავენ და თავგანწირვით ებრძვიან უჩინარ მოსისხლეებს: სიდონია—სამართებელივით გალესილ შიშსა და ცეცხლივით მწვავე მქეჯნავს, ხოლო ჯუანი—ხუნაგის შხამსა და სიკვდილის ლანდს, რომელიც ამოწვდილ მახვილივით სდგას ოთახის შუაგულში.

სიდონიამ ჩასთვლიმა, მხოლოდ ათი წამით ჩასთვლიმა,—რადგან სამი ღამის უძინარი იყო—და როცა ბურანს თავი დაახწია, ჯუანი აღარ ჰბორგავდა. ეგდო გულაღმა გაშოტილი და ყელგამოჭრილ ბატკანივით ხრიალებდა.

და დედაც დასაკლავ პირუტყვივით აბღავდა.

ჯუანშერს ხელ-ფეხი გაუცივდა, თითქო დამბლამ შეიპყროო, და მიმქრალი თვალებიც კაკლებივით გადმოეყარა.

შემდეგ რა მოხდა—სიდონიას აღარ ახსოვს.

საკუთარ საწოლში გაიღვიძა—თბილსა და თოვლივით თეთრ ლოგინში. მეორე ოთახს მინის კარები აქვს. იმ ოთახში პატარა კუბო სდგას—ისიც თოვლივით თეთრი და თეთრივე ყვავილებით დათოვლილი. შიგ ალბად ჯუანშერი წევს. გარშემო სანთლები ბჟუტავენ. შავი დედაკაცები გახევებულ ლანდებივით სდგანან.

— ჯუანი მოკვდა!—ელვასავით ჩაერჭო ტვინში სიდონიას.—მე მოვკალი... ჩემი ბრალია, მარტო ჩემი ბრალია. მაშასადამე...

აგერ, იმ უჯრაში საწამლავი ინახება. ორი წელიწადი ჰგდია. ერთხელ დასჭირდა სიდონიას და იშოვნა. ერთი თვე ებრძოდა თავის თავს, მაგრამ ვერ დასძლია. ეხლა გამოადგება. მაშასადამე...

— ჯუანშერი მოკვდა!

როდის მოკვდა? დედამ არ იცის. რამდენი დღე გავიდა „იმ დილის“ აქეთ, როცა ჯუანი საალდგომო ბატკანივით ახრიალდა—არც ეს [illegible] საჭიროა! სულ ერთია, ორი დღე ეძინა სიდონიას თუ სამი. ის [illegible] „იმ დილამდე“ სამი ღამის უძილო იყო.

— ჩემი ჯუანი მოკვდა! მოკვდა!!

აგერ იმ უჯრაში შხამი ინახება. მაშინ ვერ გაჰბედა, ეხლა კი... ეხლა უნდა გაჰბედოს. მაგრამ... ტყუილად შერცხვება სიდონია—ვერც ეხლა გაჰბედავს. მაშასადამე ერთი-ღა დაჰრჩენია დაუდევარსა და ბოროტ დედას: პასუხისგება რკინის მორივით აიკიდოს და სიკვდილამდე ჰზიდოს—ათი, ოცი, ორმოცი წელიწადი უნდა ატაროს, როგორც აქლემი ატარებს თავის უშნო და ვეებერთელა კუზს.

არა, არა! არასოდეს, არასოდეს! ესეც შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელი!

— ჩემი ბიჭიკო მოკვდა! მოკვდა!!

მაშ რაღა ჰქნას დედამ? აბლავდეს, თმა გაიწეწოს, პირისახე მოიხოკოს, ქვას ახალოს თავი, თუ ქვა ითხლიშოს თავში?!

არც ერთი, არც მეორე, არც მეოთხე. ასე ადვილად ვერ გადაურჩება, ასე უბრალოდ ვერც ვალს მოიხდის, ვერც იმ კუზს მოიხნის, რომელიც უკვე მთაწმინდასავით გაეზარდა და ღამის ეხლავე გასჭყლიტოს.

— ჩემი ერთა მოკვდა! მოკვდა!! მოკვდა!!!

მაშასადამე... თუ საწამლავის დალევა ვერ გაჰბედა, მტკვარი ხომ აქვეა... ან ბანიდან გადავარდება, ან კიდევ...

ნუ, სიდონი, ნუ ისევებ უკვე გასიებულ გულს. შენც იცი, რომ ვერც თავს მოიწამლავ, ვერც ბანიდან გადავარდები. ნუ, დედი, ნუ იხეთქავ ისედაც გახეთქილ თავს. შენ თვითონაც დარწმუნებული ხარ—ვერც წყალში ჩავარდები და ვერც თოკის ყულფში გაჰყოფ თავს. ამიტომ...

ამიტომ იზრდება და მძიმდება აქლემის კუზი. სიდონია უკვე იჭყლიტება, ჰბორგავს და იხრუკება. თავი უნდა დაახწიოს იმ ტვირთს, ეხლავე უნდა გაუსხლტეს იმ რკინის გორას, მაჯლაჯუნას, სულთამხუთავს, თორემ თვითონაც დაიხრჩობა, თავის ჯუანივით დაიხრჩობა!

და უცებ, მოულოდნელად, დედის ტვინსა და გულში რაღაც შეინძრა, გარდიქმნა, გადატრიალდა. სიდონია გაიქიმა, აიგრიხა, გაინასკვა—თითქოს ორსულად იყო და შვილის შობისათვის დამწიფდაო.

მეორე ოთახიდან მართა მორბის, ედიშერიც მოსდევს, სხვებიც შემოდიან.

მართა ჰკივის, ედიშერი ქვითინებს, სიდონია კი მშობიარესავით ჰკვნესის და იქიმება—როგორც მაშინ, ოთხი წლის წინად, როცა ჯუანშერი მოდიოდა—და ეხლაც ისე იმუდარება, როგორც მაშინ იხვეწებოდა:

— დედი, მიშველე!.. დედილო, მიშველე!

მართა აღარ ჰკივის—როგორც მაშინ არ ჰკიოდა. დედის თვალი მჭრელია—გაახსენდა მაშინდელი. დედის გუმანიც გალესილია—უმალ მიჰხვდა ყოველივეს.

და ეხლაც ეშველება თავის შვილს—როგორც მაშინ ჰშველოდა, თან ყველას ეუბნება:

— ნუ სწუხდებით, ეხლავე მოსულიერდება... მიბრძანდეთ ოთახში გაბრძანდით.

ყველანი გადიან. ქმარი კი ქვის ძეგლივით სდგას და აღარ იცის, თვითონაც გავიდეს თუ ცოლს მიეშველოს.

სიდონია ცივი ღვარით იწურება, კბილებს აკრაჭუნებს—როგორც მაშინ. კვნესა კივილში გადადის, კივილი—გმინვაში. ერთხელ კიდევ აიგრიხა, ღრმა ოხვრა ამოუშვა და უცბად მოეშვა, მოდუნდა, გალხვა, გაიღიმა—როგორც ოთხი წლის წინათ—თითქოს იმშობიარა და დამშვიდდაო.

— ბიჭია?—მაშინდელივით ჰკითხა დედას და თვითონვე უპასუხა თავის თავს:—რა თქმა უნდა, ბიჭია, ჯუანშერია.—და გაიცინა.

დავა გაათავა. არც ილრჩობა, აღარც იჭყლიტება. სულთამხუთავს გაექცა, მაჯლაჯუნას გაუსხლტა. წელან გული ავი სულის კლანჭებით ჰქონდა ჩაბოჭვილი, ეხლა კი იმ ადგილს—შიშველ მკერდს—საამურად იზელავს და შვებით ილიმება.

ბოროტ სულთან ბღლარძუნი და ჭიდილი დასრულდა.

— ჯუანშერი არ მომკვდარა! ჯუანშერი ცოცხალია!

რა თქმა უნდა, არ მომკვდარა! მაშ რაღა საჭიროა საწამლავი, ან თოკი, ან ვერის ხიდი?! იყო სიზმარი—ავი, ბოროტი ლანდი. იყო უკმური—საზარელი ქაჯი თუ ალქაჯი. მათ უნდოდათ სიდონიას დახრჩობა, წამება, ჯვარცმა. ეხლა კი აღარაფერი არ არის. ყოველივე გათავდა, დასრულდა. ყველანი გაჭრნენ, წავიდნენ—სამუდამოდ, უბრუნებლივ!

— ჩემი ბიჭიკო არ მომკვდარა!! არ მომკვდარა!!!

და ამ სიტყვას გულში ასჯერ, ათასჯერ, ხაზგასმით, ქვის ყინით და რკინასავით მტკიცე რწმენით იმეორებს: „ა რ მ ო მ კ ვ დ ა რ ა!! ა რ მ ო მ კ ვ დ ა რ ა ჩ ე თ ქ ი!!!“

რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა, არ მომკვდარა! მაგრამ... აგერ იმ ოთახში მაინც თეთრი კუბო სდგას. იმ კუბოში ვილაც ბავშვი წევს. ეხლავე უნდა დამარხონ. და იმ კუბოს სიდონიაც გაჰყვება... მოვალეა გაჰყვეს!

მერე რაო! გაჰყვება, დამარხავს და დაბრუნდება.

— დედი, კაბა მომაწოდე.

შავი კაბა? სიდონიას არა ჰქონია შავი კაბა. ალბად ითხოვეს, ან ღლეს შეაკერინეს. ენაცვალოს სიდონია მართას! ასეთი დედა რომ არა ჰყოლოდა, ოჯახი დაენგრეოდა და შვილებიც... ორივე შვილი—ჯუანიც და კატოც... მართლა, სად არის კატო?

და ქალიშვილის გახსენებაზე ნემსის ჩხვლეტა იგრძნო, თითქო პერანგის ქვეშ სველი და ცივი ბაყაყი ჩაუვარდაო.

დინჯად და არხეინად იცვამს სამგლოვიაროს—თითქო სეირნობისთვის ემზადებაო. სადა კაბა ზედგამოჭრილია სიდონიას თხელ ტანზე. ძალიანაც უხდე-

ბა. რომ სცოდნოდა, ადრევაც შეიკერავდა. ქერა თმა, თეთრი სახე და შავი კაბა მშვენივრად ეწყობიან ერთმანეთს.

ადგა, კარებთან მივიდა და შესდგა—მხოლოდ ათიოდე წუთიც შესდგა.

კარებში დედაკაცები სდგანან—ედიშერის დეიდა პელო და მაგიდაშვილი ქეთევანი.

— დაუგვიანია,—ჩასჩურჩულებს ქეთევანი პელოს,—დაუგვიანია შრატის შეშხაპუნება, თორემ გადარჩებოდა.

— უეჭველად, გენაცვა, უეჭველად გადარჩებოდა.—უდასტურებს თავის ქნევით პელაგო.

ეს სიტყვები სიდონიას წითელ ლურსმანივით ჩაერჭო.

— მაშ იციან, ყველაფერი იციან.—გაიფიქრა.—ესენიც მე-მაბრალებენ.

თვალებზე ბინდმა გადაჰკრა, წაბარბაცდა, მაგრამ უმალვე შესწორდა და იმ ოთახში შეიხედა, სადაც...

იმ ოთახიდან მგლოვიარე დედას უცნაურად უმზერენ ოციოდე წყვილი თვალი, მოციმციმე სანთლები, თეთრი კუბო და შიგ ჩაწოლილი ჯუანი... ჯუანშერი... მისი ბიჭი, მისი ბიჭიკო!

თვალები დახუჭული აქვს. თითქოს რრმოებში ჩაუყრიათო. გუშინ კი—გუშინ, გუშინწინ თუ დღეს დილით—თითქო შუბლზე ჰქონდა აყრილი. ალბად ძალით დაუხუჭეს. ფუნჩულა ლოყებიც ჩასცვივნია. წითელი და ფუნთრუშა ტუჩებიც ჩაჰკეცია, ჩაჰყვითლებია. პირისახე კი თეთრი აქვს, თითქო კირით შეუგლისესო, თუმცა...

არა, არა, კირი რა სახსენებელია!—პირისახე უფრო იმ ყვავილებს მოუგავს, აგერ იმ ზამბახებს, რომელნიც სიდონიას მაგიერ ალბად მართას ან ედიშერს მოუტანია.

კარი ფრთხილად შეაღო და ფეხაკრეფით შევიდა, თითქო ცხედრის გამოღვიძებისა ეშინოდაო. თავთ დაადგა, მთრთოლვარე ხელი ცივ შუბლზე დაადო და დაჰხედა.

დაჰხედა და თვითონაც ჯუანშერს დაემსგავსა: შვილივით გათეთრდა, თვალები მიჭლულა და ტუჩები შეიკეცა—კბილებით მოიკვნიტა, თითქოს აღვირი ამოსდოო, რადგან ისინიც სიდონიასავით ცახცახებდნენ და თავაგლეჯას ჰლამობდნენ. მერე ნებისყოფა მოიკრიბა და თრთოლვაც აილაგმა.

— დაუგვიანია.—ისევ წაიჩურჩულა ვილაცამ მარცხენა კუთხეში.

სიდონია შეკრთა, მაგრამ არ მოიხედა.

— დააგვიანეს.—წამოვიდა შხამიანი ისარი უკნიდანაც.

სიდონიას ერთხელ კიდევ გადაჰკრა ბინდმა. მერე ისევ შესწორდა. ეხლა სხვა მხრიდანაც უცდიდა ისრების სეტყვას, მაგრამ დუმილი აღარავინ დაარღვია.

და ეს დუმილი იმ ისრებზე უფრო მწვავე გამოდგა.

დიდხანს იდგა გაკაჟებული და უძრავი—შავი ხის ძეგლივით, რომელსაც თეთრი მარმაროს თავი და ოქროთი შეღებილი თმა ჰქონდა.

— არა, ჯუანშერი არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს!

დედა სიდონიას მოეხვია და მკერდში ჩაჰქვითინა. მხოლოდ ეხლა შეკრთა და გამოერკვა შავი ძეგლი. თეთრ თავზე ხელი გადაუსვა, გაულიმა, ანუგეშა:

— ნუ სტირი, დედილო, ნუ... საიმისო არაფერი მოხდა.

და ამ სიტყვამ—საიმისო არაფერი მოხდაო—და დაობლებული დედის ღიმილმა სამართებელივით დაჭსერეს ოკიოდე წყვილი თვალი. ის თვალები ამოძრავდნენ, გაგანიერდნენ, ჯერ ურთ-ერთს ჩაეხლართნენ, მერე ყველანი სიდონიას უცნაურ თვალებს მიებჯინნენ.

მართამ თეთრი თავი გადაიხარა. ედიშერმაც მოიხედა, და ორივემ შიშითა და გაოცებით აჰხედეს ჯუანის დედას.

სიდონია კი ისევ იღიმება და ნუგეშს აძლევს—თავის თავსა და დედასაც:

— ნუ სტირი, თორემ... თორემ მეც ვიტირებ... ღმერთია მოწმე რომ... ჩემი ბრალი არ არის... ჯუანი არ მომკვდარა, დედი. ბაღში თამაშობს... ზამბახებიც ბევრი აქვს, ძალიან ბევრი. ჯუანი აღარა სჩანს, შიგა წევს... თეთრი კურდღელი უჭირავს...

თვალები აღელდნენ, ათამაშდნენ. მათი ელვა ოთახს ავსებს. და თვალების ელვას ჩურჩული და თავების ფურთვნა მიემატა, თითქო ქარში ბუჩქნარი აიშალაო.

— მე ეხლავე მოვალ. მომიცადეთ.—ამბობს სიდონია და სწრაფი ნაბიჯით გადის. ედიშერიც თან მისდევს.

მხოლოდ ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა ქალაქიდან—დატვირთული ზამბახებით და ნთნაირი სათამაშოთი.

აი, ავტომობილი ცხედარზე დასდო. აჰა, თეთრი დათვიც, შეკაზმული ცხენიც, თოფიც და თეთრი კურდღელიც, რომელიც მეორე ოთახიდან გამოიტანა.

ყველაფერი გვერდით მოუწყო ჯუანშერს. მერე კურდღელი აიღო და მოჰმართა.

და იმ პირუტყვის აცქვეტილ ყურებიდან უცებ ჟღარუნი მოისმა. და სულელმა, ცელტმა კურდღელმა ხრინწითა და ჩხაკუნით დაუკრა ვალსის ერთი მუხლი—„დილის სიზმარი“.

ოთახში თითქო ქარიშხალი შემოვარდაო—თვალების ელვა, ჩურჩული და თავების ღელვა გახშირდა.

სიდონია კი ყურს უგდებს ნაცნობ ვალსს და იღიმება. თვითონაც ოდნავ ირხევა, თითქო ნაცნობ ტაქტს აჰყვაო. მერე ის კურდღელიც დაადო ჯუანს და დინჯად გავიდა.

რა თქმა უნდა, ჯუანი არ მომკვდარა—მხოლოდ სძინავს.

ბავშვი დაასაფლავეს, როგორც ათასებს ასაფლავებენ. ეს სამგლოვიარო გზა სხვათა გზებს მაინც არა ჰგავს. მართა, ედიშერი და ნათესავები ტირილ-ქვითინით მისდევენ. დედა კი ისე მიდის, თითქოს უცხო ვინმეს მიაცილებსო.

თქმა არ უნდა, ჯუანი ცოცხალია!

ხელები დედისა და ქმრის მკლავებში აქვს გაყრილი. როცა ერთს ან ორი-

ვეს დარდის ბოლმა ნამეტნავად მოაწვებათ, სიდონია მოსამძიმრის საქმეს კისრულობს:

— ნუ, დედილო, ნუ!.. ედიშერ, თავი შეიმაგრე! ნუ სტერეოტიპ ქალცხვილია!.. დამიჯერეთ, საიმისო არაფერი მომხდარა მეთქი.

კუბო რომ ჩაუშვეს, დედამ პირი მოიბრუნა და წელანდელივით ძეგლად გადაიქცა, ხოლო როდესაც მიწამ კუბოს თავი აარაბუნა, ძეგლმა ორი თითი ყურებში ჩაირჭო და გულიც მარგილივით ჩაიჭედა:

— არა, ეს ჯუანი არ არის!

და იმ მარგილს უფრო-და-უფრო ღრმად ინერგავდა:

— არა! არა!! ჯუანი არ მომკვდარა!! არ მომკვდარა!!!

და იქიდანაც თითქო გულმშვიდად და უდარდოდ დაბრუნდა, თან უზრუნველი ღიმილი და რწმენის უუღრმესი პალო წამოიღო:

— არაფერიც არ მოხდა! ჯუანი ბაღში თამაშობს, წაღვერის ბაღში... ზამბახების კონა უჭირავს. ოღონდ ძალიან ცხელა... მზემ არ დაჭკრას ბიჭიკოს. აქ კი... აქ არაფერიც არ მომხდარა.

რა თქმა უნდა, არ მომხდარა! ჯუანი რომ მომკვდარიყო, სიდონია სასაფლაოდან ვერის ხიდზე უნდა წასულიყო, ან ჭერში უნდა აპარულიყო და თან სამიოდე ადლი თოკიც უნდა აეტანა. ამ სურათს კი ისევ პირველი სჯობია:

ჯუანშერი წაღვერშია. ბაღში თამაშობს და—

— ზამბახები ბლომად აქვს.—ხმამაღლა ამბობს შინისკენ მომავალი დედა.

— ბლომად აქვს.—უდასტურებს ედიშერი.

— ოღონდ მეტის-მეტად ცხელა.—ოხრავს სიდონია.—უუუჰ, ძალიან ცხელა!

ედიშერს უკვირს. გრილი ქარი ჰქრის. ტყვიის ღრუბლები მამა-დავითის უბანში ჩამოწვნენ. გამვლელნი იბუზებიან. ქალაქს ბინდი ეხვევა. სიდონიას კი ეშინიან:

— მზემ არ დაჭკრას ჯუანს.

ედიშერმა სიდონია მართას ჩააბარა და ახალი ექიმის—ნევროლოგის მოსაყვანად წავიდა.

* * *

ეხლა სიდო ისევ ფრიდონ დორაშვილის წინაშე ზის, ისევ კურდღელს არწევს და ექიმს უღიმის.

ეს არის ეხლა შეიკრა ღილები. ექიმმა გასინჯა.

— რას მეტყვით, ბატონო ექიმო?—ეკითხება.

— ჯანმრთელი ხარ. არსად არაფერი გეტყობა.

— ნემსების ჩხვლეტასაც ვგრძნობ. მაშასადამე მართლა ჯანმრთელი ვყოფილვარ.—გულში კი გაიფიქრა:—მაშასადამე, ჯუანიც ცოცხალია.

წელან ყოველივე უამბო ექიმს: ჯუანის სენის დასაწყისი, სირბილი ეტლით, ქროლვა ავტომობილით და დაგვიანება მატარებელზე—პირველზე, მეორეზე და მესამეზედაც.

— რა თქმა უნდა, ამის ბრალია, მარტო ამის ბრალია, რომ ჯუანს ჩამოყვანა დავუგვიანე...—და უცებ გასწყვიტა, თითქო შიშის ელდა ეცაო. კინალამ წამოსცდა: „შრატის შეშხაპუნება“.

— რა დაუგვიანე?—ორივე ხელით წასწვდა ამ სიტყვას ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერი... ისე ვთქვი.

— მაინც, ქალო? სთქვი, რა დაუგვიანე?

— არაფერი მეთქი.

— მაშ... ჯუანი რომ ავად გახდა, ექიმი მაშინვე მოუყვანე?

— რა თქმა უნდა! მაშინვე მოუყვანა გადიამ—გამზრდელმა, და მეც მაშინვე წამოვიყვანე. მხოლოდ ოთხი საათით დამიგვიანდა.

— შენ ბრალი არ გედება, ქალო. შენ შენი ვალი პირნათლად შეგისრულებია.—გარკვევით ამბობს ექიმი და თავის შავ თვალებს სიდონიას თვალებს უყრის.

— მართლა?!—წამოვარდა დედა ბავშვივით გახარებული.—ხომ მართალია, ხომ?—გვერდით მიუჯდა, მკლავზე მოეხვია და თავი მხარზე მიაყრდნო, თან ეაჯებოდა, ემუდარებოდა:—მართალი მითხარით, ფრიდონ... ბატონო ფრიდონ, ბრალი ხომ არ მიმიძღვის, დანაშაული ხომ არ ჩამიდენია?

— არა, ქალო, არა. შენი რა ბრალია! ბავშვს ხუნაგი შეეყარა, ვერ მოერია და მოკვდა.

დედა უცბად მოსწყდა დორაშვილის მკლავს, თითქო სიტყვამ „მოკვდა“ გველივით უკბინაო. გაბუტულივით გამობრუნდა, დაჯდა და გახევდა, თან ექიმს ალმაცერად ესროდა ნაწყენ თვალებს.

ფრიდონმა ხანგრძლივი დუმილი დააფრთხო:

— კიდევ მიამბე რამე, ქალო.—ეუბნება ექიმი.—მიამბე შენი ადრინდელი თავგადასავალი.

ნაწყენი დედა უცბად გამობრუნდა, გამხიარულდა:

— სიყვარულის ამბავი გიამბოთ?

— ძალიან კარგი, სიყვარულისა იყოს.

— ექიმო, დილამდე ვერ გავათავებ.—იცინის სიდონია.—ოც-და-ექვსისა ვარ და ოც-და-ექვსჯერ მაინც მიყვარდა. ხა-ხა-ხა!

— ყოჩაღ, ქალო! ხო-ხო-ხო! ყველანი ერთად, არა?

— არა, არა. ზოგნი ცალ-ცალკე, ზოგჯერ კი ორი და სამი ერთად.

— ყოჩაღ, ქალო, ყოჩაღ! მომწონს აგეთი დამტევი გული.

— ერთხელ, მახსოვს, ოთხი შემიყვარდა. ხა-ხა-ხა-!

— ოთხივე ერთად, ხო-ხო! აბა, უკანასკნელი სიყვარულის ამბავი მიამბე. როდის იყო, ვინ იყო, ან ვინ არის?

სიდონიამ ეჭვით გადაჰხედა:

— რათ გინდათ, ვინც იყო? ეხლა მაინც არავინა მყავს.

— კარგი, მჯერა! ეს მაინც მითხარი, როდის მოხდა უკანასკნელი?

— ვინ იცის, ალარც კი მახსოვს. თუმცა... მახსოვს, მახსოვს: სანამ ედიშერს შევხვდებოდი, ხუთი წლის წინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თქმა უნდა, ზოგმა გიპასუხა, ზოგმა კი...

— რა თქმა უნდა, ყველგან ვერ გავიმარჯვე, ამიტომ...

— ამიტომ რამდენჯერმე დააპირე თავის მოკვლა, არა?

— ეგეც იცით?

— ვიცი, მე ყველაფერი ვიცი. არაფერი დამემალება.

— მართალია, დავაპირე, მაგრამ ველარ გავბედე. ერთხელ მუხლამდე მტკვარში შევედი, მაგრამ გაციებისა შემეშინდა და გამოვბრუნდი—ხა-ხა-ხა!

— ხო-ხო-ხო! მერე? მერე?

— ბევჯერ სხვანაირადაც დავაპირე. აი, დღესაც...

და უცებ გაჩუმდა, თითქო გულის სარკმელი მიიხურაო. ექიმი კი მარწუხით ეცა ამ სიტყვას:

— რა იყო დღეს?.. რას აპირებდი?.. რა მოხდა?

— არაფერი.

და ლოკოკინასავით ჩაძვრა დუმილის ნაჭუჭში.

— მაინც, სიდონი, მაინც?— არ ეშვება ექიმი. მერე თვითონაც ჰშველის:— მაშ მე გეტყვი.

სიდონიამ თითქო სოროდან გამოიხედა:

— აბა, მითხარით.

— დღეს დილით, როცა გამოიღვიძე, ისევ გადასწყვიტე თავის მოკვლა, მაგრამ ვერ გაჰბედე.

— მართალია.—მორჩილი ხმით ამბობს სიდონია.

— საწამლავი რა უყავი?

— ფანჯრიდან გადავაგდე.

— ძალიან კარგი გიქნია. მომწონს.

— ვერა ვბედავ, ძალა არა მაქვს.—თითქმის სტირის ქალი.

— არც საჭიროა მეთქი. ეხლა მითხარი, რად აპირებდი დღეს დილით თავის მოკვლას?

სიდონია ისევ ნაჭუჭში ჩაძვრა, თან აიშალა და აიმრიზა. ექიმი კი კვალდაკვალ მისდევს, თითქოს ენაში ხელი ჩაავლო და თავისკენ ეწევაო:

— მაშ არ მეტყვი? რად მიმალავ, რა გაქვს დასამალი?— და ხმა რომ ველარ ამოუღო, ისევ თვითონ მიეშველა:—მაშ ისევ მე გეტყვი.

სიდონია სდუმს, ტუჩებს იკვნეტავს და ჭერს შესცქერის. თითქოს ექიმის ჩანგალს გაურბისო.

დორაშვილი კი ალარ ასვენებს— ულმობელია, კერპია.

— მაშ მე გეტყვი. მიზეზი ის იყო, რომ...—და მკაფიოდ, ხაზგასმით, დაუნდობლად ეუბნება, თითქო შანთით სდალავსო:—მიზეზი ის იყო, რომ შვილი მოგიკვდა! ჯუანშერი მოგიკვდა! გაიგე? გესმის? შვილი მოგიკვდა მეთქი!!

სიდონიას ესმის, მაგრამ არც ესმის. რა თქმა უნდა—გაიგო, მაგრამ თითქო ვერც გაიგო. ჯერ ექიმის თითო სიტყვაზე თითოჯერ შეკრთა, დაიბნა,

მაგრამ უმალ განმტკიცდა, გაიღიმა და დღეს დილით გამოკვეთილი ფარი ეხლაც მოიხმარა:

— არა, ექიმო, არა. ჯ უ ა ნ შ ე რ ი ა რ მ ო მ კ ვ დ ა რ ა

— მაშ დღეს ვინ დამარხე?—ულმობელობს დორაშვილი.

— ბატონო ფრიდონ, არ მეგონა, რომ... ასეთი მკაცრი ადამიანი იქნებოდით.

— ეხლა, ამ ოთახში, ადამიანი კი არა ვარ, არამედ ექიმი, მხოლოდ ექიმი.

— მერე, განა ექიმს აგეთი მძაფრი სული უნდა ჰქონდეს?

— ქალო სიდონი, თავი დაანებე ჩემს სულს და საკუთარზე იზრუნე.—შეურბილა ექიმმა.—მითხარი, დღეს ვინ დამარხე მეთქი?

— ვილაცა.

— ვინ იყო ის ვილაცა?

— სალომეს შვილი. არ იცნობთ სალომეს? წამომყეთ, გაგაცნობთ.

ხელი წაავლო, მეორე ოთახში გაიყვანა და სარკეში ჩაახედა.

— აი, გაიცანით სალომე. ედიშერის მეორე ცოლია და შვილიც ამას მოუკვდა.

— ხუმრობას თავი დაანებე, სიდონი. შვილი მოგიკვდა მეთქი.

— არა, ბატონო ფრიდონ, არა, მეთქი!

— მაშ სად არის ეხლა შენი ვაჟი?

— წელანაც გითხარით, სძინავს მეთქი!

— მაჩვენე. წამო, მაჩვენე.

— აკი გითხარით, ღამეა, გაიღვიძებს მეთქი.

— შორიდან მაინც დამანახე.

— არ შეიძლება... არ შემიძლია მეთქი.

— აგრე იყოს. მაშ ხვალ დღისით მოვალ.

— მობრძანდით, მაგრამ...

— მაგრამ?

— მაგრამ ისა, რომ... რომ დღისით ჯუანშერი იქ არის... წალვერშია.

სიდონია უცბად გაჩუმდა, გაშტერდა, ერთ წერტილს ჩააცივდა და თვალები მიჰბლიტა დილანდელივით, როცა ხელმეორედ გააჩინა ჯუანშერი.

ექიმი წამოვარდა, ერთი ხელი მაჯაში წაავლო, მეორე კი თავზე დაადო და გახევდა.

ქალი სომნამბულობამ შეიპყრო: თავი ჩაჰქინდრა, ჩაფიქრდა, მეორე ქვეყანაში გადავიდა. მერე ნეტარი ღიმილით გაიღიმა და ნაგლეჯ-ნაგლეჯად აბუტბუტდა, თითქო ქადაგად დაეცაო:

— ზამბახები... ყვავილები... ბაღი... ტყე...

— სად?—ჩასჩურჩულებს ექიმი.—სად არის ეგ ბაღი?

— წალვერში. ხანგრძლივი დუმილისა და ყოყმანის შემდეგ ჩურჩულებს გულყრილი, და უმატებს:—ბაკურიანშიც.

— წალვერში ვინ არის?

— ჯუანი... ჯუანშერი.

— მარტო ჯუანშერი? კიდევ ვინ?—ფრთხილად ეკითხება დორაშვილი.

სიდონია პასუხს არ აძლევს და განაგრძობს მოგონებას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბალში თამაშობს. ოდნავ სიცხე აქვს... ცხელა... მზემ არ დაბერას... კარგად მოუარე, გადიავ, თეთრ ჯურღღელსაც გაუფრთხილდი... იმის ნაჩუქარია...

— ვისი ნაჩუქარია?

— იმისი... ძვირფასია ჩემთვისაც და... და ჯუანისთვისაც.

— ვისი ნაჩუქარია მეთქი, ვისი?

ცნობიერების გალმა გასული სიდონია ვილაცას თუ რაღაცას ებრძვის, ექიმი კი სცდილობს გალმიდან ისევ გამოღმა დააბრუნოს:

— სიდონი, ჯუანშერი მოკვდა!—აგონებს დედას.

მაგრამ დედა კერპობს: სდუმს და დუმილით რჩება ოცნების ქვეყანაში. დორაშვილი მაინც თავისას ჩასძახის:

— გაიგე, ქალო, შენი შვილი მოკვდა მეთქი... მოკვდა! მოკვდა!.. დაუბრუნდი სინამდვილეს!.. დაუბრუნდი!.. დაუბრუნდი!

მაგრამ სიდონია ისევ წალვერშია—თავის შვილთან, ჯუანშერთან:

— ჯუანი ოდნავ უქეიფოდ არის... გაუფრთხილდი, გადიავ... მე მივდივარ.

— სად?—გულში უძვრება ექიმი.—სად მიდიხარ?

— ბაკურიანში.

— ჯუანი რომ ავად არის?

— ექიმს დაუძახეთ... მეც მალე დავბრუნდები.

— როდის?

სიდონია ყოყმანობს, მაინც უპასუხებს:

— ხვალ დილით.

— დროზე დაბრუნდი?—სიდონია სდუმს და იღუშება.—სთქვი, როდის დაბრუნდი მეთქი?

გულშემოყრილი იბრძვის, ჰბორგავს, რაღაცას თუ ვილაცას ეომება. ბოლოს, მაინც ლუღლუღებს:

— მესამე დღეს... არ გამომიშვა.

— ვინ? ვინ?

ისევ ბორგვა, ბრძოლა და ფართხალი.

— სთქვი, ვინ არ გამოგიშვა მეთქი?.. ვინ იყო?.. რა ჰქვიან?..—გაზით ეწევა ყურალესილი ექიმი, მაგრამ მისი გასაღები ველარ უდგება თითქმის გახსნილს გულის კლიტეს: გულყრილი სიდონია ისევ ჯიუტად იკეტება დუმილში.

ექიმი ისევ თავის ალაგზე ზის—სიდონიას პირდაპირ. გონმოსული დედაკაცი კი გაოცებით უმზერს მას, ულიმის და აბლეტილ თვალებს იფშვნეტავს, თან თავისთვის ბუტბუტებს:

— თავი მტკივა... მეძინება.

— ღამე მშვიდობისა, ჩემო სიდონი!

— ძილი ნებისა, ბატონო ფრიდონ! ნუ დამივიწყებთ... რაკი გზა გამოიკვლიეთ, ხშირად მნახეთ.

— კეთილი, დაგხედავ ხოლმე. ოღონდ მურაბები დამახვედრე და...—ღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილით თითი დაუქნია—და გული გამიხსენი, ნუ მომატყუებ, თორემ... მე ვერაფერი და ვერავინ დამემალება.

— მართლა? ვითომ?—უკვე კეკლუცობს სიდონია.

— გარწმუნებ, აგრეა. არც შენთვის ვარგა. თუ გინდა დამშვიდდე და გაბედნიერდე, ამ ქვეყანას დაუბრუნდი და ყველაფერი დამიჯერე.

— ყველაფერი დაგიჯეროთ?!—ტ შავი თვალები თავისებურად აათამაშა.—ყველაფერი?!

— დიაღ, ყველაფერი, ყველაფერი.

— სახიფათოა, ბატონო ექიმო, სახიფათო, რადგან... რადგან მე ძალიან მომწონს ორმოციოდე წლის მამაკაცი, თქვენისთანა შავგვრემანი, ხა-ხა-ხა! აი, აკი გაგიხსენით გული. დანარჩენი მერე იყოს.

— მაშ მოგწონვარ, სიდონი? მართლა? ხო-ხო-ხო! მაშ ავშენებულვარ. აბა, ბედნიერად და გამარჯვებით. მაგრამ კარგად დაიხსომე: ამ ქვეყანას დაუბრუნდი. ღრუბლებში ცხოვრება ძალიან სახიფათოა. ჩამოვარდები და დაიმსხვრევი. გარდა ამისა, თუ ერთხელ კიდევ დამიმალე სიმართლე, წავალ და აღარ მოვალ. მშვიდობით, თეთრო დედაკაცო!

ნახვამდის, შავო მამაკაცო!

— მართლა,—მოტრიალდა კარებში დორაშვილი და სიდონიას თითქმის მკერდზე დაადო თითი:—ეს რა არის?

— ესა?—დაიბნა სიდონია.—ესაა?... ეს არის კურდღელი... თეთრი კურდღელი.

— ვისია? ვინ მოგცა?

— ჩემია... ჩემი და ჯუანისა. უკრავს, ძალიან კარგად უკრავს. ხომ არ გინდათ დავაკვრეინო?

და მოსამართად სამიოდეჯერ გადაატრიალა.

— არა, არ მინდა.—ხელით შეაწყვეტინა მომართვა.—ვინ აჩუქა მეთქი ჯუანშერს?.. არ მეუბნები? მიმალავ? შენი საქმეა, შენ იცი. გირჩევ—ან გადაადგე, ან დასწვი, ან დამსხვრიე და მტკვარში გადაჰყარე. მშვიდობით იყავი!—რკინის ზოდებივით მოაყარა და კიბე ჩაირბინა.

კარი მიუკეტა, გამობრუნდა და, მართა რომ არ მიჰშველებოდა, ოთახის შუაგულში გაიშოტებოდა.

თეთრი კურდღელი მაინც მიიხუტა და მთვრალივით გაჰყვა გულამომჯდარ დედას.

* * *

ედიშერი სტუდენტია. ღამით მსახურობს, შუადღემდის სძინავს, მერე ლექციებს ამზადებს, ხოლო საღამოზე უნივერსიტეტში მიდის და იქიდან კლუბისკენ მიეჩქარება.

ეხლაც თავჩაქინდრული ზის და გაკვეთილს იზეპირებს, უფრო კი თავის უბედობას დასტირის. მართაც იქვე ტრიალებს და ჭურჭელს აჩხაკუნებს.

თეთრი სიდონია კი დაკარგულ ბატიკით დაბორიალებს და უდარდელად ღიღინებს, თან კურდღელს დაათრევს.

ზოგჯერ ვაჟის ფოტო-სურათებს მიადგება, კედელზე რომ ჩამოეკიდა ამას წინათ, და დიალოგს გაუბავს, თან ჯუანის ნაცვლად თვითონვე იძლევა პასუხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ეხლაც კედელს მიებჯინა და მიესალმა:

— ჯუან, გამარჯვება, გენაცვალოს სიდო!

— გაგიმალჯოს, დედილო!—თვითონვე წრიპინებს შვილის ხმით.

— როგორა ხარ, როგორ გეძინა, ჩემო ბაჭიავ?—მზრუნველობით ეკითხება დედა.

— ძალიან კალგათ. შენა?—ეკითხება ჯუანიც.

— მე? კარგად ვერა ვარ, ჩემო ბიჭიკო. აი, ყველანი მეუბნებიან—გახდი და დაუშნოვდიო.

— ლათა, დედილო, ლათ გახდი?—ვრძნობით ჰკითხავს ჯუანშერი.

— იმიტომ, გენაცვალოს მაგ თვალებში დედიკო,—სჩივის სიდონია,—იმიტომ გავხდი, რომ ძილიც დამეკარგა და მადაც. ველარაფერსა ვჭამ.

— ლათა, დედიკო, ლათა?

— იმიტომ, გენაცვალე მაგ კიწნებში,—მთრთოლვარე ხმით შესჩივის თავის თავს დედა,—იმიტომ, რომ არ მასვენებენ... მტანჯავენ... მაწამებენ.—და დუმილის შემდეგ მისი საჩივარი სდუღს:—ვინა მტანჯავს? შენ, შენა... მეტი არავინ... მარტო შენ.. მხოლოდ შენ.

მინას ლოყით მიეკრო და გაინაბა. მერე, მართას ჩუმი ქვითინი რომ მოესმა, მობრუნდა და დედას მოეხვია:

— დედილო, რა გატირებს?.. რა ვქნა, რა დაგემართა?

შემდეგ თავჩალუნულ ედიშერს დაადგა და კისერზე გამხდარი მკლავები შემოარკალა:

— შენ რალა მოგიყიდა, ედიშერ?.. რად ასველებ მაგ წიგნს?.. აიხედე, თავი ასწიე... ნუ დაალბე ეგ წიგნი, თორემ მეორეს აღარ გიყიდი... გესმის?.. გესმით?.. გაჩუმდით, გაჩუმდით მეთქი, თორემ... აგერ, ვილაც მოვიდა. კარებს აკაკუნებენ. გაუღე, დედილო.

მართა ცრემლის წშენდით გავიდა.

— შვილო კატუში!—მოისმა ტალანიდან, და სამი წლის ქალიშვილი შემოიყვანა.

კატო ჯერ მამამ აიტაცა და ჩაიკრა. მერე იატაკზე ჩამოსვა, სიდონიასკენ მიაბრუნა და უთხრა:

— წადი, გენაცვალე, წადი დედასთან.

დედა სავარძელში ზის და შვილს უბლვერის. კატო ყოყმანობს, თითს პირში იტრიალებს, დედას გაოცებით შესცქერის და ეჭვიანობს. აღარ იცის, როგორ დაუხვდება მშობელი—ისევ წინანდელივით დაუყვირებს და გამოაგდებს, თუ ადრინდელივით მოუალერსებს, როგორც ეალერსებოდა მაშინ, წაღვერიდან დაბრუნებამდე.

მერე გაჰბედა, გაუცინა და ხელგაშლილი გაიქცა, თან მიაძახა:

— დედილო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედილომ პირზე ზიზღი აიკრა, ბავშვი მანძილზე შეაყენა, წაძოხტა და მიაძახა:

— რად მოხვედი?! რად მოიყვანეთ?!.. წადი, მომშორდი! წაიყვანეთ!.. თვალით აღარ დამანახოო!—და კარები გაიჯახუნა.

აქეთ ოთახში პაწაწა კატო გულამოსკვნით სლუკუნებს, მოზრდილები კი უხმოდ იცრემლებიან, ხოლო კედლის იქით სიდონია ჰბორგავს:

— ეს გადარჩა... ქალი გადამირჩა, ვაჟი კი... ჩემი ბიჭი კი... ბიჭიკო... ჯუანი... ჯანი... ჯუანშერი...

და გულით, ან აზრითაც ვერა ჰბედავს სათქმელი დაამთავროს— „ჯუანი კი მოკვდაო“.

მაგრამ სიდონიას მაგივრად სხვა ვილაც თუ რაღაც ბნელ ქვესკნელში ჰკაწრავს დედას:

— მ ო კ ვ დ ა!.. მ ო კ ვ დ ა!.. მ ო კ ვ დ ა!!

და ეს სიტყვა, დამდნარ ლითონივით მწვავე და მძიმე, იმავე ლითონის წვეთებივით წკაპუნობს დედის ტვინსა და გულში, დნება ძარღვებში, უდუღებს სისხლს და ალივით ედება მთელ სხეულს—თავიდან ხელების თითებამდის და ყელიდან ფეხის ქუსლებამდე.

— ჯ უ ა ნ შ ე რ ი მ ო კ ვ დ ა!.. მ ო კ ვ დ ა!.. მ ო კ ვ დ ა!!

ეს ქვეყანა მეტის-მეტად ცხადია, ნამდვილია, ხოლო სინამდვილე მეტად უხეშია, ფოლადივით მტკიცე, ქვასავით უდრეკი, დორაშვილივით მკაცრი და „იმ დღესავით“ საზარელი. აქ, ამ ქვეყნად, ამ მიწაზე ჯუანშერი მკვდარია,—ჯუანი მოკვდა, ორი თვის წინად მოკვდა!—იქ კი, გაღმეულში, ჯუანშერი ისევ ცოცხალია, და იქ ყოფნაც საამურია.

ამ ჟამად იქ, ნოემბრის დამლევს, ისევ ზაფხულია, ისევ აგვისტოს დამლევია. შუადღე მოდის. მზე დნება და წაღვერსაც დამდნარ ოქროში აბანავებს. ჯუანი ბაღში თამაშობს. ზამბახებს ჰრწყავს. მერე თეთრ კურდღელს ჰმართავს,—აი, ამ კურდღელს, დედას რომ ეხლაც მკერდში აქვს ჩახუტული.

რა საამურია იმ დროინდელი წაღვერი! თუმცა—აღარ არსებობს „იმ დროინდელი“.

დრო მოკვდა, გაიყინა.

სიდონია ეხლაც წარსულშია, ან წარსულია სიდონიას სულში—ეს ხომ სულ ერთია! ეხლაც ოცი აგვისტოა, და ამ დღეში—სიდონიას სულსა და გულშიც—სამივე დრო შეიკრა და შედუღდა: წარსული, აწმყო და მყობადიც.

დრო მოკვდა, გაიყინა, შესდგა!

და თვითონ სიდონიაც იმ გაყინულ დროში გაიყინა. მხოლოდ იმ დროში—აგვისტოს მისალევში—წაღვერსა და ბაკურიანში ტრიალებს, რადგან ის დროც და ალაგებიც ამ დედაკაცს დასტრიალებენ.

და თავის საწოლზე გაშოტილ სიდონიას კვლავ იმ ლამის ამბავი ელანდება:

— რაკი აგრე დაიჟინე,—ჰბოდავს თეთრი დედაკაცი,—წამოგყვები... მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ პირობა არ დაივიწყო: ხვალ დილით ისევ უნდა დავბრუნდეთ... არ მოგბეზრდეს, ტყუო, თორემ... ჯუანი ავად არის...

ჩასხდნენ და წავიდნენ. გრილი ღამე იყო.

— ცივა... გამათბე.—უთხრა მაშინ სიდონიამ და ეხლაც ბუტბუტებს:—ცივა... გამათბე...

და როგორც მაშინ, ეხლაც იბუზება, თბება, ვილაცას ეხვევა, ჰკოცნის და ჰბოდავს:

— შე გიჟო... გაგიჟდი და მეც გამაგიჟე... არ დამახრჩო.—და თვითონაც მკლავებით ახრჩობს ვილაცას.— არ დაგვინახონ... უუჰ, როგორ ქანაობს ეს მატარებელი!

და სიდონიაც ქანაობს საწოლზე, როგორც ბავშვი აკვანში. მერე იღიმება და ამბობს:

— მადლობა ღმერთსა, ძლივს ამოვედით!.. გათენდა კიდევაც...

მართლა გათენდა, როცა ბაკურიანში ავიდნენ.

— უუჰ, რამდენი ნისლია!—უკვირს სიდონიას ეხლაც.—მზეს შეეხედე, მზეს!.. როგორ ამოდის!.. როგორა ჰკრეფავს ნისლსა!.. ერთი გაიხედე, რა მაღალი მთებია!.. დაბურული ტყე... ხშირი ბალახი... არა, არა, ჯერ ნუ შევალთ. ტყეში ნამია... ფეხი დაგვისველდება... გავცივდებით...

სანამ სიდონია და თანამგზავრი დილის ჩაის სვამდნენ, მზემ ის ნისლი აჰკრიფა, ღრუბლად აქცია და ცხრა წყაროს მთებს ბამბის დოლაბანდივით მოახვია. ნამიც მალე ალოკა და ქალაქელი მოაგარაკენი ფიცრულებიდან გამორეკა—ზოგი წყალზე, ზოგი ტყეში, ზოგიც ბაზარზე.

გამოვიდნენ, ჭალა გაიარეს და კოხტა გორას შეუდგნენ.

— უუჰ, რამდენი ყვავილია!—უკვირს სიდონიას საწოლზედაც.—მერე რამდენნაირი! ზამბახები... შროშანები... ამას რა ჰქვიან—შქერი? რა ლამაზია! ამას—დეკა? ყოჩაღ, ბარძიმ!—და ეს სახელი პირველად ახსენა.

რა იცოდა სიდონიამ, რომ ყურაცქვეტილი ედიშერი ამ დროს თავთ ედგა და ცოლის ყოველ სიტყვაზე თოკივით იკვანძებოდა! და ეს სახელი რომ გაიგო, შეკრთა და გახევდა. სიდონია კი ისევ ბარძიმს მისდევს. ეხლა ალბად ბოტანიკურ ბაღში არიან.

— მაშ ეს მცენარე ჯუჯა ტირიფია? ლათინურად რა ჰქვიან? სალიქს რეტიულატა?.. ხა-ხა!.. გცოდნია ბოტანიკა. ტყუილად კი არ ბერდები უნივერსიტეტში... ეს რაღა არის, აი ეს, ლურჯი ყვავილი რომ აქვს? ასისთავა? ხა-ხა! მაშ ათისთავაც აქვე იქნება სადმე... ნელა, ბიძინა, ნუ ცულლუტობ! მეტკინა... აბა, თუ მართლა იცი რამე, ამ ყვავილის სახელიც მითხარი. რაო, ქართული სახელი არ იცი? მაშ ლათინური სთქვი... სოლდანელლა ალპინა,—რა ხმოვანი სახელი ჰქონია!.. აი, ქრისტეს ბეჭედი. აი, მთის ია... ესეც მთის ფიქვი. ამათი სახელი ხომ მეც ვიცი... მეც მისწავლია ბოტანიკა... უუჰ, რა დაბურულ ტყეში შევედით!

დიდხანს იარეს.

— დავიღალე... ხელი მომეცი... გენაცვალეთ, რამდენი მარწყვია!.. აგერ, ჟოლიც. აბა, მიშველე, დავუკრიფოთ ჯუანშერს...

დიდხანს ჰკრიფეს. მერე, როცა დაიღალნენ, მაღალ ბალახებში ჩაწვნენ.

სიდონია უცებ გალხვა და მიიბნიდა ლოგინზე:

— ბიძინა, ჩემო ბიძი... მიყვარხარ... უუჰ, რა ცხელი ხელები გაქვს!—და თვითონაც გაგიჟებით ეხვევა და ჰკოცნის ბიძინას, თან ლულლულებს:—ნუ გადაირიე... რას შვრები, ბიძი!.. ნუ, გენაცვა, ნუ!.. არ მინდა... მე არ მინდა... თავი დამანებე მეთქი!—ეხლაც ხელები განზე გადაყარა და უნძრეველად, უპასუხოდ მიიბნიდა, თან მორჩილი ხმით უსაყვედურებდა:—გეუბნები, არ მინდა მეთქი... მაგრამ, რაკი აგრე დაგიჟინია... ფუჰ, რა საძაგლობაა!.. მომშორდი, დამეკარგე!.. თვალით აღარ დამენახო. ნურც შენ შემომხედავ... ფუჰ, ფუჰ!

პირისახეზე ზიზღი აისახა და თავი კედლისკენ მიიბრუნა.

სულგანაბული, თავჩაღუნული და ბრაზისგან აკანკალებული ქმარი ლამის ყელში წასწვდეს ცოლს. აღარც თვითონ არის ამ ქვეყნისა. თვითონაც მოლალატე ცოლს გაჰყვა და გონებით ბაკურიანის ტყეში გადასახლდა.

სიდონია ქმარს ვერა ჰხედავს, ედიშერი კი—ფრიდონ დორაშვილს, რომელიც კარგა ხანია მოლუშული სდგას იმის უკან და გონწასული ყოველ სიტყვას ედიშერივით იჭერს.

ისედაც დაიგვიანა ექიმმა. აქამდისაც უნდა დაევლო ქმრისთვის ხელი და გაეყვანა. ექიმისა და სნეულის შორის მესამე არავინ უნდა ჩადგეს—თუნდაც ქმარი.

მხარზე ხელი დაავლო, მოაბრუნა, თითით დუმილი უბრძანა და თვალით კარებისკენ ანიშნა.

მოდრეკილი და შეჭარხლებული ქმარი ფეხაკრეფით გავიდა.

ეხლა სიდონიას ედიშერის ნაცვლად ექიმი უზის თავთან. ცალი ხელით სიდოს მაჯა აქვს ჩაჭერილი, მეორე ხელი კი იმის თავზე აქვს დაბჯენილი.

გულყრილი გაბუტულია. მერე ნელნელა იშლის პირისახეს და შერიგების კილოთი სტუქსავს ბიძინას:

— საძაგელო!.. დამეკარგე, ხმას ნულარ გამცემ მეთქი... არც შენი ნახვა მინდა, არც ხელი... ტყუილად მკოცნი, არ შეგირიგდები.

მაგრამ ურიგდება. რამდენჯერმე ცივად ჰკოცნის ჰაერს და იღიმება.

— საძაგელო... დინჯი ვინმე მეგონე, შენ კი ქარაქუცა ჰყოფილხარ. ხა-ხა-ხა! ქარაქუცა! ქარაფშუტა! ჩიტირეკიავ! აბა, თუ ბიჭი ხარ, დამეწიე.

სიდონია მირბის. ხელებსა და ფეხებს იქნევს. იღლება, ჰხვნეშის და ძლივს-ღა სუნთქავს. მერე აჩქარდა და ბიძინაც ააჩქარა:

— წავიდეთ... დაებრუნდეთ, თორემ დამიგვიანდება... ჯუანშერი ავად არის... ვინ იცის, რა დაემართოს.

დიდხანს სდუმს. მერე ჰგრძნობს თუ ესმის, რომ მისი და ბიძინას ბაასში ვილაც მესამე ერევა:

— რატომ არ მოდიხარ?—ფრთხილად ეკითხება დორაშვილი.—დაიგვიანებ.

— ბიძინა არ მიშვებს.—თავს იმართლებს სიდონია.—ამბობს, ჯერ თორმეტიც არ არისო... მატყუებს.

— ეხლა სადა ხარ?

— ბაკურიანში... კოხტას გორაზე ავდივართ... ბიძინა მიმტკიცებს, ვითომ ისტორიული ალაგი იყოს... აქ მოხდა შეთქმულთა კრება... [illegible] ემზადებიან—მონღოლთა წინააღმდეგ... აქ მოიყარეს თავი შოთა რუსთაველმა... ამირ-სპასალარმა შანშემ... ავაგ ათაბაგმა... სამეფო კარის ვაზირმა ვარამ გაგელმა... მეც ვიცი ეგ ამბავი, ბიძინა... მისწავლია... მამამაც მიამბო... მერე ყველანი დააპატიმრეს, ანისში წაიყვანეს... აწამეს... ტიტვლები მზეში დასხეს, ტანზე თაფლი წაუსვეს... უუჰ, რა საშინელი წამებაა!.. მაინც ვერ გამოსტეხეს.

— მერე? მერე?

— მერე მათი მეგობარი თანაშეთქმული ცოტნე დადიანი მოვიდა... თვითონვე გაიხადა... თოვლი წაისვა... გვერდით მიუჯდა... ჰკითხეს... უთხრა: მეც ამათში ვერიე და ამათი ჭირიც უნდა გავიზიაროო... გაუკვირდათ მონღოლებს ქართველთა რაინდობა და ყველანი გაანთავისუფლეს.

— მალე დაბრუნდები?—ჰსურს დორაშვილს თავის გზაზე გადმოიყვანოს სიდონია.

— ჯერ მივდივართ... საცაა ავალთ... ზოგნი თურმე ამბობენ, ეს ამბავი მეორე კოხტა გორაზე მოხდაო... სადღაც იქით ყოფილა—მესხეთისა და ჯავახეთის საზღვარზე.

— იგვიანებ, სიდონი. აჩქარდი, მატარებელი მიდის.

ექიმის ფანდი სჭრის. სიდონია ჩქარობს. ეტყობა, მორბის. ხშირად სუნთქავს, ხვნეშის, შუბლზე ოფლი მოსდის.

— ჩქარა, ჩქარა!.. დავიგვიანეთ... უუჰ, როგორა ცხელა!

— მაინც დაიგვიანე, არა?—აჩქარებს ექიმი.

— დავიგვიანე!.. დავიგვიანე!—თითქო სტირის სიდონია, თან ბიძინას უსაყვედურებს:—შენი ბრალია, შენი!.. ვაი მე, ჩემო ბიჭიკო!.. ხვალ დილამდის ველარ ჩამოვალ.

— ბიძინამ დროში ხომ არ მოგატყუა? განგებ ხომ არ დაგაგვიანა?—ეკითხება იდუმალი ხმა სიდონიას.

— რა თქმა უნდა, მომატყუა... განგებ დამაგვიანა...

— მაშ შენი დაგვიანება ბიძინას ბრალი ყოფილა.

— შენი ბრალია, ბიძი, შენი...

— მაშ ჯუანის სიკვდილიც ბიძინას უნდა დაეკისროს.

შვილის გახსენებაზე სიდონია სიამით ილიმება და ჯუანშერს მკერდზე იხუტებს, თან არწევს და ბუტბუტებს:

— ჩემი ჯუან... ჯან... ჯუანშერ. რა თბილი ხარ!.. რა რბილი ხარ, ჩემო ბიჭო... ჩემო ბიჭიკო...

— შენი ბიჭი მოკვდა, სიდონი!—მტკიცე ხმით ჩასჩურჩულებს ექიმი.

მაგრამ დედას არა სჯერა, ან ექიმისა აღარ ესმის.

— ჩემი ბიჭი... ბიჭუნი... ბიჭიკო...—და უჩინარ შვილს ვნებით ჰკოცნის და ტანზე ხელებს უცაცუნებს.

— შენი ბიჭი მოკვდა მეთქი, ქალო!—ყვირიანობს დორაშვილი.— გაიგე, სიდონი, შეიგნე: შენი ვაჟი, შენი ჯუანშერი მოკვდა! მოკვდა! მოკვდა!!

ექიმის სიტყვები სიდონიას ალარა სწვდება, მისი ხერხი ველარა სჭრიხ. დედის ვნება სჭარბობს დორაშვილის ნებისყოფას. პროფესორმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი და სკამს მიეყუდა.

ხანი გადის. მიბნედილი სიდონია უცებ ახელს თვალებს, გაოცებით ათვალიერებს ექიმს და ასადგომად იწევს.

— ჯუანი, ჩემი ჯუანი.—ბუტბუტებს და შვილს ლოგინზე და ლოგინში ეძებს.—აქ იყო, ეხლა აქა მყავდა.

— სიდონი!—თითქმის მრისხანედ ესვრის დორაშვილი.

— აი, აქ იყო... ეხლა ხელში მყავდა.—და თითები ააცმაცუნა.—აქა მყავდა... მისი სითბო თითებზე შემრჩა.

— სიდონი, გონს მოდი!

დედამ ექიმი თითქო ეხლა დაინახაო:

— ბატონო ფრიდონ. რა ამბავია... რა მოხდა? რა დამემართა?

— არაფერი, სიდო. ძილის დროს შემოგასწარი. ამ ოთახში მოგიცდი.

მეორე ოთახში ედიშერი დადის თითქო გალიაში გაუწვრთნელი ლომი შეაგდესო.

— ედიშერ!—ეუბნება დორაშვილი და მხარზე ხელს ადებს.— ყური მიგდე, ედიშერ. ის, სიდონია, დედაკაცია, სუსტია, ულონოა. ამიტომ ვერ გაუძლო დარდს და ოცნების ქვეყანაში გადასახლდა. მე და შენ კი ვაჟკაცები ვართ. ამიტომ არ შეგვშვენის გულის აფორიაქება. სჯობდა ყური არ დაგეგდო და არაფერი გაგეგო. მაგრამ, რაკი გაიგე, განაგონი გულში უნდა ჩაიმარხო და დაივიწყო.

— სწორედ იმიტომ, რომ ვაჟკაცი ვარ, განაგონის დავიწყება არ შემიძლიან.

— რას აპირებ, მითხარი.

— ეგ მე ვიცი.

— აგრე იყოს. მაგრამ ერთი რამე მაინც გამიგონე: სიდონიას არაფერი გააგებინო, არც აგრძნობინო, თორემ...

— მაგის პირობას გაძლევ.

— მეტი არაფერი მინდა. ეხლა ქუდი დაიხურე და წადი.

ედიშერი ქუდს იხურავს და გადის.

* * *

— ბატონო ფრიდონ!—გამოდის თავის ოთახიდან მოლიმარე თეთრი დედაკაცი და თეთრი კურდღელიც თან მოაქვს.—ძია ფრიდონ, გამარჯვება!

— გაგიმარჯოს.—ცივად ბურტყუნებს დორაშვილი, უნდილად აძლევს ხელს და ისევ ბოლთას განაგრძობს.

— რა დაგემართათ, ძია ფრიდონ, ვინ გაგაჯავრათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ.

— მე? მართლა? ხა-ხა-ხა! რით, როგორ, ძია ფრიდონ?

— შენც კარგად იცი.

— ღმერთმანი, არ ვიცი. მითხარით, გამაგებინეთ.

— ასჯერ გითხარი.

— ასჯერ? არაფერიც არ მახსოვს. გამაგებინეთ, თუ ბრალი მიმიძღვის, ბოდიშს მოვიხდი.

— ბოდიში არა კმარა.

— მაშ რა გნებავთ?

— ძალიან კარგად იცი. სამი თვეა მატარებ ტყუილ-უბრალოდ. გაბუტულის კილოთი ბურტყუნებს ექიმი.

— ტყუილ-უბრალოდ?—კეკლუცობს სიდონია და დიდრონ თვალებს თავისებურად ათამაშებს.—ხა-ხა-ხა! ვინ იცის, ტყუილ-უბრალოდ თუ... ვინცა ჩქარობს, აგებს. ჩემი გულის მოსაგებად სამი თვე არა კმარა.

— შენი თავი აიგდე მასხარად. მე კი უკვე ორმოცისა შევსრულდი, საარშიყოდ ველარ ვიცლი.

— ორმოცისა? მამაკაცისთვის საუცხოო დროა.—აგდებინებს ხელიდან ამ მახვილსაც.—აკი გითხარით, ჩემს გულს მხოლოდ ორმოცი წლის მამაკაცი გაიტაცებს მეთქი, ხა-ხა-ხა!

— არშიყობისთვის არ მოვსულვარ, სიდონი.

— მე ვარშიყობ?! ღმერთმა დამიფაროს!

— დააყენე ეგ თვალები, ნუ ათამაშებ!

— თვალები დავაყენო? ინებეთ. აი, დავაყენე.

და ისე დააყენა, რომ უარესად აამეტყველა. ელვით სავსე შავი თვალები თითქო დამშვიდდნენ, მიიბლიტნენ. სამაგიეროდ გრძელ წამწამებში დინჯი ღელვით იხეორებიან, თითქო ღამით შავ ლერწმიანში ორი ნელი ტალღა ირწევაო.

— ხა-ხა-ხა!—გადიკისკისა მხიარულად.—რა ვქნა, ძია ფრიდონ, რა ჩემი ბრალია, თვალები არ მემორჩილება!

— შენ მრავალი რამ არ გემორჩილება, სიდონი.

— მაგალითად?

— მაგალითად—აბა, ეგ კურდღელი დასდე მაგიდაზე.

— აჰა, ინებე.—და დასდო.

— ეხლა მითხარი, ხელახლად რად მიიდე ხელი მკერდზე?

სიდონია დაიბნა. მარცხენა ხელი მართლა მკერდზე ედო.

— ჩამოიღე.

ჩამოიღო, მაგრამ უმალვე ისევ მკერდზე მიიდო.

— ჩამოიღე მეთქი!

— რა ვქნა, რა მემართება?—უკვირს თვითონ სიდონიასაც.

ხელი ისევ ჩამოსწია, მაგრამ უნებურად ხელახლად მკერდზე აუვარდა.

— ძია ფრიდონ, ეს რა ამბავია?—შეეშინდა.—ხელი არ შემრჩილება. გამაგებინეთ, რა მემართება?

— ეხლავე გეტყვი. ჯერ დავაბათ. მომაწოდე ეგ პირსახოცი.

სიდოს წელზე შემოაკრა და მისი ხელიც შიგ ჩააყოლა.

— ეხლა ყური დამიგდე, სიდონი.

— არ შემიძლიან, არ შემიძლიან!—ხელი ამოიღო და ისევ მკერდზე მიიხუტა.—ისევ ასე იყოს... ეხლა მითხარით.

— გეტყვი. შენი ჯუანი რომ ავად იყო, შენ გვერდით უწექი. მისი თავი დილამდე მკლავზე გედო, მართალია თუ არა?

— მართალია, ძია ფრიდონ.

— იქიდან გამოგყვა. ამიტომ ან ეს კურდღელი უნდა გქონდეს ჩახუტებული, ან ხელი.

— აგრეა... მართალია.—ბუტბუტებს სიდონია და კურდღელს ისევ მკერდზე იკრავს.

— ხომ გახსოვს ჯუანის ავადმყოფობა, სიდონი?—და გვერდით მიუჯდა.

— მახსოვს... წალვერში ოდნავ ავად იყო.—ოხრავს პირშეცვლილი დედა.

— ჯერ წალვერში, მერე აქ, ქალაქში, აგერ, იმ ოთახში იწვა. გახსოვს თუ არა ის ღამე, როცა შეწუხებული ვაი მკლავზე გესვენა?

— არა, არ მახსოვს.—ჩურჩულებს და პირსახეს ექიმს არიდებს.

— მართლა, სიდონი, დღეს რამდენია ამ თვისა?

— დღეს?—კედლის კალენდარს შესცქერის და იმასაც თვალს არიდებს.— არ ვიცი. მგონი ცხრამეტია, ან ოც-და-ერთი.

— კალენდარი რას ამბობს?

— ღმერთმანი, არ ვიცი.

— კალენდარი თვალწინ გიკიდია და არ იცი? მაშ მე გეტყვი: დღეს ოცი ნოემბერია, სამი თვის თავია... რას გაჩუმებულხარ, ქალო! დიდი ხანია შეგატყე, რომ ოცი რიცხვისა ცეცხლივით გეშინიან, რადგან ჯუანშერი ოც სექტემბერს მოკვდა. გაიხსენე, მოიგონე.

სიდონიამ გაიღიმა და მხრები შეიშმუშნა.

— აქეთ მოიხედე, სიდონი.—და ერთი ხელით თავი მოუბრუნა, მეორე კი მაჯაში წაავლო.—ერთხელ კიდევ გეკითხები, სად არის მეთქი შენი ჯუანი?

— ჩემი ჯუანი? აქ არის, სადღაც აქ არის.—აცმუტდა სიდონია და ხელის თითებიც ააცმაცუნა.—წელან ხელში მყავდა... აი, ეხლაც ვგრძნობ იმის სითბოს... მესმის მისი სუნთქვაც... აქ არის სადმე... აქ უნდა იყოს.

— სიდონი, გაათავე!—და მძლავრად შეანჯღრია.—გონს მოდი, ყური მიგდე. ჯუანი გელანდება, რადგან წელან სიზმარში ნახე.

— სიზმარში? მხოლოდ სიზმარში? ვაი მე!

— დიაღ, სიზმარში, მხოლოდ სიზმარში. აქეთ მობრუნდი, ქალო, თვალს ნუ მარიდებ.—პირისპირ დაისვა და თვალი აღარ მოაშორა.—სიდონი, დროა

გაათავო სახიფათო თამაში. შვილი მოგიკვდა! ჯუანი ხუნაგმა წაგართვა!—ლურსმებივით ურჭობს თავში.—გაიხსენე, მოიგონე, დაიცა, სიტყვას ნუ მაწყვეტინებ. აგერ, იმ ოთახში იდგა თეთრი კუბო, შიგ შენი ჯუანი იწვა. შენც იქ იყავი, სათამაშოები შეუტანე. აი, ეს კუბოდან ზედ დაადე. მერე გაასვენეთ და დამარხეთ. ცხადია, ჯუანი მოკვდა! გამოტყდი, სთქვი ჯუანშერი მოკვდა თქო!

სიდონია წამებულის ღიმილით იღიმება და მხრებს იშმუშნის:

— ვთქვათ, მოკვდა. მერე რაო?

— მაშ შეიგენი თუ არა შვილის სიკვდილი?

— ძია ფრიდონ, ეგ ამბავი ჩემ შეგნებაში ვერ შედის. ეგ ცარიელა სიტყვებია. შიგ არაფერი ჭყრია.

— თავს ნუ იტყუებ, სიდონი. ეს სიტყვები—„შენი შვილი მოკვდა"—ცარიელი არ არის. ტყვიასავით მძიმეა, ცეცხლივით მწვავეა, სამაგიეროდ რეალურია, ნამდვილია. დამიჯერე, ქალო სიდონი, ყოველივე რეალურიც, ამქვეყნიურიც მძიმეა და მწვავე, როგორც შენი შვილის სიკვდილი. ამიტომ გაურბიხარ მას, ამიტომ ემალები და გგონია, ვითომ მართლა გაექეცი და დაიმალე. მართალს ვამბობ თუ არა, სიდონი?

— მართალია.—ყოყმანის შემდეგ სევდიანად უდასტურებს სიდონია.—სინამდვილე მწვავეა, მძიმეა... ოოჰ, რა მძიმეა, ძია ფრიდონ!

— მართალია, მაგრამ ამ ქვეყნიდან გაქცევა და სიზმარეთში ცხოვრება ასჯერ უფრო უარესია. დღეს თუ ხვალ ეს ქვეყანა თვითონ დაგეწევა—ვერსად წახვალ!—და თვითონვე გაგაღვიძებს, მაგრამ ისე უხეშად, ისე მკაცრად შეგანჯღრევს, რომ სამუდამოდ დაგამტვრევს, დაგაგონჯებს, გაგაგიჟებს.

თვალმილეული სიდონია ამ სიტყვამ შეაკრთო და შეაჟრჟოლა.

დორაშვილი აღარ ინდობს, არ ერიდება და ყურებში ჩასძახის:

— ამიტომ სჯობია, რომ შენვე დაუბრუნდე სინამდვილეს, რეალურს. დაყრუებულთა, ბრმათა და განდეგილთათვის იგი გარდუვალია, მოუტეხავი, მძლეთა-მძლე და შეუნდობარი. ხოლო მორჩილთა და თვალხილულთათვის იგი ლმობიერია, მისანდობარი და ერთგული. შენ გაექეცი მას, სიდონი.

მიბნედილმა დედაკაცმა ღრმად ამოიოხრა.

— განგებ დაიყრუე ყური, განზრახ დაიბრმავე თვალი და უცნაურ ქვეყანაში გადავარდი. მიზეზს ისევ მე გეტყვი: შენ შვილი მოგიკვდა—ერთად-ერთი ვაჟი, პირმშო ჯუანი. ნუ შეშინდები, პირდაპირ გეტყვი, მე შენსავით მხდალი არა ვარ: ჯუანის სიკვდილი შენი ბრალია.

— ვაი მე!—ამოხეთქა შიშისა და ირთოლვის შადრევანივით სიდოს გულიდან.—ვაი მე! ძია ფრიდონ!.. ბატონო ფრიდონ! რა სასტიკი, რა ულმობელი ადამიანი ჰყოფილხართ!

— არა, სიდონი, არა! ჰირიქით, ჰირიქით! მეტად გულკეთილი, თითქმის გულჩვილი ადამიანი ვარ. შენისთანა უბედურს რომ ვხედავ, თითქმის ცრემლი მომდის. მაგრამ ჩემი მოვალეობა მიკარნახებს ზოგჯერ გული გავიმკაცრო, გა-

ვიმძაფრო. აი, ეხლაც ასე ვიქცევი. გეუბნები: შენ რომ პირნათლად შეგესრულებინა დედის ვალი, შეიძლება ჯუანშერი ეხლაც ცოცხალი გყოლოდა.

— ვაი მე, უბედურს, ვაი მე!—ჰკვნესის დედა.

— ნუ შეშინდი, გამაგრდი! სიმართლეს მონელება უნდა. შენ ეს ამ ხდალივით გაექეცი მას. პირველად შენვე უმალ შეიგენი შენი ბრალი და ასე მოისაზრე: ან უნდა თავი მოვიკლა, ან კიდევ... ან ჯუანშერი არ მომკვდარაო, თავის მოკვლა ვერ გაბედე, ეს შენვე მითხარი. მართალს ვამბობ თუ არა?

— ვერ გავბედე.—ოხრავს სიდონია.

— მადლობა ღმერთს, რომ ვერ გაბედე. ეგ სულმდაბალთა ბედია. მაგრამ შენ უარეს გზას დაადექი. შენი თავი დააჯერე, და სხვებსაც აჯერებ — შვილი არ მომკდომიაო. ის კი აღარ იფიქრე, რომ შენი თავი მთელ ქვეყანას მასხარად ააგდებინე.

— მასხარად?!—ჰგმინავს სიდონია.

— დიაღ, დიაღ! ყველა დაგცინის, მასხარად გიგდებს.

— ვაი ჩემი ბრალი! —სჩივის შელახულ თავმოყვარეობას ქალი.

— გარდა ამისა, სიდონი, შენისთანა დანაშაული ას მილიონ დედას ჩაუდენია.

— მართალია, მეც გამიგონია.—ეჩიდება სანუგეშოს ბრალდებული.

— მაგრამ არც თავი მოუკლავს ვინმეს, არც შენსავით ახირებულა.

— მაშ...—ეძებს ახალ სანუგეშოს დამნაშავე დედა.

— ეხლავე გეტყვი. შენ დაგავიწყდა, სიდონი, რომ ორი გზის გარდა არსებობს მესამე გზაც.

— რომელი?—თითქო ძილში ბუტბუტებს დედაკაცი.

— ნამდვილში ეს მესამე გზა ერთად-ერთი გზა არის, და ამ გზით მიდიან დედები, უკლებლივ ყველანი. გაიგონე და დაიხსომე: დედას რომ შვილი მოუკვდება, დამარხავს, იტირებს, იგლოვებს და შემდეგ ისევ თავის გზით წავა. მეკითხები, რომელი გზითო? ამასაც გეტყვი: ამ ქვეყნად პირმშოს სიყვარულის გარდა არსებობს მოვალეობაც.

— რის, ვის წინაშე? —ძლივს-ღა ესმის ექიმს.

— მოვალეობა წინაშე ქმრისა, მშობლებისა, დანარჩენ შვილებისა, სამშობლოსი და მომავალ თაობისა, გაიგე?.. გესმის?

— მესმის... გავიგე.

— ეხლა სთქვი, გწამს თუ არა ეს მოვალეობა?

სიდონია სდუმს.

— ჰგრძნობ თუ არა, სიდონი, ამ მოვალეობას?

სიდონიამ თავი დაჰხარა, ერთ წერტილს ჩააცივდა და წაილუღლუღა:

— ვგრძნობ... წინაშე ჩემი ჯუანშერისა.—და ისევ ოცნების მდინარეს მისცა თავი;—ჩემი ჯუანი... ბიჭი... ბიჭიკო... ბაღი... ზამბახები... თეთრი კურდღელი... ცხელა, ძალიან ცხელა... მზემ არ დაჰკრას... თეთრი ყვავილები... თეთრი ზამბახები...

* * *

დორაშვილს ისევ სიდონიას მაჯა უჭირავს, ხოლო მეორე ხელი—თავზე აქვს დადებული და ცდილობს გაღმა გასულს ხმა მისცეს:

— ყური მიგდე, სიდონი!

— თეთრი ზამბახები... თეთრი კურდღელი...

— ყური მიგდე-მეთქი, სიდონი! გაიგე, დაიჯერე, შ ე ნ ი ჯ უ ა ნ შ ე რ ი მ ო კ ვ დ ა! მ ო კ ვ დ ა!!

სიდონია ყურს იყრუებს, პროფესორი კი დაეინებით აბავს ერთმანეთს შეცნობისა და ქვეშეცნობის ქვეყნებს და ჰლამობს გაღმელი ისევ გამოღმა გამოიყვანოს:

— შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი მ ო კ ვ დ ა მ ე თ ქ ი!! ეს შენც იცი, ძალიან კარგად იცი!—უტკეპნის გონებას ექიმი.—ბრალი რომ შენც გედება, ესეც იცი! კარგად იცი!! მაგრამ—ინუგეშე თავი—მარტო შენ არა ხარ დამნაშავე. შენ ბიძინამ წაგიყვანა ბაკურიანში.

— ბიძინამ... ბიძიმ... დავბრუნდეთ, ბიძი, თორემ ჯუანი ავად არის...

— ბიძიწამ მოგატყუა, განგებ დაგაგვიანა! გაიგე? ბ ი ძ ი ნ ა მ დ ა გ ა- გ ვ ი ა ნ ა მ ე თ ქ ი! მაშ ბრალი ბ ი ძ ი ნ ა ს ა ც ე დ ე ბ ა!

— ბიძინას ბრალია, ბიძისა.—უხარიან სიდონიას.

— უფრო იმისია, იმისი!.. გაგაბრიყვა! წაგიყვანა! დაგაგვიანა!.. ამიტომ სინიდისი გიმსუბუქდება... ამიტომ ნ უ ღ ა რ კ ე რ პ ო ბ! თვალები გაახილე და აღიარე, რომ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი მ ო კ ვ დ ა! მ ო კ ვ დ ა! მ ო კ ვ დ ა!!

— მოკვდა.—თითქო თანახმაა სიდონიაც.—მოკვდა... იმანაც მითხრა, ბიძინამ.

— როდის? სად?—უკვირს ექიმს.

— რამდენჯერმე... თავის ოთახში. ძალით წამიყვანა... არ მინდოდა. არც ეხლა მინდა, ბიძი!.. გამანებე თავი. ფუჰ, რა საძაგელი ვინმე ხარ!.. ეს უკანასკნელი იყოს. ჩემი ფეხი აქ აღარ იქნება. შენი ბრალია ჯუანის სიკვდილი, შენი! საზიზღარო! სალახანავ!

— მერე, მერე, რა გითხრა?

— თავი ჩაჰქინდრა, დარდმა მოიცვა... მე კი წამოვედი.

— გიყვარს, ბიძინა, სიდონი?

— მაინც მიყვარს... რადგან ვილაც უნდა მიყვარდეს... არ მესმის, როგორა სძლებენ უსიყვარულოდ... მიყვარს ბიძინა და ჯუანი.

— გაიგე, სიდონი, ჯუანი მოკვდა მეთქი! მ ო კ ვ დ ა! მ ო კ ვ დ ა! გაიგე, შეიგნე, თვალი გ ა ა ხ ი ლ ე!

სიდონია თვალებს ახელს, გაოცებით აცეცებს და თავის გვერდით მჯდომ ექიმს ეკვრის, თითქმის ეხუტება და ჩვილი ხმით იცრემლება:

— ფრიდონ, ძია ფრიდონ! მიშველე, დამიფარე...

— რისგან, ვისგან, სიდონი?

— მტანჯავენ, მაწვალებენ...

— სთქვი, ვინა გტანჯავს, რა გაწუხებს?

— ბრალი... ჩემი და სხვისი ბრალი... და ისიც, ისიც.

— რის ბრალი, ქალო? ან სხვისი ბრალი შენ რად გაწუხებს?.. აბოიღე ხმა, გამაგებინე!

— ისა მტანჯავს... ბრალი იმისია, მე კი ვიტანჯები. არ მასვენებს, აქამდე დამდევს... ზოგჯერ აქაც მოდის, ზოგჯერ ქუჩაში მხვდება. მძულს, მეზიზღება, მაგრამ ვერც მე ვძლებ უიმისოდ. დამიფარეთ... მიშველეთ...

და საფრად ექიმის მკერდს ხმაროობს, ხელებს მკერდსა და მხარბეჭზე უფათურებს, ელამუნება.

— მითხარი, ქალო,სახელი მითხარი მეთქი!

— სახელი? ჰო, მართლა... სახელი.—თითქო გონზე მოდის, ზეზე დგება და თმებს ისწორებს. მერე სევდით აცხადებს:—ვერა, ძია ფრიდონ, თქვენ ვერ მიშველით.

ექიმიც წამოდგა. გაიარა.

მუდამ, როცა დორაშვილი სიდონიას გულს თითქმის გახსნიდა, მღვრიე ნაკადივით ვიღაც მესამე შემოიჭრებოდა, ხელს შეუშლიდა. მხოლოდ დღეს, მესამე თვის დამლევს, შემთხვევით გაიგო მისი ვინაობა. ვიღაც სტუდენტია—ბიძინა.

მარტო სიდონია რომ ჰყოლოდა, მქეჯნავთან ბრძოლას გაუადვილებდა, შვილის სიკვდილს აღიარებინებდა, ეხლა კი ვიღაც მესამე უხლართავს გზებს და გავლენით ექიმს ეცილება.

— სიდონი, რაკი არ მენდობი, ჩემი აქ მოსვლაც მეტი ყოფილა. მე წავალ. მშვიდობით იყავი.

— მართლა მიდიხართ?!—უმალ მობრუნდა და გაცოცხლდა სიდონია.—ძია ფრიდონ, დაიცადეთ. იქნება გაწყენინეთ რამე? მაპატიეთ, ძია, მაპატიეთ.

— არაფერი მწყენია, სიდონი... ოღონდ თავი უნდა დაანებო იმას.

— ვის, ძია, ვის?

— შენც იცი. იმას—წელან რომ სთქვი, მტანჯავსო. თავი დაანებე მეთქი, სიდონი. ქმარიც გყავს, დედაც, შვილიც. მოუარე შენს თავს, პატარა კატოს და ოჯახს, თორემ... მერე ნულარავის დააბრალებ.

სარკმელთან იდგა, თითით რაფას აკაკუნებდა და ქუჩას ათვალიერებდა. დარცხვენილი სიდონია კი თითებს იმტვრევდა, იატაკს ჩასცქეროდა.

ქუჩის გალმა, ტროტუარზე, ვიღაც ახალგაზრდა იდგა და პაპიროსს აბოლებდა.

— სიდონი, აქ მოდი. რაღაც უნდა გკითხო.

— მკითხეთ.—და ადგილიდან ვერ დაიძრა.

დორაშვილმა ხელში ხელი წაავლო, სარკმელთან მიიყვანა.

— აგერ იმ სახლში, ამ სახლის პირდაპირ, ვინა ცხოვრობს?—და თითით უჩვენა ერთ-სართულიანი პატარა სახლი, და თითი, განგებ თუ უნებურად, იმ ახალგაზრდისკენ გაიშვირა, რომელიც ხეს მიჰბჯენოდა და ისევ პაპიროსს ეწეოდა.

სიდონია შეკრთა. გაშეშებული იდგა მოხიბლულივით და გალმა წერტილს აშტერდებოდა თან მკერდით უცნაურად ღელავდა.

— სიდონი, აქეთ მოდი.—თითქმის ძალით მოაშორა სარკმელს და ეუბნება. დღეს მე შენი სტუმარი ვარ. რას იტყვი?

—სტუმარი? მართლა, სადილის დრო მოვიდა. ღმერთო ჩემო, მაგაზე მეტი რალა მინდა! მაგრამ... თქვენი საკადრისი რომ არაფერი მაქვს.

— დამშვიდდი. არც არის საჭირო. მე ჩემი გემო მაქვს. შენ აქ დატრიალდი, მე კი წავალ და ნახევარ საათში დაებრუნდები, ხომ კარგი?

— სიამოვნებით, დიდი სიამოვნებით!—ბ დატრიალდა:—ბედი! ბედილო! აბა, დატრიალდი... დაამზადე... გამალე...

სტუდენტი ტროტუარზე დასეირნობს. დორაშვილმა გვერდით გაუარა და თვალებში ღიმილი ჩაისხა.

სტუდენტმა ქუდი მოუხადა, რადგან პროფესორმა შორიდანვე თვალი დაადგა.

— გამარჯვება, ბიძინა!—და შესდგა.—მგონი ბიძინა გქვიან, არა?

— დიახ, დიახ, ბიძინა მქვიან.

— გიცნობ, კარგა ხანია გიცნობ. გვარი კი დამავიწყდა.

— მარგიშვილი გახლავართ.

— ბიძინა მარგიშვილი. ბოტანიკოსი ხარ, არა?

— დიახ, დიახ.—უფრო ესიამოვნა ბიძინას.

— წამო, ბიძინა, გავიაროთ.

მკლავში მკლავი გაუყარა და წაიყვანა, თან ეუბნებოდა:

— ასეთ შემოდგომას ვერსად ნახავ. სხვაგან ზამთარია, აქ კი,—გაიხედე—სუფთა ცა, აპრილის სითბო და გაზაფხულის მზე.

— დიახ, სითბო... მზე... გაზაფხული.—უდასტურებს ბიძინა.

ათი წამის შემდეგ კი პროფესორი ეკითხებოდა:

— ჰა, შენ რას იტყვი, ბიძი? ქალი ისტერიული ფსიხოზით არის დაავადებული, ის კი—ვილაც ახალგაზრდა—აღარ ასვენებს. რას იტყვი მეთქი, ბიძინა, ასეთ ვაჟზე?

ბიძინა იშმუშნება და ბორძიკობს:

— მე მგონია... ყოველ შემთხვევაში... ის ვაჟი რაინდი არ უნდა იყოს.

— მეც აგრე მგონია.—და თვალში თვალს უყრის. მერე ხაზგასმით ურჩევს:—იმედია, ის ვაჟი ამიერიდან რაინდივით მოიქცევა. მშვიდობით, ბიძინა, მშვიდობით!

* * *

პროფესორი მხოლოდ სადილის წინ ათვალიერებს გაზეთს. სხვა დროს არა სცალიან. თავდაპირველად შავ ჩარჩოებს გადააავლებს თვალს—წასულების გვარებს წაიკითხავს.

ეხლაც მეოთხე გვერდს დაჰხედა და შეკრთა.

„.....აუწყებენ, რომ სტუდენტი ბიძინა მარგიშვილი ტრაღიკულად დაიღუპა...“

ქრონიკას ჩაადევნა თვალი და იპოვნა: „გუშინ, დილის სამ საათზე, „არტოს“ კლუბის მახლობლად უცნობმა ორი ტყვიით მოჰკლა სტუდენტი ბიძინა

მარგიშვილი. როგორც სჩანს, მოკლულსაც უსვრია ორჯერ. მკვლელი მიიმალა. გამოძიება სწარმოებს".

დორაშვილი წამოდგა, დაფაცურდა, ისევ ჩამოჯდა, ისევ ჩაიკითხა და ისევ წამოდგა.

ნახევარი საათის შემდეგ ედიშერმა გაუღო კარები.

— გამარჯვება, ედიშერ!

— გაგიმარჯოს. ძია ფრიდონ. მობრძანდი.

ტალანში ბინდია. და ამ ბინდში ორი წყვილი თვალი ერთმანეთს მიებჯინა. დიდხანს აწვებიან, თითქო დავობენ—რომელი რომელს მოსტეხავსო.

ექიმს ხელში გაზეთი უჭირავს. ედიშერს თვალები ერთი წუთით ამ გაზეთზე გადააქვს, მერე ისევ დორაშვილის თვალებს ახლის. თითქო გაიგო, ან მებრძოლს ველარ უძლებს: ტუჩების კუთხეში ღიმილის მსგავსი ელვა აიგრიხა, თვალები ჩაიკეცა, მოარიდა.

— სტუმარი არ გინდა?—ცივად ეკითხება ექიმი და პალტოს იხდის.

— ძია ფრიდონ!—თითქმის ჰკივის სიდონია კარებში.—ძლივს, ძლივს არ მოგვიგონეთ! რა არის, ღმერთმანი, რად დამივიწყეთ?!—

და მკლავზე ეკვრის, თითქმის ეხვევა.—ცოტა ადრე მოხვიდოდით, სადილს გაჭმევდით.

— მადლობელი, გიახელი... სიდონი, ეგ კურდღელი ველარ მოიშორე?

ვერა, ვერ მოიშორა სიდონიამ. ან ვის რას უშლის ეს კურდღელი, საკვირველია. სიდონიასთვის კი ერთად ერთი გასართობია.

ექიმი დაღვრემილია. ყველას და ყოველივეს ათვალიერებს, თითქო პირველად ჰხედავსო. ზოგჯერ თვალი ედიშერზე გადააქვს. მაგრამ ედიშერიც აშლილია. მოუსვენრად ზის. აღარ იცის, სად წაიღოს თვალები და ხელები.

სიდონია ჯერ კიდევ ჰფეთქავს და ცდილობს სხვებიც გააცინოს. მაგრამ თვისი გუნება რომ ვერ გადასდო ქმარსა და სტუმარს, უმალ მათივე შეისრუტა და თვითონაც მოიღუშა.

ოთახში დუმილი ჩამოწვა—უხეში, მძიმე და შემხუთავი.

ედიშერმა დრო იხელთა:

— ძია ფრიდონ, ბოდიშს ვიხდი.

ექიმი შეკრთა. თითქო გაუხარდა კიდევაც.

— მიდიხარ? გეჩქარება?

— ძალიან მეჩქარება.

— კარგი, წადი. სიდონია გამართობს.

— ახალს რას მეტყვით, ძია ფრიდონ?—ეკითხება სიდონია, როცა ედიშერი გადის.

— ახალს? ახალი შენ უნდა მიამბო. გაზეთს ხომ კითხულობ?

— როგორ არა, ვკითხულობ. მაგრამ დღევანდელი არ წამიკითხავს.

— რატომ?

— არ მოუტანია. ედიშერმა მითხრა, დღეს გაზეთი არ გამოსულაო.

— მართლა?.. შეიძლება...—და რაღაცას ჰფიქრობს, თითქო ბრძოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმას აწყობსო. მერე მიიხედ-მოიხედა და წამოდგა:—ეს რა ამბავია, სიდონი! ოთახი რად დაგიბნელებია?! ფანჯრების დარაბები რად მიგიხურავს?—და გამოსალებად წავიდა.

— ნუ, ძია ფრიდონ, ნუ გააღებთ!—წამოდგა სიდონია.

— რატომ, ქალო?—შესდგა ექიმი.

— იმიტომ... რადგან...—აირია სიდონია.—არ მესიამოვნება, მეხამუშება.

— რა გეხამუშება, სიდონი?

სიდონიამ სავარძელი მოატრიალა, დაჯდა, ზერგი სარკმელს მიუბრუნა და უპასუხა:

— არაფერი. თუ გნებავთ, გამოაღეთ.

ექიმმა დარაბები გამოაღო. ოთახში თეთრი შუქი შემოიჭრა. გარეთ ნაადრევი ზამთარია. თოვს. ქალაქი გათეთრებულა.

— სიდონი, პასუხს ველი: რა გეხამუშება მეთქი?

— არაფერი, ძია ფრიდონ.

— არაფერი? მაშ მე თვითონ გეტყვი.

— ბრძანეთ.

— გარეთ ზამთარია, სიდონი.

— ზამთარი? ხა-ხა!—და მხრები შეიშმუშნა.

— დიაღ, ზამთარია, თოვლია. შენ რას იტყვი, ქალო?

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი! გარეთ გაიხედე და სთქვი, ზამთარია თუ ზაფხული?

— ზაფხულია... ცხელა.

— ზაფხული? მაშ თეთრ კაბასაც ალბად მაგიტომ არ იშორებ.

— რა თქმა უნდა! ზაფხულში თეთრი სჯობია. სხვა კაბაში მცხელა.

— ეხლაც გცხელა, სიდონი?

— რა თქმა უნდა! ძალიან ცხელა. ტყეში ფიჭვი დნება... ბაღი ყვავილებით არის სავსე... ზამბახები, ვარდები, შროშანები...

— სიდონი!—მკაცრი ხმით უძახის ექიმი.

— ბაღში ჯუანშერი დარბის.—თითქოს არ ესმის ექიმის ხმა.—ზამბახებს ჰრწყავს. მერე კურდღელს მომართავს და დაუკრავს. აი, მესმის... უკრავს.

და თვითონაც კურდღელს აჩხაკუნებს, რომელიც ვალსის ერთ მუხლს აჟღარუნებს. მერე უმალ თვითონვე აჩუმებს, თითქო კურდღელის ხრიალისა შეეშინდაო:

— ნუ, ბაჭიავ, ნუ... გაჩუმდი, გაჩუმდი... ისევ დუმილი სჯობია, დუმილი და გარინდება.

— სიდონი, გარეთ გაიხედე და სთქვი, რასა ჰხედავ?—და ხელში ხელი წაავლო სარკმელთან მისაყვანად.

— ნუ, ძია ფრიდონ, ნუ მიმახედებთ. არ მესმის, ღმერთმანი, ვისთვის რა საჭიროა ჩემი გამოფხიზლება!

— შენთვის არის საჭირო, სიდონი, შენთვის. ისევ შენთვის და შენი ნათესავებისთვის: შვილისთვის, ქმრისთვის, დედისთვის.

— მჯერა. ჩემთვის კი საჭირო არ არის.

— სიდონი, თვალიც გიჭრის და გონებაც. კარგად ~~ხედავ~~ ~~ამ~~ ~~თოვლს~~. გაიგე და შეიგნე—ზამთარი მოვიდა.

— ზამთა-ა-ა-რია-ა-ა ჰე-ე-ეი...—დაიწყო ღიღინით სიდონიამ და დაუმატა: —პირველი მითხარით, ძია ფრიდონ!

— სიდონი, არც შენა ხარ სიმღერის გუნებაზე, არც მე მემღერება. თუ ხუმრობას თავი არ დაანებე, მე წავალ.

და წამოიწია. სიდონია ორივე ხელით მისწვდა მკლავში:

— რა გინდათ ჩემგან, ძია ფრიდონ, რა გინდათ?—შეემუდარა.

— მითხარი, რასა ჰხედავ გარეთ?

— მეტი არაფერი? მაშ გეტყვით: თოვლს—მეც ვხედავ თოვლს—ამ კურდღელივით თეთრ თოვლს.

— მაშ რა დროა ეხლა, სიდო, ზაფხული თუ ზამთარი?

— ვთქვათ ზამთარია, მერე?

— მაშ რად ამბობ, ვითომ ეხლა ზაფხული იყოს, ვითომ წაღვერში იჯდე და შენი ჯუანშერიც ბაღში თამაშობდეს?

— იმიტომ რომ...—და მიყუჩდა.

— იმიტომ რომ—ამთავრებს სიდონიას ნაცვლად დორაშვილი—იმიტომ რომ დრო ვერ გადაგილახავს, სიდონი. თუ სთქვი—ეხლა ზამთარიაო, ისიც უნდა აღიარო, რომ ზაფხულის დასასრულს შენი ჯუანი მოკვდა!

— ისევ მოკვდა! მხოლოდ მოკვდა! ღმერთო ჩემო, მუდამ მოკვდა და მოკვდა!—ჰკვნესის კერპი დედა.

— ხომ გჯერა სიდონი, რომ ეხლა ზამთარია, ხოლო ზაფხულში—მგონი ოც აგვისტოს ჯუანი მოკვდა?

— მე თვალით ვხედავ ზამთარს. ყურით და გონებითაც მესმის—ჯუანი მოკვდაო. ვადასტურებ ამას. ეხლა ხომ დამშვიდდით, ძია ფრიდონ? მაგრამ...

— მაგრამ რაო?

— მაგრამ... მე ამას არა ვგრძნობ, ძია ფრიდონ. ჯუანი მოკვდა, სალომეს მოუკვდა. მე კი ჩემი შვილის სიკვდილს არა ვგრძნობ.

— მაშ რასა გრძნობ, ქალო?

— ზაფხულია... ცხელა... ფიჭვი დნება...

— ისევ?!

— ბაღში ჯუანი თამაშობს... თეთრი ზამბახები... თეთრი ყვავილები... თეთრი კურდღელი... აი, წელანაც ვგრძნობდი, და ეხლაცა ვგრძნობ ჩემს მკერდსა და მკლავებზე ჩემს ბიჭიკოს—პატარას... პაწაწინას... პაწაწკინტელას. თქვენ კი გსურთ ჩამაგონოთ, ვითომ ჯუანი მომკვდარიყოს... თქვენ გსურთ ბედნიერ ზეციდან უბედურ მიწაზე ჩამომიყვანოთ, არ ვიცი კი—რისთვის, რისთვის?

— ვიმეორებ, სიდონი, შენთვის, ისევ შენთვის მეთქი. შენ მიწა უბედურ

ქვეყნად მიგაჩნია, ზეცა კი—სამოთხედ. აი, აქა სცდები, სიდონი. აქ არის შენი სენის სათავე. მე კი გეუბნები: მარტო მიწაზეა ჭირიც და ლხინიც, ქმუნვაც და სიხარულიც, სიცოცხლეც და სიკვდილიც. იქ კი—შენგან მოგონილ ცაში—არც ერთია, არც მეორე, არც მესამე. იქ არაფერია, სრულიად [illegible] გარდა ისევ შენგნითვე შეთითხნილ სიცრუისა.

— იქ ჯუანია, ჩემი შვილია... ილია.—უკვე იცრემლება დედა.

— ჯუანშერი მიწაშია, სიდონი. იქ კი მხოლოდ მისი ლანდია—ისიც ცივი, მშრალი, უსულო და უსისხლო.

— თბილია... ილია, ძია ფრიდონ, თბილია ჩემი ბი... ბიჭიკო... ჭიკო.

— თითქო თბილია ხუთი წუთით, როცა გულყრა მოგდის. და ამ ხუთიოდე წუთისთვის შენ სწირავ შენს პირად სიცოცხლეს, მოვალეობას, ბედნიერებას, დედას, ქმარსაც და მეორე შვილსაც—კატოს, პაწაწინა კატუშას.

— კატუშას, ჩემს კა...კატუშას.

— და შენც იტანჯები, მუდამ იტანჯები.

— ვი...ვიტანჯები...ანჯები...

— მეც ვიცი, სიდონი, რაც ხდება შენს გულში: ცეცხლი გეკიდება. მართალია თუ არა?

— მეკი... მეკიდება... მართა... მართალია... თალია... ალია...

— მაშ ნულარ აწამებ სხვებსაც და შენს თავსაც. გამოტყდი, რომ ეხლა დეკემბერია.

— დე... დეკემბერია... ბერია.

— ზამთარია-თქო!

— ზა... ზამთარია... არია.

— შენი ბიჭიკო, შენი ჯუანი მოკვდა!!

— ჩემი ბიჭიკო... ჭიკო! ჩემი ჯუ... ჯუანი... ანი!

და ქვლავ მიილულა, მიიბნიდა, გადასახლდა:

— ჯუ... ჯუანი. ზაფხულია... ულია. ცხელა. ზამბახები... ბიჭიკო... ჭიკო. თეთრი კურდღელი... ელი.

ექიმი აიმრიზა, მოიღუშა. მოჰბეზრდა სუსტი დედაკაცის უდრეკი სიკერპე და ეინიანი აჩემება. ოთხი თვე გავიდა, რაც თავთ დასტრიალებს. მრავალჯერ მიიყვანა გამოფხიზლებამდე, მაგრამ სიდონია სწორედ მიჯნაზე დახუჭავდა თვალებს და გადაფრინდებოდა გალმა.

დორაშვილს კიდევ მოეპოვება მარაგად შენახული ხერხი. დღემდის არ იხმარა—სათუთია, საფრთხილოა. დღეს კი...

დღეს მეტი გზა აღარ აქვს. რაც გამოვა—გამოვიდეს, მოსახდენი მოხდეს!

— სიდონი, ყური მიგდე!—უნერგავს ყოველ სიტყვას.—გაიხსენე ბიძინა მარგიშვილი!

— ბიძინა... ბიძი...

— შენი ბიძინა ქალაქში დადის,—ჩქარობს ექიმი საბაასო ძაფის გაბმას,—დადის და მთელ ქვეყანას უამბობს: სიდონია ჩემი საყვარელია.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ქალი გახეუდა, გაინაბა. დორაშვილი კი მკაცრად მიაბრუნებს თავის გზით:

— სიდონი, შენი ბიძინა სალახანა ყოფილა!

— ვაი მე! —აბორგდა სიდონია.

— ყველგან თავი მოგჭრა!.. შეგარცხვინა!.. სახელი გაგიტეხა!

— გამიტეხა!.. შემარცხვინა!

— სალახანა! ჰარამზადა!!—უტკეპნის დორაშვილი.

— სალახანა!.. ჰარამზადა!—ბრაზით იმეორებს სიდონიაც.

— საზიზღარი! საძაგელი!!

— უუჰ, საზიზღარო!.. საძაგელო!!

— ჯუანიც ბიძინამ მოჰკლა!

— ბიძინამ მოჰკლა, ბიძინამ!

— ამიტომ თვითონ ბიძინაც სიკვდილის ღირსია!—გამოაქვს განაჩენი დორაშვილს.

— ღირსია, ღირსი!—აღარ ინდობს სიდონიაც.

— მაშ მოკვდეს!!—ჩასძახის ექიმი.

— მოკვდეს! მოკვდეს!!—ამოსძახის სიდონია.

— აჰა, მოვკალი!! გაიხარე!!

— უუჰ!—სიხარულით ჰგმინავს შურ-გებული ქალი.—აგრე! აგრე!.. დაჰკა! დაჰკარი!!

— ბიძინა მოკვდა, სიდონი! შენი და ჯუანშერის შური ვიძიე. სიდონი, ჯუანიც მოკვდა!

— მოკვდა...—ძლივს ესმის ექიმს.

— კარგად დაიხსომე: ჯუანშერიც მოკვდა!!

— მოკვდა... მოკვდა.—თითქმის სტირის სიდონია.

— ჯუანი ოთხი თვის წინად მოკვდა, სიდონი! ბიძინას კი დღეს მარხავენ, დღეს! დღეს!!

— დღეს მარხავენ... საწყალი.—უკვე იბრალებს შურ-გებული.

— გაზეთშიც განცხადებულია. მსხვილი, შავი ასოებით სწერია. წაიკითხე! წაიკითხე!! წაიკითხე!!!—ლურსმანივით ჩაურჭო, ხელები მოაშორა ⁄ დაჯდა.

სიდონიამ თვალები გაახილა და წამოიჭრა—თითქო სულში გრიგალი აუვარდაო: შეძრწუნებული, აფორიაქებული, იმ გრიგალისგან ბუმბულივით მოტაცებული. დიდრონი თვალები დაუფრთხა და თვითონაც დაფრთხა. ირგვლივ იხედება, გიჟურ თვალებს აცეცებს—რალაცას ეძებს, ჰსურს რალაცა იპოვნოს.

და იპოვნა: გაშლილი გაზეთი უკვე წინ უდევს, და იმ გაზეთის კუთხეში, სამგლოვიარო ჩარჩოში სწერია—მსხვილი, შავი ასოებით სწერია:... ტრაღიკულად დაიღუპა ბიძინა მარგიშვილი.

თვალები მოიფშვნიტა, თითქო გამოფხიზლდა და ისევ გაზეთს დააშტერდა.

— მოკვდა, სიდონი.— ჩუმი ხმით შველის ექიმი.

— მოკვდა.—თითქო ჰბოდავს სიდონია.

— ბიძინა მოკვდა, სიდონი!—აჩვილებული ხმით იმეორებს დორაშვილი.

— ბიძინა მოკვდა... მოკვდა.—ამოძახილივით ამბობს სიდონიაც და შუბლს ისრესავს.

დორაშვილმა წელზე ხელი მოჰხვია, მიიხუტა და დამდნარი ხმით ჩასჩურჩულა ყურში:

— ჯუანშერიც მოკვდა, სიდონი!

— ჯუანშერიც... ჯუანიც... ჩემი ბიჭიც.—უკვე თრთის დედა-კაცი.

— ჰო, სიდონი, ჰო! შენი ბიჭიკოც მოკვდა! მოკვდა! მოკვდა! რატომ არ სტირი, უბედურო დედავ?! შენი შვილი მოკვდა მეთქი!!

— ჩემი შვილი მოკვდა! ძია ფრიდონ, მიშველე!—და ორივე ხელით ეჭიმს ებლაუჭება გონმოსული დედა, თან ჰკანკალებს და ჰკივის:—ჯუანი მოკვდა... მოკვდა!.. მოკვდა!!

და თითქო მიწის გულიდან შადრევანივით ამოხეთქა ოთხი თვის დაგუბებულმა ნაღველმა და ვაებამ, გმინვამ და ცრემლმა, ურვამ და ხარხარმა.

დიდხანს ჰბორგავს და ჰკივის სიდონია:

— დედი—ებლაუჭება, შემოვარდნილ მართასაც,—დედი, მიშველე... ჯუანი მოკვდა!.. ძია ფრიდონ, ჩემი შვილი მოკვდა!.. ბიჭიკო მომიკვდა!!

ერთი საათის ბორგვითა და ურვით ნაცემ-ნაბეგვი დედა ეხლა მიბნედილი ჰგდია და ნაწყენი ბავშვის სლუკუნით კვალდაკვალ მისდევს გამარჯვებულ ექიმს:

— მართა... მართალია...ალია.

— ეხლა დიდი ვალი გაწევს, ჩემო სიდო.

— დიდი ვა...ვალი.

— კატო უნდა აღზარდო.

— ჩემი კა...კატო.

— ედიშერიც ცოდოა.

— მართა... მართალია. ცო...ცოდოა.

— ერთი ვაჟი მაინც კიდევ უნდა გააჩინო. არ გინდა, სიდო?

— მი...მინდა, ერთი ვა...ვაჟი მინდა.

— დროა ეს კურდღელი გადავაგდოთ, სიდონი.

— ჩემი ბა...ბაჭია...ჭია.

— არა, სიდონი, ეს კურდღელი შენი არ არის.

— იმის ნა...ნაჩუქარია... ქარია წა...წაიღეთ...აიღეთ.

— გარდა ამისა, ძალიან დაგტანჯა. ამიტომ ამ საძაგელს ამ სახლში ბინა აღარ ექნება.

კისერი მოუგრიხა, თავი მოსწყვიტა, გაჰგლიჯა, კარი გამოაღო და მართას გადაუგდო, თანაც მიაყოლა:

— დედი მართა, ეხლავე დასწვი.

ათიოდე წამის შემდეგ სიდონია ხელახლად ასლუკუნდა:

— კა...კატო! ედ...ედიშერ!

კაკატო და ედიშერი კარებში სდგანან. პაწაწა ქალი თითით ტუჩებს იცო

დვილებს, თან განიერი თვალებით დედას ეკითხება: „ისევ გეჯავრები, თუ...თუ მოვიდეო?“

მერე, დედის გამოშვერილი მკლავები რომ დაინახა [illegible] ხალი სახელი—„კაკატო“ რომ გაიგონა, გაიქცა და ხელმეორედ [illegible] ჩაეხუტა.

ნაპოვნი კი თითოს თითო მკლავით ეხვევა—ქმარსაც და გოგონასაც—და რიგ-რიგად ჰკოცნის ტ ფორხილობს:

— ჩე...ჩემი კა...კატო! ჩემო ედ...ედიშერ! ჩემი კა...კატუში...ტუში!—და ექიმის გამოწვდილ ხელს დასწვდა:—ძია ფრი...ფრიდონ, მშვიდობით...ობით!

შემდეგ როცა სული მოითქვა, წამოდგა და სარკეს მიუჯდა.

ეხლა სალომეს ნაცვლად იმ სარკიდან ისევ წინანდელი სიდონია იხედება—ოღონდ უფრო თეთრი, მოთელილი, ნამტირალი ტ სულდამჯდარი. თვალებიც აღარ უფრთხიან, აღარც უელავენ. მიბნედილან პატრონივით და დინჯად იბლიტებიან.

აღარც ხელი უხტის მკერდისკენ. აღარც თეთრი კურდღელი აქვს მიკრული. იმის ნაცვლად პატარა კატო უზის მუხლებზე და მისი თავი გულზე აქვს მიხუტული. ამ შვილის პაწაწა თათიც ლოყაზე უცაცუნებს, ჯუანშერის ხელივით, და ამ თითებსაც ჯუანის სითბო აქვთ ჩაღვრილი.

სარკმელიდან თეთრ ოთახში თეთრი ზამთარი იხედება. სიდონიასაც თეთრი კაბა აცვია. წელანვე გაუკვირდა. ეხლავე ადგება და შავ კაბას გადაიცვამს. ჯერ კი შვილის ალერსით ძღება:

— ჩე...ჩემო კა...კატო! ჩე...ჩემო კა...კატუში! ჩემო კი...კიტი...იტი! დღეიდან ჩემთან და...დარჩები სასა...მუდამოდ...ამოდ...

თეოდორე გლადკოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცემენტი

რომანი

I

გაფერანეგული ქარხანა

1

ბუდე-ბუნაგთან

ისე, როგორც სამი წლის წინად, ამ დილა ადრიანადაც ყაზარმათა სახურავებსა და ქარხნის ცად შეკრულ კამარებს უკან ზღვა ადუღებულ რძესავით იკვიმებოდა და დაფშხვნილ მზის ნაკვერცხლებად კიანთობდა. ზღვასა და მთებს შორის მზის დაყრილ ჩინჩხლებისაგან ჰაერი ღვინისფრად იყო გარინდებული. (მარტის თვეს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ნაყარ შტოებად ამოხეთქვა). ქარხნის ცად აზიდული მაღალი ბუხრები, რკინა-ტინობის უზარმაზარი შენობები, მყუდრო ახალშენის პატარა სახლები და სპილენძის ფრად ავარვარებული მთის ფერდები დუღდენ ღვარივით მოხეთქილ მზის ქვეშ და ყინულის ფორეჯებივით იმჭვირვალებოდენ.

ამ სამ წელიწადში (თითქოს ეს გუშინ იყო): არაფერი არ გამოცვლილა. ეს ნისლიანი, დასიებული, მეწყერებით კალთებ დაღარული და ქვის სატეხებით ფერდებ გამოგლეჯილი ღორღიანი მთები—ისეთივე იყო, როგორც მაშინ, ბავშობისას. ჯერ კიდევ შორიდან მოსჩანდა მის კალთებზე ძველი მიტოვებული სამუშაო ადგილები, ბრემსბერგები, ღორღში, ბუჩქებში და ვიწრო ხეობებში გაბოგირებული ხიდები და ლიფტები. ძირს კი: ქარხანა, ისევ ისეთი: ქალაქი გუმბათებისა, კოშკებისა და წოწოლა სახურავებისა, ისევ ისეთი მთის დაფერდილ კალთაზე შეფენილი მყუდრო ახალშენი: ყოველი სახლის პატარა აივნის წინ ორ კვადრატულ საკენიანი პატარა ეზოები და ეზოებში ჩამოძონძილი ეკლის ხეები.

ტინობის დაღრეჩილ კედელს როგორც გასცდები, ქალაქის გარე-უბანს ქარხნის მიწა-წყლისაგან რომ ჰყოფს (უწინ ალაყაფი იყო, ახლა ღრეჩოა), მეორე ყაზარმა დგას. ამ ყაზარმაში გლების ბინაა.

წინ ცოლი დაშა შემოეგებება ქალიშვილით, სახელი: ნიურკა. გრძნობამორეული მის მკერდს მიეყრდნობა და გაინაბება. დაშა სრულიად არ

მოელის მას და გლებმა არაფერი იცის თუ რა უბედურება გადმოტანა მისმა ცოლმა ამ სამი წლის განმავლობაში. რესპუბლიკაში არ არის არც ერთი ბილიკი, რომ ადამიანის სისხლით არ იყოს მორწყული: ვინ იცის, იქნებ, მხოლოდ გზად გაიარა აქ სიკვდილმა, იქნებ, არც შეუხედავს მუშების ქოხებში, ან-და, იქნებ, ცეცხლითა და ქარიშხალით გაანიავა მისი ბუდე-ბუნაგიც?

გლები მიდიოდა შედედებულ ღვინის ფერ ბრწყინვალებით მოსილი მთის კალთაზე და ირგვლივ გაძარცულ ბუჩქნარსა და შინდის ჩირგვებს ყვითელი კვირტი გაეშვათ. ეჩვენებოდა: რომ ჰაერს, ახლა რომ ჰგალობს და ცახცახებს მის ირგვლივ, სადაფის ფერთა აუსხამს.

კედლის უკან, გატრამულ პატარა მინდორში დაქვარქნილი ბავშები თამაშობდენ, გველის თვალებიანი მუცელ გაბიზინებული თხები დადიოდენ და ნეკერს ახრამუნებდენ.

მამლები წითელ ბიბილოიან თავს მაღლა სწევდენ და გაკვირვებულნი კითხულობდენ:

— ეს ვინ უნდა იყოს?

გლებს გულში სისხლი მოაწვა და ესმოდა რომ ეს ქვის სატეხებით დალარული მთები, ეს ქარხნის ბუხრები და მუშათა სამოსახლოები გუგუნობენ იქ. სიღრმეში, მიწის ქვეშიდან მოხეთქილ უცნაურ გრუხუნით... ქარხანა. დიზელები. ბრემსბერგები. საამქროები. ღუმელთა მბრუნავი ცილინდრები.

მთიდან მოსჩანს, როგორ ედინება ძირს ზღვის ნაპირისაკენ, პირსებთან ტრიუმფალურ კამარებად, უზარმაზარ ასო H-ის მსგავსად ბაგირის გზათა ბეტონის დედაბოძები. ამ დედაბოძებზე ლარივით არის გაჭიმული ფოლადის ბაგირი ცაში გარინდებული პატარა რონოდებით და მათ ქვეშ ჟანგისფერი მდინარესავით, ჯუკანეთივით არის გაკიდებული რკინის დამცველი ბადე. და იქ, კაბოტაჟის ბოლოში, კოშკის თავზე,—ელექტროს ამწეს ფრთები გასაფრენად გაუშლია.

კეთილი. ისევ—მანქანები და შრომა. შრომა ახალი—თავისუფალი, ბრძოლით მოპოვებული—სისხლითა და ცეცხლით. კეთილი.

ცელქ გოგოებივით იცინიან და პეტელობენ ბავშებთან ერთად თხები. ირგვლივ დგას ღორის საწოლი ლაფის გუბეები და მოდის იქიდან ნიშადურივით მძაფრი სუნი. იქვე, გვერდით, აყრილი შამბი და ქათმებისაგან დასვრილი სკები.

რა უნდა აქ—თხებს, ღორებს, ქათმებს? უწინ ეს სასტიკად იყო აკრძალული.

ქვა და ბეტონი. ნახშირი და დულაბი. ნაცარი და ჭვარტლი. ელექტროგადამცემთა აეურის სახურავები. ბუხრები: მთებზე მაღალი. უამრავი თვალის ამრეკი სიმები მაეთულებისა. და აქვე—გლეხის ბოსლები. ეშმაკის ქერძები! სოფელი მიუგდიათ აქ და სოფელიც გაშლილა, გაუყრია ფესვები და არის ყველგან ობი და ხავსი.

გზაზე მან დაინახა როგორ მოდიოდა მყუდრო ახალშენიდან ტუსტუსით სამი დედაკაცი, იღლიაში რაღაც ხარა-ხურა ამოეჩარათ. წინ—როკაპივით სახე-

დაპრანჭული დედაბერი, ორი უკან მოჰყვებოდა—ახალგაზდები, ბოსიაკური მეხედულების: ერთი—გათქვირული, ძუძეებ აფუებული და პირი მუდამ უცინის, თითქოს ძლივს იკავებდეს სიცილს, ტუჩები მოკლე და კბილები გამოჩხეული, მეორე—წითელი თვალები, ქუთუთოებიც წითელი, წყალმანკიერი, სანეზე თავსაფარით აქვს ჩამოფარებული,—სტირის, თუ ავადმყოფია?

უეცრად იცნო დედაბერი: ის ზეინკალ ლომაკის ცოლია; უკან რომ მიჰყვება ღიმილით აყვავებული,—ის კი ზეინკალ გრომადას ცოლია, ის კი, საშუალო,—ვერ იცნო, ვინ უნდა იყოს, არასოდეს არ უნახავს.

როცა ქალებს გაუსწორდა, გზას აუქცია, შამბიანში გადადგა და სამხედრო სალამი მისცა:

— გამარჯობა თქვენი, ამხანაგო ქალებო!

ქალებმა მოიხედეს, აჰხედეს ისე, თითქოს ის ვიღაც მავნე მაწანწალა იყოს და მორიდებით, კუშტად გვერდი ჩაუარეს. მხოლოდ უკანასკნელი, პირმოცინარი ქალი აკისკისდა კაკანით შეშინებულ ქათამივით.

— ჩაიარე, ჩაირე, ვილაცა ხარ! ყველა ოხერი და მაწანწალა აქ იტეხთ კისერს. ყველას რომ სალამი ვაძლიოთ, სად წავა...

— ეი, თქვენ, განა ვერ მიცანით, ვინა, ვარ?

ლომაკის ბებერმა ცოლმა წკვარამად აჰხედა მას (სწორედ ასე იცქირებიან ბებერი როკაპები) და ბოხი ხმით გლებს კი არ მიმართა, არამედ თავის თავს:

— ეს ხომ გლებია. ციდან თუ ჩაწოვარდა, კარგს არას უნდა გვიქადდეს...

სთქვა და წავიდა დაღვრემილი თავისი გზით.

გრომადას ცოლმა ჩაიცინა და არაფერი უთქვამს. მხოლოდ შორიდან, იქ, სადაც კედელი იყო, მოიხედა, შეჩერდა და კაჭკაჭივით გადმოსძახა:

— უჩქარე, ვაჟო, ფეხს აუჩქარე, ცოლთან წადი. თუ დაგიკარგავს,—მონახე, თუ მონახავ,—ისევ შეირთე...

გლებმა გაჰხედა ქალებს და ვერ იცნო ისინი, ისინი სულ სხვანი იყვნენ: უკარებელნი და უხიაგნი. ეტყობა, ძლიერ დაუწეწია ცხოვრებას ქარხნის მუშათა ცოლები!

იგივე ლობე ორ კვადრატულ საჟენიან ეზოსთან, იგივე ჩეჩმა ქუჩაში. დროთა სრბოლას და ზამთრის ჩრდილო ქარს გაუცვეთია ლობის გარბილები. ჭიშკარს ხელი შეაველო—ერთიანად დაირყა.

აი ახლა გამოვარდება გარეთ დაშა და ოდნავ შეჰკივლებს. როგორ შეხვდება ახლა ის გლებს სამი წლის უნახავსა და სიკვდილსა და ცეცხლში გამოვლილს! იქნებ მას დაღუპული ჰგონია იგი, ან-და ფიქრობს რომ დააგიწყდა, ვინ იცის, იქნებ ყოველდღე მოელის იგი მას, იმ შავბნელ ღამის შემდეგ, რა ღამესაც დასტოვა იგი ნიურკასთან ერთად ამ ქოხში და გადაიკარგა?

მაზარა ლობის გადაღმა ბეტონზე დააგდო, მხარზე ჩანთის თასმები შეიხსნა და ისიც მაზარაზე დააგდო; და ჩანთასთან ერთად დაეცა მისი ქუდიც წითელფრთიანი ვარსკვლავით. შეჩერდა, მხრები რამდენიმეჯერ აიჩეჩა, ხელები მიიქნ-მოიქნია (მხრებში უნდოდა გამართულიყო და ოდნავ მაინც დამშვიდებულიყო), და ყოველ ხელის მოქნევაზე ხალათის სახელოთი სახეზე ოფლს იწმენდდა,

მაგრამ ოფლი მაინც არ აშრებოდა,—ღვარივით მოდიოდა. აიხედა აივანს და დააკვირდა იქ, სადაც კარი იყო.

დასცხა, ხალათი გაიხადა და ისევ მოიქნია ხელი,—მაგრამ ამ დროს უეცრად კარი აჭრიალდა და—

დაშკა არის ეს, თუ სხვა ვინმე?

წითელ თავსაფრიანი დედაკაცი, ვაჟური საყელოებგადაკეცილი ხალათით, იდგა კარის ზღურბლზე, უცქეროდა მას წარბებ მოხუშული და წაწამთა შორის სთრთოდა გაოცება და ოდნავი შეკივლება. და როცა გლების ღიმილი იცნო, შეხუშული წარბები გაიშალა უეცრად, შეიფრთხიალა და თვალები ცრემლით აივსო.

დაშკა არის ეს, თუ სხვა ვინმე?

სახე (ნიკაპზე ხალი, პაჭუა ცხვირი), ყელის მოღერება, როცა ის რამეს აკვირდება,—ეს ის არის: დაშკა. და ყველაფერი ის, დანარჩენი (რასაც ვერ მოთვლი ერთ საათში)—უცხოა მისთვის, აია ქალური, რაც არასდროს არ უნახავს მასში.

— დაშა, ჩემო ცოლო... ეეხ, შენ ჩემო მტრედო!.. ა!..

ბეტონზე ქუსლი დაარტყა და გაშლილი მკლავებით მისკენ გაექანა, რომ მკერდში ჩაეკრა თავისი ცოლი, გულმა ცემა დაუწყო, ყელში მოაწვა და სახე უცნაურად დაემანჭა.

დაშა ისევ ისე იდგა კარებში, კიბის საფეხურთან გარინდებული და მისი გული გლებს შეჰფრფინვიდა, მაგრამ მუხლებმა უსუსტეს და ალეწილმა მხოლოდ ეს-ღა მოახერხა:

— ეს—შენ?.. ახ, გლე-ებ!..

და მის თვალთა შავ სიღრმეებში ცეცხლის წვეთივით ენთებოდა რაღაც ჯერ შეუმცნობელი შიში.

აი გლებმა მოჰხვია მკლავები ვაჟკაცურად, ქმარულად, და მკერდში ისე მაგრა მიიკრა, რომ ქალის ძვლებმა ტკაცუნი გაიღეს ხერხემალში, გაუპარსავ სახით მის ტუჩებს დაეკონა—და დაშა დანებდა ქმრის ნებას, წავიდა ბუერანში.

— აი... ხომ ცოცხალი ხარ, ხომ კარგად ხარ, ჩემო სიცოცხლევ?.. ა,— მელოდი, თუ დროს ატარებდი?.. ახ, ჩემო ყველავ, ჩემო!..

დაშა მიეკრა ქმარს მკერდში, ვერ სცილდებოდა და ამღერებული ხმით ტიტინებდა ბავშვივით მიზეზიანი:

— რას ამბობ გლე-ბ?.. მე არც ვიცოდი... ახ, გლე-ებ!..

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ერთი წუთით მოსკდა მისი ქალური მკერდიდან და სწორედ ამ ერთ წუთში იგრძნო დაშამ გლების წინანდელი ძალა და ეშხი თავის თავზე.

მაშინ (სამი წლის წინად), როცა ის ოჯახის ქალი იყო მხოლოდ და სასძლოსავით ჰყვაოდა ბალასინებთან ერთად, ოთახში დასტანდაზზე რომ იდგა, მაშინ ეს ქმრის ძალა და ნება იყო ტკბილი და სასურველი, გულში მყუდროება იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიმშვიდე, რადგან ის ჰგრძნობდა მაშინ, რომ მას არ გააჩნია ნებისყოფა და ის მთლად ქმრის გამრჯელ და საიმედო მკლავზე იყო დანდობილი და თავმიცემული.

გლებმა ჯერ კიდევ კარგად ვერ მოასწრო მისი მოთენთვა, მას ახლა უნდოდა ხელში აეტაცა იგი და ასე ბავშვივით აყვანილი წაეღო ოთახში ისე, როგორც უწინ შვრებოდა ხოლმე ქორწინების პირველ დღეებში, რომ ამ დროს დაშამ მისი ხელები მტკიცედ, მაგრამ ალერსიან სიფრთხილით მხრებიდან ჩამოიშორა და ქმარს შუბლ ქვემოდან გაოცებულ ღიმილით შეხედა.

— რა დაგემართა, ამხანაგო გლებ? ნუ შფოთავ—დამშვიდდი...

და კიბეზე ერთი საფეხურით ძირს ჩამოვიდა.

გაიღიმა.

— შენ ნამეტანი აბორგდი, მეომარო, ამ მშვიდობიანობის დროს... გასაღები ბოქლომში არის. წყალი პრიმუსზე შეგიძლია აიდუღო—ჩაი და შაქარი არ არის... არც პური არის. ქარხანაში შეიარე და შენ ხვედრ ულუფაზე ჩაეწერე.

ერთი საფეხური კიდევ ჩაიარა. თან გლებს უცქეროდა, იღიმებოდა ოდნავ და მის გაცრეცილ სახეზე იყო რაღაც უცხო და მისთვის უცნობი მზრუნველობა.

და ყოველივე ეს—შეურაცხყოფა კი არა—სილა იყო. მოვიდა ადამიანთან და ადამიანის მაგიერ კედელს შეასკდა თავით—სცხვენოდა და გულში იყო რაღაც აუტანელი ტკივილი. ხელები ისევ გაშლილი ჰქონდა და სახეზე ისევ სთრთოდა ღიმილი.

— ეს რაღა ჯანდაბაა!.. როდის მერე გახდა ის, ნეტავ მისი ამხანაგი?..

დაშას კიბე უკვე ჩაეარა და ახლა ჭიშკართან იდგა. ქმარს შუბლ ქვემოდან უცქეროდა და ულიმოდა.

დაშკა არის ეს, თუ სხვა ვინმე?

— მე ქალაქში ვსადილობ, სახალხო მკვებავთა სასადილოში, პურს კი ულუფად ვიღებ პარტკომიდან. წადი, გლებ, ქარხანაში შეიარე და თავი რეგისტრაციაში გაატარებინე პურის ბარათისათვის. მე ორი დღე დამაგვიანდება—სოფელში ვარ მივლინებული... მანამდე კი მოისვენე, დაღლილი ხარ...

— მოიცა... არაფერი მესმის... როდის მერე გახდი შენ ჩემი ამხანაგი?.. მითხარ მაინც, რაშია საქმე?..

— მე ქალთა განყოფილებაში ვარ... განა არ გესმის?..

— ნიურკა?.. სად არის ჩემი შვილი?

— საბავშო სახლშია. წადი, მოისვენე... არ მცალია, გლებ. მერე ვ�პარაკოთ... მოისვენე...

და წავიდა აჩქარებულ, განიერ ნაბიჯებით, უკან მოუხედავად და წითელი თავსაფარი ჯიუტად აღიზიანებდა მის თვალებს, ეძახდა მას თავისკენ და იცინოდა.

და მერე, როცა დაშა ლრეჩოსთან მივიდა, მოიხედა და ქმარს ხელი დაუქნია.

გლები იდგა კიბეზე და გაშტერებული გასცქეროდა შიშავალ დაშას: ვერ მიმხვდარიყო რა მოხდა, ან რას ნიშნავდა ყოველივე ეს.

მოვიდა სახლში და ძლივს ეღირსა თავისი ცოლის დაშას ნახვას, სამი წელიწადია არ უნახავს—ეს სამი წელი მან ომში და ცეცხლში გაატარა. ასევე იყო დაშაც. რა გზას დაადგა დაშა—ეს არ იცოდა გლებმა. და აი მათი გზები ისევ გადაჯვარედინდენ უცნაურად. შერთვამდე მათი გზები მიდიოდენ ერთ-ურთის გასწვრივ, მერე ისინი აირივნენ ერთიმეორეში და შედუღდენ ერთ ბილიკად. მერე ათას შემთხვევათა გამო ეს გზები ისევ გასკდა ორად და მიდიოდენ ისინი ცალ-ცალკე უვალ გზებით და ბილიკებით, არაფერი იცოდენ ერთიმეორის. იქნებ, ის—დაშა, წავიდა წინ, ან-და, იქნებ, ისინი ახლა უცხონი არიან ერთიმეორისათვის და სიყვარული არ შეიძლება?

სამი წელიწადი. ვინ იცის, რა არ გადაიტანა ქალმა ამ სამ წელიწადში, რა არ განიცადა? ეს სამი წელიწადი, რომელიც გლებს ათას ამბავთა და განსაცდელთა ქარიშხალს მოაგონებდა,—როგორი იყო ეს წლები დაშასთვის?

აი მოვიდა ის თავის ბუდე-ბუნაგში, ერთ უთვისტომო შავბნელ ღამით რომ დასტოვა. აი ისევ ის ქარხანა, სადაც ის ლითონის მტვერით, ჭვარტლითა და მანქანის ზეთით იყო შეგირდობიდანვე გაჟღენთილი. ბუნაგი—ცარიელი და ცოლი, რომელსაც ვერ იშორებდა განშორების ღამეს, შეხვდა მას არა როგორც ცოლი... ჩაუარა გვერდით ცივად, უთვისტომო ლანდივით, სიზმარში რომ იცის გამოცხადება, ისე.

გლები კიბეზე ჩამოჯდა და ერთბაშად დაღლილობა იგრძნო. ამ დაღლილობის მიზეზი ის კი არ იყო, რომ მან ოთხი ვერსი გამოიარა რკინიგზის სადგურიდან, არა, ის მოჰქანცა ამ სამმა წელიწადმა და იმ გაუგებარმა შეხვედრამ ცოლთან, ასე მოულოდნელად რომ დაჰკოდა მისი გული.

რათ არის ასეთი მძიმე და უჩვეულო სიწყნარე ირგვლივ? რათ ფართქალობს ასე ეს ჰაერი და ისმის ყველგან მთელ ამ მყუდრო ახალშენში ქათმების შმაშური?

ის შენობებიც, შენობები კი არა, გამლხვალი ყინულის ნატეხებია და ეს მაღალი ბუხრებიც მოსჩანან ცისფრად. მინის ცილინდრებივით ბუხრის თავებზე არ არის ჭვარტლი: ჩამოხვეტეს ის მთის ქარებმა და ერთ მათგანზე მეხთამრიდის ისარიც კი არის ძირიანად მოგლეჯილი—რისგან?—ქარისაგან? ადამიანის ხელით?...

აქ არასოდეს არ მდგარა ნეხვის სუნი და ახლა? აგერ ამწვანებულ მთის კალთებზე ბოსლებიც კი დგას.

ოდესღაც იმ კორპუსში, მთის ძირას რომ დგას,—ზეინკალთა საამქრო იყო—და სამსაქენიანი ფანჯრები ამ დროს თვალის მომჭრელად ქათქათობდენ მინათებულ მზის სხივებით, ახლა კი ჩალეწილ მინებში მოსჩანს შავეთი.

ქალაქიც, ნავთსადგურს ზემოდ რომ არის გაშლილი მთის ტაფობზე,—ისიც სხვაა: მოხუცებულა, ობი გადაჰკვრია, დამტვერილა, მთის კალთას გასწორებია,—ქალაქი კი არა, მიტოვებული ქვის სატეხია...

...ამხანაგი გლებ... დაშას ღიად დატოვებული კარი და ცარიელი ოთახი.

ჩამქრალი, მივიწყებული ქარხანა... ის ქარხნის მუშა იყო—მერე პოლკის სამხედრო კომისარი, წითელი დროშის გმირი...

ღობეს მამალი მიუახლოვდა, თავი აიმაღლა და ცალი თვალით გვერდულად, ბოროტად და უკარებლად გადმოხედა.

— ეს ვინ უნდა იყოს?..

ეს თხებიც, ცნობის მოყვარე გველურ თვალებს რომ ახამხამებენ და ქალური დრუნჩის ცმაცურით რომ ლაპარაკობენ რაღაც სისულელეს უხმოდ!

— ჰაკი, შე მამალი მგელის შესაჭმელო!.. დაგხოცავთ, თქვე ღდინძაღლებო, და ის იქნება!..

2

წ ყ ვ დ ი ა ნ დ ი

იქიდან, ქუჩის გადაღმა, ყაზარმის ღია სარკმელიდან გლებს ჩხუბის ხმა მოესმა, ეს—მეკასრე სავჩუკი გუგუნებდა ბოხი ხმით და ეს კი—მოტია იყო, მისი ცოლი, გულგახეთქილ ქათამივით რომ კაკანებდა.

გლებმა ბარგი, როგორც მიაგდო, ისე დასტოვა და სავჩუკის ბინისაკენ გაემართა.

ოთახში—მეკვარტლიანი კედლები. იატაკზე თაღდაღმა ეყარა გაჩოგნილი სკამები და ტანისამოსი, თუნუქის წაქცეული ჩაიდანი ეგდო იქვე. და იატაკზე ყველგან ეყარა პურის ფქვილი.

სინათლიდან შემოსულ გლებს თვალები აერია, ვერაფერს ხედავდა, მერე გაარჩია—როგორ გადადიოდენ ერთი მეორეში დათეთქვილი, მოღრენცილი და ათრთოლებული სხეულები.

დააკვირდა—ისინი არიან: სავჩუკები, ქმარს პერანგი მთლად შემოჰფლეთია და წელი ბორბალივით აქვს მოღუნული კისრამდე, ნეკნები ფერდზე სალტეებივით თრთოდენ. მოტიას კაბა მუცლამდე აჩეჩვია და დაჟღლემილი ძუძუები იბურცებოდენ საკუთარ ხელებსა და ქმრის თითებს შორის.

გლებმა სავჩუკი იღლიაში მოჯმუჯნა და გვერდზე დააწვა. ზურგთან, ბეჭებში ძვლებმა ტკაცუნი გაიღეს.

— ეი, ყაძახო! არაყმა ხომ არ გაგაშმაგა, შე ღორო? მოიცა, ცოტა სული მოიბრუნე. აბა, ფეხზე დადექი!..

სავჩუკს კუნთები აუკანკალდა, ჰაერს, ხელებს ავლებდა, ჰფხოჭნიდა ცარიელ სივრცეს და თითები სახსრებში ტკაცუნობდენ.

მთლად დაავიწყდა მოტიას, რომ ის თეძოებამდე შიშველია და ცალი ხელით იატაკზე დაყრდნობილი იდგა პირდაღებული, გლებს უცქეროდა და მეორე ხელით ვიღაცას იგერიებდა, უნდოდა ეყვირა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— გაჩერდი, შე წყეულო, შენა! აბა, სავჩუკ, ფეხებზე დადექი!.. გაჩერდი ადამიანურად!..

მერე გლები ისევ დააწვა სავჩუკს და ძვლებმა ისევ დაიწყეს ჭახჭახი.

— თავში დაგარტყამ, იცოდე, ღდინძაღლო!.. ხომ არ გადირიე, შე ოხე-

რო, შენა!.. ადექი, მოტია!.. აბა, ერთი წელში გაიმართე!.. ნუ გრცხვენია, ქალო,—როგორც გინდა ისე იყავი!

და გლებმა შინაური კაცივით დაიწყო სიცილი.

მოტიამ მორცხვ ქალიშვილივით შეჰკივლა, მერე კაბის კალთა ჩამოიფარა, ფეხები დამალა და ზღარბივით მოიკუმშა—სულ მთლად დაპატარავდა და იყო ასე მუშტის ოდენად მოკუმშული, შეშინებული და ფერმიხდილი. კუთხეში მიიჭუჭკა და ტირილი დაიწყო.

საჩუკმა გლებს სისხლიან თვალებით გადახედა. ვერ იცნო. პირი შეიბრუნა და გაწამებულმა სთქვა ყრუდ, სლოკინით:

— რომელმა ეშმაკმა მოგათრია შენ, ვილაცა ხარ!.. აქედან გამეცალე, სანამ გვერდებში არ მოუყოლებიათ შენთვინაც... გასწი დაიკარგე!..

გლებმა ისევ შინაურ კაცივით გაიცინა.

— საჩუკ, მეგობარო!.. სტუმრად ვარ შენთან და მომიღე, ამხანაგო!.. აბა, მოიგონე, რამდენი ოფლი დაგვიღვრია ჩვენ ერთად ამ ქარხანაში!.. რომელმა ბზიკმა გიკბინა, მითხარ, მეკასრევ, რომ არ ისვენებ?

საჩუკმა კიდევ აჰხედა გლებს კურატი მოზვერივით, ფეხი იატაკს დაარტყა და ხელი აიქნია და ძონძები მის ირგვლივ ისე აფართხუნდენ, როგორც საფრთხობელაზე,—პერანგი კი არა,—ბრასტები ეცვა და კანქვეშ კუნთები დაზიდულ ბაწრის ნასკვებივით ცახცახებდენ.

— ახ, შე ულმერთოვ, შენა!.. გლებ, ჩემო ძამიავ, ჩუმალოვ, შე ულმერთოვ, შენა! რომელმა ეშმაკმა მოგიყვანა აქ საიქიოდან?.. ჰაიტ, შე მამაძაღლო!.. გლებ!.. მოდი, გლებ, მოდი და ერთი ამ გათახსირებულ სახეში შემომხედე...

და საჩუკი გლებს წებიერი, ლიპი მკლავებით მოეხვია.

— მოტკა, ადექი! გონს მოდი: ასეთ დროს მე მუდამ სუსტი და მშვიდობიანი ვარ. სხვა დროსთვის გადავდოთ. მინდა დავჯდე და ველაპარაკო გულდაგულ ამ ლდინძაღლ გლებს... ადე, მოტია!.. აკოცე ჩვენ მეგობარსა და ამხანაგ გლებს, დანარჩენი სხვა დროისთვის გადავდოთ.

და მისი თმები, წვერები: საკასრე სახელოსნოს ბურბუშელა,—დაძენძილი და აბურძგნილი.

მოტია ზღარბივით მოკუმშულიყო და ტიროდა. კაბის კალთას ძირს ეწეოდა და შიშველ წვივებს იფარავდა.

გლებმა ქალს მეგობრულად და მხიარულად გაუცინა.

— ნუ გეშინია, მოტია, საჩუკი ვერ მოგერევა. გათავდა! ამიერიდან შენ თავისუფალი ქალი ხარ და კარგადაც იცი შენი უფლებების დაცვა. აბა ერთი დაარტყი მაგას და ისევ თავიდან დაიწყე.

ამ სიტყვებმა, თითქოს, გული გაჰკაწრეს მოტიას. იატაკზე მუხლებით გლებისაკენ ხელიკივით გაფორთხდა და თვალები აგიზგიზებულ სპირალებივით აენთო.

— წადი გამეცალე!.. წყეულებო, ლაპარაკი ბლომად იცით და... მწვალებლებო!

იატაკზე დაცემულ მზის სხივებამდე მიფორთხდა და უეცრად აენთო იგი

ცეცხლივით ცისფერ ზოლებად ცისარტყელის შხეფ დარტყმული. შიშველ მხრებზე და კოფტის ნახევებში თმები წყალივით ედინებოდენ.

— არ წავალ, მოტია: მე მინდა რომ თქვენი სტუმარი ვიყო! მაჭამე, რამე, ჩაი მომიტანე, შაქარი, გამიმასპინძლდი,—შენ ხომ მეტომრეობ...

გლები იცინოდა, ელიზღებოდა მოტიას, ხელებს უჭერდა და თავს ალერსიანად აცემინებდა.

მოტია, მოდი ერთი მოიგონე შენი ქალიშვილობა, ხომ გახსოვს, არავის არაფერს რომ არ შეარჩენდი!.. მინდოდა ცოლად შემერთე, მაგრამ საჩუქმა დამჩაგრა, მაგ წყეულმა, მაგან!..

საჩუქმა ბურდღუნი დაიწყო და კბილები გაახრჭიალა.

— დედაკაცი კი არა, დედაბაყაყია! თუ შენ ჩემი მეგობარი ხარ—ესროლე მაგას ერთი პულემენტრიდან და მომასვენე, მომარჩინე ამ უბედურებას... რატომ არის რომ ჩემი სიცოცხლე ასე გაძაღლდა, ცხოვრება მე არა მაქვს და მოსვენება. თავის ტომარაში შეინახა მაგან მთელი ცხოვრება?.. რათ არის რომ მე უნდა ვიმუშაო სახლში და ათასი ოჯახური საქმეები ვაკეთო, როცა მე არც სახლი მაქვს, არც ოჯახი და ჩემი მარჯვენა, თითქოს ტარტაროზის ყელის საფხანად იყოს გაჩენილი?.. არ ღირს ასეთი ცხოვრება, გლებ!.. ალარა ვარ კაცი, ამხანაგო, გავთავდი, მეტი არ შემიძლია... ქარხანა ალარ არის, მოკვდა და რა ვქნა მე ახლა, გლებ, რა ვქნა უქარხნოდ, უმუშევრად... რა გამაძლებინებს ასე...

მოტია წამოდგა და უეცრად მთლად შეიცვალა: იდგა სულ სხვა მოტია—გაწამებული, ნაცემ-ნაგვემი, ავადმყოფი.

— საჩუქ, აბა შემომხედე: მე ხომ არა მაქვს არც ჯანი და არც ღონე,—სულ მთლად გამომელია იგი... მე გავიტანჯე, საჩუქ... ერთი ჯამი პურის ფქვილის საშოვრად განა მე არ გავძარცვე ჩვენი ბუდე-ბუნაგი, ტანთ არ მაცვია და ფეხთ, გავხდი მაწანწალა და მათრეველა?.. მალე სულ დავწვავ ჩემ სირცხვილს შიშველ მზეზე... შვილები მყავდა, გვრიტები, და მე მაშინ ვიყავ მდიდარი და ბედნიერი დედა... სად არიან ახლა ისინი, გლებ?.. რატომ მოხდა ისე რომ მე დედა ალარა ვარ?.. მე მინდა ბუდე მქონდეს, მე მინდა ჩემი წიწილები მყავდეს ამ ბუდეში... ყველაფერი ერთიანად დამეღუპა... დაე ცრემლებმა მაინც ამომწვან ეს თვალები, გლებ...

ლაპარაკობდა მოტია და ტუჩები და ლოყები უცნაურად უკანკალებდა. ცრემლმორეულ ამღვრეულ თვალებით უცქეროდა იგი გლებს და თან კაბის კალთას ექაჩებოდა ძირს, შიშველ მუხლებს იფარავდა და კოფტას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ეწეოდა, რომ ტიტველი ძუძუები დაეფარა.

ის ალარ არის, ის მოტია, ერთხელ რომ იყო, ის—წამებულია ახლა და გამორეტებული. ძირს დაშვებულ ბაგის კუთხეებში და ტკივილებით დამწვარ თვალებში ენთო ციებიანივით ახალი, ჯერ შეუმცნობელი ძალა. გლებს კარგად ახსოვდა როგორ კაპასობდა იგი და კიჯინობდა ოდესლაც თავის მართვეში,—ზოგი ძუძუს სწოვდა, ზოგი კაბის კალთაში ეტანებოდა და თამაშობდენ ისინი ციყვებივით,—და მაშინ ის მოკუხკუხე და ალერსიან რუხს უფრო ჰგავდა, თავის წიწილებში

რომ დატრიალობს. მის თვალებში მაშინ იყო მშვიდი სიხარული, ბედნიერება და დედური თავგანწირვა.

საჩუქმა დაიღრინა, ხელში ხის გაჩოგნილი სკამი აიტაცა და ტოლთან დადგა. მერე ოფლად გაღვრილი დაჯდა და, რაც ძალა-ღონე ჰქონდა, მუშტი სუფრას დაარტყა.

— ხომ ხედავ, გლებ, სანამდე მიველით, ხომ ხედავ?.. ხალხო!.. ჩემო ძმაო და მეგობარო, გლებ!.. ვიღრჩვები, გლებ, ვიღრჩვები!.. ყველგან სიცარიელე და სამარე... ვკვდები და საცაა სული ამომძვრება მოვარდნილ ღონისაგან!.. ღონე მერჩის, გლებ, ღონე და სამუშაო არ არის!.. მუშაობა მინდა, გლებ, მუშაობა, ოორემ დავიღრჩობი კაციშვილი!.. და რათ არის, რომ მაინც მეშინია, მითხარ, გლებ, რათ არის, რომ ძეშინია?.. სიკვდილის კი არ მეშინია: სიკვდილი ჩემთვის არაფერია, ის არ არსებობს ჩემთვის. წყვდიადის, უკუნეთის, აი რისი მეშინია მე,—წყვდიადისა და უკუნეთის. სად წავიღო ჩემი ძალ-ღონე, როცა ირგვლივ უკუნეთია და სასაფლაო?.. აი—შეხედე... ქარხანა კი არა, სანაგვე ყუთია, თხების ფარეხი... არ არის იგი... და თუ ის არ იქნება, რიღასი მაენისი ვარ მაშინ მე, გლებ?.. სადა ვარ მე, გლებ, თუ ის არ არის?..

მოტია ქმარს ცრემლმორეულ თვალებით უცქეროდა, და გლებმა მის თვალებში გაწამებული სიყვარული ამოიკითხა ქმრისადმი.

— კარგი ახლა, გეყოფა, კამბეჩო... არა გრცხვენია, რას ჰგავხარ, ერთი შენ სახეს შეხედე!.. სახე კი არა,—დაჩეჩქვილი ჯამია. ჩემი სახეც არის ნაცემი, მაგრამ არც შენი არის მაინცადამაინც ლაზათიანად...

და მოტიას ამ სულწასწრებულ შეტევაში ქმრისადმი უკვე არ იყო ის გაბოროტება—მას უნდოდა რომ ავი ყოფილიყო, მაგრამ ხმა მაინც ალერსიანად უკანკალებდა.

გლებს გაეცინა.

— სულელები ხართ თქვენ, ჩემო მეგობრებო, სულელები!..

— აქ მოდი მოტკა... მინდა გაკოცო... ჩემო ცოლო!..

საჩუქმა მოტია პატარა გოგონასავით ხელში აიტაცა, თავისთან წაიყვანა და ძირს ნელა დაუშვა.

იქ, უკან, მთებში მოსჩანდა ცარიელ ჭიქებივით გამსჭვირვალე ქარხნის გაციებული ბუხრის თავები. ბალახებითა და ჩირგვებით შეფენილ მთის კალთებზე ჟანგმოდებულ ბრემსბერგში დახოცილ კუთა ხობოკოებივით ეყარა ვაგონეტების ბადიები.

— ესეც ქარხანა... რა იყო და რა არის, ხომ ხედავ, გლებ?.. გახსოვს, საკასრე განყოფილებაში საგაზაფხულო გოგონებივით რომ ჰგალობდენ და კისკისობდენ ხერხები?.. ეეხ, მეგობარო!.. მე ხომ აქ დავიბადე, აქ ამეხილა თვალები... მე სხვა ცხოვრება გარეშე ამ ჯოჯოხეთისა ხომ არც ვიცოდი...

დარდობდა საჩუკი წინანდელ ქარხნის ცხოვრებაზე, მაშინდელ გუგუნზე, დასტიროდა წარსულ შრომის სამარეს და თვალებზე ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. და თავის დარდში, ის ჰგავდა ბრმას, თავი რომ მაღლა უჭირავს და ცრემლმორეული რომ იღიმება.

მის გვერდით იდგა მოტია, ისიც ისეთივე, როგორც სავჩუკი, ისიც ბრმა და ცრემლმორეული. დედა,—რომელმაც დაჭკარგა თავის ბარტყები.

— მოდი, მცემე, სავჩუკ, მცემე, მირტყი რამდენიც გინდა... მე—ოჯახიდ-თვის ვარ გაჩენილი, სავჩუკ... შენც ასევე იყავი, სავჩუკ, შენც... მცემე, რამ-დენიც გინდა, ოღონდ...

— შენ გინდა, მოტკა, მეც ისევე მოვიქცე, როგორც სხვები?.. ასანთები ვაკეთო?.. თუ ნამალავად კასრები უკეთო გლეხებს?.. განა, შენ არ იყავი, რომ ჩვრებითა და ათასი ხარახურით დადიოდი სოფელ-სოფელ სტანიცებში?.. შენ,— მაწანწალავ და ნაცემო ძალლო!..

მუშტები მოჰკუმშა, კბილები გაახრჭიალა.

მოტია იდგა, თითქოს ბოდავდა:

— მდიდარი ბუდე გექონდა ჩვენ, სავჩუკ... პატარა შოშიებივით ბარტყე-ბი გვყავდა ჩვენ... ეს ბარტყები მე და შენი სისხლი სისხლთაგანი იყვნენ... მო-დი, სავჩუკ, ახალი ბუდე ავაშენოთ... მე არ შემიძლია, სავჩუკ, არ შემიძლია... მე ვიელი უგზო-უკელოდ და მოვაგროვებ სხვის უპატრონო ბავშვებს... მე ისე ვერ ვიცოცხლებ, ჩემო...

ერთი მხრივ მოტია იდგა, მეორე მხრივ გლები.

შეშფოთდა გლები და ხელი სავჩუკს მხარზე დაადო.

— შენ—ჩემო ძველო მეგობარო, სავჩუკ, ჯერ კიდევ ბალღები ვიყავით მე და შენ, მუშაობა რომ დავიწყეთ. განა შენც ჩვენი მეგობარი არ იყავ, მო-ტია? შენ იჯექი აქ, სავჩუკ, მიკიოტივით და სქეიოდი ღამეებში, მე კი მტერს ვეომებოდი და სისხლსა ვღვრიდი... აი მოველი,—არც ბუდე ჩემი და არც ქარ-ხანა... მოტია—კარგი დედაკაცია, გამრჯე... ღონე მოვიკრიბოთ, სავჩუკ... ჩვენ გვცემეს, მაგრამ ჩვენც ვისწავლეთ ცემა... ძაან კარგათ ვისწავლეთ, მაგისი რჯულიც არ იქნეს, სავჩუკ, კარგათ ვისწავლეთ... მომეცი ხელი, შე სულელო მეკასრეე...

სავჩუკი დაბნეულ თვალებით უცქეროდა გლებს და თავს რაღაც უცნაუ-რად იქნევდა. არ ესმოდა რას ეუბნებოდა გლები, უცქეროდა ნაღვერდლები-ვით ანთებულ თვალებით.

მოტია გლებს მიეყრდნო და კისერზე შემოეხვია—ახლა არ სცხეენოდა.

— გლებ, ძვირფასო!.. სავჩუკი—კარგია... ის მხოლოდ მორეული ღონისა-გან შფოთავს ასე, მოჭარბებულმა ჯან-ღონემ გადარია იგი... სავჩუკი—კარგია... კეთილი... ახ, გლებ... მე მეტი არაფერი მინდა... მე მინდა შვილები მყავდეს, მე მინდა მდიდარი დედა ვიყო... რა ბედია, გლებ... რა ბედნიერებაა!..

— მოტკა, ნუ ეფერები სასძლოსავით მაგ კაცს...

ალერსიანად ეთამაშებოდა გლები მოტიას ხელებს და იცინოდა.

— სულელები ხართ თქვენ, ჩემო ძამიებო, სულელები!..

3

მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი

მყუდრო ახალშენიდან ქარხკომში ორი გზა არის: ერთი—შარაგზა ქარ-ხნის შენობათა გასწვრივ გამართული და მეორე—მთის კალთებზე აყრილ ბუ-ჩქებში გათელილი ბილიკი, ღორღში და ქვის სატეხებზე რომ მიიკლაკნება.

ქარხანა იქიდან მთლიანად მოსჩანს: კოშკები, კამარები, ვიადუკები, რკინა-ტინობისა და ქვის უზარმაზარი შენობები, ზოგი ჰაეროვანი და მსუბუქი, ზოგი უშველებელი ბუშტებივით დამხობილი და ზოგი კი: კუბიკური სტილის, სადა და მძიმე. ეს შენობები ერთი მეორეზე არიან ახოხოლავებული და მჭიდროდ ჩაკრულან. ზოგი მათგანი დგას ცალკე უზარმაზარი და მონოლიტური. ხვრეტებში, დაქცეულ ბრემსბერგების გასწვრივ, ეყარა ყველგან ლორლი, გადაბრუნებული ვაგონეტები და იქა-აქ ცემენტის ნათხარებთან გადმოკიდებულ კლდეებს ქვეშ და თვითონ კლდეებზედაც იდგა პატარა ქოხები. ქარხნის უკან ნისლდაყრილ კონცხებიანი ზღვა თასივით იყო სავსე და კონცხიდან კონცხამდე გაკიდებული იყო ცის ლაჟვარდი. კოშკისა და სახურავების თავზე ქარხნის ცად ახიდულ ბუხრებს შორის (ბუხრები: აყრილი ლორთქო), ზღვის უბის მეორე მხრიდან, ქალაქი რომ იყო გაშენებული ქარხანიდან ზღვაში ორი გრძელი ზღუდე იყო შეჭრილი და ზღუდის ბოლოებში იდგა მაღალი შუქურები. ქარხკომიდან მოსჩანდა, როგორ მოგორავდა ზღვის კალთაზე ტალღები ჭავლივით და როგორ ასკდებოდა ფუნჯებად ქარხნისა და ნავთსადგურის ნაპირებს.

ყოველივე ეს ისევ ისე იყო, როგორც ამ სამი წლის წინად. მხოლოდ მაშინ ეს ქარხნები და ეს მთები ზანზარებდენ შიგნიდან გაჩენილ ცეცხლით და ეს ქარხნის უზარმაზარი ტაძრები, ეს ბუხრები და ეს პირსები გაცოცხლებული იყვნენ მანქანათა ყრუ გუგუნით, ალსავსე იყვნენ ისინი ვულკანურ ძალით და ელექტროდენით ზარდაცემული მთები ზანზარებდენ.

გლები მიდიოდა ბილიკზე, იცქირებოდა ძირს ნაპრალიდან ქარხანაში და წყაროთა ლიკლიკში ყურს უგდებდა გარინდებულ სიჩუმეს და ამ სიჩუმეში ჰგრძნობდა როგორ მძიმდებოდა და იძირებოდა იგი ქვის მტვერში.

განა ეს ის ქარხანა არის, მან რომ ბავშობა გაატარა? განა აქ იყო ყოველივე ის,—ცეცხლში და გუგუნში რომ აღიზარდა იგი და აგრუხუნებულ ნიადაგზე რომ გავაქაცდა? და განა ეს ის ლურჯხალათიანი გლები არის, ჩუმალოვი, საზეინკლო ამქრის მუშა, ახლა რომ მარტოდმარტო მიდის, სულ სხვანაირი ძველ მიტოვებულ ბილიკზე სხვა სიარულით, და განცვიფრებული თვალებით აქეთ-იქით რომ იცქირება?

უწინ ის იყო: გაუპარსავი, კოპწია ულვაშებით, სახე მუდამ ჭვარტლითა და რკინის მტვერით ჰქონდა გამურული (რის გამო ის შაგვრემანი მოსჩანდა), ახლა ის: პირგაპარსული, სუფთა, თეთრი სახის, ყვრიმალის ძვლები და ცხვირის წვერი—გალურჯებული, გაცრეცილი და ქარებისაგან ახვეტილი. როგორ არის ეს ის ჩუმალოვი, როცა მას არც ზეთისა და არც ჭვარტლის სუნი არ ასდის, როცა მისი ბეჭები არ არის ოდნავ მოპრილი მუშაობისაგან? განა ეს ის ზეინკალი ჩუმალოვია, როცა ის მამაც მაედარივით გამოიკურება და თავზე წოწოლა ქუდი ჰხურავს წითელ ვარსკვლავით და მკერდს კი წითელი დროშის ორდენი უმშვენებს?

მას რაღაც ახირებული გადახდა თავს. რაღაცამ მოიცვალა ფეხი მის ქვეშ უზარმაზარმა, უეცრად მთა მოსწყდა თავის ადგილს, დაქანდა და წავიდა სადღაც ჯანდაბაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდა გლები და ათვალიერებდა ქარხანას, მთის სამუშაოებს, დადუმებულ ბუხრებს. ხანდახან შეჩერდებოდა, ფიქრობდა რაღაცას. შუბლს იჭმუხნიდა, ოხრავდა.

— ახ, თქვე უსინიდისოებო, თქვე გათახსირებულებო!.. ჯანდაბას იქით იყოს თქვენი თავი და ტანი, ჯანდაბას იქით!.. რას დაუმსგავსებიათ აქაურობა!.. დახვრეტა ცოტაა მაგ წუნკლებისათვის!.. ოხ, რა დიდებული, რა შესანიშნავი ქარხანა გაუოხრებიათ, როგორ დაუსამარებიათ აქაურობა, მაგ წუპაკებს!..

და გლები ხედავდა მხოლოდ ერთს: ყველგან იყო სამარე, ტრამა და სულთახუთვა, და ამ სამარეში, თვითონაც არ იცოდა, როგორ აღმოჩნდა ის,— გლებ ჩუმალოვი, არმიას მოწყვეტილი დ ამის წარმოდგენაზე მას სუნთქვა შეეკრა, შეეშინდა ამ სამარისა და ამ დუმილის, ირგვლივ რომ იყო დასადგურებული, და არ იცოდა როგორ დაეღწია თავი ამ გულს შემოწოლილ სევდისაგან.

ძირს, ქარხანაში ჩავიდა, ერთ უკაცურ პატარა ბაქანზე შეჩერდა, ბაქანი ნახშირით იყო გამურული და ხავსმოდებული. დიდი ხანია მას შემდეგ, რაც აქ ანტრაციტის უზარმაზარი პირამიდები იდგა და მისი კრისტალები კუპრისფერ ალმასებივით ჰყვაოდენ. ბაქანზე ზემოდან ყვითელი და რუხი შრეების კლდე არის გადმოყუდებული, იფშვნება იგი და ჩამოცვივნილი ღორღი და ხრეში ნთქავს ადამიანის ხელით ნამუშევრის უკანასკნელ ნარჩენებს. ბაქანის კიდეზე ტოტებიანი რელსები აწყვია ნახევარ წრეებად. იქვე პირდაპირ, მოაჯირს იქით, უბსკრულიდან ოთხმოც მეტრიანი ბუხრის ცისფერი ობელისკი ამოტყორცნილა და ბუხრის უკან მთასავით აგრუზული ელექტრო-მექანიურ კორპუსის უზარმაზარი შენობა დგას.

უსახლვრო დუმილით ჩაშვებულა ქარხანა უსაქმო დღეებში. ჩრდილო ქარებმა დაღრღნეს მისი ყინულის თოშივით ჩასმული მსხვილი მინები, მთის ნიაღვრებმა გაატიტვლეს ტინობთა რკინის ჩონჩხები და ლაგვარდანებზე დაგროვილი გადამუშავებული მტვერი ისევ გაქვავებულა.

გვერდით დარაჯმა კლეპკამ ჩაუარა. ტანთ გრძელი მუხლებამდე ჩაშვებული ტომრ-ს პერანგი აცვია უქამროდ. შიშველ ფეხებით ხის ქოშებზე დგას და ქოშები იგი, თითქოს ცემენტის არის და ასე დგას იგი ფეხებით ცემენტზე დაყრდნობილი. აღარ ხუცდება ამაზე მეტად, თითქოს ასეთი იყოს მუდამ დაბადების დღიდანვე. შეჩერდა, ერთხანს უცქირა გლებს, უცქირა და მერე წავიდა. ის ჰგავდა: წარსული დროის გაველურებულ ნახეთქს.

— ეი, შენ... ყრონტო!.. რას დაეთრევი აქ მკვდარი სულივით?.. რას უყურებდი ამდენ ხანს, შე ღდინძალლო, თვალები არ გქონდა?..

შიში და გაოცება ერთად აღიბეჭდა დარაჯის გაბურძგვნილ სახეზე.

— კერძო პირთათვის შესვლა აკრძალულია.

— სულელო!.. გასაღები ვისა აქვს?..

— რათ გინდა გასაღები?.. ბოქლომები არ არის... დაჟანგდა... შედი და დარე, სანამ არ მოგეწყინოს!.. თხები ბლომათ არის ქარხანაში... რამდენიც გინდა... ვირთხებიც... ადამიანი დაიკარგა—გაჰქრა... არსად სჩანს...

— შენ თვითონ ხარ ბებერი ვირთხა, რომ ჩამძვრალხარ სოროში /და უსაქმოდ დაძრწი... ჯანდაბა თქვენ თავს!..

კლეპკამ უკაცურად, უხიაგად შეხედა გლებს, მერე თავი გაიქნია და შეირხა ცემენტის ფიფქდაყრილი დამძიმებული თმები მის სანეზე.

— ჩერჩეტო... ეშმაკმა წაიღოს შენი თავი და ტანი... ვის უყვირი, თუ იცი!.. ხომ ხედავ, კაცი არაა.. დაიკარგა ადამიანი... არსად სჩანს...

სთქვა მან და წავიდა თავისი გზით ქოშების ფეხის გულზე ტლაშუნით...

ბაქანიდან ქარხნის მთავარ კორპუსში ქვის ბურჯებზე შემდგარი მაღალი ვიადუკი მიდიოდა. ტინობის კედლები ღრეჩოებით იყო გამონგრეული სათოფურებად ტყვიამფრქვევლებისათვის. ერთ დროს ეს ქარხანა თეთრგვარდიელების ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა და შიგ თავლებიდ ბარაკები ჰქონდათ გამართული სამხედრო ტყვეებისათვის. და ეს ბარაკები, ინტერვეციის დროს, კოშმარით სავსე კუბოებს უფრო ჰგავდა.

გლებს ქარხნის შიდა ნაწილის ნახვა მოუნდა.

კარები არ არის,—მოგლეჯილია!.. ჭერში გადმოკიდებული ობობას ქსელი დატვირთულა ცემენტის მტვერით და ქანაობს მძიმედ დამპალ ძონძივით. და იქიდან, ქარხნის უსაზომო მუცლის სიღრმიდან, მოდის დაობებული სიმყრალე და ძველი გადამუშავებულ ცემენტის მტვერი.

შფოთავდა და გუგუნობდა უცნაურად მივარდნილ სიპარტახეში ქარხნის ბინდები წკრიალა გამოძახილებად. ბოგირები, კიბეები, დერეფნები, ტრანსმისსიები, აზარმაცები, თუჯის მილები, წყალსადენები, მავთულები—ერთი მეორეში უთავბოლოდ იყო არეული და ეყარა ხეხულასავით. ყველგან ცემენტის ზარხოშიანი მტვერი სუნი იდგა. რეზერვუარის უზარმაზარ უხუფო მილს პირი დაებჩინა და მტვერით ამოხვეტილ უშველებელ ძაბრში ღმეოდა ქარი. წინად თუჯის ზარფუში ჰხუთავდა საიმედოდ ამ აღრენილ ხახას და ზარდამცემ გუგუნით, ელვითა და ჭექით ისუნთქავდა მუცელში ცეცხლის ალმურს მბრუნავ ღუმელების გვიზიან ცილინდრებიდან.

გლები კიბეს დაჰყვა და ძირს ჩავიდა. გაიარა ცემენტის მტვერით დართვილულ ფანჯარებთან. იქ მბრუნავ ღუმელების უზარმაზარი ცისტერნები იყო და გლები იდგა მათ ქვეშ სულ პატარა, განადგურებული და მიწასთან გასწორებული საცოდავ კაცუნასავით ამ განუზომელობის წინაშე. ოდესღაც ეს ცისტერნები ბრუნავდენ უზარმაზარ ცეცხლმოდებულ ვეშაპებივით, მუცელში ცეცხლის ალჩავარდნილნი და ქათქათობდენ ღმეილითა და კოსმიურ სტვენით. მათ ძირას მდგომი ცეცხლგადასხმული ადამიანები მოსჩანდენ სულ პატარა სასაცილო ჭიანჭველებივით. თუჯის უზარმაზარ ოდრიკალებად და კაკტუსებად იხვეოდენ მათ ფერდებზე ზემოდან ჩამოშვებული მსხვილი მილების უცნაური სპირალები და ნასკვები. მერე ისევ:—კედელზე აფორთხებული და ჰაერში გაფრენილი ტრანსმისიები.

— ახ, ეგ წუნკლები, ეგ წუნკლები!.. როგორ გაუნადგურებიათ და გაუპარტახებიათ აქაურობა!..

გრძელ, ჩაბნელებულ გვირაბით შევიდა ის სამანქანო განყოფილებაში. აქ

მყუდროება და ციური სინათლე იყო ჩამოშვებული. აქაურობა ტაძარს მიაგონებდა გლებს. იატაკი: ფერადი ქაშანის შამათურ მოზაიკის. ვერცხლისა და ოქროს ჯავარით მოოქვილ შავ მარმარილოს კერპებივით იდგა ჩამწკრივებული დიზელები, იდგენ და მზად იყვნენ ასამოძრავებლად. კმარა:—ხელი ჰკარ და აცეკვდებიან, ათამაშდებიან სარკის ლითონებად. უზარმაზარი ბორბლები დგანან აფრენილნი. ხელი მოჰკიდა,—მტკიცედ და მაგრად დგანან მიწაზე დაქვავებული დიზელები. ყოვლის შემძლე ბროლებივით იდგენ ისინი ასაფეთქებლად განმზადებულნი.

აქ, როგორც უწინ, ყველაფერი პატარძალივით იყო მორთული, ყველაფერი სუფთად იყო შენახული და მანქანის ყოველ წვრილმანში ადამიანის მოსიყვარულე მზრუნველობა სუნთქავდა თბილად. წინანდებურად იყო გასაქსაქებული შორენკეცებიანი გასანთლული იატაკი და ეს უამრავი ფანჯრის მინები ლაპლაპობდენ შიგ გადატეხილ სინათლისაგან, კანკალობდენ ლაქვარდისა და ქარვის ფერად. ჯიუტად ცოცხლობდა აქ ადამიანი და ამ ადამიანის წყალობით ცოცხლობდენ ეს მუშაობის მოლოდინით აღსავსე მანქანები.

და ეს ადამიანი, გამოვარდა უეცრად დიზელებიდან თავზე კეპით და გლების წინ ხელების პაკლით წმენდით გაჩერდა. კეპი—ცხვირივით და ცხვირი კეპივით. წითელ ულვაშებიანი იდგა იგი და გლებს ჯიუტად უცქეროდა.

— ხა-ხა!.. მეგობარო!.. შენა ხარ?.. აბა, შეგხედო ერთი, აქეთ მოიწი, მამაცი კომანდარმი უნდა იყო, აი!.. ვიცოდი, გული მიგრძნობდა, რომ ცოცხალი იყავ!.. ვფიქრობდი, აი მოვა ასიც და დავატრიალებთ მერე ერთად ჩვენს ძველ ყარუსელს... ყოჩაღ, მეგობარო, ვაშა!.. რომ იცოდე, რა გამიხარდა!.. მოდი ერთი ჩვენი მანქანის მირონი გცხო!..

ეს—ისაა: მემანქანე ბრინზა, ძველი დოსტი და ამხანაგი.

ბრინზა აქ იყო დაბადებული, ქარხანაში (მამამისიც მემანქანე იყო), მანქანებში აღიზარდა ის და მისთვის სიცოცხლე მხოლოდ სამანქანო კორპუსში არსებობდა. ბრინზამ და გლებმა ერთად გაატარეს სიყმაწვილის დღენი და ქარხანაშიც ერთად შევიდენ შეგირდებად.

— ჰაი გიდი, მხედარო!.. მოდი ერთი მობრუნდი—კარგად შეგხედო!.. თავზე ძაბრი ჩამოგიფხატავს და ცხვირი და ეარსკვლავი გაგზრდია მხოლოდ... ხელ-ფეხსაცა ვცნობ!..

გლებმა უცნაურად დაიროყინა და ხელებგაშლილი ძველი მეგობრისაკენ გაექანა.

— ბრინზა!.. ჩემო მეგობარო!.. შენ ისევ აქა ხარ?.. რატომ შენც არ შეიგდე ზურგზე ტომრები და არ წადი სოფელ-სოფელ საწანწალოდ, ისე როგორც სხვებმა?.. თუ შენც მანქანებს აჭრი ბილებს და აოხრებ ასანთების გასაკეთებლად? შენ ისე დაგიყენებია აქ საქმე, რომ აი ეს-ეს არის აუშვებ შენ ქაჯებს სამუშაოდ...

ბრინზა გლებს ხელში ჩააფრინდა და დიზელებს შორის ვიწრო გასავლელისაკენ გააქანა.

— შეხედე ერთი ამ ჯოჯოხეთის მოციქულებს!.. როგორ მოგწონს?.. ისე

უყვართ სისუფთავე, როგორც ქალიშვილებს... კმარა დაიძახო: აბა, ბრინზა, დავიწყოთ!.. და მთელი ეს მხიარული მექანიკა ატრიალდება და წავა და წავა ფოლადის მარშით... რადგან მე მანქანასთან ვარ, —მეც მანქანა ვარ... გამშორდით, ჯანდაბას იქით დაიკარგეთ თქვენი პოლიტიკით, ქაქანი იცით და მეტი არაფერი. ამტვრიეთ ერთი მეორეს თავპირი, ეს მე არ შემეხება, რა მენაღვლება!.. იჩხუბეთ, რამდენიც გინდათ, ერთიმეორეს თავპირი ამტვრიეთ, იცურეთ სისხლში,—ჯანდაბას იქით თქვენი თავი და ტანი, რა მენაღვლება, მე ეს არ შემეხება. ჩემთვის მხოლოდ ერთი რამ არსებობს: მე და ჩემი მანქანები... მე მინდა რომ მათთან ერთად ვიყო გულდაგულ, განუყრელად...

— ბრინზა!.. მე ვცნობ შენ ხელებს, ბრინზა!.. შენი ხელები ოქროა, ბრინზა!.. უხ, რა მშვენიერებაა!.. თხები ხომ არა გყავს?.. ჯანდაბას იქით იყონ ისინი... დეე სულელებმა და გამოჩერჩეტებულებმა სდიონ მათ!.. ასანთებს ხომ არ გააკეთებ ბრინზა?.. აი, ნამდვილი ქაჯი და ეშმაკი!.. ჩამძვრალხარ შენს მანქანებში და არაფერი არ გესმის რა ცვლილებები ხდება ქვეყანაზე, არც კითხულობ!..

ბრინზა მოეშვა, გაჩერდა და გლებს თვალებში დააშტერდა.

— მოიცა!.. სააგიტაციოდ ხომ არ მოსულხარ?.. ეგეთი ამბებით, ძამიავ, მე ძვრასაც ვერ მიზამ!.. იცოდე რომ აქ მანქანებთან ხარ და არა თავყრილობაში. ეს შენც კარგად იცი და, თუ იცი, მაშინ გაჩუმდი!.. როგორ ვიქცევი მე ასეთ შემთხვევებში!? უწინ საქმე იყო, ახლა ქვეყანა უსაქმო ხალხით გაივსო. შემოეთრეოდა ხოლმე აქ ვინმე ძაღლის ქონით ყბებ დაზელილი ყბედი, მაგრამ —კისერში და მისი ჯანი... მათი ადგილი ქარხკომია... როგორ გათახსირდა ხალხი ამდენ ლაპარაკით, როგორ გათახსირდა!.. ეს იმიტომ რომ საქმე არა აქვთ: უსაქმურობა და ყბედობა ერთი და იგივეა. აქ დალაბანდური სიტყვებით წინ ვერ წახვალ, ფეხს ვერ მოიცვლი,—არა, ჩემო ძამიავ, აქ მანქანებია და მანქანები ლაპარაკი კი არა—ხელებია, თვალები:..

გლები მანქანის მბრწყინავ ნაწილებს ალერსიანად მოეფერა და მერე ბრინზას ნამიან და ოდნავ ზარხოშიან თვალებით მიაშტერდა.

— რა კარგად არის აქ ყველაფერი დაცული, რა კარგად!.. წასვლაც კი მეზარება!.. როგორ გაპარტახებულა მთელი ქარხანა, მიწასთან გასწორებულა!.. ხალხი მაინც რამ წაახდინა ასე!.. რა ეშმაკი გაცდევინებს აქ და ხელებზე ტყავს იძრობ, როცა მთელი ქარხანა სარაიას დამსგავსებია და მუშები კი მაწანწალებს?.. წადი, შენც თავს უშველე, სანამ სული არ გაგვარდნია!..

ბრინზას ტანში შეაჟრაჟოლა. სახემ მანჭვა დაუწყო. მკერდ ქვეშ გული აფეთქდა და რისხვით მოხეთქილი სისხლი თავში ზარხოშივით აუვარდა. მუშტი რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოიქნია და დიზელის ჩაჩქანს დაარტყა.

— ქარხანა უნდა ამუშავდეს, გლებ, გესმის?.. ქარხნის სიკვდილი შეუძლებელია... მას სიცოცხლე უნდა... თუ არ ვაცოცხლეთ, მაშინ ჩვენ თვითონვე შეგვჭამს იგი. იცი შენ როგორ ცოცხლობენ მანქანები?.. არა, შენ ეს არ იცი... ადვილად შეიძლება ჭკუაზეც შეიშალო, როცა ხედავ და გრძნობ ყოველივეს... ვინ იცის ეს?.. მე!.. მე ვიცი ეს! მხოლოდ მე ვიცი და სხვამ არავინ!...

ასეთი გაბოროტება არასოდეს არ შეუმჩნევია მას უწინ ~~ბრინჯაბი~~ ის დარჩა მანქანებთან და მანქანებთან ერთად გაჩერდა ისიც, ეს იყო მაშინ, როცა დადუმდენ დიზელები და ხალხი წავიდა აქედან რევოლუციაში, საბრძოლო ომებში, სიმშილში, ტანჯვაში,—და ის დარჩა აქ, სამანქანო კორპუსების დუმილში. ის ცხოვრობდა მანქანებივით და იყო ისევე მარტოდმარტო და ობოლი, როგორც ეს მანქანები.

— ქარხანამ უნდა იმუშავოს, გლებ!.. თუ არსებობენ მანქანები,—არ შეუძლიათ არ იმუშაონ: ისინი, ჩემო ძამიავ, მაშინაც მუშაობენ, როცა გაჩერებული არიან... ეს, შენ რომ იცოდე... სულერთი არის, გრძნობ შენ თუ არა ყოველივე ამას: შენ მაინც ყველაფერი უნდა გააკეთო, ყოველივე ღონისძიება უნდა იხმარო რომ პირველი წუმწუმა გაიკრას... მხედველობაში იქონიე ყოველივე ეს, გლებ, და ყოველ წუთს გახსოვდეს...

გლებმა ხელი სიხარულით ჩამოართვა.

— მეგობარო!.. მართალს ამბობ შენ, მეგობარო!.. ქარხანა თუ ქარხანა არის—უნდა მუშაობდეს. აი ჩემი ხელი თავდებად: მაშ აუშვათ ქარხანა!.. მოვკვდები, თავს დავისახიჩრებ და ქარხანას მაინც აუშვებ... მორჩა და გათავდა... ამას ლაპარაკი არ უნდა... დიზელები მზად გქონდეს...

ძ მ ე ბ ი

ქარხნის სამმართველოს ნახევარსარდაფის ვიწრო და ბნელ დერეფანში მუშები ირეოდენ, იდგენ, ისინი ჯგუფ-ჯგუფად ავარდნილ წეკოს ბოლში და ყველგან აბანოს დამპალი სუნი იყო გამეფებული. და ამ მწვირიან ბოლში მუშები ისე იყვნენ გახვეული, როგორც მწვირიანი ქვის სატეხების ლიბრი მტვერით დასვრილი ქარხნის მწვანე ბალახი. დერეფანში ბნელოდა და მუშების სახლები ისე გაწყალებულად მოსჩანდა, როგორც სალამოს ბინდებში. იყო ყველგან ეახარამაცი, ბუნუნი მუშების და კედლები ზანზარებდენ ამ გუგუნში. იქ ვილაც ყვიროდა, აქ ერთი დედას იგინებოდა და დავობდენ, ბქობდენ—ულუფაზე, ნავთზე, დახმარებებზე, ქაქის ასანთებზე, თხებზე და საწყალ მუშა ხალხზე და ყოველი მაწანწალა და ლამაზი სიტყვებით მოლაპარაკე უსაქმურზე, მუშას რომ ჭკიდია კისერზე.

ქარხკომის კარი ღია არის და დგას ყველგან—ბოლი, ტალახი, არტელის ხალხი და უმუშევართა ოფლის მყრალი სუნი.

გლები ვერავინ იცნო, მან ხმის ამოუღებლად მუჯლუგუნის კვრით გაარღვია ხალხის გროვა, არავის ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, მხოლოდ უხიაგად, ამღვრეული თვალებით, ფარული მტრობით აჰხედეს მის წოწოლა ქუდსა და წითელი დროშის ორდენს. კარგად არც შეუხედავთ და მაშინვე დააგიწყდათ: განა ცოტა კომისრები დაეთრევიან ქარხკომში პორტფელითა და უპორტფელოდ?

კარების წინ ვილაც ბიჭი ცეკვავდა, თავზე ქალის თეთრი ქუდი ეხურა,

პიჯაკზე კორსეტი შემოერტყა და საულვაშეზე ულვაშები ნახშირით დაეხატა. შექუჩებული ხალხი ხორხოტობდა, სჯმუჯნიდა ამას ტ ის კი ხელს იკვრევინებოდა, დედაკაცური ხმით კაპასობდა და იპრანჭებოდა ბალაგანურად.

— ახ, ღმერთო ჩემო, გამატარეთ ერთი, თუ შეიძლებოდეს. პარ ვე ბრუკ რიკაპე!.. მომიტევეთ!.. ახ, საძაგელო, ხელს ნუ მავლებთ!.. ახ, ახ, მოქალაქენო, როგორ არა გრცხვენიათ, მე ხომ პატიოსანი საბჭოთა პროლეტარი ქალი ვარ... ახ, ხელს ნუ მავლებთ,—მელიტინება!..

И-ох, ты, ябы-лочи-ко, д'куды котисься,
Д'как в завком попадешь—обормотисься...

ბრბო გუგუნებდა, დედას იგინებოდა მხიარულად და საერთო ხარხარში იფარებოდა ამ ოხუნჯ ბიჭის ქალივით კივილი.

— ააი, შე მუდრეგო გოგრავ, შენა!.. მიტკა!.. ჭინკავ!.. მეგარმონევ!.. რა დაკარგავს მაგ ოხერს ცხოვრებაში, როცა მის სულსა და გულს არც ქაჯი ეკარება, არც ბატკო და არც საბჭოთა ხელისუფლება... არის თავისთვის...

კარებში—კანკალობდა, ტრიალებდა ბზრიალასავით ტანმორჩილი კაცი,—შავგვრემანი, გაძვალტყავებულ სახეზე მხოლოდ ცალი თვალი ენთო. ეს ზეინკალი გრომადა იყო... და გლები გაკვირვებული თვალებით უცქეროდა ამ კაცს: როგორ გამოცვლილა ამ სამ წელიწადში!..

— კმარა, ამხანაგებო, თავი დაანებეთ ამდენ დისკუტიებს... სხვა რომ არა იყოს რა, საკმაოდ სამარცხვინოა თქვენის მხრივ, სირცხვილია ასეთი ბალღობა და სხვა... რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, როცა ჩვენივე თავი ვერ შეგვიგნია შეგნებულად?!.

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო,—მიტკამ გააწყვეტინა:

— ახ, უკაცრავად, ამხანაგო ქარხკომო, მომიტევეთ, მე ისე... მაპატიეთ... თუ შეიძლებოდეს, გამოსკვენით ერთი ეგ თქვენი ნერვები ერთად და ჭიპზე მიიბნიეთ ჭინძისთავით... მოვკვდი!.. დავილრჩვი... რა ვქნა რომ მესმის.—მეც ვწუხვარ!.. ავიღებ და ამ კორსეტს იატაკზე დავაგდებ, ქუდს თროხე და ჰაიდა, თუ გამიტანეს, შევალ მთელი პარატით დემონსტრაციაში... აჩუ!.. ტპრუ!..

ისევ ბალაგანურად დაიწყო მერე მანჭვა, მუჯლუგუნის კვრით ხალხი შუა გააპო და გასასვლელისაკენ გაემართა. გამოცვივდა ხალხი ოთახიდან, დერეფნებიდან და სანახაობას მოწყურებული ხორხოტით უკან გაჰყვა.

გლები ქარხკომის ოთახში შევიდა და იქვე მუშებს უკან კედელთან გაჩერდა, ქარხკომის მაგიდასთან კუზიანი ლოშაკი იჯდა, შავი, გამურული ზეინკალი. იქვე, მის გვერდით,—გრომადა. შავი ანტრაციტივით მკერდით მაგიდის კიდეს მიყრდნობოდა, ხელის ხშირად მოკიდებისაგან გალაპლაპებული და ანტრაციტივით შავი ქუდი ეხურა თავზე, სახეზე პაჭუა ცხვირი ობლად იყო დაგლესილი და დასიებულ სისხლიან თვალის ბისტებს აბრიალებდა თეთრად. იჯდა ის ქვის მუნჯი კერპივით გაუნძრეველად, გრომადა შეაშურობდა, ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ცმუტავდა, წელებზე ფეხს იდგამდა, პირიდან დორბლი სცვივოდა, ადგებოდა, ისევ დაჯდებოდა, გამხდარ ძვლებს აჭრაჭუნებდა (ეს სკამი იყო, მოუ-

სვენარი კაცის ქვეშ რომ ჭრაჭუნებდა) და ყველას ყვირილითა და ხელების ქნევით იგერიებდა.

ვიღაც გავაგანიერი დედაკაცი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სთრთოდა ერთიანად ფაფასავით აფუებული.

— კისერზე დაგვაჯექით უქნი ხალხი და ეს არის... რა გენაღვლებათ: ჩვენ თუნდა მოვკვდეთ... ჩემი თხები იქ უპატრონოდ ყრია და მე აქ სალაყბოთ დამათრევენ...

მუშები ქალს ზურგში მუჯლუგუნს სცემდენ, აგულისებდენ, იცინოდენ გაკვირვებულნი და დედას იგინებოდენ.

— მისცხე მაგათ, ძალუა ავდოთი, მისცხე!.. სულ მაგათი ბრალია ყველაფერი!.. მიდი, ნუ გეშინია!..

— გაჩუმდით, თქვე წუპაკებო, თავი გამანებეთ!.. რათ აგირჩიეს თქვენ ქარხკომებად და სათავეში დაგსვეს?.. ა?.. ეს განა ფეხსაცმელია?.. ფეხსაცმელია ეს?..

დაიყვირა დედაკაცმა, ფეხი აიშვირა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მაგიდას დაარტყა. კაბა მუხლებს ზემოდ აიწია და გულის შემომყრელად გამოჩნდა წყალმანკიანი მიშველი დასიებული ფეხი ბარძაყამდე.

ხალხი აჩოჩქოლდა და გაკვირვებისაგან ტაში შემოჰკრა.

— ყოჩაღ, ძალუა ავდოთი, ყოჩაღ!.. აი ნომერი თუ გინდა,—ეს არის!.. აი ესეც შენი წარმოდგენა!.. კიდევ მაღლა ასწიე ფარდა, ძალო, უფრო მაღლა,—ერთი მთავარი წარმოდგენაც გვაჩვენე!..

ლოშაკი ქვის კერპივით იჯდა უმოძრაოდ და თვალებს აბრიალებდა მხოლოდ თეთრად. გრომადა წამოვარდა და სუსტი, დაჭლექებული ხელების ქნევა დაიწყო.

— მოჭალაქე!.. ამხანაგო!.. განა შენ მუშა ქალი არა ხარ?.. ქარხკომი თავის მოცემულებას ასრულებს... და სხვა... რით გაგაგებინო, ადამიანო!..

— მიდი მაგას, ძალო, მიდი, ყველას მაგიერ!.. ჩვენც აქა ვართ!..

— გაათრიეთ აქედან ეს დედაკაცი!.. რა იყო, რაშია საქმე?.. აქ კედელზე ლენინის სურათი ჰკიდია და ეგ კი კაბას ჭიპამდე იხდის.

— გაჩუმდი ერთი, თორემ, მე ვიცი... რა იქნა ჩემი ფეხსაცმელები?.. ეს არის თქვენი დახმარება?.. ერთხელ წაველ სტანიცაში ტომრით, მერე ორჯერ სასადილოში ვიყავ ღორის სალაფავისთვის და ვხედავ ფეხსაცმელებს ძირი გავარდა... აი თქვენი დახმარება, თავზე გადაიბერტყეთ!..

დაიძახა მან, ფეხი მაგიდაზე მიიქნია, პირ დაბჩენილი ფეხსაცმელი წასძვრა, ლოშაკს გულში მოხვდა და იქით გადავარდა. დედაკაცმა იატაკს ფეხი დაარტყა.

ლოშაკი იჯდა ისევ ისე ხმის ამოუღებლად. მთლად ანტრაციტის ფერი ფეხსაცმელი წყნარად აიღო და მაგიდაზე დაიდო.

— მეტი ხომ არაფერი გაქვს სათქმელი?.. გისმენთ...

გრომადამ ვერ მოითმინა, ფეხზე წამოიჭრა და ხელების ქნევა დაიწყო.

სიბრაზისაგან შავგვრემან, მთლად მიწისფერ ლოყებზე უკანასკნელი სისხლი მოაწვა და აკანკალდა.

— ამხანაგო ლოშაკო, მე მეტს ვერ მოვითმენ!.. მე არ შემიძლია მოვითმინო, როგორ შეუგნებლად ფიქრობს ეს მოქალაქე და სხვა... ხარ-ცხვილია ეს, თავლაფდასხმაა!.. განა ქარხკომს საქმეები არა აქვს?.. ეს უნდა უთხრათ მაგას... ასეთი პროვოკაცია...

— მოითმინე, გრომადა, დამშვიდდი!.. ცხელი აბანო სასარგებლოა... აი, ვიმსჯელოთ... აბა ერთი გვითხარი, შე უბედურო დედაკაცო: რაში უნდა მოგცეთ ჩვენ კარგი ფეხსაცმელები?.. რა სამუშაო შეგისრულებია?..

— შენ ეი, თვალებს ნუ მიხვევ, ვიღაცა ხარ!.. ვმუშაობ თუ არ ვმუშაობ,—სულერთია, მეც მეკუთვნის...

— მოიცა!.. რას არატრატდი დალაბანდივით, კარგად მოისაზრე. მე შენ გეკითხები: რა გაგიკეთებია შენ, შაქარ მოყრილ რძიან ფაფას რომ თხოულობ?.. ა?.. მეორე ფეხსაცმელიც აქ მომეცი!.. შეცდომით მოგცეს... ქარხკომი შეცდომაში შევიდა... შენ ლორებს კი რეკვიზიციას უშვრებით იმ სასადილოსთვის, სადაც შენ მუცელს იტენი... დაამტკიცე შენი სიმართლე... თუ დაამტკიცებ—უკანვე დაგიბრუნებ...

დედაკაცი უკან მიაწვა და არტელი თავიდან ბოლომდე შეაჩოჩქოლა.

— ფუი, ღმერთმა დასწყევლა თქვენი თავი და ტანი და თქვენი მოცემულიც!.. ეგდეთ მანდ, სანამ არ მოგეწყინოთ!..

ლოშაკმა დინჯად, შეკრული წარბებით ხელში ფეხსაცმელი აიღო (ფეხსაცმელს ლანჩა ძროხის ენასავით ავარდნოდა).

— აჰა, წაიღე, დედაკაცო!.. ქმარს მიუტანე და დაგიკერებს... ისე კი, თუ გინდა, შემდეგ შემოიარე... როცა ქარხანას ავამუშავებთ, ქვის სატეხში გაგგზავნით: შენ ულალუმოდაც კარგად ააფეთქებ კლდეებს... ნალმივით ხარ...

დედაკაცი ფეხსაცმელს წაეტანა, ჩაჯდა იქვე და ლანძღვა-გინებით ჩაიცვა ფეხზე.

— თქვენ, ჰეი—ყური მიგდეთ... მე მინდა თქვენ აგიხსნათ, თუ რა გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ... ბურჟუებთან საომრად გლეხს პური ჩამოართვა, ბურჟუებს კი—ქარხნები, და აი, ახლა ის ჩვენია... ვთქვათ... სამუშაო მაინც არ არის... ბურჟუებს ჩამოართვა, ჩვენ მოგვცა და ახლა გვეუბნება: აბა, მუშათა არტელებო, თქვენ იცით, როგორ მოუვლით, არაფერი დაკარგოთ... თუ ქარხანა აუშვით, თქვენ მაშინ ნახეთ რა იქნება... აბა, ახლა სახლში ყველამ...

ამ დროს გლები მაგიდასთან მივიდა, ხელის აღებით მიესალმა და გაიცინა.

— ყოჩაღ, ბიჭებო, აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას!.. კარგა ხანია არ მინახავ-ხართ... მოველ დაზგასთან და რას ვხედავ, ქარხანა კი არა,—სასალახო გაგიხსნიათ... როგორ აგიოხრებიათ ყველაფერი, ამხანაგებო, გაგიპარტახებიათ!.. დახვრეტის ღირსი ხართ თქვენ, ჩემო ძვირფასო და საყვარელო მეგობრებო, დახვრეტის...

გრომადას გაოცებისაგან სკამიც კი გადაუბრუნდა და იატაკზე წაექცა.

— გლებ!.. ჩემო ძვირფასო ამხანაგო!.. ლოშაკ, ხედავ, შე კუზიანო, ვერ ხედავ ვინ არის?.. გლებ ჩუმალოვი... ჩვენი გლები... მკვდარი და ცოცხალი... შეხედე, ლოშაკო, შეხედე...

ლოშაკი ისევ ისე იჯდა შავი კერპივით გაქვავებული და [illegible] ბისტების ბრიალით ისევე უცქეროდა გლებს, როგორც მის წინ მდგომ მუშებს, როგორც იმ დედაკაცს, როგორც მთელს ამ არტელს, ყოველდღე რომ აქ მოდიოდა დილიდან საღამომდე საყაყანოდ.

— მაშ ასე. ვხედავ, კარგად ვხედავ: იყავ ზეინკალი,—ახლა მხედარი ხარ... ზეინკალთა საამქრო დალპა, გლებ, სულ მთლად გაოხრდა, იქ ახლა კაჟიან ასანთებს აკეთებენ... დაწყევლილი ადგილია, გლებ, დაწყევლილი ადგილი!..

და მაგიდის ქვემოდან გრძელი ხელი ძლივსძლივობით გამოსწია, მერე მაგიდაზე ნელ-ნელა გააცურა და გლებს გაუწოდა და რატომღაც გლებს უცნაურად მოეჩვენა რომ ეს უზარმაზარი ხელი (გლების ხელზე დიდი)—ლოშაკის ხელი იყო.

უეცრად გლებს მუშები სხვადასხვა საამქროებიდან მოაწყდა, უცქეროდენ გაოცებულ თვალებით მას, მკვდრეთით ამდგარს, და ბუტბუტით ხელს ართმევდენ.

ჩამოვარდა სამარისებური სიწყნარე, იქა-აქ ამოოხვრა ისმოდა მხოლოდ.

— აი, ამხანაგო ჩუმალოვ!.. შენი თვალით ნახე... ყველაფერი ჩვენ ხელშია... შენ თვითონ ნახე... ყველა პატრონები გავრეკეთ... და ხედავ, მაგისი დედაც... ყველაფერი დაიღუპა, წავიდა უკუღმა.. ტაციობა ყველგან.. ვის ჭანჭიკი მიაქვს... ვინ სპილენძს აძრობს მანქანაზე და ვინ ღვედებს სჭრის... ესეც ჩვენი ხელისუფლება...

სჩიოდა ყველა ერთად და ვერ გაიგებდი, ვინ ვის უჩიოდა,—ყველა ერთი მეორეს აწყვეტინებდა და ყველას ეგონა, რომ მხოლოდ ის იყო მომჩივანი.

გლები მხიარულ ღიმილით უცქეროდა არტელს და თავს იქნევდა.

— აა, მეკასრეები!.. მჭედლები... ელექტროხელოსნები... ზეინკლები... ძმებო!..

სულ პატარა, გაძვალტყავებული, გამხდარი გრომადა ხალხში თავისი სკამით გაძვრა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იატაკს დაარტყა.

— უკან დაიწით, ამხანაგებო!.. გზა მიეცით ამხანაგ ჩუმალოვს... ის ჩვენი მხედარია, ჩვენი მეომარი, წითელარმიელი და, ვინაიდან და რადგან იგი ჩვენი დიდებული ქარხნის მუშა არის, ამიტომ ჩვენ მუდამ ლ ყოველთვის პატივისცემა გვმართებს მაგისი და სალამის მიცემა. ჩუმალოვს რომ წითელარმიაში მწვანეებისაგან ტანჯვა-წვალება არ გამოეარა და სხვა, მაშინ ჩვენ, იქნებ, ბევრი ვერაფერი გაგვეკეთებინა რეკაპეს რიგებში შესვლისათვის... აი, რას წარმოადგენს, ამხანაგებო, ჩვენთვის ამხანაგი ჩუმალოვი.

მუშათა არტელებიდან ესეე ისმოდა ალერსიანად:

— ხომ გადარჩი, ძამიავ?.. კარგია, ძლიერ კარგი, რომ გადარჩი!.. ახლა აქ იქნები ჩვენთან... დრო ატარე... მაგრამ რაღა დროსტარება იქნება აქ?..

თუთუნი ჩვენზე იყოს... ქარხანა—ხაბარდა!.. ტინ-ტილილინ!.. გათავდა!.. აღარ არის...

გრომადა მუშტებით ემუქრებოდა მათ და ჩახლეწილი ხმით ყვიროდა ჭინ-ჭრაქასავით.

— ამხანაგებო, ვინაიდან და რადგან ჩვენ, მუშათა კლასი, ვცდილობთ წარმოების დაპყრობას... მაგრამ სირცხვილია, ამხანაგებო, სირცხვილი... ჩვენ დემაგოგიურ ანკესზე ვეგებით... ჩვენ ყველა ფრონტებზე გავიმარჯვეთ და ყველაფრის ლიკვიდაცია მოვახდინეთ და თუ ჩვენ ვერ შეეძლებთ შრომის ფრონტზეც ბრძოლას?!,

გლები ჩუმად იყო და ასე ხმის ამოუღებლად უცქეროდა მუშების სახადით ნაავადმყოფარ, ფერმკრთალ სახეებს, უცქეროდა გრომადას (თვითონ ჭინჭრაქასავით პატარა, გვარი დიდი, სიტყვებსაც დიდ-დიდს ლაპარაკობს), ლოშაკს, კისერზე უზარმაზარი თავი რომ დასწოლია და მაგიდის ქვეშ შემძვრალა, და უეცრად, იმ დროს, როცა ის დაქანცული და უენო სკამზე გასწორდა, გლებმა იგრძნო ტკივილამდე, ისე როგორც მაშინ, აქეთ წამოსასვლელ გზას რომ დაადგა. რომ მისმა სიცოცხლემ გეზი შეიცვალა და ამ დღიდან იგი სულ სხვა გზას ადგას. ყველაფერი ნათელი და აშკარა იყო: ყველაფერს თავისი ჩვეულებრივი დასრულება ჰქონდა. და სადღაც იქ, შიგნით, სულ ახლო ბუნდოვანად და გულისშემომყრელად დაეხვია სევდა და ყელში გორგალივით ამოგორდა.

...დაშა... ცოლი, რომელმაც გადააბიჯა მას და წავიდა... ის უცხო იყო... გულში ისარივით მოხვდა რაღაც... ცარიელი ქარხანა... მშობლიური არმია...

— მართალია, მეკობრეებო, მეც ვხედავ!.. ვერა გაქვთ კარგი ცხოვრება... როგორ მიიყვანეთ ასე ყველაფერი გაპარტახებამდე?.. რას აკეთებდით?.. როგორ იბრძოდით?.. გამოშტერებულხართ, ამხანაგებო!.. ეს რა გიქნიათ?..

გრომადას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყელში მოწოლილ დიდ სიტყვას ვერ მოერია და გაჩუმდა. მუშებსაც უნდოდათ რაღაცის თქმა, მაგრამ სიტყვის მაგიერ მძიმედ ამოიოხრეს და გაჩუმდენ. ვილაცამ ჩაიცინა მხოლოდ მტვერით ჩახლანძული ხმით. ის მუშებს უკან იყო, არ სჩანდა.

— ქარხანაში რომ დავრჩენილიყავით, სიმშილით სული გაგვარდებოდა ყველას... რა დაგვრჩენია მაგ ოხერ ქარხანაში...

გლებმა კბილები გააკრაჭუნა და ხელი მუხლზე დაირტყა.

— გაგვარდნოდათ მერე ეგ სული... გამწყდარიყავით და ქარხანა შეგენახათ!.. რა იყო მერე, რომ გაწყდებოდით, სამაგიეროდ ქარხანა იქნებოდა ცოცხალი!..

— ხო-ხო!.. კმარა!.. ჩვენ უშენოდაც საკმაოდ გველაპარაკეს ტკბილი მოთაფლული სიტყვებით!.. უკეთესია მაგ სიტყვებით იმათ მიმართო, ვინც ჩვენ გვთაფლავს. იმათი დედაც... ცოცხალი ვართ, თუ მკვდარი, კაცი არ კითხულობს...

ოთხად მოლუნულმა ლოშაკმა ბოხი ხმით დაიღმუვლა:

— მოდი ქარხანაში?..—კეთილი და პატიოსანი... სამუშაოდ წახვალ... ხაქმე უნდა გავაკეთოთ. ეს—კარგია, ძლიერ კარგი!..

გრომადა აღტაცებულ თვალებით უცქეროდა გლებს, რაღაც დიდი, განუზომელი უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა, სიტყვები [illegible] რებოდენ.

ბიბლიოთეკა

გლებმა ქუდი მოიხადა და ლოშაკის წინ მაგიდაზე დააგდო.

— მოველ, ლოშაკო... მოველ სახლში და ცოლმა ისე ამიარა გვერდი, თითქოს არაფერი. ახლა ისეთი დრო დადგა რომ შენ ცოლსაც ველარ სცნობ უეცრად.. ახლა ჩემ ბუნაგში ლოქორები ბლომად არის, პური კი,—არა!. პურის ბარათი დამიწერე ერთი, ლოშაკო!..

ამ სიტყვის თქმისთანავე, ხალხი ამოძრავდა და სიცილი დაიწყო.

ხომ ხედავ!.. ლამაზ სიტყვებს კი ამბობ, მაგრამ კუჭი მაინც თავისას მოითხოვს... ბარემ, აქედან დაგეწყო, შე დალოცვილო... ეეხ, ძამიავ!.. მოდი ჩვენთან და ჩვენთან ერთად დაიწვი შენ ერთ ტაფაში... კუჭი-კი საჭმელს მოითხოვს!..

— ამხანაგებო, როგორც ხედავთ, ამხანაგი ჩუმალოვი ჩვენი საერთო მუშაა... მაგრამ ის მაინც ჩვენია... ის ხომ ბრძოლებში იტანჯებოდა, ამხანაგებო, და სხვა, და სხვა!..

— რაღა გინდათ აქ?.. არ მოგშივდათ?.. სახლში წავიდეთ...

გლები წამოდგა და ქუდი დაიხურა.

— ძმებო!..

დაიძახა მან ხმამაღლა ისე, როგორც არმიაში.

მუშები შეჩერდენ.

— ძმებო!.. ასე იყოს... მართალია: კუჭს ამოყორვა უნდა... იქ მიომნია,— აქაც ვიომებ. ვიმუშაოთ... ქარხანა აღვადგინოთ... მოვკვდები, ჭკუაზე შევიშლები და ქარხანა მაინც ავამუშაოთ... ცოცხლად დამწვით, ოღონდ ქარხანა გავაჩაღოთ... აი ჩემი კისერი, ჩემი მარჯვენა!..

მუშები გაკვირვებული იდგენ, თვალები ოდნავ მოეხუშათ.

— მიდი, გლებ, მიდი!.. მეც შენთანა ვარ... მართალი ხარ... მიდი!..

გრომადა იცინოდა, დარბოდა მაგიდის ირგვლივ და იწვოდა აკანკალებული.

უეცრად გლები შეკრთა, ნერწყვი ძლივს გადიტანა. ფანჯარაში გამოჩნდა, როგორ მოდიოდა ბეტონით დაფენილ გზაზე ბატონურ სიარულით, მხრებში მოხრილი დარბაისელი მოხუცი დიდკაცურად. არა, ის—არ არის მოხუცი: ის მაღალი კაცია, თეთრი წვერებით. ის—ინჟინერი კლეისტი არის... როგორც მაშინ, ახლაც ისევ ისე იდგა ის გლების გზაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა მხატვრობა
და
ჯუგლიცისტიკა

ნ. ბუხარინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩესლიანი ფენიშვნები

დიდსა და პატარა საქმეთა გაწამაწიაში, რაც ყელამდე ავსებს არა მარტო დღეებს, არამედ ხანდახან ღამეებსაც კი, ველარ ასწრებ თვალყური ადევნო სხვა „ფრონტებს", „ფასების პოლიტიკაზე", ადგილობრივ ბიუჯეტსა, ჩინეთის სამოქალაქო ომსა, ინგლისის მზაკვრობათა, ნედლი მასალის პრობლემათა და სხვა ამგვარ ამბებზე რამდენისამე სართულით მაღლა რომ არის გაშლილი, იმაზე ზევითაა რასაც ჩვენ, „ძმა-ხელოსნები" („რევოლიუციის ხელოსნები"), ასე ვთქვათ, სამსახურის მოვალეობის გამო ვადევნებთ თვალყურს.

მაგრამ ხანდახან საჭირო ხდება ამ დარგებსაც მივაპყროთ ხოლმე ჩვენი თვალი. და უნდა გამოტეხით ვთქვათ, იქ, „ზემოდ", ყოველთვის თვალ-მარგალიტი როდი გხვდება.

„Красная Новь"-ის უკანასკნელ ნომერში მე წავაწყდი დრუჟინინის ლექსს „Российское".

О Русь чудесная! Жива ты,
Как живы русские блины.
Твои соломенные хаты
Овсяной тайной полны.

რასაკვირველია, არავის დაეძრახვის ლექსად და პროზად პატრიოტული აღტაცებით ქებათა-ქება შეასხას „რუსულ ბლინებს". ეს მით უმეტეს, რომ ამ ხელობას ადგიან ევროპის ქალაქებში ყველა „რუსის" მეტრაქტირეები. არ დაეძრახვით აგრეთვე აქონ „შეუცნობელი ღმერთის" მიერ შექმნილი მისტიური საიდუმლოებანი. ამ „საიდუმლოებების" მომხმარებელთა განსაზღვრული წრეებისათვის ქერი—სწორედ რომ შესაფერი მასალაა. განა ჯერ კიდევ შჩედრინმა არ სთქვა: „ზოგს კონსტიტუცია მოსწონს, ზოგს კიდევ პილპილ-მოყრილი ხუთხიო". სწორედ ამ, როგორც ახლა იტყვიან, მიმართებაზეა დამოკიდებული „რუსეთის" ათვისება. ზოგიერთს ზემოხსენებული ქვეყანა საბჭოთა კონსტიტუციის პრიზმით განჭვრეტილი წარმოუდგება, ზოგი კიდევ ბლინების პრიზმით სჭვრეტს მას. ყველაფერი ეს გემოვნებასა, ტემპერამენტსა, ტვინსა და,—ბოლოს,—ჯანდაბას მისი თავი,—კუჭზეა დამოკიდებული. ბლინებია— ბლინები იყოს. მაგრამ აი, რა ამოვიკითხე შემდეგ გაოცებით:

Своя земля, как складень древний—
Над ней ночует свет и мрак,
И в каждой хате есть царевна,
И в каждой улице—дурак.
На них цветные сарафаны
И залихватские штаны.
На кой же чорт иные страны,
Кроме советской стороны?
И я люблю тебя такую
Тоской и горечью полей
И не отдам твою тоску я
За всех заморских журавлей.

მართალია ჩვენ შეგვიძლია ავტორს დავეთანხმოთ, სულელების სიმრავლის შესახებ. მაგრამ სრულიად ვერ დავეთანხმებით მეფის ასულთა სიმრავლეზე, ვინაიდან მეფის ასულნი თავის დროზე ცოტაოდნად დახვრეტილ იქნენ, უვარგისობის გამო თავის დრო მოჭამეს და ხალხში პოპულიარობა დაჰკარგეს. ისიც მართალია რომ ბლინებიდან „შარვალზე“ კატასტროფიული გადასვლა ნაკლებად არის „დასაბუთებული“. მართალია აგრეთვე, რომ ზემოხსენებული „Залихватские штаны“, შეზავებული „სამშობლოს სიყვარულისა და ხალხის სიამაყის“ შესახებ სიტყვებთან—ფრიად და ფრიად მოგვაგონებს ჰეინეს გმირებს კრაპულინსკისა და ვაშლიანსკის: „შენ სევდა გკლავს სამშობლოსი ქუდისა და ხალათისათვის“. ისიც უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ტაეპი „ფორმალურად“ გადასხვაფერებაა საბავშვო ლექსისა:

Однажды немец, таз куя,
Сказал жене своей тоскуя:
„Задам рабочим таску я
И разгоню свою тоску я“.

ბოლოს, ისიც მართალია, რომ არ შეიძლება რუსულად ასე თქმა: „В каждой улице—дурак“-ო და ამის ცოდნა არას ავნებს „Российское“-ს ავტორს. მაგრამ ყველაფერი ეს არაფერია იმ ლოზუნგთან შედარებით, რომელიც უშუალოდ „სარაფანებსა“ და „შარვლებზეა“ „დამყარებული“: „На кой же чорт иные страны, кроме советской стороны“.

ეს უკვე მარტოოდენ „ნაციონალური გონებაშეზღუდულობა“ როდია. ეს პირდაპირ „შოვინისტური ღორობაა“. ძველ ნეტარ დროს რუსეთის ნაციონალისტურ-რუსულ იდეოლოგიის „კრისტალიზაციის საქმეში მნიშვნელოვან როლს“ თამაშობდა, როგორც მოგეხსენებათ, ბურახი (კვასი). აქედან წარმოსდგა „კვასნოი პატრიოტიზმ“, რაიც ყველა სულ ცოტაოდნად პროგრესიულ ადამიანის თვალში საგინებელ სიტყვად ითვლებოდა. ახლა კი, პროლეტარიატის დიქტატურის მეათე წელს, როგორც ჰხედავთ, კვასის ადგილი წარმატებით დაუკავებია ბლინებს. ჭეშმარიტად, „ვითარ დიდებულ არს უფალი ვენი სიონით“—შეუძლიანთ სთქვან ცოტაოდენი ირონიით ბლინებისა, შარვლებისა,

მეფის ასულთა და სულელების იდეოლოგზე. დავეთანხმებით ამას! მაგრამ ეს ირონია—მოსალოსეების (юродствующие) ირონიაა. ეს სალოსობა ზედის, რო-გორც შემადგენელი ნაწილი, თანაერთადს იდეოლოგიაში უახლეს ნაციონალიზ-მისა „ა ლა მუეიკ რიუსს". „ჩვენ მუეიკურად, „დურაკულად" გვირჩევნია, ეს „ძვე-ლი" მოსალოსე იდეოლ ოგია კონსპირაციის მიზნით საბჭოთა „კაფტანს" იჩაჩავს ტანზე. მაგრამ მარტოოდენ ეს ნათქვამი: „кроме советской стороны",—მყის-ვე ცხადჰყოფს მთელს მის სიყალბეს,გაცვეთილობას, უგულწრფელობასა და ში-ნაგან წინააღმდეგობას. „На кой же чорт иные страны"-ო. არ შეიძლება, ბატონო ბლინების უზომოდ მჭამელ ნო, ცოტა მეტი სიფრთხილით ილაპარაკოთ?!

ზემოხსენებულს ლირიკულს „აღსარებას", მიუხედავად თავისი, ასე ვთქვათ, ინტიმურ-ფიზიოლოგიური შინაარსისა, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს: ვიმეორებ, ეს მთელი იდეოლოგიაა. სერგეი ესენინის იოლი ხელით— „დღის ეს უკანასკნელი მოდა" მოეფინა მთელს ჩვენს ლიტერატურას, მათ შორის პროლეტარულსაც და ამ „ჰეშმარიტ რუსული" ბლინების ქონიან ლაქად დააჩნდა. ნამდვილად კი, „ესენინშჩინა"—ჩვენი საალიტერატურო დრო-ის ყველაზე მეტად მავნე და ნამდვილი გამათრახების ღირსი მოვლენაა. ესენინი ნიჭიერია? რასაკვირველია. აქ განა დავა შეიძლება? მაგრამ ნიჭიერი იყო ბარ-კოვიც, პუშკინის ლექსის ეს პირდაპირი წინამორბედი. ფრიად და ფრიად ნი-ჭიერია „აკადემიკოსი" ბუნინიც. მერეჟკოვსკისაც კი ვერ წავართმევთ ამ თვი-სებას. ესენინის ლექსი ხშირად ვერცხლის წყაროსავით მორაკრაკებს. და მიუ-ხედავად ამისა, „ესენინშჩინა" მთლიანად—ეს არის საზიზღრად შეპუდრული, ურცხვად შეფერუმარილებული რუსული დედისგინება, ლოთური ცრემლებით მაგრად დასველებული და ამიტომ უფრო მეტად საზარელი, უცნაური ნაზავი „ხვადი ძალლისა", „ხატებისა", ჯიქნიანი დედაკაცისა", „წმინდა სანთელისა", მთვარისა, ძუკნებისა, უფალ-ღმერთისა, ნეკროფილებისა და ლოთური ცრემლების სიუხვისა; ეს არის ნაზავი „ტრაღიკული" ლოთური სლოკინის, რელიგიის, ხულიგნობის, ცხოველებისადმი „სიყვარულის" და ადამიანისადმი, განსაკუთრებით ქალისადმი ბარბაროსული დამოკიდებულებისა; ესაა ნაზავი უმწეო ცდებისა „ფართო გაქანებისადმი"—უბრალო დუქნის ოთხ ფრიად ვი-წრო კედლებს შორის, ნაზავი თავაშვებულობისა, რომელიც პრინციპის სიმაღ-ლეზეა აყვანილი. და ყველაფერი ეს იფარება მოსალოსე კვაზი-ნაციონალიზმის სარქველ ქვეშ. აი, რა არის „ესენინშჩინა".

გვეუბნებიან: იგი იყო გლეხთა პოეტი გარდამავალი ეპოქისა, ტრაღიკუ-ლად დაღუპული თავისი შეუგუებლობის გამოვო. არა, სავსებით ასე როდია, ძვირფასო მეგობრებო! გლეხიცაა და გლეხიც. ესენინის პოეზია თავისი არსებით არის მოლაქული ფეხსაცმლიან, „ლოთი-ფოთ ვაჭრად" („ухарь-купец") გადა-ქცეული მუეიკი, აბრეშუმის სარტყელითა და მოქარგული ბლუზით. „ლოთი-ფოთი" დღეს „დედოფლის" ფეხებს ემთხვევა, ხვალ კიდევ ხატსა ლოშნის; ზეგ შეიძლება მან დუქნის მოსამსახურეს ცხვირი მდოგვით მოუსვაროს, ხოლო შე-მდგომ „სულით და გულით" სინანულში ვარდება და ტირის, მზადაა ხვადს ჩაეკონოს და „სულის საოხად" წმ. სერგეის ტაძარს შესაწირი უძღვნას. მან,

შეიძლება თავიც კი ჩამოიხრჩოს თავისი შინაგანი სულიერი სიცარიელის სხვენში. „ძვირფასი“, „ნაცნობი“, „ჭეშმარიტ-რუსული“ სურათია!

იდეურად ესენინი რუსის სოფლის, ეგრედწოდებული „ნაციონალური ხასიათის“ ყველაზე მეტად უარყოფითს თვისებებს გამოხატავს: ცემა-ტყეპა, უდიდესი შინაგანი უდისციპლინობა და საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე ჩამორჩენილი ფორმების გალმერთება. ადამიანებში გამოსული, „ლოთი-ფოთ ვაჭრად“ ქცეული მუეიკი ხშირად კისერს იტეხს იმით, რომ „ლოლიკურ დასკვნამდე“ მიჰყავს თავისი „ნატურის“ „სიფართოვე“, ცნობილი „ჩემს ჟინს ნურვინ წინააღუდგებით“,—ის „სიფართოვე“, რაიც თუ დავაკვირდებით, ნამდვილად შინაგანი მოფუზულობა და უკულტურობაა. საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ ფონზე იგი სწორედ ასეთად გვეცლინება. ამისთანა „საშინლად ფართო“ პიროვნებათა ფრიად მაღალ თვითშეფასებასა და მათს ჭეშმარიტად მარადლაც რომ საბრალის „რეფლექსებს“ შორის წინააღმდეგობას—შეიძლება პიროვნულად ტრაგიკული აღსასრული მოჰყვეს. მაგრამ ჩვენ აქ საქმის მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი მხარე გვეინტერესება. ლიტერატურას საერთოდ და კერძოდ პოეზიას, ჭეშმარიტად უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ეს „გაცვეთილი აზრია.“ პოეზია—ხასიათს აყალიბებს. ისტორიაში ჩვენი ლიტერატურისა, რომელიც არ შეიძლებოდა, საუკეთესო შემთხვევაში, რადიკალურ-მეშჩანური არ ყოფილიყო, მოიპოება გაპოეზიებული თავაშვებულობის მთელი მონბლანები ძმა-მწერლებისა, რომელნიც ქეკლუცობით „ულურწავდენ პილატეს ცრემლებს“ (არაყს), რასაკვირველია „ხალხის საკეთილდღეოდ.“ თუ წინანდელ დროს თავისი საკუთარი ინტელიგენტური წვინტლიანობით, უმწეობით, უხასიათობითა და საბრალობელი დონდლეობით ქეკლუცობა საზიზღარი იყო,—იგი უკვე პირდაპირ შეუწყნარებელია ჩვენს დროს, როდესაც სულ სხვა ხასიათები გვესაჭიროება,—ენერგიულნი, ნებისყოფიანნი და არა მჩეარი, რომელიც დიდი ხანია სანაგვეში გადასაგდებია.

ლიტერატურულ წვინტლიანობის ამ საბრალობელ ტრადიციას „მძლავრს“ ბურჯობას უწევს „ესენინშჩინა.“ მას გაპოეზიებული უხასიათობა—გაპოეზიებული ხულიგნობისა, მოქეიფე „ჭეშმარიტ-რუს“ ლოთი-ფოთობის სიმაღლეზე „აჰყავს“. ეს არის „ესენინშჩინის“ ღერძი და არა „საბჭოური“ მიმართებანი, სრულიად უცხონი და დაუძლეველნი ესენინისათვის, რომელიც მთელი თავისი ემოციონალური ფესვებით გარემო ცხოვრებიდან სულ სხვა წვენს სწოვდა.

სირცხვილის აღმურით ვკითხულობდით მთელ იმ საგანსვენებო „ლიტერატურას“, დაღუპულ პოეტის ხსოვნას რომ მიუძღვნეს. ეს ლიტერატურა თითქმის მთლად იმავე გზით მიდიოდა. „ძმა-მწერლები“ სლოკინით ჩასცეებოდენ განსვენებულს ესენინს: „Давай, Сережа, ангел мой, я тебя поцелую.“

და ტიროდენ არც თუ მაინცა და მაინც ფხიზლის ცრემლებით...

მე ვიცი, ესენინის თაყვანისმცემლებს, თაყვანისმცემლებს ორივეა სქესისა.—ძალიან აღაშფოთებთ ამ სტრიქონების სიავე. მაგრამ საჭიროა „ესენინშჩინას“ კარგა ლაზათიანად მოვსცხოთ. საჭიროა ზოგიერთი ცოტა გონს მოვი-

დეს, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედოს. ხანდახან ეს ფრიად და ფრიად სასარგებ-
ლო რამაა.

ჯერ კიდევ ომის დროს ლენინი სწერდა: „ჩვენ აღსავსენი ვართ ერთვ-
ნული სიამაყის გრძნობით, რადგან ველიკოროსმა ერმაც წარმოშვა რევოლუ-
ციონური კლასი, მანაც დაამტკიცა, რომ უნარი აქვს კაცობრიობისადმი თავისუფ-
ლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი ნიმუშების მოცემისა და არა
მარტო უნარი „პოგრომების," მთელ რიგ სახრჩობელათა, საპყრობილეთა, დიდი
შიმშილობისა, ხუცესთა, მეფეთა, მემამულეთა და კაპიტალისტების წინაშე
დიადი ქედმოხრილობისა. ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით
და სწორედ ამიტომ გვძულს ასე მძაფრად ჩვენი მონური წარსული. ვერავის
დაედება იმის ბრალი, რომ იგი მონად დაბადებულა. მაგრამ ისეთი მონა, რო-
მელიც არა თუ ერიდება თავისუფლებისადმი მისწრაფებას, არამედ ამართლებს
და შეალამაზებს კიდევაც თავის მონობას,—ასეთი მონა არის ალშფოთების,
ზიზღისა და სიძულვილის კანონიერი გრძნობის გამომწვევი მლიქვნელი და
ქამი."

ასე აყენებდა ლენინი ველიკოროსთა „ნაციონალური სიამაყის" საკითხს.
მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო და ველიკოროსმა ერმა თავისი მუშათა კლა-
სის სახით გმირობის, რევოლიუციონური აღტყინების და დიადი შემოქმედებითი
ენერგიის შეუდარებელი ნიმუშები მოგვცა. ყველაფერ ამით ჩვენ, ველიკოროს-
ებს შეგვიძლია ვიამაყოთ და უნდა ვამაყობდეთ კიდეც. მაგრამ აი, რა არის
საინტერესო: ჩვენს ლიტერატურაში უკვე ამოიწია, როგორც საფუარიდან,
„ველიკოროსთა სხვა სიამაყემ," რომელიც სწორედ ამ მონურს წარსულს და-
მღერის. მართლაც და, რა არის დარჩენილი აწმყოში ზემოხსენებული მონური
წარსულიდან?

ესაა სიბნელე, უვიცობა.

ესაა ცემა-ტყეპა.

ესაა ლოთობა. ესაა არყისა და ცრემლების „უძირო, ლურჯი ზღვა",
როგორც მშვენივრად, არა ესენინურად სთქვა მოხუცმა გლეხმა მოსკოვის
კონფერენციაზე.

ესაა დედისგინება.

ესაა დონდლეობა, შრომისადმი უპატივცემლობა, ხულიგნობა,

ესაა „საკმეველი", „ხატები", „წმინდა სანთლები" და „კანდლები".

ესაა შოვინიზმის ნაშთი: „на кой же чорт мне иные страны".

ესაა ქალებისადმი ლორული მოპყრობა.

ესაა შინაგანი თავაშვებულობა, თავის თავზე მუშაობის უნარის უქონლობა,
ობლომოვობის, ინტელიგენტური ამპარტავნობის, ყოყოჩობის და მუშაობის მო-
ნური ტემპის ნაშთები.

მთელ ამ ჩვენს მონურ ისტორიულ წარსულს, რომელიც ჯერ კიდევ ცოც-
ხალია ჩვენში, დამღერის და მაღლა. კვარცხლბეკზე აჰყავს ესენინისა და მის
მრავალრიცხოვან მიმბაძველთა თავაღებულსა და იმავე დროს ლოთურ-მტირალს
პოეზიას. ამავე ხაზით სწარმოებს ახალ პოეზიაში „რუსული საწყისის" შექება.

ხოლო იდეოლოგიის მწვერვალებზე იფურჩქნება ტიუტჩევისა და სხვებისადმი მიბრუნება. ან კი რატომ არა?

Умом России не обнять,
Аршином общим не измерить!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია ახლა არშინის მაგივრად უფრო მეტრს ხმარობენ. ისიც მართალია, რომ „ნაციონალური სიამაყის“ იდეოლოგებს შეგნების სხვა ორგანო, გარდა ტვინის, „ჭკუისა“—ჯერ ვერ გამოუნახავთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი დაჟინებით ურტყამენ ჩვენს საბჭოთა საზოგადოებრივობის ქვას და თავიხ სახარების მიხედვით აეროვნულებენ ჩვენს ლიტერატურას. ზოგიერთი მიამიტები კი მათს სტვენას აჰყოლიან, ბანს ეუბნებიან და ვერ გაურჩევიათ კი, სად რა და როგორაა საჭირო.

„На кой же чорт иные страны“—აი, ერთი საზომი მეშჩანინის „ნაციონალური სიამაყისა“. „Умом России не понять“—აი, მეორე, ცოტა უფრო კვალიფიციური საზომი. ცოტაოდენი ლათაიები „ყობოებისა“ (жиды), „ინოროდცების“ შესახებ,—აი, კიდევ ერთ-ერთი ფორმა მეშჩანური გრძნობუკების აღზრდისათვის. აი, ასე ნელი-ნელ აცოცებს ჩვენსკენ თავის იდეოლოგიურ თითებს რუსეთის ახალი ბურჟუაზია, სულ ერთია, შეგნებული აქვთ ეს მისი (ბურჟუაზიის) გავლენის პროლეტარიატში, განსაკუთრებით პროლეტარულ ახალგაზრდობაში გამტარებლებს თუ არა.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ „ესენინშჩინას“ უდიდესი გასავალი აქვს და ამნაირად იგი მავნე საზოგადოებრივ ძალად ხდება. უეჭველია იგი გადამდებ სენად მოსდებია ჩვენს კომკავშირელ ახალგაზრდობასაც.

რაშია საქმე, რატომაა ასე?

რასაკვირველია, უპირველესად ყოვლისა საქმე ისაა, რომ ჩვენებურ ახალგაზრდობას ახასიათებს შრომის კულტურის ფრიად დიდი, მეშჩანური ნაკლებობა. ამ ნაკლებობას ზოგიერთი თავქარიანი „ვაჟი“, რუსული სისულელისა გამო, თითქოს სიკეთედ და ისიც კომუნისტურ სიკეთედ სთვლის.

მაგრამ საქმე მარტო ეს როდია.

საქმე ისაა, რომ ჩვენ თვითონაც ძალიან ნაკლებად გვესმის წინამდებარე იდეოლოგიური ამოცანები. ნება მომეცით, მკითხველო, ახლა სხვა ფრონტზე დავკბინო ხალხი.

ჩვენ გასაოცრად ერთფეროვან იდეოლოგიურ საზრდოს ვიძლევით. მე ამას იმ აზრით როდი ვამბობ, რომ ეს საზრდო ერთნაირი კომუნისტური რეცეპტით არის შემზადებულ-მოხარშული. პირიქით. ეს გარემოება ძალიან კარგიცაა. საერთოდ, რაც უფრო მეტი იქნება ასეთი მთლიანობა, მით უკეთესი. მაგრამ საქმე ისაა, რომ აქაც ჩვენში ივიწყებენ მომხმარებლის ინტერესებს: მომხმარებელს ხშირად მისდის ბეჭედდაკრული პარაგრაფები და ცირკულიარები ისეთი მოსაბეზრებელი ერთფეროვანებით დაწერილი, რომ შეუჩვეველს კაცს გული აერევა.

წინად ამბობდენ: კურდღელს კუდზე ფეხი მაგრად რომ დააჭირო, იგი წუმწუმის ანთებასაც დაიწყებსო. ახლა ამ თქმაში შესწორება შეაქვთ და გვიმ-

ტკიცებენ: თუ კურდღლის ზემოხსენებულ კუდს სათანადოდ მოექეცით, ანი (კუდის) პატრონი ციტატების შეკოწიწებასაც ისწავლისო. მაგრამ, მე შეგნია, კურდღელიც კი აგიმბოხდებათ, თუ იგი დღისითა და ღამით ერთიანად ემეფე იდეური მასალით ჰკვებეთ.

კომუნისტური იდეოლოგია, რასაკვირველია, ბევრად უფრო მეტი ტევადობისაა, ვიდრე, ვთქვათ, ფასების დაკლების საკითხი, თუმცა ეს უკანასკნელი საკითხიც მნიშვნელოვანია. საერთოდ კომუნისტები და მუშები მოსიარულე აბსტრაქციებს როდი წარმოადგენენ: ისინი ცოცხალი ადამიანები არიან, სისხლი და ხორცი აქვთ. არაფერი ადამიანური მათთვის უცხო არაა. ისინიც იტანჯებიან, ხარობენ, იბრძვიან, უყვართ ვინმე, ცხოვრობენ, კვდებიან. თვითეული მათგანი პიროვნებაა და არა საშუალო სტატისტიკური ციფრი, არა ინდექსი, არა პარაგრაფი ან აბზაცი მიმდინარე მომენტის შესახებ რეზოლიუციისა.

გარდამავალი ეპოქის ცხოვრება ისეთი მდიდარია, ისე არაჩვეულებრივად რთულია, იგი იმდენად გატენილია წინააღმდეგობანითა და საზოგადოებრივი, საყოფაცხოვრებო თუ პირადი კონფლიქტებით, რომ აქ ასპარეზი აქვს დრამებს, ტრაგედიებს, კომედიებსა და ლირიკას; აქ ასპარეზია მეცნიერების, ფილოსოფიის ზოგადი მსოფლმხედველობის უფართოესი ინტერესების გასაშლელად, გასაშლელად ყველა იმისა, რასაც კაცობრიობის „სულიერი კულტურის“ სახელი ეწოდება.

ჩვენში, საჭიროა ამაში გამოვტყდეთ, აქაც ადგილი აქვს „მაკრატელს“ მასათა მოთხოვნასა და პროდუქციის ლირსებას შორის.

რითი იტაცებს ესენინი ახალგაზრდობას? რატომ არის, რომ ჩვენს ახალგაზრდობაში „ესენინის ქვრივთა“ წრეები არსებობს? რატომაა, რომ ხშირად კომკავშირელს „კომუნისტის თანამგზავრის“ გვერდით ესენინის წიგნაკი უდევს? იმიტომ რომ ჩვენა და ჩვენი იდეოლოგები არ შეეხებივართ ახალგაზრდობის იმ სიმებს, რასაც შეეხო (თუნდაც არსებითად მავნე ფორმით) სერგეი ესენინი.

აქ თავისთავად წამოიჭრება დიდი მნიშვნელობის დასკვნა. შეუძლებელია ჩვენი ახალგაზრდობა საცხენო დოზებით ვკვებოთ ერთისავე და იმავე მასალით. უფრო მეტი სხვადასხვაობა საკითხებისა! უფრო მეტი ყურადღება განსაკუთრებული ფსიხოლოგიის მქონე ცოცხალ ადამიანებს! მეტი ყურადღება ცხოვრებას მის მრავალფეროვანებით, ნაირნაირობითა და გასაოცარი სირთულით. ნაკლებად იყოს ბეჭედდაკრული, არა სავსებით ხეირიანი მასალა, ეს ბიუროკრატიული იდეური შემოქმედების ნაყოფი!

ახლა ორიოდე სიტყვა ჩვენი პროლეტარული პოეტების მიმართ. „უკვე რამდენჯერ გვითქვამს საქვეყნოდ“, რომ ჩვენი „პოეტური მონაცვლეები“ იმ საქმეს როდი აკეთებენ, რასაც უნდა აკეთებდენ. ყველა პოეტები კრიტიკოსებად, ორგანიზატორებად და პოლიტიკოსებად იქცნენ და ცხოვრების შესწავლის საქმეს კი, საკუთარ თავზე მუშაობას კი ჩამორჩნენ, დაჰკარგეს მასებთან ცხოველი პოეტური ხმის საშუალებით ის კავშირი, რა კავშირობასაც ისინი უნდა ეწეოდენ. და აი, როდესაც ცხოვრების იძულებისა გამო ისინი ცდილობენ „ამღერებას“, უცბად აღმოჩნდება ხოლმე, რომ მათი ლირიზმი, თუნდაც ყველაზე „შეუ-



რიგებლებისა“, სხვისი ნათქვამის გადამღერებაა. ცრემლები დასაშვებია, მაგრამ რატომ უეჭველად ლოთური სლოკინით? სევდაც დასაშვებია, მაგრამ რად გვჭირდება დამპალი „ваши пальцы пахнут ладаном“ ა ლ ... ბარეში?

ამ დამპალს რამეებს თავი უნდა ვანებოთ. რაც უფრო ... ეს, მით უკეთესი. ჩვენ მოსიარულე ხატები როდი გვჭირდება, თუნდაც იგი ფრიად და ფრიად პროლეტარული ტიპისა იყოს. არ გვჭირია ეს ხატები, რომელთაც აუცილებლად მანქანები უნდა ჰკოცნონ, ანა და გამოხატონ ზესაშინელი „ურბანიზმი“, რომელსაც ნიადაგი არა აქვს, ვინაიდან მოსკოვში ჯერ კიდევ ჰყივიან მამლები და არც ექნება ნიადაგი, რადგან ჩვენ ვიცავთ „სოფელთან ქალაქის გაერთიანებას.“ ჩვენ გვჭირია ლიტერატურა ხალისიანი ადამიანებისა, ცხოვრების ორომტრიალში მონაწილეთა, მედგარი მშენებლებისა, ცხოვრების მცოდნეებისა და გახრწნილის, სიდამპლის, საფლავის მთხრელობისა, ლოთური ცრემლებისა, ფეხებზემკიდიობისა, ყოყოჩობისა და სალოსობისადმი ზიზღით მაცქერალთა. ბურჟუაზიის უდიდესი ადამიანები იყვნენ არა მოქეიფენი, გენიოსი ლოთი ვერლენის მსგავსნი, არამედ ისეთი გიგანტები, როგორიცაა გიოტე, ჰეგელი და ბეთჰოვენი, რომელთაც ისეთი მუშაობა იცოდენ, რანაირიც სხვას არავის სცოდნია. პროლეტარიატის უდიდესი გენიოსები—მარქსი, ენგელსი ... ლენინი—უდიდესი მუშაკები იყვნენ. ნეტარნი და გლახაკნი „სულით“, სახელისათა ქრისტესათა მოსალოსენი და კაფე-შანტანების „გენიოსები“ ნახევარ საათით—შორს ჩვენგან! უფრო მეტი სიახლოვე იმ შესანიშნავი ცხოვრებისადმი, დედამიწაზე რომ იფურჩქნება: მეტი სიახლოვე იმ მასებისადმი, ქვეყნიერებას რომ გარდაქმნიან!

მიხ. კახიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იდეოლოგიურ ფრონტზე*)

ინტელიგენცია

ჯერ ავიღებთ ინტელიგენციის განწყობილებას,—ის რამდენათმე გამობატულებას პოულობს ქართველ მწერლებში, ქართულ ლიტერატურაში. 1925 წ. საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის შესრულების მომენტში გამართული იყო ქართველ მწერალთა ყრილობა, რომელმაც მიიღო დეკლარაცია, სადაც ის აცხადებს, რომ სავსებით დგას საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და სხ. მაგრამ, ასეთ დეკლარაციებს იქით, რომლებიც ამჟამად ჩვენთვის არაა საკმაო, ქართველი მწერლები არ წასულან და ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ისინი, როგორც ინტელიგენციის ერთ-ერთი რაზმი, ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას ჩვენი შშენებლობის საქმეში.

მიუხედავად ასეთ დეკლარაციებისა, ჩვენ მოწამენი ვართ ისეთი გამოსვლების, რომლებიც არ ეთანხმება საბჭოთა არსს.

მოვიყვან ორ მაგალითს ქართველ მწერლების ორგანო—ჟურნალ „ქართული მწერლები"-დან 1926 წ. აგვისტოში, იმ მომენტში, როცა ჩვენ წინაშე ვაყენებთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანას, ერთი ქართველი პოეტთაგანი, ეგრედ წოდებულ ახალ მიმართულების („ცისფერი ყანწები") წარმომადგენელი ვალერიან გაფრინდაშვილი სწერს ამ ჟურნალში, მაგალითად შემდეგს:

„წყეული იყოს დიდი ქალაქი,
ჩემგან ვით ციხე უარყოფილი,
მე მირჩევნია ქუჩას—ჭალაკი,
ჩემი საშშობლო არის სოფელი!
და ცისარტყელა სჯობია კინოს,
ჩრდილს კოშკებისას—ჭადარის ჩრდილი,
ავტომობილის შეჭავ სირინოზს
სჯობს უსათუოდ ურმული ტკბილი!"

მას, ხედავთ, არ სურს არც ქალაქის მოძრაობა, არც მაშინიზაცია, არც ელექტროფიკაცია, ჩვენ ვატარებთ ინდუსტრიალიზაციას, ვალერიან გაფრინდაშვილს კი ეს საქმე სრულიად არ აინტერესებს, მას ურემზე ჯდომა ურჩევნია.

*) აკად. კახიანის მოხსენებიდან—ტფილისის პარტკონფერენციაზე 11 იანვ. 1927 წ.

(სიცილი). ეს მისი საქმეა,—დეე იჯდეს მისთვის ურემზე და იმღეროს. ჩვენ მას ხელს არ შეუშლით, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ მშრომელებს ამგვარი სიმღერები ეხლა არ შეეფერება. ეხლა 1926—27 წ. ჩვენ ასეთ მწერლებს და პოეტებს უნდა უთხრათ, რომ საჭიროა ცოტათი გამოსცვალონ თავიანთი გრამაფონის ფირფიტები.

აი, კიდევ ამავე ჟურნალიდან აბაშელის ლექსი. აბაშელი ლექსით სწერს ბარათს ნოე ჩხიკვაძეს. რა თქმა უნდა, შეიძლება ბარათის მიწერა ნოე ჩხიკვაძისათვის, თუმცა ის უკვე მკვდარია, მაგრამ ვნახოთ რა ლექსს უძღვნის ნოე ჩხიკვაძეს ეს აბაშელი. ამ ლექსის უკანასკნელ აბზაცში ნათქვამია მაგალითად შემდეგი:

„მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი—
დაეცა ლოცვა და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი,
და ახალს—ჩრდილი შეშოესია.
გაგიკვირდება: ლექსს რად არ ჰშველის,—
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად,—
ციდან ქუხილი ბარათაშვილის.
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა?
ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან.
ლექსი დაალრჩო წვრილმა ამბებმა,
ამონაწერმა გაზეთებიდან.“

როგორც სჩანს ავტორი უკმაყოფილოა, რომ ჩვენ ამჟამად არ ვბეჭდავთ ყოველგვარ ანტისაბჭოთა აბდა-უბდას და აბაშელის ლექსების ნაცვლად ვათავსებთ სხვა მასალას, რომელიც გაცილებით უკეთ სახავს საბჭოთა ყოფაცხოვრებას. უნდა ითქვას, რომ ეს აბაშელი უკანასკნელ დრომდე მუშაობდა სახელგამში, იმყოფებოდა საბჭოთა ჯამაგირზე და ამავე დროს მოახერხა 1927 წ. შეედგინა ისეთი საბჭოთა კალენდარი, სადაც, რაც უფრო უაბლოვდებით 26 მაისს, დაბეჭდილია ისეთი სხვადასხვა ლექსები, რომლებშიაც გაკვრით არის ლაპარაკი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ასეთი მიკიბ-მოკიბული ენით ლაპარაკობენ იმ იმედით, რომ ჩვენ მას ვერ გავიგებთ. არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომლებიც ფიქრობენ, რომ კომუნისტები სათანადოთ ვერ ერკვევიან ლიტერატურის საკითხებში. აშკარად უნდა ითქვას, რომ ჩვენ არავის უფლებას არ მივცემთ კონტრაბანდათ გააპაროს ყოველგვარი ანტისაბჭოთა საქონელი. ჩვენ ვსცდილობთ ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ ინტელიგენცია, საამისოდ ჩვენც ვმუშაობდით და ვმუშაობთ, მაგრამ ჩვენ გადაჭრით ვიბრძოლებთ ანტი-საბჭოთა სულისკვეთების ასეთი გამომჟღავნების წინააღმდეგ ინტელიგენციაში.

თუ ავიღებთ ქართველ ინტელიგენციას მთლიანად, იგი შეიძლება დაყოფილ იქნეს დაახლოვებით სამ ძირითად ჯგუფად.

პირველ კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს ინტელიგენციის დიდი და საუკეთესო ნაწილი, რომელიც საბჭ. ხელისუფ. დამყარების დღიდან ჩვენთან მუშაობს და აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩვენს აღმშენებლობაში. ასეთი ინტელიგენციის საუკეთესო მაგალითია ინჟენერი ბ. ჭიჭინაძე, რომელსაც საბჭოთა ხე-

ლისუფლებამ მიანდო ორი დიდი საქმე—ზაჰესის აშენება და საქართველოს ს. მ. უ. ს. ხელმძღვანელობა. ჩვენი დამოკიდებულება ასეთ უპარტიო ინტელიგენტებთან, რომლებიც ჩვენს მხარეზე მუშაობენ, საკვლევია; [illegible] ნდობისა, დახმარებისა და ყურადღებისა.

მეორე ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს ქართველი ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც თუმცა უკვე 6 წელიწადია ჩვენთან მუშაობს, მაგრამ მაინც რაღაცას უცდის და პასიურად, ყოველგვარი ენტუზიაზმის გარეშე ასრულებს თავის მოვალეობას. ასეთი ინტელიგენციის ნათელი მაგალითია სეით დევდარიანი, მისი რუკვით და ერთ წერტილზე გაყინვით. ასეთ ინტელიგენტებთან, რომლებიც რაღაცას უცდიან, ჩვენც სათანადო დამოკიდებულება უნდა გვქონდეს: ჩვენც უნდა დავიცადოთ და ფხიზელი თვალყური უნდა ვადევნოთ მათ. ძირითადი ამოცანაა აქ—მათი გარდაქმნა და ხელახლა აღზრდა საბჭოთა სულისკვეთების ნიადაგზე.

მესამე ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს ინტელიგენციის მეტად მცირე ნაწილი, რომელიც ჩვენს მიმართ აშკარად მტრულად,—სახანჯლოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის განწყობილი. ისინი ზოგან ჩვენს დაწესებულებებში მუშაობენ და ყველგან და ყოველთვის სცდილობენ ზიანი მიაყენონ საბჭოთა საქმეს. რასაკვირველია, ასეთი ინტელიგენციის მიმართ ჩვენ არ შეიძლება გვქონდეს რაიმე ნდობა, რაიმე დახმარება. ჩვენი ამოცანაა—პირველ რიგში განვათავისუფლოდ მისგან ჩვენი საბჭოთა დაწესებულებები.

აი, დაახლოებით ის, რისი აღნიშვნაც შეგვიძლია ჩვენ ჩვენი ინტელიგენციასთან და ინტელიგენციის ჩვენთან დამოკიდებულების შესახებ.

თ ე ა ტ რ ი

შემდეგ მე მინდა შევეხო ქართულ თეატრს, რომელიც ჩვენი აგიტაციის იარაღი უნდა იყოს.

როგორი მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ამ მხრივ?

ავიღოთ რუსთაველის აკადემიური თეატრი. მან, მართალია, უკანასკნელი დროის განმავლობაში ტექნიკური მიღწევების მხრივ ძალიან ბევრი გააკეთა, რეპერტუარის მხრივ კურსი აიღო მარცხნივ, დადგა ისეთი პიესა, როგორიც არის „ზაგმუკ“ და დასადგმელად ამზადებს „საჭე მარცხნივ“-ს; ეს ძალიან კარგია, რომ მან საჭე მარცხნივ მიმართა, მაგრამ ამ თეატრში ადგილი აქვს ერთ არანორმალურ მოვლენას. ეს ის არის, რომ იქ არსებობს ჯგუფი „დურუჯი“, რომელიც პრეტენზიებს აცხადებს მონოპოლიურ უფლებაზე თეატრში. ამ კორპორაციის დაარსება ხდებოდა სხვა პირობებში, როდესაც ეს პროგრესიული და რევოლიუციონური მოვლენა იყო, რამდენათაც ეს არტისტები იბრძოდენ ძველ მეთოდებთან და რეაქციონურ ტრადიციებთან და რამდენადაც ისინი სცდილობდენ მარცხნივ მიემართათ საჭე, მაგრამ ეხლა „დურუჯი“ თავის საწინააღმდეგო მოვლენად გადაიქცა და იგი საჯარალო ხდება თეატრისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო თეატრის არტისტი არ შეიძლება ეკუთვნოდეს რაიმე კორპორაციას, რომელსაც რაღაც თავისი წესდება აქვს და რომელიც თავისი შეხედულებისამებრ მუშაობს.

აქედან საჭიროა გამოტანილ იქნეს სათანადო დასკვნები სახელმწიფო თეატრის გაჯანსაღების მხრივ, იმ მიზნით, რომ იგი დაუახლოვოთ მუშებს და მშრომელთა მასებს, რომლებმაც ძალიან ცოტა იციან ამ თეატრის არსებობის შესახებ.

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲒᲑᲐ

ეხლა ჩვენი მარცხენა ფლანგის შესახებ. რა გვაქვს ჩვენ ლიტერატურის დარგში? ჩვენ არც ისე ღატაკნი ვართ. ჩვენ გვაქვს პროლეტარული მწერალთა კავშირი. ეს ასოციაცია, მართალია, სათანადოთ ვერ მუშაობს. მათ დაიწყეს იმით, რომ გამოსცეს ჟურნალი „ლიანდაგი". ჩვენ ვსთქვით, რომ საკმარისი არ არის მარტო სახელწოდება, საჭიროა რომ მათ გამოამჟღავნონ შემოქმედებითი ტენდენცია. მაშინ მათ შესცვალეს ეს სახელწოდება და რატომღაც ამოირჩიეს „მერცხალი." მე არ ვიცი, რატომ უნდა გამოხატოს ამ მერცხალმა ქართული პროლეტარული პოეზია. უკანასკნელი დროის განმავლობაში პროლეტარულმა მწერლებმა რამოდენიმეთ გააცხოველეს თავისი მუშაობა, აირჩიეს პრეზიდიუმი, სამდივნო, ფიქრობენ ახალი ჟურნალის გამოცემას, მართავენ თვითმოქმედების საღამოებს, სადაც კითხულობენ მოხსენებებს და ლექციებს. ისინი ერთგვარ აქტივობას იჩენენ. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. თუ მათ უნდათ ნამდვილი ჰეგემონები გახდენ ჩვენს ლიტერატურაში, ჰეგემონია კი შეიძლება მოპოვებული იქნეს მხოლოდ ბრძოლის პროცესში, მათ უნდა მოამზადონ და გამოუშვან თავისი კარგი მხატვრული პროდუქცია, ამისათვის კი საჭიროა სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა. თუ ჩვენ გვინდა დავიპყროთ იდეოლოგიური ფრონტი, საჭიროა გვყავდეს მომზადებული მწერლები და დიდი ყურადღება მივაქციოთ მათ მუშაობას.

ᲞᲝᲚᲝ ᲡᲘᲪᲮᲚᲘ

ეხლა იმ საკითხების ჯგუფის შესახებ, რომელნიც ეკუთვნიან ჩვენს ბრძოლას იდეოლოგიურ ფრონტზე.

მე კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ამის შესახებ ბევრი ითქვა ამ კონფერენციაზე. ეს გასაკვირველი არაა იმიტომ, რომ თუ ჩვენ სწორად გვინდა გადავსწყვიტოთ სოციალისტური აღმშენებლობის საკითხი, მაშინ ჩვენ სათანადო თეორეტიული საფუძველი უნდა გვექნეს, რომლის ხაზი უნდა გავატაროთ ჩვენი აღმშენებლობის ყველა დარგებში.

აქ ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ მუშა მუშფაკელებს სურთ მეცადინეობა, მაგრამ სტიპენდიის რაოდენობა არის იმდენად მცირე, რომ არ უზრუნველჰყოფს ნორმალური მეცადინეობის პირობებს. ეს მართალია. განათლების სახალხო კომისარიატმა უნდა იფიქროს იმაზე, რომ შეამციროს ხარჯები „ფუფუნების" საგნებზე და ცოტა-ოდნად მაინც გაადიდოს სტიპენდიები.

აქ აღნიშნეს, რომ მუშები ვერ დადიან თეატრებში ფასების სიძვირის გამო. ესეც მართალია. აქ ნაწილობრივ დამნაშავენი არიან ჩვენი პროფკავშირები. მე, მაგალითად, დავსვი მუშათა ზოლის გატარების საკითხი. მაგრამ პროფკავშირები რატომღაც უწევენ ამას წინააღმდეგობას, ამბობენ, რომ არ არსებობს ამის აუცილებლობა, ვინაიდან რაიონებში იდგმება წარმოდგენები, ცენტრში კი მუშები სულ ერთია. არ წავლენ. რატომ ფიქროფთ თქვენ, რომ მუშა არ წავა ოპერაზე ან რუსთაველის თეატრში? ასეთი ოპეკუნობა რამდენადმე ჩინოვნიკურ ხასიათს ატარებს. ჩვენ მაგალითის აღება მოგვიხდება სხვა ცენტრალური ქალაქებიდან და ტფილისშიაც უნდა გავატაროთ მუშათა ზოლი იმისათვის, რომ მუშებმა ხელმისაწვდომ ფასებში შესძლონ თეატრებში სიარული.

იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე ცოტა გადაამლაშა ამხ. სალუქვაძემ. იგი კარგად ლაპარაკობდა, როგორც შეფერის კომკავშირის წარმომადგენელს, დიდის ენერგიით, მაგრამ ერთგვარი გადამლაშება იყო სახელდობრ, [illegible] იგი მოითხოვდა მთელი არა კომუნისტური, მთელი არა პროლეტარული ლიტერატურის შეკუმშვას. ეს არ შეიძლება. ამხ. სალუქვაძე მართალია, რომ ყოველ არასაბჭოთა ნაწარმოებზე მაშინვე უნდა უპასუხოთ. ეს მართალია, ჩვენთვის აუცილებელია გვქონდეს ჩვენი მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა. ჩვენში კი ხშირად ხდება, რომ რეცენზია არაფრად არ ვარგა. ამას წინედ გამოვიდა ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება". ამ ჟურნალის რედაქციაში 5—6 კომუნისტი ზის. პირველი ნომრის მოწინავე წერილში ისინი დაგვპირდენ სერიოზულ მარქსისტულ კრიტიკას. მე ვნახე ჟურნალი და აღმოჩნდა, რომ ჟურნალმა სრულიად ვერ შეასრულა მოწინავეში მოცემული დაპირება. მოწინავე წერილი დასწერა ერთმა ამხანაგმა, დანარჩენი კი სხვებს მიანდო, რომელნიც ყოველგვარ ტუტუცურ წერილებს სწერენ, როგორც მაგ., იმას, რომ ჟურნალ „ქართული მწერლობა", რომელიც არაა ჩვენი ორგანო, მეტად კარგი ჟურნალია და უფრო და უფრო უმჯობესდებაო. მე პირადად ვფიქრობ, რომ ჟურნალი სულ უფრო და უფრო უარესდება. ეს ჟურნალი არის არა საბჭოთა ხელოვნების, არამედ დომხალის. კომუნისტებისათვის, რომლებსაც ჩვენ ვგზავნით იდეოლოგიურ ფრონტზე, საკმაო არაა ლიტერატურაში ჰეგემონობის მხოლოდ სურვილი. საჭიროა ამისათვის რამის კეთება. საჭიროა, რომ მტკიცე და ხანგრძლივი შრომით მოიპოვო ჰეგემონის უფლება.

ამხ. სალუქვაძე ამბობდა, რომ არ ვარგა თაგუნას „თამარ ცბიერი"— ვეთანხმები, რომ ეს კონტრრევოლიუციონერული იუმორია. ადამიანს რომელიც არის მენშევიკი, არ შეუძლია ნამდვილი, ჯანსაღი სიცილი. სიცილი შეუძლია მხოლოდ კომუნისტს, რომელიც ხედავს რაიმე უმსგავსოებას და ჩვენი თვალსაზრისით დასცინის მას. როცა იცინის მენშევიკი, ეს გამოდის არა სიცილი, არამედ ღვარძლიანი ხითხითი ჩვენს პოლიტიკაზე. თაგუნა იცინის ჩვენს პოლიტიკაზე ყოფილ მენშევიკების მიმართ, იცინის მუშათა დელეგატების ჩამოსვლაზე, რაიც დიდი მიღწევაა ჩვენთვის. ერთი სიტყვით ის დასცინის ჩვენს პოლიტიკას და ამას მეტად მოხერხებულად სჩადის. (ხმები: რატომ გაუშვით?) იმიტომ, რომ ხდება შეცდომები.

ასე, რომ ამ მხრივ მე ვეთანხმები ამხ. სალუქვაძეს, რომ თაგუნა არ ვარგა, მაგრამ არ ვეთანხმები მას, როცა იგი ამბობს, რომ კარგია სერგეი ერისთავის „ნაწარმოები". მე ვფიქრობ, რომ სერგეი ერისთავის „ნაწარმოები" არის ნაწილობრივ პორნოგრაფია და ნაწილობრივ ხალტურა. ასე, რომ თქმა იმის, რომ იგი გამოდგება ჩვენი სატირისა და იუმორის ნაწარმოებად, ზედმეტია. ჩვენ გვყავს პროლეტარული იუმორისტი სილიბისტრო თოდრია. მას ეხლა დიდი თანამდებობა უჭირავს—ცაკის მდივანია. მაგრამ იგი მაინც სისტემატიურად უნდა შეუდგეს ლიტერატურულ მუშაობას, რომ შექმნას ნამდვილი ჩვენი იუმორი და გაანადგუროს ყველა ეს თაგუნები და მენშევიკების სხვა თაგვები. (ტაში)

მიხ. ზანდუკელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში

I

მე-XIX-ტე საუკუნე მდიდარია არა მარტო თავისი არაჩვეულებრივი შინაარსით — აღმოჩენებით და მიღწევებით. მდიდარია აგრეთვე თავისი არაჩვეულებრივი განთიადითაც.

მე-XVIII-ტე საუკუნის მეორე ნახევარი, საფრანგეთის დიდი რევალიუცია თავისი მოსამზადებელი ხანით და შედეგებით მთელი კაცობრიობის ისტორიაში არაჩვეულებრივი დაჭიმვის ხანაა. ამ ხანამ მე-XIX-ტე საუკუნის ცისკარი შეღება წარმტაცი იმედებით და მწარე იმედგაცრუებულობით, ბედნიერების პოვნის აღტყინებით და სინამდვილეში საშინელი მსხვერპლის განწირვით, თავისუფლების ქვეყნის მოახლოების და დამყარების რწმენით, თანამედროვეთათვის კი თითქოს მასთან დაშორებით.

ეს ხმა არაჩვეულებრივი და ძლიერი იყო არა მარტო საფრანგეთისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის. ამ ხანამ ძირითად შეარყია არა მარტო საფრანგეთი, არამედ მთელი კაცობრიობაც.

ეს ხანაა ძველის მტვრევისა და ნგრევისა, ახალის აუცილებლობისა, ახალს პრინციპებზე. ეს მეტად ძლიერი და **მტკივნეული გარდაქმნის ხანაა.**

კაცობრიობის ასეთი აბობოქრებული ვნებათა და აზრთა ღელვის დროს, ბუნებრივია, ლიტერატურა, როგორც ერთ-ერთი მძლავრი ნაკადი ცხოვრებისა, მისი ცოცხალი ანარეკლი, ვერ შეადგენდა გამონაკლისს, ისიც უნდა წასულიყო ახალი გზით, ახალი მისწრაფებით, ახალი შინაარსით.

აი ამ რევოლიუციის ხანის ალში და შემდეგ მის განელებულ მდიდარ კერაზე ჩნდება და ხორცს ისხამს ის დიადი ლიტერატურული მიმართულება, რომელმაც მიიზიდა და დაიპყრო მთელი კაცობრიობის მოწინავე საზოგადოების გრძნობა და გონება მე-XIX-ტე საუკუნის 30-იან წლებამდის და რომელსაც **რომანტიზმი** ეწოდება.

რა არის რომანტიზმი?

ამ საკითხის გარკვევა და ნათელყოფა მით უფრო საჭიროა, რომ თუმცა ცნება რომანტიზმი ხშირად იხმარება ისე თითქოს ეს ტერმინი გარკვეულს რასმე გვეუბნებოდეს, მაგრამ თუ მოვინდომებთ მის კონკრეტიულად წარმოდგენას, გაგებას თუ რაშია მისი შინაარსი, სად არის მისი საზღვრები, რითი განსხვავდება ის სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებისაგან, აღმოჩნდება რომ შეგ-

ვიძლიან ვიპოვოთ ტოთქმის იმდენგვარი გაგება და განმარტება რომანტიზმისა, რამდენიც მასსზე გამოკვლევა არსებობს.

თუ ამ მოვლენას ღრმად და სერიოზულად ჩაუკვირდებით, დაკვირვებით, რომ ეს გარემოება შემთხვევითი არ არის.

დასავლეთ-ევროპის მწერლობის ისტორიაში რომ გადავიხედოთ, იქ ვერ შევხვდებით მთლიანობას რომნტიზმის გაგებაში. და ამ მოვლენას თავისი სერიოზული გასამართლებელი საბუთები აქვს.

ჩვენ ვერ შევსძლებთ ყველა მწერალი, რომელიც თავის თავს რომანტიულ მიმართულებას აკუთნებს და სინამდვილეში მართალაც ასეა, ერთი საერთო კათეგორიის ქვეშ მოვაქციოთ.

განა შეიძლება ერთს ჯგუფში მოვათავსოთ: რომანტიკოსი **რუსო** თავისი ცივილიზაციის უარყოფით და ბუნების კულტით; **შატობრიან**, თავისი მისტიციზმით; **ვალტერსკოტი**—თავისი შესანიშნავი, წარმტაცი ფერადებით ძველი დროის დახატვით; **ბაირონი** თავისი ძლიერი პიროვნების კულტით, შეურიგებელი სულიერი განწყობილებით; **ტიკი, ნოვალისი,** თავიანთი მისწრაფებით საშუალო საუკუნოების ფანტასტიკისადმი; **შლეგელები**—მათი სიყვარულით ანტიურ კულტურისადმი?

ან რუსეთის მწერლებში განა შეიძლება **ჟუკოვსკი, მარლინსკი, პუშკინი, ლერმონტოვი** ერთი მიმართულების წარმომადგენლად მივიღოთ?

რასაკვირველია არა! თუმცა ყველა ჩამოთვლილი მწერალი რომანტიულ მიმართულებას ეკუთვნის.

ჩვენთვის აქედან აშკარაა, რომ რომანტიულ მიმართულებაში ვამჩნევთ მრავალ სხვადასხვაობას იმის მიხედვით, თუ მწერალი, ან მკვლევარი რომანტიზმის რომელ მხარეს აქცევს მეტს ყურადღებას.

ზემო ნათქვამიც საკმარისია რომ ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: **ცნება რომანტიზმი მეტად ფართოა, ის კონგლომერატია სხვა და სხვა მიმართულებათა, მასში თავს იყრის ყველა ის, რაც მისი შთასახვის და განვითარების ხანაში მოწინავე, ცხოველმყოფელი და იდეური იყო ლიტერატურაში.**

ამას გარდა მსოფლიო მწერლობის ისტორიაში ცნობილია ასეთი ტერმინები: ფრანგული, გერმანული, ინგლისური, რუსული რომანტიზმი. ეს გარემოებაც, რასაკვირველია, ართულებს და აძნელებს რომანტიზმში გარკვეული ცნება და შინაარსი ვიგულისხმოთ. რა კი ვარჩევთ გერმანულ რომანტიზმს ფრანგული რომანტიზმისაგან, მაშასადამე მათ შორის არის რაღაცა არსებითი განსხვავება, რომელიც გვიძნელებს ამ მიმართულების განსაზოგადოებას. შესაძლებელია აქ განსხვავება ნაციონალურიცაა. და ეს ასეც უნდა იყოს. როდესაც არჩევს ლიტერატურულ მიმართულებებს დასავლეთ-ევროპაში [1]) აი რასა სწერს პროფ. ბატუშკოვი: „Идейный космополитизм встречает некоторое препятствие, когда мы переходим к области художественного творчества, в более тесном смыеле слова. Идеи могут быть общими, так как оне принодлежат отвлеченной области мысли. Между тем, форма выражения, материал Творчества и точка зрения должны быть свои. Искусство не может не быть нацио-

[1]) Проф. Ф. Д. Батюшков—„Накануне XIX века“

нальным, поскольку оно требует конкретности и индивидуального отношения к обекту творчества. Чтобы подойти к общему, надо проработать сперва свое, индивидуальное. И вот, параллельно гуманитарному космополитизму XVIII века мы видим также искание и прояснение своей индивидуальной особы, искание своей природы, параллельно культу природы, вообще своей. т. е. своего народа без чего невозможно возвращение к непосредственности творчества".

მაშასადამე ჩვენი მეცნიერების არსებული მდგომარეობის მიხედვით შეგვიძლიან ვილაპარაკოთ ან რომელიმე მწერლის, ან ჯგუფის, ან რომელიმე ეპოქის, ან კიდევ რომელიმე ერის რომანტიზმზე.

ჩვენც გვგონია, რომ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ ქართულ რომანტიზმზე, ან რომანტიზმზე ქართულ მწერლობაში. მაგრამ სანამდის ამ საკითხის უშუალო განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია სქემატიურად მაინც გავიცნოთ ის პრინციპები, რომლებზედაც დასავლეთ-ევროპაში აღმოცენდა და განვითარდა რომანტიზმი.

II

დასავლეთ-ევროპის მწერლობაში მე-XVII-ტე და მე-XVIII-ტე საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით საფრანგეთში, ვხედავთ გაბატონებულ პსევდო-კლასიკურ მწერლობას თავისი გარკვეული, ჩამოყალიბებული კანონიერებით, სურვილით ყველაფერი ამ კანონების ფარგლებში ჩააყენოს. მიღებულ ფორმების და კანონების გარეშე არაფერი არ დასტოვოს, არ მისცეს არავითარი გასაქანი თავისუფალ შემოქმედებას. ასეთი სასტიკი რეგლამენტაცია მხატვრულ შემოქმედებას უბრალო ხელოსნობად ქმნიდა და მით მას აკნინებდა.

პსევდო-კლასიციზმი დაიწყო საბერძნეთ-რომის მწერლობის შესწავლის ნიადაგზე, იმ იმედით, რომ იქ იპოვიდენ იდიალურს. მაგრამ ეს შესწავლა დამთავრდა თანამედროვე შემოქმედების სრული დამონებით ერთხელ ცნობილ ავტორიტეტებისადმი, გარკვეული ფორმების და კანონების დამყარებით და ყოველივე ახალი გზის სასტიკი უარყოფით.

ფსევდო-კლასიციზმი აღმოცენდა დასავლეთ-ევროპის ფეოდალურ-არისტოკრატიული წესწყობილების ნიადაგზე, ფეოდალთა ფსიქოლოგიის თავისებურობაზე.

ფეოდალურ-არისტოკრატიულმა წყობილებამ საფრანგეთში მე-XVI--XVII-ტე საუკუნეებში უმაღლეს წერტილს მიაღწია. ლუი XIV თავისი ბრწყინვალე სასახლეთი და ეთიკეტით უდიდესი წარმომადგენელია ფეოდალური კულტურის ცენტრალიზაციის პროცესისა. ლუი XIV თავის ბრწყინვალე სასახლეში შემოიკრიბა თანამედროვე მწერლები, დაუნიშნა მათ პენსია და მისცა საცხოვრებელი ბინა. მადლიერი მწერლები, რასაკვირველია, ქებას ასხამდნენ თავიანთ სიუზერენს, ლუი XIV, მის სადიდებლად ოდებს სთხზავდენ.

ლუი მეთოთხმეტემ თავისი მოქმედებით, რომელიც ლოლიკური გამოხატულება იყო ფეოდალური წყობილების განვითარებისა, ბუნებრივი ნიადაგი მისცა

იმ ლიტერატურულ-იდეოლოგიურ მიმართულებას, რომელსაც ცრუ ანუ ფსევდო-კლასიციზმი ჰქვიან და რომლის მთავარი ხასიათი იყო რაინდული.

ცრუ კლასიკოსები ხატავენ რაინდს მაღალი წოდებიდან, (ამ წოდების ცხოვრებიდან იღებენ ისინი მასალას შემოქმედებისათვის.) თავიანთ გმირებს გვისურათებენ მხოლოდ რაინდულ პოზაში და რაინდული მოქმედებით. ცრუ-კლასიკოსებს მიუღებლად მიაჩნდათ, რაინდს რაიმე ცუდი. რაინდის შთამომავლობისათვის შეუფერებელი საქმე ჩაედინა. ასეთი საქმეებისათვის იყო დაბალი წოდება, მოსამსახურეები. ეს ლიტერატურული მიმართულება წმინდა არისტოკრატიული იყო. ასეთი ლიტერატურული მიმართულებისათვის საჭირო იყო შესაფერი და მისაღები შემოქმედების ფორმები. ასეთ ფორმებად ფსევდო-კლასიციზმის კანონმდებელმა ბუალომ მიიჩნია და დააწესა **ოდა** და **ტრაგედია**. ოდა ფსევდო-კლასიკოსებს საშუალებას აძლევდა ფეოდალის შექების დროს არა ბუნებრივი პათოსი გამოეხატა, ხოლო ტრაგედია ეხმარებოდა გმირი-არისტოკრატი რაინდულ პოზაში და რაინდულ მოქმედებაში განესახიერებინა. ფსევდო-კლასიციზმი შეიქმნა პრივილეგიურ კლასის, კონსერვატიულ, ცხოვრებას მოწყვეტილ მიმართულებად, რომელიც ჰბოჭავდა ყოველივე თავისუფალ შემოქმედებას, რომელშიაც არა ჩანდა ჩვეულებრივი ადამიანი, ჩვეულებრივი განცდით.

საჭირო იყო ან ისეთი არაჩვეულებრივი ძალა ნიჭისა, როგორიც ჰქონდა **როსანს**, რომ შთაებერა ცხოველი ძალა ამ მკვდარ, უსიცოცხლო კანონებში; ან ისეთი შესანიშნავი ალღო რეალობისა, როგორითაც დაჯილდოვებული იყო **მოლიერი**, რომ საფრანგეთის ფსევდო-კლასიციზმი გადაქცეულიყო მსოფლიო მოვლენად.

უკმაყოფილება ფსევდო-კლასიკურ ლიტერატურისადმი მე-XVIII საუკუნეში როდესაც მესამე წოდება, ბურჟუაზია, ძლიერდება, იწყებს სახელმწიფო როლის თამაშს, საგრძნობლად იზრდება და ვითარდება. მის საწინააღმდეგოდ უპირველესად ინგლისში, რადგანაც სახელმწიფოებრივი წყობილების გამო მესამე წოდება უფრო ძლიერი იყო, ჩნდება ე. წ. სანტიმენტალური მიმართულება—ეს რომანტიზმის დასაწყისი. სანტიმენტალიზმი მიზნად ისახავდა არა მარტო მაღალი წოდების, არამედ ჩვეულებრივი ადამიანის ზნეობრივი თვისებების გრძნობიერე დასურათებას (რიჩარდსონი, გოლდსმიტი, სტერნი და სხვანი). გერმანიის აზროვნება ფსევდო-კლასიციზმს წინააღუდგა **ლესინგის** მოქმედებით, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთის კლასიციზმის კრიტიკას.

თვით საფრანგეთში ამ ლიტერატურული მიმართულების წინააღმდეგ **ჟ. ჟ. რუსო** გამოდის.

მეცნიერთა და მკვლევართა უმრავლესობის აზრით აი ეს **ჟ. ჟ. რუსო** გახდა მამამთავარი რომანტიზმისა.

ევროპის ისტორიის მე-XVIII-ტე საუკუნის მეორე ნახევრის სინამდვილეში რუსო ერთი უდიდესი წარმომადგენელია როგორც მწერლობაში, ისე ფილოსოფიურ აზროვნებაში. მისი იდეები მჭიდროდაა დაკავშირებული საფრანგეთის რევოლიუციის დროის მოძრაობასთან, რომელიც შემდეგში მთელს ევროპას მოედო. რუსო სრულიად სამართლიანად ითვლება ამ ეპოქის საზოგადოებრივი სულიერ

განწყობილების უდიდეს წარმომადგენელად. არა მარტო რუსოს პოლიტიკურ, არამედ მის სოციალურ იდეებსაც დიდი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონდათ იმ დროს. მაგრამ საზოგადოებრივ აზრს და სულიერ განწყობილებას [illegible] იზი დავდა უფრო იმ პროტესტით, თანამედროვე კულტურის იმ [illegible] თმელ იც მან ასე მკაფიოდ გამოსთქვა თავის ტრაქტატში „ცივილიზაცია ხელს უწყობს თუ არა ხალხის ზნე-ჩვეულებათა გაუმჯობესობას?" რუსო თავის ორიგინალურ თხზულებაში ამტკიცებს, რომ ბედნიერება შეიძლება მხოლოდ ბუნებასთან მჭიდრო კავშირში, როდესაც ადამიანი მასთან ერთად საერთო ცხოვრებით ცხოვრობს. კულტურა ადამიანს ბუნებას აშორებს, თავისი პირობებით მის ბუნებას ამახინჯებს. ამიტომ კულტურა უდაოდ მავნებელია. თუ კაცობრიობას უნდა ბედნიერებას მიაღწიოს, უნდა ბუნებას დაუბრუნდეს, მასთან საერთო ცხოვრებით იცხოვროს, მას შეუერთდეს. მაშინ იგი შეიძლება დარჩეს ბუნებრივ ადამიანად —l' home naturele. აქედან—რუსოს გატაცება პირველყოფილი ადამიანით და მისი ცხოვრების სახით, რადგანაც ამ პირობებში ადამიანი ბუნებრივ მდგომარეობაშია.

რუსოს ასეთმა ორიგინალურმა მოძღვრებამ, მეტად ნიჭიერად გამოთქმულმა, მრავალი თანამგრძნობი და მომხრე მიიზიდა. ფსევდო-კლასიციზმის ფორმალიზმით შებოჭილმა ადამიანის შემოქმედებამ, რომელიც უკვე ჰგრძნობდა მის დრომოჭმულობას და მტკივნეულად ეძებდა დაგუბებულ უშუალო გრძნობათა გამოსავალს, რუსოს ასეთს უარყოფით-პროტესტულ მსოფლ-მხედველობაში ჰპოვა სტიქიური დაკმაყოფილება თავის მოთხოვნილებათა.

როგორც რევოლიუციამ ხალხის ნებისყოფას და სურვილს მისცა ფართო გასაქანი, როგორც რევოლიუცია იყო ძლიერი პროტესტი ცხოვრების სოციალურ და ეკონომიურ პირობათა წინააღმდეგ, ასევე ლიტერატურის სფეროშიაც პარალელურად განვითარდა თავისებური რევოლიუცია, გაისმა პროტესტი ფსევდო-კლასიკური შემოქმედების რეგლამენტაციის წინააღმდეგ.

აი ეს პროტესტული სულიერი განწყობილება, უკმაყოფილება თანამედროვეობით და შემოქმედების თავისუფლება უნდა ჩაითვალოს უმთავრეს და დამახასიათებელ თვისებათა იმ მიმართულებისა, რომელიც შეიქმნა რეაქციად ფსევდოკლასიციზმის წინააღმდეგ და რომელსაც ეწოდება რომანტიზმი.

რომანტიზმის სხვადასხვა მხარეები რომ განვიხილოთ, დავრწმუნდებით, რომ მიუხედავათ მისი მრავალ-ფეროვანებისა, მასში ერთი რამ ძირითადია— უარყოფითი და უკმაყოფილობითი სულიერი განწყობილება, პროტესტი, ბუნების კულტი, რაზედაც განვითარდა რუსოს მსოფლშეხედულება. რომანტიზმი გვეხატება როგორც ძლიერი თავისი მდიდარი და მიმზიდველი შინაარსით საზოგადოებრივი მსოფლ-მხედველობა, რომელსაც უნდა შეეცვალა არსებული. ამ თვალსაზრისით რომანტიზმი პროტესტია გაბატონებული აზრისა და ცხოვრების არსებული მდგომარეობისა.

როგორც ლიტერატურული მოვლენა რომანტიზმი რეაქციაა ცრუ-კლასიციზმისა. მან თავისუფალი შემოქმედების პრინციპი აღიარა და თავისუფალ შემოქმედების პირობებს შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა. ყოველ მხატვრულ ნა-

წარმოების ძირითად მოთხოვნილებად მან აღიარა შემოქმედების სრული თავისუფლება. წინააღმდეგ ფსევდო-კლასიციზმის თეორეტიკოსის ბუალოს ყოველ შემძლებელ პოეტიკისა თავისი ურყევი და მკაცრი საყოველთაო კანონებით, რომანტიზმმა უარყო ყოველივე წესები, ყველაზე მაღლა დააყენა პოეტის ნიჭი, მისი პიროვნება, მისი ძალა, პოეტის თავისუფალი შემოქმედება, დამყარებული მის თავისუფალ მოქმედ სულზე, მის სუბიექტურ სამყაროს განსახიერებაზე და გამომჟღავნებაზე.

პიროვნება და მისი ფსიქოლოგიის გამორკვევა ერთი უდიდესი საკითხთაგანი იყო რომანტიულ ლიტერატურაში. ამ მიმართულებამ წარმოშვა ინდივიდუალიზაცია პიროვნებისა, რომელიც აქამდის მიჩქმალული იყო საზოგადოებრივი ფორმებით და ლიტერატურული ფორმალიზმით. აქედან—კულტი ძლიერი პიროვნებისა რომელიც ინგლისის მწერალმა დიდმა რომანტიკოსმა ბაირონმა უმწვერვალესად განავითარა.

რომანტიკოსების გაგებით და შეგრძნობით თანამედროვე ცხოვრება მთელი თავისი წესწყობილებით, მიმართულებით და მისწრაფებით ფარგლავდა ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, ადუნებს პიროვნებას, ხელს უშლის მის განვითარებას—ამისათვის პიროვნებისათვის თავისუფლების მოპოვება იწვევს უკმაყოფილებას და უარყოფას ცხოვრების არსებულ წესწყობილებათა. აქედან ბრძოლა ამ წესწყობილების წინააღმდეგ (თუმცა ზოგიერთი რომანტიკოსები თანამედროვეობის უარყოფიდან კონსერვატიზმსში ვარდებოდნენ, მაგ. როგორც ნოვალისი).

რომანტიზმის ასეთს მებრძოლ ხასიათს ხელს უწყობდა და აღრმავებდა ის იდეური და სოციალ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც დაკავშირებული იყოს საფრანგეთის დიდს რევოლიუციასთან. ეს უკანასკნელი კი საშუალება იყო XVII-XVIII საუკუნეთა ცხოვრების მოძველებულ ფორმებთან საბრძოლველად. ამისათვის რომანტიზმის პროტესტი საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით იღებს თითქოს ბრძოლის ხასიათს, უახლოვდება ბრძოლის იმ ფორმებსაც კი, რომელიც შექმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ბრძოლამ.

რომანტიზმის უარყოფამ თანამედროვე კულტურისა და ცხოვრების პირობებისა, მისმა პროტესტმა ყოველივე შემაფერხებელ მდგომარეობის წინააღმდეგ, უსაზღვრო შემოქმედების კულტმა, რომანტიკოსების გულისყური გადაიტანა წინა ხანაში, წარსულში. რომანტიკოსებმა საშუალო საუკუნოებს მიმართეს და იქ აღმოაჩინეს მთელი თავისებური ქვეყანა, სავსე პოეზიით, **ფანტასტიკით, საიდუმლოებით. სავსე იმით, რაც რომანტიული** ირიალური **შეხედულებისათვის** იყო მშვენიერი, კარგი და ეწინააღმდეგებოდა გარემო რეალობის ყოველ დღიურობას, რასაც ასე გაურბოდა რომანტიზმი.

საშუალო საუკუნოებში რომანტიკოსები ჰხედავდნენ სხვა კულტურას, უფრო მარტივს, მაგრამ ფაქიზს და სავსე ფანტასტიკით და მიმზიდველობით.

საშუალო საუკუნოების ცხოვრება რომანტიკოსთა გაგებით თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა თანამედროვე ცხოვრებიდან.

თანამედროვე ცხოვრებაში პიროვნება **სუხტია, დამტვრეულია, მას**

მთლიანობა არა აქვს, ის შებოჭვილია ტანჯვით, მწუხარებით, ჭმუნვით. საშუალო საუკუნოებში კი, პირიქით, ადამიანში მთლიანი მსოფლ-შეხედულებაა დაცული. იქ მრავლადაა მთლიანი, ძლიერი, ენერგიული, [illegible] პიროვნება.

აი აქ საშუალო საუკუნოების ცხოვრებაში გატაცებულმა რომანტიკოსებმა ჰპოვეს უხვი მასალა, დიადი სურათები ენერგიული, მტკიცე, მთლიანი პიროვნების შექმნისათვის, რომელითაც ასე მდიდარია რომანტიკოსების შემოქმედება.

თავისუფალი, უშუალო ცხოვრების და პიროვნების გამოძებნა ხდება არა მარტო საშუალო საუკუნოებში, არამედ აქედან რომანტიკოსების დაუდგრომელი ფანტაზია გადადის საერთოდ წარსულის წყვდიადში, განსაკუთრებით **აღმოსავლეთი** თავისი წარსულით შეიქმნა რაღაც ფანტასტიურ ქვეყნად, რომლისაკენაც მიისწრაფოდა არა ერთის და ორის რომანტიკოსის აღგზნებული შემოქმედება. ამ წარსულში რომანტიკოსები, რასაკვირველია, სდებდნენ თავის შეხედულებას, ახალს აზრს. აქედან წარმოიშვა იდიალიზაცია წარსულისა.

ასეთმა ძველი დროით გატაცებამ, მისმა იდიალიზაციამ, თანამედროვე ცხოვრება—მოყინჭებული ევროპის ინტელიგენციის აზრი და გრძნობა თანდათან ძლიერად და თავდავიწყებით დააწაფა ბაღარა წარსულს, არა მარტო საშუალო საუკუნოებს ან აღმოსავლეთს, არამედ თავის ნაციონალურ წარსულსაც. რომანტიკოსებმა ნაციონალურ შემოქმედების ფორმების და სახეების აღდგენას მიჰყვეს ხელი.

ევროპის ვერც ერთმა ერმა ვერ დაახწია თავი ასეთს გატაცებას. პირველობა ამაში თითქმის ინგლისს ეკუთვნის **მაკფერსონის** მიერ შოტლანდიის ხალხური მგოსნის **ოსიანის** სახელით ხალხურ ჰიმნების და თქმულებათა კრებულის გამოცემით. ამ კრებულმა დიდი ინტერესი და გავლენა გამოიწვია მაშინდელ ლიტერატურულ წრეებში, მეორე დიდი წარმომადგენელი წარსულის განსახიერებაში დიდი რომანტიკოსი ვალტერ-სკოტია თავისი მეტად მიმზიდველი ფერადებით დაწერილი რომანებით.

საფრანგეთში ჩვენ ვხედავთ შატობრიანის დიდს ფიგურას. გერმანიაში ისეთს ბუმბერაზებს, როგორც არიან შლეგელები, გრიმები და სხვანი.

რუსეთში—ჟუკოვსკის, პუშკინს.

ყველა ესენი ცდილობენ განავრცონ თავისი შემოქმედების თემები უპირველესად თავიანთი ეროვნული, ნაციონალური წარსულის სფეროში.

მაშასადამე კულტი წარსულისა და ამაზე აღმოცენებული **ეროვნული წარსულისა, მისი შემოქმედების და სახეების აღდგენისა,** ერთ-ერთი ლოზუნგია რომანტიზმის მიერ განვითარებული.

ასეთია ძირითადი მოტივები რომანტიზმისა, რომელიც გააძლიერა და გაალრმავა შელინგის და ჰეგელის იდიალისტურმა ფილოსოფიამ.

ევროპის მწერლობაში მე-XVIII-ტე საუკუნის მეორე ნახევარში და მე-XIX-ტე საუკუნის 30 წლებამდის **რომანტიზმი** თავისი მრავალფეროვნებით და სხვა და სხვა მიმართულებებით ძალუმათ მფლობელობდა.

ვერც ერთმა ერმა და მით უმეტეს ვერც ერთა მწერალმა ცალკე ვერ

შესძლო ამ რთული მიმართულების მთლიანად გადალება და განვითარება. ეს ველი მათგანი ანვითარებდა და აღრმავებდა რომანტიზმის რომელიმე მხარეს, იმ სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობათა და ნაციონალურ თვისებათა მიხედვით, რომელიც ამა თუ იმ ერის ლიტერატურას თავის მძლავრ ბეჭედს ასვამს.

ასეთივეა მდგომარეობა რომანტიზმისა ქართულ მწერლობაში, სადაც ეს მიმართულება მოდის ევროპიდან რუსეთის გზით.

სანამდის გადავიდოდეთ ქართულ მწერლობაში რომანტიზმის დახასიათებაზე, საჭიროა გაეერკვიოთ, გაკვრით მაინც, როგორ გადმოდის რომანტიზმი ჩვენს მწერლობაში და ქართული ცხოვრების სინამდვილე რამდენად ნოყიერ ნიადაგს აძლევდა მის განვითარებისათვის ჩვენში. ეს გარემოება მოგვცემს საშუალებას ქართული რომანტიზმის ლეიტმოტივის გასაღებიც ვიპოვოთ.

III

თუ დასავლეთ-ევროპაში და რუსეთშიაც რომანტიზმი ერთგვარი რეაქცია იყო ძველი, წინამავალი ლიტერატურული მიმართულებისა, ე. წ. ფსევდო-კლასიციზმისა, თუ რომანტიზმს უცხო ქვეყნებში მკაცრი ბრძოლა მოუხდა გაბატონებული ლიტერატურის შემზღუდავი ტრადიციების დასამხობად და ახალის, უფრო თავისუფალი შემოქმედების უფლებების დასამყარებლად, საქართველოში ასეთი ბრძოლა მას სრულებით არა სჭირდება. ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც აღმოსავლეთიდან, განსაკუთრებით სპარსეთიდან, მომდინარეობდა, სრულებით თავისუფალი იყო იმ ფორმულებისა და ფორმალიზმისაგან, რომელიც ახასიათებდა ფსევდო-კლასიციზმს და რომლის წინააღმდეგაც ასე მკაცრად ამხედრდა რომანტიზმი. ცრუ-კლასიციზმი თავისი მომსპობი მშრალი ფორმულებით აღმოსავლურ მწერლობას სრულებით არ შეჰხებია. პირიქით, აღმოსავლური მწერლობა სავსე იყო ლირიკული ხასიათის შემოქმედებით, რომელშიაც პოეტის მგრძნობიარე აღფრთოვანებული თუ ნაღვლიანი ჩანგის ექერა მეტად სუბიექტურ და მასთან ერთად რეალურ ხმებში გაისმოდა.

ასეთივე ხასიათისაა ჩვენი მწერლობაც აღორძინების ხანაში. რა არის შემოქმედება თეიმურაზ I, თეიმურაზ II, არჩილ მეფის, ვახტანგ VI, დავ. გურამიშვილის, ბესიკის და სხვათა თუ არა ლირიკული შემოქმედება, პოეტის მწუხარე და გაწამებული სულის კვეთების უშუალო განსახიერება?

განა **ელეგია**, ეს დამახასიათებელი და სულიერი განწყობილების შესაბამი ფორმა ლიტერატურული შემოქმედებისა რომანტიულ ხანაში, ჩვეულებრივი და გავრცელებული ფორმა არ არის ჩვენი მწვრლობისა აღორძინების ხანაში? ან განა საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუეს“ ხალხური შემოქმედების ფორმის, შინაარსის და ენის მშვენიერი და ძლიერი გამოყენება არ არის, რაც ერთ-ერთი სახე იყო რომანტიული მიმართულებისა? რასაკვირველია, ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჩვენი აღორძინების ხანის მწერლები რომანტიულ მიმართულებას ეკუთვნიან. ეს შეცდომა იქნებოდა, რადგანაც რომანტიზმი ეწოდება გარკვეულ მიმართულებას, რომელიც წარმოიშვა დასავლეთ-

ევროპის მწერლობაში და განსაზღვრულ პერიოდში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკ. 30 წლებამდის) ვითარდებოდა და ფეფლობელობდა. აქედან გავრცელდა სხვა ქვეყნებში. ჩვენი მწერლების ზემოაღნიშნული ხასიათი და მიმართულება კი გაცილებით ადრე განვითარდა, ამიტომ ეკარგო უნდა ვეძებოთ აღმოსავლეთში. მაგრამ ის კი შესაძლებელია დავამტკიცოთ, რომ რომანტიზმის დამყარებას და განვითარებას ჩვენს მწერლობაში **მომზადებული ნიადაგი დაჰხვდა — შემოქმედება თავისუფალი, შემოქმედება გამომხატველი პოეტის შინაგანი „მე"-სი, მისი შინაგანი ქვეყნის.** ამ მხრივ რომანტიზმის დამყარება არ განიცდიდა ჩვენში იმ ტკივილებს და მტვრევას, რომელსაც ალაგი ჰქონდა დასავლეთ-ევროპაში და, თუ გნებავთ, რუსეთშიაც.

მეორე გარემოება, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო რომანტიულ მიმართულების განმტკიცებისათვის ჩვენს მწერლობაში ის ისტორიულ-პოლიტიკურ-სოციალური-ეკონომიური მდგომარეობაა, რომელშიაც მოემწყვდა საქართველო მე-XIX-ტე საუკუნის დასაწყისიდანვე.

ქართველი ერის ისტორიის ჩარხი მე-XIX-ტე საუკუნის დასაწყისიდანვე სხვა, ახალი მიმართულებით ამოძრავდა. თითქოს ის ხანგრძლივი უბედურებაბედნიერება, გამარჯვება—დამარცხების ისტორიული გზა, აღმოსავლეთ ერების ცხოვრება—კულტურასთან გადახლართული—სწყდება. უკანასკნელი საუკუნოების მთელმა რიგმა შინაურმა თუ გარეშე კატასტროფიულმა მოვლენებმა გატეხა შეუპოვარი, თავისუფლების მოტრფიალე ქართველის გული და მწვავე და ხანგრძლივ ტკივილებში გადააწყვეტინა ცხოვრების ახალი გზის გამონახვა. მე-XVIII-ტე საუკუნის დასასრულმა დაასრულა „ქართლის ბედის" საკითხიც.

რუსეთთან დაკავშირება ქართველი ერისათვის ერთგვარი ბედის დამორჩილებაა, თუ შეიძლება ასე ითქვას. რადგანაც იმ „უბედურის და დარღვევის დროს... კეთილთა დღეთა თვის ქართლისა" ამაზე უმჯობესი ვერ მოაგვარა „ქართლის ბუდის" ჰირისუფალმა ერეკლე II, ვინაიდან მას გულის დამწველი შავი ზრახვა

„რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფობა!"

გულს ულრღნიდა, სიმტკიცეს უდუნებდა.

ბრძოლის ველზედ გამუდმებით დაუზოგველად მებრძოლი, ახლა ილაჯგამოცლილი ქართველი ერი „თავისუფლების გაყიდვით" ელოდა დამშვიდებულს და მყუდრო ცხოვრებას. ყოველი კუთხიდან მოწოლილი მტრისა და დიდგვაროვანთა შინაური ქიშპობით გალატაკებული—ეკონომიურად წელის მომაგრებას; ხანგრძლივი და განუწყვეტელი ომებით კულტურულ ცხოვრებას მოწყურებული— კულტურის დაწაფებას და აღორძინებას.

მაგრამ სინამდვილეში ყოველივე ეს მოლოდინ მხოლოდ უნიადაგო, გულუბრყვილო ოცნება გამოდგა. რუსეთის შემოსვლის პირველი დღიდანვე ქართველმა ერმა მწვავედ იგრძნო ბიუროკრატიული რუსეთის დაპყობითი პოლიტიკის კლანჭები.

რუსეთის შემოსვლის პირველივე დღეებიდან ქართველმა ერმა იგრძნო, რომ

„სახელმწიფოსა ერთობა სჯულის
არა რას არგებს, ოდეს მის შორის
თვისება ერთა სხვადასხვაობდეს.“

რუსეთის დამკვიდრებამ ქართველი ერის ყოველ ნაწილს მეოცნებეობა იმედები. აი ამიტომაა მე-XIX-ტე საუკუნის პირველი ნახევარი სავსე აჯანყებათა მთელი რიგით, რუსეთის დამკვიდრებით და თავისუფლების დაბრუნების სურვილით გამოწვეული. ამ ხნის განმავლობაში მღელვარება და შფოთვა საქართველოს ხან ერთს და ხან მეორე კუთხეში თითქმის არ შეწყვეტილა. მხედველობაში რომ არ მივიღოთ წვრილ-წვრილი მღელვარება, რომელიც განუწყვეტლივ ხდებოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, შეუძლებელია აღნიშნული არ იყოს შემდეგი დიდი ამბოხებანი: მთიულეთისა—1804 წ.; კახეთისა—1812 წ.; ხევსურეთისა—1813 წ.; იმერეთისა—1820 წ., ე. წ. „რომანტიული ამბოხება“—1832 წლ. და 1841 წ. გურიის აჯანყება.

ყველა ეს აჯანყებები უბრალო „ბუნტი“ კი არ არის „მოუსვენარი ხალხისა“, არამედ ერთგვარი უკანასკნელი ძალის მოკრებაა ისედაც სისხლით დაწრეტილი, ბრძოლით მოქანცული, იმედგაცრუებული, გამოუვალ პოლიტიკურ და ეკონომიურ ჩიხში მომწყვდეული ქართველი ერისა. ეს ამბოხებანი უბრალო „ბუნტი“ არ არის უკმაყოფილო თავზე ხელ აღებული მცირე ნაწილისა, რომელსაც უნდა ისარგებლოს არეული დროთი. ეს ამბოხებანი არ შეიძლება მივიჩნიოთ შედეგად თავად-აზნაურთა დაგვიანებითი თვალის გახელისა და თავის მოფხანისა, რომ დაკარგეს ძალა-უფლება, როლი სახელმწიფო ცხოვრებაში და უნდათ დაიბრუნონ ამ „ბუნტით“, ეროვნულ ნიადაგზე მოწყობით და ხალხის მასების „გაბრიყვებით“ ჩათრევით. არა, ეს ამბოხებანი, განსაკუთრებით მთიულეთისა, კახეთისა და გურიისა პირდაპირ უშუალო ხალხურია. ეს უკანასკნელი გაბრძოლებაა ხალხის იმ ნაწილისა, რომელიც თითქმის ყოველთვის პოლიტიკის გარეშე დგას, თუმცა კი სახელმწიფოს ცოცხალი ძალაა, და პოლიტიკური საკითხის გადაჭრას თავს იდებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერისა და სახელმწიფოს ცხოვრება უმწვერვალეს, შეიძლება ითქვას კატასტროფიულ მდგომარეობას აღწევს, როდესაც მისი ცხოვრება ძირიანფესვიანადაა შერყეული, როდესაც მისი „ყოფნა-არყოფნის“ საკითხია დასმული.

სწორედ ასეთი ხასიათისაა მთიულეთის, გურიისა და კახეთის აჯანყებები. და ეს გარემოება უტყუარი მაჩვენებელია იმისი, თუ რა ტკივილებში მოხდა საქართველოში ის გარდატეხა, რომელიც მე-XIX-ტე საუკუნის სინამდვილეს შეადგენს; ეს უტყუარი მაჩვენებელია იმისი, თუ რა მძლავრად ჰქონდა ფესვები გადგმული თავისუფლების დაკარგვით შექმნილ საერთო ტრაგედიას; ეს იმის მაჩვენებელია, თუ ხალხის გულის რა სიღრმემდის მისწვდა თავისუფლების დაბრუნების სურვილი და ბიუროკრატიული წესწყობილებისადმი სიძულვილი. და ეს ძლიერი სურვილი გამოწვეულია არა მარტო პოლიტიკური ცხოვრების აღდგენით, როგორც უბრალო ჩვეულებათა, ტრადიციის დაბრუნებით, არამედ გამოწვეულია ხალხის, ერის ფიზიკური ცხოვრების გადარჩენის სურვილით. ამის დასამტკიცებლად საჭიროა თვალის გადაკვრა არქეოგრაფიული კომისიის აქტე-

ბისა. მეფის რუსეთის აღმოსავლეთის დაპყრობითი იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელისათვისაც გამოყენებული იქმნა საქართველო—ჯარის საჭიროებისამებრ გადაყვან-გადმოყვანა, ამ მიზნისათვის გზების შეკეთება, ... გამოკვება, რუსეთის მოხელეების უხეში შეხედულება ქართველ ... ... ველური ხალხისა, დახმარების და დამშვიდების მაგიერ აფორიაქება და შევიწროვება—მძიმე ტვირთად დააწვა ქართველ მშრომელ ხალხს.

ქართველი მშრომელი მასები და მეამბოხენი რუსეთის შემოსვლის წინააღმდეგნი კი არ იყვნენ, პირიქით, დიდი სასოებით მოელოდნენ და სურდათ კიდეც ასეთს აზრს გამოსთქვამენ მეამბოხენი თავიანთ არზებში და განცხადებებში. მაგრამ რუსეთის „კულტურულმა კლანჭმა", მის უანგარიშო ანგარებით აღჭურვილმა მოხელეებმა ქართველი ერი სრულს განადგურებამდის მიიყვანა. სასოწარკვეთილებით მოცულ ხალხსაც ამან ააღებინა ხელში საომარი იარაღი.

საკმარისია რამდენიმე ფაქტის მოგონება ამ მეტად საინტერესო და მწარე წარსულიდან, თუნდაც ოფიციალური მიწერ-მოწერიდან ამ „კულტურტრეგერების" საარაკო და „საგმირო" საქმეებისა შესახებ, რომ თქვენს თვალწინ ცოცხლად გადაიშალოს შემაძრწუნებელი სურათი რუსეთის დამკვიდრებისა და ამ ამბოხებათა მიზეზებისა თავისი შედეგებით.

ყველა ეს ამბოხება დამთავრდა ქართველი ერის დამარცხებით. ამ გარემოებამ ქართველ ერში დაამკვიდრა საშინელი უიმედობა, უილაჯობა, სევდა და ჭმუნვა. უფრო გააღრმავა და გააძლიერა ის სევდა, რომელიც წითელი ხოლივით მოჩანს აღორძინების მწერლობაში.

აი ეს მეორე პოხიერი ნიადაგი რომანტიზმის განვითარებისათვის ჩვენში.

IV

ამ რიგად, ამ ორმა ძირითადმა მოვლენამ—ერთის მხრით, მე-XVIII-ტე საუკუნის ლიტერატურული შემკვიდრეობა,—მეორეს მხრით, ის ისტორიულ-პოლიტიკურ-ეკონომიური ატმოსფერა, რომელიც დამყარდა მე-XIX საუკუნეში რუსეთის შემოსვლით, მისცა მიმართულება და შინაარსი ქართულ მწერლობას და კერძოდ ქართულ რომანტიზმს. ამ ორი მოვლენის საფუძველზე აღმოცენდა და ხორცი შეისხა იმ ძირითადმა მოტივმა, რომელმაც მისცა თავისებური ხასიათი ჩვენს რომანტიზმს.

ეს ძირითადი მოტივი არის **ეროვნული გრძნობა.** ამ ლეიტ-მოტივის მიხედვით ჩვენი მწერლობის რომანტიზმს შეიძლება ვუწოდოთ **ეროვნული რომანტიზმი.**

რომ ამ სახელწოდებას ერთგვარი გამართლება აქვს, ამას დაგვიმტკიცებს ჩვენი მწერლობის ზოგადი გადახილვაც კი.

დავიწყოთ რომანტიზმის შთასახვიდან ჩვენს მწერლობაში.

მე-XVIII-ტე და მე-XIX-ტე საუკუნეთა უელელტეხილზე ჩვენი მწერლობის ისტორიაში ვამჩნევთ მთელს რიგს მეორე ხარისხოვანს, თუმცა საკმარისად გავრცელებულ მწერალთა, როგორიც არიან თუმანიშვილები, ბარათაშვილები,

მელიქაშვილები, ქეთევან და თეკლე ბატონიშვილები და სხვანი. მაგრამ ძალი შემოქმედების ყველა მოტივები: პატრიოტული გრძნობა, სიყვარული, აწუხროების სიმუხთლით გამოწვეული ჭმუნვა-ნაღველი არის „სისხლი ... ხორცი ხორცითა“ ჩვენი აღორძინების ხანის მწერლობისა, როგორც შინაარსისა, ისე გარეგნული ფორმის მხრივ. ამისათვის მათ ჩვენ ჩვენი ძველი მწერლობის დასასრულს მივაკუთნებთ და ვერ მივიჩნევთ დამწყებად ჩვენი ახალი მწერლობისას, რომელიც, თუმცა მკვიდრადაა დაკავშირებული და ანვითარებს აღორძინების ხანის მწერლობის მოტივებს, მაგრამ თავისებურება, როგორც შინაარსისა, ისე ფორმის მხრივ აშკარად შემოაქვს.

ამიტომ ალ. ჭავჭავაძე სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია ჩვენი ახალი მწერლობის დამწყებად და რომანტიზმის გადმომნერგავად ჩვენს მწერლობაში.

შთამომავლობით დიდგვაროვანი ალექსანდრე ჭავჭავაძე, შვილი საქართველოს დესპანის რუსეთში გარსევან ჭავჭავაძისა, ნათლული რუსეთის მეფის ეკატერინე II, მაგის სამსახურის გამო სცხოვრობდა რუსეთში; იზრდებოდა და ტრიალებდა რუსეთის არისტოკრატიულ წრეებში, სადაც იმ დროს უკიდურესად გაბატონებული იყო საფრანგეთის კულტურა, როგორც გარეგნული მოდის მხრივ, ისე ენისა და ლიტერატურისა. ყოველივე ახალი ევროპიული რუსეთის საზოგადოებას იტაცებდა. მე-XVIII-ტე საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ-ევროპის მწერლობაში განვითარდა და გაბატონდა ახალი ლიტერატურული მიმართულება—**რომანტიზმი**. რუსეთშიაც ლომონოსოვ-სუმაროკოვის ფსევდოკლასიციზმს მედგრად შეებრძოლა ახალი ლიტერატურული მიმართულება. ბრძოლა აქაც სასტიკი და დაუნდობელი იყო. რუსეთის იმ დროის არისტოკრატიის ლიბერალურად განწყობილი ნაწილი ზოგი შეგნებულად და ზოგიც შეუგნებლად გაიტაცა ამ ახალმა ლიტერატურულმა მიმართულებამ, როგორც ერთგვარმა ახალ ჰორიზონტების მაჩვენებელმა.

მართლაც, რომანტიზმს, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, არა მარტო ლიტერატურული (შინაარსი და ფორმის მხრივ) ხასიათი ჰქონდა, არამედ იგი ფართე საზოგადოებრივი მსოფლ-მხედველობაც იყო მე-XIX-ტე საუკუნის განთიადზე.

ალ. ჭავჭავაძემაც, რუსეთში ცხოვრების და სწავლის დროს რუსეთის საზოგადოებასთან ერთად განიცადა, როგორც ფრანგული ენისა და კულტურის გავლენა, ისე ახალი ლიტერატურული მიმართულება. მას, როგორც არისტოკრატიის იმ ნაწილს, რომელშიაც ის, მდგომარეობის გამო გამუდმებით იყო, ფრანგული ენა საკმაოდ კარგად უნდა სცოდნოდა და ევროპის მწერლობას უშუალოდ დასწაფებოდა. ამ გარემოებამ დიდი გავლენა მოახდინა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე.

მაგრამ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლის დროს მკვლევარის ყურადღებას მეორე გარემოებაც იპყრობს. ეს ის, რომ ალ. ჭავჭავაძე არა მარტო ახალი მიმართულების, რომანტიზმის, გავლენას განიცდის, არამედ აგრეთვე ცრუ-კლასიციზმის კორიფეების შემოქმედებითაც ყოფილა დაინტერესებული და საკმაოდ სერიოზულადაც. რასინი, კორნელი, ლაფონტენი და ვოლტერი მისი

საყვარელი მწერლები ყოფილან, რომელთა შემოქმედებიდან რამდენიმე წიმუში, ზოგი თუ რუსულით, ზოგიც უშუალოდ ფრანგულით ქართულად თარგმნა.[1]) მაგრამ თვითონ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში რომანტიულმა მიმართულებამ უფრო მეტი ადგილი და განსახიერება ნახა.

ალ. ჭავჭავაძე რუსეთში მარტო რუსულსა და ევროპიულ ლიტერატურული ატმოსფერით კი არა სუნთქავდა, იქ, რუსეთში, ალბად, მის საკუთარ ოჯახშიც და მის გარეშეც, რუსეთის გადახვეწილ და გადასახლებულ ქართულს ოჯახებში არსებობდა **მეორე—ქართული**, ეროვნული, აქედან—სამშობლოდან, **გადატანილი კულტურა** რომელიც განსაკუთრებით მწერლობის სახით რაღაც ღვდელ-მოქმედებითი მოწიწებით და სიყვარულით ინახებოდა ჩაუქრობელი, როგორც ღვთაებრივი ცეცხლი, გაღვივებული ჭირში, გაკაჟებული მეხთალ საწუთროსთან ბრძოლაში. აქ დაუვიწყარნი და ერთგვარი ნუგეშის მომცემნი, სევდის გამქარვებელნი იყვნენ ჩვენი ძველი და ახალი მწერლები: უკვდავი შოთა რუსთაველი, თეიმურაზ I, არჩილ მეფე, ვახტანგ VI, დავ. გურამიშვილი, ბესიკი და სხვანი.

ყოველ ეჭვს გარეშეა, ამ ეროვნული მწერლობის და მიმართულების გავლენა თუ პირველზე უფრო ძლიერი, სუსტი არ შეიძლება ყოფილიყო.

აი ამ **ორი მიმართულების**, ორი ატმოსფერის **დასავლეთ ევროპიულისა**, რასაკვირველია, რუსეთის გზით გადმოტანილი, და **ქართლის ეროვნულის გავლენათა ქვეშ შეიქმნა და გაიზარდა ალ. ჭავჭავაძე და მისი პოეტური ნიჭი.**

აი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება რატომ წარმოადგენს **სინთეზს** ამ ორის—აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულებათა.

აი ამისათვის მოახერხა ალ. ჭავჭავაძემ უმტკივნეულოდ დაემყნო ევროპიული რომანტიზმი ქართულ მწერლობაზე და ამ მიმართულების, რომანტიზმის, მამამთავრად გადაქცეულიყო ჩვენს მწერლობაში.

მე არ შეუდგები ალ. ჭავჭავაძის რომანტიზმის დეტალურად განხილვას, ეს არ არის მთავარი საგანი ჩემი დღევანდელი თემისა. მე მაინტერესებს ძირითადი მოტივი მისი რომანტიზმისა და ის, თუ რამდენად დამახასიათებელი იქნება ეს მოტივი შემდეგი მწერლობისათვის.

როდესაც ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას ეცნობით, აშკარად ჰხედავთ იმ უკმაყოფილობა-სევდა-ნაღველს, რომელიც ასეთი ჭმუნვის ალშია გახვეული. თვით საჯრფიალო ლექსებშიაც კვნესა გვესმის. კვნესის პოეტი, როცა საწუთროებას ჩაუკვირდება.

ეს ჭმუნვა და კვნესა ნაწილობრივ წარმოშობილია იმ ნაღვლიანი კილოსი და შინაარსისა, რომელიც ელინთავდა თანამედროვე ევროპის ცხოვრებას და ლიტერატურას, და რომლის უდაო ზეგავლენით იზრდებოდა ალ. ჭავჭავაძე და ვითარდებოდა მისი პოეტური ნიჭი. მაგრამ ნაწილობრივ ამ სევდა-ჭმუნვის დასაბამი უნდა ვეძიოთ საქართველოს მაშინდელ მდგომარეობაში თუ მთლიანად არა ნაწილობრივ მაინც; მართალია კიტა აბაშიძე, როდესაც სწერს: „მთელი მისი (ალ. ჭავჭავაძის) ლექსები „კვნესაა სულისა“ და არა მარტო ტრფობისა

[1]) იხ. პროფ. კ. კეკელიძე—„ქართ. ლიტერ. ისტ.“ ტ. II გვ. 500—502.

ნაშთი, არამედ სხვა უფრო მაღალ განწყობილების „მონაბერი“, ტრის სულის მიმართულებისაგან დაბადებული. ...ამ სევდიანი კილოს მიზეზი საქართველოს ბედში იმალებოდა“ [1]). მართალია პოეტმა გარკვევით ვერ შეიგნო [illegible] ქართველ ერს, მართალია გარკვეულად ამაზე თავის აზრის და გრძნობის გამოხატვას გაურბოდა; მაგრამ ალ. ჭავჭავაძეს, როგორც ნიჭიერს პიროვნებას, დაჯილდოვებულს დიდი პოეტური ნიჭით, არ შეეძლო არ განეცადა ის საშინელი ტრაგედია, რომელშიაც ქართველი ერი ჩავარდა რუსეთის ჩვენში დამკვიდრებით და იმ უთანასწორო ბრძოლით, ქართველი ერი რომ აწარმოებდა დიდი მეფის რუსეთის წინააღმდეგ. მას არ შეეძლო არ განეცადა ის მტანჯველი კაეშანი, რომელმაც დაისადგურა ქართველ ერის სულში. ყოველ შემთხვევაში ალ. ჭავჭავაძეს არ შეეძლო არ განეცადა ის კაეშანი, რომელმაც მოიცვა ჩვენი ბრწყინვალე წოდება ძალა-უფლების დაკარგვის შემდეგ. ამ კაეშანს არ შეეძლო გამუდმებით არ ეღრღნა პოეტის გული და გონება. ამას ამტკიცებს არა მარტო ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობა ამბოხებებში თავად-აზნაურთა 1802 წ. და 1832 წ. არამედ მთელი მისი შემოქმედებაც.

აი ალ. ჭავჭავაძე თავის დამოკიდებულებას ამ დროსთან, როგორი უკმაყოფილობით გამოჰხატავს ლექსში „მუსტაზადი“:

„წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგედ კრულნი!
გვძლივა სოფელმან ხელ მყოფელმან, აწ გვაგო შურნი“...
(„მუსტაზადი“—გვ. 68.)

და გულდაკოდილი პოეტი აი როგორ ახასიათებს იმ ძალას, რომელიც ასე შემოიჭრა ჩვენში:

„ვინც ჰხედა მათ მახეს, ჭირთა სახეს არა აქვს შვება,
მათზედ კეთილი, ვითა შლილი დაიცარება.
. . . . . .
მუხთლად გვაწვიეს, დაგვახვიეს თავს ბნელი შურნი,—
გვძლივა სოფელმან, ხელთ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი.
. . . . . .
(იქვე—გვ. 68-69).

გაშმაგებული პოეტი ასეთი უდიერებით და დაუნდობლობით, ველარ იტევს სიძულვილს, ფიალა მოთმინებისა ევსება და გულის სიღრმიდან აღმოსთქვამს:

„სხვათ დიდს ბოროტსა, მცირე მათი უმეტესია.....
დაკარგეს ყოვლი ჭირნახული გულთუმხნესია,
ჰქმნეს საკანენი საუკუნოდ ვით უდაბურნი,—
გვძლივა სოფელმან, ხელმყოფელმან, აწ გვაგო შურნი!..
(იქვე—გვ. 69).

აი ასეთია ალ. ჭავჭავაძის მიერ თანამედროვე ცხოვრების შეფასება. ასეთია მისი განცდა, რომელიც საწამლავსავით ჰშხამავს მის არსებას. აი რატომ

[1]) კიტა აბაშიძე „ეტიუდები“ 1. გვ. 11.

ალ. ჭავჭავაძე, გარეგნულად ბედნიერი, „ვით მწირი შეჰკვნეს შაებელ ქვეყნისასა, ქვეყნისათვის ანატირიო“, და აწმყოთი უკმაყოფილო, უნუგეშო, ნაღვლიანად, როგორც ეს რომანტიკოსებს სჩვეოდათ, მიჰმართავს ოცნებას წარსულში გადაიტანოს მისი „ზრახვა და გონებ“.

„ნუ მიტევებ, ოცნებავ, მომეც ძველნი ხილვანი,
მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხვრანი:
წარსულისა სიცოცხლის ნიავი კვლავ დამქროლე
და დამაშვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე“.
(„ჰეა ჩემო ოცნებავ“... გვ. 83).

დაქანცულ, მოტყუებულ მწერლის „წყლულ გულს“, სიტკბოებას მხოლოდ წარსულის ხილვა ღა აძლევს:

„გვედრებ, ნელა მშორდები, განმიგრძე სიხარული,
რომე ხსოვნითა ოდენ დავიტკბო წყლული გული“.
(იქვე—გვ. 83).

აწმყოთი მაშვრალს პოეტის გონებას აზრთ სრბოლა წარსულის საიდუმლო სივრცეში გადააქვს. მუხთალი აწმყო და სოფელი თავისი დაუდგრომლობით პოეტში ცხოვრების აზრის და დანიშნულების, მისი დასაბამის და დასასრულის საკითხს აღძრავს. და როგორც სხვა მრავალი რომანტიკოსი ალ. ჭავჭავაძე საშინელ პესიმიზმამდის მიდის: როგორც რომანტიკოსი „ღრუბლიანი დაჰყურებს გოგჩის ტბას“ და მის ნგრეულ მიდამოში კითაულობს:

„აჰა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აჰა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი.
მხოლოდ აწყმოზე რას დაბმულხარ, ხედავ ბრმობილო!“

ასეთი პესიმიზმი მეორე ძირითადი მოტივია ალ. ჭავჭავაძის მელანქოლიური პოეზიისა, აღმოცენებული საქართველოს იმავე ნიადაგზე და გაღვივებული რომანტიზმით. ეს პესიმიზმი მეტად ძალუმადა აქვს გამოხატული თავის ორ ელეგიაში „სხვადასხვა დროის კაცი“.

რითი უნდა ავხსნათ ალ. ჭავჭავაძის საერთო უკმაყოფილება, ან ის სევდა და ნაღველი, რომელიც ისე ძალუმად არის ჩაქსოვილი მის შემოქმედებაში მთლიანად და სატრფიალო ლექსებშიაც კი, თუ არა იმ პატრიოტულ გრძნობით, რომელსაც ასე მწვავედ განიცდიდა ქართველი ერი და თვით ალ. ჭავჭავაძესაც, როგორც ერისა და იმ დროის შვილს, ძალა-უნებურად უნდა განეცადა.

V

განა ამავე პატრიოტულ გრძნობაზე არ აღმოცენდა და გაიშალა გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭი? განა ამავე გრძნობამ არ მისცა გრ. ორბელიანს საშუალება და საზრდო გაეღრმავებინა და გაეფართოებინა რომანტიული მიმართულება ჩვენს მწერლობაში? მიუხედავად იმისა, რომ გრ. ორბელიანი მაინც და მაინც არ არის დიდი პატრიოტი (რაც აშკარად ჩანს მისი პირადი ცხოვრებიდან და შემოქმედებიდანაც, მისი პატრიოტიზმი წოდებრივ გაგებას იშვიათად

სცილდება), ეს გრძნობა იმდენად ღრმად და მწვავედ იყო ჩახლართული ქართველი ხალხის მასებში, იმდენად მტანჯველი იყო მისთვის, რომ გრ. ორბელიანშიც არ შეიძლებოდა არ ეპოვნა გამოძახილი იმ კატასტროფას, [illegible] დაატყდა ქართველს ერს. განსაკუთრებით 1832 წლის ამბოხება-დამარცხებით ქართველ არისტოკრატიას და კერძოდ გრ. ორბელიანსაც მოევლინა მძიმე უბედურებად და უკმაყოფლება, უიმედობა გახადა საფუძვლად მის შემოქმედებისა.

დასჯილ მგოსანში გაღრმავდა უკმაყოფილობა. „უბედურებამ გაუგებრობაზე და გამოუცდელობაზე აშენებულმა" (როგორც თვითონ ამბობს ლექსში „ჩემს დას ეფემიას" 1832 წლის შეთქმულების შესახებ) უფრო მჭიდროდ დააკავშირა პოეტი თანამომხრეებს, რასაკვირველია უფრო დასჯილ თავად-აზნაურობას (მასში წოდებრივი ფსიქოლოგიური ნათესაობა გააღრმავა. [1])

ამ გარემოებამ გრ. ორბელიანს სამშობლოს სიყვარული უფრო მტკივნეულად აგრძნობინა. თავისუფლების დაკარგვის საბედისწერო შედეგებმა

„ეჭვით აღვსილსა, უსასოდ ქმნილსა,
გულ უიმედოს გაუხარებელს"...

პოეტს დააკარგვინა თანამედროვე ცხოვრებისადმი ნდობა. აწინდელი მდგომარეობით უკმაყოფილო პოეტი ნაღელიანად მიჰმართავს წუთისოფელს:

ჰე, ცრუ სოფელო, დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერუცვლელ?!."

(„თამარ მეფის სახე"...).

აწმყოთი უნუგეშო, როგორც რომანტიკოსებს სჩვევიათ, გადადის წარსულში, იქ წარსულში ეძებს სულის სიმშვიდეს, დაკმაყოფილებას:

„მიხარის—გიმზერ, ვწუხვარ—და გიმზერ—
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე, რომ აღარ ვგრძნობდე
ჩემის სამშობლოს სულით დაცემას."

(„თამარ მეფის სახე")

იქ წარსულში, როგორც ჩვეულებრივ რომანტიკოსები, გრ. ორბელიანი ჰპოულობს ეპიზოდებს და პიროვნებებს, რომელთა შექმნეს „დიდება ჩვენი ცადსხივმიმფენი". თავის თხზულებაში „სადღერძელო" ის აღადგენს ჩვენს წარსულს. პოეტი დიდის აღფრთოვანებით და მოწიწებით, ლამაზი პოეტური ენისა და ალაგ-ალაგ მხატვრული ექსპრესიის დაცვით, ცდილობს ჩვენი ბრწყინვალე წარსული თავისი გმირებით, მათი ვაჟკაცობით და მხნეობით მკითხველს ცოცხლად დაუხატოს.

წარსულის დიდებით და მამაცობით, მისი სილამაზით და მიმზიდველობით დამთვრალი პოეტი აღტაცებით წარმოსთქვამს:

„მამულისათვის ფიალა საკსე ვსვათ სიამოვნებით—
და იქმნეს აღყვავებული კეთილ დღეობით, დიდებით...
იქმნეს მის ქედი აყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით,

[1]) იხ. მიხ. ხანდუკელი—„გრ. ორბელიანი და მისი შემოქმედება"—მნათობი 1926 წ. № 8—9.

და სიყვარულის მისდამი ვეხარობდეთ გულსა აღგზნებილ!
სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ყამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!
მის სადიდებლად ჩვენც შევხვდეთ უშიშრად ათასს მახვილსა
და მოვკვდეთ, თუ კი სიკვდილით, ვადიდებთ მისსა სახელსა!"

მართალია საკმარისად რიტორიული ხასიათი აქვს „სადღეგრძელო"-ს როგორც მთლიანს, ისე კერძოდ ამ მოტანილს ადგილსაც; თითქოს პოეტი ძალდატანებით მსჯელობს, თუმცა ლამაზი პოეტური ენა და მთელი რიგი პოეტური ადგილებისა ამ ნაკლს ანელებს.

ამავე ძირითად, ეროვნულ გრძნობის ნიადაგზეა განვითარებული გრ. ორბელიანის პოეზიაში რომანტიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება— კულტი ბუნებისა. გრ. ორბელიანი, შეიძლება ითქვას, პირველი შემომტანია ჩვენს მწერლობაში ბუნების კულტისა. ბუნება რომანტიკოსისათვის ერთ-ერთი (თუ ერთად-ერთი არა) ნავთსაყუდარი იყო, სადაც აფორიაქებული და გაწამებული რომანტიკოსები პოულობდნენ სიმშვიდეს და სიწყნარეს. ბუნებას რომანტიკოსებმა სული ჩაუდგეს, გააკაცეს, აამეტყველეს, თავიანთი მჭმუნვარე ნაღველის თანამოზიარედ გახადეს, მის თანაგრძნობით იქავრებდნენ აწმყოთი დაუკმაყოფილებელ სევდიან სულიერ განწყობილებას. ბუნება მათთვის ერთგვარი ტაძარი იყო, რომელშიაც, ცხოვრების იქით ბედნიერების მაძიებელი რომანტიკოსები, გუნდრუკს აკმევდნენ.

ერთი უდიდესი დამსახურება გრ. ორბელიანისა, როგორც რომანტიკოსისა, ის არის, რომ მან დიდის ნიჭით და მხატვრულობით დაგვიხატა ბუნების ასეთი გაგება.

„მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ყამს კავკასსა
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი—
სხედან ვით დევნი, სპეტაკის ყინულ-გვირგვინით შემკულნი!
მათ კლდოვან გვერდთა შავათა ღრუბელნი ზედასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან."
(„საღამო გამოსალმებისა.")

ან კიდევ:

„იელვა, ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან,
ათასი ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!
მოჰქრის დილისა ნიავიც, გულისა მაგრილებელი;
ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბალში ფოთოლთ შრიალი!
ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!
დაჩუმდი... ყური მიუგდე.., არ გესმისთ, გალობს ბულბული?"
(„სადღეგრძელო"—გვ. 73)

რომანტიკოსები ბუნების წიაღში, მისი სილამაზის და უშუალო შეხების პროცესში უახლოვდებოდნენ იმ პირველს მიზეზს, რომელსაც ღვთაებას, აბსოლუტს ეძახდნენ და რომლის ძიება და განსახიერება უდიდესი განცდა იყო მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი აღგზნებელი ალმაფრენისა. ბუნება რომანტიკოსებს ერთგვარ ფსალ და ხიდად ედებათ ამ აბსოლუტის შესახებად და განსაცდელად.

ასეთივე გაგება აქვს ჩვენს პოეტსაც:

„ვიწ ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჭმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკბობელსა!..
ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს, მის ფერუთვალავ
შვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!..
(„სადღეგრძელო"—„განთიადი")

გრ. ორბელიანი ბუნებასთან შეხებაში გრძნობს გამაფაქიზებელ, განმწმედ საშუალებას ბიწიერებისაგან, მაღალი პოეტური ნიჭით და ალმაფრენით აღბეჭდილი გულუბრყვილობით კითხულობს:

„ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა"-ო.

გრ. ორბელიანის პოეზია საინტერესოა აგრეთვე რომანტიზმის სხვა მოტივის—სიყვარულის გრძნობის ახალი გაგების შემოტანის მხრივაც ჩვენს მწერლობაში.

სიყვარულის გრძნობის განსახიერება ჩვენი მწერლობისათვის უცხო და ახალი არ იყო. სატრფიალო ელემენტი, როგორც გამომხატველი პირადი განცთისა ჩვენი აღორძინების ხანის მწერალთა შემოქმედებაში უხვადაა გაშლილი. საუკეთესო წარმომადგენელი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მიმზიდველობა არის ბესიკი. მისი ლექსთა დიდი ნაწილი სამღერალ რომანსებად გადაიქცა თანამედროვეთათვის და თითქმის მეოცე საუკუნის კარამდე ვრცელდებოდა. სიყვარულის გრძნობა მეტად მრავალ-მხრივ და მრავალ-ფეროვანად განავითარა და განასახიერა გრ. ორბელიანის წინამორბედ თანამედროვემ ალ. ჭავჭავაძემაც. სიყვარულის მრავალ-ფეროვნების განსახიერების მხრივ, როგორც ბესიკი, ისე ალ. ჭავჭავაძე ისეთს ვირტუოზობამდის მივიდნენ, რომ გრ. ორბელიანი ამ მხრივ მათ ვერც კი შეედრება. მაგრამ როგორც ბესიკი, ისე ალ. ჭავჭავაძე სპარსული მწერლობის გამო ხორციელ, ფიზიკურ სიყვარულს უგალობენ, მხოლოდ მას უთმობენ თავის გულს ტახტად, მონად მას უხდებიან. მათთვის მეორე, სულიერი მხარე სიყვარულისა მიჩქმალულია, არც კი ჩანს. გრ. ორბელიანს კი ახალი გაგება სიყვარულისა, მისი სულიერი მხარის სიძლიერის და უპირატესობის შეგნება შემოაქვს ჩვენს მწერლობაში:

„რაა გინდ მოვკვდე! მაინც შენდამი სულს სიყვარული
თანა წაჰყვება!
არს უკვდავება, სულის დატკბობა, რომელს დასასრულ არა ექნება
მაშ სახე სულის დამატკბობელი იმიერ სოფელს არ განგვშორდების—
და სიყვარული სულის მაშვენი სიცოცხლესთანა არა დაშრტების,—
თვარა სიყვარულს თუ დავკარგვიდე, **უკვდავებამან მის წილ რა**
მომცეს?..
(„სადღეგრძელო" ეფ. 72).

გრ. ორბელიანს, როგორც ნამდვილ რომანტიკოსს, არა მარტო სიყვარულის სულიერი მხარე სწამს, მისი გაგების უნარი აქვს, არამედ, როგორც რომანტიკოსებს სჩვეოდათ, ის გრძნობს, რომ სიყვარულის განცდის საშუალობით ადამიანი ღვთაებასთან აბამს კავშირს. ასეთს ღრმა რომანტიულ-ფილოსოფიურ გაგებას სიყვარულის გრძნობისას გრ. ორბელიანი შემდეგს სიტყვებში გვაძლევს:

„ძმანო, ივიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება;
მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება,
რომლის შუქი აღგვამაღლებს, რომლით სული გვინათდება,
რომლით კაცი მშვენიერებს. **მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება**“!
(„სადღეგრძელო“—გვ. 70).

სიყვარულის გრძნობა, როგორც გრძნობა ბუნებისა, რომანტიკოსების შეხედულებით, ადამიანს არა მარტო აახლოვებს ღვთაებასთან, არამედ უკვდავებას განაცდევინებს:

„რომ სახე მისი თვალთა დახშულმან თანა წარვიღო იმიერ სოფელს,
მუნ საშვებელად, მუნ სანუგეშოდ, და **რათა მითვე ვჰსცნა უკვდავება**“!..
(„სადღეგრძელო“—გვ. 72).

ასეთი ძლიერი განსახიერება სიყვარულის განცდისა და გაგებისა ბევრს დიდს რომანტიკოსსაც გაუჭირდებოდა!

VI

მაგრამ ალ. ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის შემოქმედება მხოლოდ დასაწყისია ჩვენი რომანტიზმისა. ნამდვილი და უდიდესი წარმომადგენელი ჩვენი რომანტიზმისა, მისი გამაღრმავებელი, გამაფართოვებელი და ამყვანი უმაღლეს წერტილამდის არის მაღალი პოეტური ნიჭის შარაეანდედით მოკული ნ. ბარათაშვილი. მთელი მისი შემოქმედება კერძო წერილია იგი, ლექსი, თუ პოემა ერთი მთლიანი, გულის სიღრმიდან ამონახეთქი ელეგიაა, რომელშიაც იხატება პოეტის „მე“ და მისი შავბედითი ცხოვრება. მასთან ერთად ბარათაშვილის პოეზია ცოცხალი და მკვეთრი განსახიერებაა ქართველი ერის ტრაგედიისა. ბარათაშვილის პოეზია ცოცხალი სარკეა იმ უილაჯობისა და უიმედობისა, იმ სევდანაღველისა და გაუნელებელ კაეშნისა, იმ სიცარიელის და დაცემისა, რომელთაც დაისადგურეს ქართველი ერის სინამდვილეში. ბარათაშვილის პოეზია—გულწრფელი, უშუალო, საშინელი ტკივილებით აღსავსე ქართველი ერის აღსარებაა, რომელიც პოეტის ნიჭის განვითარებასთან ერთად სცილდება საქართველოს ფარგლებს და მსოფლიო სევდაში, მსოფლიო გოდებაში გადადის. ბარათაშვილის პოეზია აგებულია ტიპიურ რომანტიულ მსოფლ-მხედველობის საფუძვლებზე და თვით ქართველი ერის ცხოვრებაც ბომ მთლად რომანტიულია!.. და აი ნიჭიერი, მგრძნობიარე, აღსავსე ცხოველ-მყოფელი ძალით და მისწრაფებით, მუდამ მოძრავი, მუდამ მჭრელი, საგნისა და მოვლენის ღრმად ჩამწდო-

მი ნ. ბარათაშვილი, რომლის „ყოველთა ზრახვათა და საწადელთა“ ბოლოდანვე რაღაცა „ხმა იდუმალი“ თანსდევს და მუდამ ჩასძახის:

„ეძიე ყმაო, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო იპოვო შენი საშვენი!“-ო („ხმა იდუმალი“)

ასეთსავე გარცდას ბარათაშვილი თავის ბიძა გრ. ორბელიანსაც უზიარებს: „მე შინაგანი ხმა მიწვევს,—სწერს ის,—საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის დროისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადმოვხედავ მაშინ ჩემს ასპარეზს!“[1])

თანამედროვე ცხოვრებაში, გახრწნილსა და შეგინებულში პოეტი ვერაფერს სანუგეშებელს ვერა პოულობს და კაეშანს ეძლევა. თითქოს ყველა, მთელი ცხოვრება ერთს მხარეს მოექცა, მეორეს კი—თვით პოეტი თავისი შეურიგებელი მსოფლ-მხედველობით, მწველი განცდებით და ტანჯვებით. სინამდვილესთან შეხება პოეტში იწვევს მისდამი უარყოფას, სულიერი ტკივილების გამწვავებას. აი რასა სწერს ბარათაშვილი ერთ-ერთს თავის მეგობარს: „ვინც მაღალი გრძნობების მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელი საწამლავისა. სად განისვენოს სულმა, სად მოიდრიკო თავი?“[2]) და განა ეს ცოცხალი და ნამდვილი გამოძახილი არ არის ქართველი ერის იმედგაცრუებული და ცარიელი ცხოვრებისა?

და აი მგოსანმა, როგორც რომანტიკოსებს სჩვეოდათ ამ „საძაგელ ცხოვრებაში“, როგორც თვითონ ეძახის, სულის განსასვენებელი ვერაფერი და ვერავინ ვერ იპოვა და საშინელ მოწყენილობას და სიმარტოვეს გრძნობს: „კიდევ მომნახა,—სწერს პოეტი მაიკო ორბელიანს,—ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყენილობამ; ვისაც საგანი აქვს ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო, სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტოობით[3]“.) ასეთსავე გრძნობის მწარე ქვითინით მოსთქვამს თავის ლექსში „სული ობოლი“:

„ძნელი არის მარტოობა სულისა,
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა“.

ცხოვრებაში გაწამებულ ობოლ მგოსანს მხოლოდ ოხვრა ღა აძლევს შვებას.

ვინაიდან პოეტი ცხოვრებაში ვერ პოულობს ტოლს, მიდის, როგორც ყველა რომანტიკოსი ბუნების წიაღში. იქ ყუჩდება მისი აფორიაქებული შინა-

[1]) იხ. წერილი ნ. ბარათაშვილისა გრ. ორბელიანთან 1843 წ. 21 აგვისტო.
[2]) იხ. წერილი ნ. ბარათაშვილისა მაიკო ორბელიანთან 1842 წ. 31 ოქტომბერს.
[3]) იხ. წერილი ნ. ბარათაშვილისა მაიკო ორბელიანთან 1842 წ. 31 ოქტომბერს.

განი სამყარო, იქ ეძიებს მისი აფოიაქებული ფიქრი ,,ნაცნობს ადგილს / განსასვენებლად''. ბუნება ბარათაშვილისათვის ცოცხალი არსებაა, მკაცრი და ულმობელი ადამიანისაგან გარიყული, მიუღებელი, აქ ბუნებაში პოეტს [illegible] ეგნეზარა, თანამგრძნობს. ბუნება ,,ხან მცინარი, ხან ცრემლიანი'' ,,გულდახურულთა მეგობარია'', მხოლოდ იქ შეუძლიან პოეტს ჩამოყაროს ,,სანუგეშებელი ცრემლი'', ეს ნაღველის განმაქარვებელი საშუალება რომანტიკოსებისათვის, იქ ბუნების თანაგრძნობაში პოეტი სჭვრეტს კონტაქტს თავის განცდასთან „იქაც (ე. ი. მტკვრის პირას) ყოველი არემარე იყო მოწყენით'', ან ,,შემოღამება მთაწმინდაზე''-ში:

,,მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი.
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!''

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბუნების შეგრძნობა წმინდა პანტეისტურია. ის ბუნებას განიცდის, როგორც მთლიანი ცოცხალი არსების ცხოვრებას, ადამიანი ერთი ნატეხია ამ ცხოვრებისა და როდესაც ადამიანი მთელი თავისი არსებით შეერთვის ამ საერთო ცხოვრებას, მხოლოდ მაშინ შეუძლიან განიცადოს სულის სიმშვიდე, ჩასწვდეს და გაიგოს ის პირველყოფილი მიზეზი დასაბამისა, რომლის საიდუმლოება სტანჯავს კაცობრიობას და ასე მტკივნეულად იზიდავდა რომანტიკოსებს, კერძოდ ნიკოლოზ ბარათაშვილსაც.

რომანტიკოსების აგზნებული ფანტაზიისათვის საყვარელი იყო ბუნება ბინდისას, მთვარიან ღამეს—,,ყოველი ბუნებაც მაშინ ლამაზი და მინაზებულია''. ასეთი გარემოება ხელს უწყობდა მათი ალმაფრენის სრბოლას რეალობის ზემყოფი სამყაროსაკენ. ჩვენი პოეტი იქ ,,დაფიქრებული სერზედ'' მდგარი, გარშემორტყმული მაისის მწუხრით, როდესაც გარშემო ,,იდუმალება დაისადგურებს'', ,, მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ამცნობს (თავის) გულის საიდუმლოს''. აქ ,,ხანდისხან ნელად მჭროლნი ნიავნი'' მის ,,გულსა **ეთანხმებიან**'', აქ საიდუმლოებით მოცულ ბუნების წიაღში, პოეტი შვებას პოულობს და ექსტაზით წამოიძახებს:

,,მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდება საწუთროება,
გულის თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება''...

(,,შემოღამება მთაწმინდაზე'').

იშვიათის სილამაზით, სიღრმით და სისწორითაა გადმოცემული არა მარტო ნ. ბარათაშვილის რომანტიული ძიება, იმ ქვეყნის, ტრანსცენდენტალური სამყაროს ხილვით აგზნებული, არამედ მთელი რომანტიზმისა! არა მგონია ყოფილიყო ისეთი რომანტიკოსი, თუნდაც უდიდესი წარმომადგენელი, როგორც რუსო, ბაირონი, შატობრიანი, ტიკი, ნოვალისი, ლერმონტოვი, რომელსაც ამ სიტყვებში არ დაენახა მკვეთრი განსახიერება იმ ალმაფრენისა, რომელიც ასე სტანჯავდა მათ, არ აყენებდა ერთს ალაგას, ცხოვრებასთან შერიგების ხიდს ამსხვრევინებდა, სადღაც წინისკენ, ზეცისკენ დაუდგრომლად ამოძრავებდა.

მაგრამ ჩვენი მგოსანი მწარედ გრძნობს, რომ ეს ოცნების ქროლვაც არ-

არის დაუბოლავებელი და ყოვლის შემძლებელი; გრძნობს, რომ ძნელია ცხოვრება „ციურ განგების", გრძნობს, რომ მუდამ ლაქვარდ ცისკე მიმსწრაფნი მისი ზრახვანი სასურველ ქვეყნის საზღვრებამდისაც კი „ვერ მიახწევენ და ბოლომდე განიბნევიან". ეს გარემოება უფრო აღრმავებდა იმ პესიმიზმს, რომელიც ასე მწვავედ ღრღნიდა ყველა დიდს რომანტიკოსს და კერძოდ ნ. ბარათაშვილსაც.

ჩვენ აქ ნ. ბარათაშვილის პოეზიის ძირითადი მოტივის, პესიმიზმის გაღრმავებას ვხედავთ. იშვიათს მწერალს მოუხერხებია თავის პირად განცდათა განსახიერებაში ისე მკვეთრად ჩაექსოვოს საერთო ეროვნული და ამ ეროვნულში მსოფლიო, საკაცობრიო, როგორც ეს ჩვენმა პოეტმა შესძლო. „ნ. ბარათაშვილი, —როგორც სამართლიანად სწერს გ. ჯაფარიშვილი,—სამშობლოს უბედურობით გამოწვეული მწუხარება, ეგრედ წოდებული პოლიტიკური რომანტიზმი გადააქცია წმინდა მსოფლიო რომანტიზმად". [1]) ნ. ბარათაშვილმა მართლადაც პირადი ნაღველი ნიჭიერად გალესა საერთო ეროვნულ სევდა-უბედურობაში, მკვეთრ ნაკადად შეურია საერთო მსოფლიო გოდებას და საბოლოოდ საერთო-საკაცობრიო ხასიათი მისცა თავის შემოქმედებას — „შემოღამება მთაწმინდაზე"-ში, „მერანი"-ში, „სულო ბოროტო"-ში და სხვაში.

ეს გარემოება ნ. ბარათაშვილს მსოფლიო მგოსანთა შორის საპატიო ადგილს აძლევს.

მაგრამ ნ. ბარათაშვილის შემოქმედება საინტერესოა აგრეთვე სხვა თავისებურობით.

ჩვენი პოეტის მწუხრი სული და უნდობი გონება, განვითარებული მისი შეხედულობით, რომ ცხოვრება ამაოებაა და ფუჭი, რომ „წუთისოფელი ოდენ საწყაულია ალუვსებელი", უნდა გამოუვალ ჯადოსნურ რკალში მომწყვდეულიყო, ასეთს უსაზღვრო სასოწარკვეთილებამდის მისულს ცხოვრებაზე ხელი უნდა აელო, როგორც მრავალი რომანტიკოსი იქცეოდა, მაგრამ ჩვენი მგოსანი ამ წყვდიადის და უფსკრულის წინაშე არა ტყდება, არ იკარგება და მთელის მტკივნეულობით და შეგნებით წარმოსთქვამს:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს".

ამაში ჩვენ ვგრძნობთ ერთგვარ გარდატეხას ნიკ. ბარათაშვილის პესიმისტურ მსოფლ-მხედველობაში, აქ ისახება და იშლება ის მებრძოლი ძალა, რომელიც ახასიათებდა ბევრს რომანტიკოსს და აგრეთვე დამახასიათებელია ჩვენი მგოსნისათვისაც მისი შემოქმედების მეორე პერიოდში, რომელიც ჩვენის შეხედულებით, იწყება 1841 წლიდან და გრძელდება მის სიკვდილამდის.

ეს ის პერიოდია ჩვენი პოეტის ცხოვრებაში, როდესაც ამდენ ხნის დაუკმაყოფილებელი მოქმედების წყურვილით დატანჯული მგოსანი ცდილობს გაექცეს „თვალ ბედითს შავ ყორანს", გაკვეთოს ქარი, გააპოს წყალი, გარდაიაროს კლდენი და ღრენი, როდესაც მზადაა მოშორდეს მამულს, მოაკლდეს სწორთა და მეგობართა, ველარ იხილოს მშობელი და სატრფო ტკბილ-მოუბარი. თანხმდება

[1]) იხ. ნ. ბარათაშვილის თხზულება, გამოცემა 1922 წ. „ნ. ბარათაშვილის წინამორბედნი" გვ. 180.

ნუ დაიმარხოს თვისსა მამულში, თვის წინაპართა საფლავებს შორის, ნუ დაიტიროს სატრფომ გულისა, ნული დაეცეს ცრემლი მწუხარის—დეე ყორანმა გაუთხაროს საფლავი მდელოთა შორის ტიალის მინდვრის ბალახ-შალში ძვალთა შთენილთა ღრიალით მიწა მიაყაროს—ოღონდაც კი „ვარსკვლავთა თანამავალთა ამცნოს გულისა მან საიდუმლო“.

ესეც ხომ ძლიერი და მიმზიდველი რომანტიული აღმაფრენის განსახიერებაა! მაგრამ არა პასიური, წყნარი, ნაღვლიანი, როგორც ეს პოეტის პირველ პერიოდშია, არამედ მძლავრი, დემონიური—ბაირონისებური.

გავერკვიოთ პოეტის სულის კვეთებაში ამ პერიოდის განმავლობაში.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას, როგორც დავინახეთ, თან დაჰყვა რომანტიული მიმართულების ძირითადი თვისებანი: ჭმუნვა, სევდა, უიმედობა, უკმაყოფილება, ძიება. მაგრამ მის შემოქმედების პირველ პერიოდში 1840 წლამდის მათ გამოხატვას პასიური ხასიათი აქვს, პოეტი მხოლოდ თავის შინაგან გრძნობათა და სულიერ განწყობილებათა ანალიზშია. თავის უილაჯობის მაღიარებელია, მეორე პერიოდში კი, თუმცა, პოეტის შეგნებაში „შავის ბედის ლახვარნი“ უფრო მსწრაფლნი არიან, მაგრამ პოეტი პასიობას აღარ იჩენს. ჭმუნვა-მწუხარების, „სულის ობლობის“ და უიმედობა-უილაჯობის განცდათა ანალიზი მის ნებისყოფას ველარ ადუნებს. პირიქით, ის აქტიობას გამოჰხატავს, პროტესტს აცხადებს, არ უნდა დაემორჩილოს ცხოვრების ჩარხის ტრიალს:

„არ დაიჩნიოთ შავის ბედის მსწრაფლნი ლახვარნი
და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლიცა მწარნი“-ო
(„ჩემთ მეგობართ“).

ეუბნება 1841 წ. თავის გრძნობაზე გამარჯვებული პოეტი მეგობართ. ახლა ჩვენი მგოსანი უკვე აქტიური სურვილის გამომხატველია:

„მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.“
(„არ უკიჟინო სატრფოო“... 41)

ახლა უნუგეშო და უკულმართი ცხოვრება. თვით „თვალბედითი შავი ყორანი“ პოეტს ველარ იმორჩილებს, მათ გადაჭრილს შეურიგებლობას უცხადებს და მტკიცეთ ეუბნება თავის მერანს:

„გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, **გარდამატარე ბედის სამძღვარი,**
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.
დეე მოვკვდე მე უხატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!“
(„მერანი“)

პოეტი ახლა უფრო მწვავედ და მკვეთრად გრძნობს, თუ „გონების და სიცოცხლის აღმაშფოთარმა სულმა ბოროტმა“, როგორ „წარულო სულის მშვიდობა და მოუკლა ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“. ახლა ამ „სულსა ბოროტსა“ პოეტი გაბედულად და კადნიერად ჰკითხავს:

„მარქვი, რა იქნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?

სად ხარ აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?"

(„სულო ბოროტო")

და აფორიაქებული პოეტი ძლიერი გულისწყრომით შესძახებს:

„წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად ვუმსხვერპლიდი, მივანდობდი ჩემთ გულის თქმათა!
მას აქეთ არის დავუკარგე მშვიდობა სულსა!
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!"

და ბოლოს აღშფოთებული მგოსანი ეუბნება:

„განვედი ჩემგან, ჯი მაცდურო, სულო ბოროტო!"

პოეტი მიუხედავად ასეთი აწეწილი, აფორიაქებული ცხოვრებისა, მოქმედებისა, განცდისა; მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების სიცარიელე და ამაოება ჰშრეტს მის ცხოველმყოფელ ძალას; მიუხედავად იმისა, რომ მას „წარღებული აქვს სულის მშვიდობა", მოკლული „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება", დარჩენილია „აწ სოფლად უსაგნოდ, მარტო; ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი"; მიუხედავად იმისა რომ „ბოროტის სულის" სახვრელი სული დაუნდობლად ღრღნის მის გაშმაგებულ გულსა და გონებას, — მაინც ჩვენი მგოსანი ამ სოფელს იქით გრძნობს სხვა, ახალს ქვეყანას, ახალს ცხოვრებას, აწინდელის გამაგრძელებელს, რომელსაც მისი „განწირული სულის კვეთება" ერთგვარ მსხვერპლად, „გზად და ხიდად" უნდა დაუდოს. მას სწამს, რომ „გზა უვალი" მის მიერ ასეთი ტანჯვით „თელილი... მოძმეს სიძნელეს გზისას გაუადვილებს" ⁄ მოუმზადებს მას ნიადაგს „შავს ბედთან" საბრძოლველად.

ამაშია ჩვენი დიდი რომანტიკოსის დიდი ბუნება და ორგინალობაც. ის ვერ დაკმაყოფილდა ცხოვრების გარეშე სრბოლით, ვერ დაკმაყოფილდა ცხოვრების ყოველმხრივი განმანადგურებელი ანალიზის გაკეთებით; პირიქით, მან ცხოვრების უარყოფაში დაგვანახა რაოდენ დიდი და ძლიერი იყო მისი მიზიდულობა ცხოვრებისადმი.

ბარათაშვილის ეს მწვავე უარყოფა ცხოვრებისა, უდაოდ გვაჩვენებს მისდამი დიდს და განუსაზღვრელს სიყვარულს, რომლის დაკმაყოფილებასაც თანამედროვე ცხოვრებაში ვერ პოულობდა და ასე თავდავიწყებით ეძებდა ლაგამმიშვებულს მერანზე მჯდომი შეუპოვარი და თავგანწირული მხედარი. ბარათაშვილის ცხოვრების უარყოფაში ვხედავთ მის დაუკმაყოფილებელს სურვილს და სიყვარულს ცხოვრებისას.

დიახ, ნიკ. ბარათაშვილის კაეშნიან მუზას თითქმის სავსებით ასაზრდოებს მისი ცხოვრებისადმი დაუძლეველი სიყვარული. სწორედ ამით აიხსნება, რომ მეორე პერიოდის შემოქმედებაში პოეტი ლამობს ობიექტიური ცხოვრების, მასთან დამოკიდებულების განსახიერებას.

აი რატომ პირველსა და მეორე პერიოდის გარდატეხილზე უილაჯო, უიმედო გაწვალებული პოეტის აზრი გადადის ჩვენი ისტორიის წარსულში, რომელიც სინამდვილე იყო თავისი შედეგებით თანამედროვე ცხოვრებაში; ცდილობს

თავისი და აგრეთვე მთელი ქართველი ერის ტრაგედიის გასალები მოგვცეს თავის პოემაში „ბედი ქართლისა“.

ბარათაშვილის შემოქმედებაში აქ ჩვენ ვსჭვრეტთ რომანტიზმის და რეალიზმის სამზღვარს. ბარათაშვილის შემოქმედების მეორე პერიოდში ჩვენ ვგრძნობთ იმ ღრმა და დიდს გარდატეხას, რომელიც ამ დროს ისახება ჩვენი ერის ცხოვრებაში და ფსიქოლოგიაში. ამ გარდატეხის გაგებაც ჩვენმა მგოსანმა შესძლო თავისი გენიოსური ინტუციით და რომელიც გამოჰხატა შემდეგი სიტყვებით:

„გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა საკალნი დღენი,
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნურცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!“

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“

ბარათაშვილის ახალი ცხოვრების წინაგრძნობით გამოწვეული აფორიაქებული გრძნობების უფრო გარკვეული განსახიერება შესძლო ჩვენმა მეორე დიდმა მგოსანმა, ჩვენი ცხოვრების მეორე მესაიდუმლემ, ბარათაშვილის ნიჭიერმა მემკვიდრემ **ილია ჭავჭავაძემ** შემდეგს სიტყვებში:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“

(„ქართლის დედას“)

ნ. ბარათაშვილი, ჩვენის ფიქრით, აი ამ მომავლის გზის გამონახვის ატმოსფერაში უნდა შესულიყო მთელი თავისი მოუსვენარი, ძლიერი და ცხოველი ტემპერამენტით, რომ უდროოდ სიკვდილს არ მოესპო მისი სიცოცხლე, მისი ჩანგის ყღერა.

VII

ბარათაშვილისთანა ბრწყინვალე წარმომადგენელი ჩვენს რომანტიზმს არა ჰყავს. მან სავსებით ამოსწურა ქართული რომანტიზმი. მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენს მწერლობაში რომანტიზმის დეკადანსი იწყება, რეალიზმი თანდათან გაბედულის ნაბიჯით შემოდის ჩვენს მწერლობაში და მე 60-ცე წლებში ილია-აკაკის მეთაურობით მკვიდრდება.

მაგრამ რომანტიზმი ჩვენს მწერლობაში მაინც არ გამქრალა. პარალელურად გაბატონებულ რეალისტურ მიმართულებასთან ფერმკრთალი, მაგრამ მაინც კი ძლიერი ნაკადით მთელი მე-XIX-ტე საუკუნის მანძილზე მომდინარეობდა. თუ-

მცა დეკადანსის დროს რომანტიზმი თავის ძალას ტ ელფერს ჰკარგავს, მაგრამ მისი **ლეიტ-მოტივი ეროვნული გრძნობა** კვლავინდებულად ნიადაგია მისი განვითარებისა და ისეთსავე მიმზიდველობას აძლევს მას. ეროვნული გრძნობა, თავისუფლების დაკარგვა და მისი აღდგენის ოცნება ისეთს ძლიერ სურვილადაა გადაქცეული, ისეა შესისხლხორცებული ჩვენი პოეტების შეგნებასთან, ისე ძალუმად, ისე მტკივნეულად, რომ მათ რაღაც საოცნებო ქვეყანა წარსულისა შეუქმნიათ, იქით მიილტვის მათი ფიქრი და გონება, იქ იზიდავს გატაცებულის გზნებით მკითხველს.

რა არის თუ არა პატრიოტული გრძნობით შექმნილი ოცნების სამყარო ვახ. ორბელიანისა, ჩვენი რომანტიზმის დეკადანსის ამ საუკეთესო წარმომადგენელისა მთელი თავისი ნაზი და მგრძნობიარე „მე"-ს გაშლით თავის შემოქმედებაში, წარსულის იდეალიზაციით, მაღალი და სპეტაკი ეროვნული გრძნობის განსახიერებით („წიგნი მოწერილი რუსეთიდან"—1833 წ., „იმედი"—1850 წ. „ძველი ლმანისი" 1866 წ., „ორი სიზმარი"—1879 წ., „ორი შენობა" 1881 წ. „ობოლი" 1882 წ. „სამშობლო ქვეყნის პასუხი" 1883 წ. „ირაკლი და მისი დროა" 1885 წ.).

პოეტში მწარე ნაღველს იწვევს სამშობლოს დაცემა, მისი უილაჯო და უნუგეშო მდგომარეობა. აწმყო მას არავითარ სანუგეშოს არ ეუბნება. მაგრამ მგოსანი იმედს არ ჰკარგავს, მას რწმენა აქვს, რაღაც იდუმალი ძალა მას ჩასძახის, რომ საქართველო „წამებული კვლავ გამრავლდება... სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება".

ვახ. ორბელიანის აღგზნებული ოცნება-შემოქმედება ამ საკითხის გარშემო ტრიალებს. ის „ორ სიზმარში" წარსულს აწმყოსთან ადარებს: ახალი მთელი, ლამაზი, მაგრამ სუსტი, ულონო; ძველი ნგრეული, შვიდასი წლის მოხუცი, რომელიც მედგრად უმაგრდება დროთა ქარიშხალს, რომელიც მტრის მიერ შერყეული, შეგინებული „დგას გმირად გმირთა ხელით აშენებული",—ეს უკანასკნელი მაინც დიდხანს დარჩება, რადგანაც „დიდს წარსულს მომავალიც დიდი ექნება". ეს აზრი და იმედი ვახ. ორბელიანს სიზმარშიაც კი არ სტოვებს. მას ელანდება („ორი სიზმარი")—„სიცოცხლის წყაროს გაელვიძნა მის (საქართველოს) წიაღსა შინა, ვხედავდი დაბლა მიწაზედ ერს მშრომელს, ბედნიერს." თვით რელიგიური გრძნობაც კი („ჯვარი ვაზისა") დამახასიათებელი რომანტიკოსებისათვის, ვახ. ორბელიანის მიერ შექმნილ სამყაროში იმდენადაა ძლიერი და საინტერესო, რამდენადაც ეს გრძნობა დაკავშირებულია საქართველოს ძველ დიდებასთან.

ეს პატრიოტული რომანტიული ჰანგები, ვით გედის სიმღერა, გაისმოდა მთელი მე-XIX-ტე საუკუნის განმავლობაში არა მარტო ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში, არამედ, მიუხედავად რეალიზმის დამკვიდრებისა, ამ პატრიოტულ-რომანტიულ ჰანგებზე მღეროდა უმეტესი ნაწილი ჩვენი მგოსნებისა.

ვინ არის თუ არა რომანტიკოსი მამია გურიელი, ნინო ორბელიანი, გრ. აბაშიძე, რომელთა ფიქრია ტურფა სამშობლოს „მტლად დაუდონ თვისი სი-

ცოცხლე, სიჭაბუკე გალომებული, მას დაანაცვლონ თვისი ჩანგი, ,,ალბომი,, დასწვან გრძნობები, ვით აბედი"?..

განა რომანტიკოსი არაა გრ. ვოლსკი, რომლის განუყრელი ფეოდალ-ეკონომიკური სესი ხატებაა სატრფო-სამშობლო, რომლის სახეც, „ოდეს ეწვევა ტანჯვა დაშწველი და გულ-ღვიძლს ულრღნის, ვით გესლი გველი," მოეევლინება „მხსნელ ფარად" და უკლებელის აღტაცებით მარად განაგრძნობს მის ტრფობას?

თვით ის მწერლები, რომელთა შემოქმედებაში რეალიზმია გაბატონებული თავისუფალნი არ არიან ამ პატრიოტულ-რომანტიული მიმართულებისაგან.

რა არის თუ არა ძლიერი რომანტიული ნაკადი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში „დედა და შვილი," „დიმიტრი თავდადებული" წარსულის იდეალიზაციით?

ან აკაკი წერეთელის ძველი საქართველო ასეთი აღფრთოვანებით და სიყვარულით განსახიერებული მის ისტორიულ პოემებში—(„თორნიკე ერისთავი," „ნათელა", „ბაგრატ დიდი" და სხვა)—ჩვენი წარსულის და წინაპართა მოღვაწეობის იდეალიზაციით?

ან ეს საოცნებო სახე მისი სატრფოსი, რომელიც იყო „უწინ ტურფა, დღეს კი ლეჩაქ მოხდილი," რომლის განთავისუფლებაც უფსკრულ წყურვილადა ჰქონდა გადაქცეული აკაკის? ეს სატრფო ხომ რომანტიული სიმბოლოა სამშობლოსი!..

ვინ არის განდეგილი, დუტუ მეგრელი, რომელთა პოეზიის ლეიტ-მოტივია ზრუნვა „ტანჯულ სამშობლოზე", რომლის გულისათვისაც მზად არიან „მთლად ცრემლად იქცნენ"!..

განა ესევე ეროვნული გრძნობა არაა ის ძირითადი ფუძე და დაუშრეტელი წყარო ტანჯვისა და ბედნიერებისა, დამცირებისა და სიამაყისა, აღფრთოვანებისა და მწარე ნაღველისა, რომელზედაც აღმოცენდა და გიგანტისებურ განვითარდა ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას ორიგინალური და ძალუმი რომანტიული **უფრო ნეორომანტიული** მსოფლ-მხედველობა?

რა არის ყაზბეგის მთელი შემოქმედება, თუ არა მშვენიერი წარმტაცი ეპოპეია ჩვენი ხალხის სულიერი ტრაგედიისა, ამოცენებული რომანტიულ ნიადაგზე? რა არის ყაზბეგის გმირთა გალერეა, თუ არა ერთგვარი, მართლაც რომანტიული შეჯიბრება ეროვნული და პირადი თავისუფლების მოპოების საქმეში? ვინ არის ხეევის ბერი გოჩა, თუ არა რაღაც რომანტიული ბრწყინვალების გვირგვინით მოცული მსხვერპლი და გმირი ეროვნული გრძნობისა? ვინ არიან მათია, ონისე, იაგო, ნუნუ, მაყვალა, თუ არა გაწვალებულნი და წამებულნი სიყვარულის გრძნობით გმირები მხოლოდ რომანტიზმისათვის რომაა ჩვეულებრივი? ან მოძღვარი, ხალხის ბედნიერებასთან ასე უანგაროდ გადაბმული? ან მთელი ეს ფანტასტიური სამყარო თემობრივი წესწყობილებით, სადაც ადამიანი ასე თავისუფალია, ასე მთლიანია, ასე ძლიერია, სადაც ზნე-ჩვეულება ხელს უწყობს პიროვნების გაფაქიზებას და ამაღლებას?—ესეც ხომ მთლად რომანტიულია.

ავიღოთ ვაჟა-ფშაველა, ეს ნიჭიერი მოწაფე ყაზბეგისა და მისი ერთი მეტოქე, მთელი თავისი პოეტური სამყაროთი, რომელიც შექმნა მისმა ბუმბერაზმა აგზნებულმა ფანტაზიამ. ჩვენი მთის არწივისათვის ეს ოცნებეული სამყარო რეალურ სამყაროზე უფრო რეალურია, მისთვის ეს სამყარო სინამდვილეა.

რა არის ნიადაგი ამ ჯადოსნური ხელოვნებით აღდგენილი ძველი მთისა თავისი ვაჟკაცური გაუტეხელი ხასიათით, რაინდული ზნე-ჩვეულებებით, თუ არა ეროვნული რომანტიზმი პოეტისა? ვაჟა-ფშაველას პანტეიზმიც, ბუნების მეოხებით პირისპირ მისვლა, შეხება და შეგრძნობა ცხოვრების დაუსრულებლობისა და განუსაზღვრელობისა ხომ ეროვნულ რომანტიზმის დვრიტაზეა დადგულებული!

აი ასეთი თავისებური ხასიათისაა რომანტიზმი ჩვენს მწერლობაში, რომელიც, როგორც ზევით დავინახეთ, მთელი მე-XIX-ტე საუკუნის მანძილზე ანდამატივით იზიდავდა ჩვენი მწერლების გულისყურს და ნიჭსა, აქმნევინებდა მრავალს დიდი ნიჭით აღბეჭდილ ნაწარმოებს, რომელთაგან მრავალი ვიწრო ეროვნული ხასიათისა კი არაა, არამედ საერთო საკაცობრიო.

ᲥᲘᲢᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲫᲔ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ

(წერილი გერმანიიდან)

გერმანიის კაპიტალიზმი რომ ხანგრძლივ კრიზისის პერიოდს განიცდის — ეს არავისათვის სადაო არ არის დღეს. ამ ფაქტს აღნიშნავენ და სცნობენ გერმანიის მსხვილი ინდუსტრიის ცალკე წარმომადგენლები, ეს ფაქტი აღნიშნა სრულიად გერმანიის მრეწველთა ყრილობამაც დრეზდენში, ამას მოწმობენ სამეურნეო-სტატისტიკური ჟურნალები და ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკური ციფრები. ამ ფაქტს არ უარყოფს გერმანიის სოც.-დემოკრატია, მიუხედავად მის თანდაყოლილ ფლეგმატიზმისა ეკონომიურ საკითხებში.

ეკონომიური კრიზისი, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში გერმანიის სახალხო მეურნეობის საერთო კონიუნქტურა რამოდენიმეთ გაუმჯობესდა ინგლისის სამთო-მადნო მუშების გაფიცვის გავლენის გამო, რჩება მაინც ფაქტად და,— როგორც ქვემოთ დავინახავთ მოსალოდნელია ამ კრიზისის კიდევ მეტი გამწვავება.

გერმანიის კაპიტალიზმის კრიზისის ძირითად მიზეზების გამორკვევა შეადგენს ჩვენი წერილის მიზანს.

1. 1923 წელი

დღევანდელი გერამნიის კაპიტალიზმი თავის ისტორიის დასაწყისს 1923 წელს აცხადებს. თუ ამ დატის ქვეშ იგულისხმება ის, რომ მაშინ—ოქტომბერში—გერმანიის კაპიტალიზმი უფსკრულის წინაშე იდგა, შესწყდა მისი ეკონომიური მაჯისცემა, დაეცა ვალიუტა, მინიმუმამდე შემცირდა საქონლის ბრუნვა; ვაჭრობა და მრეწველობა ჩაკვდა, სავაჭროები და ქარხნები დაიხურა, დამშეული და აჯანყებული მუშები ამზადებდენ გერმანიის კაპიტალიზმის საბოლოო დანგრევას.... მაგრამ სოც.-დემოკრატიის მორიგ ღალატის გამო გერმანიის ბურჟუაზიამ თავი დააღწია 1923 წლის სახიფათო განსაცდელს, ხელი ჩასჭიდა სახელმწიფო ძალა-უფლებას და სოც.-დემოკრატ პრეზიდენტის—ებერტის ხელით დაიმკვიდრა ერთგული მთავრობა. თუ ახალი დატის ქვეშ იგულისხმება ის, რომ გერმანიის კაპიტალიზმი, რომელსაც 1923 წელს ცალი ფეხი სამარეში ედგა და ძლივს გადარჩა,—ჩვენ სადაო არა გვაქვს რა!

აღნიშნავენ, რომ დღევანდელი მდგომარეობა გერმანიის კაპიტალიზმისა შედარებით იმასთან, რაც სამი წლის წინად იყო, დიდი სტაბილიზაციის მაჩვენებელია. ეს აზრი საერთოდ მართალია, მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს, რომ სამი წლის წინად გერმანიის კაპიტალისტური წყობილება დაღუპვის წინაშე იდგა.

2. ინფლაციის როლი და გერმანიის კაპიტალიზმის სტრუქტურა

გერმანიის კაპიტალიზმის დღევანდელ სტრუქტურაში 1923 წელს მნიშვნელოვანი წილი უდევს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხანა მისთვის დიდად საშიშარ კატასტროფას წარმოადგენდა. ვალიუტის ისტორიაში იშვიათია ისეთი კატასტროფა, რომელიც გერმანულ მარკამ 1923 წელში განიცადა. მარკა საათობით ჰკარგავდა სყიდვის ძალას; გერმანული ღირებულების ქაღალდები ბათილდებოდა, ბანკები კოტრდებოდა, საკრედიტო ოპერაციები შეუძლებელი ხდებოდა.

გერმანულ კაპიტალს ორი გზა ჰქონდა: ან უცხოეთში გაქცევა და უცხო ვალიუტის ქვეშ თავის შეფარება, ან თავის ქვეყანაში დარჩენა და სწრაფი და მოხერხებული გადასვლა ღირებულ ინვენტარში, რომელიც თუნდაც მოგების წყაროს არ წარმოადგენდეს.

გერმანელ ბურჟუაზიამ ამ მიზეზთა გამო თავისუფალი კაპიტალი მოახმარა ქარხნების გაფართოებას, ახალ მანქანების და ახალ ინვენტარის შეძენას, მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის და წარმოების ინტერესები ამას სრულიად არ მოითხოვდა და უმრავლეს შემთხვევაში ეს გაფართოებული საწარმოვო აპარატი უსაქმოდ იდგა.

გერმანიის კაპიტალის ასეთმა მანიოვრმა, რომელსაც საგნობრივ ღირებულებათა ქვეშ თავის შეფარებას უწოდებენ (Flucht in die Sachwerte), გამოიწვია წარმოების აპარატის ზედმეტი გაფართოება.

ომის დროს გერმანიის სამეურნეო წარმოებითი აპარატი, როგორც ცნობილია, საგრძნობლად შემოკლდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საომარ მიზნებით აგებულ წარმოებას. ინფლაციის დროს კი გერმანულ მსხვილ ბურჟუაზიამ ეს მდგომარეობა არა თუ გამოასწორა, არამედ ბევრად გაუსწორა ომის წინა პერიოდს. მეტად მოკლე დროში მოხდა ულმობელი კონცენტრაცია არსებულ ქონებისა მსხვილ კაპიტალისტების ხელში მუშათა კლასის და წვრილბურჟუაზიის ხარჯზე, რომელმაც ეს ქონება,—როგორც აღნიშნული იყო—წარმოების ღირებულ ინვენტარში გადაიტანა და ტექნიკურ გაუმჯობესებას მოახმარა.

წარმოების აპარატი გერმანიაში ამ რიგად სწრაფი ნაბიჯებით ორიოდე წლის განმავლობაში კოლოსალურად გაიზარდა და გაფართოვდა. და ახალ ტექნიკურ გაუმჯობესებათა გამო წარმოებითი შესაძლებლობანი გერმანულ სამეურნეო აპარატისა ბევრად მაღლა სდგას 1914 წლის დონესთან შედარებით.

მოგვყავს რამდენიმე დამახასიათებელი რიცხვი:

ნახშირის მრეწველობის მანქანების რაოდენობა და ტექნიკური კვალიფიკაცია შემდეგი განვითარების მაჩვენებელია: (რიცხვები მოყვანილია „Bürsen-Courier“ 6|I 1925 წ.

	მანქანების რიცხვი ნახშირის წარმოებაში		მანქანების სიძლიერე — ცხენის ძალაში (PS)	
	1914 წ. 1 IV	1924 წ. 1|IV	1914 წ. 1 IV	1924 წ. 1|IV
საბურღავი მანქანები . . .	48	2.427	42	1.793
საბურღავი ჩაქუჩები . . .	13.783	43.472	21.574	51.023
გამწმენდი მანქანები . . .	545	15.500	585	12.944
ნახშირის საკვეთი მანქანები	35	69	72	232
გადამზიდავი მატორები . .	2.135	6.301	19.038	57.429
Schrämmaschinen	270	715	951	3.782
Pressluftbacken	—	469	—	488
	16.816	68.953	42.262	127.637

სატრანსპორტო საშუალებანი შემდეგი განვითარების მაჩვენებელია, თუ ჩვენ რკინისგზის ინვენტარის რიცხვებს ავიღებთ:

1913 წ.	გერმ. ჰქონ. 29.990	ლოკომტ. 65.961	სამოგზ. ვაგ. 669.048	საბარგ. ვაგ.
1923 წ.	„ „ 30.850	„ 69.253	„ „ 748.713	„ „
1924 წ.	„ „ 30.767	„ 69.209	„ „ 705.021	„ „

თუ ჩვენ ქიმიურ მრეწველობის რიცხვებს ავიღებთ (იხ. შემდეგ), ისევ დავინახავთ გერმანიის საწარმოო აპარატის უდიდეს ტექნიკურ დაწინაურებას. ეს მოწმობს იმას, რომ გერმანიის წარმოებითი შესაძლებლობანი ბევრად წინ არის, ვიდრე ომის წინა პერიოდში. ის კი ფაქტია, რომ გერმანია მაინც შორს არის 1914 წლის წარმოების დონესაგან *).

რისთვის?—პასუხი ქვევით.

მუშახელის მხრივ გერმანიის კაპიტალიზმი იმყოფება გაცილებით უკეთეს პირობებში ვიდრე ოდესმე.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ტერიტორია ერთი მეოთხედით შემცირებულია, მცხოვრებთა რიცხვი დაახლოებით იგივე დარჩა. 1910 წლის აღწერის თანახმად გერმანიას ჰყავდა 65 მილიონი მცხოვრები; ეხლა კი 64 ილიონია შემცირებულ ტერიტორიაზე. მოსახლეობის სიმჭიდროვე ნაცვლად 120 სუ-

*) ამ ფაქტის დასადასტურებლად ჩვენ შეგვიძლია მეტად სანდო და საიმედო მოწმე მოვიყვანოთ. ვესტფალია-რეინის მსხვილ მრეწველთა კონგრესზე დიუსსელდორფში Gutenhoffnung-Hütte-ს გენერალ დირექტორმა როიშმა (Reusch) შემდეგი განაცხადა: „უკანასკნელ ხანებში გავრცელებული აზრი, ვითომ ეხლა გერმანიის მეურნეობის კრიზისი დამთავრებული იყოს, ყოველ შემთხვევაში ნაჩქარევია და ფაქტებს წინ უსწრებს. გერმანიის მეურნეობის ნამდვილ მდგომარეობას ფარდას აფარებს ბრიტანიის სამთო-მადნო მეშების გაფიცვის გავლენა და გერმანულ მეურნეობაში შემოსული უცხოეთის სესხები. ჩვენ თვალი არ უნდა დავხუჭოთ იმის წინაშე, რომ ჩვენი ექსპორტის ნაწილი საქვეყნო ბაზარზე მეტად დაკლებულია. საჭიროა ხანგრძლივი და მძიმე მუშაობა, რათა მიღწეულ იქმნეს მდგომარეობა, რომელიც ჩვენ ომის წინა ეპოქაში გვქონდა“...

ლისა კვადრატიულ კილომეტრზე (1910 წელში), ეხლა შეადგენს 133,8 (1925 წლის აღწერის თანახმად).

დღევანდელ გერმანიის მოსახლეობაში სამაგიეროთ გაცილებით მეტი პროცენტია შრომის შემძლე წლოვანობის, ვიდრე ომის წინ იყო. ამ მოსახლეობაში ნაანგარიშევი არ არიან ის ბავშვები, რომელნიც ომის პერიოდში უნდა დაბადებულიყვნენ და რომელნიც ეხლა 8 ან 11 წლის იქნებოდენ, და აგრეთვე ის ბავშვები და მოხუცნიც, რომელნიც ეკონომიურ კრიზისის მიერ გამოწვეულ გაჭირვების გამო დაიხოცნენ. გარდა ამისა მუშა ხელს ემატება უამრავი რენტნერები და პენსიონერები, რომლებმაც ინფლაციის გამო დაჭკარგეს შემოსავლის ეს წყარო, მასვე ემატება რამდენიმე ასი ათასი ქალიშვილი და დედაკაცი, რომელნიც უწინ ქმრების და მამების ხარჯით ცხოვრობდენ და ეხლა იძულებულნი არიან სამუშაო ეძიონ.

1907 წელს	62,01	მილიონი მცხოვრებთაგან	26,17	მილიონი	მუშა ხელი იყო
1913 წელში	66,98	მილიონისაგან	„ 28	„	„ „
1926 წელში	62,6	მილიონისაგან	„ 31,64	„	„ „

აქედან ნაანგარიშევი: 1. გერმანიის წლიური პროდუქციის ჯამი მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ომის წინა ეპოქაში, რადგან მუშა ხელი მეტია. 2. რადგან საწარმოვო აპარატი გერმანიის მეურნეობისა მეტად გაუმჯობესებული და გაფართოებულია, წლიური სამეურნეო პროდუქცია კიდევ მეტი უნდა ყოფილიყო და 3. რადგან პროცენტული შეფარდებით მოსახლეობასთან მუშაობის უნარიანთა რიცხვი ბევრად მეტია და რადგან შრომის ნაყოფიერობა აწეულია, ამიტომ გერმანელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობაც უკეთესი უნდა ყოფილიყო ვიდრე ომის წინ იყო. მიხედვით ამისა თვითეულ მცხოვრებზე მოხმარებული საქონლის რაოდენობა მეტი უნდა ყოფილიყო ვიდრე ომის წინ.

მაგრამ აი რას გვეუბნება ქვემოდ მოყვანილი ცხრილი:

გერმანიის მოსახლეობის თვითეულ სულზე იხარჯებოდა წლიურად:

	1913 წ.	1922 წ.	1923 წ.	1924 წ.	1925 წ.
ბამბა	7,2 კგ.	4,3 კგ.	3,0 კგ.	4,3 კგ.	5,9 კგ.
ნავთი	15,2 „	6,6 „	3,0 „	3,8 „	7,4 „
ჭვავი	153 „	90 „	106 „	87 „	128 „
ჰური	96 „	47 „	57 „	68 „	83 „
კარტოფილი . .	700 „	500 „	433 „	495 „	—
ხორცი	52 „	34 „	31 „	43 „	47 „
ლუდი	102 ლტ.	51 ლტ.	45 ლტ.	60 ლტ.	75 ლტ.

საერთოდ იქვე არავის ეპარება, რომ გერმანიის ფართე მასსა დღეს ეკონომიურად მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია.

შედეგი: მიუხედავად ჩინებულ ტექნიკურ პირობებისა (წარმოების აპარატი) და მშრომელი ძალისა (მუშა ხელი) გერმანიის წლიური წარმოება დიდი დეფექტის მაჩვენებელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. ბაზარი, მოგების საკითხი და „რაციონალიზაცია"

გერმანიის კაპიტალიზმმა ომის შემდეგ წააგო მთელი გარეშე ბაზარი. მას შეუმოკლეს ტერიტორია (გერმანიამ დაჰკარგა ვერსალის ხელშეკრულობის თანახმად თავისი ტერიტორიის ერთი მეოთხედი).

გერმანიის ბურჟუაზიამ გადასწყვიტა ამის გამო „შინაყმებიდან" აენაზღაურებინა, რაც მან ვერსალში წააგო. გერმანიამ დაჰკეტა მაღალი ბაჟებით უცხოეთის საქონლისათვის თავისი საზღვრები და დაეპატრონა შინაურ ბაზარს. მისი მიზანია მოგება შინაურ ბაზარზე მაქსიმუმამდე მიიყვანოს. ამ მიზნით დაიწყო ულმობელი „რაციონალიზაცია". დღევანდელი „რაციონალური" ქარხნის ლოზუნგი შემდეგია: ამოქაჩე მუშისაგან მაქსიმუმი მისი ძალღონისა, მიეცი მას უმცირესი ხელფასი და დასტოვე სამუშაო დრო უცვლელი (რომელიც საშუალოდ არითმეტიკულ 9 საათს უდრის); რასაც უწინ ათი მუშა აკეთებდა, გააკეთებინე ხუთს, — დანარჩენი დაითხოვე; სადაც და როგორც შესაძლებელი იყოს, შემოიღე სანარდო წესები და ფასები; შეამოკლე წარმოების ხარჯები მინიმუმამდე და ამგვარად დამზადებული საქონელი გაჰყიდე ძველ ფასებში. საქონელზე ძველი ფასები—ნიშნავს დღევანდელ პირობებში, როდესაც შრომის ნაყოფიერება ზემოდ ჩამოთვლილ მიზეზების გამო უაღრესია, როდესაც თვით ღირებულება პროდუქციისა კოლოსალურად შემცირებულია, საზღაპრო მოგებას მექარხნის მიერ. (მრავალ შემთხვევაში საქონლის ფასები იზრდება კიდევაც.)

წარმოების აპარატი და წარმოების შესაძლებლობანი როგორც აღნიშნული იყო, მეტად განვითარებული და გაფართოებულია. სწორეთ აქ იწყება გერმანიის ეკონომიური სიძნელენი. წარმოების გაფართოებისათვის მხოლოდ საწარმოვო საშუალებანი საკმარისი არ არის; საჭიროა განაღდების ბაზარი. გერმანელ საქონელს ბაზარი არა აქვს, შინაგანი ეკონომიური მდგომარეობა ლატაკია, მომხმარებელი მასსა ანუ მყიდველი ეკონომიურად უძლურია, საჭიროება და მოთხოვნილება არის, მაგრამ არ არის სყიდვის საშუალება—მყიდველი ღარიბია. გერმანიის წარმოება იძულებულია დაემორჩილოს შინაურ ბაზრის ძალას და შეეგუოს უცხო ბაზრის პირობებს.

ამ მიზეზთა გამო საჭირო შეიქმნა წარმოების შემოკლება, მრავალი მანქანის შეჩერება და ზოგჯერ ქარხნების დახურვაც, წარმოების ხარჯების შემოკლება, მუშების დათხოვნა და სხ. და სხ. მრავალი დარგი გერმანიის მრეწველობისა იძულებული შეიქმნა ნახევრად შეემოკლებია თავისი წარმოება. წარმოების აპარატის დიდი ნაწილი გაჩერებულია, რათა საქონლით არ წარღვნას მთელი შინაგანი ბაზარი.

შემდეგი ცხრილი იძლევა იმ შეუსაბამისობის აშკარა სურათს, რომელიც არსებობს საწარმოვო შესაძლებლობის და ფაქტიურ წარმოების შორის:

მანქანების წარმოება	ამზადებს	მხოლოდ	50%	იმისას, რაც მას შეუძლ.
ლოკომ. და ვაგ. წარ.	„	„	25%	„ „ „ „
ხის წარმოება	„	„	25-60%	„ „ „ „
რკინის წარმოება	„	„	60%	„ „ „ „
ფოლადის წარმოება	„	„	70%	„ „ „ „

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რიცხვები მოიყვანა **დიუსბერგმა** [1]) თავის სიტყვაში სრულიად გერმანიის მრეწველთა ყრილობაზე (დრეზდენში 1926 წ. სექტემბერში).

ამგვარად წარმოების აპარატი დაახლოებით 66%-ით სჭარბობს განაღდების შესაძლებლობას.

თუ ჩვენში (საბჭოთა კავშირში) გადატვირთული გვაქვს მთელი წარმოებითი აპარატი და მაინც ვერ ვფარავთ ჩვენი ბაზრის მოთხოვნილებას, გერმანიაში მოწინააღმდეგე მოვლენას აქვს ადგილი.

წარმოების შემოკლების გამო და შრომის ნაყოფიერების გაძლიერების შედეგად, გერმანიის ბურჟუაზიამ ზედმეტ ბარგად გამოაცხადა კვალიფიციური პროლეტარიატის დიდი ნაწილი და დაითხოვა ქარხნებიდან მილიონები. გერმანული „რაციონალიზაცია“ უპირველესად ყოვლისა ქარხნებში მომუშავე პროლეტარული პერსონალის უსასტიკეს შემოკლებას ნიშნავს.

უმუშევართა რიცხვის გამორკვევა გერმანიაში არ არის ადვილი საქმე. აღრიცხულნი არიან მხოლოდ ის უმუშევრები, რომელნიც უმუშევართა ფონდიდან დახმარებას იღებენ, დანარჩენები-კი (და ასეთების რაოდენობა ძლიერ დიდია) არ არიან აღრიცხული.

კონიუნქტურის ინსტიტუტი იძლევა 1925 წლის 1 აგვისტოსთვის შემდეგ რიცხვებს:

1. უმუშევრები, რომელნიც დახმარებას იღებენ . .	1. 650.000
2. Ausgesteuerte (ისეთები, რომელთაც 59 კვირის განმავლობაში სამუშაო ვერ უშოვიათ და ამის გამო დაჰკარგეს დახმარების მიღების უფლება) . . .	100.000
3. ისეთები, რომელნიც უმუშევართა დახმარებას არ იღებენ (რადგ. ოჯახში ერთ რომელიმე წევ. სამუშ. აქვს)	165.000
	1. 915.000
ამას მიუმატოთ 1.670.000 ნახევრად უმუშევარნი, რომელთაც შემოკლებული სამუშაო აქვთ (Kultarbeiter და კვირაში 3 ან 4 დღეს მუშაობენ), რაც შრომის კვირაზე გადატანით იძლევა	500.000 სრ. უმუშ.
	ერთად— 2:415.000 სრ. უმუშ.

ამხ. **ვარგა** სამართლიანად შენიშნავს, რომ უმუშევართა ნამდვილი რიცხვი გაცილებით მეტია, რადგან საკმაო რიცხვი უმუშევართა დახმარების ფონდიდან მოხსნილია და ისეთებისა, რომელნიც არავითარ დახმარებას არ იღებენ,

[1]) დ ი უ ს ბ ე რ გ ი გერმანიის უძლიერეს საღებავების მრეწველობის ტრესტის ბატონია და სრულიად გერმანიის ინდუსტრიელ მრეწველთა თავმჯდომარე.

გაცილებით დიდია იმაზე, რომელსაც კონიუნქტურის ინსტიტუტი იძლევა **და ამიტომ ნამდვილი რიცხვი უმუშევართა გერმანიაში უდრის 3 მილიონსო.**

ამ რიგად 3 მილიონი კვალიფიციური მუშა გამორიცხულია გერმანიის მეურნეობისაგან. თუ ამას მიუმატებთ კიდევ არა პროდუქტიულ მუშახელს, რომელიც ვაჭრობაში იმყოფება და რომლის რიცხვი 1913 წელთან შედარებით მნიშვნელოვანად გადიდებულია, გასაგები შეიქმნება, თუ რისთვის ვერ მიაღწია გერმანიამ იმ ზედმეტ პროდუქციას, რომელიც მას საწარმოო აპარატის და მუშახელის რაოდენობის თანახმად უნდა ჰქონოდა.

გერმანიის მთელი საწარმოო აპარატის ნორმალური დატვირთვა, მისი სრული გამოყენება 3 მილიონ უმუშევარს ქარხანაში დაბრუნების შესაძლებლობას მისცემდა, მაგრამ კაპიტალისტისათვის საკითხი ასე არა დგას მისთვის მნიშვნელობა აქვს მოგებას და არა მუშების მდგომარეობას. დღევანდელ გერმანელ კაპიტალისტის მიზანია არსებულ ბაზრის პირობებს ისე შეეგუოს, რომ უდიდესი მოგება მიიღოს. აქედან მოდის კაპიტალისტების მისწრაფება—წარმოების ხარჯების შესამოკლებლად უფრო მეტის სიმწვავით ჰყვლიფოს თუნდაც შემცირებული მუშათა პერსონალი, ღვივდება მისწრაფება პროდუქტიულობის ამაღლებისა, „რაციონალიზაციისა", და მონოპოლიზაციისაკენ. (რაც არაპირდაპირ გაყვლეფის გაძლიერებას ნიშნავს საქონლის ფასების გადიდების საშუალებით).

ასეთია გერმანიის დღევანდელი ეკონომიური კრიზისის სურათი. კაპიტალისტური მეურნეობის კრიზისის ეს ტიპი, რომელსაც დღეს მხოლოდ გერმანია კი არ განიცდის, არამედ ევროპის სხვა სახელმწიფოებიც, კლასიკური სიცხადით და ოსტატობით დაახასიათა ამბ. ბუხარინმა თავის მოხსენებაში მე-XIV პარტიულ კონფერენციაზე. უკვე ხმარებაში შემოსულ ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ, გერმანიის მეურნეობა განიცდის ფრიად ღია „მაკრატელს" წარმოების შესაძლებლობის და განაღდების შესაძლებლობის შორის.

ნორმალურმა და პროგრესიულმა კაპიტალიზმმა ამდენხანს ერთი ხერხი იცოდა პროდუქციის და განაღდების წონასწორობის აღსადგენად: განაღდების, ბაზრის კრიზისს იმით ჰკურნავდა, რომ ბაზარს აფართოებდა და უთანხმებდა დაწინაურებულ წარმოებას. დღეს კი საწინააღმდეგო მოვლენას ვხედავთ. ფრანფურტის სავაჭრო პალატის მოხსენება ამბობს:

„ამ დარღვეულ წონასწორობის აღდგენა (წარმოებასა და განაღდების შორის) შესაძლებელია მხოლოდ დაუნდობელი შემოკლებით, დახურვით და შევიწროებით ყველა იმ წარმოებათა, რომელიც ზედმეტია".

კრიზისის ლიკვიდაციის მიზნით კაპიტალისტი ცდილობს წარმოება შეამოკლოს და შეუფარდოს შევიწროებულ ბაზარს, და არა პირუკუღმა.

რას ნიშნავს ეს?—კაპიტალიზმის პერმანენტულ რეგრესს.

4. სარეპარაციო გადასახადები და კრედიტები უცხოეთიდან

ზემოთ მოყვანილი სურათი—ასე ვსთქვად—გარეგნული სურათია გერმანიის კაპიტალიზმის მდგომარეობისა და უნდა ითქვას, რომ ეს უნუგეშო სურათი

მაინც დიდი სტაბილიზაციის მაჩვენებელია ომის შემდგომ პერიოდთან შედარებით. თუმცა გერმანიის მეურნეობა 1914 წლის დონემდე არ ასულა (და როგორც შემდეგში ნაჩვენები იქნება, ვერც მიაღწევს), მაგრამ [illegible] 3 წლის შედარებითი რიცხვები მაინც ალმართების მრუდეს აჩვენებენ [illegible] ამ გარეგნულ სტაბილიზაციაში.

სარეპარაციო გადასახადები გერმანიას დღეს უფრო მეტის საშიშროებით ჰკიდია დამოკლეს ხმალივით თავზე, ვიდრე უწინ. **დაუესის-გეგმის** თანახმად შემდეგ წლებზე და შემდეგნაირად არის განაწილებული სარეპარაციო გადასახადები:

1924	წელში	გერმანიამ	უნდა	გადაიხადოს	1. 000	მილიონი მარკა
1925	„	„	„	„	1. 220	„ „
1926	„	„	„	„	1. 500	„ „
1927	„	„	„	„	1. 750	„ „
1928	„	„	„	„	2. 500	„ „

დღევანდლამდე ე. ი. ორი წლის განმავლობაში გადახდილია 2. 500 მილიონი. ყოველ ახალ წელში ვადასახადი იზრდება პროგრესიულად და პროცენტებიც ზედ ემატება.

ამ ორი წლის განმავლობაში გერმანიის მეურნეობას საკუთრივ არც კი უნდა ეგრძნო გადასახადების სიმძიმე, რადგან ზევით აღნიშნული $2^1/_2$ მილიარდი გამოღებული იყო არა საერთო სახალხო შემოსავლისაგან (დაუესის გეგმის სიმძიმე არ უნდა ეგრძნო აგრეთვე ამ 2 წლის განმავლობაში არც მშრომელ მასსებს;—მიუხედავად ამისა გერმანიის მეურნეობას მაინც დღითი-დღე შინაგანი წინააღმდეგობანი ემატებოდა და მშრომელი მასსის მდგომარეობა დღითი-დღე კატასტროფიულად უარესდებოდა.) შეუძლებელი იყო სარეპარაციო გადასახადების წლიურ სახალხო შემოსავალისაგან ჩამოჭრა.

გერმანიის საერთო წლიური სახალხო შემოსავალი 1912 წელს უდრიდა **ჰელფერიხის** ანგარიშით 43 მილიარდს ე. ი. თვითეულ მცხოვრებზე 650 მარკას წლიურად. თუ ამ ხანას პირობით, ნორმალურად მივიღებთ, და თუ ვიგულისხმებთ, რომ საცხოვრებელ საგნების ღირებულების ინდექსი 1925 წელს 40%-ით მაღლა იდგა, ვიდრე ომის წინ,—მაშინ დღევანდელ პირობებში ნორმალური შემოსავალი თვითეულ სულზე წლიურად უნდა უდრიდეს 910 მარკას. ეს ნიშნავს: გერმანიის სართო წლიური სახალხო შემოსავალი დღევანდელ პირობებში უნდა უდრიდეს 57 მილიარდს; ეს იქნებოდა შემოსავლის დონე დაახლოებით მსგავსი ომის წინა პერიოდის დონესთან. სინამდვილეში-კი გერმანიის წლიური სახალხო შემოსავალი მიმდინარე პერიოდში—თუ ჩვენ მაქსიმალურ რიცხვს ავიღებთ და უმუშევართ და ნახევრად უმუშევართ არ ჩავსთვლით—უდრის $32^1/_2$ მილიარდს.

ეს ნიშნავს: 1. გერმანიის კაპიტალისტური მეურნეობა თავის ნორმალურ დონეს კიდევ 175%-ით დაშორებულია. 2. მიმდინარე ხანაში გერმანიის საერთო წლიური სახალხო შემოსავალი უკიდურესად დაბლა სდგას და **3 აუცილებელია დამხმარე თანხები გერმანიის მეუნეობისათვის, როგორც სარეპარა-**

ციო გადასახადის გასასტუმრებლად, ისე დეფიციტების დასაფარავად და სამეურნეო ხარვეზების შესაკერავად.

ამგვარად, სესხი გერმანიისათვის აუცილებელი იყო. „უამბოლოდ არა" თუ სარეპარაციო გადასახადების დაფარვა, არამედ მთელი გერმანიის კაპიტალიზმიც კი საეჭვო იყო.

დაუესის გეგმის მიღების შემდეგ უკვე ოფიციალურად გამოქვეყნებული რიცხვების თანახმად (ჟურნ. Wirtschaftrdienst № 32 1926 წ.) გერმანიამ შემდეგი სესხები აიღო უცხოეთიდან (ამერიკისაგან, ინგლისისაგან, შვეიცარიისაგან და სხ.):

1924 წ.	(ეგრედ წოდებული დაუესის სესხი)	—840	მილიონი	მარკა
1924 „	„	„ 154	„	„
1925 „	„	„ 1.471,79	„	„
1926 „	„	„ 1.047,37	„	„
		3.513,16	მილიონი	მარკა

მიუმატეთ ამას მოკლე ვადიანი კრედიტები და აქციები, რომელიც გერმანიაში უცხოეთის ხარჯზე იქმნა ფართედ შესყიდული, პლიუს პროცენტები, პლიუს დამატებითი ხარჯები—ყველა ეს იძლევა ამხ. **ვარგას** ანგარიშით 6 მილიარდიდან 8 მილიარდ მარკამდე.

რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ 2 წლის განმავლობაში (დაუესის ხელშეკრულება იქმნა 1924 წ. სექტემბერში მიღებული) **გერმანიის მეურნეობაში 8 მილიარდამდე უცხო კაპიტალი იქმნა შემოტანილი?**

ეს ნიშნავს: **1. რომ 2½ მილიარდი ხარეპარაციო გადასახადი მთლიანად უცხოეთის სესხიდან იქმნა გასტუმრებული; სახელმწიფო შემოსავალი ამ გადასახადს ვერას გზით ვერ აიტანდა** და დიდ საკითხს წარმოადგენს, თუ როგორ ზიდოს გერმანიამ მომავალი სარეპარაციო გადასახადები, რომელიც წლიდან წლამდე პროგრესიულად იზრდება.

2. ეს ნიშნავს, რომ გარდა ზემოაღნიშნულ გადასახადისა, გერმანიის შინაური დანაკლისი მეტად დიდი იყო და მას 5½ მილიარდი უცხოელი თანხა უნდა მიშველებოდა, რათა გერმანიის კაპიტალიზმი არ წაქცეულიყო.

ასე რომ ის შედარებითი გაუმჯობესება, რომელსაც გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობის მიმართ აღნიშნავენ, უბრალოთ აიხსნება იმით, რომ უცხო კაპიტალმა ხელი გაუწოდა გერმანიას და გაუხსნა დიდი კრედიტები იმ პირობით, რომ გერმანია ვალდებულია მორჩილებით და ბეჯითად იმუშაოს და დააბრუნოს რეპარაციები, სესხი და პროცენტები. „ავადმყოფ ყმას გონიერი ბატონი უაქიმებს და მოარჩენს, რათა შემდეგ ერთი ორად დაიბრუნოს მასზე გაღებული ხარჯები".

მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად უცხოეთის კაპიტალის ასეთი ძლიერი ნაკადისა გერმანიის პროდუქცია და კონზუმპცია (მოხმარება) ჯერ კიდევ დაშორებულია ნორმალურ მდგომარეობას.

გერმანიის კაპიტალიზმის ეკონომიური ხერხემალი ამრიგად უცხოეთის სესხზეა აშენებული. ეს მეტად საეჭვო „სტაბილობის" მაჩვენებელია. სესხსაც ხომ

გადახდა ესაჭიროება—ისიც პროცენტებით.— მაგრამ ამასაც თავი დაანებოთ. ვსთქვათ დაიხურა უცხოეთის კრედიტები, რაც სავსებით მოულოდნელი არ არის, რადგან ამერიკასაც ხომ თავისი ბუჰგალტერია აქვს, სადაც აღრიცხულია მოვალეთა გადახდის უნარი და შესაძლებლობანი. რა მოხდება მაშინ? ფარდა ეშმისა რომ გერმანიის მეურნეობას შინაგანი დანაკლისი აქვს (რომელსაც გერმანელი კაპიტალისტი სცდილობს მუშების გაძლიერებული გაყვლეფით შეავსოს), რომელიც ამდენ ხანს სესხით იფარებოდა, გერმანიამ მომავალ წელში 2 მილიარდი სარეპარაციო გადასახადი უნდა ამოიღოს საკუთარ ჯიბიდან, რომელშიაც ფულის მაგივრათ 8 მილიარდის ვალდებულებანი აწყვია პროცენტებით. ამრიგად ზღაპარია, ვითომც გერმანიის კაპიტალიზმი შევიდა ნორმალურ კალაპოტში, განმტკიცების პერიოდში და ვითომდა უზრუნველყოფილია მისი განვითარებაც.

დღევანდელი გერმანიის კაპიტალიზმი უცხოეთის ქვიშაზეა აგებული და პირველივე ავდარი დაანგრევს მას.

5. ინგლისის სამთო-მადნო მუშების გაფიცვა და გერმანიის კონიუქტურა

მეორე ფაქტორი, რომელმაც გერმანიის კრიზისის სიმწვავის შემსუბუქებაში დიდი როლი ითამაშა თავდაპირველად გერმანიის მძიმე მრეწველობის სასარგებლოდ, არის ინგლისის სამთო-მადნო მუშების გაფიცვა.

ინგლისის სამთო-მადნო მრეწველობის დამბლამ ჩააჩუმა რამოდენიმე თვით უდიდესი კონკურენტი და ფართე ბაზარი გაუხსნა გერმანიის მძიმე მრეწველობის კაპიტალს.

1. ამ გაფიცვამ გაუხსნა გზა რურის ოლქის და ზემო სილეზიის ნახშირს ინგლისში და მაისიდან დეკემბრამდე გერმანიის შტრეიკბეხერული ნახშირით განუწყვეტლივ იტვირთებოდა გემები. გერმანიის რეფორმისტულ პროფკავშირების ხელმძღვანელები თავის შტრეიკბეხერულ საქციელის დაფარვის მიზნით ხელს აფარებდენ ნახშირის ექსპორტის რაოდენობას, მაგრამ, მათდა საუბედუროთ, გამოქვეყნებულ იქმნა რიცხვები, რომელნიც ამტკიცებდა რომ თვიდან თვემდე ნახშირის ექსპორტი ნახტომებით იზრდებოდა.

1926 წ.	ივლ.	ნახშირის ექსპორტი	გერმანიიდან	უდრიდა 3.640.000 ტონას
„	აგვისტოში	„	„	3.973.000 „
„	სექტემბერში	„	„	4.029.000 „ (კოკს.).

პირდაპირ ინგლისში გაზიდული ნახშირის რაოდენობა სექტემბრის განმავლობაში უდრიდა 1.221.000 ტონას, თუ ჩათვლილი არ იქნება ის ნახშირიც, რომელიც ბელგიაში და ჰოლანდიაში იგზავნებოდა და იქიდან ინგლისის გემზე იტვირთებოდა.

2. ინგლისის გაფიცვამ და ინგლისის მძიმე მრეწველობის კონკურენციის გამორიცხვამ გამოიწვია ერთგვარი თავისუფალი ადგილი საერთაშორისო ბაზარზე და ამ ღია არეში გაეშურა გერმანიის მძიმე ინდუსტრიის კაპიტალი სხვა იმპერიალისტურ კონკურენტებთან ერთად (საფრანგეთი, ბელგია და განსაკუთრებით შეერთებული შტატები).

კონტინენტალურ ფოლადის ტრესტმა (სადაც გერმანიას უდიდესი წილი უდევს) გააფართოვა წარმოება და 29 მილიონი ტონით გადააჭარბა ომშეკრულებაში განსაზღვრულ თავისი წარმოების მაქსიმუმს. რურის [illegible] ტრესტი (სამთო-მადნო ტრესტი) დატვირთულია მთელი 100%-ით. გერმანიის [illegible] მრეწველობამ ბევრად გაუსწრო 1914 წლისას. საკვირველი არაფერია, თუ არ დავივიწყებთ, რომ ინგლისში მხოლოდ 5 ლუმელი მუშაობდა და 1 მაისიდან ყველა მაღაროები დაყრუებული იყო.

ინგლისის სამთო-მადნო წარმოების შეჩერებამ გამოიწვია მოთხოვნილება-მიწოდების კანონის თანახმად—და ქვანახშირის, რკინის და ფოლადის ფასების აწევა.

გერმანიის მძიმე ინდუსტრიის კაპიტალმა ისარგებლა ინგლისის კონკურენციის შეფერხებით და ფასები ასწია. თუ რამდენად საზღაპრო იყო მათი მოგება,—შემდეგი რიცხვები გვიჩვენებს.

სექტემბრის	1	კვირაში	რურის	ნახშირი	ფასდება	ინგლ. ბაზარ. ტონა	38 მარკა
„	2	„	„	„	„	40	„
„	3	„	„	„	„	44	„
„	4	„	„	„	„	54	„
ოქტომბრის	1	„	„	„	„	57,6	„
„	2	„	„	„	„	62,6	„
„	3	„	„	„	„	65	„
„	4	„	„	„	„	80	„

იგივე ნახშირი შინაურ ბაზარზე ღირდა ტონა 19,8 მარკა; ნოემბერში კი ის 80 მარკად იყიდებოდა. ეს შეადგენს 60 მარკის განსხვავებას ტონა ნახშირზე. თუ აქედან გამოვაკლებთ საფრახტო ხარჯებს (რაც შეადგენს 3,50 როტერდამამდე+9 მარკა როტერდმიდან ლივერპულამდე=მაქსიმუმ 14 მარკას) მაშინ მივიღებთ, რომ მაღაროს პატრონს თითო ტონა ნახშირზე 46 მარკა წმინდა მოგება დარჩა, რაც თვიურად 24 მილიონ წმინდა მოგებას შეადგენს.

ამ საზღაპრო მოგებამ, რომელიც ნაყიდია ინგლისის მუშების და საერთაშორისო სამთო მადნო მუშების გაუგონარ გაჟვლებით, გამოიწვია ნახშირ ს აქციების კურსის ასეთივე საზღაპრო ზრდა. „ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით ნახშირის საზოგადოება აქციების კურსი ინგლისის გაფიცვის შემდეგ გაიზარდა 100 და ზოგან 150 %-ით.

ამგვარად, გერმანიის მძიმე მრეწველობის კაპიტალისათვის 1926 წელი ოქროს ხანა იყო. მან გააფართოვა წარმოება და გარაღდების ბაზარი მისთვის ხსნილი იყო; მისი მოგება 250% უდრიდა.

მაგრამ 1926 წელთან ერთად თავდება გერმანიის მძიმე ინდუსტრიის ოქროს ხანაც. საჭიროა გვახსოვდეს, რომ გერმანიის კაპიტალიზმის ზემოაღნიშნული მაღალი კონიუნქტურა გამოწვეული იყო არა საერთაშორისო ბაზრის გაფართოებით, არამედ ინგლისის მეტოქეობის დროებითი შეჩერებითი. ეხლა არავისათვის საეჭვო არ არის, რომ ინგლისის მუშების გაფიცვა საერთაშორისო რეფორმიზმის ლიდერების შემწეობით იქმნა წაგებული.

ინგლისელ მუშების მიერ გაფიცვის წაგებით ინგლისელი კაპიტალისტი ამცირებს ნახშირის თვითღირებულებას 17,45 შილინგიდან 14,2 შილინგამდე ტონაზე, მუშის ხელფასის შემოკლების ხარჯით. ასე რომ ინგლისის [illegible] წველობას შეუძლია იაფი ნახშირით გამოვიდეს საერთაშორისო ბაზარზე, და როგორც მეტოქეს, დიდი შანსებიც აქვს.

როგორც კი ინგლისელი კონკურენტი ისევ აქტიურად გამოვა საერთაშორისო ბაზარზე ფასების ბრძოლა გაჩაღდება, ჩვენ უკვე საქმე გვექნება ნახშირის ზედმეტ მიწოდებასთან, რადგან საერთაშორისო ნახშირის ბაზარი კი არ გაფართოებულა, არამედ შემოკლდა, ხოლო ნახშირის კონკურენტი მაზუთი და ელექტრონი თანდათანობით უფრო ფართე არეს იკავებს წარმოების ყველა დარგში.

საერთაშორისო ნახშირის კრიზისი კი გერმანიის მძიმე მრეწველობისათვის (რომელიც ეხლა უიმისოდაც დაქვეითებულია და მესამე ადგილი უჭირავს) კატასტროფიული იქნება და ამაში იქვი არავის შესდის.

ასეთივე მდგომარეობაა რკინის მრეწველობაში და ფოლადის მრეწველობაშიც. ამას ემატება კიდევ ის მოვლენა, რომ ინგლისში მეტად ჩქარი ნაბიჯებით ხდება კონცენტრაცია ფინანსიურ კაპიტალის ისეთივე „რაციონალიზაციის" შემწეობით, რომელიც გერმანიაში ტარდება.

რა შედეგები მოჰყვება ამას გერმანიის სახალხო მეურნეობის კონიუნკტურისათვის და რა შედეგები ექნება ამას ინგლისის კაპიტალიზმისათვის?

— ორთავე ეჯახება საერთაშორისო ბაზრის სივიწროვეს და მის შეზღუდულობას. ორთავე ცდილობს „რაციონალიზაციის" საშუალებით შეეგუოს ბაზრის დადებულ საზღვრებს. მაგრამ, რადგან 8 თვის განმავლობაში გაჩუმებული ინგლისელი კონკურენტი, რომლის ადგილი გერმანიამ დაიჭირა, უკვე აქტიურად გამოდის სავაჭრო არენაზე და გამოაქვს თავისი საქონელი, შეზღუდული ბაზარი გაივსება საქონლით და კატასტროფა აუცილებელი გახდება თავდაპირველად გერმანიისათვის.

და ამასთანავე ინგლისის გაფიცვის დამთავრების შემდეგ საჭირო შეიქნება გერმანულ მძიმე მრეწველობის განმეორებითი და ულმობელი შემოკლება და ეხლანდელ 3 მილიონ უმუშევარს კიდევ ახალი მილიონები მიემატება.

უმუშევართა რიცხვი გერმანიაში უკვე ეხლაც კატასტროფიულად იზრდება. **მხოლოდ ბერლინს ყოველ კვირაში საშუალოდ 4.500 ახალი უმუშევარი ემატება** (ისინი, ვინც ქარხნებიდან დათხოვილ იქმნენ).

პრუსიის შრომის სამინისტროს მოხსენება შემდეგ სურათს იძლევა:

1926 წ.	14 ნოემბერს	ბერლინის შრომის ბირჟაში	ირიცხებოდა	229.267	უმუშ.
„	21 ნონმბერს	„	„	232.895	„
„	27 ნოემბერს	„	„	237.768	„

მაშასადამე დღეს მხოლოდ ბერლინს მყავს 237.768 უმუშევარი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმათ, რომელნიც აღრიცხულნი არ არიან; მათ შორის 150.915 მამაკაცი და 86.853 დედაკაცები. მათგან მხოლოდ 150.004 უმუშევარი იღებს უმუშევართა ფონდიდან დახმარებას.

6. ბაზრის პრობლემა, მონოპოლისტური მისწრაფებანი და ახალი იმპერიალიზმის ხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მიერ გარჩეული თვითეული საკითხი ცალ-ცალკე და ყველა ერთად მოწმობდა იმას, რომ მთავარი და მასთან მტკივნეული პრობლემა გერმანიის კაპიტალიზმისა არის ბაზრის საკითხი.

არსებობს ორი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა გზით შეუძლია გერმანიის მეურნეობას ამ უნუგეშო მდგომარეობიდან გამოსვლა. უკეთ რომ ვსთქვათ არსებობს ერთი გზა, რომელზედაც უკვე შესდგა გერმანიის კაპიტალიზმი და რომელსაც, როგორც ქვემოდ ნაჩვენები იქნება, გერმანია ეკონომიურ ჩიხში შეჰყავს, და არსებობს მეორე მხოლოდ თეორია, სოციალ-დემოკრატიული თეორია, რომელიც თვით სოციალ-დემოკრატიასაც არ სწამს და არც მის განხორციელებაზე ფიქრობს.

სოც.-დემოკრატია პოლიტიკურად სავსებით შეურიგდა „ჰინდენბურგის რესპუბლიკას". ის მხარს უჭერს აგრეთვე ყველა ეკონომიურ ღონისძიებებს, რომელსაც გერმანიის კაპიტალიზმი ცხოვრებაში ატარებს. მიმდინარე პერიოდში მნიშვნელოვანია ერთი დოკუმენტი, რომელიც სოც-დემოკრატიის ოფიციალურ თეორეტიკოსს **რ. ჰილფერდინგს** ეკუთვნის. ჰილფერდინგი მადლობას უცხადებს სრულიად გერმანიის მრეწველთა ხელმძღვანელთ **სილვეებერგს** და **ლიუსბერგს, რომლებმაც ის არზი გამოხთქვეს, რომ სასურველი და აუცილებელია სოციალ-დემოკრატიის უმჭიდროეს თანამშრომლობაში შესვლა მთავრობის პარტიებთან.** ჰილფერდინგი შეეცადა იგივე მოსაზრება სოც-დემოკრატიულ ტაქტიკის მხრივ ეკონომიურად დაესაბუთებია. ეს დოკუმენტი არსებითად არაფერ ახალს არ წარმოადგენს; სოც-დემოკრატია 1914 წლიდან ასეთ გზას—ბურჟუაზიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზას—უკვე ადგია. ჰილფერდინგის წერილი „პოლიტიკური პრობლემები" (ob. geselschaft № 10 1926 წ.) მხოლოდ ოფიციალური და საჯარო აღიარებაა იმ პოლიტიკური შანტაჟისა, რომელსაც სოც-დემოკრატია მრავალ წელს ეწევა.

სოც-დემოკრატიული „თეორია" ამბობს: ჩვენი საქონელი თავდაპირველად შინაურ ბაზარზე უნდა გასაღდეს. შინაური ბაზარი კი საერთო სიღატაკის გამო შევიწროვებულია. საჭიროა შრომის ხელფასის ამაღლება და ამით გაფართოებულ იქნება შინაური ბაზრის სყიდვის ძალა.

სოც-დემოკრატიის ეს ცარიელი ფრაზა წინააღმდეგობაშია მისივე მეორე პრინციპთან, რომელიც მხარს უჭერს კაპიტალისტურ რაციონალიზაციას და რომლის შედეგად გერმანიას უკვე 3 მილიონი უმუშევარი ჰყავს.

ეს წინადადება მხოლოდ დემაგოგიური ფრაზაა, რადგან სოც-დემოკრატიამ კარგად იცის, რომ შინაური ბაზრის გაფართოება შრომის რეალური ხელფასის ამაღლების საშუალებით კაპიტალისტისათვის არასოდეს მისაღები არ იქნება, რადგან ეს ნიშნავს შემდეგს:

კაპიტალისტი აჩუქებს მუშას ზედმეტ ღირებულების ნაწილს, რათა მას ამ ფულით შემდეგ საქონელი მიჰყიდოს. კაპიტალისტს ასეთი ანგარიშით ვერ მოატყუებ, მას მოგება წაგების საქმე კარგად ესმის.

გერმანიის ბურჟუაზია გერმანიის სოც-დემოკრატიასთან ერთად ეხლა პირიქით საწინააღმდეგო ზომებს ატარებს. რაციონალიზაცია ნიშნავს ხელფასის ხარჯების შემოკლებას, ე. ი. მუშების სყიდვის ძალის შემცირებას. რაც შეეხება შრომის ხელფასის გადიდებას, უნდა აღნიშნულ იქმნეს შემდეგი: გერმანელ მუშის ხელფასი ფულად ოფიციალურ, ცნობების თანახმად, უცვლელი დარჩა. სააკორდო ფასები კი შემოკლებულ იქმნა და პირველ აუცილებელ საგნების ღირებულების ინდექსი 3%-ით აიწია,—**ისე რომ მუშის რეალური ხელფასი დაეცა 5%-ით.** სოც-დემოკრატიის ლიდერებმა ეს არითმეტიკა ჩინებულად იციან და ნაცვლად იმისა, რომ მუშის ხელფასი დაიცვან, ისინი შეთანხმებაში შედიან მთავრობის პარტიებთან, რათა რეიხსტაგში 8 საათის სამუშაო დღის საწინააღმდეგო კანონი იქნეს გატარებული.

გერმანელმა კაპიტალისტმა თავისი საქმე იცის. მას ისიც ესმის, თუ რამდენად აუცილებელი და სასარგებლო ელემენტია მის პოლიტიკაში გერმანიის რეფორმისტული პროფკავშირები და გერმანიის სოც-დემოკრატია. ამიტომ ის ყურსაც კი არ ათხოვებს სოც-დემოკრატიის „პლატონიურ თეორიებს" და მასთან ერთად, უმრავლეს შემთხვევაში მათივე ხელით, გერმანულ მსხვილ მრეწველთა პოლიტიკას ატარებს, როგორც შინაურ, ისე გარეშე ბაზარზე, ქარხანაში, პროფკავშირებში, რეიხსტაგში და ყველგან.

გერმანიის ბურჟუაზიის ამოცანაა შევიწროვებულ ბაზრიდან უდიდესი მოგება ამოიღოს: 1. შეამციროს საწარმოვო ხარჯები, შრომის ხელფასი, დამატებითი ხარჯები და 2. საქონელი მაღალ ფასებში გაჰყიდოს.

პირველი მიზნის მისაღწევად ის ატარებს „რაციონალიზაციას", რისი შედეგებიც ჩვენ ნაწილობრივ უკვე დავინახეთ. მეორე მიზნის მისაღწევად კი (საქონლის ფასების გადიდება) კაპიტალისტები იკრიბებიან მონოპოლისტურ ორგანიზაციებად.

ტრესტიფიკაცია და კარტელიზაცია გერმანულ მრეწველობისა დიდი მასშტაბით და სისწრაფით მიდის წინ. გერმანიაში კაპიტალის კონცენტრაციამ უფრო მაღალ დონეს მიაღწია, ვიდრე ომის წინ იყო. ჩვენ მოვიხსენიებთ მხოლოდ რამოდენიმე მონოპოლისტურ გაერთიანებას: სრულიად გერმანიის ელექტრო-წარმოება სამი მთავარი ტრესტის ხელშია, რომელნიც მზად არიან ერთი ტრესტი შეადგინონ. მათ შორის საერთო-ელექტრო-საზოგადოებას (AEG) და სიმენს-შუკერტს 300 მილიონი სააქციო კაპიტალი აქვთ.

საღებავების ინდუსტრიის ტრესტი, რომლის კაპიტალი ა. წ. სექტემბერში 1 მილიარდს უდრიდა, გერმანიის ფოლადის ტრესტი თავის 800 მილიონი კაპიტალით და 120 მილიონის აქციებით, ქიმიური ტრესტი, რომლის კაპიტალი 1.100 მილიონს უდრის და სხ. და სხ. **და რაც უფრო მეტი ყურადღების ღირსია, არის სრულიად გარკვეული ტენდენცია ისეთი ტრესტების და სააქციონერო საზოგადოებათა გაერთიანებისა, რომელნიც ამდენ ხანს ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ.** მაგალითად უკვე არსებობს ინტერესთა მჭიდრო გადახლართვა ქიმიურ ტრესტის და მიხელსის-კონცერნის (ქვანახშირი)

შორის ერთის მხრით და ქიმიურ ტრესტის და ელექტრო წარმოების კაპიტალის შორის, მეორეს მხრით.

მონოპოლისტური გაერთიანებანივე თავსდება გერმანიის ნახლეჩში. უკვე დაარსებულია მთელი რიგი საერთაშორისო ტრესტებისა და გაბნობულია ჯიდევ მთელი რიგი ახალ სინდიკატების დაარსება: კონტინენტალურ ფოლადის ტრესტი, ინტერნაციონალური მავთულის ტრესტი, შინების წარმოების საერთაშორისო კარტელი და სხ. გერმანიის ქიმიურ მრეწველობის ტრესტმა რამოდენიმე ხელშეკრულება დასდო უცხოეთის საღებავთა მსხვილ მრეწველობებთან. იგივე ტრესტი უმჭიდროესადაა დაკავშირებული ასაფეთქებელ მასალის და ხელოვნურ აბრეშუმის დასამზადებლად ინგლისის ნობელის ჯგუფთან და ამერიკულ დიუპონის ჯგუფთან. ამგვარად წარმოიშვა საერთაშორისო კარტელი ხელოვნურ აბრეშუმის წარმოებისა თავისი 2 მილიარდიანი კაპიტალით.

გერმანიის ქიმიური მრეწველობის ტრესტი (i. g.-interessengemeinschaft) მოლაპარაკებაშია აგრეთვე ორ უდიდეს ნავთის კონცერნებთან, რომელთაც ხელოვნური ბენზინის კონკურენციის შიში აქვთ. ქიმიურ ინდუსტრიის ტრესტმა პირობა დასდო მათთან და 150 მილიონი მარკის ანაზღაურების ფასად უარი განაცხადა, საერთაშორისო ბაზარზე გამოვიდეს თავისი ხელოვნური ბენზინით.

კალიუმის სინდიკატიც უახლოეს დამოკიდებულებაში სდგას უცხოელ მრეწველობასთან და რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულებანი აქვს დადებული.

როგორც მაგალითი მონოპოლიზმის განვითარებისა და ტრესტების სიძლიერისა მოგვყავს **გერმანიის ქიმიური ინდუსტრიის მდგომარეობა.** ეს ტრესტი დაარსდა 1915 წელში, მისი კაპიტალი უდრიდა 646 მილიონ მარკას, მაშინ ეს ტრესტი უძლიერეს ფინანსიურ ძალას წარმოადგენდა გერმანიაში. 1926 წლის სექტემბერში კი ამავე ტრესტის კაპიტალი შეადგენდა უკვე 1.100 მილიონ მარკას. დღეს მისი აქციების კურსი სდგას 300%-ით მაღლა 1914 წლისაზე. ეს საზღაპრო ქონება ეკუთვნის რამოდენიმე ათეულ კაპიტალისტს. ქიმიური მრეწველობის ტრესტის აქციონერებმა მიიღეს 1925 წელს 10% დივიდენდები. ოფიციალურად გამოქვეყნებული წმინდა მოგება ამ ტრესტის 1925 წელს უდრიდა 68 მილიონს, როდესაც ამორტიზაციისათვის ნაანგარიშევი იყო 55 მილიონი. „როტე ფანეს" ანგარიშით-კი ქიმიური ტრესტის წმინდა მოგება 1925 წლის განმავლობაში უდრიდა 100 მილიონზე მეტს და 1926 წელში მინიმუმ 200 მილიონს.

ამ საარაკო მოგებას სოც-დემოკრატიის ნაფიცი თეორეტიკოსი ჰილფერდინგი და ბურჟუაზიის ხელმძღვანელები აწერენ მექარხნის მუყაითობას და ტეხნიკურად კარგად დაყენებულ წარმოებას. სინამდვილეში კი ეს მოგება შედეგია ქიმიური ინდუსტრიის პროლეტარიატის სასტიკ ექსპლოატაციისა და მექარხნის მიერ იმ ტეხნიკურ გაუმჯობესებათა მითვისების, რომელნიც უმრავლეს შემთხვევაში მუშების მიერ არის აღმოჩენილი. ასეთი მაგალითები მეტად ბევრია გერმანიის წარმოებაში. 1925 წლის წლიურ ბალანსში ეს ტრესტი უჩვენებს 45 მილიონს, როგორც მთავარ ხარჯებს. რა შეადგენს ამ მთავარ ხარ-

ჯებს?—მუშების ხელფასი და ჯამაგირები, რომელშიაც აგრეთვე ქარხნის დირექტორების ჯამაგირებიც შედის. მუშების ხელფასი აქედან მაქსიმუმ 40 მილიონს უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მუშას კვირაში 60 საათიდან 30 საკუთრივ და 30 საათი კაპიტალისტისათვის ემუშავა, მაშინ ზედმეტი ღირებულების მიმართემა მუშის ხელფასთან 100% შეადგენდა. აქ კი დამოკიდებულება ასეთია: 100 მილიონი წმინდა მოგება და 40 მილიონი შრომის ხელფასი. **ეს იმას ნიშნავს, რომ ქიმიურ ინდუსტრიის მუშა კვირაში $2^1/_2$ დღეს მუშაობს თავისთვის და $3^1/_2$ დღეს კი კაპიტალისტისათვის** [1].

ასეთ წარმოუდგენელ ექსპლოატაციას და საზღაპრო მოგებას ბირჟამ, ცხადია, უპასუხა იმით, რომ ქიმიურ მრეწველობის აქციების კურსი საოცარი სისწრაფით გაიზარდა და ქიმიურ ტრესტის მსხვილ აქციონერებმა დამატებით კიდევ მრავალი ათეული მილიონი მოიგეს.

ყველა ჩამოთვლილ და მსგავს კაპიტალისტურ გაერთიანებათა მიზანია მონოპოლისტური უფლებების საშუალებით საქონლის ფასების აწევა და მშრომელი ხალხის ორმაგათ გაყვლეფა, ერთი მხრივ წარმოებაში, როგორც მომუშავის და მეორეს მხრივ ბაზარზე, როგორც მომხმარებლის—მყიდველის.

7. „პანევროპეიზმი" თუ ახალი იმპერიალიზმი?

მონოპოლისტურ გაერთიანების და საერთაშორისო სინდიკატების განვითარების ფაქტი სოც.-დემოკრატიამ იმ მიზნით გამოიყენა, რომ ახალი თეორია შეეთხზა. ამბობენ, რომ კაპიტალიზმის განვითარება სრულიად ახალ პერიოდში შეეიდაო. კაპიტალიზმის ეს ახალი ხანა იმით ხასიათდება, რომ კაპიტალისტური მეურნეობა მომავალში ანარქიული კი არ იქნება, არამედ საერთაშორისო სინდიკატების მიერ მოწესრიგებული. კრიზისის საკითხები ომის საშუალებით კი არ იქნება გადაწყვეტილი, არამედ ერთა ლიგის და საერთაშორისო სინდიკატების მიერ, და ევროპაში სამუდამო, საყოველთაო მშვიდობიანობა გამეფდებაო.

ამ თეორიას **ამხ. ბუბარინი** „ზეიმპერიალიზმის" თეორიას უწოდებს. ამ თეორიამ თავისი გამოხატულება ნახა ეგრედ წოდებულ „პანევროპიულ" მოძრაობაში და კონგრესებში. როგორც თეორია, ისე „მოძრაობაც" ავადმყოფ ტვინის ნაყოფია და მისი დანიშნულებაა—ევროპის პროლეტარიატის მოტყუილება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ომის წინადაც გავრცელებული იყო საერთაშორისო სინდიკატები და საერთაშორისო ხელშეკრულებანი, მაგრამ ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ თვითეული მხარე მალულად თუ აშკარად ომისათვის ემზადებოდა. საფრანგეთ-გერმანიის შორის არსებულ წინააღმდეგობებს ვერავითარი სინდიკატები ვერ შეარიგებს. ახალშენების დაკარგვას გერმანიის ბურჟუაზია

[1]) ეს ფბრალო არითმეტიკაა და ჰილფერდინგმა ჩინებულად იცის ანგარიში. მიუხედავად ამისა, ის ფარისევლობს, სტყუის და ამბობს—ქიმიური ინდუსტრია მუშათა კლასის მოკეთეაო. (იხ. მისი წერილი "Politische Probleme).

და გერმანიის ფაშიზმი არ შეურიგდება. დიდი ბრიტანეთის და გერმანიის კაპიტალისტური მეურნეობის ჰომოგენური (მსგავსი) საფუძვლები (ნახშირი, რკინა, ფოლადი, მანქანები) შეუძლებლად ხდის მათ ურთიერთ [illegible], მით უმეტეს, როდესაც ორთავე მხრის ინდუსტრია სწრაფად [illegible] **„ევროპიული“ მელოდიის ხმები ვერ დაჭვარავს იარაღის ჟღარუნს ევროპაში.**

მონოპოლისტური გაერთიანებანი, ინტერნაციონალური სინდიკატები, გერმანიის კაპიტალის აჩქარებული ტემპით კონცენტრაცია არის მხოლოდ ბაზისი, რომელზედაც გერმანიის კაპიტალიზმი ახალ იმპერიალისტურ დროშის ალმართას ლამობს. გერმანიის ბურჟუაზია და გერმანიის ფაშიზმი აქტუალურად აყენებენ საკითხებს: უკან დაბრუნება დაკარგულ ინდუსტრიალურ რაიონებისა, დაკარგულ ახალშენების, რომელნიც ეხლა ინგლისის ახალშენების სისტემაშია მოთავსებული, გერმანიის კაპიტალის ექსპორტის გაფართოება. საკითხების ამგვარი დაყენება ნიშნავს ომზე ლაპარაკს და ვერსალის მიერ განიარაღებული გერმანია უკვე ემზადება ომისთვის.

გერმანიის ოფიციალური სამხედრო ძალა, თუმცა მეტის მეტად შეიწროებულია და განსაზღვრული (სახელმწიფო არმია), მაგრამ ფაშისტური სამხედრო კავშირები (ოლიმპია, შტალჰელმ, ახალ გერმანიის ორდენი, კონსულ, O. C. გუშაგი მგელი (Webrwolf) და მრავალი სხვანი) წარმოადგენენ არც მეტს და არც ნაკლებს—გერმანიის ბურჟუაზიის არაოფიციალურ, მაგრამ სრულიად გამოცდილსა და გაწვრთნილ ჯარს. ტყუილია გერმანიის სამხედრო მინისტრის ფიცი და მტკიცება რეიხსტაგის წინაშე, ვითომ რესპუბლიკის ჯარის ოფიცრობას მთავრობის მიერ აკრძალული ჰქონდეს ფაშისტურ კავშირებთან ურთიერთობა იქონიონო. არა ერთი ფაქტი იყო გამომჟღავნებული, რომ სწორედ ეს ოფიცრობა ხელმძღვანელობდა ფაშისტურ ორგანიზაციების სამხედრო ვარჯიშობას და სამხედრო მინისტრის მიერ არც ერთი მათგანი პასუხისგებაში მიცემული არ იყო და არც სამსახურიდან დათხოვილი.

ოპპაუში და ლოინაში (Leuna) ქიმიური მრეწველობის ქარხნები სამხედრო ინდუსტრიის როლს თამაშობენ. ისინი ახალი საომარი ტეხნიკის თანახმად უმთავრესად საწამლავ გაზებს ამზადებენ. თუმცა ქიმიურ მრეწველობის ხელმძღვანელნი ამტკიცებენ, რომ მახრჩობელა გაზები მიწის სანოყიერო ნივთიერების დამზადებისათვის არის საჭიროო, მაგრამ ეს არავის არ სჯერა. სინამდვილეში კი ლოინა გადაიქცა გერმანიის ახალი იმპერიალიზმის, ქიმიურ იმპერიალიზმის ცენტრად. გაზები და ტანკები თანამედროვე საომარი ტეხნიკის მთავარი იარაღებია. ტანკებისათვის ბენზინია საჭირო და ქიმიური მრეწველობა ახალი საშუალებებით ხელოვნურ ბენზინს მიაწოდებს გერმანულ იმპერიალიზმს—როგორც ერთ დროს (მსოფლიო ომის დროს) კრუპპი, ეხლა კი ქიმიური ინდუსტრიაც აცხადებს პრეტენზიას გერმანიაში ხელმძღვანელ პოლიტიკურ როლზე.

ახალი იმპერიალიზმის სუნი დგას მთავრობაში, რეიხსტაგში განსაკუთრებით—კი ჰინდენბურგის ოფიციალურ და არა ოფიციალურ კაბინეტში.

ახალი იმპერიალიზმის ჭარტეხილს გრძნობს აგრეთვე ყოველი ადამიანი გერმანიაში. იმართება საჯარო დისპუტები ახალშენების საჭიროების შესახებ. ახალშენების დაბრუნების პროპაგანდა საშუალო სკოლებშიც კი ტარდება. ფა-

ზისტური სამხედრო კავშირები ორკესტრებით მოგზაურობენ სოფლებიდან სოფლებში და გერმანული გლეხობას ახალშენების დაბრუნების საჭიროებას უქადაგებენ. დღევანდელ გერმანული კინოს მთავარი მოტივი ახალშენებს საკითხია და გერმანული რეჟისურა მეტად დახელოვნებულია ყოველად რეაქციონური თემის ზედმიწევნით მხატვრულად დამუშავებაში. თეატრებში და კაფეებშიც კი წააწყდებით ასეთ პროპაგანდას.

„პანევროპიული" ზრდილობა მაინც მოითხოვდა, რომ „პანიმპერიალიზმი" ასეთი მყვირალა არ ყოფილიყო!

8. გერმანიის კაპიტალიზმი ჩიხში

გერმანიის კაპიტალიზმი სამ საშუალებას მიჰმართავს თავისი მდგომარეობის გამაგრებისათვის. ორი ლეგალური და ოფიციალური საშუალებაა:

1. რაციონალიზაცია და მონოპოლისტური უფლებების აღდგენა შინაურ ბაზარზე.

2. საერთაშორისო სინდიკატები საგარეო ბაზარზე გავლენის აღსადგენად.

და მესამე არაოფიციალური საშუალება: სამხედრო საშუალებათა გაძლიერება.

ჩვენ დავინახეთ, რომ „რაციონალიზაცია" კრიზისს ამწვავებს. რაციონალიზაციის შედეგია 3 მილიონი უმუშევარი გერმანიაში და 5. 000 ახალი უმუშევარი ყოველ კვირეულად მხოლოდ ბერლინში. ასევე სწრაფად ეცემა შინაგანი ბაზრის სყიდვითი ძალა და კაპიტალისტური მეურნეობა იძულებულია კიდევ უფრო შეამციროს წარმოება.

მონოპოლისტური ლონისძიებანი აგრეთვე ამწვავებენ გერმანიის კაპიტალიზმის კრიზისს, მათი ამოცანა არის საქონლის ფასების აწევა: ჩვენ კი დავინახეთ რომ ბაზრის სყიდვითი ძალა საერთო სილატაკის გამო მეტად სუსტია. მაღალი ფასები და შემცირებული ხელფასი კიდევ უფრო შეავიწროებს გერმანულ საქონლის განაღდების ბაზარს.

საერთაშორისო სინდიკატების საშუალებით ყოვლად შეუძლებელია, რომ გერმანიამ თავისი მდგომარეობა გამოასწოროს—შემდეგი მიზეზების გამო:

გერმანიის წლიური ექსპორტი და იმპორტის დამოკიდებულება შემდეგი რიცხვებით გამოიხატება:

1922	წ.	გერმანიას ჰქონდა	103	მ. მარ.	პასსიური	სავაჭრო ბალანსი.
1923	„	„ „	795	„	აქტიური	„ [1])
1924	„	„ „	1.635	„	პასსიური	„
1925	„	„ „	2.404	„	პასსიური	„
1926	წ.	პირვ. ნახევარში	50	„	აქტიური	[2])

[1]) 1923 წლის სავაჭრო ბალანსის აქტივობა აიხსნება იმით, რომ გერმანიის ვალიუტის გაფასებით ისარგებლეს უცხოელმა სპეკულიანტებმა და გაძარცვეს გერმანიის იაფფასიანი ბაზარი.

[2]) ინგლისის სამთო-მადნო მუშების გაფიცვის გავლენა.

გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა კი მოითხოვს, რომ მისი ექსპორტი (და გერმანიას უმთავრესად დამზადებულ ფაბრიკატების ექსპორტი შეუძლია) წლიურად 6 მილიარდ აქტიურ ბალანსს უდრიდეს. ეს თანხა საჭიროა სარეპარაციო გადასახადებისათვის, უცხოეთის ვალების პროცენტების დასაფარავად, შინაგან სამეურნეო დეფექტების გასასწორებლად და სხ., მაგრამ, როგორც ზემომოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, დღეს-დღეობით გერმანიის კაპიტალიზმის ამოცანას შეადგენს სავაჭრო ბალანსის ელემენტარული გამოსწორება, ხოლო 6 მილიარდით გაფართოებულ ექსპორტზე ლაპარაკიც შეუძლებელია.

მეორე მხრივ საერთაშორისო ბაზარი არ იძლევა ამის შესაძლებლობას.

საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილება დამზადებულ ფაბრიკატებზე უდრის $9^1/_2$ მილიარდ დოლარს ანუ 40 მილიარდ მარკას (თუ ჩვენ 1925 წლის საერთაშორისო ექსპორტის რიცხვებს ავიღებთ უმთავრეს მიმწოდებელ ქვეყნებისას: ინგლისი, შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, იტალია და სხ.). **რომ გერმანიის ექსპორტი 6 მილიარდით გაიზარდოს, საჭიროა რომ ან საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილება გაფართოებულ იქნეს 15%-ით (რაც გერმანიის კაპიტალიზმის ყოველ ძალღონეს აღემატება),** ან კიდევ —**გერმანიის წარმოებამ საერთაშორისო ბაზრიდან უნდა გამოდევნოს თავისი კონკურენტები და მსოფლიო მიწოდების ახალი ერთი მეექვსედი ნაწილი ხელში ჩაიგდოს,** რაც ყოვლად შეუძლებელია, რადგან მთელი გერმანიის მეურნეობა, სახელმწიფო ზემოსავალი, ბანკები, რკინისგზები უცხოელ კონკურენტების კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, გერმანიის კაპიტალის ექსპორტი ყოვლად უმწეო მდგომარეობაშია და მას მაღალი საბაჟო გადასახადებით შეკრული აქვს გზა.

ამ რიგად, არც ერთი საშუალება რეალური არ არის და გერმანიის კაპიტალიზმი თავდაუღწეველ ჩიხში შედის.

გერმანიის მილიტარისტულ სამზადისის შესახებ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს გზა გერმანიის კაპიტალიზმის უკანასკნელი და უვიცი ავანტიურა იქნება:

გერმანიის სამხედრო ძალა, მიუხედავად ფაშისტურ ლეგიონებისა და ლონინის მახრჩობელა გაზებისა, ბავშური გართობაა სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების სამზადისთან შედარებით და ახალი ომი გერმანიის კაპიტალიზმს დამარცხებას არგუნებს, რომელთან შედარებით „ვერსალი“ მოსაგონიც არ იქნება.

გერმანიის პროლეტარიატს და გლეხობას მეტად მწარე გამოცდილება არგუნა უკანასკნელმა ომმა, ვერსალის ხელშეკრულობამ, გამარჯვებულთა ოკუპაციამ, ინფლაციის ხანამ, დაუესის გეგმამ და მრავალმა სხვამ, და მხოლოდ უდიდეს სულელს ან ავანტიურისტს შეუძლია იმედი იქონიოს, ვითომ შესაძლებელი იყოს გერმანიის მშრომელი მასსების ხელახალი მოტყუება, ახალი პროვაკაციის ანკესზე წამოგება და იმპერიალისტურ ომში ჩაბმა. გერმანიის პროლეტარიატი უმოწყალოთ გასთელავს რეფორმიზმის და სოც-დემოკრატიის ფარისევლობას და ერთხმად სამოქალაქო ომით უპასუხებს იმპერიალისტურ ომს.

დასკვნები:

1. გერმენიის კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაცია მოხდა არა საკუთარი ძალით, არამედ უცხოელ კაპიტალის შემწეობით.

2. ამით გერმანიის კაპიტალიზმის კრიზისი დროებით შემსუბუქებული იქმნა და არა სამუდამოთ თავიდან აშორებული. წინააღმდეგობანი წარმოებასა და განაღდების შორის დღითი დღე იზრდება. ინგლისის სამთო-მადნო მუშების გაფიცვის დამარცხების შემდეგ და უცხოეთის კრედიტების შეწყვეტის შემდეგ გერმანიის კრიზისი კატასტროფიულ წერტილს მიაღწევს.

3. გერმანია იძულებულია წლიურად $1\frac{1}{2}$— $2\frac{1}{2}$ მილიარდი სარეპარაციო გადასახიდები იხადოს. დღევანდლამდე სარეპარაციო გადასახადები უცხოეთიდან აღებულ სესხით იფარებოდა. გერმანიის მეურნეობას არ შესწევს არავითარი საშუალება საკუთარი ძალით აიტანოს ეს ხარჯები.

4. გერმანიის ექსპორტის გაფართოება ეჯახება საერთაშორისო ბაზრის სივიწროვეს და ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ძლიერ კონკურენციას.

5. გერმანიის ბურჟუაზია ფიქრობს, თავი დააღწიოს წარმოებასა და განაღდების შორის არსებულ წინააღმდეგობას, რაციონალიზაციას, საქონელზე მონოპოლისტური ფასების დადების და საერთაშორისო სინდიკატების საშუალებით. ყველა ღონისძიებანი უშუალოთ გერმანიის პროლეტარიატის გაძლიერებულ ექსპლოტაციას ნიშნავს და კლასობრივ ინტერესების წინააღმდეგობათ წარმოუდგენლად ამწვავებს.

ბიბლიოგრაფია

გრ. რჩეულოვი—„ქვრივის ლიმონები“ „ქართული მწერლობის“ გამოცემა.

— გრ. რჩეულოვი არ ეკუთვნის მწერალთა იმ რიცხვს, რომლებიც „ეპოქას უძღებენ“. საეპოქო ძის ნაწერებში არაფერია. თანამედროვე მკითხველი აქ საინტერესოს ვერაფერს ნახავს,— თითქმის ვერაფერს. არამც თუ მხატვრულ ღირებულებათა თვალთახედვით, არამედ უბრალო ისტორიულ ცოდნათა შეძენითაც. გასაკვირი არ არის სრულებით, რომ ეს მწერალი დავიწყებულ იქნა. ასეთი მწერლები ხშირად სიცოცხლეშიაც კვდებიან,—თუმცა სწერენ— არამც თუ სიკვდილის შემდეგ. მწერალის —როგორც ყოველგვარ საზოგადო მოღვაწის—დაფასება საზოგადოებრივ თვალსაზრისით უნდა ხთებოდეს. აქ პირად გრძნობას, პატივისცემას, სიბრალულს, სიმპატიასა თუ სხვა—ადგილი არ უნდა ქონდეს.

და აი, როდესაც ასეთ ნაირად—საზოგადოებრივ თვალსაზრისით—უდგებით გრ. რჩეულოვს—გადაწყვეტილად უნდა ვსთქვათ: არ ღირს მისი ხელოვნურად გაცოცხლება. არც მოხდება ეს, არ მოხერხდება. ჩვენ რასაკვირველია, ამით სულაც არ გვინდა იმის თქმა, რომ „ქვრივის ლიმონები“-ს გამოცემა საჭირო არ იყო.. რატომაც არა. არამც თუ ეს, შეიძლება დადგეს დრო—და ჩვენ გრ. რჩეულოვის ნაწერთა სრული კრებულიც გამოუშვათ... თუმცა, ვაი მისი ბრალი, ვისაც ეს მოვალეობა დააწვება კისერზე?! ძალიან მოსაწყენი საქმე იქნება! ძალიან!

გრ. რჩეულიშვილი წყალნარევი რომანტიკოსია. მას არ წამს არც დანიელ ჭონქაძის, არც გრ. ერისთავის, არც ლავრენტი არდაზიანის სალიტერატურო მიმართება—მხატვრული რეალიზმი. ცხოვრებას, თანამედროობას იგი ანგარიშს სრულებითაც არ უწევს. მისი რომანების და მოთხრობების (იგი სწერდა აგრეთვე ლექსებსაც, ი. გრიშაშვილის ცნობით მას ეკუთვნის ლექსი:

ახ, მთვარეე, მთვარეე, დამწვართ
იმედო...),

დედა ძარღვს სიყვარული და ამ სიყვარულზე აშენებული სხვა-და-სხვა მოქმედებანი შეადგენს. სიყვარულზე წერის წინააღმდეგი რა უნდა გვექნეს?. მაგრამ საჭირო ხერხით უნდა ხთებოდეს ეს. ამ ხერხს —მხატვრობა ეწოდება. ეს კი რჩეულოვს აკლია. ნაკლებად აქვს. ისტორიულ ფონზე შლია ვითომც რჩეულოვი თავის სიყვარულის ამბებს—მაგრამ გვატყუილებს იგი. ყალბია მისი ისტორია ისევე, როგორც მისი მხატვრობა. ყალბია არა მარტო იმით, რომ ისტორიულ ფაქტებს ძალიან ხშირად და იოლადაც ამახინჯებს (თოფის სროლა მაშინ, როდესაც თოფის წამალიც არ იყო გამოგონილი და სხვა)—ეს კიდევ არაფერი—არამედ უმთავრესად იმით, რომ ისტორიის მაჯის ცემა სრულებით არ ისმის მის ნაწერებში, ეპოქას ვერ ნახულობთ სავსებით... მისი ისტორია—მთლიად ისტორიულ გმირთა სახელებით იწყება და თავდება.

„ქვრივის ლიმონები“— გამონაკლისს არ შეადგენს გრ. რჩეულოვის ნაწერებში. მას ერთი უპირატესობა აქვს: მოკლეა, ქალალდის ცოტა რაოდენობაზე ეტევა.

კნეინა კეკე—ლამაზი და კეკლუცია. ამასთანავე ქვრივი. იგიც ოცდა ორი წლის, ერეკლე მეფის ნაშვილევია. უნდა გათხოვდეს. ორი წარჩინებული ეძლევა. ერთია კახელი ქაიხოსრო, მეორე ქართლელი ზაზა. ფიქრობს კნეინა, ვის გაყვეს. ორივე კარგია... ორი ლიმონი უკავია გულში. მაისია. ეშმაკობს კნეინა. ლიმონს უნდა მიანდოს თავისი ბედი. ერთს ზაზას ჩაუთქვამს, მეორეს ქაიხოსროს. რომელსაც დავიჭერ—იმას გავყვებიო. მაგრამ დახეთ: ლიმონებიც ეშმაკობენ. არც ერთი ძირს არ ვარდება. კნეინა საგონებელშია. ამ დროს

შემოდის მეფე ირაკლი. მიხვდება, რაშიაც არის საქმე. იგიც ათამაშებს ლიმონებს—მაგრამ არაფერი გამოდის. შემდეგ მისი რჩევით: კნეინა კეკე იბარებს თავისთან ორივე საქმროს: ზაზას და ქაიხოსროს. ირაკლი მეორე ოთახში იმალება და უსმენს—აბა რას იტყვიან საქმრონი. გამოირკვა, რომ ზაზას ისე უყვარს მეფე ირაკლის სამსახური, რომ კეკეს თხოვნაზე, მიანებე ყოველივე ამას თავი და სოფლად წავიდეთ საცხოვრებლათო—უარს ამბობს. ქაიხოსრო კი თანახმაა—კეკეს ყოველგვარი მოთხოვნილება შეასრულოს... საქმრონი მიდიან. ირაკლი—რომელსაც ყველაფერი ეს ესმოდა—ურჩევს კეკეს გაყვეს ცოლად ქაიხოსროს; რადგან—ასე ეუბნება ირაკლი კეკესთან ხელმეორედ მოსულ ქაიხოსროს.—

„ზაზას უყვარს ჩვენი ნათლული კეკე და თხოულობს ამის ხელსა; მაგრამ იმას მე უფრო უყვარვარ კეკეზედ, ამიტომ არა სურს დატოვება ჩემი სამსახურისა. ხოლო შენ კეკესი უფრო გეხათრება, ვიდრე ჩემი, ამიტომ რომ თანახმა ხთები ემსახურო ჩემს კარის წინ, მხოლოდ კეკეს სურვილით. აქედან მე ვხედავ, რომ ზაზა კარგი დივანბეგი და ეშყაბაში შეიქნება ჩემი და შენ ერთგული ქმარი კეკესი. ამისათვის მას ვაძლევ ყარა-იასაულობას და ვისტუმრებ ერივანში და შენ გნიშნავ კეკეზედ“.

ასე თავდება ეს რომანიული ამბავი კნეინა კეკეს ლიმონების შესახებ.

მთავარი როლი მოთხრობაში ირაკლის ეკუთვნის. ეს გამოიხატება იმაში, რომ იგი ძალიან ბევრს ლაპარაკობს. თითქმის ნახევარი მოთხრობისა მის სიტყვებზედ არის აშენებული. თუ როგორი მხატვრული სიცხოველით არის იგი დახატული—ეს იქიდან სჩანს, რომ სახელის მეტი მას—ისტორიულ ირაკლის—არაფერი ახლავს. ასეთია შინაარსი ამ რჩეულოვის ნაწერთა შორის რჩეულ მოთხრობისა. ფერმალური შესრულებაც ეთანაბრება მიხაილს. მთელ მოთხრობაში მხოლოდ ორ ფრაზას წავაწყდი, რომლებიც რალაცას ამბობენ, რომ ყურადღებას მიაქცევთ:

კნეინა კეკეს მოახსენეს „მეფე მობრძანდება.“—„კნეინა კეკე წამოხტა მარდად, დაისველა ორი თითი ნერწყვით, გარდისო წარბებზედ, გაისწორა კავები, ჩაიხედა სარკეში და გაეგება კარებზედ“. კარგი, ცოცხალი სურათია! თუ გინდ დღეისთვისაც. მარტივად, ლამაზად გადმოცემული,—მოქნილი სიტყვებით.

— მოხუცი ერეკლე—დაღონებულია,—რომ სიბერის გამო იგი მოკლებულია ბევრ რამეს, ნატრობს ახალგაზრდობას. „მაგრამ ამაო არის ნატვრა, **დროს ქრთამით ვერ შეაყენებს კაცი**“. ეს უკანასკნელი წინადადება—დროს ქრთამით ვერ შეაყენებს კაცი—დასავიწყი არ არის.—

დასასრულ: პოეტი გრიშაშვილი, რომელიც მოხდენილ წინასიტყვაობას უკეთებს რჩეულიშვილის მოთხრობას—ასე ამბობს: „და თუ მართალია ის აზრი, რომ მომავალი პოეზია შეიძლება სათაურებით ამოიწურის, მაშინ ერთი პირველი ნოვატორთაგანი გრიგოლ რჩეულიშვილი იქნება“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს აზრი არასოდეს არ გამართლდება. პოეზია არასოდეს არ ამოიწურება მხოლოდ სათაურებით. პირიქით. სათაურების პრანჭვა-გრეხილობას, რომელსაც დიდი ადგილი ქონდა არაშორეულ წარსულში და, საუბედუროთ, დღესაც აქვს ადგილი—ბოლო მოელება მომავალში, როდესაც ნაწარმოებს სათაურით კი არ დავაფასებთ, არამედ სათაურს ნაწარმობით.

ორიგინალური სათაური „ქვრივის ლიმონები“ არაფერს მატებს—გრ. რჩეულიშვილის ყალბ მოთხრობას „ქვრივის ლიმონები“.

მკითხველი.

აკაკი პაპავა—„მეურმე ნესტორა“. მოთხრობა. სახელგამის გამოცემა.

უნდა გამოვტყდე: უგულოთ დავიწყე ამ პატარა მოთხრობის კითხვა; უხალისოდ ავიღე იგი ხელში. ვფიქრობდი: ტყუილად დროს დაკარგვა იქნება. რატომ? არ ვიცი. შეიძლება იმიტომ, რომ ავტორი ამ მოთხრობის—აკაკი პაპავა—ჩემთვის სრულებით უცნობი იყო, როგორც მწერალი. შეიძლება იმიტომაც—რომ მოთხრობის სათაური—„მეურმე ნესტორა“—რაღაც ზედმეტად ჩვეულებრივი და ზედმეტად ძველის-ძველი, სოფლის მგალობლიშვილის უმხატვრო მოთხრობების განმეორებას მაფიქრებდა.. ეს ხომ ფაქტია, რომ თანამედროვე ქართულ პროზაში—თავისი მანჭიობით და მაიმუნური პრაქტა-გრეხით—მკითხველს თითქმის სრულებით გაგვიფუჭა მხატვრული გემოვნება: უბრალოება და სისადავე—რაღაც უშნო ტონის და გემოვნების გამომხატველად გადაიქცა...

„მეურმე ნესტორა“ წავიკითხე და რაღაც კარგ გუნებაზე დავდექ. სადა, გასაგები, ჩვეულებრივი და ამიტომ ლამაზი და მგრძნობიარე ქართული ენით—მოთხრობილი ამბავი იმის შესახებ—თუ როგორ ებრძოდა მეურმე ნესტორა თავისი გაკრასკული, გალამაზებული ურმით და საყვარელ, ჩასუქებულ ხარებით—სოფელში ახლად შემოჭრილ რკინის ურემს ცეცხლის თვალებით, გრიალ-გრიალით, ქშუილით, ორთქლით და ყვირილით.

პატიოსანი გლეხის ოჯახის შვილი იყო მეურმე ნესტორა. პატიოსანი მშრომელი მამა ყავდა მას. დედაც ასეთივე. თვითონ—ერთად-ერთი შვილი—აგრეთვე შრომის მოყვარული, ოჯახის ადათ-ჩვეულებების დამცველი—აგრეთვე პატიოსანი მშრომელი დადგა. უყვარდა მამის ხელობა—თავის ურმით საქონლის ზიდვა მახლობელ ქალაქიდან ადგილობრივ ვაჭრებისათვის, უყვარდა თავისი კარ-მიდამო, ფიქრობდა ახალი ორსართულიანი „ოდის“ წამოდგმას, ოცნებობდა მეზობელ გერასიმეს ქალიშვილ ნატოს შერთვას, ჯახსა ჯუთრუბით უყვარდა თავისი კოხტა და ბაგანი ურემი და ორი საამაყო ხარი, რომლებსაც ალბათ არა ნაკლებათ უყვარდათ თავისი „ბატონი“ ნესტორა. კითხვა და წერა არ იცოდა ნესტორამ. არც ის იცოდა, რომ წერა-კითხვის არ ცოდნა რა ცუდი საქმეა!! არ უყვარდა ქალაქი და არც იქაური ხალხი. ზედმეტად სძულდა ჩინოვნიკები, „ხაზინის“ ფულის მფლანგველები.

და აი—ერთ მშვენიერ დღეს: სოფელს შემოესია ეს ჩინოვნიკები, ქალაქის მუშები. რკინის გზა გაყავთ... მკერდში გული არ ეტევა ნესტორას: რაღა ქნას?! ეის რათ დასჭირდება შემდეგ მისი ურემი, მისი ხარები. რკინის ურემი, ამბობენ, გაცილებით უფრო იაფად ჩამოიტანს საქონელსო. იმედი აქვს ნესტორას, დედა მისსაც:—არც ისე ადვილი საქმეა რკინის გზის გაყვანა—დაიწყებენ და მიატოვებენო... მაგრამ... არ გამართლდა ნესტორას ფიქრები.. რკინის გზა დაამთავრეს... ნატოც სხვამ წაიყვანა: სწორეთ ქალაქიდან ჩამოსულმა კაკარდოსანმა. გერასიმემაც და ნატომაც ადვილათ გამოიცნეს—ვინ გაიმარჯვებდა, ნესტორას ხარები თუ რკინის ურემი... სამუშაო არა აქვს უკვე ნესტორას: ოდას ვინ დაიდგამს; ურემიც დაუშნოვდა, ხარებიც უსაქმოდ გაულამაზდენ.. სიყვარულიც გაჭრა. ნატო მტერმა მოსტაცა. თვითონ ნესტორაც დაავადმყოფდა. ხედავს, რომ დამარცხდა, მოერია მის ურემს—რკინის ურემი, სოფელს—ქალაქი, ჩაბალახს—კაკარდოსანი ქუდი... მაგრამ ჯიუტობს ნესტორა.. არ უნდა ასე ადვილად დაუთმოს მამა-პაპათაგან მისთვის ანდერძად დატოვებული მოედანი—ახალ ხალხს, ახალ შრომას... ჯიუტობს ნესტორა. უკანასკნელად სურს შეებრძოლოს თავის მოსისხლე მტერს... ლამით, ქურდულათ ლამობს აყაროს რკინის ლიანდაგი.. გაუგებენ, დაიჭე-

რენ და ქალაქისკენ ისტუმრებენ უკვე, როგორც ტუსაღს..

ამით თავდება ეს ამბავი... ძველისძველია იგი. მდიდრები და მაძღრები ბატონობდნენ მაშინ.. მამასახლისები მართავდნენ სოფლებს, ვაჭრების საქმეს აკეთებდა ქალაქიდან მოსული კაკარდოსანი... ისტორიულად ნესტორა, ცხადია, არ არის მართალი თავის ბრძოლაში. რკინის ურემი—პროგრესი იყო ნესტორას ურემთან შედარებით. ძველს იცავდა ნესტორა—ახალის წინააღმდეგ, ისტორიის ბორბალს—უკუღმა ექაჩებოდა.. ამიტომ დამარცხდა იგი..

აუცილებელი იყო ეს ბრძოლა?—მაშინდელ დროისათვის კი.. კაპიტალიზმის დროშით—სოფელში შემოსული ქალაქი—ნესტორას წელში სტეხს, ანადგურებს... დღეს? განა ცოტანი არიან ნესტორები? მაგრამ მითა ბრძოლა დღევანდელ ქალაქის წინააღმდეგ არამც თუ აუცილებელია, პირიქით.. რადგან კაპიტალიზმის დროშით კი არ მიდის დღეს ქალაქი სოფლად, არამედ კომუნიზმის, სოციალიზმის. დღევანდელი ნესტორა თავის ურმით და ხარებით—ერთად ეწევა ჭაპანს იმ დიად საქმისათვის, რომელსაც მეთაურობს და აკეთებს დღეს მუშური ქალაქი..

აკაკი პაპავას მოთხრობა—წარსულს ეკუთვნის. მაგრამ ეს წარსული—ჯერ-ჯეროობით კიდევ არ არის დასავიწყი. მასზე ჩვენ კიდევ უნდა ბევრი ვისწავლოთ.

ამიტომ იკითხება ასე ხალისიანათ—მხატვრულად შესრულებული მოთხრობა „მეურმე ნესტორა“,

უცნობი.

ალ. ნეველროვი—„ტაშკენტი—ქალაქი პურის“. გამოცემა—„შრომა“. თარგმ. ლ. ჯაფარიძის.

— საკმაოდ მდიდარია ოქტომბრის შემდეგი რუსული მხატვრული ლიტერატურა, განსაკუთრებით ბელეტრისტიკა. სეიფულინა, გლადკოვი, სერაფიმოვიჩი, ივანოვი, ლიბედინსკი, პილნიაკი, ერენბურგი, ვერესაევი, ალ. ტოლსტოი, რომანოვი და კიდევ სხვები. უსაქმოდ არ იჯდენ ამ წლებში ესენი. ბევრი რამ შესძინეს რუსულ ბელეტრისტიკას, და ამ ბევრში—საკმაოდ ბევრია ისეთი ნაწერები, რომლებიც არ მოკვდებიან ავტორებთან ერთად! დიდ-ხანს, დიდ-ხანს იცოცხლებენ. ერთხელ წაკითხულნი ისინი დაუვიწყარნი ხდებიან.

ოქტომრის შემდეგი ეპოქა—ცალ-ცალკე მომენტებში, ეპიზოდებში—ნათელი თუ დაჩრდილული მხარეებით—საკმაო სიფრთხილით და სიღრმით არის დახატული მათში. ძნელია, ხშირად შეუძლებელიც—მხატვრულ ნაწარმოებთა ერთმანეთისადმი დაპირისპირება—თუ რომელი სჯობნის—ესა თუ ის. ძნელია იმიტომ, რომ თვითეულ მათგანს თავისებურათ აშენებულს—თავისებურივე ნაკლულევანებანიც აქვს და დადებითი მხარეებიც. ერთი ამ მხრივ მოიკოჭლებს, სამაგიეროდ იმ მხრივ მშვენივრად არის შესრულებული. მეორე სწორეთ პირიქით და ასე.

როდესაც ეცნობით ოქტომრის შემდეგ რუსულ ბელეტრისტიკას—აგრეთვე ძნელად გადაჭრი—რომელი რომელს სჯობნის, სწორედ ზევით დასახელებულ მიზეზის გამო.. მაგრამ მათ შორის არის ერთი მოთხრობა—რომანი—რომელმაც არ შეიძლება, განსაცვიფრებელი შთაბეჭდილება არ დატოვოს,—ამავე დროს განსაკუთრებული. საშინელი ტკივილებით და ამავე დროს სიხარულის და სიყვარულის გრძნობით იკითხება იგი. ძნელია—შეუძლებელიც—მისი ხელში აღება—კითხვის დაწყება—და მერმეთ მისი შეწყვეტა მანამ, სანამ არ დაამთავრებ სულ...

— ეს არის ალ. ნეველროვის მოთხრობა: „ტაშკენტი—ქალაქი პურის“.

— ვერც პილნიაკის „შიშველი წელი“, ვერც ლიბედინსკის—„შვიდი დღე“ და „კომისრები“, ვერც გლადკოვის „ცემენტი“, მით უმეტეს ვერც

სეიფულინას „ვირინეა“—არც ერთი ამათგანი ისეთ ძლიერ, დაუვიწყარ მხატვრულ შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ—როგორც ნევეროვის ეს პატარა მოთხრობა. საუკეთესოთ შესრულებულია თედორე გლადკოვის ახალი რომანი „ცემენტი“, არა ნაკლები ოსტატობით არის დაწერილი—სეიფულინას „ვირინეა“—მაგრამ მაინც შეხვდებით მათში ყალბ ადგილებს, მკვდარ სურათებს... მაშინ როდესაც ნევეროვის დასახელებული მოთხრობა დაწყებული პირველი სტრიქონიდან და გათავებული უკანასკნელით—ისეთ ნაირად არის აშენებული, რომ მასში ერთ სიტყვას ვერც ამოაგდებ და ვერც ჩააძატებ, ისე ოსტატურად არის დალაგებული ამბავი, მისი გახსნა-გაშლა და ტექნიკა ამისა. თითეული სიტყვა—უძვირფასეს მძივად არის ჩაქარგული მოთხრობის მთელ ტანში.—შეიძლებოდა ფურმანოვის „ჩაპაევი“ შეგვედარებინა თავისი სიძლიერით ნევეროვის ამ მოთხრობასთან, მაგრამ: „ჩაპაევის“ სიძლიერე მარტო ფურმანოვის მხატვრულ შემოქმედებას არ ეკუთვნის—აქ თვით ისტორიულ ჩაპაევსაც მიუძღვის წილი. საკვირველი და საოცარი გმირული მოქმედებანი ცოცხალ ჩაპაევისა—რასაც ადგილი ქონდა სინამდვილეში—თავისთავად ახდენენ—დაუვიწყარ და განუმეორებელ შთაბეჭდილებას... ასე, რომ ფურმანოვის „ჩაპაევი“—ჩაპაევის სინამდვილესაც ეკუთვნის..—„ტაშკენტი—ქალაქი პურის“-კი ნაყოფია ნევეროვის მხატვრულ შემოქმედების—მხოლოდ.

— საშინელი ამბავია მოთხრობილი შიგ—განსაცვიფრებელი გარეგნული სიშშვიდით და სადათ, ვითომ აქ არაფერია, ვითომც რა უყოთ მერე-ო! მაგრამ ამ უბრალო, მარტივი, ჩვეულებრივი სიტყვებით და მოთხრობის კილოთი—ისეთი რამ სურათი იშლება, რომ ძნელია კაცმა—რომელსაც ჯალათის ხასიათი არა აქვს—კბილთა ღრჭენით, ხან თვალებზე ცრემლებით—ნამდვილი ცრემლებით—ხან გულწრფელი სიხარულით არ გაყვეს ამ მოთხრობას დაწყებიდან დამთავრებამდე...

— საშინელი დრო იყო. ეხოცებოდენ სიმშილით ათასობით და ათი ათასობით, ჭკუაზედ ადგებოდენ სიმშილისაგან.. დედას უნახავდი შვილის ძვალს პირში.. თავის კუჭს აკმაყოფილებდა—გონება დაკარგული.. თავისავე ხელებით—მამა ახრჩობდა თავის ერთად ერთ შვილს—რომლის დანაშაული ის იყო მხოლოდ, რომ მას შიოდა—და მამას კი არ ქონდა საშუალება მისთვის პური მიეცა. მომაკვდავი დედის წინ ხდებოდა ხოლმე ხშირად ეს.

— „ბაბუა მოკვდა. მოკვდა ბებიკოც.. შემდეგ მამა... მოკვდა ბიძია მიხაილი, მოკვდა ძალუა მარინა... დარჩა მიშკა დედით და ორი პატარა ძმით. უმცროსი ოთხი წლის—შუათანა რვის. თითონ მიშკა თორმეტის... დედა შიმშილით დასნეულებულია!..

ფიქრობს მიშკა—გვარად დოდონოვი—ის არის ახლა ოჯახის პატრონი. და აი გადასწყვიტა მან წავიდეს პურზე ტაშკენტში.. იქით ორი ათასი ვერსი, აქეთ კიდევ იმდენი.

— და წავიდა მიშა. მას თან გაყვა ამხანაგი და მეზობელი სერიოჟკა... ამით იწყება ეს საშინელი ამბავი—მიშკა დოდონოვის მოგზაურობისა პურზე—დამშეულ ბუზულუკის მაზრიდან ტაშკენტამდე... ორი ათასი იქით—ორი ათასი აქეთ. ძნელია—მით უმეტეს როდესაც არა გაქვს სამგზავრო ფული, წასვლის ნებართვა და ხარ მხოლოდ 12 წლის.. მაგრამ სხვა რა გზა ქონდა მიხეილ დოდონოვს.. დედას და პატარა ძმებს სიმშილით ხომ არ დახოცავდა.. განა ეს დაუბარა მას სიკვდილის წინ მამამ?

— საშინელ სურათს წარმოადგენს ეს ორი ათასი ვერსი...

ამ სურათის **ერთი** ნაგლეჯი: „შიშველი დედაკაცნი მუცლამდის ჩახდილ პერანგებით, ბანჯგვლიანი, პირდაუბანელნი ხილავდნენ პერანგებს ტილებისაგან. სჭყლეტდნენ ფრჩხილებით, სდებდნენ გახურებულ აგურებზედ, სტაბე-

ბოდნენ ცქერით, როგორ იხრაკებოდ-ნენ. გლეხ კაცები გახსნილ ნიფხვებით იფურთხებოდნენ ბინძურ, დასისხლიანებულ ბოჩხილებზე. ყველას თვალ-წინ დედა-კაცი წამოხდილი კაბით იჭინთებოდა ფალარათით შეწუხებული. თავის დაფარვა არსად შეიძლებოდა... კუთხეში გლეხ-კაცი გდია ზურგზედ დაუვარცხნელ წვერით. ზედ ჭიანჭველასავით მიღოლავენ მსხვილი, რუხი ტილები. გლეხ-კაცის თვალები ხან იხსნებიან, ხან იხუჭებიან. ულვაშებზედ—სველ ნესტოებთან უშველებელი ბუზი დაჯდომია....

და ასე სულ—ეს ორი ათასი ვერსი.. აბა ვინ შეიბრალებს მიხეილ დოდონოვს—ვინ დაეხმარება მას... მაგრამ არიან კეთილი ადამიანებიც... საკვირველია ეს—უკვირს მიხეილს—მაგრამ ყოფილან კეთილი ადამიანებიც..—სერიოჟკა გზაზედ ავად გახდა—მუცელათი. კვდება.. რა ქნას მიხეილმა.. მატარებელი მიდის.. მაგრამ ამხანაგს ხომ ვერ დააგდებს მარტო?!!

— სერიოჟკას სიარული არ შეუძლია.. დაღონდა მიშკა..—მაგრამ არიან კეთილი ადამიანები.. მოწყალების დამ მოაწყო სერიოჟა და მიშკა სანიტარულ ვაგონში..—მოკვდა სერიოჟკა... დაობლდა მიხეილი.. მარტო არის ეხლა ის, სულ მარტო.. მაგრამ არ ტყდება მიხეილ.. ტაშკენტში უნდა ჩავიდეს—პური უნდა იშოვოს.. უცდიან მას დედა და ძმები... იბრძვის მიშკა გზაზედ—ტყლეებსაც ბევრს ხარჯავს.. აბა როგორ გინდა, რომ გაიარო ორი ათასი ვერსი უბილეთოდ, უპუროთ და, უპაშპორტოთ!! კეთილი ადამიანები შველიან მიხეილს.. აი ამხ. დუნაევი ორტა-ჩეკაში რომ მსახურობს—და წითელი ვარსკვლავი—რომ აქვს გულზე—დაეხმარა მიხეილს—ვაგონში ჩასვა.. შემდეგ ამხ. კონდრატიევი—მემანქანე.. შეიცოდა მიშკა და დაისვა თავისთან.. „კარგი—ოხ, როგორი კარგი ადამიანი არის ეს ამხ. კონდრატიევი“.. ჩაი დაალევინეს მიშკას—პურის ქერქიც მისცა კონდრატიევმა.. „პურის ქერქში კი არ არის საქმე, პურმა კი არ გაათბო ის [illegible], არამედ კეთილმა ალერსმა [illegible] ლიმილმა.. ფიქრობდა მიშკა—რა კარგი ადამიანებია?..“

— დანა ქონდა თან მიშკას—მამისეული. ამ დანით—ბევრი რაიმეს შეძენას ფიქრობდა მიშკა.. გაყიდის მას ქალაქ ტაშკენტში—პურს იყიდის.. დანა რომ კარგია—პურსაც ბევრს მისცემენ.. მეტი არაფერი აქვს გასაყიდი მიშკას.. ტომარა და ბებიას კაბა—ხომ მოპარეს გზაზედ.. როგორ ფეხლის დანას—წამდაუწუმ ხელით სინჯავს—ხომ არავის მოუპარავსო. დალბა მშრალი ქერქი ცხელ წყალში, დალბა მიშკას გულიც ღრმა ამაღელვებელ გრძნობისაგან, შეჭამა ქერქი, დალია ცხელი წყალი და გაუწოდა კონდრატიევს დასაკეცი, გაუყიდველი დანა და ათრთოლებული ხმით უთხრა:—„მიიღეთ ჩემგან საჩუქარი შებრალებისთვის“!

კონდრატიევსაც ხმა აუთრთოლდა. რატომ?

ისე გრძნობით ეხვეწებოდა მიშკა, ისეთი ალერსით უბრწყინავდა თვალები, რომ უარის თქმა არ შეიძლებოდა, —გამოართვა კონდრატიევმა უშველებელი, ტარ გახვრეტილი სოფლის დანა, გადაიკიდა ბაწრით თითზედ, მიაქნმოაქნია, გაიღიმა გაყო თავი ფანჯარაში და დიდხანს შესცქეროდა სოსან მინდვრებს სალამოს ჟამს, კეთილი მოცინარი თვალები... კარგათ ეძინა იმ ღამით მიშკას.. ტაშკენტში რომ ჩამოხტა—კონდრატიევს დაემშვიდობა..—ნახა, რომ დანა ჯიბეში ქონდა...

...ეჭვსი ფუთი—ფქვილი და მარცვალი ჩამოიტანა შინ მიშკამ...

მიშკა ფედკათი უკვე დაიხოცნენ. დედაც კვდება. გაპარტახებული, განიავებულია ყველაფერი... მაგრამ რა გასტეხს მიხაილ დოდონოვის გულს—რომელმაც გაუძლო ორი ათას ვერსს იქით და ამდენსავე აქეთ... განა ამ გულს აწი რაიმე გასტეხს?! სთქვა მიშკამ:—არაფერია. რაღა დროს მწუხა-

რებაა. ხელახლა დავიწყებ ოჯახის გაშენებას..

გათავდა მოთხრობა.. ის საშინელი დროც გათავდა, ჩაიყლაპა... არასოდეს განმეორდება იგი: მხოლოდ ნეევროვის მოთხრობა—„ტაშკენტი—ქალაქი პურის“ დიდ ხანს, დიდ ხანს არ მოკვდება...

ქართული თარგმანი—კ—ძე.

ს. დანელია.—ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ.

ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. **ტფილისი 1926.**

უკანასკნელი წლების განმავლობაში ს. დანელიამ ქართული სამეცნიერო ლიტერატურა გაამდიდრა რამდენიმე ისტორიულ-ფილოსოფიური ხასიათის ნარკვევის გამოქვეყნებით. ასეთია მისი წერილები ძველი ბერძნული ფილოსოფიის ისტორიიდან—არისტოტელის, ძენონის, პარმენიდეს დ სხვ. ზესახებ, განსაკუთრებითი ინტერესის ღირსი იყო მისი წიგნი ქსენოფანე კოლოფონიელის შესახებ.

წინამდებარე ნაშრომი კი ერთგვარი შეჯამებაა იმ იდეებისა, რომელიც უკვე დასახელებულ ნარკვევებში იყო წარმოდგენილი. კიდევ მეტი. ეს წიგნი არის ისტორია ანტიური ფილოსოფიის განვითარებისა ფილოსოფიური სპეკულიაციის პირველ ჩასახვიდან დაწყებული, სოკრატეს ეპოქამდე მოყვანით. და ის გარემოება, რომ ეს წიგნი ისტორიაა და არა ნარკვევი კერძო საკითხებზე, უსათუოდ, მკითხველის მხრითაც მეტს ყურადღებას და ინტერესს გულისხმობს. აქ საინტერესოა არამცთუ დეფინიტიური დალაგება იმ მასალისა, რომელიც ამ ეპოქის ისტორიკოსის განკარგულებაში მოიპოვება, არამედ ის მეთოდიც, რომელითაც ავტორი თავის შრომას სწერს, და ის თანმიმდევნითი ინტერპრეტაცია ისტორიულ-ფილოსოფიური პრობლემებისა, რომელიც მკვლევარს თავისი მეცნიერული ძიების გზაზე შეხვდება.

თუ ამ უკანასკნელი თვალსაზრისით პატივცემული ავტორის წიგნს მიუდგებით, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი იწვევს ბევრ სადაო საკითხებს. რადგან დასახელებული წიგნის შინაარსის გადმოცემა საჭიროა არ არის—ის შეიცავს ძველი ფილოსოფიის განვითარებას თალესიდან სოკრატემდე—ამიტომ ჩვენ დავიწყებთ იმ პუნქტების აღნუსხვით, რომელშიაც შეუძლებელია დავეთანხმოდ ავტორს. რასაკვირველია, ყველა ასეთ საკითხებზე ჩვენ აქ ვერ ვილაპარაკებთ, ჩვენ შეგვიძლია აქ, სახელმძღვანელოთ დავასახელოდ რამოდენიმე.

1. უპირველეს ყოვლისა მიუღებელია ანტიკურ ფილოსოფოსთა ისეთი დალაგება, რომელიც წარმოდგენილია ამ წიგნში. რით შეიძლება გამართლებული იყოს ის გარემოება, რომ პითაგორი და მისი სწავლა ავტორის მიერ მოცემულია თითქის სოფისტების ეპოქაში, ე. ი. მას შემდეგ რაც მკითხველი უკვე გაეცნო ატომისტური ფიზიკის საფუძვლებს დემოკრიტის ფილოსოფიაში. ეს უბრალო ქრონოლოგიური შეცდომა კი შეიცავს დიდ სისტემატიურ შეცდომას. მკითხველისათვის ყოველივე ყურადღების გარეშე რჩება ის გარემოება, რომ დემოკრიტის მიერ აღმოჩენილ ბუნების ქვანტაფიკაციის ე. ი. რიცხვისა დ გეომეტრიული ფიგურის საშუალებით ბუნების საიდუმლოების ახსნის მეთოდზე უდიდესი გავლენა უნდა ჰქონებოდა სწორედ რომ პითაგორას რიცხვების მეტაფიზიკას, რომლის შესახებ არისტოტელი ამბობდა, რომ „პითაგორელებმა რიცხვის პრინციპები არსებულის პრინციპებად გამოაცხადესო“. არის თუ არა ამ დებულებასა და ატომისტიკას შორის უახლოესი კავშირი? უსათუოდ არის. კიდევ მეტი.არის თუ არა დებულების გნოსეოლოგიური საზრისი პარმენიდეს ფილოსოფიაში იგივეობის მეტაფიზიკის სახით დახურდავებული?

უსათუოდ არის.—არც ერთი ამ საკითხისათვის ავტორს ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია.

2. პითაგორიზმის ძირითად დებულების უკმარი გაგება იწვევს მთელ რიგს სხვა გაუგებრობისა და დაბოლოს ის იქცევა მთელი ანტიკური აზროვნების ბუნების სხვა გვარ გაგებათ. ასე მაგ. თავისი წიგნის მე-234 გვერდზე ავტორი სწერს,—პითაგორეელების აღმოჩენა, რომ ცოდნა მათემატიკურ ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს გაუგებარი დარჩა მთელი ანტიკური ფილოსოფიისათვისო. „თვით პლატონის ხელში ეს აზრი პითაგორელებისა ფანტასტიკის საზღვრებს ვერ გასცდა. საჭირო იყო ახალი მეთოდები ძიებისა, წამოყენებული გალილეო გალილეის, ბერნარდინო ტელეზიოს, და ახალი დროის სხვა მოაზროვნეთა მიერ, რათა ზემოაღნიშნულ მეთოდოლოგიურ პრინციპს ნაყოფი გამოელო. და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ის სასარგებლო გამხდარიყო“. ყოველივე ეჭვს გარეშეა ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ პლატონი, მიუხედავათ მათემატიკური გლანცისა და მანევრებისა პითაგორეელთა ფანტასტიკას არ გასცილებია, და პითაგორეიზმის მეთოდოლოგიური არსება არ გაუგია. სხვა ყველაფერი, რაიც ჩვენს მიერ მოყვანილ ციტატში სწერია, ჩვენ სრულ გაუგებრობად მიგვაჩნია. არ არის მართალი ის, რომ ანტიკური აზროვნების ისტორიაში არეის დაუხურდავებია ბუნების რეალური შესწავლის მიზნით პითაგორის მიერ აღმოჩენილი მეთოდი და არც ის არის მართალი ვითომც გალილეის პითაგორას მიერ დაწყებული საქმე გაეკეთებიოს. იმ უდიდესი რევოლიუციით, რომლითაც გალილეი ახალ დროში შეიჭრა მატერიისა და მოძრაობის ცნების გაგებაში მან თუმცალა საბოლოდ დაამკვიდრა ქვანტიფიკაციის მეთოდი, მაგრამ ამ დარგში მისი უშუალო წინაპრები იყვენ სწორედ ისინი, ვინც პირველად ძველს საბერძნეთში პითაგორას პრინციპები ბუნების მეცნიერულ შესწავლის დროს გამოიყენა. გალილეის უდიდესი წინაპარი იყო დემოკრიტი, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ვერაფერს ვნახულობთ ჩვენი ავტორის [illegible] მართლაც რაში მდგომარეობს გალილეო-ნიუტონის მსოფლიო სისტემის არსება? იმაში რომ ის არის მექანიკა. და უპირველეს ყოვლისა სიმძიმის მექანიკა. სიმძიმის მექანიკის პირველი ავტორები კი არიან ანტიური ატომისტები. გალილეიმ ხელ-ახლა აღმოაჩინა ის, რაიც ანტიკურ ფილოსოფიაში უკვე დიდი ხანია აღმოჩენილი იყო. ს. დანელიას, რასაკვირველია, მოეხსენება ის გარემოება, რომ დემოკრიტის მექანიკაში სიმძიმის გაგებაში დაშვებული იყო ის შეცდომა, რომ ცალიერ სივრცეში დიდრონი ატომები მოძრაობდენ უფრო ჩქარად ვიდრე პატარები. უკვე ეპიკურმა არისტოტელის ზოგი იდეების ზეგავლენით შეასწორა ეს დებულება და აღიარა ცალიერ სივრცეში ყველა სხეულების თანაბარი მოძრაობის ჰიპოთეზი. ლუკრეციუსის ცნობილ წიგნში კი სწორედ რომ სიმძიმის ცნების დახმარებით გადაჭრილია ის ნაკლიც, რომელიც შეიძლება შეხვედროდა ცალიერ სივრცეში თანაბარი მოძრაობით მოძრავ ატომებს. ეს ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ შესაძლებელი იყო სწორ ხაზოვნად და თანაბრად მოძრავი ატომები ერთი მეორეს არ შეხვედროდენ და პირველი მექანიკური დაჯახება და აქედან მსოფლიოს დასაწყისი არ გამოეწვიათ. სიმძიმის ცნებით ასწორებს ლუკრეციუსი ამ ნაკლს. აი რას სწერს ის: „და კიდევ მსურს, ჩემო მემიუს, შენთვის ისიც ნათელი გავხადო, რომ მატერიალი სხეულები, რომლებიც სიცალიერეში პერპენდიკულიარულად ვარდებიან, თავიანთი სიმძიმის გავლენის გამო, ძველად განსასაზღვრავ დროში და ადგილსა, თავიანთი გზიდან ცოტათი უხვევენ. ისე ცოტათი—რომლისაც წარმოდგენა კი შეიძლებოდეს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ სხეულები სიცალიერის სიღრმეში პირდაპირ (პარალელურად) ჩავარდებოდენ, დაჯახება არ მოხდებოდა ⁄ არც არა-

ფერი შეხვდებოდა ერთი-მეორეს". (de rerum natura—II. ლექსი 210-17). და ეს სავსებით არის ის, რასაც გალილეი-ნიუტონის მსოფლიო მექანიკა გულისხმობს და რომელ პრინციპებსაც ეს მექანიკა ეყრდნობა. თუ ს. დანელია მიგვითითებს იმაზე, რომ ანტიკურ მეცნიერებას არ გააჩნდა ანალიტიური გზა, ე. ი. მას არ შესძლებია დედა-პრინციპის დახურდავება ბუნების კერძო მოვლენების გაგების სფეროში, ჩვენ მას ამაში დავეთანხმებით, მხოლოდ ხელათ მიუთითებთ არქიმედის გენიაზე, რომელმაც არამც თუ მიაკვლია გალილეი-ნიუტონის ყველა პრინციპები, არამედ მან აღმოაჩინა ამათი ყველა გზები და თვით ინფინიტესიმალი აღრიცხვის აღმოჩენამდეც კი მივიდა. ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ მთელი ეს ამბავი დღეს მეცნიერების ისტორიაში საკმაოდ გამორკვეულია და ძველი ფილოსოფიის ისტორიის დაწერა მეცნიერების ისტორიის გაუთვალისწინებლობის გვერდით არ გვგონია იყოს სწორი.

3. სწორედ საქმის ამ ნაწილის გაუთვალისწინებლობას ერთგვარი თავისებური დაღი დაუსვამს მთელი წიგნისათვის. როდესაც ამ წიგნს კითხულობთ, გეგონებათ რომ მთელი ეს წინასოკრატული ფილოსოფია, სადაც მახვილ-აზროვნად მოყოლილი ზღაპრების კრებული ყოფილა და სხვა არაფერი. ჩვენ კი გვინდა ვიფიქროთ, რომ სოფისტების წინ ფილოსოფია იყო ერთი შეუწყვეტელი დიალექტიური პროცესი, რომლის განვითარება დამთავრდა დემოკრიტის მატერიალისტური მსოფლმხედველობის წარმოშობით. დემოკრიტის სისტემა იყო უპირველესი და უდიდესი ამოძახილი ამ ეპოქისა. ამის შესახებ კი თითქმის არაფერი სწერია ამ წიგნში. ატომისტიკა ისეა გარჩეული, ვითომც ეს არაფრით განირჩეოდეს სხვა სპეკულიაციისაგან ბუნების შესახებ. ის კი არა ანიქსაგორას ქვალიტეტურ ატომიზმს უფრო დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, ვიდრე იმ ქვანტიტეტურ ატომისტიკას, რომელმაც პირველად აზროვნების ისტორიაში საფუძველი ჩაუყარა მექანიკურ მსოფლმხედველობას. [illegible] შემდეგში გალილეიმ, კეპლერმა, ნიუტონმა და სხვებმა განავითარეს.

თავისი კონსტრუქციის გამართლების სურვილით უბრალო ისტორიული ქრონიკაც კი უყურადღებოთ მიუტოვებია ავტორს. დემოკრიტი ერთ-ერთ ფრაგმენტში ამბობს: „მე მაშინ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ანაქსაგორა მოხუცი იყო". მაშ, რაშია საქმე? ანაქსაგორა რატომ უნდა იყოს გარჩეული დემოკრიტეს შემდეგ? ისტორიულად ის ხომ ამას წინ უსწრობდა და სისტემატიურად კი ანაქსაგორას გაგებისათვის დემოკრიტის ცოდნა აუცილებელი ხომ არ არის?

ჩვენ ასეთი საკითხის დასმაც კი უკანონოდ მიგვაჩნია. ედ. ცელერი ფიქრობდა, რომ ანაქსაგორი დემოკრიტეს და ლევკიპოსის მოძღვრებას იცნობდაო. ცელერს ეს კონსტრუქცია სჭირდება იმის გასამართლებლად, რომ ნათელ გახადოს ანაქსაგორის იდეალისტური „ნუს"-ის უპირატესობა მატერიალისტური ატომისტიკის მიმართ. ცელერის ამ კონსტრუქციას შეუსწორებლად და უკრიტიკოდ ღებულობს ჩვენი ავტორი და მის დამტკიცებას სცდილობს ისეთი ხასიათის არგუმენტებით, რომლისთვის, არამც თუ რაიმე ისტორიული ფაქტით გამართლება, არამედ მეცნიერებაში დაშვებული ჰიპოთეზით გამაგრებაც სავსებით შეუძლებელია. სახელდობრ ს. დანელია სწერს შემდეგს: „ანაქსაგორას მოძღვრების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ის იცნობდა ატომიზმს და რაკი დემოკრიტე ანაქსაგორაზე უფრო ახალგაზრდა იყო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ატომიზმის პრინციპებს ანაქსაგორი გაეცნო ვიღაც სხვა მოაზროვნის საშუალებით: უკანასკნელი უნდა ყოფილიყო ლევკიპე". ამ კონსტრუქციას უპირველეს ყოვლისა ავიწყდება ის უბრალო ამბავი, რომ ზოგიერთი დებულების შემობრუნება შეიძლება. რა საჭიროა მარჩიელობა ვინმე ლევკიპო-

სის არსებობის შესახებ, ვსთქვათ უბრწლოთ და ისტორიის ქრონიკოსთან შეთანხმებულად: დემოკრიტი იცნობდა ანაქსაგორას მოძღვრებას. კავზალობის პრინციპის ზოგი ნაწილები და ატომიზმი ანაქსაგორასაც ჰქონდა. ხოლო მისი მსოფლიო იყოფოდა ფერის, გემოს, ტანის, ძალალის, დიდისა და მცირეს და სხვ. ატომებათ. დემოკრიტმა მიიღო ატომიზმი, როგორც პრინციპი, მაგრამ არ მიუღია მისი ქვალიტეტური შინაარსი. მან ატომიზმს მისცა ქვანტიტეტურ-მექანიკური სახე და სწორედ მექანიკის სისტემის შექმნა იყო ამ უდიდესი მეცნიერის უმთავრესი დამსახურება...

4. ერთი სიტყვით ასეთი კრიტიკული შენიშვნების გაგრძელება შეიძლება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ პატივცემულმა ავტორმა სავსებით არ გაითვალისწინა მატერიალისტური მექანისტური ატომიზმის თავისებურება და ცენტრალური ადგილი ბერძნული ნატურფილოსოფიის განვითარებისათვის. ეს გარემოება იწვევს ბევრს გაუგებრობას და სადაო პრობლემებს, მაგრამ ყველა ამის შესახებ რეცენზიაში ლაპარაკი შეუძლებელია. დემოკრიტი იყო უდიდესი კლასიკი ბერძნული ფილოსოფიის ისტორიისა და პირველი მამა მთავარი ზუსტი მეცნიერებისა—ეს გარემოება კი ვითომც სავსებით გაუთვალისწინებელი დარჩენია ავტორს. მას ანგარიშს გაუწევლათ დაუტოვებია პირველად ვილდენმანდის მიერ წამოყენებული ცდა, გაეგო მთელი ბერძნული ფილოსოფიის ისტორია როგორც ბრძოლა ორს დიდ ანტიპოდს შორის: დემოკრიტსა და პლატონსა.

მოსე გოგიბერიძე.

„ქართული მწერლობა“ № 1—5.

ჟურნალის ეს ნომერი იხსნება შალვა დადიანის მოკლე მოგონებით ვასო აბაშიძეზე, და ნ. მიწიშვილის საკმაოდ ერცელი წერილით „ფიქრები საქართველოზე“.

ნ. მიწიშვილი ცნობილი მწერალია საქართველოში—ამ შემთხვევაში რედაქტორიც დასახელებულ ჟურნალის. ამიტომ მის წერილზე შეჩერება საჭიროა. მართალია ეს წერილი დათარიღებულია—1922 წელი. სტამბოლი—მაგრამ, რადგან იგი იბეჭდება იმ ჟურნალში, რომლის რედაქტორი წერილის ავტორია და თვით წერილსაც არავითარი შენიშვნა არა აქვს იმის შესახებ, რომ მას ავტორი დღეს ზოგ რამეში არ ეთანხმება—ამის გამო, ჩვენ შეგვიძლია ეს წერილი ჩავთვალოთ ავტორის დღევანდელ შეხედულებათა გამომხატველადაც... მით უფრო მეტი ინტერესი ეძლევა მას... საქართველოში მე არ მეგულება თანამედროვე პოეტთა შორის ისეთი პესიმისტი—როგორიც მიწიშვილია. მისი ლექსები—სიკვდილის და დაშლილ ადამიანის საგალობელია... რასაკვირველია—ეს პლიუსათ არ ჩაეთვლება მას, როგორც პოეტს,—თუმცა ეს კიდევ ნახევარი უბედურებაა.. მაგრამ როდესაც მიწიშვილი—უკვე როგორც რედაქტორი ჟურნალის—თითქმის „კრედოს“ მსგავს წერილს ათავსებს რაღაც წარმოუდგენელი გულგატეხილობით და იმედ დაკარგულის ხასიათისას—საქართველოს შესახებ—აქ სიჩუმე არ შეიძლება...

მიწიშვილის წერილის დასკვნები ასეთია:—„საქართველო პასიური მოვლენაა. მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა. მისი გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერგია ჭიის როცა მას ფეხს აჭირებენ).—საკუთარ შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო მაშასადამე შემოქმედების გენიასაც.—მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას,

საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარს.

— ამითია რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი უშვილოსნობა თუ ბერწობა.

— ამის შედეგია, ჩემის ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა, ქართული ჭკუისა. განწირვა ქართული ხელოვნების, პოეზიის. მე მგონია ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა, რომ ქართული ბედი წყდება და ტყდება ყოველთვის შუა გზაზე დაუმთავრებელი, მიულწეველი.“

რომ იოტის ოდენა სიმართლეც არ მარხია მიწიშვილის ამ უიმედობაში, მე მგონია ზედმეტია ამის მტკიცება.

მართლაც და რატომაა „პასიური მოვლენა საქართველო?“—და რას ნიშნავს ეს?.. ვერავინ ამას ვერ დაამტკიცებს.—მისი—საქართველოს ენერგია თურმე არის ენერგია ჭიის, რომელსაც ფეხს აჭირებენ.—მე ძალიან მიკვირს, რომ მიწიშვილი ენას არ იჭრის, რომ ქართულათ სიტყვა ვერ თქვას...

„ამის შედეგია ჩემის აზრით—სიმჩატე ქართული არსებისა, ქართული ჭკუისა, განწირვა ქართული ხელოვნებისა, პოეზიისა“—არ ღირს ამის ზერელე უარყოფაც...

მიწიშვილი ქართველი ინტელიგენტია. ნუთუ ასეთი რამ გახრწნის და დაშლის სასიკვდილო პროცესი ხდება თუ გინდ ერთ ნაწილშიაც ქართველი ინტელიგენციისა—რომ—მის წარმომადგენელს მიწიშვილს—ასეთი რამ ათქმევინა?! ყოველ შემთხვევაში—**ქართველი ხალხი და საქართველო აქ სრულიად არაფერშია.**

— აჯობებდა კი ბევრად, რომ ასეთი წერილი სრულებით არ დაბეჭდილიყო.

ნ. საქარელის—წერილის შესახებ—„ხელოვნება და ეროვნული საზოგადოებრივობა“ ბევრ რამეს ვაქმ შეიძლებოდა. სარეცენზიო წერილში ეს შეუძლებელია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბევრ ღია კარებს—ამტვრევს ავტორი.

„ხელოვნების თვალუწვდენელი სამეფოსთვის მიუღებელია სამოქალაქო ომის თეორია და მეთოდები, რომელსაც ტყუილა უბრალოთ ჩაფრენიან **რადიკალური ფრაზის** მოყვარული ლიტერატორები“.—ჩვენ არ ვიცით ვისზე უთითებს ნ. საქარელი.—კომუნისტ ლიტერატორთა შორის—ასეთი აზრის და შეხედულების დამცველი ჩვენ არ ვიცით არავინ.

კარგი იყო—რომ ასეთი რადიკალურ ფრაზის მოყვარული ლიტერატორები დაესახელებინა ავტორს, თორემ ეს ცოტა ცილისწამებას წაგავს... რასაკვირველია ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელოვნება კლასთა ბრძოლის გარეშე დგას, პოლიტიკის მას არაფერი აცხია და საზოგადოებრივ ცხოვრებიდანაც დამოუკიდებელია!!! მაგრამ ამას მგონი თვით ავტორიც არ უარყოფს.

ერთი პატარა შენიშვნა: მოყავს რა რ. კალაძის ერთ-ერთ წერილიდან, რომელიც მოთავსებული იყო ჟურნალ „მნათობის № 2 (1925 წ) აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ—ამონაწერი: „ხალხმა ის გაიგო და შეიგრძნო და მისი პოეზია თავის პოეზიად მიიჩნია. მან დასტოვა ძველი ზღაპარი, მითი და შეითვისა აკაკის სიმღერა ლექსი და შაირი“.—მოყავს რა ეს ამონაწერი—ნ. საქარელი ასკვნის: „ამ სიტყვების შემდეგ თავის თავად გასაგებია „მნათობის“ რედაქციის შენიშვნა: ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას არ ვეთანხმებითო“.. საქმე იმა-

შია, რომ როგორც ჩვენ ვიცით რედაქციის ეს შენიშვნა ეხებოდა არა ასეთ დაფასებას აკაკის პოეზიისა, არამედ პირიქით: სწორეთ იმ ადგილებს ამბ. კალაძის წერილისა, სადაც ის უარყოფდა აკაკის ხელოვნების ცხოველმყოფელობას დღეისთვის... რედაქცია იმ აზრისა იყო რომ—რომ აკაკი პარტიისტორიას არ ეკუთვნის, რომ ის ჯერ კიდევ არ მომკვდარა... ნ. საქარელმა კი რედაქციას „თავის თავათ" მიაწერა საწინააღმდეგო აზრი.

გრ. გიორგაძის წერილი „ჯვარედინზე" საინტერესოა უმთავრესათ იმიტომ, რომ იგი ეკუთვნის გრ. გიორგაძეს—ერთ-ერთ ყოფილ ხელმძღვანელთაგანს მენშევიკურ პარტიისა. წერილი შეიცავს უკვე საანბანო ჭეშმარიტებად ქცეულ აზრებს იმის შესახებ, რომ ბურჟუაზია ახალ ომებისათვის ემზადება, რომ მუშათა კლასის მოვალეობაა ამ ომს—ომით შეხვდეს, რომ მე-II ინტერნაციონალს გარკვეული პროგრამა დღესაც არა აქვს ომის შესახებ (თუმცა აქ ავტორი ცდება; მეორე ინტერნაციონალს საკმაოდ გარკვეული პროგრამა აქვს: თავის ქვეყნის ბურჟუაზიასთან ერთათ—მოპირდაპირების წინააღმდეგ—), რომ ომზე აგებული ეროვნული პრობლემის გადაწყვეტა სრული ავანტიურაა და სხვა. ავტორი ასე ათავებს თავის წერილს: „ჩვენ შეგვიძლია სრული გარანტია მივსცეთ ხალხს, რომ ომი დიდ უბედურებას დაატეხს ქართველ ხალხს, გაანადგურებს მის ტერიტორიას, ქონებას, ახალგაზრდობას, ნაცრად აქცევს მის კულტურულ ძალებს და, თუ რუსეთის და საქართველოს ტახტის პრეტენდენტმა დიდმა მთავარმა კირილე რომანოვმა გაიმარჯვა,—ყველა შეგნებულ ქართველს, კომუნისტს თუ სოციალისტს ერთ ხეზე ერთი ბაწრით ჩამოჰკიდებს"...

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ დამატებაა საჭირო: რომ კირილე რომანოვის გამარჯვებას ხელს უწყობს ის ავანტიურული პოლიტიკა, რომელსაც „ჟორდანიას" კაცები ეწევიან საზღვარ გარეთ და აქაც, რომ კირილე რომანოვი სრული ნულია თუ მის გვერდით ალ არიან დემოკრატიის დამცველები მილიუკოვი, კერენსკი, ჟორდანია, რომ რუსეთ შეფეული რაზმელები და ქართველი მენშევიკები—შეკავშირებულათ ანთავისუფლებენ საქართველოს და რუსეთს ბოლშევიკებისაგან, და რომ სწორედ ამიტომ საჭიროა სასტიკი, დაუზოგავი ბრძოლა ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ. რამდენათაც უფრო ხმამაღლა და გარკვევით ვიტყვით ამას—მით უფრო კარგია.

მხატვრულ პროზაში მოცემულია მოთხრობები და ესკიზები: მ. ჯავახიშვილის „ცოფიანი", ნ. ლორთქიფანიძის—ესკიზები, დ. შენგელაიას „ჰაროველ", ს. კლდიაშვილის „ძილბას", დ. სულიაშვილის „პირველი სიტყვა" და ლ. მეტრეველის „ალავერდობა". მ. ჯავახიშვილის „ცოფიანი" დამაფიქრებელია, სახიფათო გზაზეა შემდგარი „ჯაყოს ხიზნების" და „კვაჭანტირაძის" ავტორი... ძალიან სახიფათო გზაზე. მისი უკანასკნელი მოთხრობები—„თეთრი საყელო"-ს შემდეგ წინსვლას არ ამობენ. დიდ მწერალს უფლება აქვს კალმით ითამაშოს, მაგრამ მხოლოდ ხანდისხან, მხოლოთ სხვათა შორის, თორემ თუ—კალმით თამაში საკალ გზათ იქცა—ეს უკვე თამაშიც არ არის, ეს უკვე „დახურდავების ნიშანია". „მნათობში" მოთავსებული—„მესამე", ეხლა ეს „ცოფიანი"—ვერავითარ სანუგეშო რაიმეს ვერ ამბობენ. „თეთრი საყელო"—როგორც ეტყობა ძალიან უჭერს ჯავახიშვილის „მუზას". დახრჩობით ვერ დაახრჩობს—მაგრამ ხმაც, ჩაუწყვიტოს ესეც დიდი უბედურება იქნება ქართულ ლიტერატურისათვის... რატომ ვამბობთ თეთრ საყელოზე ამას, იმიტომ რომ „თეთრი საყელო"—თი დაიწყო ჯავახიშვილმა ახალი სალიტერატურო გზა. ეს გზა კი შეცვლა იყო იმ მიმართულების—რომელსაც ადგა ავტორი, როდესაც „ჯაყოს ხიზნები", „აბდულა", „ლამბალო და ყაშა" დასწერა. ეს იყო მხატვრული რეალიზმი—თანამედროობასთან დაკავშირებული. „თეთრი საყელო"-ს ერთი ნაწყვეტია „ცოფიანი".

ხირჩლას ორი შვილი ყავს—ვჟაი ძაღლიკა და ქალი კმარა. სახელიანი ხევსურია ხირჩლა—ოჯახი მისი პატიოსან ოჯახად არის ცნობილი. და აი უბედურება დაატყდა ხირჩლას. მისი შვილი ძაღლიკა შეიქნა მისი უბედურების მიზეზი. სამხედრო ბეგარა მოხდილი დაბრუნდა სახლში ძაღლიკა. კმარაც გასათხოვარი ქალია. ხირჩლას უნდა გაათხოვოს კმარა. ამას ეტყვის ძაღლიკას, და გამოარკვევს საშინელებას: ძაღლიკას უყვარს კმარა. ძმას უყვარს და.—არა როგორც და —არამედ როგორც ქალი.

— „ძაღლიკავ! ძაღლებმაც არ იციე აგეთი... არ იციე აგეთი მასხრობაი.

— მე არა ვმასხრობ—იღიმება შვილი.

— მაშ... არ ხუმრობ?—მაინც არა სჯერა მამას.

არა, არ ვხუმრობ.

— ძაღლიკავ ნუ ხუმრობ მეთქი, თორემ... ეს ტყვია უფრო შაგერგების. ძაღლიკავ ნუ ხუმრობ—მეთქი, თითქო იხვეწება ხირჩლა.

— არა ვხუმრობ... შემერგების.

— იქნებ ხუმბრობ ძაღლიკავ!—მუდარით ეკითხება მამა.

— სახუმრო არა მაქვს—რა.

— ძაღლიკავ უკანასკნელ გეკითხები, ხუმრობ თუ არა?

— არა...არა ვხუმრობ—ჟინით გამოიწურა კბილებიდან ძაღლიკამ.

— მაშ... არც მე ვხუმრობ. ღმერთო მიშველე! პირჯვარი გადიწერა და უცებ,—იქნებ ისე უნებურათ,—თვისი თვალი, თოფის ტუჩი და შვილი სშუბლი ერთ ლარზე გაიბა.

— ვერ გამიმეტებს—ფიქრობს ძაღლიკა და იჭვნეულათ იღიმება. თოფის ლულიდან ერთათ გამოცვივდნენ ცეცხლი, ქუხილი და კვამლი, ხოლო ბნელ კარებიდან კმარას კივილი გრიგალივით შემოვარდა!!

მოკლა ხირჩლამ საყვარელი შვილი. შემდეგ... თვითონაც მოიკლა თავი... ასეთია მოთხრობის ჩონჩხი... ჩვეულებრივი ოსტატობით და ხერხიანათ აქვს ჯიეახიშვილს იგი აგებული. მშვენიერი ენა,—მკვეთრი, სადა და მგრძნობიარე. ამბავი გაშლილი ოსტატურადვე...

— მიუხედავათ ამისა—მოთხრობა მაინც უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენს —რადგან ყალბად, ბუნებასწინააღმდეგათ მოგონილია—მისი დედაბოძი, მთავარი იდეა... რაში მდგომარეობს იგი: პირველყოფილი ხევსური—თავის ადათ-ჩვეულებით—ხირჩლა—ს ქალაქის „კულტურის“ შემომტანი „ნასალდათევი“ ძაღლიკა... როგორ იშლება მათი ბრძოლა, რა ნიადაგზე სწარმოებს იგი: ხირჩლა იცავს პატიოსნებას, სიფაქიზეს, ვაჟკაცობას—ძაღლიკა—„მორიელი, გველი“—განხორციელებაა ზნეგაცემულობის და გათახსირების. სოფლის „უკულტურობა“ გამარჯვებულია ძაღლიკას „კულტურაზე“.—ვინაიდან—ძაღლიკაებს ბრდის ეს კულტურა... ასე ყავს დახატული ახლის და ძველის ბრძოლა ავტორს. ობიექტიურათ ეს ასე გამოდის „თეთრი საყელოს“—ლოლიკურ დასკვნამდე მიყვანაა ეს. აქაც იმარჯვებს ძველი ადათი—ახალ ყოფა-ცხოვრებაზე, აქ ხომ ბრმისათვისაც ნათელია ეს... —მართალია ასეთი დაპირისპირება? მართლა სწორადაა გაშლილი სოფლის და ქალაქის მდგომარეობა? მართლა ძაღლიკაებს იძლევა ქალაქი?! არა.. ტყუილია ეს, ყალბია, ძახინჯია ასეთი დაპირისპირება... ამავე დროს უაღრესად რეაქციონური. საქმე იმაში კი არ არის, რომ შესაძლოა ასეთი რამეც მომხდარიყოს — რასაკვირველია შესაძლოა, მაგრამ:—ეს გამონაკლისი, იშვიათი მოვლენა იქნება... ჯავახიშვილმა კი მიმართულებათ გაიხედა ასეთი დაპირისპირება... უნდა კანონათ გამოაცხადოს გაყალბება იგი. ეს კი სინამდვილის დამახინჯებაა, გაყალბებაა და როგორც ეს ყოველთვის ასეხდება—რეაქციონურ,ანტიპროგრესიულ ხასიათს ღებულობს იგი.

საჭიროა ამაზე სერიოზულათ დაფიქრდეს „ჯაყოს ხიზნების“ და „თეთრი საყელოს“ ავტორი.

ნ. ლორთქიფანიძის ესკიზები: „ნიშნია“ და „ფეოდალები“—ახალს არაფერს ამბობენ. როგორც ეტყობა ამ ნიჭიერ მწერალს საბოლოოთ გადაუწყვე-

ტია: წარსულში ეძიოს საშწერლო მასალები—მხოლოთ წარსულში. ახალი მას არ აინტერესებს—ყოველ შემთხვევაში მის ნაწერებში ეს ასე სჩანს. ქართველი ბუნინია—ნ. ლორთქიფანიძე. დახვეწილი კლასიკური ქართული ენით—დასტირის ის ძველ საქართველოს... ღიმილიც არის ამ ტირილში—მაგრამ ეს ღიმილი მწუხარებას უფრო გამოხატავს, ვიდრე სიხარულს. რასა იქ?—უყვარს მწერალს ძველი საქართველო—თავის ადათ-ჩვეულებებით „სილატაკით, სიხარმაცით და უკუდო ამპარტავნობით“... სისხლით და ხორცით არის იგი შეზრდილი მასთან. რევოლიუციამ მიანგრ-მოანგრია ეს ძველი საქართველო... სოფელშიაც—შევიდა ის თვისი „უხეში“ ⁄ „უმოწყალო“, მაგარი ნაბიჯებით... ატირდა ძველი სოფელი. ავტორსაც ესმის ეს მისი წუხილი. „ვერც მედავითნემ აასრულა თავისი დაპირება—მას არ მოუვლია მიცვალებულთათვის,—რადგან არც ერთს არ ღირსებია სამარე, ეკლესიის გალავანში, საკუთარ სასაფლაოზე, ნაკურთხ მიწაში“. ნაღვლიანათ ათავებს თავის ერთ ესკიზს „ფერდალებს“ ავტორი. ნაღვლის გარდა ჩივილიც არის აქ—მიმართული სოფელში შემოსულ რევოლიუციის მიმართ, ⁄ მართლაც: ნაკურთხი მიწა—„წაიბილწა“, ეკლესიები—არამც თუ გალავნები—ბევრი დაინგრა. საკუთარი სასაფლაოები აბა ვის აქვს ეხლა?! არ უყვარს რევოლიუცია ნ. ლორთქიფანიძის კალამს. სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო...—რადგან იშვიათი ნიჭის პატრონი მხატვარია იგი... მაგრამ, რევოლიუციის ბრალი ხომ არ არის ოდნავათაც, რომ მწერალ ლორთქიფანიძეს არაფერი უნდა დაინახოს მასში—გარდა დანგრეულ ეკლესიებისა და „წაბილწულ“ ნაკურთხ მიწებისა?!

დემნა შენგელაიას—„ჰოროველ“—ნაქურდალია. „სანავარდოდან“ არის იგი ამოღებული. „სანავარდოც“ ხომ დემნას ეკუთვნის? მით უარეს მისთვის... ცუდია, როდესაც მწერალი თავის თავს ქურდავს, მით უმეტეს, როდესაც იგი—ავტორია მხოლოთ ორი დამთავრებული ნაშრომის. შეიძლება შემთხვევითია ეს არა კარგი ამბავი. „ღმერთმაც“ ქნას! ყოველ შემთხვევაში სიფრთხილე და მეტი დაკვირვება მართებს დემნას...

— სერ. კლდიაშვილს კარგი „გვარი“ აქვს. საუბედუროთ იგი ვერ ამართლებს ამ გვარს ჯერ-ჯეროობით მაინც. „რაინდი ბილბაო“ ამის უტყუარი საბუთია.

— „ყოველ ავტორს სჭირია დახმარება წამკითხავისაგან. ყოველი ამბავი ცარიელ სიტყვებათ დარჩება და მოთხრობას დაუწუნებენ, თუ წამკითხველი ავტორს ვერ გაუსწორდა. ეს მოთხრობა მარტივია, მაგრამ აქაც მჭირია გრძნობა იმის, რომ წამკითხავი გამითანასწორდა. მოთხრობა ეხება სიყვარულს და ამბავიც მოხდა შორეულ ქვეყნის შორეულ დროში. ამიტომ ხშირათ ვბედავ ვახსენო შეძულებული მთვარე“.

— ასე იწყება „რაინდი ბილბაო“.

ჩვენ შევეცადეთ შეგვესრულებინა ავტორის ეს მოთხოვნა მკითხველისაგან,—მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. ვერაფერი ჩვენ ამ ნაწერში ვერ ვნახეთ. ჩვენ ისიც ვერ გავიგეთ რატომ უნდა დაეწერა სერ. კლდიაშვილს ეს „ამბავი“. ⁄ თუ კი მაინც და მაინც აუცილებლათ საჭირო იყო ეს—რატომ უნდა მოთავსებულიყო იგი რომელიმე ჟურნალის ფურცლებზე. შეიძლება ჩვენ—მიუხედავათ ჩვენი გულწრფელი ცდისა—ვერ ავმაღლდით ისე, რომ ავტორს გავთანასწორებოდით, და ამიტომ დაგვემართა ეს... ვინ იცის?! ყოველ შემთხვევაში—ეს ჩვენი ბრალი არ არის. ხომ ვიცით ფრანგული ანდაზა ლამაზ ქალის შესახებ.

ლექსებით — მდიდარია „ქართულ მწერლობის“ ეს ნომერი. თითქმის ყველა ცნობილი ქართველი პოეტი—მოცემულია აქ.

ჩვეულებრივათ კარგია და შნოიანი **აბაშელის** სამი ლექსი.—განსაკუთრებით მე-სამე—„მზე და ჰაერი“. „მზის პოეტი“—აი როგორ აწერს გათენებას:

„მოადგა ლრუბელს თეთრი ნათელი,
ჯერ მორცხვათ, მშვიდათ ⁄ მორიდებით,
შემდეგ გაირღვა ღამის სარტყელი
და მზემ გამოჰყო ოქროს თითები.“

ი. გრიშაშვილის ლექსი „ჩუსტის მკერავი“ აშკარათ მოწმობს, რომ მის ავტორს არაფერი შეუძენია და არც არაფერი დავიწყებია. ჩვეულებრივი გრიშაშვილისებური ლექსი მისთვის ჩვეულ თემაზე ჩვეულებრივი დაწყებით და ბოლოთი.

— „მე დავაცქერდი და ჩურჩულით წარმოვთქვი მერე.

მოდი და ეხლა, ამის შემდეგ ლექსები სწერე.“

სუსტია და გაუთლელი სტრიქონებათ გაკეთებული რაჟდენ გვეტაძის ლექსი „ქვის მჭრელი“. მარტო ეს სტროფა რათ ღირს:

„ეხლაცა ეხება მაღალ თეძოებს,
გულზე უწყვია თეთრი კვახები.
გაცილდა დარდით მცვრიან ეზოებს..
სადღაც ჭოტი ჰკიოდა მკვახეთ“.

რ. გვეტაძე უწინ უფრო კარგათ სწერდა.—„კარგი არის ვით ყანაში სამხარი—შენი ნაზი ლაპარაკით დათრობა“—ამის ავტორი არ უნდა სწერდეს ისეთ უშნო ლექსებს, როგორიცაა „ქვის მჭრელი“.

—კ. ლორთქიფანიძე—წარმოდგენილია ორი ლექსით. „რამდენიმე სიტყვა ესენინს“ და „სიკვდილი.“ უნდა ვსთქვათ—და ეს არ იქნება ოდნავათაც გადაჭარბება, რომ კ. ლორთქიფანიძე ამ ლექსებში—უკვე დიდ პოეტათ სჩანს. ჟურნალის ვერც ერთი სხვა ლექსი ვერ შეედრება, როგორც ფორმალური შესრულებით, იდეით და ამ იდეის ოსტატური გაშლით—ლორთქიფანიძის ამ ორ ლექს.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კ. ლორთქიფანიძის მონაწილეობით—ქუთაისში გასროლილ იქნა „დინამიტი“ (ჟურნალი)... რომელიც... არ აფეთქდა... სულ ორი წელია მასშემდეგ და კ. ლორთქიფანიძე უკვე დიდი (შედარებით) პოეტი შეიქნა... დაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღეს არ არის / არც ერთი სხვა პოეტი—არც ძველებში, არც ახლებში, რომელიც შეძლებდეს ლირიულ ლექსის ისე გამართვას, როგორც ეს ახალგაზრდა „დინამიტელი“. ქართულ ლექსში შეძლო-ბა-გამოეცოცხლებინა მთელი სიმშვენიერე ესენინის გრძნობიერებისა. ლექსს მან დაუბრუნა ის, რომლითაც საკმაოდ გაქურდული იყო დღევანდელი ჩვენი პოეზია და ურომლისოთ იგი არ არსებობს...—ეს მხატვრული ოსტატობა, რომლითაც პოეტური ნაწერი—უხილავი ძაფებით ებმება და იპყრობს მკითხველის გულს, აღელვებს თუ აწყნარებს მას; ხელთ ყავს იხი... მოქმედობს მასზე... საშიში იყო, რომ ლორთქიფანიძე, ესენინის ლექსის ტეხნიკასთან და ცოცხალ ლირიულობასთან ერთათ გაჰყვებოდა ესენინის „იდეასაც“ და მის „ქადაგს“. ეს კი დალუპავდა მას ისევე, როგორც დაიღუპა ესენინი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა: ეს ორი ლექსი სწორედ ამ ესენინის „ქადაგის“ წინააღმდეგ აქვს ავტორს დაწერილი. დამაჯერებელი სიმშვენიერით და დაურღვეველი სიმართლით არის აშენებული ეს თორმეტსტრიქონიანი დაუვიწყარი ლექსი:

„აჰა ლექსიც დავიწყე, ძამძიმებდა ფიქრები:
ღამე იყო და გული მოგონებით ძიძგერდა,
შორს ქუჩიდან ფარანი ფერმიხდილი, მიმქრალი
როგორც თავი დამბრჩალი ესენინის მიცქერდა.
მწუხარებამ შემიპყრო, მსურს გავსძახო: მაგნეა
შენი უკანასკნელი ხულიგნობა ესენინ!
განა ჩვენი ცხოვრება ისე ჩლუნგი რამეა,
სასიკვდილო თოკზე რომ გადმოჰკიდო კისერი?
თვით მკვლელობა რათ გვინდა, მოვა დრო და მოვკვდებით.
პოეტებო, უმღეროთ ახალ ქვეყნის ალიონს,
სჯობს კისერზე გრიგალი მოვიხვიოთ თოკივით

საწამლავის მაგიერ ეს ცხოვრება დავლიოთ".

აქ თითეული სიტყვა თავის ალაგასაა. ვერაფერს ჩაამატებ, ვერაფერს ამოაგდებ. როგორი სიმართლით და დაჯერებით იშლება ლექსი... როგორი შედარებებია!! ამ ლექსიდან ამოგდებული—უშნო და მყვირალა იქნებიან ისინი....

მაგ: „სჯობს კისერზე გრიგალი მოვიხვიოთ თოკივით"—ცალკე აღებული ეს სტრიქონები თავის შედარებით—რაღაც უშნო რიტორიკას და სიტყვათა ბრახუს მოგაგონებს... მართლაც რა მშრალი და უშინაარსო შედარებაა—გრიგალი თოკივით მოხვეული კისერზე, მაგრამ მთელ ლექსის შენობაში—როგორ შთაბეჭდილებას ახდენს იგი!! ამ მდგომარეობაში ყველფერი ცოცხალია აქ: კისერი, თოკი, მოვიხვიო და გრიგალიც. (ესენინმა კისერზე თოკით დაიხრჩო თავი) დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს ეს იმედიანი, ოპტიმისტური ძახილი! „საწამლავის მაგიერ ეს ცხოვრება დავლიოთ" არა ნაკლები სიძლიერით და გარეგნული და შინაგანი გამართლებით—არის შესრულებული მეორე ლექსი „სიკვდილი".. ამავე დროს ეს ლექსი უაღრესად ორიგინალურია. ქართულ ლიტერატურაში—მსგავს შინაარსის ლექს ძნელად იპოვით.—სიკვდილი—მასხრად აღებული. და ეს ისეთ ფონზე გაშლილია—რომ არ მოელი ასეთ ფინალს:

„მოახლოვდა, საწოლთან დადგა ძონძის შრიალით, ტუჩზე ცივი ლიმილი გაიცურა გველივით; გამეცინა, უთხარი: —ბინა, ხომ არ შეგეშალათ. ეგებ მე თქვენ გგონივართ ტაბიძე ან დანელია!

კ. ლორთქიფანიძეს ამ ლექსების შემდეგ ბევრი მოეთხოვება. უნდა გაიმეოროს ... [illegible] კიდეც.

დანარჩენ ლექსებს — უადგილობის გამო არ შევეხები... „ევგენი ონეგინ"-ის თარგმანი, რომელიც ეკუთვნის გრ. ცეცხლაძეს, სუსტია. საჭირო იყო—ასეთ კლასიკურ ნაწერის თარგმანისთვის მეტი ყურადღების მიქცევა..

— მხატვრობას მოკლებულია ს. ჩიქოვანის სიტყვების გროვა მყვირალა სათაურით: „ძიძღვნა ახალ პოეტებს":— იგი ასე თავდება:

ცხოვრება არს საფეხურთა წყება მა-
ღალი
და სურვილების მისაღწევათ გზა
ჯვარედინობს
და კიბეებზე ბევრი თუ სდგას უკვე
დაღლილი
ჩვენ გულწრფელობით გამარჯვება
დაგვეჯერება".

— ეს თუ პოეზია—მაშინ სოლომონ ზურგიელიძის „ნაწერებს" რა უნდა დავარქვათ. რედაქტორია დამნაშავე, როდესაც ასეთი რამ ლექსათ საღდება და უკანასკნელ ფურცლებს იკავებს.

ასეთია ჟურნალ „ქართულ მწერლობის" ამ ნომერის შინაარსი უმთავრესში. იგი არ არის ღარიბი. ბევრი დასაწუნია, მაგრამ ბევრი მისაღები.. განსაკუთრებული ყურადღება რედაქციამ უნდა მიაქციოს მომავლისათვის ჟურნალის კრიტიკულ დ პოლიტიკურ ხასიათის წერილებს—რომ ხაზი, მიმართება ჟურნალის უფრო სწორი დ გარკვეული შეიქნეს. ძნელი საქმეა ეს ამ ჟურნალისათვის, მაგრამ არა შეუძლებელი. ნაყოფიც მეტი იქნება.

გ.—ლი.

რედაქტორი—მ. ქაბიანი.

შინაარსი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო

		გვერ.
1.	**კონ. ლორთქიფანიძე**—ლენინი	5
2.	**ვასილ გორგაძე**—ბრძოლა წიფ. გვირაბთან 1905 წ.	6
3.	**ი. მოსაშვილი**—სოფელში	7
4.	**კონ. ლორთქიფანიძე**—წინაპრებს	9
5.	**სიმონ ჩიქოვანი**—ძველ პოეტს	10
6.	**ლეო ქიაჩელი**—სისხლი	11
7.	**დემნა შენგელაია**—ტფილისი	41
8.	**ოლნა ვაკელი**—მეწისქვილე (პოემა)	73
9.	**ანახ. ერისთავ-ხოშტარია**—სალი	87
10.	**მიხ. ჯავახიშვილი**—თეთრი კურდღელი	111

რუსეთი

11.	**თედორე გლადკოვი** ცემენტი (თარ. დემნა შენგელაიასი)	155

კრიტიკა მხატვრობა პუბლიცისტიკა

12.	**ნ. ბუხარინი**—გესლიანი შენიშვნები	181
13.	**მიხ. კახიანი**—იდეოლოგიურ ფრონტზე	189
14.	**ზიხ. ზანდუკელი**—რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში	194
15.	**კიტა მეგრელიძე**—გერმანიის კაპიტალიზმის კრიზისი	222

ბიბლიოგრაფია

16.	**მკითხველი**—გრიგოლ რჩეულოვი—„ქვრივის ლიმონები"	242
17.	**უცნობი**—აკაკი პაპავა—„მეურმე ნესტორა".	244
18.	**კ.—ძე**—ალ. ნეველოვი—„ტაშკენტი—ქალაქი პურის"	245
19.	**მოხე გოგიბერიძე**—ს. დანელია—„ანტიკური მწერლობა"	248
20.	**გ.—ლი**—„ქართული მწერლობა" № 4—5	251